

97

72

# မေတ္တဝါ



# 6

1997

# საუნაქო

1977/6  
ნოემბერი  
დეკემბერი  
ბიზნისი (105)



## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ფრანსუა რაბლე, ბარბანტუსა და კანტაბრუელი, დასასრული, თარგმნა გურამ ვთვიაშვილმა	5
უილიამ უიშარა ჯეკობსი, ბილის ნადირობა ფულზე, ინგლისურიდან თარგმნა ლალი გოგაძემ	65
დინო ბუცატი, მოთხრობები, იტალიურიდან თარგმნა გაგა შურღაიამ	73
პოეზია, აიკლინგი, თრაქლი, რილკე, თარგმნა მაია ნათაძემ	130
ხუან რულფო, მოთხრობები, თარგმნა მედეა ზუბადალაშვილმა	141
მარნაოკო შოუ, უმბას მოწაფე, პიესა, ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ	182
ჯონ მორტიმერი, უშადლის უმკვიდრეობა, პიესა, ინგლისურიდან თარგმნა ზურდან გეშაჯაშვილმა	234

### კრიტიკა, კუბლიცისტიკა, ესე

თომას მანი, გომეზო და დემოკრატიკა, გერმანიულიდან თარგმნა რუსუდან დვინეფაძემ	249
ფრიდრიხ შილერი, ლიპურბესა და სოლონის კანონმდებლობა, თარგმნა ვასილ ბურკაძემ	267
ირმა მანჯგალაძე, რუსული ფილოსოფიური ფანტასტიკური პროზის ნატორიიდან	302
ნათუნა წულაძე, აბსურდული მსჯელობა აბსურდის ბრძენობაზე	312



**საქართველოს მწერალთა კავშირი**  
**მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური მუხრნალი**

1997 № 6

**მთავარი რედაქტორი**  
**შოთა ნიუნიანიძე**

**ნანა ღარჩია-ბოლქვაძე**  
 (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

**სარედაქციო კოლეგია:**  
**ჯემალ აჭიაშვილი**  
**შუბა ბაქრაძე**  
**ბახანო ბრეგვაძე**  
**ბურაბ მოგიაშვილი**  
**ნოდარ ბუჩუნიძე**  
**მამალი თოდუა**  
**ნოდარ კაკაბაძე**  
**რენე კალანდია**  
**გიორგი ნიუნიანიძე**  
**დალი შანჯიკიძე**  
**გივი ქვიციანი**  
**დავით წერეთლიანი.**

**ტექნიკური რედაქტორი**  
**ნანა ბართაია**

---

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 93-47-31. მთ. რედაქტორის მოადგილე 99-60-22. განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

---

გაღ. წარმ. 05. 12. 97 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 15. 12. 97 წ., ქაღალდის ზომა 70X108<sup>1</sup>/<sub>16</sub> სანტ. თ. 25,51, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 300. შვკვ. № 1614.

**ფასი 2 ლარი**

---

გამომცემლობა „სამშობლოს“ ტბაბა.  
 თბილისი, შ. კოსტავას 14



სიკვდილმა არ მოიცადა...

„სიკვდილი ცოტას მოიცდის“, – ასეთი დასათაურების ნაწარმოები აქვს ერთ ქველ პროლეტარ მწერალს, რომელთანაც თქვენ მუშაობდით, ბატონო გურამ!

„სიკვდილი ცოტას მოიცდის“!

და, რა, თქვენთან მოიცადა?!

გურამ, პატარა ჩათვლიძე თუ არა, სიკვდილმა დაგასწრო, არ მოიცადა! არა და, ჩათვლემილი, მუხლმომღილი გურამი არასდროს მინახავს, არც არავისგან გამაგონია!

ჩვენი ხანგრძლივი მუშაობა ყურნალ „ციხკარში“, მწერალთა კავშირში, დავით აღმაშენებლის საზოგადოებაში, მის გაზეთ „შარაევანდში“ – ჩემთვის ყველაზე კარგი წლები იყო! მაოცებდა თქვენი ენერჯია! სულ იბრძოდით ყველა ურობტზე, სულ ერის ბედ-იღბალზე იყავით გამოკიდებულ-გამოდევნებული, მტერს, ღუშმანს, ავ ენაზე მოლაპარაკეს ენას გლეჯდა, ძირში აჭრიდა თქვენი კლამი-„ხრმალი“, ბასრი, ბასრზე უფრო ბასრი, აი ისეთი, ხელთ რომ ეპყრა თავის დროზე გიორგი სააკაძეს!


მკითხველს წინდაწინ მიხდა ვუთხრა, ბატონ გურამზე მოსაგონარი და გასასვენებელი იმდენა მაქვს, ამ ნომრის კი არა, იქითა ნომრების თაბახებიც არ ეყოფა! შემდგომში ბევრს გავიხსენებ და დაწერ თქვენს ლომკაცობაზე, ბატონო გურამ! სხვებიც ბევრი დაწერენ იმ ლომზე, ვისაც გურამ ფანჯიკიძე ერქვა სახელად და გყარად!

ერთი ვახსენებაც კი ეყოფა თქვენი დიდი კაცობის დასტურისათვის ქვეყანას (ათას სიკეთეებს იქით და იქით ჩამოვთვლი):

ქალაქის შემოგარენის (საუბარია თბილისზე) გამწვანებაზე დიდი კამპანია გაიმართა, და, ერთ დღეს, მწერალთა დიდი ჯგუფი ქალაქის საწარმოო-დაწესებულებასთან ერთად სხვადასხვა ადგილებზე გაემართა ნიჩაბ-წერაქვით. იქ, რა თქმა უნდა, ველოდებოდა დასარგავი მცენარეების ნერგები. მწერლები მამკლადში აღმოუჩნდით, ნისლიანი ამინდი იყო, მავრამ მაინც გულიანად ვიმუშავეთ, დაურგეთ მომავლის გასამწვანებელი... ნეტა ფიარზე მაინც დარჩენილიყო და საზოგადოებას ბევრჯერ ენახა, რა ენერჯიით, რა სიხარულით, რა ძალით თხრიდა ირმობებს და რგავდა მარადმწვანე მცენარეებს მისი საყვარელი თბილისის გასამწვანებლად!

ასეთი იყო გურამ ფანჯიკიძე!

... უკან დაბრუნებისას გურამმა სამხრობა მოინდომა, ფეხზე სადგომ სახინკლეში შევედით.



— ლომი, დაკსხდეთ და ისე ვჭამოთ, — თქვა ზაურ ბოლქვაძემ.

— არა, ასე ჯობია, მეტი ჩაგვეტყუა, — დიმილით უპასუხა ბატონმა გურამმა ბატონ ზაურს.

— ლომი, კი მარა, მაგ მეტს ვინ გადაიხდის? — ჰკითხა ზაურმა.

— ვაჟა ჩორდელი. — ხუმრობით უპასუხა გურამმა.

— ლომი, კი მარა, ხუმრობა თავისთვის იყოს, „ცფსკრში“ ჩვეულებზე პატარა ხელფასი და ყველაზე მეტი საქმე მაგ კაცს რომ აქვს, თუ გიფიქრია მაგაზე? გურამს ხმა არ ამოუღია... მეორე დღეს, საიდან როგორ და რანაირად, დღესაც არ ვიცი, თანამდებობა გამომიცვალა, ხელფასი მომიმატა!

ასეთი იყო გურამ ფანჯიკიძე!

ერთი ასეთი გახსენება: ახალგაზრდები ვიყავით მაშინ, წიგნის გამოცემა იოლი არ იყო და თუ გამოვცემდით, პონორარი სიხარულში შემოგვეცლებოდა ხელიდან — ბიჭებთან პურის ჭამაში! ასეც უნდა დამართხოდა ბალათურ არაბულს, როცა პირველი წიგნი გამოსცა... პონორარი ჯიბეში ედო, დაგვატყუა ახლო მეგობრები, ბატონ გურამს ვთხოვეთ ვახშამზე გვწვეოდა, წავიყვანეთ რესტორან „აჭარაში“, კარგად მოვილხინეთ, ბატონმა გურამმა ითამადა, დრო რომ გადავიდა, ბალათური გაიპარა მაგიდიდან ფულის გადასახდელად, უკან მობრუნდა სახეზე წამოწითლებული, კვითხე, რა იყო ბიჭო, რას გავხარ-მეთქი. როგორ რას ვგავარო, მე დაგვატყუეთ და სუფრის ვალი და ხარჯი გურამს გადაუხდიაო! რა ვქნა ახლავ, მაშინ ხვალ მეორედ დაგვატყუებთო.

ასეთი კაცი იყო ბატონი გურამი!

საქმის გამკეთებელი იყო გურამ ფანჯიკიძე, უღალატო კაცი, დიდი მეგობრობის მატარებელი, ხელშეუვალი, პრინციპულზე პრინციპული, მაგრამ ამაყ დროს თბილი, მიმტევებელი და დამთმობი!

სიკვდილმა არ მოიცადა, გურამს დაასწრო და წაიყვანა! დღესაც არა ვვგონია, თუ გურამი ერთ დღესაც არ შემოირბენს მწერალთა კავშირში და იქ მომლოდინე ხალხს თავისი კაცური ფესტით არ ეტყვის, აბა, ვის რა საქმე აქვს, რით შემძი-ღია გემსახურით!

ასეთი იყო გურამ ფანჯიკიძე!

თქვენ, ბატონო გურამ, მოელი ცხოვრება ემახსოვრებით თქვენთვის სათაყვანებელ საქართველოს!

ვაჟა ჩორდელი.



გარგანტუა და პანტაგრუელი



თარგმანი ბურამ პოპიაშვილმა

მესამე წიგნი

ძველი პანტაგრუელის საგმირო  
მეამბოვებისა და სიტყვაბრუნებისა

ალნაქსი პეტრე ფრანსუა რაბლესი, მედიცინის დოქტორისა

მათჳვაში კეთილმოწყალე ჳამკითხველთ სა-  
მოდღამითვრამითა წიგნამდისინ სიტყვილსა  
დათმენასა, ანუ გაუცინრობასა მაჯება

თავი XXXI

რას ურჩევს მკურნალი რონდიბილისი პანურგსა

პანურგმა განაგრძო თავისი სიტყვა და განაცხადა:

— პირველი, რაც რომ სოსინიაკულ შავოსანთა მკოდავმა კაცმა იუბნა, რო-  
ვორც კი ძმა ყურიგლეჯიას წყვილნი გამოსხნა, იყო: „შემდეგი!“ ჩემი სიტყვა-  
ც არის: „შემდეგი!“ მამ, აბა, უფალო მაგისტრო რონდიბილის, გაუჭიანურებ-  
ლად მითხარი: მოვიყვანო ცოლი თუ არა?

— ჩემი ჯორის თოხარიქსა ვფიცავ, არ ვიცი, მაგ კითხვაზედ რა გიპასუ-  
ხო, — წართქვა რონდიბილისმა. ავი თავადვე ამბობ, ხორცი ჩემი ამბოხებუ-  
ლიაო. სამედისინო ფაკულტეტზედ მასწავლიდნენ (ძველთა პლატონიკოსთა  
სწავლისდა მიხედვით), რომ მსგავსი რამ აღზნებულობის დაცხრომა ხუთი რამ  
საშუალებით შეიძლება. პირველი, ღვინით.

— ეგ მართალია, — ჩაურთო ძმა ჟანმა. — როცა მთურადი ვარ, ძილის მეტი  
არაფერი მიხდა.

— მე ღვინის უზომოდ სმას ვგულისხმობ, — განაგრძობდა რონდიბილისი, —  
რამეთუ ღვინობა ადამიანისა გვაშში სისხლსა აგრილებს, ნერვთ ფიტავს, თეს-  
ლსა აჩიავებს, გრძნობათ აჩლუნგებს, მოძრაობას რეუს, ყოველივე ეს კი აბრკო-  
ლებს განაყოფიერების აქტსა. მართლაც, თქვენთვის ცნობილი ამბავია, რომ  
ბაკქოსსა, ღვინო-მებრუვეთა ღმერთსა, გამოხატავენ უწვეროდ, დიაცურად შე-  
მოსილსა, მოქალაჩუნო არსებად, საჭურისად და ცვედნად. სულ სხვა საქმეა  
ღვინის ზომიერად სმა. ამაზედ მიგვითითებს ერთი ძველთუძველესი გამონათ-  
ქვაში, მაუწყებელი იმისა, რომ ცერერა და ბაკქოსი თუ გვერდით არა ჰყვანან,  
ვენერა მჭმუნვარებისგან ადვილს ვერ პოულობს. ძველთა კაცთა აზრით, ვი-  
თარცა დითდოროს სიცელიელსა აქვს გადმოცემული, აგრეთვე ლამფსაკოსელ-  
თა აზრითაც, როგორაც პავსანია ამტკიცებს, ვაუბატონი პრიაპე ბაკქოსისა და  
ვენერას ვაჟი იყო.

მეორე, მხედველობაში მქონდა ზოგ-ზოგი რამ წამლეული და ბალახბუ-  
ლახი, რომლებიც აცხრობენ ადამიანსა, ჯანმრთელობას უფუჭებენ და შვილიე-  
რების მხრივ უუნაროა ხდიან. ცდამ გვიჩვენა, რომ ასეთებია *nymphæa he-  
raclia*\*, მწარე ბალახი, ტირიფი, კანაფა, ჯიქა, თამარიხლი, იგივე თაფლიხლი,  
ხეპილპილა, მანდრაგორი, ციკუტა, ჯადვარი, ჰიპოპოტრიპტის ტყვავი და სხვა  
რამერუმეები, რომლებიც ადამიანის გვამში მოხვედრისას<sup>†</sup> თავიანთ  
ელემენტარულ თვისებათა გამო, ისე თავიანთ სპეციფიკურ თვისებებზეთა გა-  
მო, ყინავენ და აკვლინებენ ცხოველმყოფელ თესლსა და ფანტავენ იმ ძალმოსი-  
ლებას, რომელმაც თესლი იგი ბუნებისგან მინიშნებულ ადგილას უნდა მიიტა-  
ნოს, ანდა ხმავენ იმ გზა-კვალსა, საიდანაც თესლი უნდა გამოდინდეს. და, პი-  
რიქით, გვაქვს ისეთი საშუალებანი, რომლებიც აღანაებენ და აღაგზნებენ ადა-  
მიანსა და საყინტროდ განაწყობენ.

— დიდება შენდა ღმერთო, ეგეთი რამეები არა მჭირდება, — განაცხადა პა-  
ნურგმა. — შენ როგორა გაქვს საქმე, სახელმორჩმულო მაგისტრო? იღონდ არ  
გაწყინოს, ბოროტულად არ გეუბნები.

— მესამე საშუალება შეუპოვარი შრომაა, — განაგრძობდა რონდიბილი-  
სი, — რამეთუ როცა კაცი მუშაობს, სუფველა შინაგან ორგანოში სასიცოცხლო  
პროცესნი იმდენად უხელდება და უყოვნდება, რომ სისხლსა, რომელიც მთელ  
სხეულში მდინარებს, რათა კვებოს იგი, არცა დრო აქვს, არცა მოცალეობა, არცა სა-  
შუალება, რომ ხელი შეუწყოს თესლისა გამოყოფას, დაავროვოს ნაჭარბი, რომელიც  
სსაკვების მესამე გზის სისხლად გადაქცევის შემდეგ რჩება? ბუნება ამ ნაჭარბსა თა-  
ვისი უსაკუთრესი მიზნისთვის ინახავს: ოვითონ ამ ერთ პიროვნებაში ძალ-ღონისა  
შესახარჩუნებლად სჭირდება და არა საერთოდ კაცთა მოდგმისა გასამრავლებლად  
და მოსამშენებლად. აი რატომ არის, რომ დიანასთვის, რომელიც მიწყვი ნადირობს,  
უცხოა ყოველგვარი ავხორცობა. აი რატომ არის, რომ ბანაკო ძველად *castra*  
ეწოდებოდა, რომელიც ლათინური სიტყვისგან — *casta*\*\* წარმოდგებოდა, რა-  
მეთუ იქ დაუშრომლად შრომობდნენ მეომარნი და ათლეტნი. აი რატომ წერს  
ჰიპოკრატე (წიგნში *De aere, aqua et locis*\*\*\*), რომ ზოგიერთნი სკვითურნი  
ტომნი სამიჯნური ბრძოლებში საჭურისებზედ უფრო სუსტნი გამოდგებოდ-  
ნენ ხოლმე, რამეთუ მუდამ ამხედრებულნი იყვნენ და მუდამ საქმით იყვნენ გარ-  
თულნი, ფილოსოფოსთა აზრით კი, ავხორცობის დედა უსაქმურობა და მცო-  
ნარობაა.

ოდეს ოვიდიუსს შეეკითხნენ, ეგისთე რამ გაამრუშაო, მან უპასუხა, მხო-  
ლოდ უსაქმურობააო, და უსაქმურობასა თუ აღმოუფხვრით, კუპიდონისა ხელთუ-  
ნება დაიდუბებაო. მშვილდი, კაპარჭი და ისარნი მძიმე ტვირთად გადაექცევაო.  
ვერც ველარავის ვერ დაჭრის, იმიტომ რომ სულაც არ არის ისეთი დიდი ვინმე  
ჩუბინი, ანუ მიზანაუცდენელი მსროლელი, რომ ციდან მფრინავი წერი ჩა-  
მოავდოს ანდა ტყიდან გამოვარდნილი ირემი მოკლასო, რითაც დაუდგრომელნი  
და დაუცხრომელნი პართიელნი გამოირჩეოდნენო. კუპიდონს კი დარბაისელი,  
მჯდომარე, მწოლიარე, განმცხრომარე ხალხი სჭირდებაო.

თეოფრასტე ნამდვილად მართალი იყო, ერთხელ როცა შეეკითხნენ, რა  
არა ამისთანა, მაინც რა ნადირია ეს გატაცებაო, რომ უპასუხა, საქმეგამოლე-  
ულთა ვინიაო. ზუსტად ასევე იუბნა დიოგენემ, მრუშობას ის ხალხი მისდევს,  
ვისც სხვა არაფერი საქმე არა აქვსო. ამავე მიზეზით კანაქსემ, სიკიონიელმა

\* პერაკლეს შრომანი (ლათ.).  
\*\* უმწყიკლო, სუფთა (ლათ.).  
\*\*\* „ჰაერისა, წყლისა და ადგილმდებარეობისთვის“ (ლათ.).

მოქანდაკემ, იმის საჩვენებლად, რომ გარყვნილებასა ხელს უწყობს უსაქმურობა, სიზარმაცე და უჩემფეხეობა, ანუ უღარდელობა და უზრუნველობა, ვინერა მჯდომარე გამოხატა და არა მდგომარე, როგორაც ადრე გამოხატავდნენ ყოველნი მისნი წინამორბედნი.

მეოთხე საშუალება ბევრითი გონებრივი მეცადინეობაა, <sup>უჩემფეხეობა</sup> <sup>უღარდელობა</sup> <sup>უზრუნველობა</sup> <sup>სიზარმაცე</sup> <sup>და</sup> <sup>უჩემფეხეობა</sup> <sup>და</sup> <sup>უზრუნველობა</sup>, რომელიც სათანადო აღვილისკენ ეწვევა ნაყოფიან გამონაყოფს და ამით ავსებს შიდაღრუიან ორგანოს, რომლის დანიშნულებაა ნაყოფიანი გამონაყოფის გადმონახევა.

მართლაც, აბა დაუკვირდით კაცსა, რომელიც რამეს გულმოდგინედ სწავლობს: დაინახავთ, რომ ტვინის ყველა არტერია მშვილდის ღარსავით დაჭიმული აქვს, რა არი ტვინი რაც შეიძლება რომ მალე მომარაგდეს სიცხოვლით, რომელიც საჭიროა პარკუჭთა შესავსებად, ხოლო ეს ის პარკუჭებია, რომლებიც მართავენ საღ აზროვნებას, წარმოსახვას და ვაგებას, განსჯას და გადაწყვეტას, მეხსიერებას და ძიძოვონებას; არტერიათა დაჭიმულობის ამბავია აგრეთვე ისიც, რომ ხსენებული სიცხოვლე სწრაფად გადად-გადმოღის ერთი პარკუჭიდან მეორეში იმ არხთა საშუალებით, რომლებიც ცხადად ჩანან სასწაულებრივი ბადის ზედ ნაპირთან, სადაც მთავრდება ყველა არტერია, სათავეს კი არტერიები იღებენ გულის მარცხენა პერანგში, და სიცხოვლე, ვინემ ცხოველყოფელ ძალმოსილებად გადაიქცეოდეს, დიდხანს ტრიალებს არტერიიდან არტერიაში და თახდათან იწმინდება. ამაობაში ესეგვარ ცნობისმოყვარე კაცსა ყოველგვარი ბუნებრივი მოქმედება უჩერდება, ყოველგვარი გარეგნული შეგრძნება უჩლუნგდება, ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ ამ კაცში სიცოცხლე ჩაკვდა, რომ იგი ექსტაზის მდგომარეობაშია, და უკვე გადაჭარბებულად აღარ მოგეჩვენებათ სოკრატეს აზრი იმის თაობაზედ, რომ ფილოსოფია სხვა არა არის რა, თუ არა სიკვდილზედ ფიქრი.

აღბათ ამიტომ იყო, რომ დემოკრიტემ თავი დაიბრძავა: ის ვარაუდობდა, რომ მხედველობის დაკარგვა ისე საშიში არ არის, როგორაც ნაკლებად თვითჩაღრმავებამ, თვითჩაღრმავებას კი ხელს უშლის, ვითარ იმას უჩვენებოდა, გაფანტული მხერა.

დიახაც ამის გამოა, რომ თავის ქალწულობას იცავს პალადა, სიბრძნის ქალღმერთი და სწავლულთა მფარველი, ამის გამოა, რომ ქალწულნი არიან მუზანი, ამისავე გამოა, რომ მუდმისად უბიწონი არიან ქარიტნი. კარგად მახსოვს, წაკითხული მაქვს: კუპიდონს დედამისმა ვენერამ ჰკითხა, რატომ არის, რომ მუზათ არ ეკარებიო, მან უპასუხა, ისინი იმდენად ლამაზნი არიან, იმდენად სპეტაკნი არიან, იმდენად ალაღნი არიან, იმდენად უმანკონი არიან და მიწყვიცისე მოუცლელნი არიან: ერთი — ციურ მნათობთა ზედან დაკვირვებით, მეორე — ყოველგვარი გამოთვლა-ანგარიშით, მესამე — გეომერტიულ სხეულთა განზომილებით, მეოთხე — რიტორიკული კაზმულობით, მეხუთე — თავისი პოეტური ქმნილებებით, მეექვსე — მუსიკალური ვარჯიშით, რომ ოდეს მივუახლოვდები ხოლმე, მესირცხვება და ვშიშნეულობ, არაფერი ვაწყენინო-მეთქი, და ამვილდს ვარიდებ, კაპარჯსა თავსა ვახურავ და მაშხალას ვაქრობ, მერმე თვალთაგან ხილაბანდსა ვიხსნი, რათა უკეთ გავარჩიო იმათი სახენი, და იმათ საამო სიმღერას და ლექსთ ვისმენ, და ყოველივე ამისგან უდიდესად ვტკბებიო, ხანდისხან კი ისერიგად ვარ მოხიბლული იმათი სილაპაზით და მშვენიერებით, რომ მუსიკის ხმაზედ ვიძინებ, არამცთუ ვაკადრო რამე ანდა თავიანთ საქმეს მოვაცდინო.

ჩემთვის აწ ნათელია, რატომ ამტკიცებს ჰიპოკრატე ზემოხსენებულ წიგნ-



ში სვეითებზედ საუბრისას, აგრეთვე მეორე წიგნში, რომლის სახელწოდებაცაა De genitura\*, რომ თუ ადამიანს ყბა-ყურის არტერიას გადაუკეტონ, ის შვილიერების უნარს კარგავს იმა მიზეზისა გამო, რომელიც წელს ღავასახელს, ოდეს ვლადარაკობდი, როგორ იფიტება სიცხოვლე და ცხოველმყოფელი სისხლი, რომელიც არტერიათა შიგან დის. ვარდა ამისა პიბუკრუტუს მკვდნებს, რომ შვილიერების უნარი ბევრად არის დამოკიდებული თავის ტვინზედ და ხერხემალზედ.

მეხუთეა ხორციელი სიყვარულის აქტი.

— აი ეგ მესმის, — წარმოთქვა პანურგმა. — ეგ სწორედ საჩემო საშუალებაა. სხვა დაე სხვამ გამოიყენოს.

— ძმა როსცელინი, წმიდა ვიქტორის მარსელის სამზრუნველს, ანუ მონასტრის წინამძღვარი ამ საშუალებას ხორციელ გასავათებას უწოდებს, — შენიშნა ძმა ჟანმა. — მე კი, შინონთან რომ წმიდა რადეგუნდის მონასტერია, უბეტესად იქაური განდევილის აზრს ვეძებოდი. ის განდევილი თავისაზედ ოდგა, ფივაიდელი მეუღაბნოენი ალბათ უფრო უკეთესად გაისავათებდნენ ხორცსა, დაიცხრობდნენ უწმინდურ უინსა და ყინტრაობის საწადელსა, თუ რომ დღე-ღამეში ამ საშუალებას ოცდახუთჯერ ანდა სულაც ოცდაათჯერ მაინც მიმართავდნენო.

— ჩემის აზრით, — განაცხადა რონდიბილისმა, — პანურგი ზორბა ვაჟაკია, დარბაისელი, სიცხოველე და მზურვალეა არ აკლია, ასაკი ზედგამოჭრილი აქვს, სწორედ რომ ცოლის მოყვანის უამი უდგას. უკეთუ თავისხაირი ცეცხლოუანი დედაკაცი შეხვდა, მაგათ ჩაძომავლობას რომელიც გინდა ზღვის იმიერი მონარქია მიანდონ მერე. და რაც მალე მოხდება მოსახლენი, მით უკეთესი, უკეთუ სწადს, რომ თავისთა ნაშიერთა უზრუნველყოფილობას მოესწროს.

— ისე აგიხდეს ყველაფერი სიკეთე, სახელმორგმული მაგისტრო, როგორც ჩემი ქორწინების ამბავი მალე მოხდება, — წართქვა პანურგმა. — ყურში რომ რწყილი მიზის, ჯერეთ ამდენი არ უღიჯინია ჩემთვის, რამდენიც შენი შეცნეურელი სიტყვის წარმოთქმისას მიდიჯინა. არ დაშეკარგო, ქორწილში აუცილებლად მეწვიე. ერთი ისეთი უნდა შევუბეროთ, სულ ელეთმელეთი მოვკვაროთ ეშმაკთ. ცოლის წამოყვანა არ დაგავიწყდეს. ნურცა კიდევ მეხობულ დიაცთა წამოყვანას მოერიდები. თავს არ შევირცხვენო.

## თავი XXXII

### ამა რონდიბილისი რაბაბულობას ქორწინების ბუნებრივ დანაშატად აცხადებს

— კიდევ ერთი პატარა რამ მუხლის ბოლომდე მიყვანადა გვრჩება, — განავრძობდა პანურგი. — გინახავს ოდესმე რომის დროშის ზედწარწერა: ს დ ა ხ რ ? აქ აღნიშნულია არა „სენატი და ხალხი რომისა“, არამედ „სჯა და ხილვა რამერუმისა“. ბოლოს და ბოლოს რქაბმული ვიქნები თუ არა?

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა რონდიბილისმა. — რას არამერუმებ? მაგას რა კითხვა უნდა? მე ცოლიანი კაცი ვარ, მეგობარო, შენც მალე გაცოლიანდები. რკინის სტილი აიღე და კარგა მაგრად ჩაიწერე მაგ ტვინში: სუყოველ ცოლიან კაცსა ემუქრება რქაბმულობის საფრთხე. ქმროსნობა რქოსნობაათ, უთქვამთ.

\* „თესლისა გამო“ (ლათ.).

რქაბმულობა ბუნებრივი დანამატია ქორწინებისა. სხუელსა ისე განუშორებლად არ დასდევს თავისი ჩრდილს, როგორაც ცოლიანსა რქაბმულობა სდევს. მაგასუ გაიგონებ, რომ ვინმეზედ უბნობენ: „ცოლიანია“, და ამ დროს გაიფიქრებ, რომ არ უნდა, რქაბმულია, ან ება, ან გამოეხმება, ანდა რქაბმულობასა ვერ ასცდება“, — ვერავინ ვერ დაგადანაშაულებს, რომ არ შეკვიდრია ლოგიკური დასკვნისა გამოტანა.

— აი შე წყეულო იპოქონდრიკო, — შეუყვირა პანურგმა, — რაღაცას მიეღმოდები!

— არა, მეგობარო, არც რას მივედები და არც რას მოვედები, — განავრძობდა რონდიბილისი. — პიპოკრატიუმ, კოსიდან აბდურაში ფილისოფოს დემოკრიტეს მოსახილველად რომ მიდიოდა, თავის ძველ მეგობარს დიონისეს უსტარი მისწერა და სთხოვა, ჩემს აქ არ ყოფნაში ჩემი ცოლი თავის სამშობლოში დედამამასთან წაიყვანე, დარბაისელ და ყველასგან დია პატივცემულ ხალხთან: არ უნდოდა, რომ ცოლი შინ მართო დაეტოვებინა, და თან იმასაც ავალებდა მეგობარს, ფხიზელი ზედამხედველობა დაუწესე და თვალყური აღევნე, დედასთან ერთად სად ივლიოს, და არც ის გამოგებაროს, თვითონ მშობლებთან გარეშე ვინ ივლიანო.

„ამიტომ კი არა, რომ ან უბიწოებით მაეჭვებდეს, ანდა კრძალვით, — სწერდა იგი, — გამოცდილებით დავრწმუნდი და დავიჯერე, რომ არც ერთი აკლია და არცა მეორე, მაგრამ მდედრია, დიაცია. ამით კი ყველაფერია თქმული“.

ქალის ბუნებას, ჩემო მეგობარო, მთვარე განასახიერებს — ჯერეთ ერთი, ყველაფერში, კერძოდ კი, იმ გაგებით, რომ დიაცნი პირდაპირ დნებიან, კრთებიან და თავს აკატუნებენ, თვალთმაქცობენ ქმრებისა თვალწინ და იმათ დასახაზავად. ხოლო ქმარნი კარს მიეფარებიან თუ არა, ცოლნი უმაღლ თავს აიშვებენ ხოლმე: მხიარულობენ, სვირნობენ, იღბენენ, ერთობიან, ნიდაბთ იხდიან და თავიანთ ნამდვილ სახეთ იჩენენ. მთვარეც ზუსტად აგრეთ: მზესთან თანამთხვევის პერიოდში არცა ცაზედ ჩანს და არცა დედამიწაზედ, პირისპირ დგომის ვამს კი, როცა უსაკუთრესად შორს არის მზისგან, მთელი თავისი ელვარებით და ბადრი სახით მოჩანს, ცხადია, ღამით. ესეგვარნი არიან ყოველნი დიაცნიც. დიახაც ყოველნი.

სიტყვა დიაცში ვგულისხმობ უაღრესად სუსტ, ცვალებად, ქარაფშუტა, მერყევ და არახრულყოფილ არსებას, და ჩემდა უნებურად ვგონებ, რომ ბუნებამ, თუ ჩემგან გასაჯავრებლად და საწყენად არ დარჩება, დიაციასა შექმნისას დაკარგა ის საღი აზრი, რომლის ბეჭედიც აზის ყველაყას მისგან შექმნილსა და მოწყობილსა. ათასჯერ მიმტვრეუა ამაზედ თავი, რა ხდება-მეთქი, მაგრამ მაინც ვერაფერს გაუხდო; დაღათუმცა, ესაზრობ, ბუნება ქალს რომ იკონებდა, უფრო მეტს მამრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და კაცთა მოდგმის გაგრძელებაზედ ფაქრობდა, ვინემ მდედრის ბუნების სრულყოფილებაზედ. თვითონ პლატონმაც არ უწყობდა, ვითარ მოქცეოდა დიაცთ: გონიერ არსებათათვის მიეკუთვნებინა თუ საქონელთათვის, რამეთუ ბუნებამ გვაძსა შიგან, ერთ მეუდრო ადვილას ისეთი გასულიერებული რამ ორგანო ჩაუდგა, რომელიც მამრს არა აქვს და რომელიც ხან რაღაც განსაკუთრებულ წვეთს გამოყოფს: მლაშეს, გვარჯილს, კბრს, პორის მუვიისებრს, ძელგს, მწველს, მწვავეს, უსიამოვნოდ მოლუტუსეს, და ამ წვისგან, დაკთათვის მტანჯველ ხსენებულ წვეთთა ამ დუდილისგან (ეს ორგანო ფრიად გრძობობიარეა და სულ ადვილად დიზიანდება) მდედრს მოლიანად კანკალი იტანს, გრძობიანი ეგზნება, შეგრძნებანი უმწვავედება, აზრნი ერთმანეთში ერე-

ვა. ამრიგად, უკეთუ ბუნებას რამდენადმე სირცხვილის გრძნობით არ გაეკმთილშობილებინა დიაცნი, ისინი ალბათ პირველსავე შარველსანს გაცუებსავით გამოუდგებოდნენ და თანაც ისე გაშმაგებულნი, რაგვარ ს<sup>მ</sup>შმაგეს<sup>ს</sup> არცა პრუტიდნი<sup>2</sup>, არცა მიმალონიდნი და არცა ბაკქოსურნი ფიადნი<sup>3</sup> არ აულუნდნენ თვით ბაკქახალის დღეებშიც კი, რამეთუ ეს სამიხელი ~~გასულიერებული~~ ორგანოსხეულის სუყოველ ძირითად ნაწილთან არის დაკავშირებული, რასაც თვალსაჩინოდ გვიმტკიცებს ანატომია.

გასულიერებული ორგანო-მეთქი, რომ ვამბობ, აკადემიკოსთა და პერიპატეტიკოსთა კვალდაკვალ ვიმეორებ, ვინაიდან და რადგანაც თუ თვითნებური მოძრაობა, როგორც არისტოტელე გვასწავლის, არის ცოცხალი არსების უტყუარი ნიშანი და ყველაფერი, რაც თვითნებურად მოძრაობს, გასულიერებულად სახელდება, მაშ, აბა, პლატონს ყველა საფუძველი აქვს, რომ ამ ორგანოსაც გასულიერებულის სახელი დასდოს, რახან თვითნებური მოძრაობის უნარს ამჩნევს, სახელდობრ: ამ ორგანოს ძალუძს შეკუმშვა, დანაოჭება, გაღიზიანება, თანაც ეს მოძრაობანი ისეთი მკვეთრია, რომ დიაცთ ამა მოძრაობათა გამო ყველა სხვა გრძნობა და მოძრაობა უნელდებათ, როგორც რომ ვულის შეტევის, გულის რევის, ბნედის, აპობლექსიის, გულის შეღონების დროს. უფრო მეტიც: ჩვენთვის ცხადია, რომ ეს ორგანო სუნთ არჩევს, — აი რატომ არის, რომ დიაცნი სიმყრალეს გაურბიან და კეთილსურნელებას მიეღობიან.

ჩემთვის ცნობილია, რომ გაღუნოსი ცდილობდა დამტკიცებას, თითქოს ეს მოძრაობანი არცა თვითნებურია და არცა თავისთავადი. წმინდა წყლის შემთხვევითი მოძრაობანი, ამბობდა. ხოლო ზოგიერთნი გაღუნოსის მიმდევარნი იმის დადგენას ცდილობდნენ, რომ ხსენებულ ორგანოს არა აქვს სუნთა გარჩევის თვისება, რომ ეს ორგანო აღჭურვილია ისეთი რამ უნარით, რომელიც სხვადასხვაგვარ დროს სხვადასხვაგვარად ვლინდება და დამოკიდებულია სუნთვან სუბსტანციათა მრავალფეროვნებაზედ. თუმცაკი, თუ გულმოდგინედ შეისწავლით და კრიტოლაეს<sup>4</sup> სასწორზედ ასწონით იმათ სუყოველ საბუთსა თუ საფუძველს, დაასკვნით, რომ როგორც ამ, ისე სხვა მრავალ შემთხვევაში ისინი საქმეს დაუფიქრებლად წყვეტდნენ და იმათი მიზანი იყო არა იმდენად ჭეშმარიტებამდე მისვლა, რამდენადაც იმის სურვილი, რომ ჯიბეში ჩაესხათ თავიანთი წინამორბედნი.

ამა დავაში დიდი თავის გამომღებელი არა ვარ; იმას კი ვიტყვი, რომ სათნო დიაცნი, რომელთაც თავიანთი ცხოვრება მოკრძალებულად და უმწიკველოდ განვლეს და შეიძლეს ამ კელური ცხოველის დაოკება და გონებისთვის დამორჩილება, დია ქება-შესხმის ღირსნი არიან. და, ბოლოს, იმას დაუუმატებდი, რომ როგორც კი ცხოველი ესე გამოძლება (თუკი შეიძლება რომ გამოძლეს) იმ საზრდო-საკვებით, რომელიც ბუნებას იმისთვის მაძრის ორგანიზმში მოუმზადებია, ამ ორგანოს ყველა თავისებური მოძრაობა უმაღვე უწყდება, ყველა წადილი უნელდება, ყველა ენება უმშვიდდება. ამიტომ ნურასოდეს ნუ გაგიკვირდებათ, რომ რქაბძულობის საშიშროება მიწყვივ თანა გვდევს: ნურცვინ ნუ დაიჩემებს, რომ დიაცსა სუყოველთვის სრულად დააკმაყოფილებს და მოაყირვებს.

— ჰაი, დედასა! — შესძახა პანურგმა. — ნუთუ თქვენმა მედიცინამ არავითარი მოსაღონისძიებელი რამ საშუალება არა იცის რა.

— როგორ არა, ჩემო მეგობარო, იცის და ძალიან კარგი რამეც იცის, — მიუგო რონდობილისმა. — მე თავად ვიყენებ. ერთ ცნობილ ავტორს აქვს აღწერილი<sup>5</sup>, თურამეტი საუკუნის წინათ ცხოვრობდა. ეხლავე გეტყვი.

— ღმერთმანი, ჩინებული კაცი ხარ, — მიუთხრო პანურგმა. — თავსა შე-  
მოგვეღებო, კომშიანი ღვეხელი მიირთვი: თავის შემკვერულ თვისებათა წყა-  
ლობით კომში მჭიდროდ ახშობს კუჭის ყელსა და საჭმლის მოხულებს პირველ  
სტადიას უწყობს ხელსა. თუმცა, რა შენი ჭკუის დაძრევებელა შე ვარ? კვერცხი  
ქათამს ასწავლიდაო, ისე მოძდის. აჰა, აი, ამ ნესტორის თასით მიირთვი, ანდა  
სულაც თუთრისა ხასიათზედ ხომ არა ხარ? ნუ შიშნულობ, კვერცხი კარგად გა-  
ციცივებს. შიგ არცა ყაყაჩოს თესლია, არცა ჯანჯაფილი, არცა გვიხეიური პილ-  
პილი. ცოტა გადარჩეული დარიჩინის, ცოტა თავი შაქრისა და ჩინებული ღე-  
ვიხეიური თუთრის ნაზავია. საცა აჩოყებული ასფურცელა ხარობს, ჭილყავის  
თხილნარის ზემოთ, ეს მარონივით თუთრი იქ იცის.

### თავი XXXIII

#### აქა ამბავი, თუ რაბაგულობის რა საწინააღმდეგო ვაშალი გამოწერა მკურნალმა რონდიბილისა

— იმუამად, — წაროქვა რონდიბილისმა, — იუპიტერი თავის ოლიმპიურ  
ოჯახში წესრიგს რომ ამყარებდა და სუყოველი ღვთისთვის და ქალღმერთის-  
თვის სათვეო კალენდარი შეადგინა, თითოეულისთვის წელიწადის გარკვეული  
დრო და გარკვეული უქმე დღე დაადგინა, გაანაწილა როგორც სამისნო, ისე  
სალოცაჲად სასიარულო ადგილნი, განსაზღვრა, ვის რა მსხვერპლი უნდა შე-  
ეწირა...

— ვითარცა ოსერის ეპისკოპოსი დენტევილი, ისე ხომ არ იქცეოდა? — დაე-  
კითხა პანურგი, — ქველსა მღუდელმთავარსა იმასა ღია უყვარდა კარგი ღვინო  
და ყველა წესიერ კაცსავით ხელსა არ აკლებდა ვაზსა, ბაკქოსის წინაპარსა,  
პირდაპირ ზედ იყო გადამკვდარი.

მაგრამ სამწუხარო და საუბედურო ის იყო, რომ ბოლო რამდენიმე წე-  
ლიწადს ვენახი სულ ერთთავად ეღუპებოდა — ხან დილისა სუსხისგან, ხან  
წყვიანიანობისგან, ხან ჩისლიანობისგან, ხან ყინუიანიანობისგან, ხანაც სეტყვისგან  
და სხვა ყველაგვარ სტიქიურ უბედურებისგან, რომელი სტიქიური უბედურება-  
ნიც ემთხვეოდა წმინდა გიორგის, მარკოზის, ვიტალის, ევტროპის, ფილიპეს  
დღით, აგრეთვე უფლისა ჯვრისა თუ ამაღლების და კიდევ სხვა დღესასწაულთ,  
სუყველა ეს დღე და დღესასწაული კი იმხანად მოდის, თდეს მზესა კუროს ნი-  
შანი მიითვლის, და ყოვლადსამღვდელო მუუფემ აქედან დასკვნა გამოიტანა, რომ  
ჩემგან ჩამოთვლილნი წმინდანნი ყინვისა და სეტყვის მფარველნი და ვენახისა  
მტერნი იყვნენ. მაშინ ადგა და გადაწყვიტა, რომ ყველა იმათი დღესასწაული  
ზამთრისთვის გადაეტანა, შობისა და ხათლილების შუა, თან მოკრძალებით და  
მოწიწებით წმინდანთ ნებაც დართო, ნურცა სეტყვას დაინახებო შუა ზამთარში  
და ნურცა კიდევ ყინვასო, რამეთუ წელიწადის ამ დროს ყინვა ვნებს კი არა და,  
პირიქით, მარგებელიც კია ვაზისთვისო. სამაგიეროდ, ბრძანა, რომ შემოეღოთ  
წმინდა ქრისტეფორეს, იოანე წინამორბედის, წმინდა მაგდალინას, ანას, დომი-  
ნიკას, ლაურენტის დღენი, ესე იგი შუა აგვისტო მაისში გადაიტანა, ვინაიდან  
წელიწადის ამ დროს ყინვა საშიში აღარ არის, და გამაგრებულ სასმელთა  
დამამზადებელნი, მეყველნი, მეფანსატურენი თუ ღვინისა გამცილებელნი ერთ-  
მანეთისა დასწრებაზედ არიან.

— იუპიტერსა, — განაგრძობდა რონდიბილისი, — სულ გულიდან გადავარდა საწყალი რქაბმული, რომელიც იმხანად იქ არ იყო, პარიზსა მყოფობდა, სასამართლოში საშარო პროცესი ჰქონდა ერთ-ერთ თავის ვასალთან. ვერ გეტყვით, ზუსტად როდის გაიგო, გვერდი ამიარესო, როგორც კი სასამართლოს ხათაბაღას მორსა, უმაღლესი საზრუნავი გაუჩნდა; <sup>მათივე ცეცხლებისა გულისთვის</sup> საერთო საღვთო სიიდან გამოძრეცხონო, და პირადად წარუდგა დიდ იუპიტერს, მოაგონა თავისი დამსახურება და ნამსახურობა, ყველა სიკეთე, რაც კი რამ ადრე იმისთვის ექნა და დაბუჯითების სთხოვა, სუ დამიტევებ უდღესასწაულოდ, უზირველად, ანუ მსხვერპლშეუწირველად და უპატივდებოდო. იუპიტერი თავსა იმართლებდა და უმტკიცებდა, ყველა ბენეფიციუმში უკუ დარიგებულსა და ყველა ასაყვანი ხალხი აყვანილიყო. მაგრამ რქაბმულმა იმისთანა ჩიბბური ჩაუგდო, ისე შეაბუზრა თავი, რომ იუპიტერმა ბოლოს და ბოლოს აიყვანა თავისთან, სიაში შეიყვანა და ამა სოფლად დღესასწაულიც დაუდგინა, პატივდებაც და მსხვერპლის მიტანაც.

ვინაიდან და რადგანაც კალენდარში აღარ იყო აღარც ცარიელი და აღარც ვაკანტური ადგილი, რქაბმულის დღე ეჭვიანობის ქალღმერთის დღესთან ერთად აღინიშნებოდა. რქაბმულისა გამგებლობაში შედიოდნენ ცოლიანნი, მეტადრე ლამაზცილიანნი. მსხვერპლად დაუწესდა: ეჭვი, უნდობლობა, შფოთი, ზეღამხედველობა, თვალთვალი და ცოლისა ზეკრვა. ამასთან სუყველა ცოლიანი მკაცრად გაფრთხილდა, რომ შიშნეულად ყოფილიყვნენ თავიანთი ღვთისა წინაშე და ჰყვარებოდათ იგი, დიდის ამბით აღეხიშნათ რქაბმულის დღესასწაული და უკლისად მიეტანათ ყველა დასახელებული მსხვერპლი იმის შიშით და მუქარით, რომ იმისგან თავს დიდ გულისწყრომას დაიტეხდნენ; ხოლო ვინცა ღირსად ჯეროვან პატივსა არა მიაგებდა, იმას უფალი რქაბმული ხელსა აალებდა, აღარცა შეეწეოდა და აღარცა უქომაგებდა: ზედ აღარ შეხედავდა, შინ აღარ ეწეოდა, რაყიფსა, ანუ სიყვარულში მეტოქესა და მოცილეს აღარ მიუგზავნიდა. სუყველა ესეგვარ ხალხსა, როგორადაც არ უნდა მიეხმო, არც ვის ყურსა არ ათხოვებდა, სუყველას განზედ განუდგებოდა, როგორაც მწვალებულთა და მკრეხელთ, აი, ვითარცა ზოგიერთმა ღმერთმა იცის, ოდეს ვაცნი ნაკლებად ეთაყვანებიან, სახელდობრ: აგრე ექცევა ბაკქოსი არაპატივისცემელ მევენახეთ, ცერერა — მზუნელ-მოუსველთ, პოდონა — მებადეთ, ნექტუნა — ზღვაოსანთ, ვულკანი — მჭედელთ და ასე შემდეგ, ხოლო იმა კაცთათვის, ვინცა მიწყვი და საკვლავოდაც ჯეროვანი ზემოვნებით აღნიშნავს რქაბმულისა დღესათ, ვინცა ყოველგვარ საქმესა თავსა მიახებებს, რათა თვალ-ყური აღეხოს ცოლსათ და, თანახმად მსხვერპლის შეწირვის წესისა, ეჭვიანობის ნიადაგზედ სიცოცხლეს გაუმწარებსო, მტკიცე პირობა დაიდო: უფალი რქაბმული სუყველას მიახაყოფებს თავის წყალობასა, მუდმივ კეთილად იქნება განწყობილი, თავსა არ დაამუნათებს, სულ იმათ ჭერქვეშ გაათენ-დააღაშებს, წამითაც არ დაუტევებსო. აი, რისი თქმაც მიხდოდა.

— ჰა-ჰა-ჰა! — გაიცინა კარპალიმმა. — ეს საშუალება კიდევ უფრო მარტივია, ვიდრე მანს კარველის ბეჭედი. ძალიანაც დასაჯერებელი და სარწმუნო საშუალებაა. დიაციოსა ბუნება დიახაც ესეგვარია. ელვა ერევა და ხწვავს მხოლოდ მაგარ, მკვიდრ და მყარ სხეულთ, ხოლო რბილ, ღრუ და ადვილად მოსაქნელ საგანთ ვერ ეკარება: ფოლადის დაშნას დავიწვაეს, მაგრამ ხავერდის ქარქაშს ვერას აუნებს, ძვალთ ფერფლად გიქცევს, ზედ გადაკრულ ხორცს კი არც შეეხება. დიაციოს აგრევა: თუ რამეს უშლიან და უკრძალავენ, იმისთანა წინააღმდეგობის

ქინს გამოავლენს და იმისთანა ეშმაკობას მიძართავს, ტყუილია, მაინც თავისას გაიტანს.

— ზოგიერთი ჩვენი სწავლული ღვთისმეტყველი, — ჩაერთო პაპობადუ-  
სი, — სამართლიანად აღნიშნავს, რომ დედამიწის ზურგზედ პირველი ქალი,  
რომელსაც ებრაელთ ვვა უწოდეს, ეგება არცა მოხიბლულიყო. ~~ცხოვრდეს~~ ჩისა  
ჩაყოფით, უკეთუ ჩაყოფი ესე აკრძალული არ იქნებოდა. მართლდღე: ~~ჩაყოფის~~  
კერავი მაცდური დაუღაპარავა თუ არა, პირველად ის ახსენა, ეგ აკრძალუ-  
ლიაო. ჩანს, ესეგვარი რამ აზრისა ჩაგონება სწადდა: რახან შენთვის ეს აკრძა-  
ლულია, მაშ, აბა, უნდა იგემო, ისე მღუდრი კურ იქნებო.

### თავი XXXIV

#### ამა ამბავი იმისა, თუ ვითარ მიმტვიან ღიათნი ყველაჲს აპრძალულსა

— თდეს თრღევანში ვცელქობდი ხოლმე, — წართქეა კარპალიშმა, — ყვე-  
ლაზედ უფრო ბრწყინვალე რიტორიკული სამკაული და დამაჯერებელი არ-  
გუმენტი, რაც ხელთ მქონდა იმისთვის, რა არი მანდილოსანნი ჩემს ასმანაკში,  
ანუ ბადეში გამება და სიყვარულობანაშა ამეყოლიებინა, ის იყო, რომ ცოცხ-  
ლად, აშკარად და ამაღელვებლად უმტკიცებდი, ქმარნი ეჭვიანობით გიგიფ-  
ლებიან-მეთქი. ეს ჩემი გამოგონილი არ არის. ამაზედ წიგნთა შიგან წერია,  
ამას ადასტურებს არაერთი კანონი, ყოველგვარნი მაგალითნი და საბუთნი, და  
ბოლოს ყოველდღიური გამოცდილება. როგორც კი ეს აზრი ცოლთ თავში  
ჩაუჯდება, ისინი მანამ არ მოისვენებენ, სანამ ქმართ არ გაარქონსებენ, — ფი-  
ცილს არ დავიწყებ, მაგრამ, ღმერთმანი, არა ვტყუი, — ამისთვის თუნდაც ის  
დასჭირდეთ, რომ გაიმაგალითონ სემირამიდა, პასიფაე, ეგესთა და, ეგვიპტეში  
რომ კუნძული მანდესია, იქ მსახლობელნი დიაცნი, რომელთაც ქება შეასხეს  
ქეროდოტემ და სტრაბონმა, აგრეთვე იმათი მსგავსნი სხვა ძუკხანი.

— მართალია, — კვერი დაუკრა პოლიკრატმა, — გამოგონია, ერთხელ პაპი  
იოანე ოცდამეორე დედათა მონასტერს კუანიოფანს რომ ეწვია, იქაურმა წი-  
ნამძღვარმა და უხუცეს მონაზონთ თხოვნით მიძართეს — საგანგებო გამოწავ-  
ლისას სახის ნება დაგვრთუ, რომ ერთმანეთს გავენდოთ, აღსარება ერთმანეთს  
უთხრათო, რაძეთუ, როგორც ისინი უბნობდნენ, აუტანელი სირცხვილი ხელს  
გვიძლის. ზოგიერთი ჩვენი საიდუმლო უკეთურებას თაობაზედ სულიერ მაძათ  
გამოუტყდეთო, ერთმანეთის წინაშე კი აღსარების თქმისას თავს უფრო თა-  
ვახუფლად ვიგრძნობთ, ერთმანეთს უფრო ადვილად დაველაპარაკებითო. „სია-  
მოვნებით შევისრულებდით თხოვნას, — მიუგო პაპმა, — თლონდ ერთ უხერხუ-  
ლობას ეხედავ: მოგესხენებათ, აღსარების საიდუმლო არ უნდა გახმაურდეს,  
ოქვენთვის, უნდაუკრძალველ დედაკაცთათვის კი, საიდუმლოების შენახვა  
ფრიად ძნელია“.

„ჩინებულად შევინახავთ, — განაცხადეს მონაზონთ, — კიდევ უფრო უკე-  
თებად, ვიდრე მაძრნი შევინახავდნენ“. იმავე დღეს უწმინდესმა მეუფემ მონაზონ  
ღიათ შეხანახად გადასცა მცირე რამ კროჭი, რომელშიც მეკანაფია ჩიტი ჩა-  
ქსეა და სოხოვა, სადმე საიმედო და მოფარებულ ადვილას გადაძაღეთო, თა-  
ნაც თავისი პაპური სიტყვით დაარწმუნა, უკეთუ კროჭსა კარგად შევინახავთ,

თხოვნას შევისრულებთო, ხოლო იმის შიშით, რომ ეკლესიისგან განიკიცხებოდნენ და საუკუნოდ განიკვეთებოდნენ, უმკაცრესად აუკრძალა კროჭისა გახსნა. პაპმა აკრძალვა ახსენა თუ არა, მონაზონ დიაკო მოსვენება დაკარგეს, ერთი სული ჰქონდათ, ხანამ პაპი წავიდოდა, რომ ენახათ, კროჭსა შიგან რა იყო გადაძალადი. უწმინდესმა მეუფემ დალოცა ისინი და მონაზონებს გაუდგა პაპსა მონასტრიდან ჯერეთ სამი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ მონაზონნი ეგრევე ერთად მისცვივდნენ აკრძალულ კროჭსა, თავი ახადეს და ქექვას მოჰყვნენ. მეორე დღეს, პაპი კვალად ესტუმრა მონასტერსა, და მონაზონ დიაკო იმედი გაუჩნდათ — ნამდვილად განგებ მოვიდაო, ალბათ წერილს რასმე დაგვიწერს და ისე დაგვრთავს ნებას, რომ აღსარება ერთმანეთს ვუთხრათო. დაღათუმცა, პაპმა ჯერეთ კროჭის მოტანა ისება. კროჭი მოიტანეს, მაგრამ შიგ ჩიტი აღარ აღმოჩნდა. მაშინ პაპმა შენიშნა, არცვის თქვენგანს აღსარების საიდუმლოს შენახვის თავი არა აქვს, რახან კროჭის საიდუმლოება სულ მცირე ხანს ვერ შეინახეთ, რისა გამოც სავანებოდ გელაპარაკეთო.

— პატივცემულო მოძღვარო, თქვენის ნახვისა ფრიად მოხარული ვარ! დიდის კმაყოფილებით გისმენდი და ყველაფრისთვის უმაღლობ ღმერთსა. ჩვენ იმის შერე აღარ შევხვედრივართ ერთმანეთსა, ოდეს შენ გვერდით იყვნენ ჩვენნი ძველნი მეგობარნი ანტუან საპორტა, გი ბუგე, ბალთახარ ნუაიე, ტოლეფან კენტენი, ფრანსუა რობინე, ჟან პერდიე და ფრანსუა რაბლე, კომედია რომ გაითამაშეთ მონპელიეში, რომელი კომედიაც იმ კაცზეა დაწერილი, მუნჯ ქალს რომ ირთავს.

— მე ვესწრებოდი იმ წარმოდგენას, — წართქვა ეპისტემონმა, — მოსიყვარულე მეუღლეს სწაღდა, რომ ცოლს ენა გამოეგო. მან მართლაც გამოაგო ენა, ალაპარაკდა მკურნალისა და ქირურგის ხელოვნების წყალობით, რომელთაც ენის ქვეშა იოგი ამოაჭრეს. მაგრამ, როგორც კი ალაპარაკდა, შერე აღარ განერებულა, იმდენი ილაქლაქა, რომ ქმარი კვლავ გააქცა მკურნალთან ისეთი საშუალების სათხოვნელად, რომელიც ცოლს დაუდუმებდა. მკურნალმა უთხრა, ჩემს განკარგულებაში ცოტა როდია ისეთი საშუალება, რომლისა გამოყენებითაც დიახი ალაპარაკებდიან ხოლმე, მაგრამ ისეთი არაფერი მაქვს, ქალს რომ დადუმებდათ, დიახის გაუთავებელი ყბელობისგან თავის დახსნის ერთადერთი საშუალება ქმრის სიყრუეაო. ექიმთ ერთმანეთში რაღაც იმკითხავსავით და ეს ძალიანსერილი ქმარი წამერთ დაყრუვდა. რაკი ცოლმა დაინახა, რომ ქმარს არაფერი არ ესმოდა და ის ტყუილად ლაპარაკობდა, გაშმაგდა. მკურნალმა გასამრჯელო მოითხოვა, ქმარმა კი პასუხად მიუგო, მართლა დავერუედი, რასა მთხოვ არ მესმისო. მაშინ მკურნალმა უჩუმრად რაღაც ფხვნილი მიაყარა ქმარსა, რამაც ჰკუაზედ შეშალა ქმარი. შეშლილმა ქმარმა და გადარუულმა ცოლმა ერთად დაუშინეს მუშტნი ქირურგსა და მკურნალსა და ორივენი სიკვდილის პირას მიიფვანეს. ისე გულთახად ჩემს სიცოცხლეში არ მიცინია, რაც ამ პატლენის ყაიდის კამპულაობაზედ ვიცინე.

— ისევ ჩვენსა ცხვართ მივუბრუნდეთ, — წართქვა პანურგმა, — აბდაუბდიდან ფრანგულად გადმოუნებული თქვენი ლაპარაკი ნიშნავს, რომ თამამად შემიძლია ქალის მოყვანა და რქაბმულობაზედ არცა უნდა ვიფიქრო. ყინულზედ დაწერილი ამბავია, პატივცემულო მოძღვარო! ძალიან ეშიშნეულობ, რომ პაციენტთა სიმრავლისა გამო ჩემს ქორწილში ვერ იქეიფებ. არა უშავს რა, შენზედ ნაწყენი მაინც არ დავრჩები:

Stercus et urina medici sunt prandia prima:  
Ex aliis paleas, ex istis collige grana\*.

— არასწორად უბნობთ, — შენიშნა რონდიბილისმა, — მეორე სტრიქონი ასე იკითხება:

Nobis sunt signa, vobis sunt prandia digna\*\*

უკეთესი ცოლი ავად გაძიხდა, უწინარესად, როგორც პიპოგრაფის (აფორიზმები, II, XXXV) ჯერეთ შარდს გაუესინჯავ, მერე მაჯას, აგრეთვე პატარა მუცელსა, ანუ ბოქვენსა და ჭიპის არესა.

— არა, არა, — სიტყვა გაუტრიხავა პანურგმა, — ეგ არაფრად წაადგება. განყოფილება De ventre inspiciendo\*\*\* მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის, განონმცოდნეთ. მე ერთ კარგ ოყნას ვავეყრიდი. შენ უფრო სხვა მნიშვნელოვანი საქმენი გამოგიჩნდება, ჩემი ქორწილისთვის სად გეცდება. ვველაფერს სჯობია, რომ შემწვარი ღორის ხორცი შინ გამოგიგზავნო. და ჩვენი სამუდამო მეგობარი გახდები.

აქ პანურგი მიუახლოვდა რონდიბილისს და მდუმარედ მიაჩენა ხელში ვარდის გამოსახულებიანი ოთხი ნობილი.

რონდიბილისს თვალიც არ დაუსამხამებია, ისე გამოაროვა, მერმე კი სახეზედ შეტბუნება და აღშფოთება დაეტყო.

— მ, კ, კ, არ ვინდა, არა, ბატონო! — წართქვა მან. — ისე, მადლობის მუტი რა შეთქმის. ცუდ ხალხს არასოდეს არაფერს არ ვართმევ, სამაგიეროდ არც კარგ ხალხს ვეუბნები რამეზედ უარს, მზად ვარ შენდა სამსახურად.

— გასამრჯელოთი, — ჩაურთო პანურგმა.

— რასაკვირველია, — დაუდასტურა რონდიბილისმა.

### თავი XXXV

#### ვითარ უყურებს ცოლქმრული ცხოვრების სიძნელეთ ფილოსოფოსი ტრუიოგანი

მას უკანით პანტაგრუელმა მიმართა ფილოსოფოს ტრუიოგანს:

— აწ, ჩვენს ერთგულს ქვეშევრდომს, მაშხალა შენ გადმოგეცემა, მოვიდა შენი რიგი, შენ უნდა უპასუხო ვითხვას: პანურგმა ცოლი მოიყვანოს თუ არა, საკიდელი ვინმეს შემოავლოს თუ არა?

— ერთიც უნდა ქნას და მეორეცა, — მიუგო ტრუიოგანმა.

— რაით? — დაეკითხა პანურგი.

— რაც გაიგონე, — უთხრა ტრუიოგანმა.

— მერედა, რა გავიგონე? — დაეკითხა პანურგი.

— რაცა ვთქვი, — უთხრა ტრუიოგანმა.

— პა-პა! — გაიცინა პანურგმა, — ერთ ადვილს ვზერგნით. არა, მაინც როგორ მოვიქცე: მოვიყვანო ცოლი თუ არა?

\* ექიმისთვის გამორჩენა სკორე, შარდი, ნახველია, დანარჩენი ხელობაა, დანარჩენი სახელია (ლათ.).

\*\* სკორე ჩვენთვის საცდელია, ხოლო თქვენთვის საზრდელია (ლათ.).

\*\*\* მუცლისა ვახინჯვისთვის (ლათ.) — დიგესტის ერთ-ერთი ტიტული (განყოფილება).



— არც ერთი ქნა და არც მეორე, — მიუგო ტრუიოგანმა.

— ეშმაკსამც დაულახვრივარ, უკეთუ ტვინი არ მეღრძო, — შენიშნა პანურგმა, — და დამლახვრავს კიდევ, ვინაიდან ვერცრა გამიგია! დაძაჯა, სათვალე მარცხენა ყურზედ გამაკეთებინე, უფრო უკეთესად გამაგონებ.

სწორედ ამ დროს პანტაგრუელმა შეამჩნია, რომ დატბაჭრეს ეკლესიას მთიარბინა გარგანტუას ფინიამ, რომლისთვისაც მეფეს კინი შეეგრქმნა. ამით ასე ეძახდნენ ტობიას ძაღლსა. მაშინ მან ყოველთა გასაგონად გამოაცხადა:

— მეფე-ბატონი მობრძანდება, წამოვუდგეთ!

ამის თქმა იყო და სანადიმო დარბაზში გარგანტუა შემობრძანდა, სუყოველნი ფეხზედ წამოუდგნენ და თავი დაუკრეს.

გარგანტუა სუყველას მიემშვიდობა და მიუთხრო:

— საყვარელო, ძალიან გთხოვთ, რომ მასიამოვნოთ: არ დაუტევოთ თქვენ-თქვენნი ადგილნი და არცა საუბარი შეწყვიტოთ. ჩემი სითოკან-სავარძელი მაგილისა აი იმ კიდესთან მიმიდგით. ვინცა აქა ხართ, სუყველას სადღეგრძელოს დალევა მინდა. თქვენი გამარჯვებისა იყოს! აწკი მიოთხარით, რაზედ გქონდათ ერთმანეთში საუბარი.

პანტაგრუელმა უპასუხა, სუფრაზედ მეორე ჯერი რომ შემოიტანეს, პანურგმა ითხოვა, პრობლემა გადამიჭერით, ცოლი მოვიყვანო თუ არაო, მამა ჰიპოთადეუსმა და მკურნალმა რონდიბილისმა უკვე უპასუხეს, შენი შემობრძანების წინ კი შენი ერთგული ქვეშევრდომი ტრუიოგანი უპასუხებდაო. თანაც პირველად, როცა პანურგმა ჰკითხა: ცოლი მოვიყვანო თუ არაო, მან უპასუხა: ერთიც ქენი და მეორეც ერთდროულადო. მეორედ მიუგო: არც ერთი ქნა, არც მეორეო.

პანურგმა საჩივარი მიართვა მეფეს ამ პასუხთა უაზრობისა და წინააღმდეგობრიობის გამო და განაცხადა, ტყუილია, მე ამ ფილოსოფოსს ვერაფერი გავუგეო.

— მე კი, ვგონებ, რომ გავუგე, — ბრძანა გარგანტუამ. — მაგისმა პასუხმა ერთი ძველი ფილოსოფოსის პასუხი მომაგონა. როცა ჰკითხეს, გყავდა თუ არა ის ქალი, რომელზეც აქ ლაპარაკობდნენო, მან უპასუხა: მე მყავდა, ხოლო მე იმას არასოდეს ვყოლივარ, მე ვფლობდი, ის კი ჩემი მფლობელი არა ყოფილაო.

— ასევე უპასუხა ერთმა მოახლე ქალმა სპარტაში, — წართქვა პანტაგრუელმა. — როცა ჰკითხეს, კაცთან საქმე გქონია თუ არაო, მან უპასუხა, მე თვითონ არა მქონიაო, მაგრამ კაცთ ზოგჯერ ჰქონიათ ჩემთან საქმეო.

— ასეთ შემთხვევაში, — წართქვა რონდიბილისმა, — ნეიტრალურნი ვიყვნეთ მედიცინაში და საშუალო გზით ვიაროთ ფილოსოფიაში, შევათავსოთ ერთი და მეორე უკიდურესობა, უარვესოთ ერთი და მეორე უკიდურესობა და თანაბრად გავანაწილოთ დრო ერთსა და მეორე უკიდურესობას შორის.

— ჩემი გაგებით, — წართქვა ჰიპოთადეუსმა, — ეს ყოველივე უფრორეცხადად არის გამოხატული მოციქულ პავლეს ეპისტოლეში: „ცოლიანნი ისე აყვანენ, როგორც უცოლონი; ცოლის მყოფნი ისე იყვნენ, როგორც არამყოფნი“.

— ამა სიტყვათ ასერივად განვმარტავდი, — წართქვა პანტაგრუელმა: — ცოლის ერთდროულად ყოლა და არყოლა იმას ნიშნავს, რომ ცოლი გყავდეს და მიწყეო გახსოვდეს, თვითონ ბუნებისგან რისთვის არის ის განკუთვნილი, რომ მდებრი უწინარესად მამრის დამხმარეა, მისი ცხოვრების სიხარული და მისი თანამგზავრია; ცოლის უყოლობა კი მდებრთან კაქშირისა დაუჭერლობას ნიშნავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ცოლის გულისთვის არ წაბილწო ის ჭეშმარიტი და უმაღლესი სიყვარული, რომელსაც ადამიანი ღვთისა მიმართ უნდა გრძნობ-

დეს, არ დაივიწყო შენი მოვალეობა მამულის, სახელმწიფოს, მეგობართა წინაშე და ხელი არ ააღო შენთა საქმეთ ცოლის ჟინისა თუ ახირებისა გულისთვის. აი თუ ასე გავიგებთ „ცოლის ყოლა და არყოლა“ გამოთქმას, მაშინ აღარც უაზროდ მოგვეჩვენება და აღარც წინააღმდეგობრივად.

ქართული  
ბიბლიოთეკა

თავი XXXVI

მომავტიკურ და პირონიკულ ფილოსოფოს ტრუიოგანის  
პასუხთა გაბრკელება

— ყოველი შენი სიტყვა ოქროა, თითქოს ორგანს უკრავსო, ისე ლაპარაკობ, — შენიშნა პანურგი, — მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს იმა ბნელი ჭისა ძირას აღმოვჩნდი, სადაც, პერაკლიტეს ოქმით, დაფარულია ჭეშმარიტება. ვერცა ვერაფერს ვხედავ, არცა არაფერი მესმას, სუფველა შეგრძნება დამბლაგვებია, ვგონებ, მოჯადოებული ვარ-მეთქი. აწ სხვა ტონით ვილაპარაკოთ. ჩვენო ერთგულო ქვეშევრდომო, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალე და ქისაში ფულის დამალვა დაახანე! მოდი, ერთხელ კიდევ გადაუითამაშოთ და ერთმანეთისა საწინააღმდეგოსა ხურცრას ვიტყვით; რამდენადაც ვხედავ, ლაპარაკში სიტყვის გატრიზავება გაღიზიანებს.

მაშ, მითხარი, თუ კაცი ხარ, ცოლი უნდა მოვიყვანო თუ არა?

ტრუიოგანი. როგორც ჩანს.

პანურგი. თუ არ მოვიყვანე?

ტრუიოგანი. ვერც მაგაში ვხედავ რაში უბედურებასა.

პანურგი. ვერა ხედავ?

ტრუიოგანი. ვერა, ანდა მხედველობა მატყუებს.

პანურგი. მე კი ხუთასზედ მეტსა ვხედავ.

ტრუიოგანი. ჩამოთვალე.

პანურგი. დაახლოებით თუ ვილაპარაკებო და ცნობილ რიცხვს უცნობით შევცვლით, განსაზღვრულს — განუსაზღვრულს... საერთოდ, ბლომად.

ტრუიოგანი. ვისმენ.

პანურგი. უცოლობა არ შემიძლია, ეშმაკიმც დამლახვრავს!

ტრუიოგანი. მაგ საზიზღარ ქმნილებათ სუ მიხსენებ.

პანურგი. კეთილი, ბატონი ბრძანდება. ჩემი სამადოს მსახლობელნი მარწმუნებენ, უცოლოდ წოლა და ძილი მწარე რამეაო, ამასვე ამბობდა დიდო თავის საჩივართა შიგან?

ტრუიოგანი. როგორც შენმა ნება-სურვილმა ვიკარნახოს.

პანურგი. ჩემსა შიგნულობასა ვფიცავ, ჩემგან დაბრკოლება არ იქნება. რას იტყვი, შევირთო ქალი?

ტრუიოგანი. მგონი.

პანურგი. მერე კარგად ვიქნები?

ტრუიოგანი. გაანნია, როგორი გამოგადგება.

პანურგი. უკეთუ, ღმერთმა ქნას, კარგი გამომადგა, ბედნიერი ვიქნები?

ტრუიოგანი. გარკვეულ წილად.

პანურგი. მეორე მხრიდანაც მიუუდგეთ. უკეთუ ცუდი გამომადგა?

ტრუიოგანი. ეგ რა ჩემი ბრალია.

პანურგი. გეხუენები, მაინც მირჩიე, რა ვქნა?

ტრუიოგანი. რაც ვინდა, ის ვიქნია.

პანურგი. ეშმაკსამც წავუღივარ.

ტრუიოგანი. ბოროტ სულსა ნუ მოუხმობ, ვთხოვ.

პანურგი. ბატონი ბრძანდები, მხოლოდ ისე მოვიქცევს, რაგონრაც მირჩევ, სახელდობრ მაინც რას მირჩევ?

ტრუიოგანი. არც არაფერსა.

პანურგი. შევირთო ქალი?

ტრუიოგანი. მე აქ არაფერ შუაში ვარ.

პანურგი. მაშ, აბა არ შევირთავ.

ტრუიოგანი. მე ხელეები დამიბანია.

პანურგი. თუკი ცოლს არ მოვიყვან, მაშ, აბა არც არასოდეს გავრქოსნდები?

ტრუიოგანი. ეგრე გამოდის.

პანურგი. დავუშვათ, მაინც ცოლიანი ვარ.

ტრუიოგანი. რა დავუშვათ, ვის დავუშვათ?

პანურგი. ივარაუდეთ-მეთქი, რომ ცოლიანი ვარ.

ტრუიოგანი. ვარაუდი ყველაფრისა შეიძლება.

პანურგი. არ ვინდოდეს ჭირიო, ამაზეა ნათქვამი, ნეტა ერთი, ეხლა შემავინებინა, ცოტა გულზედ მომეშვებოდა, თუმცა მოთმინება აჯობებს. მაშასადაშე, თუ ცოლი შევირთე, გავრქოსნდები, არა?

ტრუიოგანი. ამბობენ, ეგრე ხდება ხოლმე.

პანურგი. თუკი ჩემი ცოლი მოკრძალებული და უმანკო გამოდგა, მაშ, აბა, რქაბმული აღარ ვიქნები?

ტრუიოგანი. თითქოსდა ეგრე უნდა იყოს.

პანურგი. ყური მიგდე.

ტრუიოგანი. გიგდებ, გიგდებ.

პანურგი. მერედა, იქნება მოკრძალებული და უმანკო? საკითხავი აი ეს არის.

ტრუიოგანი. ვეჭვობ.

პანურგი. თვალით რომ არასოდეს გინახავს?

ტრუიოგანი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია.

პანურგი. როგორ შეიძლება, რომ ის გაეჭვიანებდეს, რაც არ იცი?

ტრუიოგანი. საფუძველი მაქვს.

პანურგი. ახლოს რომ იცნობდე?

ტრუიოგანი. მაშინ კიდე უფრო დავიჭუდებოდი.

პანურგი. ეი, ვეფო, ჩემო ოქროს ბიჭო, აჰა შენ ჩემი შლაპა, მიჩუქნია, რაღა თქმა უნდა, უსათვალად, ოღონდ წადი სადმე უკანა ეზოშა და ჩემ მაგივრად ერთი ნახევარი საათი მაგრა იგინე, მეც ოდესმე შენ მაგივრად ვიგინებ... არა, მაინც ვინ გამხდის რქაბმულსა?

ტრუიოგანი. მაკანი.

პანურგი. ო, შე მაშაძაღლო მაკანო! მე შენ მაკან ღელას ვიტირებ! სულ გვერდებს დაგამტერევ!

ტრუიოგანი. რახან ამბობ, დაამტკიცე კიდეც!

პანურგი. ბრუციანი ეშმაკისა კერძიმც გავმხდარვარ, უკეთუ ცოლსა ბერგამული ზოსტერო ზ შემოვარტყა ხოლმე, ოდეს შინიდან წახვლას დავაპირებ.

**ტრუიოგანი.** უფრო თავაზიანად ილაპარაკე.

**პანურგი.** მკვერმეტყველებას მოუკვდა პატრონი! ბოლოს და ბოლოს რა-  
ღაცა უნდა გადავწყვიტო.

**ტრუიოგანი.** წინააღმდეგი არა ვარ.

**პანურგი.** დაიცა, რახან აქამდე ვერაფერი მოგიხერხე, ახლა სხვა კოტოსს  
დაგადგამ და ისე გამოვიღებ სისხლსა, შენ თვითონ ცოლიანი ხარ თუ არა?

**ტრუიოგანი.** არც ერთი ვარ, არც მეორე, მაგრამ ერთიცა ვარ და მეორეც.

**პანურგი.** უფალო შემოწყალე! სიმწრის ოფლი მასხამს, საჭმლის მონელება  
მოძეშალა. სუფოველი ჩემი ფრენი<sup>4</sup>, მეტაფრენი<sup>5</sup> და დიაფრაგმა ალგზნებულს და  
დაჭიმულია ჩემი გაგების გუდასა შიგან შენთა პასუხთა და შემჩნევათა ჩახა-  
ტივად.

**ტრუიოგანი.** მე მაგ საქმეში ხელს არ ვიშლი.

**პანურგი.** კიდევ წინ წავდგეო! ჩვენო ერთგულო ქვეშევრდომო, ცოლიანი  
ხარ თუ არა?

**ტრუიოგანი.** მე ვერე წარმომიდგენია!

**პანურგი.** შენ რა, მეორე ცოლი ხომ არა გყავს?

**ტრუიოგანი.** იქნებ, ეგრეც იყოს.

**პანურგი.** პირველად ბედსიყრი თუ იყავი?

**ტრუიოგანი.** შეუძლებელი არაფერია.

**პანურგი.** მეორედ როგორა გაქვს საქმე?

**ტრუიოგანი.** ბედის ამბავია.

**პანურგი.** მაინც როგორა გაქვს? ნუ დამიძალავ. პატიოსნად მითხარი, ბედ-  
ნიერი ხარ?

**ტრუიოგანი.** ალბათ.

**პანურგი.** ღმერთო, შენი სახელის კირიმე! წმინდა ქრისტეფორეს ტვირთსა  
უყავ, მკვდარსა ვირსა უფრო დასძვრება რამე, ვინემ შენგან გაიგებს კაცი  
ვარკვეულ რასმე აზრსა. არა, თავსა არ დავინაგრავ. მაშ, აბა, ბნელეთის მო-  
ციქული მოვაყივნით, ჩვენო ერთგულო ქვეშევრდომო, და ოდენ სიმართლე  
ვიუბნით. თავად რქაბმული თუ გამხდარხარ ოდესმე? თავად-მეთქი, რომ გე-  
უბნები, აქ, ჩემ თვალწინ მყოფსა გგულისხმობ და არა იქ, ჯოჯოხეთში, ბურ-  
თისა მოთამაშესა.

**ტრუიოგანი.** თუ განგებას არ უსურვებია, არ გავმხდარვარ.

**პანურგი.** ხორცსა ვფიცავ, უკან ვიხევ, სისხლსა ვფიცავ, ხელსა ვაღებ,  
გვამსა ვფიცავ, ვნებლები. ნამდვილად წყლისფერია.

ამ დროს გარგანტუა წამოდგა და წართქვა:

— კურთხეულ არს სუფოველი საქმე უფლისა! ვხედავ, ქვეყანა ბევრად  
მოიწიფა მასუკანით, პირველად რომ ვნახე. პირდაპირ გაოცდები, ისეთ უამს  
გვიხდება ცხოვრება! მაშ, აბა, ყოულის უფრორე განსწაყლულნი და გონიერნი  
ფილოსოფოსნი აწ ფრონტიისტერიას<sup>6</sup> და პირონიისტთა, აპორეტიკოსთა<sup>7</sup>, სკეპ-  
ტიკოსთა და ეფექტიკოსთა<sup>8</sup> სკოლას მიეკუთვნებიან? დიდება შენდა, ღმერთო!  
ახლა უფროისად ადვილი საქმეა, რომ ლომსა ფაფარში სწვდე, ცხენსა ჯიდაო-  
ში, ხარსა რქებში, კამეჩსა დრუნჩში, მგელსა კუდში, თხასა წვერში, ჩიტსა ფე-  
ხებში, ესეგვარ ფილოსოფოსსა კი სიტყვაზედ ვერცვინ ვერ დაიჭერს. კარგად  
დარჩით, ძვირფასნო მეგობარნო!

ამის თქმა იყო, და გარგანტუა გასასვლელისკენ გაემართა. პანტაგრუელმა  
და სხვათ გაცილება დაუპირეს, მაგრამ ის წინააღმდეგი გაუხდა!

გარგანტუამ დარბაზი რომ დაუტევა, პანტაგრუელმა სტუმართ მიმართა:

— პლატონის ტიმაოსში მოწვეულთ მაშინ ითვლიდნენ, როგორც კი კრება იწყებოდა, ჩვენ კი, პირიქით, ბოლოში დავითვალდეთ. ერთი, ორი, სამი... მეოთხე სადღაა? სად არის ჩვენი მეგობარი ბრიდუა?

ეპისტემონმა წართქვა, შინ მივედი, მაგრამ არ დამიხვდათ. მირლენგის პარლამენტს ბოქაული გამოუგზავნია, სენატორნი ერთი მუხი გამოტანილი განაჩენისა გამო პირადი განმარტებისთვის გიბარებენ. ისიც წინააღმდეგობით სასწრაფოდ წასულიყო, ემანდ დაგვიანებისთვის საყვედური არა მტკიცონო.

— ძალიან საგულისყურო საქმეა, — წართქვა პანტაგრუელმა. — ბრიდუა აგერ უკვე ორმოცი წელიწადია ფონბეტონში მოსამართლეობს. ამ ხნის განმავლობაში ოთხი ათასზე მეტი საბოლოო განაჩენი აქვს გამოტანილი, აქედან ორი ათას სამას ცხრა განაჩენი გასაჩივრდა იმათგან, ვინაც საქმე მირლენგის პარლამენტის უხენაეს სასამართლოში წააგო. სუყოველი იმისი გადაწყვეტილება უმაღლეს ინსტანციაში სწორად აღიარეს, დაამტკიცეს და ძალაში დატოვეს, რაც შეეხება აპელაციებს, ისინი უარყვეს და უშედეგოდ დატოვეს და რახან აწი, ამ სიბერეში, პირადად ემახიან ამისთანა კაცსა, რომელიცა მოელი თავისი სიცოცხლე წმინდად ასრულებდა თავის მოვალეობასა, თქმა არ უნდა, რაღაც უბედურება დასტყდომია. სამართლიანობისა გამარჯვების სახელით ყველანაირი დახმარებისთვის მზად ვარ. ჩემთვის ცნობილია, რომ ბიროტება მსოფლიოში სულ უფრო მატულობს და მატულობს, კანონიერი უფლებები ამჟამად განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს, ამიტომაც, ყველაგვარი მოულოდნელობა თავიდან რომ ავიცილოთ, უადრესად ყურადღების გამოჩენა მმართველს და გამოვიჩენ კიდევაც.

აქ სუყველანი აიშალნენ მაგალიდან. პანტაგრუელმა სტუმართ დიდფასიანი და საპატიო ძღვენნი მიართვა, სახელდობრ, ბეჭედნი, სხვადასხვა ჩუქურთმიანი ნივთნი, ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი, მერმე მხურვალე მადლიერება გამოხატა და განსასვენებლად წავიდა.

## თავი XXXVII

### ამა პანტაგრუელი არწუხნებს პანურგსა, ბრიყვისა ვისეი მოეთათბირეო

გზად პანტაგრუელმა პანურგსა მოჰკრა თვალი, გაღერებაში იდგა, ოცნებიანი გამოხედვა ჰქონდა და თავს ფიქრთანად აკანტურებდა.

— ფისში ჩავარდნილ თავებს მაგონებ, — მიუთხრო პანტაგრუელმა. — ის რაც უფრო მეტად ცდილობს ამოდრომას, მით უფრო ღრმად ეფლობა. შენი საქმეც ეგრეთაა: მართალია, საცადისს არ აკლებ, რომ ეჭვისგან ნაქსოვ ბადესა თავი დააღწიო, მაგრამ უარესად იხლართება. მე ოდენ ერთი საშუალება ვიცი. ყური მიგდე. ხალხში ხშირად გამოიგონია: ზოგი ბრიყვი ვინიერს ასწავლისო. ვინაიდან და რადგანაც ვინიერთა პასუხი სრულად ვერ დაგაკმაყოფილებს, შენც ადექი და ვინმე ბრიყვს მოეთათბირე. რა იცი, კაცნი ვართ, იქნებ იმასთან საუბარმა უფრო გულსრულგეოს. ჩემგან არ გესწავლება, ბეური ბრიყვის აზრსა, რჩევასა და წინასწარმეტყველებასა მრავალგზის უხსნია მთავარნი, ხელმწიფენი და თვით სახელმწიფონიც კი, არაერთი ბრძოლაც მოუგებინებია და გაჭირვებიდანაც გამოუყვანია.

აქა მაგალითისა მოეარგებისა საჭიროებასა ვერა ეხედავ. ვვინებ, ჩემი სა-

ბუთიანობა ჭკუაში დაგიჯდება: ვინცა ბეჯითად მისდევს თავის კერძო და საოჯახო საქმესა, ვისაც გამჭრიახად უჭირავს თვალი თავის სახლზედ, ვინცა წინდახედულებას იჩენს, ვინცა ხელიდან არ უშვებს შემთხვევასა, რომ შეიძინოს და დაავროვოს ყველაგვარი ამქვეყნიური სიკეთე და სიმდიდრე, ვინცა წინასწარ იღონისძიებს რასმე, არ გავლატაკდეთ, ესეგვარ კაცსა ბევრნი ბრძენსა და ცხოვრების მუჭუჭსა ეძახით, დადათუძცა ღვთაებრივი გონის თვალსაზრისით ის კაცი ბრყვად მოჩანს. იმისთვის, რომ ღვთაებრივმა გონმა ადამიანი ბრძნად, ანუ ღვთისგან გაბრძნო ილაღ და შორსმჭერუტელად ცნოს, რომელიც მზად იქნება ზეშთაგონების მადლისა აღსაქმელად, ასეთი კაცი უნდა თავდავიწყებას მიეცეს, თავისი თავისგან უნდა განთავისუფლდეს, ასეთმა კაცმა უნდა უარყოს ყველა თავისი მიწიერი გრძნობა, გონება უნდა განიწმინდოს ყველა ამქვეყნიური მღელვარებისგან და არცა არაფერზედ არ იზრუნოს, რაც რამ უვიცი და უბირი ხალხისთვის უგუნურების ნიშანსა წარმოადგენს.

სწორედ ამას უღებდა საფუძვლად უწიგნური ბრბო, როცა ფატუალურს<sup>1</sup> უხმობდა უდიდეს გულთმისანს ფავნუსს, პიკუსის, ლათინთა მეფისა ვაჟსა. ამიტომ არის, რომ მახიობულნი, ანუ კომედიანტნი ოდეს ერთმანეთში როლო ინაწილებენ, როგორც ბრიყვის, ისე მასხარის როლი ყოვლის უფრორე გამოცდილთ და ყოვლის უფრორე ნაჭიერთ ეძლევათ. ასტროლოგნი ამავე საფუძვლზედ ამტკიცებენ, მეფეთ და შემლილთ ერთნაირი ჰოროსკოპი აქვთო, და ჩუქულებრივ იმაგალითებენ ენეასსა და კარებუსს<sup>2</sup>, რომელსაც ევფორიონი ბრიყვად თვლიდა: ერთსაც და მეორესაც ჰოროსკოპი ერთნაირი ჰქონდა.

რაზან სიტყვამ მოიტანა, უნდა მოგავგონო, რომ ჯოვანი ანდრეამ ლაროშელის მერისა და მსახლობელთა წინაშე მიწერილი პაპის წიგნისა თავის თარგმანებაში, ხოლო იმის შემდგომ პანორმიტამ თავის განმარტებაში, ბარბაციუსმა პანდეკტების კომენტარებში, და სულ ახლახან იასონმა<sup>3</sup> თავის რჩევებში იუბნეს სენიორ ჟოანზე, ცნობილ პარიზელ მასხარაზედ, კაიეტის<sup>4</sup> პაპის მამაზედ, ანუ პეპერაზედ.

საქმე შემდეგშია: ერთხელ თურმე პარიზში, პტი შატლეს ახლოსად, ერთი ვინმე მებარგულე დუქანში ზედ მაყალთან ცარიელა პურს ილუკმებოდა, — პური, მართალია, ცარიელი იყო, მაგრამ მწვადის სუნით გაჟღენთილი უფრო ეგემრიელებოდა. მედუქნე თვალს არიდებდა, ვითომ ვერა ხედავდა. როგორც კი მებარგულე პურის ღმურძვლას მორჩა, მედუქნე კისერში სწვდა და მწვადის სუნის საფასური მოსთხოვა. მებარგულე უმტკიცებდა, შენი ხორცისთვის არც ზელი მიხლია, არც პირი, სულ ტყუილად მედავები, მე შენი არაფერი მმართებსო, სუნი, რომლის გულისთვისაც ჩხუბი ამიტეხე, გინდა, არ გინდა, პაერში მაინც ტრიალებს და გარეთაც გადისო, პირდაპირ გაუგონარს ამბავია, რომ პარიზში ფულს ახდევინებდნენ კაცსა იმისთვის, რომ ქუჩაში მწვადის სუნი ღვასო. მედუქნე მაინც თავისას გაიძახოდა, მე სულაც არა ვარ ვაღდებული, რომ ჩემი მწვადის სუნით ვიღაც მებარგულენი ვკვებოთ, და დაიფიცა, ეხლავ მაგ შენს იარაღს — კაუჭსა წაგართმევ, უკეთუ ფულს არ გადამიხდით. მებარგულე ჯთხს დასწვდა და თავდასაცავად მოეშადა. ატყდა ერთი ცემა-ტყეპა. ყოველის მხრიდან მოცვივდნენ პარიზელნი მოყიალენი. ამა მოყიალეთა ბრბოში ერია პარიზელი მასხარა სენიორ ჟოანიც. ის რომ დაინახა, მედუქნემ მებარგულეს უთხრა: „მოდი, ამ დიდებულ სენიორ ჟოანს ვკითხოთ, ვინ არის ჩვენ შორის მართალი“. კი, ბატონო, ვკითხოთ, რაზან თავად ითხოვო, მიუგო მებარგულემ.

რომ ვაივო, რაზედაც ჩხუბობდნენ, სენიორ ჟოანმა მებარგულეს ბრძანების

კილოთი უთხრა, ქამრიდან ვერცხლის მონეტა დააძრეთ. მებარგულემ ტურული ფილიპე მისცა, სენიორ ჟოანმა აიღო მონეტა და მარცხენა მხარხედ დაიღო, ვითომ სწონიდა, მერმე მარცხენა ხელისგულზედ აივლო, თითქოს მარწყუნი უნდოდა, ვალბი ხომ არ არისო, მასუკანით მარჯვენა თვალის ხედ გუგასთან მიიტანა, თითქოს იძისთვის, რომ ნაჭედობა გაესინჯა. ბრძანება არა სძრავდა, მუდუქნე მოთმინებით იცდიდა, მებარგულე კი სასწრაფოდ წავიდა. ბოლოს სენიორ ჟოანმა მონეტა რამდენჯერმე მაყალზედ მიაკაკუნა. შემდეგ უღარუნა, რომელიც ხელში ეჭირა, ვითომ კუკრთხიაო, ისე აღძართა, ნამდვილი სასამართლოს თავმჯდომარესავით ჩაჩი შუბლზე ჩამოიფხატა, კუკრის ბეწვით გაწყობილი და ქალაქის ყურებიანი, ორჯერ-სამჯერ ჩაახველა და ყველას გასაგონად განაცხადა: „სასამართლომ აღიარა, რომ მებარგულემ, რომელმაც პური მწვადის სუნთან ერთად მიირთვა, სრულად გადაუხადა საფასური მუდუქნეს მონეტის წკრიალით, ამის საფუძველზედ სასამართლო ადგენს, რომ სასამართლოს ხარჯების გადაუხდელოდ შინ გაუშვას მოსარჩელეც და მოპასუხეც და ამით შეწყდეს საქმე“.

პარიზელი მასხარისა განაჩენი ესე ჩემგან დასახელებულ მეცნიერთ გასაოცრად და განსაცვიფრებლად სამართლიან განაჩენად მოეჩვენათ, და ისიც კი თქვეს, მებარგულის საქმე პარიზის პარლამენტში, ანდა რომის კურიაში, ანდა, ბოლოს, არეოპაგში რომ გაერჩიათ, საეჭვოა, ამ სამ სამსაჯულოდან რომელიმეს იურიდიულად უფრო სწორი გადაწყვეტილება გამოეტანათ. რას იტყვი, შენც ხომ არ გაგიჩნდა ვინმე მასხარასთან მოთათბირების სურვილი?

თავი XXXVIII

ვითარ ამბდნენ პანტაგრუელი და პანურგი ტრიბუნუსა!

— ჩემსა სულსა ვფიცავ, გამიჩნდა, — წართქვა პანურგმა, — ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყიტაწელი, ანუ უკანა ტანი გამიგანიერდა, ცოტა ხნის წინათ კი შევიწროებული და სულ მთლად დახშული მქონდა. და რახან გადავწყვიტეთ, რომ განსწავლულობის ბურჯთათვის მიგვემართა, მე ვისურვებდი, რომ ჩვენი უმოავრესი მრჩეველი იყოს არა უბრალოდ ობროდი ვინმე, არამედ უმაღლესი ხარისხისა ობროდი.

— ვგონებ, სწორედ ტრიბუნუსა უცილობელი ობროდი, — ბრძანა პანტაგრუელმა.

პანურგმა კი ზედვე მიაყოლა:

— ობროდი უცვალებელი და გამორჩეული.

პანტაგრუელი

პანურგი

ობროდი ფატალური,  
ობროდი ბუნებისეული,  
ობროდი ზეციური,  
ობროდი ყოვიალური,  
ობროდი მერკურიული,  
ობროდი მთვარეული,

ობროდი მაგორული,  
ობროდი ბეკარული და ბემოლური,  
ობროდი მიწიერი,  
ობროდი მხიარული და გიჟმაჟი,  
ობროდი ცელქი და ლამაზი,  
ობროდი პომპონიანი,

ობროდი ერატიკული,  
ობროდი ექსცენტრიკული,  
ობროდი ეთერული და იუნონური,

ობროდი არქტიკული,  
ობროდი გმირული,  
ობროდი ვენიალური,  
ობროდი წინასწარგანზრახული,  
ობროდი უავგუსტოესი,  
ობროდი კეისრული,  
ობროდი იმპერატორული,  
ობროდი ხელმწიფური,  
ობროდი მონარქიული,  
ობროდი პატრიარქული,  
ობროდი ლოიალური,  
ობროდი ჰერცოგული,  
ობროდი ალამდარი,  
ობროდი სენიერიალური,  
ობროდი პრინციპული,  
ობროდი პრეტორიალური,  
ობროდი კეთილშობილი,  
ობროდი რჩეული,  
ობროდი კურიალური,

ობროდი პირველცენტურიონელი,  
ობროდი ტრიუმფული,

ობროდი სასახლისა,  
ობროდი სანიმუშო,  
ობროდი იშვიათი,  
ობროდი ჩვეულებრივი,  
ობროდი ჩვეული,  
ობროდი შინაური,  
ობროდი კარისკაცი,  
ობროდი ცივილური,  
ობროდი პოპულარული,  
ობროდი ცნობილი,  
ობროდი ფავორიტული,  
ობროდი ლათინური,  
ობროდი ჩვეულებრივი,  
ობროდი მრისხანე,  
ობროდი თვითმყოფი,  
ობროდი ძლევა მოსილი,  
ობროდი სპეციფიკური,

ობროდი მეტაფიზიკური,  
ობროდი ექსტატიკური,

ობროდი კუწუბიანი,  
ობროდი ევენიაანი,  
ობროდი ღიმილიანი და ვებერას  
მორჩილი,  
ობროდი ფეხზედ მდგომარეული,  
ობროდი პირდაპირ წნეხიდან გამოხული,  
ობროდი კასრული,  
ობროდი ალაო,  
ობროდი ორღვიანი,  
ობროდი პაპური,  
ობროდი კონსისტორული,  
ობროდი კონკლავისტური,  
ობროდი ბულისტური,  
ობროდი სინოდური,  
ობროდი ეპისკოპოსური,  
ობროდი დოქტორალური,  
ობროდი მონაზვნური,  
ობროდი ფისკალური,  
ობროდი ექსტრავაგანტური,  
ობროდი დოქტორისქუდიანი,  
ობროდი საწულე,  
ობროდი გატონზურებული,  
ობროდი ობროდობის მეცნიერებაში  
წარმატებული,  
ობროდი განსმენილი,  
ობროდი ობროდ მეცნიერთა შორის  
უპირველესი,  
ობროდი ხალენიანი,  
ობროდი პირველმოსული,  
ობროდი მპყრობელი,  
ობროდი უზუნაესი,  
ობროდი სულიერად ცოდვილი,  
ობროდი ბუდიდან ახლად ამოყვანილი,  
ობროდი მძლეუარი,  
ობროდი პირყვითელა,  
ობროდი გაქუცული,  
ობროდი გაელენიანი,  
ობროდი ნადირი,  
ობროდი ბოლოქანქარა,  
ობროდი ველური,  
ობროდი ცარიელტარიელი,  
ობროდი ავშარიანი,  
ობროდი მაღალფარდოვანი,  
ობროდი ყველა მასხარის  
გამმასხარავებელი,  
ობროდი ყვავილ-გვირგვინოსანი,  
ობროდი აღმოსავლური,



ობროდი კატეგორიული,  
 ობროდი პრუდიკატული,  
 ობროდი ათგზისი,  
 ობროდი უცონველ-დაუზარებელი,  
 ობროდი პერსპექტიული,  
 ობროდი ალგორიზმული,  
 ობროდი ალგებრული,  
 ობროდი კაბალისტიკური,  
 ობროდი თაღმუდური,  
 ობროდი ამალგამური,  
 ობროდი დახმული,  
 ობროდი მოკლე,  
 ობროდი ჰიპერბოლური,  
 ობროდი ანტიომონასტიკური,  
 ობროდი ალგორიული,  
 ობროდი ტროპოლოგიური,  
 ობროდი პლეონაზმიკური,  
 ობროდი თავიანი,  
 ობროდი ტვინიანი,  
 ობროდი გულფანი,  
 ობროდი კუჭნაწლაჳიანი,  
 ობროდი ეპატიკური,  
 ობროდი სილენტიკური,  
 ობროდი ქარგამომშვები,  
 ობროდი ლეგიტიმური,  
 ობროდი აზიმუტური,  
 ობროდი ალმიკანტარატული,  
 ობროდი გამოსადეგი,  
 ობროდი სამერხულური, ანუ კოჭური,  
 ობროდი კვარცხლბეკური,  
 ობროდი სამაგალითო,  
 ობროდი დიდებული,  
 ობროდი შემაქცევარი,  
 ობროდი მოხეიშე,  
 ობროდი სასწაულმოქმედი,  
 ობროდი გამრთობი,  
 ობროდი გამამხიარულებელი,  
 ობროდი სოფლელი,  
 ობროდი გამქილიკვბელი,  
 ობროდი შუღავათიანი,  
 ობროდი მდაბიო,  
 ობროდი ჩვეულებრივი,  
 ობროდი უცვლელი,  
 ობროდი დიაპაზონური,  
 ობროდი გაბედული,  
 ობროდი იეროგლიფური,  
 ობროდი ავთენტიკური,

ობროდი ამაღლებული,  
 ობროდი აღსასფერი,  
 ობროდი ჭიაფერი,  
 ობროდი ქალაქელი,  
 ობროდი ქარბუქიჭყიჭყული  
 ობროდი გალიაში მფლდოქიჭყიჭყი  
 ობროდი მოდალური,  
 ობროდი შეორადი ინტენციისა,  
 ობროდი მეალმანახე,  
 ობროდი ჰეტეროკლიტიკური,  
 ობროდი სომისტური,  
 ობროდი შემკვეციელი,  
 ობროდი დაქანციული,  
 ობროდი სახეაფარებული,  
 ობროდი მანდატარული,  
 ობროდი ჩაბალახიანი,  
 ობროდი ტიტულარული,  
 ობროდი ანცი,  
 ობროდი მებრძოლი,  
 ობროდი წინიდან მაგარი,  
 ობროდი ფეხსუსტი,  
 ობროდი მემრუშე,  
 ობროდი პირქუში,  
 ობროდი განიაკვებული,  
 ობროდი კულინარული,  
 ობროდი გააფთრებული,  
 ობროდი ღორის ქონით გამოტენილი,  
 ობროდი ქვაბური,  
 ობროდი კატარული,  
 ობროდი წარმოსადეგი,  
 ობროდი ოცდაოთხკარატიანი,  
 ობროდი უცნაური,  
 ობროდი შექანებული,  
 ობროდი ალვირიანი,  
 ობროდი ჯოხებიანი,  
 ობროდი ფლარუნიანი,  
 ობროდი გაქნილი,  
 ობროდი უზომო,  
 ობროდი ფორხილა,  
 ობროდი ყრანტი,  
 ობროდი გლეხუჭა,  
 ობროდი ლუნდერა,  
 ობროდი მორთულ-მოკაზმული,  
 ობროდი წკიპურტა,  
 ობროდი ჯანმრთელი,  
 ობროდი გამოუცნობი,  
 ობროდი თვალადი,

ობროდი ფასდებული,  
 ობროდი ძკირფასი,  
 ობროდი ფანატიკური,  
 ობროდი ფანტასტიკური,  
 ობროდი ლიმფატიკური,  
 ობროდი პანიკური,  
 ობროდი ალემბიკური,  
 ობროდა არცროდის მოძაბეზრებელი.

ობროდი სამჯერ გადიდებული,  
 ობროდი კონტაქტულიანი,  
 ობროდი ჩვეულებრივი,  
 ობროდი მოსვირინგებული,  
 ობროდი სპარსული წარმუშავებული,  
 ობროდი საზრიანი,  
 ობროდი წინწყლებიანი,  
 ობროდი ჩინვირჩამოშვებული.

**პანტაგრუელი.** რომაელთ სრული საფუძველი ჰქონდათ, რომ კვირინალიისთვის ბრძედა დღესასწაული ეწოდებინათ, ზუსტად ასევე ეგების საფრანკეთში ტრიბულეტინალიის შემოღება.

**პანურგი.** სუყოველ ბრძედა კაცსა სამჯერ რომ ეკეთოს, მაგას გემოზედ გაუხეხავდა დუნდულთ.

**პანტაგრუელი.** ეგ რომ ის ფატუალური დმერთი იყოს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ღვთაებრივი ფატუმის ქმარი, მაშინ მაგის მამა იქნებოდა ბონადიესი<sup>2</sup>, ბებია კი ბონადეა<sup>3</sup>.

**პანურგი.** სუყოველნი ბრძედა თოხარიკით რომ დარბოდნენ, მართალია, მოგრეხილი ფეხები აქვს, მაგრამ მაშინ ეგ მაინც ნიტსაკით იფურუნდა. ხულა ვაყოვნებთ, წავიდეთ, ვეწვიოთ. ვკონებ, ყოვლის უფრორე სწორ დანასკვნს ის გვეტყვის.

— მე მინდა ბრძედას საქმის გარჩევას დაეუწრო, — განაცხადა პანტაგრუელმა, — ამად მირლენგში წავალ. ლუარის მეორე ნაპირზედ, კარპალიმს კი ბლუაში გავეზაუნე ტრიბულეს მოსაყვანად.

კარპალიმი მაშინვე გაუდგა გზასა, პანტაგრუელი კი მსახურთა თანა, აგრეთვე პანურგი, ეპისტემონი, პონოკრატი, ძმა ჟანი, გიმნასტი, რიზოტომი და სხვანი მირლენგის გზასა გაუყვნენ.

### თავი XXXIX

ამა კანტაბრუელი ესწრება მოსამართლე ბრძედას  
 საქმის განხილვას, რომელ მოსამართლესაც  
 პანაჩენი კამათლების მღვრით გაიოკონდა

მეორე დღეს პანტაგრუელი მირლენგში სწორედ სასამართლოს დაწვევის წინ ჩავიდა. თავმჯდომარემ, სენატორთ და მრჩეველთ შესთავაზეს, ჩვენთან ერთად შემობრძანდი დარბაზში და შენი ყურით მოისმინე, რარიგ ახსნის ბრძედა იმ საბრძედად განჩინებას, რომელიც მან ტუშრონდს გამოუტანა და რომელი განჩინებაც აწინდელ ცენტუმვირალურ<sup>1</sup> სასამართლოს მთლად სამართლიანად არ მიჩნიათ.

პანტაგრუელს დარბაზში შესვლა არ დაუყოვნებია და მოიხილა ბრძედა. ის შუა დარბაზში იჯდა და ერთადერთი, რითაც თავს იმართლებდა და რასაც თავის ახსნა-განმარტებაში ეყრდნობოდა, ის იყო, რომ, დაკბერდიო, იძახდა, წლებმა მხედველობა წამართვაო, სიბერეს ათასი უბედურება და ვაება მოაქვსო

და ყოველივე ეს not per Archid. D. LXXXVI, C. lania\*, აი რატომ ვეღარ ვარხევ კამათლებზედ ქულების რიცხვს ისე ცხადად, როგორც წინათ ვარხევდიო, და ხულ ადვილად იქნებ ისეც მომხდარიყო, როგორც მოხუც და ნახევრად ბრმა ისააკს იაკობი ესავი ეგონა, მეც ხსენებული განჩინების გამოტანისას ოთხი ხუთად ამოძეკითხაო, მით უმეტეს, რომ იმ დღეს პატარა კამეფელე ვაჯიყრებდიო, კანონით კი ბუნებრივი ნაკლულევანობა დანაშაულად არს მტყულებამუნებად პირდაპირ მეტყველებენო ff. de re milit., l. qui cum uno; ff. de reg. jur., l. iere; ff. de edil. ed per totum; ff. de term. mo., l. Divus Adrianus; resolu. per Lud. Rom. in l. si vero; ff. solu. matri\*\*, და თუ ვინმე სხვარივად განსჯის, ის ადამიანს კი არა, თვით ბუნებას დაადანაშაულებს, როგორც ამას ცხადყოფს l. maximum vitium, C. de lib. praeter\*\*\*.

— რა კამათელთა გამო უბნობთ, ძეგობარო? — დაეკითხა სასამართლოს მეუფროსე თაქმჯდამარე სიტყვაძმურელი.

— სასამართლოს კამათელთა გამო, — მიუგო ბრიდუამ, — alea judiciorum\*\*\*\*, რომელნი კამათელნიც აღწერილია doct. 26 q. II c. Sors, l. nec emptio; ff. de contrah. empt., l. quod debetur; ff. de pecul. et ibi Barthol., და რომელთაც, ჩვეულებრივ, თავადაც იყენებთ, მეუფენო, თქვენს უმაღლეს სასამართლოში, როგორც რომ სხვა სუყოველი მოსამართლე იყენებს საქმის გადაწყვეტისას. დოქტორ ჰაინრიხ ფერანდას<sup>2</sup> მითითებისდა კვალდაკვალ, აგრეთვე no. gl. in c. fin. de surtil., და l. sed cum ambo, ff. de judi.; ubi doct. ამტკიცებენ, რომ კენჭის ყრა ფრიად საქებური, კეთილშობილური, სახარგებლო და აუცილებელი რამ არის იმისათვის, რომ ძალე მოვიცილოთ თავიდან და მოვათავოთ საქმე-

\* აღ[ნიშნულია] არქი[დიაკონისგან], დ[ინსტინკცია] LXXXVI, კ[ანონი] „რაოდენი“... — შუა საუკუნეების იურისტთა ჩვეულებისამებრ, ბრიდუა თავისი სიტყვის დასასაბუთებლად რომის სამართლისა და საეკლესიო სამართლის უამრავ წყაროს იშველიებს, რომის სამართალი მოქმედ ნორმად რჩებოდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ასეთი დამოწმებების (გადმოცემას რომ არ ექვემდებარება) თავისებურება ის არის, რომ მომარჯვებული იყო არა წიგნების, განყოფილებების, კანონების, პარაგრაფების და ა. შ. ნომრები, არამედ პირველი სიტყვები შემცირებული სახით, თანაც ისეთნაირად შემცირებული, რომ თუ საქმის არსი არ იცი, სიტყვის სრული ფორმის აღდგენა ხშირად შეუძლებელია. მკითხველმა რომ თუნდაც შორეული წარმოდგენა შეიქმნას დამოწმების ამ შუასაუკუნეობრივ მეთოდზე, გავშიფრავთ და ვთარგმნით ბრიდუას რამდენიმე პირველ არგუმენტს.

\*\* [დიგესტები], სამ[ხედრო] საქმისა გამო, კ[ანონი] „ვინც ერთთან...“; [დიგესტები], სა[მართლის] ნორ[მათა] შესახებ, კ[ანონი] „თითქმის...“; [დიგესტები], [ედილის] ედ[იქტის] შესახებ „მთელი...“; [დიგესტები], სამიჯ[ნე] ბოძთა გადა[ტანის] შესახებ, კ[ანონი] „ღვთაებრივი აღრიანე“; ლულ[ოვიკო] რო[მაელის] თარგმანება კ[ანონისოვის] „უკეთუ...“; [დიგესტები], „განქორწინება“ (ლათ.).

\*\*\* კ[ანონი] „უდიდესი ცთომილება...“; კ[ოდექსი], ბავშვ[თა] შესახებ... — მხედველობაშია „იუსტინიანეს კოდექსი“, VI ს. შედგენილი, რომის სამოქალაქო სამართლის კრებული ნაწილი.

\*\*\*\* სასამართლოს გადაწყვეტილებათა კამათელი (ლათ.) — ბრიდუას სიტყვასიტყვით, პირდაპირ ესმის სიტყვა alea (კამათელი), რომელიც ამ შემთხვევაში ნიშნავს „წინდაუხედაობას“, „შემთხვევითობას“.

დავანი. კიდევ უფრო პარდაპირ და არათრახროვნად განმარტავენ ამას ბაილი, ბარტოლი და ალექსანდრე. C. communia, de l. si duo.

— თქვენ თავად როგორ მოქმედებთ, მეგობარო? — დაეკითხა სიტყვაძველი.

— მოკლედ გიპასუხებთ, — მიუგო ბრიდუამ. — ჩემი სახელმძღვანელოა l. amplioem, § in refutatoriis, C. de appella., ისე როგორც ff. de i. i. §. quod met. cau. Gaudent brevitare modernii\*. მეც თქვენსავით ვმოქმედებ, მეუფენო, სასამართლო წარმოების ყველა წესისდა მიხედვით, რომელ წესთა განუხრელ დაცვასაც კანონი გვავალებს, ut no. extra. de consuet., c. ex literis, et ibi Innoc. ყურადღებით რომ გავხსინჯავ, გადავხინჯავ, წავიკითხავ, გადავიკითხავ, გადავქექავ და გადავფურცლავ სუფველა სათხოვარს, უწყებას, მინდობილობას, სასამართლო განკარგულებას, სუფველა მოწმის ჩვენებას, გადავადების საფუძველს, სარჩელის დასაბუთების მტკიცებას და მოწინააღმდეგე მხარის პასუხს, თითოეულ ცნობას, ინტენდიქციას, კონტრდიქციას, თხოვნას, მიმართვას, მხარეთა პირველად, მეორად და მესამეულ ახსნა-განმარტებას, სუფოველ სარჩელის დასაბუთების დამატებას, მოწმეთა აცილების განცხადებას, საჩივარს, მოწმეთა აცილების საწინააღმდეგო მოსაზრებას, არა ერთსა და ორ მოწმეთა სიას, დაპირისპირების ჩანაწერს, თანამონაწილეებთან მთავარი დამნაშავეის პირში წაყენების ჩანაწერს, ლიბელას, სამოციქულო წერილს, უამრავ სამეფო სიგელს, განკარგულებას ნოტარიუსთა მიმართ, საქმეთა განსჯადობის თაობაზედ მხარეთა განცხადებას, შემხვედრ პრეტენზიას, სხვა ინსტანციაში საქმის გადაცემის მოთხოვნას, საკმარისად ბევრ თანხლებულ თუ თანდართულ წერილს, სასამართლო დასკვნას, დამატებით პროტესტს, მოდაუეთათვის სასამართლო მიწერილობას, რომ დათქმულ დროში წარმოადგინონ პრეტენზიებიცა და კონტრპრეტენზიებიც, არცთუ ცოტა ზეპელაციას, მოპასუხის აღიარებას, სასამართლო გადაწყვეტილებას და კიდევ სხვა მსგავს ათას რამეს, როგორც ნამდვილ მოსამართლეს ეკუთვნის და როგორც გვავალებს Spec, de ordinario, § III, et tit. de offi. omni. ju., § fi, et de rescriptis praesentia., § I, ვხივარ ჩემთან კაბინეტში, მაგიდის ერთ-ერთ კიდევზედ ვაწყობ მოპასუხის ტოპრაკთ და უწინარეს ყოვლისა, თქვენებრ, მეუფენო, კენჭსა ვერი, et est not. l. Favorabiliores, ff. de reg. jur., et in c. cum sunt, cod., tit. lib. VI, ხადაც ნათქვამია: Cum sunt partium jura obscura, reo favendum est potius quam actori\*\*.

მასუკანით, თქვენებრ, მეუფენო, მაგიდის მეორე კიდევზედ ვაწყობ მოსარჩელის ტოპრაკთ, visum visu\*\*\*, რამეთუ opposita, juxta se posita, magis elucescunt\*\*\*\*, ut not. in l. I, § videamus, ff. de his qui sunt sui vel alie.

\* ახალი დროების ადამიანთ სიმოკლე უყვართ (ლათ.). — აფორიზმი, რომელიც გვხვდება შუა საუკუნეების იურიისტ-გლოსატორებთან.

\*\* ოდეს მხარეთა კანონიერი უფლებანი ნათელი არ არის, საჭიროა, რომ მხარი დაუუჭიროთ მოპასუხეს და არა მოსარჩელეს — სამართლის აქსიომა, რომელიც გვხვდება დეკრეტალიუმებში.

\*\*\* მოსახილველად (ლათ.).

\*\*\*\* დაპირისპირებულობათა შეპირისპირება განსხვავებას კიდევ უფრო ნათელსა ხდის (ლათ.). — სიტყვაბიტყვი: საპირისპირო საგნები, ერთმანეთის კვერდით რომ აწვივა, კიდევ უფრო აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ასე სიტყვაბიტყვით, პირდაპირ ეხმის ფრაზა ბრიდუას.

jur., et in l. munerum l mixta ff. de muner. et honor., თავად კი ვღვევარ და ისევ კენჭსა ვყრი.

— მერედა, როგორ იგებ, მეგობარო, რომელი საქმე უფრო რთულია და რომელი ნაკლებად რთული? — დაეკითხა სიტყვაყმრელი.

— თქვენებრ, მეუფენო, — მიუგო ბრიდუამ, — რაც უფრო რთულია საქმე, მით უფრო მეტი ტოპრაკი აქვს ერთსაც და მეორე მხარესაც. მაშინ თქვენებრ მცირე კამათელთ ვხმარობ, მეუფენო, თანახმად კანონისა: *Semper in stipulationibus, ff. de reg. jur.*, აგრეთვე ძირითადი კანონისდა თანახმად, რომელიც ლექსის სტრიქონად არის გამოხატული, *q. eod, tit:*

*Semper in obscuris quod minimum est sequimur\**, რომელიც ჩართულია მოქმედ კანონიკურ სამართალში *in c. in obscuris, cod, tit. lib. VI.* დიდ კამათელთ კი, ღამაზთ და სძენის გამამხიარულებელთ, თქვენებრ მაშინ მივმართავე, მეუფენო, ოდეს საქმე უფრო ადვილია, ესე იგი ოდეს ტოპრაკნი ნაკლებია.

— გახჩინებანი როგორღა გამოგაქვს, მეგობარო? — დაეკითხა სიტყვაყმრელი.

— თქვენებრ, მეუფენო, — მიუგო ბრიდუამ, — კამათელთ აღაღბედზედ ვყრი და საქმეს იმის სასარგებლოდ ვწყვეტ, ვის ბედზედ მეტი ქულა ხვდება წილად, და გადაწყვეტის ხერხი ესე არის ჭეშმარიტი იურიდიული ხერხი, ტრიბუნისა და პრეტორის ღირსი ხერხი, აგრე გვიდევს სჯულად და კანონად: *ff. qui po. in pig., l. potior. leg. creditor., C. de consul., l. I, et de reg. jur., in VI: Qui prior est tempore potior est jure\*\*.*

## თავი XL

აქა ბრიდუა განმარტავს, თუ რატომ იყო საჭირო, რომ ჯერეთ შემსწავლა საქმი, სოლო მერემ კამათელთა მღერით გადაეწყვიტა

— რახან საქმეთ წილის ყრით და კამათელთა მღერით წყვეტ, მეგობარო, — მიუთხრო სიტყვისყმრელმა, — რატომ აჯანჯლებ და აჭიანურებ, ამა ხერხსა რატომ მაშინვე არ იყენებ, როგორც კი მოდავე მხარენი მოგადგებიან ხოლმე? ევოდენი ქაღალდითა და მიმოწერით გატენილი ტოპრაკნი რაღაში გჭირდება?

— რისთვისაც თქვენ გჭირდებათ, მეც იმისთვისვე მჭირდება, მეუფენო, — მიუგო ბრიდუამ, — სასიკეთო, მრავალნაირი და კანონშესაბამისი მიზნებისთვის ვიყენებ.

ჯერ ერთი, პროფორმისთვის; პროფორმის დაუცველად, მოგეხსენებათ, განაჩენი ნამდვილ განაჩენად არ ჩაითვლება, რასაც მშვენივრად ამტკიცებს *Spec, tit. de instr. edi. et tit. de rescrip. praesent.* თანაც ჩემგან არ გესწავლებათ, რომ სასამართლო პროცესში ფორმალობა ხშირად კლავს საქმის შინაარსსა და

\* უკეთუ საქმე საჭოჭმანოა, მცირე ნაწილის არჩევა გოჯობს (ლათ.) — კანონიკური სამართლის კიდევ ერთი აქსიომა, რომელიც აგრეთვე დეკრეტალიუშებში ფიგურირებს.

\*\* ადრე მოხული კანონიერი უპირატესობით სარგებლობს (ლათ.) — სამართლის აქსიომაა.

არსს, რამეთუ *forma mutata mutatur substantia\**, ff. ad exhib., l. Iulianus; ff. ad leg. falcid., l. Si is qui quadringenta, et extra, de deci., c. ad audientiam, et de celebra. miss., c. in quadam.

მეორე, როგორც თქვენ, მეუფენო, ის ქალღმინი და მიმოწერა მეც გონივრული და სასარგებლო ვარჯიშის მაგიერობას მიწევს. განსაკუთრებული უფალი ოტომან ვადარი, დიდი მედიკოსი, რაშიც, ალბათ, დამეთანხმებით, C. de commit. et archiatr., lib. XII, ხშირად მეუბნებოდა ხოლმე, თუ ფახიკურად არ ვვარჯიშობთ, ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ვიავადმყოფოთ და მალე დავიხოცნეთ, რაც განუხრელად ყველა მოსამართლეს ევრცელებს და რაც ჯერ კიდევ ვადარამდე ბრწყინვალედ დაამტკიცა ბარტოლმა in l. I. C. de senten. quae pro eo quod. ამიტომაც, მეუფენო, საკუთარ თავსაც დართეთ და ჩვენც დაგვრთეთ, quia accessorium naturam sequitur principalis\*\*, de leg. jur. lib. VI, et l. cum principalis, et l. nihil dolo., ff. cod. litu.; ff. de fidejusso. l. fidejussor, et extra. de offic. de leg., c. I, ნება იმისა, რომ ხანდახან ჩვენც სასარგებლოდ, წესიერად და მხიარულად შევიქცეთ თავი. ff. de al. lus. et aleat., l. solent, et autent. ut omnes obediant, in princ., coll. VII, et ff. de praescript. verb., l. si gratuitam, et l. I. C. de spect. lib. XI, ასეთივეა დოქტორ თომას აზრი, in secunda secundae quaest CLXVIII, რომელსაც ფრთხილ თავის ადგილას იშველიებს დოქტორი ალბერიკ დე როზატა, რომელიცა fuit magnus practicus\*\*\* და სწორუბოვარი სწავლული, როგორც ბარბაციუსი უწოდებს in prin. consil.; რომლის დასაფუძვლება მოცემულია per gl. in proemio ff. § ne autem tertii:

Interpone tuis interdum gaudia curis\*\*\*\*.

და მართლაც: 1489 წელს უმაღლეს საგადასახადო სასამართლოსთან ფულის საქმის ამბით ვიყავი დაკავშირებული, და ერთხელაც მაკანი მეკარე კაცის ხელით იქ შესახვეული ფასიანი ნებართვა მივიღე, რამეთუ თქვენც და ჩვენც, მეუფენო, ყველას მოგვეხსენება, რომ pecuniae obediunt omnia\*\*\*\*\*, და ამასვე უბნობს ბაღდი in l. Singularia ff. si certum pet. და სალიცეტი in l. recepticia, C. de constit. pecun., et Card. in cle. l. de baptis., — და მოვიხილე, რომ სასამართლოს წევრნი, ყოველნი უკლებლივ, ბუზობანას თამაშობდნენ, რადგან ბუზობანა ჯანმრთელობისთვის დია სასარგებლო ვარჯიშია, ოღონდ არ ვიცო, სახელდობრივ როდის თამაშობდნენ: საუზმემდე თუ შემდეგ; თუმცა, ეს მოთავარი არ არის, — hic no\*\*\*\*\*, მთავარია, რომ ბუზობანა არის კეთილშესაფე-

\* ფორმის შეცვლისას საქმის არსიც იცვლება (ლათ.), — სასამართლოს აქსიომა.

\*\* ვინაიდან დანამატი მოვლენები თანა სდევს ძირითად ბუნებას (ლათ.).

\*\*\* იყო დიდი პრაქტიკოსი (ლათ.).

\*\*\*\* ხან შეუნაცვლე რუღუნებას თავის შექცევა (ლათ.). — სენტენცია, რომელიც ეკუთვნის რომაელ პოეტს დიონისიუს კატონს. მისი „დამრიგებლური დისტიქები“ (ორტაეპედები) ოთხ წიგნად დიდად პოპულარული იყო შუა საუკუნეებში.

\*\*\*\*\* ფულს ყველაფერი ემორჩილება (ლათ.). — რემინისცენცია „ეკლესიასტედან“ (X, 19).

\*\*\*\*\* აქ ჩაინიშნეთ (ლათ.).

რი, სახარვედლო, ძველი ნებადართული თამაში, a Musco inventore de quo C. de petit haered., l. si post molam, და Muscarii id est ბუხობხას თამაში კანონით არ იკრძალება, l. I C. de excus. artif., lib. X.

რამდენადაც მახსოვს, მაშინ „ბუხი“ იყო უფალი ტილმან პიკე და ის ჩუმჩუმად დასცილიდა ჩემგან მოხსენიებული სასარჩლოს, იგივე სასამართლოს პატივცემულ წევრო: ქუდნი ჩემს ზურგზედ ტყაპუნით დაფლითუთო, და აფრთხილებდა, მინ რომ მიხედავო, ტყუილია, ცოლებთან თავს ვერ იძარბებდაო, თანახმად c. l. extra de preasump., et ibi gl. ერთი სიტყვით, resolutorie loquendo\*, მეც თქვენებრ ვიტყვი, მეუფენო, რომ ჩვენს საძოვსამართლო ცხოვრებაში სხვა არა არის რა ყნოსვისთვის უფრორე სააღერსო რამ საქმიანობა, ვინემ ტობრაკთა დაცლა, ქალაქქელაღების ფურცვლა, საქალაღეთა დანომვრა, კალათების ქალაღლებით ავსება და საქმეთა შესწავლა, ex Bart. et Io. de Pra., in l. falsa, de condit. et demon. ff.

მესამე ის არის, მეუფენო, რომ თქვენებრ მეც ვხედავ, ვითარმედ დრო ყველაფერს აძლევს მომწიფების საშუალებას, დროთა განმავლობაში ყველაფერი ნათელი ხდება, დრო მაშაა ჭეშმარიტებისა, gl. in. l. I. C. de servit. Autent. de restit. et ea quae pa., et Spec. tit. de requis. cons. აი რატომ არის, მეუფენო, რომ თქვენებრ მეც სულ იქით და იქით ვწევ სასამართლოს და საქმეს მანამ არ განვიხილავ, სანამ, უკვე დაწმენდილი, ამოცნობილი და გარკვეული, ხანგრძლივი დროის შემდეგ სიმწიფეს არ მიაღწევს, მაშინ კი წილისყრით წაგება უფრო ადვილი ასატანი ხდება და წაგებული გაცილებით წყნარად ხდება თავის ხვედრს, როგორც რომ no. gl. ff. de excu. tul., l. Tria onera:

Portatur leviter, quod portat quisque libenter\*\*.

უმწიფარი, მოუწევარი სასამართლო, ანუ ქვერეთ კიდეც თავის საწყის, თაღლაპირველ ფაშს, იმავე საშიშროებას შეიცავს, რომელიც, როგორაც მედიკოსნი გვარწმუნებენ, ადამიანს ემუქრება, უკეთუ გართხმულ მუწუგს, იგივე ელქუნს მოუმწიფებელს გამოვურწყავთ ანდა ვვამიდან მოუნელებელ მავნე წვენი გამოვადენო, სწორედ ასეა თქმული in Autent., haec constit. in inno. const. prin., და ეგვეუ აზრს გამოხატავს gl. in c. Caeterum, extra de jura, calum.: Quod medicamenta morbis exhibent, hoc jura negotiis\*\*\*. თანაც ავი თვითონ ბუნებაც გვასწავლის, რომ ოღვი მწიფე ხაფოფთ უნდა ვწვევტდეთ და ვჭამდეთ, Instil. de re. di., § is ad quem., et ff. de acti. empt., l. Julianus, მხოლოდ ასაკში მოხულ, მოწიფულ ახულთ უნდა ვათხოვებდეთ, ff. de donat. int. vir. et uxo., l. cum hic status, § si quia sponsa., et XXVII, q. I c. sicut გვაუწყებს gl.:

Jam matura thoris plenis adoleverat annis Virginitas\*\*\*\*,

და ცხოვრების სუყოველ შემთხვევაში ჯერ არს, რომ სრულ სიმწიფეს დაველოდეთ: XXIII, q. II, § ult. et XXXIII d. c. ult.

\* გაბედულად თუ ვილაპარაკებო (ლათ.).

\*\* რასაც შენის ნებით მოიკიდებ, ადვილი სატარებელიათ (ლათ.).

\*\*\* რაც სხებისთვის წამალია, ის საქმისთვის სასამართლო გადაწყვეტილებაათ (ლათ.).

\*\*\*\* როგორც გვაუწყებს გლოსა; ქალი სარეცლისათვის იზრდებოდათ და მწიფდებოდათ (ლათ.).

თავი XLI

პირველი უბნის ბრილუა ერთი მომრიგებელი  
შუამავლის ამბავსა

ეროვნული

— აქა ერთი ამბავი გამახსენდა, — ვანაგრძობდა ბრილუა *მომრიგებელი* შუამავლები იურიდიულ ფაკულტეტზედ რომ ესწავლებიდა, სწავლებით *Brocadium juris*\* გვასწავლიდა, სმარეში ვინმე პერენ ბენტურა ცხოვრობდა, დარბაისელი, კეთილი მხენელ-მთესველი კაცი, ეკლესიაში დიდებულად გალობდა, სუყოველნი პატივსა სცემდნენ, თქვენზედ სუყველაზედ დიდი იყო: ის ამბობდა ხოლმე, ჩემი თვალთ მყავს ნახული ერთი უბირი აყლაყუდა სახელად ლატერანის კრება<sup>1</sup>, რომელსაც ფართეფარფლებიანი თავსაბურავი ეხურა, და იმისი ღირსეული მე- ულლე პრაგმატიკული სანქცია<sup>2</sup>, რომელსაც სპარსული ატლასის კაბა ემოსა და მომსხო გიშრის კრიალოსანს ეჭირათ.

აი ამ წესიერმა კაცმა სიამტკბილობით ბევრად უფრო მეტი დაუა და დავი- დარაბა განასრულა, ვინემ პუატიეს სასამართლო პალატამ, მონმორიიონის თე- მის სასამართლომ და სასოფლო სასამართლომ პარტენე-ლე-ვიეში, რითაც მთელ მხარეში გაითქვა სახელი. სადმე რომ დავა, ცილობა და ჩხუბი ატყდებოდა, შოვინი იქნებოდა ეს თუ ხუაიე, კრუტელე, ენე, ლიგუეე, ლა-მოტე, ლუზინიანი, ვივონე, მეზო, ეტაბლე ანდა ახლომახლო სოფლები, უმაღ უმაღლეს მოსამართ- ლეზედ უკეთესად წყვეტდა თავისი დამაჯერებელი სიტყვისა წყალობით, თუმ- ცადა არავითარი მოსამართლე არასოდეს ის არ ყოფილა, უბრალოდ კაი კაცი იყო და მეტი არაფერი, *Arg. in l. sed si unius, ff. de jureju., et de verb. oblig., l. continuus*. სადაც კი ღორი დაიკვლოდა, კარგ შემწვარ ნაჭერსა და ბეხეულს იმასთან მოარბენანებდნენ. თითქმის ყოველდღე ვიდაც აუცილებლად უძახდა ნადიმზედ, ქორწილში, ქეიფ-ლხინში, ნათლობაში ან არადა სამიკიტ- ნოში, რათა ჩხუბი რამ მოეგვარებინებინათ, და ისიც, ხანამ მოღავეთ ერთმანეთ- ში მოარიგებდა, ჯერეთ აუცილებლად ერთ-ორ ჭიქას დააღვევინებდა ნიშნად დაჯავებისა, სრული თანხმობისა და ამა სასიხარულო ამბისა, *ut no. per doct., ff. de peri. et comm. rei vend. l. l.*

იმას ერთი ბიჭი ჰყავდა, ტენო ბენტურა, ბრგე ყმაწვილკაცი, ღმერთმა ყვე- ლას მისცეს იმისი ჯანი და ღონე, პატიოსანი ყმაწვილი იყო და მამის კვალზედ იმანაც შუამავლობა მოინდომა, რამეთუ, მოგვხსენებათ,

*Saepe solet similis filius esse patri  
Et sequitur leviter filia matris iter\*\*.*

*ut ait gl., VI q., l. c. Si quis: g. de const., d. V, c. I li; et est no. per- doct. C. de impu. et aliis subst., l. ult. et l. legitimae, ff. de stal, hom., gl. in l. quod si nolit, ff. de edil. ed., l. quis, C. ad le. Jul. majest. Exci- pio filias a moniali susceptos ex monacho\*\*\*, per gl. in c. Impudicas,*

\* სამართლისმცოდნე ბროკადიუმი. ბროკადიუმი — შუა საუკუნეების ერთ-ერთი იურიდიული ტერმინის გალათინურებული ფორმა.

\*\* ბიჭი მისდევს მამის კვალსა.

ღედის კვალი უჯობს ქალსა (ლათ.).

\*\*\* წესი ესე არ ითვალისწინებს იმა ბავშვთ, მონაზონს ბერისგან რომ ეყო- ლა (შუასაუკ. ლათ.).



XXVII კ. I. და თავის ქაღალდებში აგრეთ უწოდებდა თავის თავს: მოძრიგებელი შუამავალი.

ამა საქმეში ის რო არაწვეულებრივ გულმოდგინებდა და სიფხიზლეს იხენდა, ნუ იტყვიან! სულ გაყვანილებული იყო, რამეთუ *vigilantibus jure subveniunt\**, ex l. pupillos, ff. quae in fraud. cred., *et in fraud. j. n. m. et Instit. in prooemio*, და როგორც დაეხოსავდა, ut ff. si quad. paup. fec. l. Agaso, gl. in verbo oliecit, i. nasum ad eulum posuit\*\*, და გაიგონებდა, აქა და აქა დავა ან ჩხუბი იწყებოდა, უმაღლესი განხედებოდა, მოსარიგებლად ჩაერეოდა.

ნათქვამია, *Qui non laborat, non manige ducat*†, და ამასვე ამბობს gl., ff. de dam. infect., l. quamvis, et currere, უფრო სწრაფად, ვინემ ნაბიჯით.

*Vetulam compellit egestas\*\*\*;*

gl., ff. de lib. agnos., l. Si quis pro qua facit; l. Si plures, C. de cond. incer. მაგრამ რაღაც ხელი არ ემართებოდა, სულ უბრალო საქმესაც თავს ვერ აღგამდა, იმის მაგივრად, რომ მოდავენი შეერიგებინა, ის კიდევ უფრო აღიზიანებდა და აბოროტებდა. მოგვხსნებათ, მეუფენო, რომ

*Sermo datur cunctis, animi sapientia paucis\*\*\*\*;*

gl., ff. de alie. ju. mu. caus. fa. l. II. სმარველი მიკიტნები კი უბნობდნენ, ამის ხელში მოელ წელიწადს ვერ ვყიდით იმდენ „მირონ“ ღვინოს (ასე უბნობდნენ ისინი ჩინებულ ლიგუჟურს), რამდენსაც მამამისის ხელში ნახევარ საათში ვყიდით. ერთხელაც მან თავისი დანავსულობის ამბავი მამას შესჩივლა, მიზნებს თავის თანამედროვეთა ზნეობრივ წახდენაში ხელავდა, ხალხი ძველ დროშიც ესეგვარად გაფუჭებული, ესეგვარად მოდავე, ესეგვარად თავაშვებული და გაბოროტებული რომ ყოფილიყო, როგორც დღეს არისო; პირში მიუთხრო თავის მამას, შენი საპატოო მოძრიგებელი შუამავლის წოდება სადავო გაგახდებოდაო. ბარემ აქვე შევნიშნავ, რომ ტენომ ამით დაარღვია ის კანონი, რომელიც შვილო უკრძალავს თავიანი მშობელთა გაკიცხვას, per gl. et Bar., l. III, § Si quis, ff. de condit. ob caus., et Antent., de nup., § Sed quod sancitum, coll. IV.

— ვერა ვერაფერს გახდები, შვილო ჩემო ბენტურავ, — სიტყვა გაუტრიზავა პერენმა. — სხვაგვარად უნდა მოიქცე, ხომ იცი,

სადაც oportet\*\*\*\*\* ამუშავდება,  
იქ ყველაფერი დამუშავდება.

\* საქმიან ხალხს კანონებიც ეხმარება (ლათ.).

\*\* კანონი „შეჯორე“; გლოსა სიტყვებისთვის „როგორც კი დაეხოსავდა“ — ნიშნავს „ცხვირი უკანალზედ მიაღო“ (ლათ.).

\*\*\* გაჭირვება დედაბერსაც არბენინებსო (ლათ.).

\*\*\*\* ლაპარაკით ყველა ლაპარაკობს, მაგრამ ბრძნულად აზროვნება ცოტას შეუძლია. — ციტატა დიონისიუს კატონიდან, მოძარჯვებული გლოსაში, რომელსაც იმოწმებს ბრიდუა.

\*\*\*\*\* ჯარ არს, ხაჭირთა (ლათ.).

gl. C. de appell., l eos etiam. ძალის თავი აქ არა მარხია. შენ ვერას-  
დროს ვერ გაარიგებ საქმეს. რატომ? შენ მაშინ იწყებ საქმეს, როცა ის თვითონ  
ახალი დაწყებულია, ჯერეთ უნდელი და უმწიფარია. ჩემი გაურიგებელი არც-  
ვის უნახავს. რატომ? რატომ და, საქმე ბოლოში როა მისული, მაშინ ვკიდებ  
ხელსა, როს უკვე კარგად მომწიფებული და გადახარშულია; აგრე ვკუწვებს gl.:

Dulcior est fructus post multa pericula ductus\*,

l. non moriturus, C. de contrahend. et comit. stip.

განა გაგონილი არა გაქვს ანდაზა: იღბლიან ექიმს მაშინ ეძახიან, საქმე  
უკვე მორჩენისკენ რომ არისო? ექიმი ჯერეთ მისულიც არ არის, ავადმყოფო-  
ბამ კი კრიზისის შემდეგ თვითონ იწყო გავლა. ზუსტად აგრე ემართებო-  
დათ ჩემთა მოდავეთაც; იმათი დავა თავისთავად ცხრებოდა იმის გამო, რომ  
ორსავე მხარეს ქისანი უთხელდებოდა; ისინი თავისითვე წყვეტდნენ დავას და  
სასამართლოში ხეტიალს; ჯიბეში უკვე იმდენი აღარ უჩხრიალებდათ, რომ სა-  
სამართლოში თრეულიყვნენ და ედავათ:

Deficiente pecu, deficit omne, nia\*\*.

აი მაშინ იმათ ოდენ პარანიმყო<sup>†</sup>, ანუ მოციქული ვინმე და შუამავალი ეჭირ-  
ვებოდათ, რომელი შუამავალიც პირველი ჩამოუგდებდა შესარიკებელ სიტყვას  
და ამით ერთ მხარესაც იხსნიდა მითქმა-მოთქმისაგან და მეორესაც: „პირველი  
ეს დანებდა; ამან პირველმა შესთავაზა შერიგება; პირველმა იმან ველარ გაუძ-  
ლო; გრძნობდა, რომ სიმართლე მეორის მხარეზედ იყო; იცოდა, რომ მაინც ვერ  
მოიგებდათ“. მეც სწორედ ამ დროს გაეჩნდები ხოლმე იქა, ნადირმაც ვგრე იცის,  
მონადარეს ეტანება: ჩემი ჟამიც მაშინ დგება, შანსი მაშინა მაქვს, ბედი მაშინ  
მადიმის. დაშერწმუნე, ჩემო კოხტა შვილო ბენტერავ, რომ ამა ხერხისა გამო-  
ყენებელი მშვიდობას თუ არა, დაზავებას მაინც მივალწვევდი დიდ ხელმწიფესა  
და ვენეციელთა შორის, იმპერატორსა და შვეიცარიელთა შორის, ინგლისელთა  
და მოტლანდიელთა შორის, პაპსა და ფერარელთა შორის. კიდევ განვაგრძო?  
ღვთისა შეწევნით თურქეთის სულთანს სპარსეთის შაჰთან დავაზავებდი, თათართ  
მოხკოვიტელებთან.

დროს ვუხელთებდი, ზუსტად იმ ხანებში მივადგებოდი, ბრძოლისგან არა-  
ქათგამოცლილნი რომ ექნებოდნენ, როს ზანდუკნი დაუცარიელდებოდათ, როს  
ცარიელზედ დასმულ ქვეშევრდომთ არცრა მისატანი აღარ ექნებოდათ, როს  
დედულ-მამულთ უკვე სულ მთლად დაჰყიდიდნენ, მიწას დააგირაუებდნენ, როს  
მომარაგება და სურსათ-სახოვავე ერთიანად გამოეღეოდათ. აი მაშინ კი, თა-  
ყად ღმერთსა და ღვთისმშობლისა სახელსა ვფიცავ, ძალაუნებურად მოუწევდათ  
ცოტა სულის მოთქმა და თავიანთი საომარი ჟინისა დაოკება. არის ესეკითარი  
დებულება in gl XXXVII, d. c. Si quando:

Odero si potero; si non, invitus amabo\*\*\*.

\* თუ შენი ბრძოლის წილია, ის ხიხარული ტკბილია (ლათ.).

\*\* ასს თუ გადაჰყრი, ზედ ათასიც მიჰყვება ძალე (ლათ.).

\*\*\* უკვე მძულდები, სიყვარული აღარ გამოვა, — ოვიდიუსი, „სიყვარულის  
ელეგიები“, III, XX, 35.

თაჰო XLII

პითარ ჩნდება სასამართლო საქმენი  
და რარიბ მწიფდება ისინი



—აი რატომ არის, მეუფენო, — განაგრძობდა ბრიდუკი, — თქვენი არ იყოს, ვაჭიყველავებ დროს და ეუცდი, სანამ საქმე მომწიფდებოდეს და დავარგდებოდეს ყველა თავის ახო-სახსრთანად, სახელდობრ: როგორაც აქტთა, ისე ჩანთათა შიგან. Arg. in l. Si major., C. commu. divi, et de cons. d. l. c. Solennitates, et ibi gl.

სასამართლო საქმე თავისი გაჩენის ჟამს, თქვენი არ იყოს, მეუფენო, მეც უფორმო და არასრულყოფილ საქმედ წარმოძიდგენია. ახალმოგებული დათვის ბულისა მსგავსია: ესეგვარ ბელსა ვერ შეატყობ ვერცა ფეხთ, ვერცა ტორთ, ვერცა ტყავსა, ვერცა ბალანსა, ვერცა თავსა, ერთი ტლანჭი და უფორმო ხორცის ნაჭერია, მაგრამ როგორც კი დედა დათვი გალოკავს, ცალკეული ორგანონი გასარჩევი უხდება, ut no. doct., ff. ad leg. Aquil., l. II, in fi.

მსგავსად ამისა, თქვენი არ იყოს, მეუფენო, სასამართლო საქმენი, რომლებიც ახლად ჩნდება, პირველ ხანებში მეც ისე წარმოძიდგენია, რომ არც ფორმა აქვთ და არცა ორგანონი. იმხანად სასამართლო საქმე ორიოდ ქაღალდს თუ შეადგენს: გონჯი ცხოველის სახე აქვს, მაგრამ როს იმ ქაღალდებით ჩანთებს პირთამდე შეავსებთ, გარშემო მიმოუფენთ და დაზვიანავთ, აი მაშინ კი შეგიძლიათ, რომ გულზედ ხელი დაიდოთ და თქვათ, ყველა ეს საქმე მომწიფდაო, ფორმა შეიძინაო, რამეთუ *forma dat esse rei\**. l. Si is qui, ff. ad leg. Falci. in c. cum dilecta extra de rescrip; Barbatia consil. 12, lib. 2, ხოლო კიდევ უფრო ადრე Balb. in c. ulti extra de consue., et l. Julianus, ff. ad exhib., et l. Quaestium, ff. de leg. III. ძეგითითებთ gl. p. q. l. c. Paulus:

*Debile principium melior fortuna sequetur\*\*.*

როგორც თქვენ, მეუფენო, ზუსტად იმდაგვარადვე, სასამართლოს აღმასრულებელნი, სასამართლოს ბოქაულები, დარაჯნი, საქმეთა რწმუნებულნი, პროკურორნი, კომისარნი, ვექილნი, სასამართლოს გამომძიებელნი, საქმისა მწარმოებელნი, ხოტარისუნი, ვადამწერელნი და ადგილობრივი მოსამართლენი გამუდმებით და უსუსტრად სწოვენ მოდავე მხარეთა ქისა-ჩახვთ, რისა გამოც სუყველა დავას ჟამთა განმავლობაში უჩნდება თავ-თავისნი თავნი, ფეხნი, ბრჭყალნი, ნისკარტნი, კბილნი, თათნი, ვენანი, არტყერაები, ნერვნი, კუნთნი, წვენები. სულ ზემოთ ჩანთასი რომ ვახსენე, სწორედ ამას ვკულისხმობდა; gl. de Cons. d. IV c. Accepisti.

*Qualis vestis erit, talia corda gerit\*\*\*.*

*Hic no.* რომ ამა აზრით მოდავენი უფრო ბედნიერნი არიან, ვინემ იუსტიციის მინისტრნი, რამეთუ *beatius est dare quam accipere\*\*\*\**, ff. commun., l. III et extra de celebra. miss., c. cum Marthae, et 24 q. I c., Odi. gl.;

\* საგანი თავისი არსებობით ფორმისგან დავალებულია (ლათ.).  
\*\* თუმც დასაწყისი კინი იყო, დასასრული დიდებულია (ლათ.).  
\*\*\* კაცსა ზედ ახატია, გულსა რაცა სწადია (ლათ.).  
\*\*\*\* უფრო ნეტარია აამცემელი ვინემ აღებელი. — „მოციქულთა საქმე“, XX, 35.

Affectum dantis pensat censura tonantis\*.

ახერხად აღწევს სასამართლო პროცესი სრულყოფილებას, სიმწყობრეს და ფორმის სიღამაზეს, რასაც დიახაც ადასტურებს gl. can:

Accipe, sume, cape sunt verba placencia papae\*\*

და რაც კიდევ უფრო გარკვევით არის გამოხატული ალბერტი დუ-როსტას მიერ in verb. Roma:

Roma manus rodit; quas rodere non valet, odit;

Dantes custodit, non dantes spernit et odit\*\*\*.

და იმის კითხვა: რატომ?

Ad paesens ova cras pullis sunt meliora\*\*\*\*.

ut est glo., in l. Quum hi, ff. de transact. საპირისპირო წესის უსარგებლობა გამოცემულია in gl. C. de allu. l. F.:

Cum labor in danno est, crescit mortalis, egestas\*\*\*\*\*.

ოვითონ სიტყვა პროცესი წარმოადგება სიტყვა მომცესიდან, ჩვენი მაჩახია, რაც შეიძლება ბევრი მოგვცენ და ბევრი მოვატყმინოთ. აქ ერთ სუმრობას შეგახსენებთ:

Litigando jura crescent;

Litigando jus acquiritur\*\*\*\*\*.

Item gl. in. c. Illud, ext. de Praesumpt., et C. de prob., l. Instrumenta, l. Non epistolis, l. Non nudis:

Et cum non prosunt singula, multa juvant\*\*\*\*\*.

— ეს გასაგებია, მეგობარო, — მიუთხრო სიტყვისმერულმა. — მაგრამ იმ სისხლის სამართლის საქმეთ როგორღა გახსნიდავ, ოდეს ბრალდებულნი შეკრობილნი არიან flagrante crimine\*\*\*\*\*.

— თქვენებრ, მეუფენო, — მიუგო ბრიდუამ. — მოსარჩელეს ნებას ვრთავ და უყულებას ვაძლევ, რომ პროცესის წინარე კარგად გამოიძინოს, ამის შემდგომ კა უნდა გამოცხადდეს ჩემთან და წარმომიდგინოს წვლილად ჩამოწერილი და ორიდოულად დასაბუთებული ანგარიში ყველაფერ იმისა, რაც იძილისშორისა, ანუ რაც ეზმანა, თანახმად gl. 32, q. VII c. Si quis cum,

Quandoque honus dormitat Homerus\*\*\*\*\*.

\* თუ წყალობის წყურვილია, თავად ღვთისა სურვილია (ლათ.).

\*\* ძღვენი, საბოძვარი, ხასუქარი — პაპის გულის მაშუქარიო. (ლათ.).

\*\*\* გლოსაში სიტყვისთვის „რომი“:

რომი მძარცველია, არცრის არ სცხვენია,

სულ თავისად უნდა, რაც რამ საძღვნელია (ლათ.).

\*\*\*\* დღევანდელი კვერცხი ხჯობს ხვალინდელ ქათამსაო (ლათ.).

\*\*\*\*\* ხად შრომა არა მთავრობსო, იქ სიღატაკე მძღავრობსო, — კატონ უფროსის აფორიზმი.

\*\*\*\*\* დავა აყვავებს კანონთ, დავა სამართალს აწრობს (ლათ.).

\*\*\*\*\* ხად ცოტა რამ არა კმარა, იქ სიმრავლე წაკვადგება. — ოვიდიუსი, „სამუალებანი სიევარულის წინააღმდეგ“, 426.

\*\*\*\*\* დანაშაულის ადვილას (ლათ.).

\*\*\*\*\* ხან კეთილი ბერიკაცი პომეროხიც იძინებს ხილმე. — პირაციუსი, „პოეტური ხელოვნება“.

აქტი ესე წარმოშობს პროცესის რომელიღაც ახალ, სხვა ორგანოს, იმისგან ჩნდება მესამე, ასე თანდათან, პწკენა-პწკენაში, ნათქვამია, დედოფალი დაორსულდაო. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ პროცესი ყველა ინფორმაციის წყალობით კარგად ჩამოყალიბებულია და ამა პროცესის სუყოველმა ასოსახსარმა სრულყოფილებას მიაღწია. მხოლოდ ამისა შემდგომ ვახსენებ კამათელთ, და უნდა უწყოდეთ, რომ მე პირველს არ მიმიშინავს მსგავსა დაუსაბუთებელი გაჭიანურებისთვის და პირველს არცა ძილთან დაკავშირებით ცნობილი ცდა მომიხდენია.

ერთი ესეგვარი შემთხვევა მაგონდება: ვინმე გასკონელმა, სახელად გრასიანომ, წარმოშობით სენსევერელმა, რომელიც სტოკჰოლმის ალყაში მიხაწილებოდა, სულ ერთიანად წააგო, რაც რამ ფული ჰქონდა და ამა ამბით დიდად იყო გაჯავრებული, მოგეხსენებათ, რომ pecunia est alter sanguis\*, ut ait Antonij da Butrio in c. accedens., II, extra., ut lit. non contest., et Bald. in l. Si tuis. C. de op. li. per no., et l. advocati, C. de advo. diu jud.: Pecunia est vita hominis et optimus iidejussor in necessitatibus\*\*, და აი, ოდეს თამაში მორჩა, მან ხმაგახაფებულმა მიმართა ამხანაგთ: „Pao cap de bious, hillotz, que mau de pippe bous tresbyre; ares que pergudes sont les mies bingt et quouatte hageutttes, ta pla donnerien picz, trucz et patacz. Sey degun de bous aulx qui boille truquar ambe iou à belz embiz?“\*\*\*

მოსურვე არავინ გამოჩნდა; მაშინ მან „ასფუთიანთა“ ბანაკს მიაშურა და იმათაც ზუსტად ისევე მიმართა. დაღათუმცა ლანდსკნეხტო მიუთხრეს: „Der guascongner thut schich usz mitt ein jedem ze schlagen, aber er is geneigter zu staelen, darumb, Lieben frauen, hend serg zu inuerm haus-raut“\*\*\*\*. და არცვინ იმათგან შესარკინებლად არ გამოსულა.

მაშინ გასკონელი ფრანგთა როქის სპას მიაღვა, ისევ იმავე სიტყვებით მიმართა და საბრძოლველად მოუწოდა, გამოდით, რომელსაც ვინდათო, თან გასკონური კადნიერებით იქცეოდა. მაგრამ ხმა არცვის არ გაუცია.

ამისა შემდგომ გასკონელი იქავ მინდვრის ბოლოში წამოწვა იყრაგი კრისტიანის, დე კრისეს რაინდის, კარავთა შორიახლო, და დაიძინა.

სწორედ იმხანად როქისა სპას ერთ-ერთი ჯარისკაცი, რომელსაც აგრეთვე მთელი თავისი ფული წაუგო, ბანაკიდან ხელდაშნაანი გამოვიდა, რამეთუ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თანაიღბლიან გასკონელს შეებოდა:

\* ფული მეორე სისხლია (ლათ.).

\*\* ფული ადამიანისათვის სიცოცხლეა და აუცილებლობის შემთხვევაში ყოველის უფრორე საიმედო თავდება (ლათ.).

\*\*\* ხარისა თავსა ვფიცავ, ბიჭებო, თუ ვინდათ, რომ გალელეტდეთ, გალექდეთ და გაილემთო, რახან რაც მქონდა, ოცდაოთხივე ხვადაგი დამაკარგინეთ, მაშ, მოდით მჯიღზედ, ალიყურზედ და კინწისა კვრაზედ, ანუ ქიმუნჯზედ ვითამაშოთ, რომელი გამოხვალთ ჩემთან პატიოსან ბრძოლაში? (გასკონ.). „ხვადაგი“ — მონეტა.

\*\*\*\* გასკონელი იკვეხნის, რომ სულ ერთია, რომელ ჩვენგანს შეეჭიდება, სინამდვილეში კი რაღაცის აწაპენა უნდა, მაშ, აბა, ჩვენი საყვარელო ცოლებო, ბარგს გაუფრთხილდით (გერმ.).

Ploratur lachrymis amissa pecunia veris\*.

გაუწყებს gl. de poenitent. dist. 3, c. sunt plures. ხან აქეთ ეძება მინდორში, ხან იქით და ბოლოს მიიხარეს წაადგა თავზედ. არცა აცოვა, არცა აცხელა და შეუძახა: „აი შე ეშმაკის კერძო, შენა! ადე, რას უწევხარ! ორჯენი ყველაფაწაგებულნი ვართ. ამისთანა სიცოცხლე აღარცა ღირს. ება, შე, უკაშპოცურად შევებათ! შეხე, დაშნებიც ერთნაირი გვაქვს“.

ელეთმელეთმოგვრილმა ნამძინარევმა გასკონელმა კი მიუგო: „Cap de saint Arnault, quau seys tu, qui me rebeillez? Que mau de laoverne te gyre. Ho, saint Siobe, cap de Guascoigne, ta pla dormie iou, quand aquoest taquain me bingul estée“\*\*.

მოხალისე ჯარისკაცმა ის კვლავ საბრძოლველად გამოიწვია, ვარნა გასკონელმა მიუგო: „Hè, paouret, iou te esquinerie, ares que son pla reposat. Wayne un pauc qui te posar comme iou; puesse truqueren“\*\*\*.

გასკონელს აღარც თავისი დაკარგული ფული ახსოვდა და ჩხუბის ხალისიც დაკარგა. რალა გაეაჭიაყელაო, იშის მაგივრად, რომ შებმოდნენ ერთუროს და ცოდვა ჩაედინათ – ერთმანეთი დაეხოცათ, თავიანთი დაშნების დაგირავება და ერთად დაღუვა გადაწყვიტეს. კეთილი საქმე ესე სულ ძილმა ქნა – სწორედ ძილმა დაუცხრო ორსავე სახელოვან მეომარს მძვინვარე გულისწყრომა.

ღიახაც ამა შემთხვევისთვის არის ზედგამოჭრილი ჯოვანი ანდრეას ოქროს სიტყვები in c. ult. de sent. et re judic., libro sexto: Sedendo et quiescendo fit anima prudens\*\*\*\*.

### თავი XLIII

ვითარ ამართლებს პანტაგრუელი ბრიდუას, სწორად იძცეოდო, ოდეს განჩინებანი კამათელთა მეშვეობით გამოჰძონდაო

ამით ბრიდუამ დაამთავრა. სიტყვისმყრელმან სასამართლო დარბაზის დატყვება უბრძანა, და იმანაც დაუტყუა. მაშინ სიტყვისმყრელმა პანტაგრუელს მიმართა:

– უავგუსტოესო უფლისწულო! მადლიერნი ვართ, რომ ურიცხვი წყალობით აავსე ჩვენი პარლამენტი, როგორაც რომ სრულიად მირლენგის მარკიზატი, მაგრამ არა მხოლოდ ნიშნად ამისა, არამედ ვითვალისწინებთ აგრეთვე ყველა იმა თვისებას, ყოვლად ძლიერსა უფალსა რომ მოუბოძებია შენთვის, სახელდობრ: შენსა ნათელ გონებასა, წინდახედულობასა, საარაკო განსწავლუ-

\* ფულდაკარგულნი ქვითინებენ, ცხარე ცრემლთ ღვრიან. (ლათ.). – იუვენალი, XIII, 134.

\*\* წმინდა არნოს თავსა ვფიცავ! ვინა ხარ, რას მადვიძებ? ოჰ, ერთი გაღუშოლი მაჩვენა შენი თავი! წმინდაო სევერ, გასკონიის მფარველო, გულის ძილში ვიყავი, ეს ვიღაც ოხერი მოხვენებას არ მაძლევს (გასკონ.).

\*\*\* ვაი, შე საწყალო! ისე ვარ გამოძინებული, სულ დაგიძტურეე მაგ გვერდებს!. წადი, შენც დაისვენე და მერე მოდი საჩხუბრად (გასკონ.).

\*\*\*\* სიწყნარესა და სიმშვიდეში სული ბრძენდება. – ეს ლათინურად თარგმნილი აფორიზმი ამონარიდია ფსევდო-არიისტოტელური „პრობლემებიდან“ (XXX, 14).

ლობასა და კანონით გაძლევეთ უფლებასა, რომ გადაწყვიტო არაჩვეულებრივი, უჩვეულო და გაუგონარი საქმე ბრიდუასა, რომელიცა თქვენის თვალთ მო-  
 ისხალეთ, რომელსაცა თქვენის ყურით მოუსმინეთ და რომელსაცა თქვენი თან-  
 დასწრებით აღიარა, კამათელთა მეშვეობით განვიკითხავო. ჩვენი თხოვნაა,  
 რომ საქმე ესე სამართლიანად, წესითა და რიგით განიხილოთ.

ანისა პასუხად პანტაგრუელმა ესეგვარად მიუგო: —

— უფალნო! როგორც მოგეხსენებათ, ჩემი მდგომარეობისა კაცსა სულაც არ შევალე სასამართლო საქმეთა გადაწყვეტა, მაგრამ რახან ესევეთარი პა-  
 ტივი დამდეთ, მოსამართლისა კი არა, დამცველისა მოვალეობას ვიკისრებ.  
 ბრიდუას ზოგი რამ ისეთი თვისება შევამჩნიე, რომელთა გამო, ვგონებ, გავა-  
 მართლო კიდევ. უწინარესად ვგულისხმობ იმის სიბერეს, მეორეც, იმის გულ-  
 უბრვეილობას, თქვენ კი ჩემზედ უკეთესად მოგეხსენებათ, ჩვენი სამართალ-  
 კანონისდა მიხედვით ხანდაზმულ და მიაშიტ კაცსა შეცოდება მიეტევება და  
 შეენდობა. შესამეც, ვეგრდნობი რა ჩვენთა კანონთ, კიდევ ერთ გარემოებას  
 ვითვალისწინებ, რომელიცა ბრიდუას სასარგებლოდ ლაპარაკობს, სახელდობრ,  
 ერთადერთი დაუდევრობა ესე უნდა ვაპატიოთ და წარვუხოცოთ. იგი უნდა გან-  
 ჭაზვით იმა სამართლიან განჩინებათა უკიდევანო ზღვასა შიგან, რომელი  
 განჩინებანიც მავას გამოტანილი აქვს თავისი ორმოცწლიანი უზადო სამსახუ-  
 რისა მანძილზედ; ეს იგივეა, რომ ავღვე და მდინარე ლუარაში ერთი წვეთი  
 ზღვისა წყალი ჩავუშვა, იმა ერთ წვეთსა ვერცვინ ვერ იგრძნობს და იმისგან  
 არცა კიდევ ლუარაში წყალი გაძლამდება.

ვგონებ, სუყოველი წინა გადაწყვეტილება, რომლებიც კი ბრიდუას აგრეთვე  
 კამათელთა მეშვეობით გამოუტანია, არცთუ ღვთისა შეუწყვენელად აღიარა  
 სწორად თქვენმა პატივცემულმა უზენაესმა სასამართლომ, ხოლო უფლისა  
 დიდება, როგორც მოგეხსენებათ, ხშირად ბრძენთა მოყივნებით, ძლიერთა და-  
 სხობით და უაზნოთა და თვინიერთა ამალღებით აღინიშნება. თქვენის ყურად-  
 ლების ბოროტად გამოყენებასა კვალად არღა ვაპირებ. თლონდ არა ჩვენი სა-  
 მეფო კარისა მიმართ მადლიერებისა გულისთვის — არავითარ მადლიერებაზედ  
 ლაპარაკი აქა არა ეგების, არამედ იმა სულიერი კეთილგანწყობილებისთვის,  
 რომელსაცა ჩვენ, ლუარის ორსავე მხარეს თქვენი წოდებისა და ღირსებისა  
 პატივისცემულნი, ძველთაგანვე ვგრძნობთ თქვენდამი, ამჯერად ერთსა  
 ვთხოვი — ბრიდუას საქმისა გამო გამამართლებელი განაჩენი გამოიტანოთ შე-  
 მდეგი პირობებისა წამოყენებით: ჯერ ერთი, საზეიმო აღთქმა დაადებინეთ,  
 რომ სუყოველ კაცთ დააკმაყოფილებს, ვისი საქმისა გამოც უსწორო გადა-  
 წვეტილება გამოუტანია (ამაზედ სიამოვნებით მითქვამს ჩემი დასტურიცა და  
 პოობაც); მეორე, დამხმარედ დაუნიშნეთ მავანი და მავანი ახალგაზრდა, მცო-  
 ლნე, წინდახედული, განსწავლული და ხათხო მრჩეველი, რათა სამომავლოდ,  
 რაც შეეხება სასამართლო წარმოებას, მან თავისი აზრი იმის მოსაზრებას  
 შეუჯეროს.

ხოლო თუკი სულაც საჭიროდ დაინახავთ ბრიდუას თანამდებობიდან გა-  
 დაუნებას, უმორჩილესად მოხოვნელი ვარ იმისა, რომ ჩემს სრულ განკარგუ-  
 ლაში ვადმომცეთ, ჩემთა სამფლობელოთა შინა ცოტა როდია ადგილიცა და  
 თანამდებობაც, სად იგი გამომადგება და სარგებლობასაც მომიტანს. ამისა შე-  
 მდგომ ვვედრი მაღალსა ღმერთსა, ჩვენსა შემქმნელსა, მომწარმოებელსა და  
 ყოველგვარი სიკეთისა მბოძებელსა, რათა არცროდის მოგაკლოთ თავისი წმინ-  
 და მადლი.

ამ სიტყვებთან ერთად პანტაგრუელმა თავი დაუკრა სასამართლოს და ღარბაზიდან გავიდა. იქავ კარებთან უცდიდნენ პანურვი, ეპისტემონი, ძმა ჟანი და სხვანი. სუყოველნი ცხენთა ზედა ამხედრდნენ და გარგანტუასთან გაეშურნენ.

გზადაგზა პანტაგრუელმა წერილად ჩაუწიგნა, ვითარ ჩაიარა ბრიდუას სასამართლომ.

ერმონული

ძმა ჟანმა პერეს ბენტერა გაიხსენა, ჯერეთ კიდეუ მაშინ ვცნობდეს, თლეს იგი ფონტენე-ლე-კონტში ცხოვრობდაო, ღრმად პატივცემულ აბატ არდიონის დროსაო.

გიმნასტი გასკონელს გადასწვდა, ფრანგსა რომ ეკრტიმლებოდა, დე კრისეს რაინდის, ლენდერა კრისტიანის კარავში ვიყავიო.

პანურვმა ეჭვი გამოთქვა, საქმე ალაღბედზედ არ უნდა წყდებოდესო, თანაც კიდეუ დიდი ხნისა განმავლობაშიო.

ეპისტემონმა კი პანტაგრუელსა მიუთხრო:

— რაღაცა მაგის მსგავსსა უბნობენ მონლერიელ<sup>1</sup> მოსამართლეზეც, შერედა, კამათელი ხომ წმინდა წყლის შემთხვევილობის ამბავია, ეგზომ ხანგრძლივად მოსამართლეს მაინც როგორ შერჩა ეს ყველაფერი? ერთი-ორჯერ საქმის ანდუზედ გადაწყვეტა კიდეუ მესმის, ისიც თუ საქმე რთული, აბურდულდაბურდული, ძნელი და ბნელია.

#### თავი XLIV

#### ამა პანტაგრუელი ერთ უჩვეულო ამბავსა ყვევა კაცობრივი აზრის მწიფობისა თაობაზედ

— ერთხელ გნუს დოლაბელას, აზიის პროკონსულსა, ერთი საქმისა გადაწყვეტა მოუხდა, — წართქვა პანტაგრუელმა, — არსი საქმისა შემდეგში მდგომარეობდა.

სმირნაში ერთსა დედაკაცსა პირველი ქმრისგან წილხედრი ჰყავდა სახელად აბევე. პირველი ქმრის სიკვდილისა შემდგომ ხანი რამ რომ გამოხდა, ის დედაკაცი მეორედ გათხოვდა, და მეორე ქმრისგანაც ვაჟიშვილი ეყოლა სახელად გედე. ისე მოხდა (მოგეხსენებათ, რა იშვიათად უყვარო მამინაცვალთ, მამამთილთ, დედამთილთ და დედინაცვალთ პირველი შამებისა და დედების შვილები), რომ ამა დედაკაცისა მეორე ქმარმა და შვილმა უჩუმრად, მუხანათურად, ნამალეუვად მოკლეს აბევე. ქმარ-შვილისა ეერავობისა და ბოროტების ამბავი შეიტყო თუ არა, გამწარებულმა დედაკაცმა გადაწყვიტა, რომ დაუსჯელი არ დაეტოვებინა ეს დანაშაული და თავისი პირმშოს მოკვლის სამაგიეროდ ქმარიც მოაკვდინა და შვილიც. დედაკაცი იგი დააპატიმრეს და გნუს დოლაბელას მიჰგვარეს. მკვლელმა სუყოველივე გულწრფელად აღიარა; ოდენ ერთსა გაიძახოდა დაჟინებულად, უფლებაც მქონდა და საფუძველიც ქმარ-შვილის მოსაკვდინებლადო. საქმისა ვითარება ესეგვარი იყო.

დოლაბელამ აღარ იცოდა, ვისი მხარე დაეჭირა ამა ორლესულ საქმეში. დედაკაცისა დანაშაული უდიდესი იყო: მეორე ქმარი და შვილი მოაკვდინა, მეორეს მხრივ, დოლაბელამ მკვლელობისა მიზეზი ბუნებრივად მიიჩნია, ხალხის წესსა და ადათს დაუკავშირა: ქმარმა და შვილმა პირმშო მოუკლეს, მოუკლეს საიდუმლო შეთანხმებით, ფარულად, მოკლულისგან არცა შეურაცხყოფილნი



ყოფილან და არცა განაწყენებულნი, ერთადერთი, რაიცა იმათ ამოქმედებდათ, სიხარბე იყო, იმათ უნდოდათ, რომ იმისი შემკვიდრობა ხელთ ჩაეგდოთ, და დოლაბელამ საქმე ესე ათენისა არეობაგში გადაიტანა, რათა გაეგრა, აბა, ერთი არეობაგი როგორ შეხედავს და როგორ გადაწყვეტსო. არეობაგის მიერ გამოტანილი დადგენილებით მოდავე მხარეთათვის ასი წლის განგლის შემდეგ უნდა გამოეძახათ და მაშინ უკითხათ ზოგი ისეთი რამ, რაიცა უქმნი უღებნიშნათ. მაშასადამე, არეობაგი ისე იყო შეცბუნებული და საქმეც ისერიგად ბნელი ეჩვენა, რომ არ იცოდა, რა გადაწყვეტილება გამოეტანა. არადა, კამათლისთვის რომ მიემართა, არავითარ შემთხვევაში ხათაბალაში არ გაეხვეოდა. დედაკაცსა მსჯავრსა თუ დასდებდა, ღირსიც იქნებოდა, რამეთუ მან თავისი ჯავრი თვითონვე ამოიყარა, ეს კი კანონით მართლმსაჯულების მოვალეობაა. გამამართლებელი განაჩენისთვის არეობაგსა აგრეთვე კმად ჰქონდა ბინიანი, ანუ სარწმუნო საფუძველი: ამა დედაკაცისა მძიმე მწუხარება.

მაგრამ ვითარ ახერხებდა ბრიდუა ესოდენი ხნისა მანძილზედ კამათლისა ყრასა — ჩემთვის ყოვლად გაუგებარია.

— მართალი ვითხრა, სრული გარკვეულობით ვერ გიპასუხებ მაგ კითხვაზედ, — წართქვა ეპისტემონმა. — ოდენ შემდეგი ვარაუდისა გამოთქმა შემძლია: განჩინებათა გამოტანაში ბედი რომ სწყალობს ალბათ იმით უნდა ავხსნათ, რომ მოსამართლე ბრიდუა ზეცისა უსაკუთრესი კეთილგანწყობილებით სარგებლობს და უმაღლეს მამოძრავებელ ძალთა გამორჩეული მფარველობისა ქვეშე იმყოფება იმისა გამო, რომ ბილანი, მიაშიტი და უზაკველი კაცია, არცა თავისი ცოდნისა იმედი აქვს და არცა თავისი უნარისა, დარწმუნებულია კანონთა, ედიქტთა, დადგენილებათა და ბრძანებულებათა ანტიინოძიურობასა და წინააღმდეგობრიობაში, კარგად უწყის ვერაგობა ჯოჯობეთისა კარზედ შემდგარი ცილისმწამებლისა (ზშირად ნათლის ანგელოზსა რომ ემგვანება და თავის დამქაშთა დახმარებით, სახელდობრ: მოსყიდულ ვექილთა, მრჩეველთა, პროკურორთა და სხვათა მსგავსთა ხელშეწყობით შავსა თეთრად აქცევს და მჩხიბაობით როგორც ერთსა, ისე მეორე მხარესა ჩააგონებს, შენ მართალი ხარო, — მოგეხსენება, თვით აშკარად უსამართლო საქმისა დამცველნიც კი მოიძებნებიან, სხვაგვარად არცა იქნებოდა ქვეყნად სასამართლო საქმენი); ჩემი ვარაუდით ბრიდუა მორჩილად ანდობს თავსა სამართლიან მსაჯულსა — დმერთსა; შემწედ უხმობს ღვთაებრივ მადლსა, საბოლოო განჩინებათა სრულ შემთხვევითობასა და მერყეობასა ჩახვედრილი სასოებს სული წმიდასა და კამათლისა ყრით იგებს იმის ხმასა და ნება-სურვილსა, რასაცა ჩვენ სასამართლო გადაწყვეტილებას ვარქმევთ; ჩემივე ვარაუდით სწორედ ეს უმაღლესნი მამოძრავებელნი ძალნი ისერიგად უგორებდნენ კამათელსა და ისე უსვამდნენ, რომ ხელსაყრელი ყოფილიყო იმისთვის, ვინცა სამართლიანად ჩიოდა და მართლმსაჯულებისგან თავის კანონიერ უფლებათა დაცვას ითხოვდა, აკი ვუწყით კიდევ თალმუდისტთა აზრი, რომ კენჭისა ყრაში არარა არის ცუდი და ოდეს კაცნი მღელვარებასა და იჭვნულობას შეუბერია, ღვთისა ნება სწორედ რომ წილისა ყრაში ვლინდება.

ვერ ვიტყვი, ვერცა ვიფიქრებ და არცა ვგონებ, რომ კამათლისა ყრით აღდებდნენ საქმისა გადაწყვეტა უარესია, ვიდრე მაშინ იქნებოდა, თუ ეს საქმე სისხლით შედებილ და მიმკერძოებულ ხელში ჩაუვარდებოდათ გაუგონარ თვალთმაქცთ და აშკარა მექრთამეთ, რომელნიცა მერლინგის პარლამენტში კაცთ სასამართლებენ. მეტადრე თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ შთელს იმათ

სასამართლო წარმოებას სათავე დაუდო ვინმე ტრიბონიანემ,<sup>1</sup> კაცმა ღია უპატიოსნოდ, მუხანათმა, უხეშმა, ბოროტმა, გახრწხილმა, ხარბმა და თადღისიმა: იდგა და კანონებით, ედიქტებით, რესკრიპტებით, დებულებებით ~~ვაჭრობდა~~, — ვანცა მეტს მისცემდა, — და ამიტომაც სულ ნაჭერ-ნაჭერ დაჭრა ისინი და კანონთა სწორედ ის ნაფლეთ-ნაგლეჯებია, რომელთაც დღეს ვიხსენებთ ~~ხელს~~ რაიცა კანონსა მთლიანობას ანიჭებდა, სუყველაფერი მოსპობდა ~~და უკანსდგურა~~ ამის შიშით, რომ თუ ძველ იურისტთა კანონი, წიგნები, აგრეთვე თიორმეტიცხრილი და პრეტორთა ედიქტები სრულად შემორჩებოდა, მაშინ მთელი იმისი სულმდაბლობა გამოაშკარავდებოდა.

აი, რატომ იქნებოდა უკეთესი მოღავეთათვის უფროსერთ შემოხვევაში ხაფანგში მოხვედრა (უფრო სწორად თუ ვიტყვით, ეს ნაკლებ ბოროტებას მიაყენებდა), ვიდრე იმაზედ დათანხება, რომ იმათი უფლებანი სასამართლო დანასკვთა და გადაწყვეტილებათა ბულულქვეშ დამარხულიყო, — ტყუილად როდი გამოთქვა თავის დროზედ კატონმა სურვილი და აკი რჩევაც მოაყოლა, სუყოველი სასამართლოს ეზო ხაფანგებით მოკირწყლეთო.

## თავი XLV

### პირთა მთავიბრება პანურგი ტრიბუნუსსა

ამიხა შემდეგ შეექვსე დღესა პანურგი სწორედ იმ დროს დაბრუნდა შინა, როს ბლუადან წყალდაწყალ ჩამოსული ტრიბუნლე ესტუმრა.

პანურგმა მიუბოძა კარგად გაბურღილი ღორის ქანთილი, რომლისა შიგან ბარდა ეყარა და ის ჩხრიალებდა, ოსტატურად მოვარაგებულ ხისა დაშნა, კუს ბაკნისა სამონადირეო აბგა-მახალაკი, ბრეტონული ღვინით სავსე ბოცა და კვარტერონი, ანუ ცენტნერისა ნაოთხალი საუცხოო ბლანდიუროსული ვაშლი.

— ვითომ ეს მართლა ბრიყვი და სულელია? — იკითხა კარპალიძმა.

ტრიბუნუმ მხარიდლივ გადაიკიდა დაშნა და აბგა-მახალაკი, ქანთილი ხელში დაიჭირა, ვაშლისა ნაწილი შეჭამა და ღვინო სულ დალია.

პანურგსა მთელი ამ დროის მანძილზედ თვალი არ მოუშორებია.

— ჯერეთ არცროდის მინახავს იმისთანა სულელი, — შეხვედრით კი რატო ათი ათას ფრანკისაზედ მეტნი არ შემხვედრიან, — ვისაც უნდო-მანდოდ ესვას და ბოლომდე არ დაეცალოს, — წართქვა მან ბოლოს.

მერმე მან თავისი საქმის არსი მიუთხრო, ნატიფად და მაღალფარდოვნად ჩაუწიგნა.

დალათუმცა, სათქმელი ბოლომდე არცა დაეშთავრებინა, ტრიბუნუმ პასუხისა ნაცვლად ერთი მაგრისა ჩასცხო ბეჭებში, ბოცა ხელში შეაჩეჩა, ქანთილი ცხვირში სთხლიშა, თავი შეატრიალ-შემოატრიალა და ჩაიბურტყუნა:

— ხელი არ მახლო, არ მომეგარო, შე გადარეული სულელი! ბერისა ცუცხლსა უფროსილდი, შე რქაბმული ბიუჩანსეურო გუდა-სტვირო!

ამისა თქმა იყო და ტრიბუნლე განზედ გადგა, ქანთილისა ქნევას მოჰყვა, ბარდისა მარცვალთა საამოვნო ჩხრიალით იტკობდა ყურსა. არცრა სიტყვა არღა დასცდენია, კრინტი ვედარ დაამკრევეინეს, პანურგს უნდოდა, რომ კიდევ ცოტა რამ ეკითხა, მაგრამ მან მუქარით მოუღერა თვისი ხისა დაშნა.

— მოხალისე საქმეა! — იხმაძაღლა პანურგმა. — უკეთეს კაცი ვერ მოიგონებდა! ეს რომ სულელია, არავითარ ეჭვსა არ იწვევს, მაგრამ ამისა აქა მოძვეანა უფრორე სულელია, მე კი ყოველთა სულელთა სულელი ვარ, რამეთუ გული გადავუშაღე.

— ძაღლსა სცემდნენ, რძაღს ასმენდნენო, — წარმოქცა ქანობა.

— მოდით, მშვიდად განვიხილოთ სუფოველი ამის მოტყუება და სხეულისა მოძრაობა, ანუ მიხრა-მოხრა. — შესთავაზა პანტაგრუელმა, — ამა კაცში მე ბევრი რამ იღუმალი დავინახე და სულაც არღა მიკვირს, რომ თურქთა თვალში სულელი, მუსაყი! და წინასწარმეტყველი ერთი და იგივეა. სუფველას ერთნაირ პატივსა მიაგებენ. მიაქციეთ ყურადღება, ხანამ ხმასა ამოიღებდა, თავსა როგორ აქნევდა და აკანტურებდა? ძველთა ფილოსოფოსთა მოძღვრება, მოვკთა წეს-ჩვეულებანი და იურისტთა დაკვირვებანი გვიძტკიცებენ, რომ მოძრაობასა ამას იწვევს ვრძნება და შთავიზება წინასწარმეტყველური სულისა, რომელიცა ანაზღეულად შედის სუსტსა და მცირე სუბსტანციაში (ოქვენ კი მოგვხსენებთ, დიდი ტვინი პატარა თავში არ ეტყევა) და ისე მძლავრად არევეს, რომ, მედიკოსთა ენით თუ ვიტყვით, ადამიანის სხეულისა სუფოველნი ასო-სახსარნი იწყებენ კანკალსა, და ეს ხდება როგორც ტვირთისა სიძიმისა და ამა ტვირთისა დაცემის მძაფრი სისწრაფისა გამო, ისე იმის გამო, რომ ორგანი ვერ ერევა ამა ტვირთისა, ვერა ზიდავს. თვალადსახენ მაგალითსაც აქავე მოგახსენებთ: ოდეს უზმოზედ ღვინიანი ყანჭყანჭისა, ანუ წიბოიანი ფიალისა აწევა გვიხდება, ბევრთ ხელნი უკანკალებთ.

ამისა პირველსახესა ჯერეთ კიდევ უძველეს წარსულში ვპოულობთ: გულთმისანი პითაა, ვინემ მისნობას დაიწყებდა, უწინ თევის დაფნისა რტოს აქნევდა.

კიდევ მაგალითი: ლამპრიდიუსი ამტკიცებს, იმისთვის, რომ წინასწარმეტყველის სახელი მოუხვეჭათ, იმპერატორი ელაგაბალი თავისი უპირველესი კერპისა პატივისცემის ნიშნად გამართულ დღესასწაულზედ, ოდეს გარს ფანატიკოსნი და საჭურისნი ეხვეოდნენ, ყოველთა თვალწინ თავსა აქნევდა ხოლმეთ.

კიდევ მაგალითი: პლაეტუსი თავის სახედართა შინა გვაუწყებს, სავრიუსი სიარულში როგორც შემლილი, როგორც გადარეული ვინმე, ისე აკანტურებდა თავსა და გამძლეულ-გამომძლეულ შიშისა ზარსა სცემდაო, ხოლო მეორე ადგილას, სადაც იმაზედ უბნობს, თუ ქარშიდე რატომ აქნევდა თავსა, პლაეტუსი ამას ექსტაზის მდგომარეობით ხსნის.

კიდევ მაგალითი: კატულუსის ბერეკინთიასა და ატიისში მენადებს, ბაკქანტებს, ბაკქოსის ქურუმ ქალთ ხელთ სუროს შტონი უჭირავთ და წინასწარმეტყველური გამძაგებით თავთ აქნევენ: ხუსტად ასევე აქნევდნენ თავთ კიბელეს დასაჭურისებულნი ქურუმნი, ოდეს თავიანთ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ საიდანაც წარმოდგება, როგორც ძველნი ღვთისმეტყველნი გვარწმუნებენ, მის სახელი, რამეთუ **χρηστήν** ნიშნავს ტრიაღს, ქნევას, კანტურს, კისრიზა გრეხას.

კიდევ მაგალითი: ტიტუს ლივიუსი წერს, რომ რომში ბაკქანალიისა ეამსა მამაკაცთ და დედაკაცთ თუ მოიხილაუდით, ალბათ იფიქრებდით, წინასწარმეტყველების ნიჭი შეუძენიათო, რამეთუ მოელი ტანი უძაგძაგებდათ და ვარუნჩხებოდათ — ფილოსოფოსთა საერთო ხმა კი, მოგვხსენებთ, ესეგვარია და ესეგვარივეა ხალხისა აზრი: ცით გარდმოკლებილი წინასწარმეტყველების ნიჭი უცილობლად იწვევს აღგზნებასა და ძაგძავს მთელი სხეულისას, რომელიცა ძაგ-

მაგებს და კრთება არა მარტო მაშინ, როცა იგი ამა ნიჭსა იძენს, არამედ მაშინაც, როცა იგი ამა ნიჭსა აჩენს და გამოავლენს. აი რატომ იყო, რომ ვი-  
ვიანუსი, გამოჩენილი კანონმცოდნე, ყველას ჰითობას ეუბნებოდა იმ კათხვა-  
ხედ, ჯანმრთელად უნდა ჩაითვალოს თუ არა მონა, რომელსაც, <sup>გამოგებულ</sup>  
ფანატიკოსთა შორის მოხვედრილი, უცებ გამოაგებდა ენასა და თავისა ქნევით  
მისნობას მოჰყვებოდა.

და კიდევ: სუყოველთ ვუწყოთ, რომ ჩვენსა დროში მოძღვარნი და პედა-  
გოგნი თავიანთ მოწაფეთ ყურთ რომ უწევენ და უგრეხენ, თავთ ისე უნჯღრე-  
ვენ, თითქოს ქათანი ყურებით უჭირავთ (ეგვიპტელ ბრძენთა სწავლისდა  
მიხედვით ყურები ხომ მუხსიერების ორგანოა), ამა ხჯღრევისა მიზანი კი  
ის არის, რომ იმათი გონება, შემთხვევით გარეშე აზრებით განყენებული და  
თითქოსდა უსარგებლო მღელვარებით დასუსტებული, კვლავაც მიაპყრონ  
გზიან მეცნიერებასა, ანუ ფილოსოფიასა. ვითარ თავადვე აღიარებს, სწორედ  
ეგვენი განიცადა ჯერ კიდევ ვერგილიუსმა, იდეის ყურხედ აპოლონ კანთიამ უჩ-  
ქმიტა<sup>2</sup>

### თავი XLVI

#### ამა პანტაგრუელი და პანურბი სხვადასხვანაირად განმარტავენ ტრიბულუს სიტყვიბას

— ტრიბულე შენზედ უბნობს, სულელიაო. ახლა არ იტყვი, როგორი სულე-  
ლია? ვადარეული სულელია, რომელსაცა სიბერეში უნდა, რომ ხელ-ფეხ-  
ზედ ცოლქმრობის ბორკილი დაიდოს და თავა ამავე ცოლქმრობისა ბორკილსა  
დაუძონოსო. გეუბნება: „ბერისა ცეცხლსა უფრთხილდიო!“ პატიოსნებასა ვფი-  
ცავ, რქაბმულსა ვინმე ბერთაგანი გაგხდის. ხომ ხედავ: საფრთხეში ვიგდებ პა-  
ტიოსნებასა და აღბათ უფრო მეტად ვერცა მაშინ ვაუფრთხილდებოდი, ევ-  
როპისა, აზიისა და აფრიკის ერთმპყრობელი და მშვიდობისმოყვარე მბრძა-  
ნებელიც რომ ვყოფილიყავი.

მერწმუნე, ჩვენი მოროსოფი ტრიბულე დიდ პატივისცემასა იწვევს ჩემ-  
ში. სუყოველნი სხვა ორაკულნი და მრჩეველნი სავსებით შეურიგდნენ იმა  
ამბავსა, რომ გარქოსნება ვიწერია, დალათუმცა, არც ერთ იმათგანსა ზუსტად  
არ მიუნიშნებია, ვინ მოგიხიბლავს ცოლსა და ვინ გაგარქოსნებს, ქველმა  
ტრიბულემ კი ეს პირდაპირ ვითხრა: საძრახისი რქაბმულობა მოველის, უაღ-  
რესად სამარცხვინო! გწადს, რომ ვიღაცა ბარტყულა-ნეფერტმა წავიბილწოს  
და ვაგიუწმინდუროს ცოლქმრობისა სარეცელი?

იმან ისიც ვითხრა, რქიან ბიუზანსეურ გუდა-სტვირსა დაემზგავსებით,  
რაიცა იმასა ნიშნავს, რომ შენგან დიდებული რქაბოჯოჯდა, რქანაყარი და  
რქაფიწალა დადგება და იმნაირადვე, როგორაც თუითონ ის მოიქცა, ბეფე ლუ-  
დოვიკო მეთორმეტის თავისი ძმისთვის ბიუზანსეში ჯერეთ მარდიის სარე-  
წების შესყიდვისა თხოვნა რომ დაუპირა, მერმე კი გუდა-სტვირი გამოსთხოვა,  
შენცა აღექი და, როგორც აპირებ, წესიერ და პატიოსან ქალსა ნუკი შეირთავ,  
ერთი ვინმე გარყვნილი, ანჩხლი და აშარი დედაკაცი შეირთე, თავშემაწყენ-  
ლი, ვითარ სტვირისა გუდის ხმაა!

გაიხსენე აგრეთვე, რომ ქანთილი ცხვირში გთხლიშა და ზურგში მუშტი

ჩაგაზილა. ეს იმისა ნიშანია, რომ თანამეცხედრე ვეფუასა არ მოგაკლებს, მოგაღორებს და გაგძარცვავს, როგორც შენ გაძარცვე ვობრეტონელი ბავშვები, ოდეს ღირისა ქანთილი წაართვი.

— პირიქით, ბატონო, — შეეპასუხა პანურგი, — სინლისი ნამდვილად არ მეყოფა იმისა უარსაყოფად, რომ სულელთა ჩამომავალი ვარ, ვინაირთუბ, რომ თავადაც და მოღვმითაც სულელი ვარ. ყოველნი კაცნი სულელნი არიან და ყველაფერი ამა ქვეყნად სისულელეა. სოლომონმა ბრძანა, სულელთა რიცხვი უსასრულოთაო, უსასრულობას კი, ვითარ არისტოტელემ დაამტკიცა, ვერცა რამეს მოაკლებ და ვერცა კიდევ რამეს მიუმატებ, ხოლო გადარეული სულელი სწორედ მაშინ ვიქნებოდი, უკეთუ სულელი თავსა სულელად არ ვაღიარებდი. მანიაკთა და გადარეულთა რიცხვი მართლაც უსასრულოა. ავიცენა ამტკიცებს, მანიის სახეობანი უსასრულოდ სხვადასხვანაირიაო. რაიცა შეეხება ტრიბულეს სუფეულა დახარჩენ ნათქვამ-თქმულსა და სხეულისა მოძრაობასა, ჩემთვის ყველაკას დია ხელსაყრელი მნიშვნელობა აქვს.

იმან მითხრა, არა „ბერისა ცაცხლსა უფროხილდიო“, არამედ „ბოლოცეცხლას გაუფროხილდიო“, და ჩემი ცოლი ჰყავდა მხედველობაში: ძალე თავისი ჩიორა ჩვილი ეყოლება, რომელთანაც იხვევ შეიქცევს თავსა, როგორც კატულუსისგან ხოტბაშესხმული ლესბია აქცევდა თავსაო; ჩიორა ესე ბუზთა მუსკრაში მოკლავს დროსა, ვითარ ოდესღაც ბუზმხოცველი დომიცთანეო.

შემდეგ მან ის მითხრა, რომ ვინმე სოფლელ გოგონედ დავისურ ვვარსა, ისეთსავე მშვენიერზედ, როგორიცაა სოლეიური ანდა ბიუზანსეური სტვირის გუდისა ხმაა. ალაღმართალმა ტრიბულემ სულ იცის ჩემი ბუნებაცა და იღუმალი მისწრაფებანიც ჩემი. გაუბედავ და დაგარწმუნებ, რომ მე უფროისად თავდაუხურავნი მწვემსნი მღედრნი მონავენ, მომწონან, ბეგკონდარას სუნი რომ ასდით, ვინემ გადაპრანჭულ-გადმოპრანჭული სეფექალნი, რომელნიცა ათასგვარი რამ ნელსაცხებლისა სუნად ყარან, ხოლო სოფლური სტვირისა ხმა უფრორე ძატკბობს, ვინემ სასახლესა შინა მიღებული ძნობა და სახიობა — გინდ ბარბიონი, გინდ რებეკნი და გინდ სეფეუიოლინონი.

ერთი გარვისა საწყალ ხერხემალშიაც მოძახვედრა და თან ის მიმახვედრა, რომ ღვთისმოსიში კაცია: რაიცა ტანჯვა განსაწმენდელში მოგელის, აქა ცოტა შეგიმსუბუქეო. არა, სიბოროტით არ ჩაუცხვია, პაჟი ვეგონე. მერწმუნე, კეთილი ვანმე სულელია, გულუბრვეილო, ნამდვილად ცოდვია იმაზედ ცუდისა ფიქრი. ყველაყა სულითა და გულით შემინდვია.

აკი ცხვირშიაც მიხლიშა, მაგრამ რა ვუყოთ, აშკარად მიმანიშნა, ქორწილისა შემდგომ შენა და შენი დედაკაცი ესეგვარადაც იხუმრებთო, ახალჯვარდაწერილთა წეს-ჩვეულებასა ვერ გადახვალთო.

თავი XLVII

ვითარ განიზრახეს პანტაგრუელმა და პანურგმა ღვთაებრივი ბოცა-ბოთლისა ორაკულის მონახულება

— არის კიდევ ერთი გარემოება, რომლისთვისაც ყურადღება არ მიგიქცევია, მთელი არსი კი იმაშია. ტრიბულემ ხელში ბოცა შემომაჩეჩა. ეს რას უნდა ნიშნავდეს? ამით რის თქმა უნდოდა?

— რას უნდა ნიშნავდეს და, ჩანს, შენი თანამეცხედრე, ლოთი და მემოურაღე იქნება, — მიუგო პანტაგრუელმა.

— პირიქით, — შეუუბნა პანურგი, — ბოცა ცარიელი იყო. წმინდა ფიაკრ ბრიელისა ზერხეძალსა ვფიცავ, ჩვენი მორისოფი, ჭკუაგაღალღებუდი და სულაც არა ჭკუაგაღალღებული ტრიბულე დიდ ბოთლთან მაგჭაფნესუ-ურთხელ კიდევ ეიმეორებ ჩემსა ძველსა აღოქმასა და შენის თანდამწრჭბჩჩქსსტიქსსა და აქერონტს ვიფიცებ, რომ ქუდიდან სათვალეს არ მოვიძორებ და შარვალზედ საბიძალსა არ გაუიკარებ, ვინემ ჩემგან განზრახული საქმისა გამო ღუსა-ებრივი ბოთლისა პასუხს არ გავიგებ.

ერთმა ჩემმა ახლობელმა და ახლოკაცმა კარგად უწყის ის მხარე-აღვილი, სადაც იმა ბოთლისა ტაძარი და ორაკულია. კაცი იგი უეჭველად მაგვიგვანს იქა. ერთად წავიდეთ! გვედრი, უარსა ნუ მეტყვი! აქატედ და დამიდედ! გავიხდები, ერთგულ თანამეგზავედ. ძველიდანვე ვიცი, თავგადადებით მოყვარული მოგზაური ხარ, ყველაფრისა მოხილვა და ცოდნა გწყურის. მოხილვით, იცოცხლე, ბევრსა რასმე საკვირველსა მოვიხილავთ, დამიჯერე!

— კეთილი, — წართქვა პანტაგრუელმა. — დაღათუმცა, სანამ იმა შირსა გზისა გავუდგებოდეთ, ფრიად საშიშარსა და სახიფათოსა...

— რატომ სახიფათოსა? — შეაწვევტინა პანურგმა. — მე თუ საღმე გამოეჩნდი, საფრთხე-საშიშროება ჩემგან შვიდ მილზედ გარბის, სწორედ ესეგვარად უმთავრდება უფლებამოსილება მოსამართლესა, ოდეს ხელმწიფე გამომჩნდება ხოლმე. ესეგვარადვე ქრებისან ჩრდილნი მზისა გამოჩენისას, ზოლო ქანდში წმინდა მარტინის ნაწილსა მისუენებამ სულ გაფანტა სხეულებანი.

— ოღონდ წახვლა ჯერეთ მაინც ადრეა, — მიუთხრო პანტაგრუელმა. — წინ-წინ ზოგი რამ საქმისა მოგვარებაა საჭირო. პირველი ის არის, რომ ტრიბულე უკან ბლუაში უნდა გავამგზავროთ (რაიცა მაშინვე აღასრულეს, თანაც პანტაგრუელმა ოქრონაქსოვი სამოსელი მიუბოძა). მეორეც, მეფე-მამძახემი უნდა დავიყაბულოთ, დასტური ვაოქმევიხოთ, მერმე აუცილებელია ვინმე სიბილას პოვნა, ვინცა გზისა მცოდნე, ანუ ეტიკიცა გაგვიხდებოდა და მგადმოენებელიც იქნებოდა.

პანურგი შეეპასუხა, ამა საქმისთვის ჩემი მიწყვი გაუყარი, სათანადო მოყვასი ქსენოძანი<sup>2</sup> სრულიად ზედგამოჭრილიაო. და გარდა ამისა, გულზრახული მაქვს, რომ გზად ლიფლიფეთში, ანუ ფარანეთის ქვეყანაში<sup>3</sup> შევიარო და ვინმე ფარსაგი იქაველი მეცნიერი მოვიძიო, ვინცა მოგზაურობაში ისეთსავე სამსახურსა გაგვიწყევს, რა სამსახურიცა სიბილამ ენეასს გაუწია, ოდეს იმან ელისის მინდორნი მოიხილაო.

— ისეთი წინათგრძნობა მაქვს, გზაში არ მოვიწყენო, — ვანაცხადა პანტაგრუელმა, — ოღონდ ვნანობ, რომ ოდეს საყველპუროდ ვიცი ლიფლიფური, ანუ ფარანული ენა.

— ყველას მაგივრად მე ვიუბნებ, — წართქვა პანურგმა. — მშობლიურსა-ვით ვიცი, ამა ენაზედ თავისუფლად ვცბედობ.

ბრისზმარგ დაღვთებრიკ ნუბსტზს ზოს  
 ისკვებფზ პრუსკ; აღბორლზ კრინკს ზაკბაკ.  
 მისბ დილბარლკზ მორბ ნიპპ სტანკზ ბოს.  
 სტრომბტზ პანრგ ვაღმაპ კვისტ გროფზ ბაკ.

აბა, ეპისტემონ, რა ვთქვი ახლა?

— რა თქვი და მაწანწალა, მოარულ და მცოცავ ეშმაკ-სათიელთა სახელნი ჩამოთვალე. — მიუგო ეპისტემონმა.

— მართალი ბრძანდები, ჩემო კარგო, — პრქვა პანურგმა. — ეს ლიფლიფური, ანუ ფარანული სეფეენიაა. გზაში სიტყვისა კონას შევედგენ და უნის მანამ განოვადგება, სანამ ახალ ფეხსაცმელთ ვასცვუთ, იმა სიტყვისსიგნაჲსა გამოყენებას კი შხისა ამოსვლამდე ისწავლი. ფარანულიდან გადმოყენებული ზემოთქმული ლექსი ჩვენს საყოველღეო ენაზედ ესეგვარად ელერს:

ბევრი დამჭირდა ქვეყანაზედ ბევრთან ვედრება,  
 ვულისა ვარდმა მიწვივ დარდი მარგუნა სწორსა.  
 უცოლო კაცი ცოლიანსა ვერ შეუდრება,  
 და ამაღ არის, რომ პანურგი დაეძებს ცოლსა.

— აწი ისღა დაგვრჩენია, — წართქვა პანტაგრუელმა, — ხელმწიფე-მამაჩემისა ნება შევიტყოს და დავეთხოვით.

თქანი XLVIII

პითარ ამტკიცებდა პარბანტუსა, უპილთ მშობილთა დაუპითხავად და ნებადაურთველად არ უნდა იქორწინონო

მთავარ სეფედარბაზში შეკრებილობა სულ ახალი დამთავრებული იყო და ქველი ვარგანტუა უკვე გამოდიოდა, რომ პანტაგრუელი იქავ შესასვლელთან შეეყარა. პანტაგრუელმა შეფე-მამას ზოგადად უაშბო თავიანთი თავგადაჩახადი, განზრახული საქმეც ჩაუწიგნა და ამა საქმისა განსახორციელებლად ნებაროვა და თანხმობა სთხოვა.

ქველ ვარგანტუას ხელთ ორი სქელი პაკეტი ეჭირა. ერთში უკვე პასუხგაცემულნი თხოვნა-საჩივარნი ეწყო, მეორეში — ჯერეთ პასუხგაუცემელნი; პაკეტნი ესე შეფე-ბატონმა თავისი კანცელარიის უცვლელ უფროსს უღრიმ გაღეს გადასცა, მერმე პანტაგრუელი გვერდზედ გაიხზო და, კადევ უფრო სახეგაბადრულმა, ეადრე ჩვეულებრივ იყო ხოლმე, უთხრა:

— დია მადლობელი ვარ ღვთისა, საყვარელი ძეო ჩემო, რომ ესეგვარ ჩინებულ საქმეთ წამოგაწყებინებს ხოლმე. ამა მოგზაურობისთვის დამილოცნიხარ, მაგრამ თანაც იმის მოწადინეცა ვარ, რომ თავადაც ვაგაჩნდეს ცოლის მოყვანისა სურვილი. ჩემის ვაგებით, დროც ვერჩის და ხანიც გიწერს, პატარა აღარა ხარ. პანურგმა ბევრი რამ დაბრკოლება ჩამოიშორა გზიდან, აწ შენი ჯერია.

— უკეთესობილესო მამაჩემო, — წარმოთქვა პანტაგრუელმა, — მაგაზედ ჯერეთ არ მოუიქრია. მე სავსებით შენის ნებისა ვარ და შენსა მამობრივ ძალაუფლებასა ვმორჩილებ. მირჩევნია, რომა შენთა ფერბთა წინაშე სული ღმერთისა მივაბარო და ჩემდა უნებურად გატკინო გული, ვინემ შენის ნებისა წინააღმდეგ დავექორწინდე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არცა საეკლესიო, არცა საერო, არცა ბარბაროსული კანონები შვილთ იმის ნებას არა როთვენ, რომა დედ-მამისა და ახლო ნათესავთა დაუკითხავად, ნებადაურთველად და მო-

უწინებლად დაქორწინდნენ. კანონმდებელი, ყველანი როგორც ერთნი, შვილი  
 ან უფლებასა ართმევენ და მშობელი ანდობენ გადასაწყვეტად.

— საყვარელი ძეო ჩემო, — კვალად აძრახდა გარგანტუა. — მჯერა შენი  
 და მადლსა ვწირაჲ დმერთსა იმისა გამო, რომ სმენასა შენსა ოდენ კეთილი  
 და საქებური სწვლება და გრძნობათა შენთა სარკმლისა წყალუბრეულობისა  
 შენისა სამკვიდრებელში, თვინიერ თავისუფალი ჭეშმარიტებისა სწავლასა  
 აღწევს. ჩემს დროსა დედამიწაზედ იყო ერთი ისეთი ქვეყანა, რომლისა მსახ-  
 ლობელმა თხუნელისებრმა პასტოფორებმა, ქორწინება ზუსტად ისევე რომ  
 სძულდათ, როგორაც ფრიგიელი კიბელეს ქურუმთ, და, უნდა ვიფიქროთ, ავ-  
 ხორცნი და მრუშნი ქურუმნი კი არა, დიდმარხვისა დამცველნი და საჭურისნი  
 იყვნენ, მქორწინებელთ თავიანთი კანონები დაუწესეს ჯვრისწერისა გამო.  
 ბერძუნე, არ ვიცი, რა უფრო საზიზღარია: ტირანული თვითმპყრობელობა ან  
 სამინულ მუდო-თხუნელათა, თავიანთი იდუმალი ტადრებისა გადავანთა შეგან  
 რომ ვერ დატეულან და ფრიად საერთო საქმეებში ერევან, რაიცა იმათ წოდე-  
 ბა-ხარისხთ სულაც არ შეეფერება, თუ ხულელური ბრძანებენა მქორწინებე-  
 ლთა, ესოდენ დამღუპველი და ბარბაროსული კანონები რომ უცვნიათ, იმათ  
 დამორჩილებიან და ვერა ხედვენ, თუმცა ცისკრისა ვარსკვლავსებრ აშკარაა,  
 რაზომ ხელსაყრელია იმათი მორჩილება მისტებისთვის და რაზომ მომაკვდი-  
 ნებელი და ძავნეა თავად მქორწინებელთათვის, ეს კი უკვე კმა მიზეზია იმის-  
 თვის, რომ ამა უსამართლო და თვალთმაქცურ კანონთ გჭვისა თვალთ შევ-  
 ხედოთ.

თვითნებურობას უკეთუ თვითნებურობითვე უბასუხებდნენ, მქორწინებელ-  
 თაც შეეძლოთ, თავიანთი მხრივ, მისტებისთვის წეს-ჩვეულებათა და საიდუმ-  
 ლობათა გამო კანონთა დადგენა, მით უმეტეს, რომ მისტნი იმათ ქონებას ათ-  
 ახთავს, ანუ მეათედს აგლეჯენ და იმის წილსაც სტაცებენ, რასაცა ისინი თა-  
 ელაუზოგავად შრომით შოულობენ; სტაცებენ, რათა ტკბილად მიირთვან და  
 არცრა გამოიღიონ, და, ჩემის გაგებით, მქორწინებელთა მიერ დადგენილი ეს  
 კანონები მაინც არ იქნებოდა იმდენად არაბუნებრივი და უტიფარი, რამდენა-  
 დაც არაბუნებრივი და უტიფარია მისტებისგან დაწესებული კანონები.

შენ სწორად შეამჩნიე, ათადან-ბაბადან არ არსებულა ისეთი კანონი, რომ  
 მკლიც შვილი ნებას მისცემდა, რომ დედ-მამისა დაუკითხავად, ნებადაურთვე-  
 ლად და მოუწონებლად დაქორწინებულიყვნენ. იმა კანონთა წყალობით კი, რომ  
 ზელთა გამოც ვლამარაკობ, თუკი ვინმე მსიძავი და გათახსირებულია, ავკაცია,  
 არამზადაა, ჩამოსახრჩობია, კეთროვანია, პირმყრალია, ავაზაკია, თაღლითია,  
 ხალახანაა, გაქსილია, სუყველას შეუძლია, რომ მამისა სახლიდან გაიტაცოს,  
 პირდაპირ დედას წაჰგვაროს, მთელი ნათესაობისა ჩებისა წინააღმდეგ, რომე-  
 ლიც გინდა, ის ქალიშვილი, ყოვლის უფრორე დიდგვაროვანი, ღამაზი, შეძ-  
 ლებული, პატიოსანი, თავდაჭერილი, როგორიც კი შეიძლება რომ წარმოვიდ-  
 გინოთ, უკეთუ გათახსირებული კაცი ესე მისტსა ვისმე შეუთანხმდა და გამო-  
 რჩენაზედ გაურიგდა. განა ეგების, რომ ამას შევადაროთ ის სისასტიკე და ბო-  
 როტმოქმედება, რასაცა გუთები, სკვითები და მასაგეტები იქმოდნენ მტრისა  
 ქალაქში, რომელსაცა ისინი ხანგრძლივი ალყისა შემდგომ დიდი მსხვერპლი-  
 სი ფასად შეტევით იპყრობდნენ?

ვიდაც ოხერი, უცხო, უცნობი, ხეპრე, თავხედი, ბილწი, ცოცხლად დამ-  
 პალი ნახევარკაცი-ნახევარგვამი, უფმური, ჩამი და გახრეკილი უბედურ დედ-



ძამას პირდაპირ თყალწინ სახლიდან სტაცებს მზეთუნახავ ქალიშვილსა, ნუბიერსა, მდიდარსა, ჯანმრთულსა, რომელსაც ისინი ესდენ ზნეუროლად და მკაცრი წესითა და რიგით ზრდიდნენ იმის იმედით, რომ თავისა დროზედ ვინმე შეზობლისა ანდა ძველი მეგობრის შვილსა გააყოლებდნენ, აგრეთვე წესიერად აღზრდილსა და განათლებულსა, და მოილოდინებდნენ მისი ბედნიერი ცალ-ქმრული ცხოვრების ნაყოფთ — შვილიშვილთ, რომელნიც დაიშკვიდრებდნენ და გაამრავლებდნენ თავიანთ მშობელთა უძრავ და მოძრავ ქონებასა, დაიშკვიდრებდნენ აგრეთვე იმათ ზნე-ჩვეულებასა! აბა, როგორი საგონებელია დედ-ძამისთვის ეს ყოველივე?

არ გვეგონოს, რომ სასოწარკვეთილება, რომელმაც რომელი ხალხი თავის მოკავშირეებთან ერთად შეიპყრო გერმანიკუს დრუზუსის სიკვდილისა გამო, უფროისად ძლიერი იყო.

არ გვეგონოს, რომ სევდა-ნაღველი, რომელმაც ლაკელმონელნი მოიცვა, ოდეს ტროელმა მემრუშემ ბერძენი ელენე გააპარა, უფროისად უნუგეშო იყო.

არ გვეგონოს, რომ ის ხალხი, ვისზედაც სიტყვა ჩამოვარდა, უფროისად ნაკლებ წუხს და ვაებს, ვინემ ცერერა, რომელსაც ქალიშვილი პროზერპინა წარსტაცეს, ვინემ ისიდა, თსირისის დამკარგავი, ვინემ ვენერა, ოდეს აღონისი მიიცვალა, ვინემ ჰერკულესი ჰილეს დაკარგვისა შემდგომ, ვინემ ჰეკუბა, როს პოლიქსენეს მოტაცების ამბავი შეიტყო.

მაგრამ მშობელთ ისერიგად ეშინიათ ეშმაკ-სათაელისა და იმდენად ბრმა-მორწმუნენი არიან, დაინახავენ თუ არა ვინმე თხუნულა, ანუ მუდო ბერსა, საქორწინო ხელმოწერაზედ დასასწრებლად მოსულსა, ენა უმაღ მუცელში უკარდებათ და მართოდმართონი რჩებიან გაუკაცრიელებულ სახლთა შინა, სად უკვე არღა არიან იმათი საყვარელნი ქალიშვილნი, მამება დგანან და წყევლიან იმა დღესა, როს დაოჯახდნენ, ხოლო დედები ხმამაღლა მოთქვამენ, რატომ მაშინვე მუცელში არ გაგვიწყალდნენ, უკეთუ ამისთანა ბედი ეწერათო, და აგრე ცრუმდისა და გოდებაში განასრულებენ ისინი თავიანთ სიცოცხლესა, ღირსნი კი იყვნენ, რომ ბედნიერად ეცხოვრათ და თავიანთ ქალიშვილთა ზრუნვა არ მოჰკლებოდათ.

ზოგ-ზოგი იმასგანი გონებასა კარგავს, შლეგდება და, ესოდენი უნამუსობისა გადაძვიდე, დამწუხრებული და შუღონებული, ან წყალში იხრჩობს თაჟსა, ან თოკსა ეკიდება, ან ტყვიისა და სატევრის მსხვერპლი ხდება.

სხვანი, უფრორე შეუპოვარნი, იაკობის ძეთა მაგალითისამებრ, თავიანთი დის დინას მოტაცებისა გამო შური რომ იძიეს, — ხელთ იგდებენ მსიძავსა და იმის თანამზრახველსა — თხუნულა-ბერსა, რომელსაც შეაკულიანეს და გაიტაცეს იმათი ქალიშვილი, და უმაღ მკაცრად უსწორდებიან, სულ ნაკუნ-ნაკუნ ჩეხენ და პირდაპირ მინდორში ყრიან, რა არი მგელთა და ყორანთა ლუკმად აქციონ; ეს ვაჟკაცური და კეთილშობილური საქციელი კი მიშისა ზარსა სცემს მუდო სიმისტებს, და ისინი საზიზღარ ღმუილსა ტეხენ, უსამაგლეს საჩივართ თხზავენ, მთელი უტიფრობით მიმართავენ საერო ხელისუფლებას და სამოქალაქო მართლმსაჯულებას, დამნაშავეთა სამაგალითოდ დასჯას ითხოვენ და ჯიუტად თავიანთი გააქვთ.

მაგრამ აკი არცა ბუნებრივ, არცა საერთაშორისო სამართალში, არცა კიდევ რომელსაზე საიმპერიო კანონში არ არის ისეთი რუბრიკა, პარაგრაფი, მუხლი ანდა ნაწილი, რომელიცა მსგავსი საქციელისთვის გაითვალისწინებდა

გარკვეულ სასჯელსა ანდა წამებასა, — ამას ეწინააღმდეგება გონება, თვითონ ბუნება, რამეთუ სათნო ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ საკუთარი ქალიშვილის მოტაცების, გაუპატოვებისა და შერცხვენის ამბავი უფრორე მეტად ავიწყებს და აფორიაქებს, ვინემ იმისი დაღუპვის ამბისა შეტყობა. სუყოველ ქაცქსა ვინაც დანაშაულისა ადგილას წაასწრებს მკვლელსა, ვერაგულად, შაღუღლად რომ დაქსნა თავს იმის ქალიშვილსა, იმავე წამსვე შეუძლია იმისი მოკვლა, რამეთუ აგრე უკარნახებს გონება, და ვალდებულებაც არის, რამეთუ აგრე ითხოვს ბუნება, და ამისთვის სასამართლოთი პასუხსა არ აგებს. აქედან გამომდინარე პირდაპირი მუდგეც ის არის, რომ მოიძიებს თუ არა თავისი ქალიშვილის გამტაცებულ მსიძავსა (თუნდაც ქალი თავისი თანხმობით იყოს გატაცებული) და იმის ხელშემწყობ მუდო ბერსა, შამას შეუძლია და, ის კი არა, ვალდებულებაც არის, რომ გამტაცებელიცა და თანამზრახველიც სააუგოდ დასაჯოს, ხოლო იმათი სხეულნი ჩვენი დიდი მარჩენლის, იგივე დედამიწის ნეტარი და სასურველი ამბორისა დირსნი კი არ გახადოს, რასაცა დაკრძალვას ვუწოდებთ, არამედ ნადიროთ დაუყაროს დასაგლეჯად და დასაფლეთად.

საყვარელო ძეო ჩემო! თვალყური გეჭიროს, რომ ჩემი გარდაცვალებისა შემდგომ ჩვენსა სამეფოში მსგავსი კანონები არავინ შემოიღოს, ხოლო სანამ მე ცოცხალი ვარ და ჯერ კიდევ პირში სული მიდგას, ღვთისა წყალობით ამა ანბისა გამო კმად მკაცრ ბრძანებულებასა გამოვცემ. რაიცა შეეხება შენსა და ქორწინებასა, რახან მთლად მე მანდობ, უკან არ ვიხვე, ჩემსა თავზედ კიდე.

განემზადე პანურგთან ერთად სამოგზაუროდ. თან წარიტანე ეპისტემონი, ძმა ჟანი და სხვანი, ვისაცა საჭიროდ მიიჩნევ. ხაზინა ჩემი როგორც გენებოს, ისე გამოიყენე. სუყოველი შენი მოქმედებების წინასწარ თანხმობა მოიქვამს. თალასისა ჩემსა ნავსაყუდელში<sup>4</sup> ყველაგვარი აღჭურვილობა მოიმარაგე. რამდენიცა დაიჭირვო, იმდენი ლოცმანი, მესაჭე და მგადმოენებელი წაიყვანე და მიუნდე ღმერთსა, მფარველსა ჩვენსა, როგორც კი ზურგისა ქარი დაუბერავს, გაუდექით გზასა.

შენსა აქ არყოფნაში ვეცდები, რომ პატარძალი მოვიძიო და ყველაკა მოვამზადო საქორწილოდ, ქორწილს კი, ნუ იტყვი, ისეთსა გადაგიხდის, როგორიცა ჯერეს დედამიწისა ზურგზედ არ გადახდებოდა.

თავი XLIX

პირთარ ემზადება პანტაგრუელი საზღვარო მოგზაურობისთვის, აგრეთვე პანტაგრუელიონად სახელდებული ბალახისა გამო

გამოემზადებოდა რა ქველ გარგანტუასა, რომელიცა სულ იმის ლოცვაში იყო, მისა ჩემისა მოგზაურობა მშვიდობიანად განასრულებო, რამოდენიმე დღისა შემდგომ პანტაგრუელი თალასის ნავსაყუდელში ჩავიდა. სენ-მალოს ახლოვსად, თანამეგზაურობად ახლდნენ პანურგი, ეპისტემონი, ძმა ჟანი ბდღვირისმდენელი, აბატი თელემელი და ამა პატივდებული გეარეულობისა სხვა მეგობარნი, კერძოდ ქსენოპანი, დიდი ეტიკი ვინმე და სახიფათო მოგზაურობათა ვიჟი, პანურგისა ბრძანებით რომ გამოცხადდა, რამეთუ სამადოს ციხისთავობასთან ერთგვარ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო.

თალასში ჩასვლისთანავე პანტაგრუელი ფლოტილია იმდენივე ხომალ-

4. „სტენჯე“ № 6

დისგან შეადგინა, რამდენიცა ოდესღაც ათაქსმა სალაძინიდან გაიყვანა ტროა-  
ზედ ბერძენთა ვალაშქრებისა ჟამსა.<sup>1</sup> ლოცმანები, მესაჭენი, მესოფენი, მგაღ-  
მოენებელნი, ოსტატნი, მეომარნი, სურსათ-სახოვაგე, არტილერია, საბრძოლო  
მასალა, ამუნიცია, ფული და ყველაგვარი ბარგი-ბარხანა სწორედ იმდენი წა-  
იღო და ჩატვირთა, რამდენიცა ხანგრძლივი და სარიზვო მოგზაურობისთვის  
იყო საჭირო. სხვათა შორის, ჩემი თვალითა მოვიხილე, ვითარ ტვირთავდნენ  
პანტაგრუელის განკარგულებით კარგა ბლომად პანტაგრუელიონად სახელდუ-  
ბულ ბალახსა<sup>2</sup>, არა მარტო ნელსა და დაუმუშავებულსა, არამედ გამხმარსა  
და საჭირო სახით დამუშავებულსა.

ბალახსა პანტაგრუელიონსა ძირი, ანუ ფესვი პატარა აქვს, მკვრივი, მომრე-  
ვლო, ბლაგვბოლოიანი, თეთრი ფერისა, არცთუ მუხლიანი, მიწაში წყროთამდე  
ჩადის. ფესვისა ოდენ ერთი ღერო ამოსდევს, მრგვალი, თრიმლისა ღეროს მსგავ-  
სი, გარედან მწვანე, შიგნით თეთრი, ღრუ, როგორაც ღერო *smyrnium olusatrum*-ისა,<sup>3</sup> ცერცვისა და ნაღველასი, მერქნისებრი, სწორი, ფატარი, დაღარული,  
იტყვი, სვეტსა რასმე ღარი და ღარი დასდევსო, უხვბოჭკოიანი, რაიცა სწო-  
რედ ფასსა სდებს ამა მცენარესა, — უმთავრესად ღეროს იმ ნაწილში, რომელ-  
საცა *mesa*, ანუ შუა ნაწილი ჰქვია, თუმცა ბოჭკოთი არცა ის ნაწილია ღა-  
რიბი, რომელსაცა *mylasea*<sup>4</sup> ეწოდება.

პანტაგრუელიონის სიმაღლე ჩვეულებრივ ხუთიდან ექვს ფუტამდე მერ-  
ყობს; ცალკეულ შემთხვევებში შუბზედ მაღალია (უკეთუ პანტაგრუელიონი  
რბილ, ჭაობიან, ყხვიერ, ნოტიო, მაგრამ არა ცივ ნიადაგში იზრდება, როგორ-  
ცა ცივი ნიადაგიც, მაგალითადრე, ოლონშია ანდა როზეიაშია, პრენესტის ახ-  
ლოისად, საბინიაშია, და უკეთუ<sup>5</sup> თვით მეთევზეთა დღესასწაულამდე და ზაფ-  
ხულისა ნახუნსობამდე წვიმახშირობა იქნება) და ხისა სიმაღლესაც აჭარბებს,  
რისთვისაც თეოფრასტეს კვალდაკვალ დენდრომალახს<sup>6</sup> ექდახით, ოლონდ  
ბალახი ყოველწლივ კნინდება, ხეს კი დღეგრძელი აქვს ფესვიც, ტანიც, გუ-  
ლიც, ტოტნიც და სულ ახალ და ახალ მსხვილ და მძლავრ ყლორტებს იყრის.

პანტაგრუელიონისა ფოთლები სამჯერ უფრო დიდია სიგრძეში, ვიდრე  
სივანეში. მიწვივ მწვანეა, მეწამულ ფესვისავით ხორკლიანია, მომკვრივია, კი-  
დეუბდაკბილულია, როგორც ბარისპირას ფოთლები; წვერი მაკედონურ შუბსა  
მიუგავს ანდა ქირურგისა შაშარსა.

ბარემ აქლე უნდა აღვნიშნო, რომ თავისი აგებულებით პანტაგრუელიონის  
ფოთოლნი ცოტა რაძით თუ განსხვავდება იფნისა და ბირკავას ფოთოლთაგან,  
ძალიან ჰგავს წყლისა ვარდკანაფას ფოთოლსა (იმდენად ჰგავს, რომ მცენარეთა  
ზოგიერთმა შემგროვებელმა, რომელმაც პანტაგრუელიონს სახლის მცენარე  
უწოდა, ვარდკანაფას ველური პანტაგრუელიონი დაარქვა) და ღეროს გარშე-  
ძი განლაგებულია კუნწულ-კუნწულად ერთმანეთისგან გარკვეულ მანძილზედ.  
ამასთანავე სუყოველი ესეგვარი კუნწულა ხუთიდან შვიდ ფოთლამდე ითვლის.  
იმით, რომ ბუნებამ პანტაგრუელიონს ფოთოლთა კენტი რიცხვი, ღვთაებრივი  
და იდუმალი რამ რიცხვი მიუბოძა, ვლინდება ბუნებისა გამორჩეული სიყვარუ-  
ლი ამა მცენარისა მიმართ. პანტაგრუელიონისა ფოთოლთ მკვეთრი სუნი აქვს  
და ფაქიზი ყნოსვისთვის არცთუ დია საამოუნო.

თესლი პანტაგრუელიონსა უმეტესად ღეროს ზედა ნაწილში აქვს თავმო-  
ყრილი და ოოენ მცირეოდენი — ქვედაში, როგორაც სუყოველი სხვა ბალახი,

ესეც უხვთესლიანია; თესლი ესე წერილი, ზეთოვანი კაკლუჭი, ზოგი მრგვა-  
ლაა, ბურთულსებრი, ზოგი — მოგრძო, ზოგიც — რომბოიღული, ყავისფერი,  
ის კი არა, უფრო წაბლისფერი, მომაგრო, თხელჩენწოიანი, გემრიელი საჭ-  
მელია ყოველთა მგალობელთა ფრინველთათვის, სახელდობრ: მეკანაფიათათ-  
ვის, ჩიტბატონათათვის, ტორილათათვის, ჭივჭავთათვის და სხვათა თუ  
ადამიანთა ხშირად და ბლომად იხმარა, იგი შვილიერებისა და სიკეთისა  
მართალია, უწინდელ დროში ბერძნები იმისგან სხვადასხვანაირ — ფრიკასეს,  
დუგზელთ და კყერთ ამზადებდნენ და ნაყახშმევს ყელსა იკოკლოხინებდნენ,  
დენოსთან საუკეთესო მისაჭმელად მიაჩნდათ, მაგრამ როგორადაც არ უნდა იყ-  
ოს, პანტაგრუელიონის თესლი ძნელი მოხანელეებელია, კუჭსაც აფუჭებს და სის-  
ხლსაც აფუჭებს, უჩვეულოდ ახურებს ტვისსა და თავსა ბუღით ავსებს, რომე-  
ლი ბუღიცა მტანჯველ, აუტახელ ტკივილსა იწვევს.

სხვა ორსახლიან მცენარეთა დარად, რომელთაც მამრობითი ყვავილიცა  
აქვს და მდედრობითიც, როგორიც არის, მაგალითადრე, დაფნა, პალმა, მუხა,  
ქვანუხა, ასფოდელი, მანდრაგორი, გვიძრა, სოკო, ძირმწარა, კვიპაროსი,  
ტერებიწიო, ანუ ჩათლაყუჩი, პიტნა, იორდასალამი და სხვ. პანტაგრუელიო-  
ნსაც აქვს მამრობითი ყვავილი, არცროდის რომ არა ყვავის, მაგრამ სამაგიერ-  
ოდ თესლუხვია, და აგრეთვე მდედრობითი ყვავილი, რომელიცა ფშუტია,  
სრულიად უნაყოფოა და სულ ერთიანად თუთრად იპუნტება; როგორაც სუყოვე-  
ლი მსგავსი მცენარისა ყვავილი, პანტაგრუელიონისა მდედრობითი ყვავილიც იმ  
თავისებურებით გამოირჩევა, რომ ფურცელნი უფრო ფართო და ჩვილი აქვს,  
ვიდრე მამრობითი ყვავილის ფურცელნია, მაგრამ სამაგიეროდ ის ისეთი მალა-  
ლი ყურ არის.

პანტაგრუელიონსა თესავენ, ოდეს შერცხალნი მოფრინდებთან ხოლმე,  
მოსავალსა კი იღებენ, ოდეს ვუჯუმკალნი ჭრიჭინსა წყვეტენ.

## თავი L

### პითარ უნდა ვაგუშავებდეთ და ვიყინებდეთ განთქმულ პანტაგრუელიონსა

პანტაგრუელიონისა დამუშავება ხდება შემოდგომის ბუნიობისა უამსა  
სხვადასხვა წესითა და ხერხითა — ამა თუ იმ ხალხის ფანტაზიისა და ამა თუ  
იმ ქვეყნის თავისებურებათა მიხედვით.

თავდაპირველი დამუშავება პანტაგრუელიონისა იმით იწყება, რომ ღე-  
როსა ფოთოლი და თესლი სცილდება, შემდეგ ღებება დამდგარ, გაუმდინარ  
წყალში: უკეთუ ამინდი მშრალია და წყალი თბილია, ხუთი დღე, ხოლო უკეთუ  
ამინდი ღრუბლიანია და წყალი ცივი, — ცხრიდან თორმეტ დღემდე; მერმე მზე-  
ზედ შრება, მერმე ქერქი სძვრება, ბოჭკოები კი, ანუ ძაფისებრი შემადგენელი  
ნაწილი, რაიცა, როგორც უკვე ვთქვი, შეიცავს პანტაგრუელიონისა მთელ ღე-  
რებულებასა და უმთავრეს სარგებელიანობასა, გამოეყოფა მერქნისებრ ნაწილ-  
სა, რომელიცა ბაზმაკთა დამზადებასა ხმარდება, კარგი საწვავიც არის და ბა-  
ლთაც თავსა აქცევინებს — დვანან ისინი და იმის საშუალებით ღორისა ქან-  
თით ბერავენ, ჩუმ-ჩუმად სმისა მოყვარულნი კი სიფონად იყენებენ, — კასრ-  
ში ყოფენ და იმით იქიდან მაჭარსა წრუბავენ.

ზოგიერთნი თანამედროვე პანტაგრუელისტნი ბოჭკოს გამორჩევისას ხელის შრომას საგანგებო რამ საჭრელი ხელსაწყოთი ცვლიან, რომელი ხელსაწყოცა განრისხებული იუნონას მიტკუცებულ თიანებს გვაგონებს, ოდეს მან აღკმენესთვის ჰერაკლეს დაბადებაში ხელისა შეშლა მოინდომა, — ხელსაწყო ესე დარტყმით აბრტყელებს, აჭრის და გვერდზედ აგდებს მერქსნიცავე ნაწილსა, როგორაც უსარგებლოსა, ხოლო ბოჭკოსა გამოარჩევს.

ესეგვარი თაუდაპირველი დამუშავებით ოდენ ისინი კმაყოფილდებიან, ვინცა, სუყოველი დანარჩენი მოკვდავისა საპირისპიროდ და სუყოველი ფილოსოფოსისა ჯიბრზედ, უკან-უკან სვლით შოულობს ლუკმა პურსა.<sup>1</sup>

სხვანი, პანტაგრუელიონისტვის აშკარად თავიანთ სახეიროდ მეტი ფასისა დადების მსურველნი, იმასვე სჩადიან, რასაცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მოცალეობისა ჟამსა შერებოდნენ სამნი პარკნი, რასაცა დამ-დამობით გულსა აყოლებდა ორღვიან-სანდობიანი კირკე და რასაცა იქმოდა თავის მეუღლესთან ოდისევსთან განშორებული პენელოპე, ოდეს თავყანისმცემელთათვის ხანგრძლივი დროისა განძავლობაში პირდაპირ პახუხზედ თავის არიდება მოუხდა.<sup>2</sup>

მხოლოდ ყოველივე ამისა შემდგომ იძენს პანტაგრუელიონი თავის უამრავ ფასდაუდებელ ღირსებასა (სუყოველის ჩამოთვლის საშუალება უბრალოდ არა მაქვს), დაღათუმცა უწინარესად სახელწოდებას ავიხსნით.

ვეგონებ, მცენარეთა სახელწოდებების წარმოშობა სრულებითაც ერთნაირი არ არის. ზოგიერთებს იმათი სახელი პქვია, ვინაც აღმოაჩინა, შეისწავლა, განმარტა ისინი, ვინაც გააშენა, გაახარა, მოამრავლა, — მაგალითადრე, მერკურიალი, ანუ ტყისურა წარმოდგება მერკურისგან, პანაკეა პანაკეასგან, ესკულაპის ქალიშვილისგან, არტემიზია, ანუ ავშანი არტემიდასგან, ესე იგი დიანასგან, ევპატორია მეფე ევპატორისგან, ტელეფია ტელეფესგან, ევფორბია ევფორბესგან, მეფე იუბის ექიმისგან, კლიმენი კლიმენესგან, ალკიბიადია ალკიბიადესგან, გენტიანა გენტიუსისგან, სლაფონიის, ანუ ილირიის მეფისგან. და უფლება ესე — შენ მიერ აღმოჩენილი მცენარისთვის შენივე სახელი მიგენიჭებინა, — იმდენად დიდად ფასობდა ძველად, რომ მსგავსად იმისა, როგორაც ნებტუნი და პალადა დაობდნენ, თუ ვისი სახელი დარქმეოდა ორივეს მიერ აღმოჩენილ მიწა-წყალსა და რომელსაც შემდეგში ათენი ეწოდა ათენასგან, ესე იგი შინერვასგან, სწორედ ისე ლინკემ, სკვითებისა მეფემ, მუხანათურად მოაკვდინა ყმაწვილი ტრიპტოლემე, ხალხისთვის ხორბლის საჩვენებლად ცერერასგან გამოგზავნილი (ხორბალი მაშინ ჯერეთ არაყინ არ სცოდა, რა იყო), იმად მოაკვდინა, რომ ხორბლისთვის თავისი სახელის მიკუთვნების საშუალება ჰქონოდა და საკუთარი თავისთვის პატივი და უკვდავი დიდება მიენიჭებინა ადამიანისა სიცოცხლისთვის ესოდენ შემრგო და საჭირო პურულის აღმოჩენისა გამო, ცერერამ ვი ესეგვარი მუხანათობისთვის ლინკე ფიცხვერად გადააქცია. ამგვარადვე სისხლისმღვრელი და გრძელჟამიერი ომები ჰქონდათ ერთმანეთში კაპადოკიელ მეფეთ ოდენ იმის გულისთვის, თუ იმათგან ვისი სახელი დარქმეოდა ერთ მავან მცენარესა, რომელსაცა ბოლოს და ბოლოს იმათივე მიზეზით ჩამოვარდნილი შუღლისა გამო პოლემონია, ანუ მბრძოლი ეწოდა.

სხვა მცენარეთ სახელწოდებანი ადგილმდებარეობისდა მიხედვით დაერქვა, საიდანაც ისინი შემოიტანეს: მიდიური ვაშლი იგივე ლიმონია, რამეთუ პირველად ის სწორედ მიდიაში მოიხილეს; პუნსკური ვაშლი იგივე ბროწეულია, პუნი-

კის მიწა-წყლიდან, ანუ კართაგენიდან შემოტანილი; ლიგუსტი კი, ანუ მარი-  
ამა, იგივე ცისკარა, ლიგურიული მცენარეა, გეხუის სახაპიროზედ ხარობს;  
რაბარბი, ანუ რევანდი, ვითარ ამიანე ადასტურებს, ესეგვარად სახელდება  
ბარბაროსთა მდინარის რა-ს სახელისდა მიხედვით; მაგალითად გამოდგება აგ-  
რესე სახტონიკი (ბერძნული თივა), წაბლი, ატამი, ღვია, სტეჰადი, ეფუკლა-  
ვანდი, ანუ ფრანგული ნარდი, აგრე სახელდება ჩემი პიერის კუნძულების  
სახელისდა მიხედვით,<sup>3</sup> რომელ კუნძულთაც უწინდელსა დროში სტეჰადები  
ერქვა, კელტური ნარდი და ა. შ.

ზოგ-ზოგსა სახელი კონტრასტული და საპირისპირო დაედო, ვითარ, მა-  
გალითადრე, აბსინტი კონტრასტულია პინტიასი,<sup>4</sup> რამეთუ სასმელი ესე გემო-  
თა საზიზღარია; ხოლო გილოსტეონ მრავალძარღვას ერთ-ერთსა სახეობაა და  
ნიშნავს მთლად ძვალთაგან შემდგარს, ნამდვილად კი მცენარულ სამ-  
ყაროში უფრორე მყიფე და ნაზი ბალახი არ არის, ვინემ ამა სახელისა მექო-  
ნია.

ზოგიერთი სახელდება თავის თვისებათა და მოქმედების მიხედვით:  
ესეგვარია არისტოლოხია,<sup>5</sup> ანუ ძირმწარა, რომელიცა მშობიარობას უწყობს  
ხელსა; ქარაგოზი, ანუ ლიქენი, რომელიცა კურნავს ამავე სახელწოდების კა-  
ნისა დაავადებასა; ბალბა, რომელიცა დამარბილებლად მოქმედებს; კალიტრი-  
კუმი, რომელიცა ეხმარება თმის ზრდასა; ალისუმი, ეფემერუმი, ანუ უცუნა, ვი-  
რასტერფა, დედოფლის ყვავილი, წიწმატი, ლენცოფა, ანუ მალლაფსელა და  
ა. შ.

ზოგიერთსა თავის განსაცვიფრებელ თვისებათა მიხედვით ეწოდა სახელი:  
ესეგვარია ჰელიოტროპი, დილის ყვავილი, ანუ მზისკენ მიმართული, რამეთუ  
ოდეს მზე ამოდის, ისიც იძლება; ოდეს მზე აღმობდება, ისიც ძალსა მიიწევს,  
ოდეს მზე გადიწვერება, ისიც თავსა ხრის; ოდეს თვალსა მიეფარება, ისიც იხ-  
უჭება; აღიანტუმი, რამეთუ წყალთან კი იზრდება, მაგრამ სინესტეს ვერ იჭერს,  
თუგინდ კარგა ხნითაც ჩაუშვით წყალში; გიერაკია, ერინგონი და ა. შ.

ზოგსა იმა მამრისა და მდედრისა სახელი დაერქვა, ვინცა რომელ მცენა-  
რედ გადაიქცა, მაგალითადრე: დაფნას — დაფნისა; მერტსა — მირსინისა; პი-  
ტიუსსა — პიტიასი; აქვე უნდა ვახსენოთ კინარა, ესე იგი არტიშოკი; ნარგი-  
ზი, ზაფრანა, სმილაქსი და ა. შ.

ზოგიცა მსგავსებით სახელდება, მაგალითადრე: ხიპურიდი (ესე იგი  
შვიტა, ანუ ცხენისძუა), რაკილა ცხენის კუდსა ემსგავსება; ფსილონი, რწვი-  
ლისა მგვანია; დელფინიუმი — დელფინისა; ბუგლოსი — ხარისა ენისა; ირისი  
თავისი მრავალფერადოვნებით — ცისარტყელასი; მიოზოტა — თავის ყურისა,  
კორონოპუსი — ყვავის ფეხისა და ა. შ.

მცენარეთა სახელთ, თავიანთი მხრივ, ზეგავლენა მოახდინეს ზოგიერთი  
გვარისა წარმოქმნაზედ, მაგალითადრე: ფაბიუსი წარმოდგა ლაბლაბოსგან, პი-  
ზონი — ბარდისგან, ლენტული — ოსპისგან, ციცერონი — ციცირისგან, ანუ  
მუხუდოსგან.

მსგავსებისდა კვალად უფრორე პოეტურად სახელდება ვენერას ჭიბი,  
ვენერას თმა, ვენერას დოქი, იუპიტერის წვერი, იუპიტერის თვალი, მარსის  
სისხლი, მერკურის თითები (ანუ ჰერმოდაკტილი) და ა. შ.

ბევრია ისეთი ბალახიცა, რომელთა სახელი თვითონ ამა ბალახთა ფორ-  
მამ განსაზღვრა, მაგალითადრე: სამყურა, რომელსაც სამი ფოთილი აქვს, პენ-

ტაფალონი, ანუ მარწყვა-ბაღახი, რომელსაც ხუთი ფოთოლი აქვს, სერპილუ-  
მი, მიწაზედ მცოცავი, პელქსინე, ანუ კედლისპირა, პეტასიტი, ანუ ბუერა და  
მინობადანი, რომელსაცა არაბნი ბეუნს ეტყვიან, რამეთუ იგი რუსთა გვაგონ-  
ებს და ცხიმოვნებით გამოირჩევა.



თავი LI

რად ეწოდება ამა მცენარესა პანტაგრუელიონი და მისთა  
არაჩვეულებრივ თვისებათა ვაჲო

ღიახაც ეგვეუ მიხეზთა გამოა (მითოლოგიურისა გამოკლებით, რამეთუ  
ღმერთსა არა სურს, რომ ესდენ მართალ ამბაეში ანდრეზი რამ, ანუ მითი ჩავ-  
წნათ) ხსენებული მცენარე პანტაგრუელიონად წოდებული, ვინაიდან იგი პან-  
ტაგრუელმა აღმოაჩინა, უფრო სწორად თუ ვიტყვით, თვითონ მცენარე კი არ  
აღმოუჩენია, ამ მცენარისა საგანგებო გამოყენება-გასაქმისებას მიაგნო და ამა-  
დაც არის, რომ პანტაგრუელიონი ყაჩაღთათვის უყურისხად საზიზღარი და სა-  
ძულეული, უფროსად შავხებელი და დამღუპველი გახდა, ვინემ მუმლი და აბ-  
რეშუნაა სელისთვის, ვინემ ლერწამია გვიმრისთვის, ვინემ შვიტაა მთიბელ-  
თათვის, ვინემ კელაპტარაა ბარდისთვის, შერია ქერისთვის, სეკურიდავა ოსპი-  
სთვის, ანტრანიუმი ღობისთვის, დეარძლი ხორბლისთვის, სურო, ანუ  
ფაიალო კედელთათვის, თეთრი დუმფარა, ანუ *nymphaea heraclia*,  
უძღვბ მონაზონთათვის,<sup>1</sup> მერალა, ანუ ქალმანა და არყისა ხე ნავარელ შვეირ-  
დთათვის, კომბოსტი ვაზისთვის, ნიორი შავნიტისთვის,<sup>2</sup> ხახვი მხედველობის-  
თვის, გვიმრისა თესლი ორსულ, შიდგომილ დიაცთათვის,<sup>3</sup> ტირიფისა თესლი გა-  
რყვნილ შილოზანთათვის, ურთხლისა ჩრდილი ამა ხისა ქვეშე მძინართა-  
თვის,<sup>4</sup> აკონიტუმი, ანუ ტილჭირა ავახათათვის და შველთათვის, ლელვისა  
ხის სუნი გავეშებულ ხართათვის, ციკუტა ღერლეტთათვის, ანუ ბატთათვის,  
დანდური კბილთათვის, მცენარეული ზეთი კი ზეთათვის, რამეთუ, რამდენადაც  
რვენთვის ცნობილია, ბუერთ, ვისაც პანტაგრუელიონის გაცნობა მოუხდა, თავი-  
ანთი სიცოცხლე მადლა და წამერთ დაამთავრეს,<sup>5</sup> როგორაც, მაგალითადრე,  
ფილიდამ, თრაკიელმა დედოფალმა, ბონობმა, რომისა იმპერატორმა, ამატამ,  
მეფე-ლატინუსის ცოლმა, იფისმა, ავტოლიკემ, ლიკამბემ, არაქნემ, ფედრამ, ლე-  
დამ, აქელსმა, ლიდის მეფემ, და სხვათ, — არცხაირი სატკივარი იმათ არ გასჩე-  
ოათ, ისინი მხოლოდ იმად დაიღუპნენ, რომ პანტაგრუელიონმა ყოველგვარ  
ანგინაზედ და მოძაკვდინებულ ანთებაზედ უარესად დაუცო ყრონტი, საიდანაც  
ცხარე-ცხარე სიტყვები ამოდის და სადაც ჩასაკოკლოზინებული ლუკმები ჩადის.

ბევრჯერ მოგვეუბნებია აგრეთვე, რომ ვიეთნი სწორედ იმ წამსა, რა წამ-  
საც ატროპოსი იმათ სიცოცხლისა ძაფსა უჭრიდა, მწარედ წუხდნენ და ვაებ-  
დნენ, პანტაგრუელი ყელში გვიჭერსო, მაგრამ ის სულაც არ ყოფილა პანტა-  
გრუელი — პანტაგრუელსა არცოდის უჯალათია: ეს პანტაგრუელიონი ეშიშთვი-  
ლებოდა, ანუ ესარჩობებოდა და უჭერდა მარყუჟთ; სიტყვა პანტაგრუელი იმ-  
ათ არასწორად იხმარეს და დაუშვეს სოლევციზმი, უკეთუ ეს სინეკდოხა არ არ-  
ის, ოდეს გამოშვონებლისა სახელი იმის მიერ გამოგონებულ საგანსა ერქმევა ხო-  
ლმე; ცერერა ავი ხან პურისა მაგივრად იხსენიება, ბაკქოსი — ღვინის მაგივრად.  
სუყოველ ცხარე-ცხარე სიტყვასა ვიფიცებ, ბოცასა შიგან რომ ჩაბუდებულა და

რომელი ბოცაცა აიმ გეჯაში ცივდება, რომ ქველი პანტაგრუელი ოდენ იმათ სწვდება ხოლმე ყელში, ვინცა არად აგლებს წყურვილისა მოკვლასა.

მცენარე ესე პანტაგრუელიონად იწოდა კიდევ მსგავსებისა გამო, რამეთუ პანტაგრუელი ქვეყანას მოკვლინა ზუსტად ისეთივე ძალადი, როგორც მცენარეა, რომელზეც სიტყვა ჩამოუადგუს და ესაუბრობთ, პანტაგრუელიონსგან: ზომასა ალება კი დიდ ჯაფას არ წარმოადგენდა, რამეთუ იგი წყურვილისა გამო დასაბადა, სწორედ როცა ამა ბალახსა თიბავენ, როცა იკაროსის ნაგაზი<sup>8</sup> მზესა შეპყვებს, ყოველი ტროგლოდიტებად აქცევს და დარნებსა და მარნებსა შიგან ძაერეკება.

მცენარე ესე პანტაგრუელიონად იწოდა კიდევ თავის სამკურნალო თვისებათა და თავისებურებათა გამო, ვინაიდან თუ თავად პანტაგრუელი უმაღლესი გულჩიარულობის იდეასა და ნიშნებს წარმოადგენს (ვგონებ, არც ერთი თქვენგანი, ლოთ-მებრუვენი, ამა ამბავსა ეჭვისა თვალით არ უყურებს), პანტაგრუელიონშიც იმდენ ცხოველმყოფელ ძალასა, იმდენ ენერგიასა, იმდენ სრულყოფილებასა, იმდენ გასაოცარ თვისებასა ვხედავ, მთელი თავისი არსებით ამა ძველ დროებაშიც რომ სცნობოდათ, ოდეს ხენი, ვითარ წინასწარმეტყველი უბნობს<sup>9</sup>, თავიანთ საბრძანებლად და საქართავად მეფესა ირჩევდნენ, პანტაგრუელიონი უცილობლად ხმათა დიდ უმრავლესობასა მოიპოვებდა.

კიდევ უფროის მეტსაც ვიტყვი: ბალახი პანტაგრუელიონი ორიუსის ძისგან ოქსილუსისგან და იმისი დისგან კამადრიადასგან რომ წარმოშობილიყო, თავისი ღირსებებით იგი უფრო მეტად გაუხარებდა გულსა ოქსილუსსა, ვინემ რეა შეიღმა გაუხარა,<sup>8</sup> რომელნი შეიღნიცა მითილოგთ შარავანდებით შემოსეს და რომელთა სახელნიც სამარადჟამოდ შემოინახეს. უფროს შვილსა მისსა ვაზი დაერქვა, მერმე მოდიან ლელვის ხე, თხილი, მუზა, ცირცელი, აკაკი, ალქა და, ბოლოს, უკანასკნელი — თელა, მკურნალი, რომელიცა თავის დროზედ სახელგანთქმული იყო<sup>9</sup>.

გამოწვლილვით ახსნას არ დაგიწყებთ, ვითარ ხდება, რომ პანტაგრუელიონის წვენი, გამოწურვილი და ყურში ჩასხმული, კლავს სუფოველ პარაზიტსა, სიბინძურისგან გაჩენილთ, და საერთოდ ყველაგვარ ცოცხალ არსებასა, ყურმიგან შემძვრალთ.

უკეთუ წვენსა ამასა წყლიან ტაგანში ჩალვრიოთ, ექავ თქვენ თვალწინ წყალი გაშინვე აიჭრება — იმდენად ძლიერ ზედმოქმედებას ახდენს იგი, ესევეთარი აჭრილი წყალი მარგებელია ცხენთათვის, რომელთაც ჭვლები და შებურილობა აწუხებთ.

პანტაგრუელიონის ფესვი, წყალში შევბობილ-მოხარშული, დაჭიმულ მყესო არბილებს და სახსარი თუ ცუდად იღუნება, ეგრევე შლის, შველის ძველ, გამდგარ ნიკრისის ქარსა და დამაგონჯებელ რეკმატიზმსა.

უკეთუ დამწვრობისა რაც შეიძლება მალე მორჩენა გსურთ — სულ ერთია: მღუღრისგან არის თუ აღისგან, — ნურავითარ საშუალებასა და ნურავითარ სამკურნალწამლო შედგენილობას ნუ მიმართავთ, აიღეთ ნელლა პანტაგრუელიონი, პირდაპირ მინდვრიდან, და ხშირ-ხშირად იცვალებთ, რათა ჭრილობას არ მიეკრას.

უიმიხოდ სუფოველი სამზარეულო უკემური გამოჩნდება, სუფოველი ტაბლა-ტრაპეზი — არცრა ყურადღების ღირსი, თუნდაც სოლ მაზა-მაზა და ნუგბა-



რი სასძელ-საჭმლით ყვაოდეს, სუფოველი სარეცელი — უბადრუკობის მწვერვალი, სულაც რომ ოქროდ, ვერცხლად, ქარვად, სპილოს ძვლად და პორფირად ბრწყინავდეს.

უიმიხოდ წისქვილში ხორბალსა ვერცხრით წავილებლით, აქიდან კი ფქვილსა ვერ მოვიტანდით. უიმიხოდ რით მიიტანდნენ ვექილნი, ქვეყნელნი სასამართლოში? ვით მიიტანდნენ თაბაშირსა სახელოსნოთა შინა? უიმიხოდ რაგვარ ამოვილებლით ჭიდას წყალსა? უიმიხოდ რა უნდა ექნათ საქმისა მწარმოებელთ, გადამწყურელთ, მდივანთ და მეოქმეთ? განა უიმიხოდ არ მოისპობოდა საგადასახადო სიები და სარენტო ბარათები? განა უიმიხოდ არ შეწყდებოდა წიგნისა ბუჭდვის კეთილშობილური ხელოვნება? რისგანლა დაამზადებდნენ ტილოს და საჭიძავ ქვეჩარჩოთ? როგორლა ჩამორეკავდნენ ზარნი? იმით იმოსებიან სუფოველნი იზიაკნი, ანუ ისიდას ქურუმნი, იმით ირთვებიან და იკაზმებიან პასტოფორნი, სრულიად კაცთა მოდგმა უწინარესად იმით იფარავს ტანსა. ყოველთა მატყლოვან ხეთ ჩინეთსა შინა (სურთა ქვეყანაში), სპარსეთისა ზღვაში კუნძულ ტილოსის ბამბისა ბუჩქო, არაბულ კინასა, ანუ ბამბასა, მალტურ ვაზსა არ ჩაუცმეკათ იმდენი ხალხისთვის, რამდენსაც მარტო ამა ერთმა მცენარემ ჩააცვა. იგი ყოველგვარი ტყავისა უკეთესად იცავს ლაშქართ სიცვიისგან და წვიმისგან, სიცხისგან იფარავს თეატრთ და ამფითეატრთ, მონადირეთა გულისა გასახარად ვარსა ერთყმის ტყეთა და წარაფთ, წყალშიც ყურჭუმელაობს, მტკნარშიაც და ზღვისაშიც შეთევზეთა სასარგებლოდ, ამა მცენარისა წყალობით ხმარებაში შემოვიდა სხვადასხვაგვარი წალა, ჩექმა, ხამლი, გამაში, ყელიანი ფეხსაცმელი, ფოსტალი, მაშია, ანუ სარმუზა, წულა, ჩუსტი და მისთანანი. ამა მცენარისა წყალობით იჭიმება მშვილდი და არბალეტი, ანუ სამალი, მისივე წყალობით მზადდება აგრეთვე შურდულნი. და მცენარე ესე თითქოს წმინდა, მაგიური კერბენა, ანუ ცოცხანა იყოს,<sup>10</sup> მანათაგან და ლემურთაგან პატივდებული, უიმიხოდ მიწასა არა ბარდება მიცვალებულთა სხეულნი.

მეტსაც გეტყვით. ამა მცენარისა შემწეობით უხილავნი არსებანი ხილულნი და შესამჩნევნი ხდებიან, გინდ ხელი სტაცე, გინდ დაიჭირე და გინდ დილეგში ჩასხი, და როგორც კი იმათ შეამჩნევენ და ხელთ ჩაიგდებენ ხოლმე, აშკარად კაცთა მოდგმისა სახეიროდ მაშინვე ლალად იწყებენ ბრუნვასა უზარმაზარნი და მძიმე დოლაბნი. მიკვირს და გამკვირვებია: როგორ მოხდა, რომ ძველთა ფილოსოფოსთ ამდენ საუკუნეთა განმავლობაში ვერ მიაგნეს ესეგვარ განსაკუთრებულად სასარგებლო ხერხსა, არადა, იმეამინდელ საფქველთ ზებუნებრივად დიდი შრომა ეჭირვებოდა.

ამავ მცენარისა შემწეობით, რომელიცა ჰაერისა ტალღებსა იჭერს, იძვრიან ლუზააშვებულნი უზარმაზარნი ორკადნი, ვრცელნი ტალამეგნი, მძლავრნი გალიონნი, ჰილიანდრნი და მირიანდრნი<sup>11</sup> და მესაჭეთა ნებასა მისდევენ.

ამავ მცენარისა წყალობით ადრე ჩვენთვის უცნობ ხალხთ, ვისთანაც ბუნებრივი პირობებისა გამო თითქოსდა სამუდამოდ გათიშულნი და დაშორიშორებულნი უნდა ვყოფილიყავით, აწ დიდი მიმოსვლა აქვთ ჩვენთან, ჩვენ კი იმათთან, ამისი ძალა კი თვით ფრინველთაც არ შესწევთ, თუმცადა მსუბუქად შებუმბულნი ჰაერში ცურვისა უნარით არიან აღჭურვილნი, რაიცა ბუნებისგან ნაბომებია. ტაპრობანამ<sup>12</sup> მოიხილა ლაბლანდია; იავამ მოიხილა რიფეის მთები; თებოლი<sup>13</sup> მოიხილავს აელემსა; ისლანდიელნი და გრენლანდიელნი შესგამენ ვუფ-

რატისა წყალსა; იმისავე წყალობით ბორეასმა მოიხილა ასტროსის სამყოფელი, ევროსმა მოიხაზულა ზეფიროსი. ზეციერნი ძაღნი, მიწიერნი და ზღვიერნი ღვთაებანი — სუყოველნი შეძრწუნდნენ, ოდეს დაინახეს, რომ კურთხეული პანტაგრუელიონისა წყალობით არქტიკის ხალხთ ანტარქტიკელთა თქალწინ გაიარეს ატლანტიკის ზღვა, გადალახეს ორივე ტროპიკი, შემოუჩრებეს უცხელსა სარტყელსა, მიმოზომეს სრულიად ზოდიაქი და ჰორიზონტზედ — რჩეს კი მისდუნისა მზერა-მზერაში ეკვატორი გადაკვეთეს.

ოლიმპის ღმერთნი თაყზარდაცემულნი გახმაყვივარდნენ: „თავისი ბაღახისა მოქმედებისა და თვისებათა წყალობით პანტაგრუელი ისეგვარ მძიმე საგონებელში გვერის, როგორშიაც აღოადებსაც რომ არ ჩაუყვრივართ. მალე ცოლსა მოიყვანს, დაწვრილშვილდება. მაგის ბედისა შეცვლის თავი ჩვენ არა გვაქვს, რამეთუ ბედი მაგისი გარდუვალობის ასულთა, ახუ ბედისწერის დების ხელით და თითისტარებით დაწვრილია. ვინ იცის, ეგების მაგის შვილთ ესეგვარივე ძალისა სხვა მცენარესა მიაგნოს და იმის წყალობით კაცთ სეტყვისა და წვიმისა სათავეთ, აგრეთვე ელვისა სამჭედლოს აღწიონ, მთუარეხედაც ავიდნენ. ციურ მნათობთა ზუღან დაადგან ფეხი და იქა დამკვიდრდნენ: ვინ თქროს არწივზედ, ვინ — ვერძზედ, ვინ — გვირგვინზედ, ვინ — ქნარზედ, ვინ — ლომზედ, ჩვენთან ერთად გაინაწილებენ ტრაპეზსა, ცოლებად ღმერთქალთ შეერთავენ და აი ნახავთ, თუ თავადაც არ გაღმერთდებიან“.

მაშინ ღმერთთ დარბაზისა მოწვევა განიზრახეს, რა ექნათ, რა ეღონათ, რომ ესე ამბავი თავიდან აერიდებინათ.

## თავი LXI

### ამა ამბავი, ვითარ არ იფვის ციციხლში პანტაგრუელიონისა ერთ-ერთი ჯიში

სუყოველივე უჩვეულო და განსაცვიფრებელი ვიამბეთ; უკეთუ წმინდა პანტაგრუელიონისა კიდევ ერთ-ერთ ღვთაებრივ თვისებასაც ირწმუნებთ, ამაზედაც ვიამბობთ. დაღათუმცა, ირწმუნებთ თუ არ ირწმუნებთ, სულაც არა მგამა; მთავარია თქვენთვის ჭეშმარიტებისა უწყება. დიახ, ჭეშმარიტება უნდა გაუწყოთ. გარნა, სანამ იმას მივაღწევდეთ, იქით მიმავალი გზა კი საკმარისად ხიფათიანი და მძიმეა, ერთი რამ უნდა შეგვეკითხოთ: თუ ბოცასა შიგან ორ კოტილა ღვინოში ერთ კოტილა წყალსა გაუურევ, ვითომ მერმე ღვინისა და წყლისა განცალკევებასა შეიძლებთ? თანაც ვითომ ისე გამოყოფთ ერთმანეთისგან, რომ წყალში ღვინო არ ერევა და ღვინოში წყალი, და ერთიცა და მეორეც ძველი ოდენობისა იქნება? ანდა: ვითქვამთ, თქვენთა მეურმეთ და მეზომადღეთ, რაღაცა ოდენობის გრავულ, ორღვანურ, ბონურ და მირვოსულ ნაირ-ნაირ ღვინოსა რომ გიზიდავენ, რისთვისაც კასრსაც იყენებენ, ლაღუკსაც, პიპასაც და ბიუსარსაც, გზად მოილხინეს, ნახევარი დაღიეს, მერმე აღგნენ და, ღამუზენელთა არ იყოს, რომელნიცა არქენტონური და სანვოტიერული ღვინითა საქმობენ, წყალი მიახვევს, ვითომ რა, შეიძლებთ მერმე სრულად წყლისა გამოწურვასა? შეიძლებთ ღვინისა გაწმენდასა?

ეცი სუროს ძაბრსა მიხსენებთ. მართალი ბრძანდებით, ამაზედ უკვე დაწერილა, მრავალ ცდასა დაუდასტურები. ეს ყველაფერი კარგად მოგეხსენებათ.

მაგრამ ვისაც სუროს ძაბრისა არცრა გაუგონია და არცა თვალთ უნახავს ესევეთარი ძაბრი, იმას ვერ დააჯერებთ, არაო, ვე შეუძლებელიაო, იტყვის. კიდევ წინ წავდგეთ.

სულას, მარიუსის, ცეზარისა და რომის სხვა იმპერატორთა დროებაში რომ გვეცხოვრა, ანდა დრუიდთა დროებაში, რომელნიცა უკუდრუიდთა და დიდებულთა გვამთ წვაავდნენ, და თავი თეთრი ღვინისა დაღვწვი მოფხდომებო-ათ, თქვენც ცოლთა და დედ-მამისა ფერულზედ რომ იქნებოდა დაყენებული, როგორაც ესა არტემისიამ უყო თავისა მკუდლის მავსოლეს ნეშტსა, ანდა ფერ-ფლისა უვნებლად შენახვა გადაგაწყვიტათ ურხაში თუ კილობანაკში, რას იზამ-დით, უითარ განაცალკევებდით ცხედრისა ფერულსა კოცონისა ფერულსგან? მიპასუხეთ! პათიოსნებასა ვფიცავ, დია შძიმე მდგომარეობაში ნაცვივდებოდით. გამოყვანით მარტო მე თუ გამოვიყვანთ იმა მდგომარეობიდან. აი რას ვეტყვიო: აილეთ საკვირველი რამ პანტაგრუელიონი, იმდენი აილეთ, რაოდენიცა ცხედრი-სა დაფარვისთვის არის საჭირო, რაც შეიძლება, კარვად გაახვიეთ შიგ ის სხე-ული, რაც შეიძლება, მაგრად შეკარიო, შეგრაგნეთ და დაშარტეთ, მერმე ადექით და ყოვლის უფრორე ძლიერ, აგიზგიზებულ ცეცხლსა შიგან ჩაავდეთ. ცეცხლი პანტაგრუელიონსა გაატანს, დაწვავს და ფერულად აქცევს შიგ გახვეულ სხეულ-საცა და ძვალთაც, თვითონ პანტაგრუელიონი კი არცა დაინავლება, არცა დაიწ-ვის, ერთ ატომსაც არ დაკარგავს ცხედრისა ფერულსასა, კოცონისა ფერულს ერთ ატომსაც არ გაატარებს შიგნით, და ცეცხლის ჩაქრობისა შემდგომ კიდევ უფროისად მშვენიერი, კიდევ უფროისად თეთრი, კიდევ უფროისად დაწმენდი-ლი გამოსნდება, ვინემ კოცონში ჩავდებამდე იყო. აი, ამადაც დაარქვენ აზბესტ-ტი<sup>1</sup>, ანუ ქანსელი. რამდენიც გნებავთ, ის იმდენია კარპაზიაში<sup>2</sup> და დიასიენას<sup>3</sup> ახ-ლიმანლო, და იქა ძალზედ იაფია, რაღა ჩალა და რაღა ისა. პირდაპირ გაუგონა-რი, საკვირველი რამ ამბავია! ყოვლის რშთანთქმელი, ყოვლისმომსრველი და ყოვლის დამბუგველი ცეცხლი წმენდს და ათეთრებს ოდენ კარპაზიულ აზბესტ-პანტაგრუელიონსა. უკეთუ არა მერწმუნებითა და, იუდეველთა და სხვათა ურწ-მუნოთა დარად, დადასტურებას და თვალადსაჩენ დამამტკიცებელ საბუთსა მომ-თხოვთ, მაშინ უში კვერცხი აილეთ და ღვთაებრავ პანტაგრუელიონში შებლარ-დნეთ. ვგრე შებლარდნილი, როგორიც გნებავთ, ისეთ ძლიერ და აგიზგიზებულ ცეცხლში ჩადეთ. რამდენი ხანიც გინდათ, იმდენი ხანი გააჩერეთ იქა. ბოლოს და ბოლოს კვერცხი მოიხარშება, გამოცხვება და დაიწვის, წმინდა პანტაგრუ-ელიონი კი ნირუცველი და უვნებელი დარჩება. ის კი არა, არცა გაცხელდება, ამა ცდაზედ ორმოცდაათი ათასი ბორღოული ეკიუ თუ დაგეხარჯებათ, ისიც პიტის<sup>4</sup> ერთი მეთორმეტედით ნაკლები. თუ პანტაგრუელიონსა საღამანდრას შეადა-რებთ — მოტყუვდებით. კი, ბატონო, ერთი კონა აღმოღებული ჩალა ნამდვი-ლად ახალისებს საღამანდრასა და ამხიარულებს. მაგრამ მერწმუნეთ, რომ დიდ ღუმელში, როგორაც სუფოველი სხვა ცხოველი, ისიც გაიგულება და დაი-წვის. ცდამ აგრე გვიჩვენა, ეს გალენოსისგან დიდი ხნას დამტკიცებული და და-საბუთებულია (წგნ. III, De temperamentis),\* ამავე აზრსა უტერს მხარ-სა დიოსკორიდე (წგნ. II).

ნუ დაიმოწმებთ შაბსა და პირეთის ხისა გოდოლსა, რომელიცა ვერას გზით ვერ დაწვა ღუციუს სულამ, იმიტომ რომ არქილაემ, მითრიდატე მეფისა ნაცვალმა, სულ მთლად შაბით გაავლეხინა.

\* „ტემპერამენტთა გამო“ (ლათ.).

ხუ შეუპირისპირებთ პანტაგრუელიონსა ხურცა იმა ხესა, რომელსაცა აღ-  
 ექსანდრე კორნელიუსმა ეონი უწოდა და რომელშიაც მან ფითროლებულ მუ-  
 ხასთან მსგავსება დაინახა, რამეთუ იგი ხე არცა წყალში იხარშება და არცა  
 ცეცხლში იწვისო, ზუსტად როგორაც მუხას მოღებული ფითროლი, და იმისგან  
 სახელგანთქმული ხომალდი „არგო“ აშენდა და აიგოთ. ვინმე კიდევ სხვა იქნება,  
 და ეს ყოველივე იმას უამბეთ, მე თავი გამანებეთ.

ხუ შეადარებთ პანტაგრუელიონსა ხურცა იმა სასწაულმოქმედ ხესა, ბრი-  
 ანსონისა და ამბრენის მთებში რომ იზრდება; ამა ხისა ფესვისგან ჩინებული  
 დრუბელი გამოდის, ტანისგან — საუკეთესო ფისი, რომელსაცა გალენოსი სკი-  
 პიდარსა, ანუ ბელეკონსა ადარებს; იმის ნატიფ ფოთოლთა ზედან უნახესი  
 რაფლი გროვდება, ჭეშმარიტად ცოური მანანა, გუმფისოვანი და ცხიმოვანი,  
 მაგრამ ცეცხლში უწვი. ბერძნულად და ლათინურად ამა ხისა სახელია larryx;  
 აღბებისა მცხოვრებნი მელზას ეტყვიან; ანტენორიდები და ვენეციაელები — ლა-  
 რეგს, საიდანაც წარმოდგა პიემონტის ციხე-სიმაგრის სახელწოდება — ლარიგ-  
 ნუმი, იულიუს კეისარსა მხარი რომ მოუქცია, ოდეს იგი გალთა წინააღმდეგ  
 ლაშქრობდა.

იულიუს კეისარმა აღბებისა და პიემონტის ყოველთა მსახლობელთ სა-  
 ჩოვებისა და ხორავისა გამოტანა უბრძანა გზისა პირად, რომელ გზასაცა იმი-  
 სი ლაშქარი მიუყვებოდა. იმის ამა ბრძანებასა სუფოველნი დაემორჩილნენ,  
 ლარიგნუმში შეხიზნულთა ვარდა, — თავიანთი აღვიღმდებარეობისდა მოხერხებუ-  
 ლობისა იმედით იმათ კონტრიბუციაზედ უარი უთხრეს კეისარსა, რათა ისინი  
 უარისა თქმისთვის დაესაჯა, იმპერატორმა პირდაპირ ციხე-სიმაგრისკენ დაძრა  
 თავისი ლაშქარი. ციხე-სიმაგრის წინ გოდოლი რამ იდგა, სქელი ლარიქსის  
 ძორებისგან აგებული, რომელი ძორებიც ბედლურად ეწყო, დაჭრილი შეშისა  
 ხორასებრ, და გოდოლი იგი იმსიმაღლე ზყო, რომ შიგან მყოფნი სასოფურ-  
 თაგან ღია მარჯვედ და მოხერხებულად დააყრიდნენ მოალყე-მოიერიშეთ ქვა-  
 ლოდთაც და კოჭ-თავხეთაც. შეიტყო აუ არა, ალყაშემორტყმულთ ქვა-ლოდთა  
 და კოჭ-თავხეთა ვარდა თავდაცვის სხუა არცრა საშუალება არა აქვთ და  
 ტყორცნითაც შორსა ვერა იტყორცნებიანო, კეისარმა ჯარისკაცთ გოდლი-  
 სა გარშემო ფიჩხისა ბლომად დაყრა და ცეცხლისა წაკიდება უბრძანა. ბრძანება  
 და აღსრულება ერთი იყო. ფიჩხსა ცეცხლი მოედო, აბრიალდა და მთელი ცი-  
 ხესიმაგრე დაფარა. სუფოველთ იფიქრეს, გოდოლი მთლად ჩაიბუგება და დაიქ-  
 ცევანო. ოდეს ფიჩხი სულ ჩაიწვა და ცეცხლიც ჩაჩელდა, გოდოლი ისევ ძვი-  
 ლებურად იდგა, არცრა ნავნები არა ეტყობოდა რა. მაშინ კეისარმა ციხესი-  
 მაგრისა გარშემო აუჩინ-სანგართა გათხრა ბრძანა და თანაც კიდევ ისეთ მან-  
 ძილზედ, რომ ფილაკეანით ნატყორცნი ქვა-საგორავნი იქამდის ვერ მოუწველა.  
 ამისა შემდგომ ლარინგუმელები დანებდნენ, და კეისარმა იმათი მონაყოლით  
 შეიტყო საოცარ თვისებათა ამბავი ლარიქსისა, ანუ ლარეგისა, რომელიცა არ-  
 ცა იწვის, არცა ვიზვიზებს და არცა ნახშირდება.

ესეგვარი ღირსებისა გამო უბრიანი იქნებოდა, რომ ხუ ესე ჩამდვილი პან-  
 ტაგრუელიონისა გვერდით დაგვეყვებინა, მით უმეტეს, პანტაგრუელმა ამა ხი-  
 დან ბრძანა კუტიკართა, კართა, ჩარჩოსა, სოლინართა, ღართა, ბულღართა  
 დამზადება და თელემისა შეფიცვრა; ის იყო თალასის ნავოსაყუდელში ჩამომ-  
 დვარი თავისი დიდი კარაკების, გემების, გაღერების, გალიონების, ბრივან-

ტინების, შხუნებისა და სხვა ხომალდების ცხვირის, კიჩოს, კამბუზის, ზედა ერლოს, სიგრძივი გასასვლელისა და კოშკთა შეფიცვრაც უნდა ებრძანებინა, მაგრამ შერძე გაიჩქვია, რომ ღარიქსი, რომელიცა უმეტეს ცეცხლგამძლეა, ვინემ სხვა დანარჩენი ხისა ჯიშები, ბოლოს და ბოლოს ცეცხლისგან მაინც ფუჭდება და იძლება, ვითარცა სიპნი საკირეში, ერთი ოდენ ახსუსტ-პატარუელიონია, ცეცხლში რომ იძვენად არცა იცვლება და არცა ფუჭდება, რამდენადაც ახლებდა და იწმინდება. ამრიგად,

ნუ იქებთ მურსა, ნურცა საკმელსა,  
ინდოულნი და არაბნი, გესმათ!  
ჩვენი ბალახი არგებს საქმესა,  
სიკეთე იცის იმისმა თესლმა.  
და თქვენს შიწაზეც იხარებს როცა,  
უფალს მადლობას ეტყვით მილიონს,  
და საფრანგეთსაც აღუვლენთ ლოცვას,  
ფასსა დასდებთ პანტაგრუელიონს.

ძველი პანტაგრუელის საბმირო მემკვიდრისა და  
სიტყვაბრძნობის მესამე წიგნის დასასრული

უ ნ ე ი უ ვ ნ ე ბ ი:

თავი XXXI

1. ლამფსაკოსი — ქალაქი მცირე აზიაში (მისიაში) ჰელესპონტის ნაპირზე, ძველ დროში ცნობილი იყო როგორც პრიაპეს კულტის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი.

2. ... რომელიც საკვების მესამე გზის სისხლად გადაქცევის შემდეგ რჩება. — არისტოტელეს მიხედვით, საკვები ჯერ კუჭში გადაიქცევა რძედ, შემდეგ ეს რძე ღვიძლში იწმინდება და, ბოლოს, ქსოვილთა სისხლ-ძარღვებში სისხლად იქცევა (იხ. აგრეთვე პანურგის განსჯა მესამე წიგნის IV თავში).

თავი XXXII

1. სტილი — თავწაწვეტებული ჯობი, რომლითაც წერდნენ გაცვულულ დაფებზე.

2. პრეტილები — არგოსის მეფის პრეტეს ქალიშვილები, ჭკუაზე შეიშალნენ, რაკი უარი თქვეს ღმერთ დიონისეს პატივისცემაზე.

3. მიძალონიანი და ფიადნი — ბაკქანტები.

4. კრიტოლაე — ბერძენი ფილოსოფოსი — პერიპატეტიკოსი (ძვ. წ. აღ. II ს.), ამბობდა, თუ მთელ სულიერ სიკეთეს სასწორის ერთ პინაზე დავდებთ, ხოლო სხეულისას მეორეზე, პირველი გადასწონისო.

5. ერთ ცნობილ ავტორს აქვს აღწერილი. — რაბლეს მხედველობაში აქვს ესოპეს იგავ-არაკი, რომელიც მოთხრობილია პლუტარქეს „მეუღლისადმი ნუგეშინის სიტყვაში“ (609, E).

თავი XXXIII

1. დენტევილი — ფრანსუა დე დენტევილი. გარდაიცვალა 1530 წ. საეკლესიო რეფორმის გატარება უნდოდა არა მას, არამედ მის წინამორბედს მიშელ დე კრეხეის.

თავი XXXIV

უნიონის  
გინგლიფის

1. ...გაიშავალითონ სემირამიდა, პასიფაე, ეგესთა და, ეგვიპტეში რომ კუნძულა მანდესია, იქ მსახლობელნი დიაცნი... — რაბლე გულისხმობს იმ მითებსა და თქმულებებს, რომლებშიც ასახულია არაბუნებრივი ვნებანი.

2. ...ჩვენნი ძველნი მეგობარნი... — რაბლე ასახელებს თავის ძველ ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად სწავლობდა მონპელიეს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

თავი XXXVI

1. ...ეფექტიკური და პირონიკული ფილოსოფოსი — ე. ი. სკეპტიკოსი. პირონი (ძვ. წ. აღ. IV ს.) — ბერძენი ფილოსოფოსი, სკეპტიციზმის სკოლის დამაარსებელი.

2. ამასვე ამბობდა დილო თავის საჩივართა შიგან. — ლაპარაკია ვერგილიუსის „ენეიდას“ IV წიგნზე, სადაც დილო წუხს ენეასის წასვლის შემდეგ.

3. ბერგამული ზოსტერი — უმანკოების ქამარი, რომლითაც შინიდან წასვლის შემთხვევაში ეჭვიანი ქმრები ცოლებს ბოჭავდნენ.

4. ფრენი — შუასამგაიდი (ბერძ.), რომელიც ერთმანეთისგან ყოფს გულმკერდისა და მუცლის ღრუებს, ძველების წარმოდგენით, გონების სათავსი იყო.

5. მეტაფრენი — გულმკერდის ნაწილი.

6. ფრონტიტერია — სიტყვასიტყვით: სააზროვნო (ბერძ.).

7. აპორეტიკოსი — საიდუმლოს დამტყველი (ბერძ.).

8. ეფექტიკოსი — თავის გადაწყვეტილებას ვინც გადადებს (ბერძ.).

თავი XXXVII

1. ფატუალური—ფავნუსის, ლათინთა ლეგენდარული მეფის, მინდერებისა და ტყეების რომაული ღვთაების ერთ-ერთი სახელი იყო ფატუუსი, რაც ლათინურად „ბრევს“ და ერთდროულად „წინასწარმკერებს“ ნიშნავს.

2. კორებუსი — ფრიგიელი უფლისწული, კასანდრას საქმრო, მოკლეს ტროას აღების დროს.

3. ჯოვანი ანდრეა, პანორმიტა (ნიკოლოზ ტელესკო), ბარბაციუსი (ბარბაცო), იახონი (ჯაზონე დელ მაინო) — XIV-XV ს.ს. იტალიელი იურისტები.

4. კაიეტი იყო ფრანცისკ I ტაკომასხარა.

თავი XXXVIII

1. ტრიბულე — ასე ერქვა მეფეების ლუდოვიკო XII და ფრანცისკ I ტაკომასხარას.

2. ბონადიუსი — ბერძენთა ღვთაება, რომელსაც პატივს მიაგებდნენ არკადიის მხარეში.

3. ბონადეა — კეთილი ღმერთქალი, ნაყოფიერების ძველიტალიკური ღვთაება.

თავი XXXIX

1. ცენტუმვირალური — ასი წევრისგან შემდგარი (ლათ.). ასე იწოდებოდა იმხანად პარაზის პარლამენტი (სასამართლო პალატა).

2. კაინრიხ (ანრი) ფერანდა — დეკრეტალიუმის ერთ-ერთი კომენტატორი.

**თავი XL**

1. „დოქტორ თომას აზრი...“ — ე. ი. თომა აქვინელისა.

**თავი XLI**



1. ლატერანის კრება — საეკლესიო კრება 1512-1517 წწ. რომში ლატერანის სასახლეში.

2. პრაგმატული სანქცია — კარლოს VIII ორდონანსი, გამოქვეყნდა 1438 წ. ამ სანქციამ XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში განსაზღვრა ეკლესიისა და საყრანგეთის სახელმწიფოს ურთიერთობა. პრაგმატული სანქცია ლატერანის კრებაზე გაუქმდა.

3. Qui non laborat, non manige ducat — დამახინჯებული ლათინური უნდა იყოს: Qui non laborat, non manducet (მოციქულ პავლეს მუორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ, III, 10) — ვინცა არ მუშაობს, ის არცა ჭამს.

4. პარანიმფი — ხეუის მაყარი (ბერძ.).

**თავი XLIII**

1. მონღური — სოფელი პარიზთან ახლოს.

**თავი XLIV**

1. ტრიბონიანე — ჩვ. წ. აღ. VI ს. რომაელი იურისტი, იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით, ხელმძღვანელობდა რომის სამოქალაქო სამართლის კრებულის შედგენას. შუა საუკუნეებში ტრიბონიანეს სახელი საზოგადო სახელად იქცა და აღნიშნავდა კომპილატორს, რომელიც უბოდიშოდ ამახინჯებდა სხვათა შრომებს.

**თავი XLV**

1. მუსაფი (სწორია — მუსაჰჰუფი) — ყურანის კომენტატორი (არაბ.).
2. ყურზედ აბოლონ კინთია უჩქმიტა. — აქ რაბლე ვერგილიუსის VI ბუკოლიკის ერთ-ერთ ადგილს (გვ. 2-5) გულისხმობს. კინთია — აბოლონის ერთ-ერთი მეტსახელი.

**თავი XLVI**

1. მაროსოფი — რეგენი, აკარაკი, ჭკუამხიარული (ბერძ.).

**თავი XLVII**

1. დამიდე — I საუკუნის ბერძენი ფილოსოფოს-მისტიკოსის აპოლონიოს ჰიანელიის მოწაფე და მეგობარი.
2. ქსენომახი — ყოველგვარი უცხოურით ფრიად გატაცებული (ბერძ.).
3. ლიფლიფეთი, ანუ ფარანეთი — არარსებული ქვეყანა ლუკიანეს „უტყუარი ამბიდან“ (I, 29).


**თავი XLVIII**

1. პასტოფორები — ასე ეძახდნენ ელინისტურ ეგვიპტეში ქერუმთ, რომელთაც წმიხდა პროცესიების დროს ღმერთების გამოსახულებანი დაჰქონდათ. რაბლე ამ სიტყვას უფრო ზოგადი გაგებით იყენებს: „მღვდლები“, „მღვდელმსახურები“. „თხუნელისებრი პასტოფორების ქვეყანა“ — საფრანგეთი, სადაც, მოქმედი კანონიკური სამართლის მიხედვით, ქორწინებისთვის საჭირო იყო მხოლოდ სეფე-პატარძლის თანხმობა, რის შესახებაც მღვდლისთვის უნდა ეცხობებინათ.

2. მისტები — ქერუმნი, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ საიდუმლო ღვთისმსახურებაში, ანუ მისტერიებში (ბერძ.).

3. სიმისტები — ერთ-ერთი რელიგიური სექტის ქერუმნი, ერთად და იმავე საიდუმლოებაში განდობილნი (ბერძ.).

4. თალასის ნავსაყუდელი (თალასა — ბერძნულად ზღვა) — აღბათ პორტი ტალარი (ამჟამად ქალაქ სენ-მალოს გარეუბანი, საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე).



თავი XLIX

1. ...რამდენიცა ოდესღაც აიაქსმა ხალაძინიდან გაიყვანა... — ე. ი. პანტაგრუელის ფლოტი სორმეტი გემისგან შედგებოდა.

2. ბალასი პანტაგრუელიონი — კანაფი. რაბლე ხუმრობანარევი მეცნიერულობით აღწერს ამ მეცენარეს, მაგრამ ნამდვილი სახელით არსად არ იხსენიებს.

3. *Smyrnium olusatrum* — ოხრახუმის ერთ-ერთი სახეობის ლათინური სახელწოდება.

4. *mylasea* (ლათ.) — მილასური. მცირე აზიაში ქალაქ მილასის ახლომახლო ხარობს. ეს კანაფის ერთ-ერთი ჯიშია და არა მეცენარის ერთ-ერთი ნაწილის სახელწოდება.

5. დენდრომალახი — ხისებრი ბაღბა.

თავი L

1. ვინცა... უკან-უკან სულით მოულობს ლუკმა პურსა — ესე იგი მეოკენი და შებავირენი.

2. ხვანი... იმასვე სხადიან, რასაცაჲ მოცალეობისა ეამსა შვრებოდნენ სამნი პარკნი... რასაცა იქმოდა პენელოპე, ოდეს თაყვანისმცემელთათვის... პირდაპირ პასუხზედ თავის არიდება მოუხდა. — ესე იგი ართავენ ახლა ქსოვენ.

3. ...სახელდებული ჩემი პიერის კუნძულებისა სახელისდა მიხედვით. — შესამე წაგნის პირველ გამოცემებში სატიტულე ფურცელზე აღნიშნული იყო: „თხზულება ფრანსუა რაბლესი. მედიცინის დოქტორისა, პიერის კუნძულთა მონაზუნისა“. ეს საძი კუნძულ-ჭალაკი მდინარე რონას შესართავთან მდებარეობდა ზღვაში.

4. პინტია — ეს სიტყვა გამოგონილია რაბლეს მიერ, რომელსაც საფუძვლად უდევს ბერძნული ძირი „სმა“.

5. არისტოლოხია (ბერძ.). — „არისტოს“ ნიშნავს ჩინებულს, ხოლო „ლოხეა“ მშობიარობას. მეცენარეთა სახელწოდებანი, რომლებიც მოხსენიებულია ამ და მომდევნო აბზაცებში, უმეტესად ბერძნულია, რაბლე იმათ მნიშვნელობას უხსნის მკითხველს.

6. პიტოუსი — ფიჭვი (ბერძ.).

თავი LI

1. თეთრი ღუმფარა, ანუ *nymphaea heraclia*, ჰერაკლეს შრომანი.

2. ...ნიორი მაგნიტისთვის... — პლუტარქეს თქმით („ხადილობანი“, 11, 7) ნიორწასმული მაგნიტი მაგნიტურ თვისებებს კარგავს.

3. გვიმრისა თესლი ორსულ, მიღვომილ დიაცთათვის... — პლინიუსი ამტკიცებს, რომ გვიმრა იწვევს მუცლის მოწყვეტას.

4. ...ურთხლისა ჩრდილი ამა ხისა ქვეშე მძინართათვის... — ძველად არსებობდა რწმენა, რომ ურთხლის ჩრდილქვეშ ვინც დაიძინებდა, ის აუცილებლად მალე მოკვდებოდა.



5. ...თავიანთი სიცოცხლე ძაღლა და წამერთ დაამთავრეს... — ესე იგი მარყუჟში.

6. იკაროსის ნაკაზი — დიდი ძაღლის თანავარსკვლავედი.

7. ...ვითარ წინასწარმეტყველი უბნობს... — აქ ნაგულისხმეობა „საჯულონი“, IX, 8-15, მის ავტორად ითვლებოდა სამუელი ან მეფე ეზეკია.

8. ...ვინემ რვა შეიღმა გაუხარა... — აქ ნაგულისხმეობა რჩრან მამხდრიადე-ნიზლიქითქუა

9. თელა, მკურნალი, რომელიცა თავის დროზედ სახელგანთქმული იყო. — თელის ქერქი ითვლებოდა ჭრილობების მოსაშუშებელ ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად.

10. ...და მცენარე ესე თითქოს წმინდა, მაგიური ვერბენა... იეოს... — ვერბენას წმინდა ტოტები ხელთ ეჭირათ ხოლმე ზოგიერთი რელიგიური წეს-ჩვეულების აღსრულებისას.

11. ორკადნი — სატვირთო გემები (ბერძ.). ტალამეგა — ეგვიპტური ტიპის დიდი ხომალდი, კაიუტიანი (ბერძ.). ჰილიანდრნი და ძირიანდრნი — გემები 1000 და 10000 კაციანი ეკიპაჟით (ბერძ.).

12. ტაპრობანა — კუნძულ ცეილონის ძველი სახელწოდება.

13. თებოლი — კუნძული არაბეთის ყურეში.

თავი LII

1. აზბესტი — უწვავე (ბერძ.).
2. კარპაზია — ქალაქი კვიპროსზე.
3. დიასიენა — ქალაქი ეგვიპტეში.
4. პიტა — წერილი სპილენძის ფული, პუატუში იჭრებოდა.
5. კარაკები — პორტუგალიური ნიბუშის დიდი გემები.

დასუსტება

„საშენჯის“ მე-5 ნომერში გამოქვეყნებულ ფრანსუა რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ მესამე წიგნის მე-12 გვერდზე პირველი აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „და კიდევ: ჰესიოდე თავის იერარქიასა, ანუ ნათესავთმეტყველებასა შინა“; მე-13 გვერდზე მეორე აბზაცის პირველი სტრიქონი: „აი, რად უხმობს ჰომეროსი სახელად თავის ილიადასა შინა კეთილ ხელმწიფეთ“; ამავე აბზაცის შემოდან მეშვიდე სტრიქონი: „შემომტკიცებულ მიწაწყალთ“... 37-ე გვერდზე ქვევიდან მე-11 სტრიქონი: „...ვითა ქოგური, ანუ ხიხა ბურთი მიფანტ-მოფანტავს“; 71-ე გვერდზედ XXIV თავის სათაური: „ვითარ ზიმართავს პანურგი რჩევისთვის ეპისტემონსა“, ხოლო ამ თავის პირველი აბზაცი: ვილოძერი რომ დააგდეს და პანტაგრუელისკენ წარემართნენ, პანურგმა გზად ეპისტემონს მიუთხრო; 88-ე გვერდზე შემოდან მე-10 სტრიქონი კი: „საკუთარ უფლებათა გამო ზრუნვისთვის აღარც დრო რჩება და აღარცა მოცალეობა“.



# ბილის ნაღირობა ფულზე



ინგლისურიდან

თარგმნა ლალი გობაძემ

— მეზღვაურებს ერთი ნაკლი აქვთ, — გულახდილად დაიწყო ამბის მოყოლა ღამის დარაჯმა. — ღმერთმანი, არაფერს გიძალავთ. გემზე ყოფნისას ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადე. დანაშაულია — მეზღვაური და ფული ერთად. იშვიათად უნდა გადაუხადონ მას გასამრჯელო. ერთხელ ორი ოქროს გადაენარჩუნე, ჯიბეში მქონდა. სანამ სხვა გემზე მოვეწყობოდი, ორი დღე და ღამე ღია ცის ქვეშ ვეგლე უსმელ-უჭმელი, და ლუდხანიდან ორი ათას მიღზე რომ ვიყავი უკვე ზღვაში, მაშინღა ვიპოვე პალტოს სარჩულში.

ერთ კაცს ვიცნობდი, თომას ვირი ერქვა. მაგისტანა ძუნწი არავინ შემხედრია ჩემს დღეში. ერთად ვმუშაობდით გემზე, „გრენდაზე“. სიღნეიდან შინ ღონდონში მოვცურავდით.

თომასი სამოცი წლის თუ იქნებოდა, მაგრამ მეტიას ჰგავდა. ბოლო ორმოცი წელი თავაულებლად მუშაობდა, ფულს არ ხარჯავდა, საცოდავმა ექვსასი კარვანჯა სტურლინგი მოაგროვა. უხაროდა, ამბობდა, ახლა ჩემი საქმე თქვენზე უკეთესადააო. სიღნეიდან გამოსვლის ერთი თვის თავზე თომასი ავად გახდა. ბილ ჰიკსი ოხუნჯობდა, ფულმა გახადა ავადო, მაგრამ უოლტერ ჯონსმა, რომლის ოჯახის წევრებიც წამლაუწუმ ავად ხდებოდნენ და ამ საქმეში სხვაზე მეტი გამოცდილებაც მქონდა, განაცხადა, მე ვიცი, მოხუცს რაც სჭირს, მაგრამ ავადმყოფობის სახელი გადამავეწყდაო. ღონდონში რომ ჩავალთ, ექიმს უნდა გაესინჯოსო. მალე ყველანი დავრწმუნდით, რომ ჯონსი მართალი იყო.

თომასის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. კაპიტანმაც მოინახულა, რაღაც წამალი მისცა, ენაზე დახედა, მერე ჩვენც გამოგვაყოფინა ენა, რომ შეედარებინა. მერე მზარეულს დაუბარა, მიხედვით და წავიდა. მეორე დღეს თომასი უფრო ცუდად შეიქნა. მალე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ სასწრაფოდ უნდა გვეფრინა ტელეგრამა. პირველად ავადმყოფმა არ დაგვიჯერა, თუმცა მზარეულმაც უთხრა, ასე ჯობიაო. ბილ ჰიკსმაც გადაუკრა სიტყვა, უოლტერ ჯონსის ბაბუაც ამ ავადმყოფობით მიიცვალაო.

— მე არ მოვკვდები, — გაჯიუტდა თომასი. — როგორ? მოვკვდე და ფული უპატრონოდ დაეტოვო?

— ნათესავებს დაუტოვე, — ურჩია უოლტერ ჯონსმა.

- ნათესავეები არა მყავს, — თქვა თომასმა.
- მაშინ მეგობრებს, — სიტყვა შეაპარა უოლტერმა.
- არც მეგობრები მყავს, — უკმუნად მიუგო სნეულმა.
- მაშ, ჩვენ ვინა ვართ, თომას? — გაუღიმა უოლტერმა.

თომასმა თვალი მაგრად დახუჭა და ისევ ფულზე დაიწყო ლაპარაკი. გა-  
ახსენა, რა წვალებით და ჭაპან-წყვეტით შეაგროვებდა. ამ ლაპარაკში უფრო და  
უფრო ცუდად ხდებოდა, ჩვენც ვეღარ გვეცნობდა, თავს ქურდები და ბანდიტები  
მამხვევიაო; უოლტერ ჯონსს ყაჩაღსა და გამომძალველს ეძახდა. „აბა, რას ამ-  
ბობ, მოხუცო, სულაც არ ვარ ეგეთი“, — არწმუნებდა უოლტერი.

მეორე დღეს მიაბარა სული უფალს. ამ დღით საცოდავი ისევ თავის  
ფულზე მოთქვამდა. ბილზე გაჯავრებული იყო, როგორ მითხრა, ფულს თან ხომ  
ვერ წაიღებ საიქიოშიო. მაგრამ მაინც ბილის შეეხვეწა, როგორცა ვარ ახლა,  
სხევე დამძარხეო, და ბილიც დაპირდა, ეგრე მოვიქცევით. ბილი საბანს რომ  
უსწორებდა, ხელში მოხვდა ავადმყოფის წელზე შემოხვეული ბრეზენტის ქა-  
მრი. მაშინვე მიხვდა ბილი ყველაფერს.

იმ დღეს ჯოჯობიური ამინდი იყო. ზღვა დელავდა და გემბანი წყლით  
აუხებოდა. თავაულებლად ემუშაობდით ზემოთ, მხოლოდ ჯიმი, — თექვსმეტობდე  
წლის ბიჭი, მზარეულის თანამეწყე — ადგა თომასს თავზე, ცოტა ხანში მე და  
ბილიც ჩავედით ავადმყოფის სანახავად.

- ფული თან მიმაქვს, ბილ, — უთხრა თომასმა.
- ჰო, რა თქმა უნდა, — დაუყვავა ბილიმ.
- ახლა უკვე მშვიდად ვარ გულზე მომეშვა, ჯიმის ვიხივე, წყალში გა-  
დააგდე-მეთქი, — თქვა თომასმა.

— რა თქვი? — მიაშტერდა ბილი.

— მართალია, ბილ, — უთხრა ბიჭმა, — ბანკოტების პატარა დასტა მომცა,  
თან ორპენსიანიც მოაყოლა გასამრჯელოდ.

როგორც ჩანს, თომასი ჩვენს ლაპარაკს ისმენდა. თვალები ფართოდ გაე-  
ხილა და ბილის ეშმაკურად შეჰყურებდა; თვალებზე ეწერა, ეს რა ჭკვიანური  
რამ მოვიფიქრეო.

— ჩემს ფულს ახლა ვეღარავინ დახარჯავს, ვეღარავინ, — ამოიღუღლულა  
მან.

ბილიმ ბიჭი გააგზავნა კაპიტანთან:

— წადი, უთხარი კაპიტანს, თომასი გათავდა-თქო, ფული წყალში რომ გა-  
დაყარე, ამაზე კრინტი არ დასძრა, შენთვის ასე სჯობია, გესმის?

— რატომ? — ვერ მიხვდა ბიჭი.

— იმიტომ, რომ ჩაგაყუდებენ. ასე არ უნდა მოქცეულიყავი. კანონი დაარ-  
ღვიე. ფული ვილატას უნდა დარჩენოდა, — უთხრა ბილიმ.

ჯიმი შეშინებული მიაშტერდა ბილის, მერე შებრუნდა და წავიდა.

— მისმინე, ბილ, რა ოინი ჩაიფიქრე? — ვკითხე მე.

— ოინი? — ჩაიცინა მან. — საბრალო ბიჭი არ მინდა ხიფათში ვაებას, ერთ  
ღროს შენც ხომ იყავი ჯეელი?

— კი ვიყავი, ახლა აღარა ვარ. ცოტა დიდი გავიზარდე. მითხარი, ბილ, რა  
ჩაიფიქრე, თუ არადა, იცოდე, ყველაფერს ჩავუკაკლავ კაპიტანს. ბიჭებსაც ვე-  
ტყვი. ჯიმიმ საცოდავი თომასის ნება-რეული ათასრუჯა, განა ანა... უნ-  
და გაკიცხო?

— როგორ ფიქრობ, აღასრულა კი? — ცხვარი ცხვირთან მომიტანა ბილიმ.  
 — მაგ ცუდლუტ მელას წყალში არაფერიც არ გადაუგდია. მთელი სიმდიდრე  
 მანა აქვს. ენას კბილი დააჭირე და იმ სიმდიდრეს ხელში ჩავეიგდებ. შენს წილს  
 მიიღებ.

— კარგი, გავჩუმდები, — უუბასუხე მე. — მაგრამ როგორ?  
 ბილის მღელვარებისაგან სუნსაქვა ეკვროდა. თითქოს ენაც წაერთვა. არც  
 მე უყავი კარგ დღეში.

— ყველაფერს აგიხსნი, — დაიწყო მან. — მე ჩემი წილი უნდა მივიღო. ეს  
 არც ძარცვაა და არც რაიმე დიდი უბედურება. ფულს პატრონი არა ჰყავს. ბი-  
 ჭსაც არ ეკუთვნის, რადგან უთხრეს, ზღვაში გადაუძახეო, — დაასკვნა ბილიმ.  
 მაღე მე და ბილი ჩვენი გეგმის განხორციელებას შევუდექით.

დაკრძალვა მეორე დღეს, დილით შედგა. როდესაც ყველაფერი დასრულ-  
 და, ბილიმ ბიჭს მხარზე ხელი გადახვია.

— საცოდავი თომასი, წაუიდა თავის ფულის საძებნელად. ნეტავ იპოვის  
 კი? პო მართლა, ჯიმი, ერთი მითხარი, დიდი შეკვრა იყო?

— არა, — თავი გააქნია ბიჭმა. — ექვსასი გირკანქა სტერლინგი ქალაქის  
 ფული და ორი ოქრო იყო. ის ორი ოქროც ქალაქის ფულებში ჩავდე, რომ  
 წყალში კარგად ჩაძირულიყო.

— კანონი დავარღვიე არა, ბილ?

ბილიმ არაფერი უბასუხა. ნაშუადღევს კი, როცა ბიჭებს ეძინათ, ჯიმის სა-  
 წილთან მივიპარეთ. კარგა ხანს ეჩხრეკდით იქაურობას, მაგრამ ვერაფერი ვი-  
 პოვეთ. ბოლოს ბილი იატაკზე ჩაჯდა და დაიფიცა, არ შევარჩენო.

დალაშქვას დაველოდეთ და მერე ისევ ბიჭის საწოლთან მივიპარეთ. ახლა  
 ჯაბებში ჩაუკურეთ ხელი, მაგრამ იქაც ვერაფერი ვიპოვეთ. მერე ჩვენი სა-  
 წილებისაკენ წავედით. ბილიმ წამჩურჩულა:

— თომასივით ამასაც ალბათ ფული წელზე ექნება შემოკრული.

ერთხანს იქ ვიდექით და სიბნელეში ვჩურჩულებდით. ბილიმ ვედარ მო-  
 თმანა და თითის წყურებზე ისევ ბიჭის საწოლთან მიიპარა. ორივენი მღელვა-  
 რებისაგან ვცახცახებდით, მოულოდნელად ბიჭი წამოვარდა საწილიდან. კის-  
 ვისებდა და თან იძახდა, ვიღაცამ შემიღიტიინათ.

მე და ბილი საწოლს ამოვეფარეთ და სული გავნაბეთ. ყურს ვუგდებდით  
 ამ მეტიხმეტად ემოციურ მზარეულს. ბოლოს ძლივს დაწყნარდა და დაწვა, თან  
 დუღუნებდა: ვიდეუ რომ ვინმემ შემიღიტიინოს, რა მეშველებაო?

— კარგი ერთი, დაიძინე, ალბათ დაგესიზმრა. შენი შეღიტიინებისათვის ნე-  
 ტავ ვის სცხელა? — უთხრა უოლტერ ჯონსმა.

— გუუბნები, ვიღაცა იყო, ხელი გველივით შემომისრიალა, — ჯიუტად იმე-  
 არებდა მზარეული.

იმ ღამეს ბილის მეტი აღარაფერი მოუმოქმედებია. მეორე დღეს კი ჯიმი  
 ცოტა არ იყოს გასუქებული მოეჩვენა. შარი მოსდო, დაიჭირა, ჩასცხო და ჩას-  
 ცხო, უნდოდა გაეგო, მართლა თუ აქვს წელზე შემოხვეული ბანკნოტებიო. ბიჭები  
 ჯიმის გამოესარჩლნენ, ბილის სთხოვეს, კარგი, გეყოფა, თავი დაანებეო.

მთელი კვირა ეძებდა ბილი იმ ფულს, თან სულ ჯიმიზე ეჭირა თვალი: „ეს  
 გველის წიწილი რაღაც ძალიან ბევრს დაბორილობს კიჩოზე. ალბათ სადღაც  
 ექ დამაღა“. ჩვენი მოვზაურობა თაქ კათან დასასრულს უაქლოვდებოდა. გემზე

მუშახელი გვაკლდა და ჯიშისაც სხვა მეზღვაურებივით მოუწია მუშაობა. ახლა უკვე ბილი და ჯიში იშვიათად ხვდებოდნან ერთმანეთს.

მაგრამ ერთ დღეს ბიჭი დავიმარტოხელეთ. ბილიმ თავისი მკლავების მარ- წუხებში მოიქცია და პირდაპირ ჰკითხა: ფული რა უყავით?

— ცუდი მეხსიერება გქონია, ბილ, ხომ გითხარი, ვადავამდე-მეთქი, — ამო- იკნავლა ბიჭმა.

თავიდან ფეხებამდე გავჩხრიკეთ. მერე მისი საწოლიც შევამოწმეთ, სანამ ჯიში იცვამდა, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ.

— შენ თუ აღაღმართალი ხარ, რატომ არ ყვირი და საშველად არ ეძახი ვინმეს? — გამოსცრა კბილებში ბილიმ.

— შენ არ მითხარი, სიტყვა არავისთან დაძრო? — უბასუხა ბიჭმა. — მაგ- რამ თავს თუ არ დამანებებ, ქვეყანას შეგიყრი, იცოდე.

— მისმინე, გაგვიმხილე, სად შეინახე და ფულს სამად გავყოფთ. თითო- ეკულის ორას-ორასი შეგვხვდება. გვითხარი და ჩვენც გასწავლით, რომ მახეში არ ამოჰყო თავი, ხომ იცი, შენზე ჭკვიანები ვართ.

— ვიცი, ბილ, ვიცი, მაგრამ ტყუილი ვთქვა? წყალში გადავუძახე-მეთქი, არ გითხარი? — დაიჩემა ბიჭმა.

— მაშ, კარგი. კაპიტანთან მივდივარ. ყველაფერს ჩაუუკაკლავ, — გაბრაზდა ბილი.

— უთხარი, ჩემთვის სულ ერთია, — მიუგო ჯიშიმ.

— გადადგამ თუ არა ფეხს ნაპირზე, იმ წამსვე დაგიჭერენ. მერე გემზე ვერც კვრასოდეს მოეწვობი. შენი სიხარბის გამო ყველაფერს დაკარგავ, იცოდე. მაგ- რამ თუ წილში შემოხვალ, ორასი შენია ყოველგვარი გართულების გარეშე. — არიგებდა ბილი.

ბიჭს ასე ოსტატურად დაეფაროს თავისი ფიქრები და გრძნობები, არსად ღინახავს. მეცა და ბილიც ლამაზ-ლამაზი სიტყვებით შეგვამკო. ბილის უთხრა, შე წითელცხვირა თაღლითო, მე რას მიძახდა, არ მახსოვს.

— ჩაათავებ თუ არა ტრაპს, მაშინ, აგავლებენ, იცოდე. — არ ეშვებოდა ბილი.

— და ჩემთან ერთად მზარეულსაც შეულიტინებენ, არა? — უკბილოდ ხუმ- რობდა ჯიში.

— ფულს თუ ვიპოვიან, ჩაგაყულებენ, და კარგა ხნით გახეხინებენ ვირის აბანოს, რაც არც თუ ისე სასიამოვნოა, — თავისას განაგრძობდა ბილი.

— მართლა, ბილ, მართლა არ არის სასიამოვნო? — ჯიშიც მხარს უბამ- და ბილის.

ბილიმ უყურა, უყურა და მერე დაკიდებული კიბისაკენ გასწია.

— შენთან ლაპარაკს აზრი აღარა აქვს, ჩემო ბიჭუნო, ყველაფერს კაპიტანს მოვახსენებ, — ნელა აპყვა საფეხურებს, აათავა თუ არა კიბე. ბიჭი უკან გამო- უდევნა და დაუძახა, მაგრამ ბილიმ წაუყურა, ვითომ არ ესმოდა და ნელ-ნელა განაგრძო ასვლა. ბიჭი გემბანზე წამოეწია და ცოტა ხანში ორივენი ისევ ქვევით ჩამოვიდნენ.

— ჩამთან ლაპარაკი გინდა, ჩემო ბიჭუნა? — თავაღერიღმა ჰკითხა ბილიმ.

— ჰო, მინდა, — უპასუხა ჯიმიმ. — თუ მოკეტავ და არავის არაფერს ვტყვი, გაგიმხელ, ფული სადაც არის.

— ოჰო, მეგონა, წყალში გადაუძახე, — უთხრა ბილიმ ირონიულად.

— მეც ასე მეგონა, მაგრამ იმ დღეს ქვემოთ რომ ჩავედი, ჩემი შარვლის ჯიბეში აღმოვაჩინე.

— ახლა სად არის?

— რა მნიშვნელობა აქვს, მაინც ვერ აიღებ. როგორ არ ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, — თქვა ჯიმიმ.

— მაინც სად არის? აღარ გენდობი, მე შევინახავ კარგად.

— არც მე გენდობი.

— იცი რას გეტყვი, თუ ამ წუთში არ გითქვამს, სად არის ფული, კაპიტანთან დაგასმენ, იცოდე, — ისევ კიბისაკენ შებრუნდა ბილი. — ახლა მე მინდა იმ ბანკნოტებს შევაკლო ხელი. ყოველ შემთხვევაში, ჩემს წილს მაინც. რატომ არ უნდა გავყოთ აქვე, ახლავე?

— იმიტომ რომ, არა მაქვს, — გაჯავრებით დააბაკუნა ფეხი ჯიმიმ, — ყველაფერი შენი ბრალია. ჩუმად მომეპარე და ჯიბეში ჩამიძვერი. გეგონა, მეძინა, ასე შემაშინე, რომ გადაემალე.

— სად?

— კაპიტნის თანაშემწის ლეიბში. მის კაიუტას ვალაგებდი. შევამჩნიე, ლეიბს ნახვრეტი ჰქონდა ქვედა მხარეს. მეც ავიღე და იქ შევჩურთე, მერე ჯოხით ღრმად შევტენე.

— მერედა, როგორ გინდა გამოიღო? — თავი მოიფხანა ბილიმ.

— არ უიცი, ახლა უკვე იქ აღარ მიშველებს. ლონდონში რომ ჩავალთ, ფული ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა როგორმე ხელში უნდა ჩაიგდოს. მე მგონი, ბილ, შენ არ გაგიჭირდება. მე კი მოთვალთვალედ ვიდგები.

ამ დროს მზარეული ქვევით ჩამოვიდა და სამივემ ენა მუცელში ჩავიგდეთ. ბილი ნასიამოვნები იყო, რომ ფული წყალში გადაყრილი აღარ აღმოჩნდა. ხოლო სიძნელე, რაც იმ ფულის ხელში ჩაგდებას შეიძლება მოჰყოლოდა, სრულებითაც აღარ აღარდებდა. თავიდან, როგორც მე და ჯიმის, მასაც ყველაფერი ადვილი ეჩვენებოდა, მაგრამ დრო გადიოდა და თანდათან მოუსვენრობამ შეიპყრო. მოუხშირა კიჩოზე ბორიალს, ფეხებს ძლივს იმორჩილებდა, რომ კაპიტნის თანაშემწის კაიუტისკენ არ გაქანებულყო. ჩვენც გვაშინებდა და თვითონაც თავს საფრთხეში იგდებდა.

გემის საჭე კაიუტებისაკენ ჩამაკალი ტრაპის პირდაპირ იყო, იქ ჩასვლა შეუმჩნეველად ისეთივე შეუძლებელი იყო, როგორც ვისიმე პირიდან პროთეზის გამოღება. ერთ დღეს ჯიმი მაინც ჩავიდა, ვითომ დანა დარჩა იქ, მაგრამ ჩასულს არ იქნებოდა, რომ ჯოხის კვრით ისევ ზევით ამოაგდეს.

ფულს ვერანაირად ვერ მივუღექით. კაპიტნის თანაშემწეს დიდი ოჯახი ჰქონდა და ჯიბეში ერთი პენსიც არ უჭყაოდა, არადა, ყოველ დამე ექვსას გირანქა სტერლინგზე კი ეძინა! ეს ამბავი გვაგიჟებდა და ლამის ჭკუა დაგვეკარგა. როცა კი დროს მოვიხელთებდით, ჩვენს სატკივარზე ვსაუბრობდით. ბიჭსა და ბილის შორის ქიშპი და მტრობა მაინც არ ნელდებოდა. ბიჭი ყველაფერში ბილის ადანაშაულებდა, ბილი კი — ბიჭს.

— რაღაც მოვიფიქრე, — თქვა ბიჭმა ერთ დღეს. — მოდი, ვახტზე დგომისას ბილის ვითომ მხემ დაჰკრა, წაიქცეს და თავი ტრაპს ხეთქოს, თანაც ისე

მაგრად, რომ კარგა ხანს განძრევა ექვარ შესძლოს, მაშინ ალბათ ქვევით ჩა-  
აყვანენ და შესაძლოა მისი მოვლაც მე დამავალიონ. თუ არ დამავალეებენ, ბილი  
ხომ მაინც იქნება იმ სანატრელ ადგილთან ახლოს.

— კარგი აზრია, არა, ბილ? — ვკითხუ მე.

— ჰო, — მიპასუხა და ისე შემომხედა, თითქოს ჩემი გეგმა უნდოდა. —  
შერე რაღას უცდი?

— შენ უფრო კარგად შეასრულებდი ამ როლს, ბილ, — უთხრა ბიჭმა, —  
თუმცა ჩემთვის სულ ერთია. კენჭი ჰყარეთ და თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ.

— აქედან მომწყდო, მე სისხლისმსმელო პატარა მტარვალა! თუ არ გინდა  
გხეთქო, როგორც გეკადრება! — დაუღრიალა ბილიმ. ბიჭი გაიძურწა.

— მე ჩემი გეგმა მაქვს, — თქვა ბილიმ. — გაგანდობ, თუ სხვა ვერაფერი  
უკეთესი მოვიფიქრე. აღონდ ბიჭთან ხმა-კრინტი არ დაძრა.

ბილიმ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ლამანშის სრუტეს რომ მივუ-  
ახლოვდით, მისი გეგმის განხორციელებასაც შევუდექით. იმ დღეს ვახტზე კა-  
პიტნის თანაშემწე იდგა. ბილი გაუბედავად მიუჩინდა და ხმადაბლა, წყნარად  
უთხრა:

— ეს ჩემი ბოლო ცურვა იყო, სერ.

— მართლა? — გაუკვირდა თანაშემწეს, რომელსაც უბრალო, რიგითი მატ-  
როსებთან ლაპარაკი არ უყვარდა, — რატომ?

— ნაპირზე ქოხი მიდგას, სერ, — უთხრა ბილიმ. — თქვენთან ერთი თხოვ-  
ხა მაქვს, თუ არ გამიჯივრდებით.

კაპიტნის თანაშემწემ რაღაც ნაიდუდუნა და ბილისაკენ ერთი-ორი ნაბიჯი  
გადმოიდგა.

— არხად ისე ბედნიერად არ მიგრძნია თავი, როგორც აქ, ამ გემზე, სერ, —  
დაიწყო ბილიმ. — ეს მხოლოდ თქვენი დამსახურებაა. თქვენ ისეთი კეთილი  
ბრძანდებით. წუხელ მატროსები ესაუბრობდით, ყველა ამ აზრისაა, ყველას მა-  
ლიან უყვარხართ, სერ.

თანაშემწემ ჩაახველა და ბილიმ შეამჩნია, რომ კაცს ესიამოვნა მისი სი-  
ტყვეობი.

— ბევ მიყვარხართ, სერ, და მინდა თქვენგან სამახსოვროდ რაიმე მქონდეს  
თუნდაც ლეიბი. დავწვებოდა ზედ და მთელ ღამეებს მხოლოდ თქვენზე ფიქრში  
გავატარებდი, — შეაპარა ბილიმ.

— რა გინდა გქონდეს? — მიაშტერა თვალი თანაშემწემ.

— ლეიბი, — მოუგო ბილიმ. — გავკადნიერდები და გირვანქა სტერლინგ-  
საც შემოგთავაზებთ სანაცვლოდ. მინდა, თქვენი ნაქონი რაიმე ნივთი მქონდეს  
სამახსოვროდ.

თანაშემწე თანდათან გონს მოეგო, თავი გააქნია.

— ვწუხვარ, მაგრამ ასე ადვილად ვერ შეველევი, ბილ, — თქვა მან.

— ოცდაათ შილინგსაც არ დავიშურებდი, სერ, — მორიდებულად აუწია  
მაზინდა ბილიმ.

— ამ ლეიბში ბლომად ფული გადავიხადე, ახლა არ მახსოვს, რამდენი,  
მაგრამ ეს კი მახსოვს, რომ ძვირი დამიჯდა.

— ვიცი, სერ, უბრალო არ იქნება. თქვენ, აბა, უბრალოს როგორ იკად-  
რებდით, ორ გირვანქა სტერლინგზე შევთანხმდეთ, კარგი?

კაპიტნის თანაშემწე ბილის ასეთმა თავგამოდებამ დააბნია, თვითონ ბილი  
ცოცხე ისე შევიდა აზარტში, მეტსაც გადაიხდიდა.

— წლების მანძილზე ამ ლეიბზე მეძინა, — თქვა თანაშემწემ და გვერდულად გადახედა ბილს. — არა მგონია, სხვა ლეიბი ვიგუო. დაგიტოვებ, ოღონდ დამდე პატივი და სანამ ზღვაში ვართ, ჩემთან იყოს, ნაპირზე გადასვლამდე ხომ არ გჭირდება?

— გმადლობთ, სერ, — სიხარულისგან კინაღამ აცეკვდა ბილი. — შვილებო, არა გასამრჯელოს, ორ გირვანქა სტერლინგს მოვართმევთ. ~~დღეებს უკმარის~~ დღეების სიცოცხლე გავუფრთხილდები იმ სიკეთის აღსანიშნავად, რომელიც შემდგომი გაშიინებით, სერ.

— მხოლოდ იცოდეთ, სიტყვა არაეისტთან დაგცდეს, — გააფრთხილა თანაშემწემ, რომელსაც არ უნდოდა, კაპიტნის ყურამდე მისულიყო ლეიბის ყიფა-გაყიფის ამბავი. — არ მინდა, სხვებმაც მთხოვონ რაიმე ნიეთი სამახსოვროდ.

— სამარე ვარ, — შეჰფიცა ბილი.

მოგვიანებით, როდესაც ამ გარიგების ამბავს მიყვებოდა, ბილის სიხარულის ცრემლი სცვივოდა:

— მისმინე, ლეიბი მე ვიყიდე, ჯიმი აქ არაფერ შუაშია, თითო-თითო გირვანქა სტერლინგი გადაუხადოთ და შუაზე გავიყიოთ რაც იმ ლეიბშია.

ბოლოს და ბოლოს დამარწმუნა კიდევ თავისი ნათქვამის სისწორეში. მაგრამ ბიჭი ისე გვიყურებდა, როგორც შშიერი კატა — იადონებს. სხვა ვხა არ იყო, ჯიმი როგორმე უნდა გაგვეცურებინა. ბიჭი მე უფრო მეტადობდა, ვიდრე ბილის. აფორიაქებული იყო და ყოველდღე ერთი და იგივეს გვიკითხებოდა, რა ვქნათო.

ლამანში საშინელი ქარით შეგვხვდა და ოთხი დღე ვიყურეუტეთ იქ. მერე საბუქსირო გემს გამოვებით და ლონდონისაკენ დავიძარი.

დამაბულობამ ზენიტს მიაღწია. ყველზეური ჯერ ისევ წინ იყო: ლეიბი ისე უნდა ჩაგვეგდო ხელში, რომ ბიჭს არაფერი სცოდნოდა.

ბილის აზრით, ჯიმი მე უნდა ჩამეყვანა ნაპირზე. დამერწმუნებინა, ვითომ ბილი მალე დაგვეწყოდა. ცოტა უნდა გვეყილა და მერე როგორმე ავთესოდი. ამაზე მე ასე ვუპასუხე: ჩემო ბილ, სანამ ჩემს წილს არ მივიღებ, შენნაირ სახდო და პატიოსან კაცს ერთი წუთითაც ვერ მოვშორდები-მეთქი.

მაგრამ, ცხადია, ჯიმი როგორმე უნდა ჩამოგვეშორებინა. როცა მდინარეს აღმა მივუყვებოდით, ბიჭი ბილს გვერდიდან არ სცილდებოდა. წამდაუნუმ გვეკითხებოდა: რას ვაპირებთო? ლამის ეტირა, თან ისეთი აღელვებული იყო, ბილი შიშობდა, ბიჭებმა არაფერი შეამჩნიონო.

ბოლოს და ბოლოს ჩავუშვიტო ღუზა. ახლა კი უნდა გვეჩქარა. სასწრაფოდ ჩავეცივდით ქვემოთ, რომ გვებანავა და ტანსაცმელი გამოგვეცვალა. ჯიმი ჩაფრებულებით თვალს არ გვაციდებდა. მერე ფრწხილებისკენ უკნით ბილისთან მივიდა და ჰკითხა:

— რას აპირებ, ბილ?

— აუკიდრე ვინმეს და გადადი ნაპირზე, — ჩემთვის თვალი არ მოუცილებია, ისე უპასუხა ბილი. — ჩვენ აქ ვიმოქმედებთ როგორც საქმეს დასჭირდება.

გემის კიჩოსაკენ გავწიეთ, რომ ჯიბის ფული მიგვეღო. ათ-ათი შილინგი ვიკრუტეთ ჯიბეში და სწორედ ამ დროს თანაშემწემ თვალით გვანიშნა, გამო-



ყვეითო. ჩვენც ვითომ სხვათა შორის მივეყვით უკან, თანაშემწემ ბილის ტომარა გადასცა, რომელშიც ალბათ ლეიბი იყო.

— აი, აილე, ბილ, — უთხრა მან.

— დიდად გმადლობთ, სერ, — უპასუხა ბილიმ. ხელემა ისე უკანკალებდა, ტომარა ძლივს ეჭირა. ახლა სასწრაფოდ უნდა გაეპარულიყო ჯიბის.

მაგრამ იმ ჩერჩეტმა თანაშემწემ კარგა ხანი გაგვიჩინა. ბილიმ ერთი-ორჯერ წასასვლელად გაიწია, მაგრამ თანაშემწემ ხელი მოჰკიდა მკლავში და არ გაუშვა, სანამ არ ჩაარაკრაკა, თუ რა კეთილი და ჰუმანური კაცი ბრძანდებოდა და როგორ ცდილობდა ხალხის მოწონება და სიყვარული დაემსახურებინა. ხშირად მიზანსაც აღწევდა. ამ ლაპარაკში იყო, თავს ჯიბი რომ წამოგვადგა.

მან სწრაფად შეხედა ტომარას და თვალები გაუფართოვდა. ბილს ხელკავი გამოსდო — ახლა სამივე ერთად მივდიოდით — და რაც ენაზე მოადგა, ყველაფერი პირში მიახალა:

— მიიპარები, ხომ? სანამ ჩემს წილს არ მომცემ, აქედან ფეხს ვერ გადადგამ, იცოდლე!

— მინდოდა, სასიამოვნოდ გამეოცებინე, ჯიბი, — ბილიმ გალიძება სცადა.

— რა თავში ვიხლი ვაოცებას, ბილ, მე პატიოსნად მოვიქეცი. შენ კი... მითხარი ერთი, სად აპირებ მაგის გახსნას? — თვალთ ტომარაზე ანიშნა ბიჭმა.

— ჩემს საწოლზე. ნაყსადგურში ათასი ვიგინდარა დაეხეტება, იქ ვერ გავიყოფით.

— მართალია, — თავი დაუქნია ბიჭმა. — მე აქ ზემოთ დაგიცდი, ჩემი წილი ამომიგლე და ჩემს შემდეგ გადაბრძანდი ნაპირზე.

— კარგი, ჯანდაბას შენი თავი! — მიამახა ბილიმ. მიხვდა, ბიჭს ასე აღვივლად ვერ ჩამოიცილებდა, კისრისტეხით ჩაეკვივდით ქვევით. ბილიმ ფუთა თავის საწოლზე დააგდო. იქ მარტო ერთი ბიჭი დაგვხვდა. თმას საგულდაგულად ივარცხნიდა და ლამის ათი ოქროს წუთი მოანდომა ამ საქმეს. მერე თავი დაგვიკრა და წავიდა:

ბილი ლეიბს ეცა, გაჭრა, ფულს დაუწყო ძებნა. მე კი ამ დროს წამდაუწუმ ასანთს ვუნთებდი. დიდი ლეიბი არ იყო, მაგრამ ფულს ვერა და ვერ მივაგვინით, ბილი გამწარებული ეძებდა და ეძებდა. მერე გაიმართა და შემომხვდა:

— ნუთუ თანაშემწემ იპოვა? — ხმა ხრინწიანი გახლომოდა.

ხელახლა დავიწყეთ ძებნა, მაგრამ რა დავიკარგავს, რას ეძებ? მერე ბილი კიბეს ნახევრამდე აჰყვა და ბიჭს წყნარად დაუძახა, შემდეგ ზედიზედ სამჯერ დაუძახა. ჩამიჩუმი არ ისმოდა, ბილის თითქოს გული კოჭებში ჩაუვარდა. გემბანზე ავიდა, მეც უკან მივეყვი. ბიჭის ჭაჭანება არსად იყო. ერთი-ორი კატა დაცუნცუნებდა მხოლოდ გემბანზე და კიჩოზეც კაპიტანი გემის მეპატრონეს ეხაუბრებოდა.

ბიჭს აღარსად შევხვედრივართ. გემზე აღარ მობრუნებულა. არც გასამრჯელო აუღია. დანარჩენები ყველანი ადგილზე იყვნენ. მეორე დღეს ფული რომ მივიღე და ვარეთ გამოვედი, ბილის მოკარი თვალი. კედელს მიყრდნობილი კუშტად შეჰყურებდა თანაშემწეს, რომელიც კეთილი ღიმილით უღიმოდა და ეკითხებოდა, როგორ გეძინაო. ბილის ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო და ჩაფიქრებული იდგა. დროდადრო მწარედ ჩაეღიმებოდა. მე იგი ასე დამამახსოვრდა.



მოთხრობები



იტალიურიდან

თარგმნა ბაბა შურღაიაშ

დინო ბუცატი უახლესი იტალიური პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ნამდვილი გვარია ტრავერსო. დაიბადა 1900 წელს ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ ბელუნოში, დოლომიტების მთის ძირას.

განათლებით იურისტმა, 1928 წელს ჟურნალისტური საქმიანობა წამოიწყო. წლების განმავლობაში მუშაობდა პოპულარული იტალიური გაზეთის „კორიერე დელა სერას“ რედაქციაში. შესანიშნავი გრაფიკოსიც იყო. შეხრულებული აქვს მრავალი წიგნის ბრწყინვალე ილუსტრაციები. მწერალი 1972 წელს გარდაიცვალა.

დინო ბუცატის საერთო აღიარება მოუტანა მისმა ყველაზე გახმაურებულმა რომანმა „თათრების უღაბნოში“... აგრეთვე მშვენიერმა ნოველებმა, რომლებიც შვიდ წიგნადაა გამოცემული: „შვიდნი მალემსროლნი“ (მილანი, 1942), „შიში ლა სკალაში“ (მილანი, 1949), „ბალივერნას კრახი“ (მილანი, 1954), „მაგიური ექსპერიმენტი“ (პადოვა, 1958), „სამოცი ნოველა“ (მილანი, 1958), „კოლომბრე“ (მილანი, 1965), „ძნელი ღამეები“ (მილანი, 1971), მწერალმა სიცოცხლეშივე გამოსცა თავისი ნოველების რჩეული – „საიდუმლოების ფარდული“ (მარანი, 1968), სიკვდილის შემდეგ კი დაისტამბა მისი ნოველების სრული ანთოლოგიაც – „180 ნოველა“ (მილანი, 1982).

მწერლის აღრინდელი მოთხრობები ძირითადად ფოლკლორულ მასალას ეყარება, უფრო მოგვიანებით შექმნილ ნაწარმოებებს სიურეალიზმის ბეჭედი აჩნის, ბოლოდროინდელი ნოველები კი შეიძლება ფანტასტიკის ეანრს მივაკუთვნოთ, მაგრამ არა – მეცნიერულ-ტექნიკურს, არამედ ფსიქოლოგიურს.

დინო ბუცატის შემოქმედების ფილოსოფიურ და იდეოლოგიურ წყაროებზე მსჯელობისას კრიტიკოსები ხშირად ს. კირკეგორის, მ. ჰაიდეგერის, ა. კამიუს, ც. კაფკას სახელებს ახსენებენ, თუმცა მწერლის მოთხრობებში არანაკლებ იგრძნობა ე. პოს, ნ. გოგოლის, თ. დოსტოევსკის გავლენაც. ამის მიუხედავად, ბუცატი ჭეშმარიტი და თვითმყოფადი მწერალია. მისი სტილის მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებანი ნოველისტის მიერ განცდილი სინამდვილითაა განპირობებული. იგი ფანტასტიკურ პლანს მიმართავს, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ უარყოფს თავის თანამედროვე სინამდვილეს: ფაშისტურ, მეორე მსოფლიო, სამოქალაქო და ცივი ომებისდროინდელ, პერბენისტულ, ვულგარულსა და კონსუმატორულ იტალიას. მეორე მხრივ, მწერლის ალეგორიზმი გვაფიქრებინებს: მართლაც ხომ არა აქვს ჩვენს ცხოვრებისეულ, რეალურ მოვლენებს რაღაც მიღებული, ტრანსცენდენტული არსი? ხომ არ ხდება ყველაფერი რაღაც ჩვენთვის შეუცნობელიათვის? ხომ არაა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება იდუმალ ნიშნებსა და სიმბოლოებზე აკებული? რომ ვეღარ ვარჩევთ და ვეღარ ვკითხვლობთ სი-

შბოლოს, ეს ჩვენში ტრანსცენდენტული სინამდვილის მჭვრეტელი მზერის დახმობაზე ხომ არ მეტყველებს?

ორპლანიანია დინო ბუცატის შემოქმედებაში ასახული სინამდვილე. ერთ შემთხვევაში მისი წინა პლანი ცხოვრებისეული რეალობაა, რომელიც თანდათანობით ფანტასტიკურში გადადის, ხოლო მეორე შემთხვევაში ფანტასტიკური, რომელიც ასევე თანდათანობით რეალობად იქცევა, თუმცა ~~სამხედრო~~ არასოდეს ხდება ბოლომდე რეალური, პირიქით, სინამდვილე და სიმბოლო ერთ პარმონიულ მოთიანობას ქმნის. მართლაცდა, თუ დავაკვირდებით დინო ბუცატის ნოველებს, იოლად დავრწმუნდებით, რომ მწერალი აშკარად ხაზს უსვამს ყოფითი სინამდვილის რეალურობას: როგორც წესი, სიუჟეტი, მისი ყოველი დეტალი, ყოველდღიური სინამდვილიდანაა აღებული. რეალურობის შთაბეჭდილების გასამღიერებლად იგი უაღრესად ყოფითი დეტალების ჩვენებასაც არ ერიდება, შემდეგ კი, რომელიღაც მომენტში, თხრობა მოულოდნელი მიმართულებით იწყებს განვითარებას, რაც სრულიად სხვა მხრიდან წარმოგვიჩენს მთელ სინამდვილეს. ხდება იგი ირეალური, რომელიც იმავედროულად რეალურობაშიც განავრძობს არსებობას. ირეალური პლანი თავად რეალური სინამდვილის ფანტასტიკური ბუნების გასაღებად გვეკლინება. უფრო მეტიც, მკითხველი იოლად ამჩნევს, რომ სწორედ, ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, თითქოსდა, სრულიად უმნიშვნელო ყოფითი დეტალების ხატვისას იქმნება ირეალური პლანი. სწორედ ამ დროს იძენს სიმბოლო კონკრეტულ სახესა და შინაარსს. უწინარესად, ეს გვაფიქრებინებს, იმას, იქნებ, აღსავსეა ჩვენი ცხოვრებაც მრავალი ასეთი სიმბოლოთი, რომლის მხოლოდ ერთ ყოფით მხარეს ვხედავთ ჩვენ?

უაღრესად მრავალფეროვანია დინო ბუცატის ნოველების მხატვრული სტილი, ძნელია მათი ტიპოლოგია, მაგრამ თუკი მაინც შევეცდებით ამას, კლასიფიკაციას საფუძვლად სინამდვილისა და სიმბოლოს ურთიერთმიმართება უნდა დავუდოთ. მწერლის ერთი რიგის მოთხრობებში წინა პლანზე სინამდვილეა წამოწეული, საიდუმლო კი აქ სიტუაციის ბანალურობაში ძევს. იგი თავს იჩენს სწორედ მის გარეგნულ ნორმალურობაში როგორც რაღაც უცნაური, რომელიც, საბოლოო ჯამში, ხსნის რეალურ სინამდვილეს. მეორე რიგის მოთხრობებში კი წინა პლანზე სიმბოლოა წამოწეული, რომელიც ბოლოს მაინც რეალური სინამდვილის კონტურებს იძენს, ხდება სულაც სიურეალისტური, აბსურდული, სიზმრისეული. ამ შემთხვევაში თხრობა სწორედ საიდუმლოს რეალური მიზნების ახსნას ემსახურება და, საბოლოო ჯამში, ნათელი ხდება, რომ მოვლენა სულაც არ ყოფილა სიურეალისტური, როგორც ეს თავიდან გვეჩვენებოდა.

რაც შეეხება მხატვრულ-დამაჯერებლობას, ბუცატი აქ სწორუპოვარ ოსტატად გვევლინება. მხატვრული გაორება, უწინარესად, ცხოვრების გაორებაზე მიგვიანიშნებს. სწორედ ამაში იმალება მისი მოთხრობების მკითხველზე ზემოქმედების ძალა. განსაკუთრებულ ნიბლს ჰმატებს ბუცატის მოთხრობებს მკაფიო რომანტიკულობა, კაფკასიან ანდა ეგზისტენციალისტებისაგან განსხვავებით, მწერლის შემოქმედებაში სიმბოლო არ იქცევა ჩვენი ეპოქის დაავადებული ადამიანის მარკერად. პირიქით, იგი ცხოვრების ლამაზ, მიღმურ, საოცნებო მხარეს წარმოგვიჩენინებს. ბუცატის ირეალური დეტალი სჭირდება არა დაავადებული ადამიანის ავადყოფური ფანტაზიის დასახატად, არამედ იმის ხაზგასასმელად, რომ ცხოვრება ბევრად უფრო ლამაზია, ბევრად უფრო რომანტიკული, ვიდრე სინამდვილეში გვგონია; რომ მხოლოდ ერთი, ბევრად უფრო ამაღლებული ნაბიჯია სინამდვილიდან მითამდე. საჭიროა მხოლოდ ჩავწვდეთ ამ მითს, შევძლოთ მისი დანახვა, მისი შეცნობა.

დინო ბუცატი მთხრობების გასაღები მათ ფინალში იმალება. ხშირად ნაწარმოების ბოლოს, ერთ პატარა აბზაცში კვლავ გაივლებს ჩვენს წინაშე ნოველაში მთხრობილი მთელი ამბავი, სწორედ აქ იძენს მასში მოტანილი ყველა მხატვრული დეტალი, რეალური თუ ირეალური ფაქტი განსაკუთრებულ აზრსა და სიცხადეს და ირეალური პლანის რეალურობის გამოხატულებად გვევლინება.

ნათელი, გამჭვირვალე და ძლიერი პოეტური მუხტითაა დატვირთული დინო ბუცატის ნოველების ენა. მწერალი, უპირატესად, ხალხის სადა, სალაპარაკო მეტყველებას ემყარება და მარტივი სინტაქსური კონსტრუქციებით განუმეორებელ პოეტურ სახეებს ჰქმნის. ამაშიც ჩანს რეალურობისა და სიმბოლოს დიალექტიკური ერთიანობა, მათი ურთიერთგანპირობებულობა. ბუცატი ხშირად ერთსა და იმავე სიტყვებს ხმარობს და ამით შესანიშნავად ახერხებს მხატვრული ეფექტის გაძლიერებას.

წინამდებარე მთხრობების თარგმანებით დინო ბუცატი პირველად ამეტყველდა ქართულ ენაზე. ეს ნოველები თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ მრავალფეროვანია მწერლის მხატვრული სამყარო, რაოდენ განსხვავებულ გარემოსა და სიტუაციაში უწევთ მისი ნაწარმოებების პერსონაჟებს ცხოვრება და მოქმედება, თავიანთი შინაგანი ბუნების, მიზნებისა და განცდების, სულიერ მიწრაფებათა გამჟღავნება. მწერალი დამაჯერებლად გვარწმუნებს, რომ მეტად ძნელია, ხშირად შეუძლებელი და საბედისწეროც, არა მხოლოდ სიკეთის ქმნა, არამედ ამ სიკეთის განმსახიერებლის უბრალოდ შეცნობაც კი. ბუცატი გვიხატავს ადამიანებს, რომელთათვის სიცოცხლეზე ძვირფასია საკუთარი ღირსება, ვაჟკაცობის შენარჩუნება, სულის უბერებლობა, ამასთან, მწერალი გვეუბნება, რომ უნდა გვახსოვდეს ერთი უბრალო ჭეშმარიტება — აბსოლუტურად პირობითია და მყიფე ზღვარი ჩვენს წუთიერ ბედნიერ ყოფასა და იქვე ჩასაფრებულ უბედურებას შორის, ისევე, როგორც სიცოცხლესა და სიკვდილს, რეალურსა და ირეალურს შორის, რომ თვით სიკვდილსაც შეუძლია ღმობიერი იყოს, მაგრამ არასოდეს შეიცვლის გადაწყვეტილებას. ბუცატი არანვეულებრივი მხატვრული ექსპრესიით გადმოსცემს უსასრულო სამყაროს შესაცნობად ამხედრებული კაცის სულიერ ბიოგრაფიას, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღირსებიანი კაცი ხშირად იძულებულია, გაექცეს ჩვენს მკაცრსა და უღმობელ ცხოვრებას და ხულ სხვა სამყაროში ეძიოს სულიერი განსახვეწებელი, სამყაროში, სადაც ხულ სხვაგვარი ღირებულებებია ფასეული და პატივს სცემენ მის ადამიანურ ღირსებებს.

მთარგმნელისაგან.  
რომი, 1994 წელი.

კოლომბო

თორმეტი წლისა რომ ვახდა, სტეფანო რომი, მამას, მშვენიერი იალქიანო ხომალდის მეპატრონესა და კაპიტანს, საჩუქრის მაგიერ გემზე წაყვანა სთხოვა.

— დიდი რომ გავიზრდები, — უთხრა შვილმა, — მინდა, შენსავით კაპიტანი ვაეხდე, ზღვაზე ვაყიდე და შენსავით დიდი და ლამაზი გემები ვიყლილი.

— ღმერთმა გისძინოს, შვილო, — მიუგო მამამ და რაკი სწორედ იმ დღეს აღიზრდა გამგზავრებას, შვილიც თან წაიყვანა.

საუცხოო, მზიანი ამინდი იდგა. ზღვაც წყნარი იყო, სტეფანო წინათ არა-  
ლიდეს ყოფილა გემზე და გახარებული ტრიალებდა გემბანზე. კაცისკროვნებული  
სახით ადევნებდა თვალს აფრების ჯაღოსსურ მოძრაობას. თანაც მეზღვაურებს  
ათასნაირ კითხვას აძლევდა. ისინიც შემწყნარე ღიმილით უპასუხებდნენ.

როგორც კი ბიჭი გემის კიჩოზე გავიდა, ცნობისწადილი შეეპრობილი,  
უმაღლ შეჩერდა და რაღაც საგანს დააშტერდა. იგი კვალში ჩასდგომოდა ხომალდს  
და ასე, ორასი-სამასი მეტრის დაშორებით, დროდადრო გაიქვებდა ხოლმე  
წყლის ზედაპირზე.

ღონიერი ზურგქარის წყალობით ხომალდი ლამის მიფრინავდა წყალზე,  
იდუმალი საგანი კი გარკვეულ მანძილს ინარჩუნებდა. და, თუმცა, ბიჭი ვერ  
ხვდებოდა, რა უნდა ყოფილიყო, იგი მაინც რაღაც იდუმალი ძალით იზიდავდა  
ყმაწვილს თავისკენ.

მამამ გემბანზე მოხეტიალე სტეფანოს თვალი რომ ვეღარ მოჰკრა ხმამაღლა  
დაუძახა. პასუხი რომ ვერ მიიღო, კაპიტნის ბოგირიდან ჩამოვიდა და შეიღს  
ძებნა დაუწყო.

— სტეფანო, რა სარგადაყლაპულივით დგახარ, რას აკეთებ აქ? — ჰკითხა  
ბიჭს, როცა, ბოლოს და ბოლოს, იპოვნა კიჩოზე, ტალღებს ჩაშტერებული.

— მამიკო, მოდი აქ, შეხედე!

კაპიტანი მივიდა და იქით გაიხედა, საითკენაც ბიჭი მიანიშნებდა, მაგრამ  
ვერაფერი ვერ დაინახა.

— ხანდახან რაღაც შავი საგანი ამოტყვტივდება ტალღებში და კუდში მო-  
გვდევს, უთხრა ბიჭმა.

— ვერაფერსაც ვერ ვხედავ, ორმოცი წლისა კი ვარ, მაგრამ, ჩემი აზრით,  
ჯერჯერობით მშვენიერი მხედველობა მაქვს, — უპასუხა მამამ.

რაკი შვილი თავისაზე იყო, მამა ჭოგრიტის მოსატანად წავიდა. მერე ზღვის  
ზედაპირს გულმოდგინედ დააკვირდა. სტეფანომ შენიშნა, როგორ ეცვალა მამას  
ფერი.

— რა მოხდა? რა დაგემართა?

— ოჰ, ნეტავ, არაფერი გეუქვა, — აღმოხდა კაპიტანს. — შიშმა ამიტანა შენ  
გამო. ის, რასაც ხედავ — წყლიდან დროდადრო რომ გამოჩნდება ხოლმე და კუდ-  
ში მოგვდევს, საგანი კი არა, კოლომბრეა! თევზი, რომლისაც ამქვეყნად ყვე-  
ლაზე მეტად ეშინიათ მეზღვაურებს. საიდუმლოებით მოცული ეს საშინელი ურ-  
ჩხული ადამიანზე ბევრად უფრო ცბიურია. არავინ იცის, რა ნიშნით ირჩევს თავის  
მსხუერპლს, მაგრამ თუკი შეარჩევს, წლების მანძილზე მთელი ცხოვრება  
დასდევს მანამ, სანამ არ გადასანსლავს. გასაოცარია, თავის სამსხუერპლოსა და  
მისი სისხლისმიერი ნათესავების გარდა, მას ვერავინ ვერ ხედავს.

— რა? ეგ ზღაპარია?

— არა, მე აქამდე არასოდეს მინახავს კოლომბრე, მაგრამ სხვებს არაერთხელ  
აღუწერიათ ჩემთვის, ამიტომაც მაშინვე ვიცანი... ეს ბიზონისებრი თავი, უზარ-  
მაზარი პირი, წარამარა რომ აღებს და ხურავს, ეს შემზარავი კბილები... უდავოა,  
ნამდვილად ისაა. სტეფანო, როგორც ჩანს, კოლომბრემ შენ ამოვირჩია სამსხ-  
ვერპლოდ და სანამ ზღვაზე იქნები, საშველს არ მოგცემს. მისმინე ახლავე  
დაებრუნდეთ უკან და ნაპირზე გადაგვამ. უნდა დამპირდე, რომ მომავალში არა-  
ფრის გულისათვის არ გაიხედავ ზღვისკენ, ხმელეთს არ მოშორდები! შენი სა-  
ქმე არ ყოფილა, შვილო, ნაოსნობა. ბედს უნდა შეურიგდე. თანაც, მიწაზეც  
შეიძლება კაცმა ბედნიერად იცხოვროს.

თქვა ეს მამამ და კურსი მაშინვე შეცვალა. მობრუნდა ნავსადგურში, შეი-

ლის უეცარი ავადმყოფობა მოიძიხეზა, ნაპირზე გადასვა და თვითონ სანაოსნოდ წავიდა.

მთელი არსებით შეძრწუნებული ბიჭი მანამ იდგა ნაპირზე, ვიდრე პორიზონტს არ მოეყარა უკანასკნელი ანძის წვერი, ზღვა სრულიად უკაცრიელი ჩანდა ზვიროთსაჭრელი კედლიდან, რომელიც ნავსადგურს კეტავდა. მაგრამ, მხედველობის დაძაბვის შემდეგ, სტეფანომ პატარა შავი წერტილი შენიშნა, დროდადრო რომ გაიფიქრებდა წყლის ზედაპირზე. ეს იყო მისი კოლომბრე, ჯიუტად და აუჩქარებლად რომ დაცურავდა აღმა-დაღმა, მისი მტერი და მისი მომლოდინე.

ამ დღის მერე ბიჭი გამოეთხოვა ზღვაზე ოცნებას. მამამ სასწავლებლად ერთ-ერთ, ზღვიდან ასიოდე კილომეტრით დაშორებულ, ქალაქში გააგზავნა. ერთი ხანი სტეფანო ახალმა გარემომ გაიტაცა და მიავიწყდა კიდეც ზღვის ურჩხული. მაგრამ ზაფხულის არდადეგებზე შინ რომ დაბრუნდა, მოიხელთა თუ არა პირველი თავისუფალი წუთი, უმაღლესი ზვიროთსაჭრელი კედლის ბოლოსკენ გასწავა. უნდოდა, ერთგვარად შეემოწმებინა თავისი ეჭვები, თუმცა გულის კუნჭულში ამას სრულიად ზედმეტად თვლიდა. მამის მონაცემი უკანასკნელი ჭეშმარიტება რომც ყოფილიყო, ამდენი ხნის შემდეგ კოლომბრე უთუოდ ხელს აიღებდა თავის განზრახვაზე.

ბიჭი ხალცრად შეცბუნდა და გულმა რეჩხი უყო, როცა გამლილ ზღვაში ზვიროთსაჭრელი კედლის ბოლოდან ორასი-სამასი მეტრის მოშორებით აკბედითი ზვიგენი დაღანდა. იგი აქეთ-იქით ნელა დაცურავდა, ხანდახან წყლიდან დინგს ამოჰყოფდა და ხმელეთისკენ თითქოს შემფოთებით იცქირებოდა, ბოლოს და ბოლოს, სტეფანო რომ ხომ არ მოვიდაო.

ბიჭს აკვიატებული ფიქრი მტრულ არსებაზე, რომელიც დღემუდამ თან სდევდა, იდუმალ საცდურად ექცა. იქაც, შორეულ ქალაქში, შუაღამით, გულგახეთქილს ეღვიძებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ მასა და კოლომბრეს მხოლოდ ასიოდე კილომეტრი აშორებდათ, ანდა ნამდვილად სჯეროდა, რომ იქ, მთებს, ტყეებსა და კელების გადაღმა აკბედითად ჩასაფრებული ზვიგენი ელოდა და ყველაზე შორეულ კონტინენტზეც რომ გადახვეწილიყო, კოლომბრე იქაც მახლობელი ზღვის სარკიდან ამოყოფდა თავს და ისე უღმობლად და ჯიუტად დაუწყებდა ლოდინს. როგორი ლოდინიც მხოლოდ ბედის მღევარს შეუძლია.

სტეფანო სერიოზული და ნებისყოფიანი ყმაწვილი იყო, ურიგოდ არ სწავლობდა და, როცა დაეაჟაკდა, იმავე ქალაქის ერთ-ერთ საუაჭრო ცენტრში დირსეულ და შემოსავლიან ადგილზე მოეწყო. ამასობაში მამა ავადმყოფობამ იმსხვერპლა. მისი დიდებული იალქნიახი ხომალდი დედამ გაჰყიდა და სტეფანომ საკმაოდ დიდი შემკვიდრეობა მიაღწია. კარგადაც მოიწყო ცხოვრება. ჰქონდა კარგი სამსახური, არც მეგობრები აკლდა და არც დროსტარება. როგორც ყველა ადამიანისათვის, არც მისთვის იყო უცხო ჭირი თუ ღხინი, მხოლოდ ერთი რამ აწვალებდა განუწყვეტლივ — აკბედითი და იმავდროულად მაცდუნებელი მირაჟი — ფიქრი კოლომბრეზე და იმის მაგივრად, რომ თავიდან მოეშორებინა, იგი სულ უფრო მეტად იპყრობდა მის არსებას.

რა შეედრება გამრჯე ადამიანის უზრუნველსა და მშვიდ ცხოვრებას! მაგრამ იდუმალი უფსკრული კიდეც უფრო მიმზიდველია. სტეფანოს იცდათრი წე-

ლი რომ შეუსრულდა, თავი მიანება სამსახურს, გამოემშვიდობა მეგობრებს, მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და მტკიცედ განუცხადა დედას, მამარქმის საქმე უნდა გავაგრძელოთ. დედა, რომლისათვისაც სტეფანოს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ავბუდით ზვიგენსე, სიხარულით დაეთანხმა ვაჟის განცხადებას, რადგან ზღვიდან მოცილებულ ქალაქში მისი ცხოვრება გულს სიღრმეში იჯახური ტრადიციის დაღატად მიაჩნდა.

და შეუდგა სტეფანოს ნაოსნობას. იგი ყოველ წუთს ნამდვილი მეზღვაურის უნარსა და სულიერ სიმამაცეს ავლენდა, ძლევდა ათასგვარ სიძნელეს. დაცურავდა მისი აფრიახი გემი, რომელსაც დღისით თუ ღამით, დარსა და ავდარში კოლომბრე ჩასდგომოდა კვალში და სტეფანოს როის ბედისწერასავით თანსდევდა. იცოდა სტეფანოს რაიმე, რომ კოლომბრე მისი რისხვა, მისი ბედისწერა იყო. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც კერ პოულობდა ძალას, მოშორებოდა ზვიგენს, თანაც გემბაზიდან კერავინ ამჩნევდა მას, თვითონ კაპიტნის გარდა.

— აა, იქ კერაფერს ხედავთ? — ვკითხებოდა ხანდახან სტეფანოს მეგობრებს და ტალღებზე მიუთითებდა.

— არა. ჩვენ ვერაფერსაც ვერ ვხედავთ. რა იყო, რატომ გუკვირებთ?

— არ ვიცი, თითქოს მომეჩვენა...

— საერთოდ, კოლომბრეს ასე იოლად კერავინ დაინახავს! — მიუგებდნენ ისინი, თან იღიმებოდნენ და რკინას ხელს ადებდნენ.

— რა გაცინებთ? რატომ ეხებით რკინას?

— იმიტომ, რომ კოლომბრე ისეთი ურჩხული არ არის, შებრალება იცოდეს. თუკი კვალში ჩაკვიდვია, შეიძლება ვთქვათ, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი უკვე დასაღუბადაა განწირული.

სტეფანოს მაინც არ აღუწებდა ყურადღებას, პირიქით, მუდმივი საშიშროება, კვალდაკვალ თან რომ სდევდა, ბრძოლასა და განსაცდელში საკუთარი თავისადმი რწმენასა და გამბედაობას კმატებდა.

თავი მამისეული საქმის გამგრძელებლად იგრძნო და მისგან დანატოვარი ფულით კომპანიისთან ერთად პატარა სატვირთო გემი იყიდა. მალე მისი ერთადერთი მეპატრონე გახდა და ტვირთის გადაზიდვას მოჰყო ხელი. მერე კი, როცა საქმე იღბლიანად აუწყო, დიდი სავაჭრო ხომალდი შეიძინა. ამან კიდევ უფრო დიდი იმედები გაუღვივა მომავლისადმი. მაგრამ ვერანაირმა მილიონებმა ვერ შეაძლებინეს, თავიდან მოეცილებინა ვანუშორებელი, სულში ჩაბუდებული ფიქრი. მეორე მხრივ, იღუშალი ხმა ჩასძახოდა, გემი გაჰყიდე, ხმელეთზე დაბრუნდი და სხვა საქმეს მოჰკიდე ხელით.

მაგრამ ნაოსნობა და მხოლოდ ნაოსნობა იყო მისი არსებობის ერთადერთი მიზანი. შორეული ნაოსნობიდან მობრუნებულს, როგორც კი მიწაზე დაადგამდა ფეხს, მამინვე უცნაურად უძვერდა გული. იცოდა, შორიახლოს ელიდა კოლომბრე, რომელიც მისთვის დაღუპვის სინონიმად ქცეულიყო. ეს დაუოკებელი ვრძნობა განუწყვეტლივ ოკეანიდან ოკეანეში უბიძგებდა.

ერთ დღეს სტეფანომ აღმოაჩინა, რომ დაბერებულიყო, უფრო მეტიც, ძალიან დაბერებულიყო და მის გარშემო მყოფთაგან ვერავის აეხსნა, ასე მდიდარ კაცს რატომ არ უნდა მიუტოვებინა მეზღვაურის ძნელი და ბობოქარი ცხოვრება. იგი დიდად უბედური ბერიკაცი იყო, რადგან, მტრისაგან თავის დასაღწევად მიუღი ცხოვრება ზღვიდან ზღვაში ერთგვარ გიჟურ სრბოლაში ვალია. მის მა-

ტერიალურად უზრუნველ და მოწესრიგებულ ცხოვრებაში ყველაზე დიდი სია-  
მონება გამუდმებული ცდუნება იყო, რითაც უფრსკული თავისკენ ეძახდა.

და ერთ საღამოს, როცა სტეფანოს მშვენიერმა გემმა მშობლიური ხაგსად-  
გურის შორიახლო ღუნა ჩაუშვა, სიკვდილის მოახლოება იგრძნო. ამიტომაც  
მოუხმო თავის თანაშემწეს, ვისაც ყველაზე მეტად ენდობოდა და სთხოვა, გან-  
ზრახვაში ხელი არ შეეშალა. თანაშემწე პატივისცემით შეხვდა მის ვადაწყვე-  
ტილებას და დათანხმდა.

რაკი თანაშემწის მხარდაჭერა ირწმუნა, სტეფანომ კოლომბრეს ამავე მო-  
უთხრო, მოუთხრო, თუ როგორ დასდევდა ჯიუტად კუდში ურჩხული მოელი  
ორმოცდაათი წლის განმავლობაში. თანაშემწე შეცბუნებული უსმენდა.

— მსოფლის ერთი ბოლოდან მეორეში მდევდა, თანაც ისეთი გულმოდ-  
გინებით, ვერც ერთი ყველაზე კეთილშობილი მეგობარიც რომ ვერ შეძლებდა.  
ახლა ვკვდები. ბოლოს და ბოლოს, ისიც ძალიან მოხუცებული და დაბერებული  
იქნება. ვერ ვუღალატებ.

ასე თქვა სტეფანომ და გამოეთხოვა თანაშემწეს, პატარა ნავი ზღვაში ჩა-  
უშვა და როცა მისი თხოვნით ბარჯი მიაწიდა, შიგ ჩაჯდა.

— მასთან შესახვედრად მივდივარ, — უთხრა თანაშემწეს. — ვერ გავუცრუებ  
იმედს. ერთი კია, უკანასკნელი ძალის გამოღვევამდე ვიბრძოლებ.

ღანემიხდილი უსვამდა ნიჩბებს და თანდათან შორდებოდა ხომალდს. მეზ-  
ღვაურება უყურებდნენ, ღამის წყვდიადმოყარებული, როგორ უჩინარდებოდა  
ხაღაც შორს, მშვიდად გატრუნულ ზღვაში. ცაზე კი ჩამგალა მთვარე ეკიდა.

დიდი ჯაფა არ დასდგომია ძებნაში, ნავის გვერდით თავისი საზარელი თავი  
უჩაღვე ამოყო კოლომბრემ.

— აჰა, როგორც იქნა, გვახელი! — მიუგება სტეფანო. — ორნი ვართ, სულ  
მარტოღმარტონი. — მერე მთელი ძაღლინე მოიკრიფა და ბარჯი აღმართა, რათა  
მტრისათვის ჩაეცა.

— უჰ! — რაღაც ვედრებანაირი კვნესა აღმოხდა კოლომბრეს. — რამხელა  
კრები გამოვიარე შენს ძებნაში. ამდენი ტანჯვა წვალეებისგან ქანცი გამიწყდა.  
რამოდენა წყლები ვადავსერე შენი გულიხათვის. შენ კი მუდამ გამირბოდი, გა-  
მირბოდი, ვერაფერს ხვდებოდი.

— რატომ? — შეწუხებულმა იკითხა სტეფანომ.  
— ჩასაყლაპავად კი არ დაგსდევდი მოელს მსოფლიოში, როგორც შენ გე-  
გონა. ზღვათა მეფისაგან მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ მქონდა საბრძანები:  
აი, ეს უნდა ვადმომეცა შენთვის. — და ზვიგენმა მოხუც კაპიტანს გრძელი ენა  
გამოუყო და პატარა ფოსფორით მანათობელი ბურთულა გაუწოდა.

სტეფანომ თითებში მოიქცია საჩუქარი და დახედა. ეს იყო მოზრდილი მარ-  
გალიტი. კაპიტანმა იცნო ზღვათა მეფის საჩუკვარი მარგალიტი, რომელიც მის  
მფლობელს ხაოცნებით ბედ-იღბალს, ძლიერებას, სიყვარულსა და სულის სიმ-  
შვიდეს ჰპირდებოდა, მაგრამ უკვე ძლიერ გვიანი იყო.

— ვაიმე! — ნალელიანად გააქნია თავი... — რა მწარედ შევცდი! როგორ და-  
ვიღუპე თავი და შენც როგორ დაგტანჯე.

— მშვიდობით, საბრალო ადამიანი! — მიუგო კოლომბრემ და წყლის წყვდი-  
ადში სამუდამოდ გაუჩინარდა.

ორი თვის შემდეგ ღელვამ ციცაბო კლდეებთან პატარა ნავი გამორიფა. მე-  
თევზეებმა შენიშნეს და ცნობისმოყვარეობით მიუახლოვდნენ. რუსი კაცის ჩონ-



ჩხი იყო. იჯდა და ხელის მტევნებს შორის პატარა მრგვალი ქვა ჰქონდა განრილი.

კოლომბრე დიდი ზომის, შესახვდავად შიშისმომგვრელი, ძალიან იშვიათი თევზია. სხედასხვა ზღვის ნაპირზე მცხოვრები ზოგიერთი ხაფხუფის კოლომბრეს, ზოგიერთი კი კაპლოუბრკას, კალომბას, კალუ ბაფლუს, ქველუმგვრას ეძახის. საოცარია, რომ ბუნებისმეტყველები ასეთ თევზს არ იცნობენ. მრავალი კი იმასაც ამტკიცებს, კოლომბრე საერთოდ არ არსებობს.

თავდასრულებული პარაგრაფი

გასპარეჟებულ პლანეტა სოფლის თემშია და დააბრუნებს. ვერ იცნეს ყაჩაღების წინამძღოლი. მხოლოდ კონტრაბანდისტის გაასამართლეს და ციხეში სამი წელი ჩარჩა.

გარეთ შეცვლილი გამოვიდა. წელში გაეტეხა ავადმყოფობას, წვეთი წამოზრდოდა. ერთ უწყინარ ბერიკაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ყაჩაღების სახელგანთქმულ მეთაურს, ნაქებ მაჟარს, არასდროს რომ არ აცდენდა მიზანს.

ახლა, ზურგზე მოეკიდებინა მოული თავისი ბარგი-ბარხანა და გზას დასდგომოდა მონტე ფუმოსაკენ, სადაც თავისი სამფლობელო და ამხანაგები ეგულბოდნენ.

იენისის კვირა დღეს შეაღწია ხეობაში, რომლის ბოლოს მათი სახლი იდგა. ისევ ისეთივე იყო ტყის ბილიკეში. კარგად ეცნო ეს ამოშვერილი ფესვები, აი, გამორჩეული ქვაც, ყველაფერი ისე იყო, როგორც უწინ.

ყაჩაღებს შინ მოეყარათ თავი და, როგორც ასეთ დროს სჩვეოდათ, ქეიფობდნენ. სახლთან მიახლოებისას პლანეტას სიცილ-ხარხარი მოესმა. სრულიად უჩვეულო ის იყო, რომ კარი ჩაკეტილი დახუდა.

ორჯერ დააბრაზუნა, კარს მიღმა სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ხმა მოისმა:

— ეინა ხარ?

— ქალაქიდან მოვედი, პლანეტამ გამოიმგზავნა, — მიუგო გასპარემ.

პლანეტას უნდოდა, სიურპრიზი მოეწყო, მაგრამ უმაღლესად გადამიფიქრა. დახვდომიდან მიხვდა, რომ ვერ იცნეს და ეს სრულიად უაზრო იქნებოდა. მხოლოდ ბებერი ძალი, ჩონჩხადქცეული ტრიმბა შემოახტა და აწკმუტუნდა.

უცებ შეკრეს წრე მის გარშემო ძველმა ამხანაგებმა: კოზიმომ, მარკომ, ფელამ და სამ-ოთხმა ახალმა კომპანიონმა. ეკითხებოდნენ პლანეტას ამბებს. ისიც ჰყვებოდა, რომ ციხეში გაიცილა ყაჩაღების წინამძღოლი: რომ ერთ თვეში გამოუშვებდნენ, მანამდე კი იგი გამოგზავნა გასპარემ აქ, მთაში, რათა გაეგო, როგორ მისდიოდათ საქმეები მის ამხანაგებს.

ყაჩაღებს ძალე გაუქრათ ინტერესი ახალმოსულისადმი და იოლად მონახეს საბაბი მის მისატოვებლად. მხოლოდ კოზიმო განაგრძობდა სტუმართან საუბარს, თუმცა მასაც ვერ ეცნო პლანეტა.

— რის გაკეთებას აპირებს პლანეტა ციხიდან გამოსვლის შემდეგ? — ეკითხებოდა იგი ბებერ წინამძღოლზე.

— რის გაკეთებას აპირებს? — ჩაფიქრებით გაიმეორა პლანეტამ და განაგრძო. — იქნებ, თვლი, რომ აწი აღარ შეიძლება მისი აქ დაბრუნება?

— ოჰ, არა, არა, ამის თქმა არ მინდოდა. უბრალოდ, ეფიქრობდა მის ბედ-

ზე... ყველანი რაღაცნაირად სხვანაირნი გახდნენ აქ. გასაგებია, პლანეტა ისევ მთინდობებს წინამძღოლობას, მაგრამ არ ვიცი...

— ჯა არ იცი?

— არ ვიცი, ანდრეა თუ იქნება თანახმა... ეს, რა თქმა უნდა, გაართულებს საქმეს... მე რა, თუნდაც ახლავე დაბრუნდეს, პირიქით, ჩვენ ყველგანს კარგად ვეწყობოდით ერთმანეთს.

ასე შეიტყო გასპარე პლანეტამ, რომ ახალი წინამძღოლი ანდრეა იყო, მისი ერთ-ერთი ამხანაგი, რომელიც ყველაზე საზიზღარ კაცად ეჩვენებოდა მაშინ.

ამ დროს მოულოდნელად ყურთამდე გაიღო კარი და ზღურბლზე გამოჩნდა თვითონ ანდრეა. ოთახის შუაგულში იდგა ის, ვინც პლანეტას აპათიურ ახმახად ახსოვდა. ახლა კი მის წინ აღმართულიყო ყაჩაღი, რომლის მკაცრ სახეს დიდებული უღვაშები ამშვენებდა.

ანდრეამაც ვერ იცნო ახალმოსული.

— ოჰ, ასე? — ეკითხებოდა იგი სტუმარს... მაგრამ როგორ ვერ შეძლო გაქცევა, ასე ძნელია ეს? მარკოც ჩასვეს, მაგრამ ექვს დღეზე მეტი არ უყურყურტნია იქ. სტელაც ცოტა ხანს იყო და მალე გამოიქცა. ის კი, ვინც წინამძღოლი იყო, სწორედ ის, ვისგანაც მაგალითი უნდა აგველო, ვერ მოიქცა ვაჟკაცურად.

— ახლა ისე აღარაა, უწინ რომ იყო, — თქვა პლანეტამ და ეშმაკურად ჩაიღიმა. — ძალიან გააძლიერეს დაცვა, გაძოცვალეს რკინის გისოსები, საერთოდ, აღარ გვტოვებენ მარტო. ესეც არ იყოს, ავადმყოფობდა პლანეტა.

ხმამალლა ასე თქვა გასპარემ, თუმცა, უკვე მიმხვდარიყო, რომ აქაურობისაგან უკვე მოეკვეთათ. იცოდა, ყაჩაღების წინამძღოლს არ ჰქონდა უფლება, დიდხანს ყოფილიყო ტყვეობაში, მით უმეტეს, ვიღაც უბადრუკივით სამი წელი ეყურყურტა ციხეში. ისიც ესმოდა, რომ დაჭრებულყო, უკვე აღარ იყო აქ მისი ადგილი, ყველი გასვლოდა მის ვაჟკაცობას.

— დამაბარა, — განაგრძობდა იგი მოქანცული ხმით, იგი, ვინც წინათ, ჩვეულებრივ, ყოველთვის ახალგაზრდა და მშვიდი იყო. — პლანეტამ დამაბარა, რომ აქ თავისი თეთრონი დაუტოვებია. მგონს, ასე თქვა, პოლაკი ერქვაო. მუხლს ქვემოთ კორძი აქვსო.

— ჰქონდა, ალბათ, ასე გინდოდა, გეთქვა, — თავხედურად მიახალა სტუმარს ანდრეამ, რომელიც თანდათან ხვდებოდა, რომ მის წინ თვით პლანეტა იდგა. — ჩვენი ბრალი არ უნდა იყოს, თუკი მოკვდა ეს ცხენი.

— დამაბარა, რომ აქ დაუტოვებია ტანსაცმელი, ფარანი, საათი, — კვლავ მშვიდად განაგრძობდა პლანეტა, რაღაცნაირად იღიმებოდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა ფანჯარას, ყველას კარგად რომ შეძლებოდა მისი დანახვა.

და, მართლაც, ყველამ კარგად დაინახა. ამ გამხდარ ბერიკაცში იცნეს ის, ვინც მათი წინამძღოლი იყო, სახელგანთქმული გასპარე პლანეტა, საუკეთესო მაყარად ცნობილი, ვინც არახდროს აცდენდა მიზანს.

ხმა არავის გაუღია. თვით კოზიმომაც ვერ გაბედა გამომცნაურება. ყველამ მოიკატუნა თავი. ისეთი სახე მიიღეს, თითქოს ვერ იცნეს მოსული. აქ იყო ანდრეა და დიდი შიში ჰქონდათ მისი, ახალი წინამძღოლობისა, და ანდრეამაც, ვითომცდა არაფერიო, არხეინად მიუგო:

— არავის უხლია ხელი მისი ბარგი-ბარხანისათვის, სადღაც აი, აქ, განჯინაში უნდა ეყაროს. ტანსაცმლისა არაფერი ვიცი, შესაძლოა, ვინმემ უკვე გაციათა კიდეც.

— დამაბარა, — ნირშეუცვლელად მარცვლავდა პლანეტა, ოღონდ ამჯერად

აღარ იღიპებოდა, — დამაბარა, რომ აქ დაუტოვებია თავისი მაყარი, თავისი უზუსტესი მაყარი.

— აქაა მისი თოფი, — თქვა ანდრეამ, — როცა უნდა, მოვიდეს და წაიღოს.

— წუხდა, ხშირად წუხდა: ვინ იცის, როგორ მოიხმარენ ჩემს თოფს, ვინ იცის, დამხვდება კი ჩემი ბებერი სიათაო. საოცარი სიყვარულით იგონებდა თავის თოფს პლანეტა, — განაგრძობდა მოხული.

— მე ვახმარე ერთი-ორჯერ მისი თოფი, მაგრამ არა მგონია, ამით შემეჭამოს იგი, — უპასუხებდა ანდრეა, რომელსაც უკვე ხმაში გაღიზიანება შეპარვოდა.

მერხზე ჩამოჯდა გასპარე პლანეტა. ტანში მხოლოდ მისთვის ჩვეულ სიტყვს გრძნობდა, მაგრამ ესეც საკმარისი გამხდარიყო, თავი რომ როგორღაც დათრგუნვილად ეგრძნო.

— მითხარი, — ანდრეას მისამართით თქვა პლანეტამ, — შეგიძლია, მაჩვენო?

— წადი, — ანიშნა ანდრეამ ახალ ყაჩაღს, რომელსაც პლანეტა არ იცნობდა. — და მოუტანე.

თოფი მოუტანეს პლანეტას. წამიერად შეშფოთებით დააკვირდა, შემდეგ კი თახდათახობით მშვიდი სახე მიიღო. ხელით მოეფერა ლულას.

— კარგი, — მოაყოლა გრძელ პაუზას, მერე კი დაუმატა, — დამაბარა, რომ აქ დატოვა ტყვია-წამალი. მეტიც, ზუსტად მახსოვს ექვსი წილი ღენთი და ორმოცდაათი საფანტის მარცვალი იყო.

— წადით, — თქვა ანდრეამ ცივად, — წადით და მოუტანეთ, კიდევ რაო?

— კიდევ რაო და, — ძალზე მშვიდად გაიმეორა პლანეტამ. მერე ფეხზე წამოდგა, მიუახლოვდა ანდრეას, ქამრიდან ქარქაშში ჩაგებული გრძელი ხანჯალი მოხსნა და განაგრძო. — კიდევ ისო, რომ იქ ჩემი სანადირო დანა დავტოვეო, — თქვა და ისევ დაჯდა სკამზე.

გრძელი, მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს ისევ ანდრეას ხმა გაისმა:

— კარგი, აბა, საღამო მშვიდობისა, — თქვა მან, რათა მოხულისათვის ენიშნებინა, რომ ახლა მისი წასვლის დრო მოხულიყო.

გასპარე პლანეტამ თვალები ახწია და ანდრეას ძლიერი სხეული მუშტრის თვალით შეათვალიერა. მიხვდა, რომ კერანაირად შეძლებდა მის გამკლავებას ისეთი გაწაშებული და მოქანცული, როგორადაც ახლა გრძნობდა თავს. ამიტომაც ნელა წამოდგა, ერთხანს შეეკვნდა, ვიდრე სხვა ნივთებსაც მოუტანდნენ, მერე ყველაფერი ტომარაში ჩაყარა და თოფი მხარზე გადაიკიდა.

— აბა, კარგად იყაუთ, ბატონებო, — თქვა და კარისაკენ გაემართა.

ყაჩაღებს ენა ჩავარდნოდათ და გაოცებისაგან გახვევებულიყვნენ. ვერ წარმოედგინათ, რომ გასპარე პლანეტას, ყაჩაღების სახელგანთქმულ წინამძღოლს, შეეძლო, ისე შერცხვენილი წასულიყო, ასე დაემცირებინა თავი ვინმეს წინაშე, როდის-როდის მხოლოდ კოჩიმოს აღმოხდა უცნაურად მიმქრალი ხმა:

— მშვიდობით, პლანეტა! — ყოველგვარი სიყალბის გარეშე თქვა მან ძლივს გასაგონად, — მშვიდობით! ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ტყისკენ გაემართა პლანეტა, თან რომელიღაც მხიარულ არიას დიდხეებდა საღამოს ბინდში გახვეული.



ასეთი იყო ამბავი პლანეტასი, ახლა უკვე ყაჩაღების ყოფილი წინამძღოლისა, გასპარე პლანეტასი, განსვენებულ სუვერინოს მისა, ორმოცდარვა წლის უსახლკარო აცისა, თუმცაღა მთლად უსახლკაროც არ ითქმოდა მასზე: სანა-

ხევროდ ხისა და სანახეუროდ ძეძვების ქიხი ჰქონდა მონტე ფუმოს უსიერ ტერში, სადაც უწინ ეძალებოდა გამძვინვარებულ გვარდიას, შიშის ზარს რომ სცემდა ირგვლივ ყოველივეს.

პლანეტა დაბრუნდა თავის ქოხში, ცეცხლი დაანთო, დათვალია ფული/რომელსც მხოლოდ რამდენიმე თვეს თუ ეყოფოდა და მარტოხელა კაცის ფხოვრებას შეუდგა.

და აი, ერთ საღამოს, ცეცხლს რომ მიფიცებოდა, უცებ გაიღო კარი და თოფგადაკიდებული ბიჭი გამოჩნდა. ჩვიდმეტოდე წლისა იქნებოდა.

— რა მოხდა? — შეეკითხა პლანეტა ისე, რომ არც კი წამომდგარა ფეხზე, ბიჭს მამაცური სახე ჰქონდა, და ოცდაათოდე წლის წინანდელ პლანეტას ჰგავდა.

— აქ არიან ისინი, მონტე ფუმოს ყაჩაღები? საში დღეა, რაც დავუძებ.

ბიჭს პიერო ერქვა. დაბეჯითებით ამბობდა, ყაჩაღად გახდომა მიხდაო. ამასე წლები ეფიქრა, აქამდე კი მაწანწალას ცხოვრებით ეცხოვრა. ყაჩაღი რომ გამხდარიყო, თოფი ხომ მაინც უნდა ჰქონოდა? იარაღი კი კარგა ხანი ვერ ეშოვა, საჭირო იყო დრო, ბოლოს ერთი თოფი, საკმაოდ რივიანი მაჯარი მოუპარა.

— რა კარგ დროს მოხუდი! — თქვა გახარებულმა გასპარემ. — მე ვარ პლანეტა.

— აღბათ, გინდოდა, გეთქვა, წინამძღოლი პლანეტა?

— დიახ, ცხადია, სწორედ ის.

— ვანა, პლანეტა ციხეში არ ზის?

— ვიჯექი, ასე ვთქვათ, — რაღაც სიტყვების ბლანდვა დაიწყო პლანეტამ. — სამ დღეს ვიჯექი. მეტ ხანს ვეღარ შეძლეს იქ ჩემი გამომწვევება.

აღტაცებით შეხედა ბიჭმა.

— და ახლა გინდა, შენთან დამტოვო?

— დატოვო? — გაიმეორა პლანეტამ. — კარგი, ამაღამ აქ დაიძინე, ხვალ კი ეჩახოთ.

ბიჭმა და ბერიკაცმა ერთად დაიწყეს ცხოვრება. პლანეტამ არ გააწბილა ბიჭი, დააჯერა, რომ ის კვლავ ყაჩაღების წინამძღოლი იყო, დაარწმუნა, რომ იმხანად გადაეწყვიტა, მარტოს ეცხოვრა აქ და ამხანაგებს მხოლოდ მაშინ შეერთებოდა, როცა ამის საჭიროება იქნებოდა. ბიჭმა უყოყმანოდ ირწმუნა მისი ყოვლისშემძლეობა და მასთან ერთად მოსალოდნელ დიდ საქმეებზე ოცნებას მიუცა.

მაგრამ დღეები გადიოდა, პლანეტა კი ადგილიდან არ იძვროდა, იშუიათად, მხოლოდ სანადიროდ თუ გაეხეტებოდა ვარუთ, სხვა დროს კი, როგორც წესი, ცეცხლს იყო მიფიცებული.

— წინამძღოლო, — ეკითხებოდა ბიჭი. — როდისღა უნდა წამიყვანო დიდ საქმეებზე?

— ოპ, — უპასუხებდა პლანეტა, — რაიმეს მოვიფიქრებ კარგად ამ დღეებში. ეველა ამხანაგს მოვიყვან და შენც არ დარჩები უკმაყოფილო.

დღეები კი უწინდებურად ილეოდნენ.

— წინამძღოლო, — ჩასჩიჩინებდა ბიჭი. — შევიტყუე, რომ ხვალ, ქვემოთ, დელიპირა ვზაზე სავაჭრო ქარავანი ჩამოვივლის, ქარავანი, ვინმე სინიორ ფრანჩესკოსი, რომელსაც გაძეძგილი ჯიბეები უნდა ჰქონდეს.

— ვინმე ფრანჩესკოსი? — ჩაეკითხებოდა პლანეტა. — სამწუხაროა, რომ სწორედ ისაა, დიდი ხანია, კარგად ვიცნობ, დამიჯერე, სამდვილი შელაკუდაა. მოგზაურობისას არაფერი მოაქვს თან, ერთი სკუდოც კი, და თუ რაიმეს წამოიღებს, მხოლოდ ტანსაცმელს, იშინია, არ გამჭურდონი.

— წინამძღოლო, — ისევ ჩასჩინებდა ბიჭი. — შევიტყვე, რომ ხვალ კარგი რამე-რუმეებით დატვირთული ორი ურეში ჩამოივლის, ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელებით იქნება დაძეგნილი. რას იტყვოდი ამაზე, წინამძღოლო?

— მართლა? — ჩაეკითხებოდა პლანეტა. — საჭმელ-სასმელი? და ისე სხვათაშორის შეიცხადებდა ამას, თითქოს ასეთი წერილმანიხაფიუსი დაეკლასხმა მათი ღირსების საკადრისი საქმე არ ყოფილიყო.

— წინამძღოლო, — ჩასჩინებდა ბიჭი. — ხვალ სოფელში ზეიშია. მიღუთის ხალხი იტრიალებს აქ. ათასი ეტლი ჩამოივლის, ბევრიც რამით დაბრუნდება უკან. არაფერი იქნებოდა ჩვენი საკბილო?

— როცა ბევრი ხალხია, — უპასუხებდა პლანეტა. — სჯობს, თავი შევიკავოთ. ზეიშისას შორიახლოს ჟანდარმები დაძრწიან. არ ღირს რისკის გაწევა. სწორედ ასეთ დროს ამიყვანეს მაშინ.

— წინამძღოლო, — რამდენიმე დღის შემდეგ ეკითხებოდა ბიჭი. — სიმართლე მოთხარი, კარგი ამბავი არ უნდა იყოს შენს თავს, აღარ გაქვს განძრევის სურვილი? სანადიროდაც აღარ გინდა გარეთ გასვლა. ამხანაგების დანახვაც შეგზარდა. ავად უნდა იყო უთუოდ. გუშინ სიცხე გქონდა, სულ ერთთავად ცეცხლს მიფიცხებიხარ. რატომ მელაპარაკები ქარაგმებით?

— შეიძლება, მართლაც არ ვიყო კარვად, — დიმილით უპასუხებდა პლანეტა. — მაგრამ მთლად არც ისეა საქმე, შენ რომ გგონია. თუ გინდა, სიმართლე გითხრა, სისულელეა, წელი მოიწყვიტო რამდენიმე მარენგოს\* გულისათვის. თუ გავინძრევი, მინდა, ისეთი საქმე იყოს, საამისოდ ღირდეს. ჰო, კარგი, გადაწყვიტე, ასე ეთქვათ, დიდ ქარავანს დაველოდოთ. ახლა ხომ მაინც მომასვენებ?

პლანეტას მხედველობაში ჰქონდა დიდი ქარავანი, რომელსაც წელიწადში ერთხელ, ზუსტად, თორმეტ სექტემბერს, ოქრო — სამხრეთის პროვინციებში აკრუფილი მთელი გადასახადი — დედაქალაქში გადაჰქონდა. მთელს მარაგზაზე რქის საყვირებით გაჰკიოდნენ და შეიარაღებული ცხენოსანი გვარდიელები მოთქარუნობდნენ. დიდ საიმპერატორო ქარავანს მოჰყვებოდა უზარმაზარი რკინის ეტლი, სადაც ოქროს მონეტებით დაძეგნილი მრავალი მომცრო ტომარა ეწყო. ყაჩაღებს ნათელ ღამეებში ესიზმრებოდა ქარავანი, მაგრამ აგერ, ასე წელი გასულიყო და ვერავის მოეხერხებინა მისი გაძარცვა. ცამეტი ყაჩაღი შესწირვოდა ამ საქმეს, ოცი კი ციხის ბინადარი გამხდარიყო. ამის შემდეგ თავდასხმაზე გაფიქრებასაც კი ვერავინ ბედავდა. წლიდან წლამდე მატულობდა გადასახადები და ძლიერდებოდა ქარავანის დაცვაც — თავსა და ბოლოში მსუბუქი კავალერია მოუძლოდა, ორივე მხარეზე კი — ამხედრებული პატრულები, ხოლო უკან შეიარაღებული მეეტლეები, მეჯინბეები და მსახურები მოსდევდნენ.

თავისებური ესტაფეტა მოემართებოდა, უკრავდნენ საყვირებს და მოაფრიალებდნენ დროშას. წინ, გარკვეულ მანძილზე მაყარებით, პისტოლეტებითა და გრძელი ხმლებით შეიარაღებული ოცდაოთხი მსუბუქი კავალერისტი მოთქარუნობდა. შემდეგ იმპერიის ღერბიანი, თორმეტ ცხენებმძული რკინის ეტლი მოდიოდა. უკან ისევ ოცდაოთხი, აქეთ-იქიდან გვერდებში კი თორმეტ-თორმეტი მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი მოსდევდა. ხეობის გავლით მიემართებოდა საარაკო ქარავანი, რომელსაც საიმპერატორო კარისათვის ასე ათასი ოქროს დუკატი და ათასი ვერცხლის უნცია მიჰქონდა.

\* მარენგო ძველი, იტალიური ორღირიანი ოქროს მონეტაა, რომელიც შემდეგ ოქროს ფულის სიმბოლოდ იქცა იტალიურ ლიტერატურაში.

ხლაპრული ქარავანი მჭიდროდ შეკრული, დათხილი მოთქარუნობდა ხეობიდან ხეობაში. ასი წლის წინათ ლუკა ტორომ გაბედა ქარავანზე თავდასხმა და სასწაულებრივად მოეშართა კიდევ ხელი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც დაცვამ ვერ ივაჟკაცა. შემდეგ ლუკა ტორო აღმოსავლეთში გაიქცა და ფეხი-ფეხზე გადადებული განცხრომით ცხოვრობდა იქ.

დიდი ხნის შემდეგ სხვა ყაჩაღებმაც სცადეს ბედი: ჯოვანი ბორსომ, გერმანელმა, სერჯო დეი ტომიმ, გრაფმა და ოცდაათვრამეტის წინამძღოლმა. აი, მხოლოდ რამდენიმე მათგანი მათ შორის. როგორც წესი, მეორე დილით, თითოეულს საკმაცვეთილს პოულობდნენ გზის პირას.

— დიდი ქარავანი? ნამდვილად გინდა, გარისკო? — ჩაეკითხა ალტაცებული ბიჭი.

— აბა, რა თქმა უნდა, მინდა, გავრისკო! თუ გამოვა, მთელი სიცოცხლე უზრუნველყოფილი ვიქნები.

თქმით ასე თქვა გასპარე პლანეტამ, ვულის სიღრმეში კი ფიქრადაც არ გაუვლია ამის ვაკეთება. ორი ათეულნი რომც ყოფილიყვნენ, ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა დიდ ქარავანზე თავდასხმა. მით უმეტეს, მარტოდმარტო რას გახდებოდა.

ხუმრობას უფრო ჰგავდა პლანეტას ნათქვამი, ბიჭმა კი სერიოზულად მიიღო მისი სიტყვები და ალტაცებით შეხედა.

— მითხარი, — ჰკითხა ბიჭმა. — რამდენი იქნებით?

— ასე, სულ ცოტა, თხუთმეტი მაინც.

— მერედა, როდის აპირებთ?

— დრო გვაქვს, — უპასუხა პლანეტამ. — საჭიროა, ამხანაგებს მოვეთათბირო. სახუმარო საქმე არ ვვების.

მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, დღეები სულაც არ ილეოდნენ ძნელად და ტყეები ნელ-ნელა იფერებოდნენ წითლად. ბიჭი მოუთმენლად ელოდა. პლანეტამ თავის ოცნებებს შეატოვა იგი და მანაც ირწმუნა მისი სიტყვები. გრძელ ღამეებში ცეცხლს მიუიცხებული თავის დიდ ჩანაფიქრს უკირკიტებდა და ამით ერთობოდა კიდევ. ზოგჯერ თავში ისიც გაუელვებდა, რომ ყოველივე ეს, შესაძლოა, მართლაც აღსრულებულიყო.

თერთმეტ სექტემბრის, თავდასხმის წინა დღეს ბიჭმა საღამომდე სადღაც იხეტიალა. შინ დაძმარებული მობრუნდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა პლანეტამ, რომელიც ჩვეულებრივ ცეცხლის პირს მისჯდომოდა.

— ის მოხდა, რომ, როგორც იქნა, შევხვდი შენს ამხანაგებს.

გრძელი სიჩუმე ჩამოწვა. ცეცხლის ტკაცუნილა ისმოდა. ქოხში ქარის ხმაც აღწევდა, გარეთ, ჯაგნარში რომ დაჰქროდა.

— მერე რა, — ამოღერდა ბოლოს პლანეტამ, რომელიც ცდილობდა ხმაში სახუმარო კილო გაერია, — ასე ვთქვათ, ყველაფერი ვიამბებს?

— დიახ, — უპასუხა ბიჭმა, — სწორედ რომ ყველაფერი ვიამბებს.

— კეთილი, — თქვა პლანეტამ და ისევ ჩამოწვა სიჩუმე კვამლით ავსებულ ოთახში, მხოლოდ ცეცხლის შუქი რომ ანათებდა.

— მითხრეს, ჩვენთან წამოდიო, — გაბედა ბოლოს ბიჭმა. — მითხრეს, რომ საკმაოდ აქვთ საქმე.

— გასაგებია, — მოწონების კილო დაჰკრავდა პლანეტას ხმას, — სულელი იქნები, რომ არ წახვიდე.

— წინამძღოლო, — ამოიკვნესა პიერომ, რომელიც ლამის ატირებულიყო, — რატომ არ შეტყვევ სიმართლეს, ეს რა ზღაპრები შემითხზე?

— რა ზღაპრები შეგითხზე? — იუარა პლანეტამ, რომელმაც ყველანაირად ცდილობდა, თავისათვის ძალა დაეტანებინა, რათა ჩვეულებრივად მსახურად კაილო შეენარჩუნებინა, — უბრალოდ, მიგიშვი, რომ გეოცნება, გეწამა ჩემი სიტყვებისა. ესაა და მხოლოდ ეს. არ მინდოდა, ხალისი წამეხდინა შენთვის. ასე ვთქვათ, ესაა ყველაფერი.

— ასე არ არის, — არ დაეთახხმა ბიჭი. — შენ აქ ცარიელი დაპირებებით დამაპურე და დამაბი. ამას მხოლოდ ჩემს გასამასხარავებლად აკეთებდი. ხვალ, თუითონაც კარგად იცი...

— რა ხვალ? — ჩაუკითხა პლანეტა და ძველებური სიმშვიდე დაიბრუნა. — დიდ ქარაუანზე ხომ არ ვინდოდა, რაიმე გეთქვა?

— აბა! სულელს კი მჯეროდა შენი, — ჩაიჯუჯღუნა გულმოსულმა ბიჭმა. — თუმცა, თუითონაც კარგად უნდა მივძვლარიყავი, რისი მაქნისიც იყავი ასეთი სიმკვდარეობით. — რამდენიმე წამს იყუნა, შემდეგ კი, თითქოს თავის ნათქვამს აჯამებლი, ხმადაბლა თავისთვის ჩაილაპარაკა. — ასე რომ, ხვალ აქედან მივდივარ.



მაგრამ მეორე დღით პირველ პლანეტას მოუწია ადგომა. ფრთხილობდა, ბიჭი არ გაეღვიძებინა. სახელდახელოდ გადაიცვა ტანზე და თოფი აიღო. პიერომ მაშინ გაახილა თვალები პლანეტა უკვე კარის ზღურბლზე რომ იდგა.

— წინამძღოლო, — ჩვეულებისამებრ მიმართა, — შეიძლება, ვიცოდე, საით გაგიწევია ასე დილაუთენია?

— შეიძლება, დიდი ქარაუნის დასახვედრად მივდივარ, ბატონო! — დიმილით მიუვლო პლანეტამ.

ბიჭს პასუხიც არ გაუცია, ისე გადაბრუნდა საწოლის მეორე მხარეს, თითქოს ამით ამბობდა, ყელში ამოძვიდა ეს სულელური ზღაპრებით.

მაგრამ ეს სულაც არ იყო ზღაპარი. ამხანაგების მიერ სამუდამოდ მარტოდ-მარტოდ მიტოვებული პლანეტა მართლა მიდიოდა დიდ ქარაუანზე თავდასასხმელად, რათა არ გაეტეხა თავისი თუნდაც ხუმრობით მიღებული გადაწყვეტილება.

ისედაც საკმაოდ გააპაძულებს ამხანაგებმა. ამ ბიჭმა მაინც იცოდეს, ვინ იყო გასპარე პლანეტა. თუმცა, არა, არც ამ ბიჭის თვალში თავისი ვაჟკაცობის წარმოჩენას ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა. გულის სიღრმეში ამას მხოლოდ საკუთარი თავისათვის აკეთებდა. უნდოდა, ერთხელ კიდევ, თუნდაც უკანასკნელად, კვლავ გასპარე პლანეტად ეგრძნო თავი.

მაშინვე მოკლავდნენ, შეიძლება, ეს ვერავის დაენახა, ვერც ვერავის გაუვიოღესმე, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. ეს, უწინარესად, პიროვნული ამბავი იყო ძველი, ძლიერი პლანეტას ღირსების დამადასტურებელი, უიმელო საქმეზე დადებული სანაძღვოს მსგავსად.

პიერომ მიუშვა პლანეტა. მაგრამ მოგვიანებით ეჭვი შეეპარა: ნამდვილად ხომ არ წავიდა პლანეტა თავდასასხმელად. ეჭვი ხუსტი და უნიადაგო იყო, მაგრამ პიერომ მაინც გასწია წინამძღოლის მოსაძებნად. პლანეტას მისთვის ბე-

ვრჯერ უჩვენებია ადგილი, რომელიც ყველაზე მოხერხებული იყო ქარავანზე ჩასასაფრებლად. იფიქრა, იქით წავიდოდა პლანეტა სათვალთვალოდ.

უკვე განათებული იყო. გრძელი საავტოლო ღრუბლები წვებოდნენ ცაზე. რალაცნაირი გამჭვირვალე, გაცრეცილი რუხი ფერი გადაჰკრავდა ვარუშის. ხან-გამოშვებით რომელიღაც ფრინველის გალობა არღვევდა დასადგურებულ სიჩუმეს.

პიერთმ ქვემოთ, ჯაგებში ხუბის ძირისაკენ ჩამოიშლიგინა, სადაც შარავზა გადიოდა, იქ ეგულებოდა პლანეტა.

მართლაც, აქ დახვდა წინამძღოლი. ხეს მოჰფარებოდა და ტოტებისაგან პატარა სათვალთვალე გაეკეთებინა, რათა საიმედოდ ჩასაფრებულიყო. შარავზის ერთ მკვეთრ მოსახვევს, სადაც ცხენები იძულებულნი იყვნენ, დიდ აღმართზე სვლა შეენელებინათ, ერთგვარი ბუქობი გადმოჰყურებდა. ამიტომაც აქედან წინათ კარგად ისროდა პლანეტა.

ბიჭმა ქვემოთ, სამხრეთის ვაკისკენ გადმოიხედა. გზა ორად ჰყოფდა ვაკეს და სადღაც უსასრულობაში იძირებოდა. ბიჭმა შორს დაღანდა მტვრის კორიანტელი, რომელიც აქეთ მოიწვევდა.

ეს კორიანტელი, რომელიც აქეთ, შარავზისაკენ მოიწვევდა, დიდი ქარავანის დაყვებულ მტვერი იყო.

პლანეტა საიცარი უდარდელით ამზადებდა თოფს, როცა თავის სიახლოვეს რალაც ფაჩუნი მოესმა. შემობრუნდა და დაინახა ბიჭი, თოფით ხელში ზუსტად მის გვერდით ხეს რომ აკვროდა.

— წინამძღოლო, — მიმართა ყელში გულამობჯენილმა ბიჭმა. — პლანეტა, წადი აქედან! ხომ არ გაგიჟდი?!

— სუ, — ღიმილით მიუგო გასპარემ. — უკვე აღარა ვარ გიჟი, ახლავე დამტოვე!

— გიჟი ხარ, პლანეტა, გუბნები, გიჟი! გგონია, რომ ამხანაგები მოგივლენ, მაგრამ არ მოვლენ, მიოხრეს, სიზმრადაც არ გაუვლიათ გულში ეს ამბავი.

— მოვლენ, სწორედაც რომ მოვლენ! უბრალოდ ცოტა მოცდა დაგვჭირდება. რალაცნაირი უცნაურობა სჭირთ, არ შეუძლიათ, რომ არ დააგვიანონ.

— პლანეტა, — შეევედრა ბიჭი. — გეხვეწები, წამოდი რა აქედან! გუშინ სადამოს გეხუმრე, არ მინდოდა შენი მიტოვება.

— ვიცი, მაშინვე მივხვდი, — სულგრძელად გაიცინა პლანეტამ. — ახლა კი კმარა! გამიგონე, მოშორდი აქაურობას: თანაც, დროზე! აქ არაა შენი ადგილი.

— პლანეტა, — დაიყინა ბიჭმა. — ვერა ხედავ, რომ სისულელეს სჩადიხარ? ვერა ხედავ, რამდენი არიან?

— ღვთის გულისათვის, მოშორდი! — იყვირა ბოლოს გამძვინვარებულმა პლანეტამ, რომელიც ძლიერ იმორჩილებდა ხმას. — ვერა ხედავ, რომ საქმეს მიფუჭებ?!

ამ დროს შარავზის სიღრმეში თანდათან გამოიკვეთნენ დიდი ქარავანის მხედრები, ეტლი და დროშა.

— მოშორდი, უკანასკნელად გუბნები, — იყვირა გაავებულმა პლანეტამ, ბოლოს და ბოლოს, ბიჭმა ყურად იღო პლანეტას თხოვნა, გაცოცდა ბუჩქებს შორის და თვალს მიეფარა.

გასპარეს უკვე ესმოდა ცხენთა ფლოქვების თქარა-თქერი. თვალი შეავლო წამოშლილ უკიდევანო ტყვიისფერ ღრუბლებს, ცაზე სამი-ოთხი ყორანიც დაღანდა. უკვე აღმართს შესდგომოდა დიდი ქარავანი და გზას ხელ-ხელა კეცავდა.



პლანეტას თითი ჩახმახზე ეჭირა, როცა შენიშნა, რომ ბიჭი უკან მოცოცვი-ბულიყო და ხელახლა მოჰფარებოდა ხეს.

— ვერა ჰხედავ? — დაიხურჩულა ბიჭმა, — ვერა ჰხედავ, რომ ამხანაგები არ მოდიან?!

— არამზადავ! — ჩაიბუზღუნა პლანეტამ ნაძალადევი ღიმილით, ისე, რომ თავიც კი არ მოუბრუნებია. — არამზადავ! არ გაინძრე! აწი არაფერი შეიძლება აქედან წასვლა. ყურადღებით იყავი. ახლა იწყება, რაც იწყება.

სამასი, ორასი მეტრი... სულ უფრო ახლოვდებოდა დიდი ქარავანი. უკვე მკაფიოდ ჩანდა დიდი ღერბი დიდებული ეტლის გვერდებზე, ისმოდა მხედრობის ხმები, რაღაცას რომ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ახლა კი მართლა შეეშინდა ბიჭს. მიხვდა, გიჟური საქმე წამოეწყით, საიდანაც უკვე შეუძლებელი იყო თავის დაღწევა.

— ვერა ჰხედავ, ვერა ჰხედავ, რომ არ მოვიდნენ? — დაიხურჩულა უიმედოდ. — ღვთის გულისათვის, არ ისროლო!

მაგრამ პლანეტა არ აღელვებულა.

— ყურადღებით, იყავი, — მხიარულად ჩაიბურტყუნა, თითქოსდა, არ გაუგონია ბიჭის სიტყვებით. — ახლა იწყება სერი, ბატონებო!

პლანეტამ გასაოცარი სიზუსტით გაისწორა მიზანი, რომელსაც არასოდეს აცდილებდა. იმავე წამს, ხეობის მეორე მხრიდან უცაბედი სროლის ხმა მოისმა.

— მონადირეები! — მხიარულად ჩაილაპარაკა პლანეტამ, როცა საშინელმა თოფის გრილმა გააყრუა გარემო. — მონადირეები! საშიში არაფერია. პირიქით, უკეთესიცაა! აირევა მონასტერი.

მაგრამ ეს არ ყოფილა მონადირეთა თოფის ხმა. პლანეტას შორიახლოს კვნესა შემოესმა, შემობრუნდა და დაინახა ბიჭი, რომელსაც ხელიდან გაყარდნოდა თოფი და ფორთხვით შორდებოდა.

— მომახვედრეს! — ამოიკვნესა ბიჭმა, — ეაი, დედა!

თოფი მონადირეებმა კი არა, ქარავნის მცველმა ცხენოსნებმა ისროლეს, რომლებიც ხეობის ორივე მხარეს წინ მოუძღვებოდნენ ადარს, რათა თავდასხმისაგან დაეცვათ იგი. შეჯიბრებებზე შერჩეული საუკეთესო მსროლელები იყვნენ, თან უზუსტესი თოფები ჰქონდათ.

ტყის ჩხრეკისას ერთ-ერთ ეგერს თვალი მოეკრა ბიჭისათვის, მერე მიწაზე გაწოლილი დაუნახა, ბოლოს კი ძველი ფაჩალიც შეენიშნა.

პლანეტამ საშინელი ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა. ფრთხილად ჩაიჩოქა მუხლებზე, შეეცადა, ამხანაგს მიშველებოდა. მეორე გასროლის ხმაც გაისმა.

ტყვია პირდაპირ წამოვიდა, სააუდრო ღრუბლებს ქვემოთ პატარა ღელე გადაჭრა, მრუდი მოხაზა და დაშვება დაიწყო. თავზე იყო დამიზნებული, მაგრამ მკერდის შიგნით შეიჭრა და გულთან ახლოს გაიარა.

უცებ მოწყდა პლანეტა. ისეთი გაუსაძლისი სიჩუმე შემოაწვა, როგორიც აქამდე არასდროს არ უგრძენია. შეჩერებულიყო დიდი ქარავანი. ფრთებს არა და არ მღიდა ავდარი, ცას გამოჰკიდებოდნენ ყორნები. რაღაცას ელოდნენ ყველანი.

ბიჭმა თავი მოაბრუნა და გაიღიმა:

— მართალი იყავი, პლანეტა, — ჩაილულლულა. — მოვიდნენ ამხანაგები. წინამძღოლო, ხომ დაინახე ისინი?

პლანეტამ ვერ შეძლო ხმის გაღება, მთელი ძალა მოიკრიბა და იქით გაიხედა, საითკენაც ბიჭი უთითებდა.

მათ უკან, ტყის პირას ოცდაათამდე მხედარი ილანდებოდა. თიფები მხარზე გადაეკიდათ. ამკარად ჩანდნენ ტყის შუკ ფონზე, თუმცა, ღრუბელივით გასდიოდათ შუქი, ისეთნაირად მორთულიყვნენ და ისეთი მკაცრი სახეები ჰქონდათ, ამკარად ყაჩაღები უნდა ყოფილიყვნენ.

პლანეტამ მართლაც იცნო ისინი. მისი ძველი ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ უთუოდ, საიქიოს გამგზავრებული ყაჩაღები, რომლებიც მის წასაყვანად მოსულიყვნენ. მზეზე დაშაშროდათ ნაწიბურიანი სახეები, გენერლის საფრთხიბელა ულკაშები მოეშვათ, წვერები გასწეწვოდათ ქარისაგან, დონჯშემოყრილბს რალაცნაირი, მტკიცე და მახვილი მზერა ჰქონდათ, უბრწყინავდათ არაჩვეულებრივი დეზები და დიდი ოქროსფერი ღილები. ბრძოლებისაგან დამტვერილ სახეებზე გულწრფელი და სიმბათიური იერი დაჰკრავდათ.

აი, ყოჩალი პაოლო, ზანტი მიხვრა-მოხვრაში, მულინოზე თავდასხმისას რომ მოკლეს. აგერ, რკინის პიეტრო, რომელმაც ვერა და ვერ ისწავლა ცხენზე ჯდომა. აი, ჯორჯო პეტრიკა. აი, ფრედიახო, სიცვიემ რომ გააცხებინა სული. აქ იყო ყველა მისი ამხანაგი, ვინც მის თვალწინ ერთიმეორეს მიყოლებით საიქიოს გაემგზავრა. აგერ, ის ახოვანი ობროდიც, დიდულვაშა, თავისსაეით გრძელი თიფი გადაუკიდა მხარზე და თეთრ, გამხდარ ცხენზე ამხედრებულა. განა ეს გრაფი არაა, სახელგანთქმული წინამძღოლი, ასევე დიდ ქარავანზე თავდასხმისას რომ მოკლეს? დიახ, სწორედ რომ ისაა, ნამდვილი გრაფი, გულითადობითა და გასაციკარი კმაყოფილებით სახეგასხივოსნებული. განა ვინმეში შეეშლება პლანეტას მარკო დიდი, ყველაზე სახელგანთქმული წინამძღოლი, რომელიც, აგერ, ხელმარჯვნივ დგას მხრებგამართული და ამაყი, მარკო დიდი, დედაქალაქში იმპერატორისა და ოთხი შეიარაღებული რაზმის თვალწინ რომ ჩამოახრჩვეს? მარკო დიდი, ვის სახელსაც, აგერ, ორმოცდაათი წლის მერეც ჩურჩულით წარმოთქვამენ? სწორედ ისაა? ისიც მოსულა, რათა პატივი ეცა პლანეტასათვის, უკანასკნელი ხელმოცარული და გულმაგარი წინამძღოლისათვის.

ერთიანად გარინდულიყვნენ საიქიოდან მობრუნებული ყაჩაღები. შეძრულნი ჩანდნენ ყველანი, მაგრამ რალაცნაირ საერთო აღფრთოვანებას აღწნით ისინი. თითოეული ელოდა, როდის წამოიმართებოდა პლანეტა.

და, მართლაც, უეცრად პატარა ბიჭის სიმარდით წამოდგა ფეხზე პლანეტა, მაგრამ აღარ ჰქონდა უწინდელი ფერ-ხორცი. რალაცნაირი გამჭვირვალე იყო, თავისი ძველი ამხანაგების მსგავსი, და მაინც ისეთი, როგორიც ნამდვილი პლანეტა.

პლანეტამ მუშტრის თვალით შეათვალიერა თავისი საბრალი სხეული, მიწაზე მიკრუნჩხული რომ ესვენა, მხრები აიჩეჩა გულცივად, თითქოს თავის თავს ეუბნებოდა, რა გენაღვლება მისიო. საფარიდან გამოვიდა. სულაც არ ედარდებოდა, რომ შეიძლებოდა, დაეცხრილათ, ძველი ამხანაგებისაკენ მიიწევდა და გრძნობდა, რომ რალაცნაირი კმაყოფილებით აღვსილიყო.

ას იყო, სათითაოდ უნდა მისაღმებოდა თითოეულს, რაცა შეკაზმული ცხენი შენიშნა, თავის მხედარს რომ ელოდებოდა. პლანეტამ გაიღიმა და ინსტინქტურად იქით გაიწია.

— ასე ვთქვათ, — წამოიძახა პლანეტამ და თვითონვე მოიხიბლა თავისი ახალი ხმის უცნაურა კილოთი. — ასე ვთქვათ, ეს ჩემი პოლაკი ხომ არაა, თანაც ისეთი მკვირცხლი, როგორიც უწინ არასოდეს მინახავს?..

ნამდვილი პოლაკი იყო, მისი საყვარული ცხენი. იცნო თუ არა, პატრონი, ერთგვარი ხვისტინი ამოუშვა. კაცი სხვაგვარად ვერ იტყვი, რადგანაც საიქიოს

გამგზავრებული ცხენები, ადრინდელთან შედარებით, ახლა უფრო რბილად ხვიჩვინებენ.

პლანეტამ ორ-სამჯერ აღურსიანად დაჰკრა ცხენს ხელი და სასიამოვნოდ გააჟრუოდა, როცა წარმოიდგინა, რომ სულ ძალე თავის ბედაურზე ამხედრებული, ერთგულ მეგობრებთან ერთად საიქიოს ყაჩაღთა სამყოფელს ვახსენებდა. იგი არ იცნობდა ამ ქვეყანას, მაგრამ რატომღაც წარმოესახა წახანა მზისა და მარადიული გაზაფხულის მხარედ, რომლისკენაც სპეტაკი და უსასრულო თეთრი გზები სასწაულებრივი თავგადასავლისათვის მიაქანებდა.

მარჯვენა ხელით უნაგირის ქედს დაეყრდნო, თითქოს ცხენი უნდა გააჭენოსო.

— გმადლობო, ჩემო ბიჭებო! — აღმოხდა პლანეტას, რომელიც ძლივსძლივობით იკავებდა მღელვარებას. — გეფიცებით, რომ...

აქ შეაწყვეტინა სიტყვა ბიჭის გახსენებამ, ჩრდილადქცეული უხერხულად რომ იდგა და ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, როგორი გრძნობაც ეუფლება ხოლმე კაცს ახალგაცნობილ ადამიანთა წრეში.

— აჰ, მაპატიეთ. — მოუბრუნდა პლანეტა თავის ძველ ამხანაგებს. — აი, ჩემი ახალი ამხანაგი, ჩვილმეტიოდე წლისაა. ფხიანი კაცი დადგებოდა.

ყაჩაღებმა, ყველამ — ზოგმა მეტად, ზოგმა — ნაკლებად, გაიღიძეს, თავები ოდნავ დახარეს და ამით კეთილი მობრძანება უსურვეს.

პლანეტამ ერთხანს იყუჩა და ირგვლივ დაბნეულმა მიმოიხედა. ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. თავის ბედაურზე ამხედრებული ამხანაგებს გაჰკოლოდა და ბიჭი მარტოდმარტო დაეგდო? მან კიდევ ორ-სამჯერ დაჰკრა ცხენს ხელი და ეშმაკურად ჩაახველა, მერე კი ბიჭს უთხრა:

— კარგი, აბა, მიდი, შეახტი! არაფერი დაშავდება, თუ შენ გაერთობი. მიდი, მიდი, და მოკრჩეთ ამ ზღაპრებს! — ბიჭს რომ ყოყმანი შეატყო, მოჩვენებითი სიმშვიდით დაუმატა.

— თუკი მართლა გინდა... — წამოიძახა გახარებულმა ბიჭმა და თუმცა, ჯიროთობით ვერ დაიკვებნიდა, ისე მარდად მოექცა უნაგირზე, თვითონვე დარჩა გაიცვებული.

ყაჩაღებმა ქუდი დაუქნიეს გასპარე პლანეტას და გამოემშვიდობნენ.

ზოგიერთმა რაღაცნაირი სიტბოთი თვალი ჩაუკრა, თითქოს ამით უთხოვებოდა. შემდეგ კი ცხენებს ჰკრეს დეზი და გააგელვეს.

ტყვიასავით გავარდნენ ხეებს შორის. დიდებული სანახავე იყო მათი ქროლვა უსიერ ტყეში. ნაბიჯშეუხელებლად, ლაღად მიჰქროდნენ ცხენები, შორიდანაც მოჩანდა, როგორ მიმზიდველად ირწვოდნენ უნაგირზე ყაჩაღები და ბიჭი.

მოელხ ხეობას მოავლო თვალი მარტოდ დარჩენილმა პლანეტამ, ქედმაღლურად დახედა თავის სხეულს, რომელიც უკვე არავის სჭირდებოდა და ხის ძირში ესვენა. მერე ვზახ მიაპყრო მხერა. მოსახვევს იქით უძრავად იდგა ქარავანი და ამიტომაც არ ჩანდა აქედან, მხოლოდ და მხოლოდ ექვსი თუ შვიდი ცხენოსანი თუ ილანდებოდა გზაზე. იდგნენ გაყუჩებულნი და პლანეტასაკენ იყურებოდნენ. შეიძლება, დაუჯერებელი მოგეჩვენოთ, მაგრამ მათ სრულად იბილეს ყველაფერი საიქიოდან მობრუნებული ყაჩაღთა აჩრდილები, გასპარე პლანეტასთან მათი შეხვედრა, ცხენების გიჟური ჭენება. ესეც არ იყოს, ვინ თქვა, თითქოს შეუძლებელი იყოს სექტემბრის ზოგიერთი დღეს საავდრო ღრუბლებში ზოგიერთი რაიმის გარჩევა.

მარტოდ დარჩენილი პლანეტა მობრუნდა, რაზმის მეთაურმა შენიშნა, რომ

იგი მას უყურებდა. მეთაური გაიჯგუშა და მხედრულად მიესალმა ისე, როგორც სამხედროები ესალმებიან ერთმანეთს.

ქლახეტამ მისალმების ნიშნად შინაურულად, ხალცარი გულუბრყვილობით მიიტანა ქუდის ფარფლთან ხელი და დიდილი აუთამაშდა ტუჩებზე. შემდეგ ისევ, ღღეს უკვე შეორედ, შეარხია მხრები. მარცხენა ფეხს დაეყრდნო, მხრებს ზურვი შეაქცია, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და სტეკნით გასწია. მხედრულად მარშს ამღერებდა, აქით მიდიოდა, საითკენაც მისი ამხანაგები გაუჩინარდნენ. მიდიოდა საიქიოს გამგზავრებულ ყაჩაღთა სამეფოსაკენ, რომელსაც არ იცნობდა, მაგრამ საფუძველი არ ჰქონდა, დაეჭვებულყო, რომ სააქაოზე უკეთესი იქნებოდა.

თანდათან ქრებოდა ეგვიპტის მხერიდან. სულ უფრო პატარა და გამჭვირვალე ხდებოდა. მიდიოდა მსუბუქი და ჩქარი ნაბიჯებით, სულაც არ ჰგავდა ბერიკაცს. მიაბიჯებდა საჩვიძოდ, ისე, როგორც მხოლოდ იგი წლის ბუნდოვრ, ახალგაზრდა კაცს, შეუძლია, იაროს.

### შპილი სართული

მარტის ერთ დღეს, მატარებლით ერთდღიანი მგზავრობის შემდეგ, ჯუზუბე კორტე ჩამოვიდა ქალაქში, სადაც პატარა, კერძო კლინიკა იყო. ხელში ზომცრო ჩემოდანი ეჭირა, მართალია, ცოტათი სიცხე აწუხებდა, მაგრამ მაინც ფეხით ამჯობინა სადგურიდან საავადმყოფოში მისვლა.

თუმცა, დაავადება ძალიან მსუბუქი, საწყის სტადიაზე აღმოჩნდა, ჯუზუბე კორტეს მაინც ურჩიეს, ამ საქვეყნოდ ცნობილი სანატორიუმისათვის\* მიემართა. აქ სწორედ მის ავადმყოფობას მკურნალობდნენ. განკურნების გარანტიას მედიკოსთა გამორჩეული კომპლექტურობა და შესანიშნავი სამკურნალო აპარატურით კლინიკის აღჭურვილობა იძლეოდა.

შენიშნა თუ არა შორიდან, მაშინვე იცნო ჯუზუბე კორტემ კლინიკის შენობა, რომლისთვისაც ადრე ერთ სარეკლამო ბუკლეტში მოეკრა თვალი. ალტაცებული დარჩა ნანახით. ქათქათა, შვიდსართულიან ნაგებობას რაღაც საიდუმლო ელფერს სძენდა ცისარტყელებად შემორტყმული, დროდადრო მოციმციმე ნიშები და მესრად შემოეღებულნი მალაღი ხეები.

სახელდახელო სამედიცინო გასიხჯვის შემდეგ, უფრო საფუძვლიან და სრულ გამოკვლევამდე, ჯუზუბე კორტე ბოლო, მეშვიდე სართულზე, ერთ, ხალისიან ოთახში მოათავსეს. ოთახი ღია ყურის ვაკრიალებული ავეჯით გაეწყობა. სავარძლები ხისა იყო, ბალიშებისთვის კი ჭრელი ქსოვილი გადაეკრათ. ფანჯარა ქალაქის ერთ-ერთ უმშვენიერეს უბანს გადაჰყურებდა. ყველაფერი რაღაცნაირი სიმშვიდით, სტუმარმყოფვარეობითა და ძეგურიებით ფეთქავდა.

ჯუზუბე კორტე მაშინვე საწოლზე წამოწვა, სასთუმალთან დამის ნათურა აანთო, და შინიდან წამოღებული წიგნის კითხვას შეუდგა. მალე ექთანმა შემოეცა და იკითხა, ხომ არაფერს ინებებთო.

ჯუზუბე კორტეს არაფერი უნდოდა, მაგრამ ქალიშვილს სიამოვნებით გაუბა საუბარი, დაწვრილებით გამოიძია სანატორიუმის ამბები, ასე შეიტყო იმ უცნაური წესის შესახებ, აქ რომ შემოედოთ. ავადმყოფებს სხვადასხვა სართულზე

\* იტალიელები სანატორიუმს უწოდებენ დაწესებულებას, სადაც მხოლოდ ტუბერკულოზს მკურნალობენ (მთარგმ.).

დაავადების სიმძიმის მიხედვით ათავსებდნენ. მეშვიდე, ესე იგი, ბოლო სართული, იმათთვის დაეთმოთ, ვისაც დაავადება ძალიან იოლ ფორმაში ჰქონდა, მეექვსე სართული მძიმე არა, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევრ ავადმყოფებისათვის იყო განკუთვნილი, მეხუთეზე უკვე გართულებულ დაავადებებს მკურნალობდნენ და ასე შემდეგ. სართულიდან სართულამდე მატულობდა დაავადების სიმძიმის ხარისხი. მეორეზე მძიმე ავადმყოფები იწვნენ, პირველზე კი ხსინი, რომელთა გამოჯანმრთელებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

ასეთი თავისებური სისტემა, ერთი მხრივ, დიდად მოხერხებულს ხდიდა მომსახურებას და საშუალებას იძლეოდა, მსუბუქად დაავადებული არ შეწუხებულიყო აგონიაში მყოფი კოლეგის მეზობლობით და ყოველ სართულზე ერთნაირი ატმოსფერო ყოფილიყო. მეორე მხრივ, შესაძლებელი ხდებოდა, დიფერენცირებულად ემკურნალათ და ამით საუკეთესო შედეგებისათვის მიეღწიათ.

სწორედ ამას ემყარებოდა ავადმყოფთა შვიდ, მზარდ კასტად დაყოფა. ყოველი სართული თავის თავში ჩაკეტილი, ერთგვარი მიკროსამყარო იყო. ცხოვრობდნენ თავიანთი, განსაკუთრებული წესებით, მხოლოდ მათთვის ნიშანდობლივი ტრადიციებით, რომელთაც სხვა სართულებზე არავითარი გასავალი არ ჰქონდათ. მთაყარ ექიმს კლინიკაში მკურნალობის ერთი, ფუნდამენტური მიმართულება დაემკვიდრებინა, მაგრამ ყოველი სართული სამეთვალყურეოდ სხვადასხვა ექიმისათვის მიენდოთ. მათი მკურნალობის მეთოდი, თუმცა მცირეოდენ, მაგრამ მაინც მკაცრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ჯუზეპე კორტეს ეჩვენებოდა, რომ სიცხე უწევდა, როცა ექთანს ოთახიდან გავიდა, ფანჯარას მიუახლოვდა და გარეთ გაიხედა. სულაც არ აინტერესებდა უცხო ქალაქის ხედები, ერთი სულს ჰქონდა, სხვა ავადმყოფებისათვის შეეველოთ თვალა, მაგრამ შენობას ღრმად შეჭრილ-შემოჭრილი კედლები ჰქონდა და ეს შეუძლებელი იყო. ჯუზეპე კორტე პირველი სართულის ფანჯრებს მიაჩერდა. ძალიან შორეული მოჩანდნენ და მხოლოდ გვერდიდან შეიძლებოდა მათი ყურება, საინტერესო ვერაფერი დაინახა. თითქმის ყველა ფანჯარა რუხი, მოსრი-ალე დარაბებით ჰერმეტიკულად იყო დახშული.

კორტემ შენიშნა, რომ მის გვერდით, ფანჯრიდან ვიდაც კაცს თავი გამოეყო. თვალებში შესცქეროდნენ ერთმანეთს და თანდათან სიმპათიით იმსჭვალებოდნენ ერთმანეთის მიმართ, მაგრამ სიჩუმე ვერ დაერღვიათ. ბოლოს ჯუზეპე კორტემ მოიკრიფა გამბედაობა:

— თქვენც ახლა ხანს მოხვედით აქ? — ჰკითხა.

— ოჰ, არა, — მიუგო უცნობმა. — უკვე ორი თვეა, აქა ვარ... — რაღაც წამით გაყუჩდა, არ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა საუბარი, მერე კი დააუმატა. — ჩემს ძმას ვუყურებდი ქვემოთ, ფანჯარაში.

— თქვენს ძმას?

— ჰო, ჩემს ძმას, — ამოიოხრა მან. — ნამდვილად უცნაურია, ღმერთმანი, ერთად მოვედი კლინიკაში, მაგრამ იმას გაურთულდა ავადმყოფობა, თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა უკვე მეოთხეზეა.

— რა მეოთხეზე?

— მეოთხე სართულზე, — ასეთი სიბრაღულითა და შიშნარევი რიდით წარმოსთქვა ეს ორი სიტყვა, რომ ჯუზეპე კორტეს ტანში ვრუანტელმა დაუარა.

— კი, მაგრამ მეოთხე სართულზე ასეთი მძიმე ავადმყოფები არიან? — ფრთხილად იკითხა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — ამოიკვნესა უცნობმა და თავი ნელა გააქნია. — ჯერ კიდევ არა აქვს იმედი გადაწურული, მაგრამ არც სატაშფანდუროდ აქვს საქმე.

— თუკი მეოთხეზე ასე მძიმედ დაავადებულნი არიან, პირველზე ვიდას აწყენენ? — ისე, ვითომცდა ხუმრობაგარეული უღარდულობით იკითხა ჯუზეპე კორტემ, როგორადაც კითხულობენ ხოლმე ტრაგიკული შემთხვევებისას, როცა ეს პირადად მათ არ ეხებათ.

— ოჰ, — კვლავ ამოიოხრა უცნობმა. — პირველზე მოლად წყბლწილებულნი არიან. მანდ, ექიმებს არაფერი ესაქმებათ. იქ მხოლოდ მღვდელღვთაჯირო... და, ბუნებრივია...

— მაგრამ ცოტანი არიან პირველ სართულზე, — უფრო საკუთარი თავის დასამშვიდებლად ჩაურთო ჯუზეპე კორტემ. — თითქმის ყველა ოთახი დაკეტულია ქვემოთ.

— ამ წუთას ცოტანი არიან, მაგრამ დილით ბევრნი იყვნენ, — გამყინავი ღიმილით უპასუხა უცნობმა. — იქ, სადაც დარაბები მიხურულია, სულ ახლახანს გარდაცვლილნი არიან. აი, სხვა სართულებზე ხომ ხედავთ, ყველა დარაბა გამოღებულია, მაგრამ, მაპატიეთ, მგონი, აციებას იწყებს, ისევ უნდა წამოეწევი, წარმატებას ვისურვებთ.

უცნობი დარაბებს მოუფარა და ფანჯარა ენერგიულად მიხურა. მეორე ოთახში ანთებული შუქი გამოკრთა. ჯუზეპე კორტე კი ისევ გაუნძრევლად მიყრდნობოდა ფანჯარას და პირველ სართულზე მიხურულ დარაბებს მიშტერებოდა, მიშტერებოდა რაღაცნაირი ავადმყოფური ცნობისმოყვარეობით. უნდოდა, წარმოედგინა ის საშინელი, საიდუმლო გარდასახვები, რომლებიც პირველ სართულზე ხდებოდა, სადაც დასაღუპავად განწირული ადამიანები ჩადიოდნენ. თავს სამშვიდობოს ვრძნობდა, რაკი ასე შორს იყო მათგან. ამასობაში ქალაქში თანდათანობით წკებოდნენ ჩრდილები. სათითაოდ ისთებოდა შუქი კლინიკის ათასობით ფანჯარაში. შორიდან, კაცს შეიძლებოდა, მოსჩვენებოდა, სასახლე საზვიამოდ მოურთავთო. მხოლოდ პირველ სართულზე, სადაც ქვემოთ, უფსკრულას ხიდრმეში, უამრავი ჩაბრმავებულ-ჩაბნელებული ფანჯარა იმზირებოდა.

ყოველასმომცველი სამედიცინო შემოწმების შედეგმა ჯუზეპე კორტე გამოაცოცხლა. სიცხე თუმცა არა და არ უკლებდა, თავს მაინც კარვად ვრძნობდა, მოსალოდნელი საშინელების მოლოდინში, შინაგანად უკვე შემზადებული იყო უღმობელი განაჩენის მოსასმენად და ახლა სულაც არ გაუკვირდებოდა, თუკი ექიმი ეტყოდა, ქვედა სართულზე უნდა გადაგიყვანოთო. მკურნალის გულწრფელმა სიტყვებმა, პირიქით, მხოლოდ გაამხნევა. მისი აზრით, ავადმყოფობა მხოლოდ ახლახანს დაწყებულიყო, ძალიან მსუბუქი ფორმა ჰქონდა და ორ-სამ კვირაში ყველაფერი გაუვლიდა.

— ესე იგი, მეშვიდე სართულზე ვრჩები, არა? — გულისფანცქალით შეეკითხა ჯუზეპე კორტე.

— აბა, როგორ! — მიუგო ექიმმა და თან მევიობრულად წამოჰკრა მხარზე ხელი. — აბა, თქვენი აზრით, რომელ სართულზე უნდა გადასულიყავით? მეოთხეზე ხომ არა? — სიცვლით ეუბნებოდა, თითქოს, ყველაზე აბსურდულ პირობებზე გადაუკრა სიტყვაო.

— ასე სჯობია, ასე სჯობია ნამდვილად, — უპასუხებდა კორტე — ხომ იცით, კაცი რომ ავად გახდება, სულ ერთთავად ცუდ ამბებზე ფიქრობს...

ჯუზეპე კორტე სრულიად სამართლიანად დარჩა იმ ოთახში, თავიდან რომ მიუჩინეს. იმ იშუიათ დღეთა მეორე ნახევარში, როცა ადგომის უფლება ჰქონდა, კლინიკაში რამდენიმე კაცი ვაიცნო, გულმოდგინედ შეუდგა მკურნალობას, ყველაფერს აკეთებდა, რათა მალე გამოჯანმრთელებულიყო. მაგრამ თავს უკეთესობას ვერ ატყობდა.

დაახლოებით ათი დღის შემდეგ ჯუზეპე კორტეს მეექვსე სართულის მთავარი ექთანი ეახლა. უაღრესად შინაურული სათხოვარი მაქვსო: მეორე დღეს კლინიკაში ერთი ქალბატონი უნდა მოუთავსებინა ორ მკურნალს ერთად. ზუსტად მისი ოთახის გვერდით ორი პალატა იყო თავისუფალი, მხოლოდ ერთი პალატა აკლდა. ნებას ხომ დართავდა ხინიორ კორტე, იგი სხვა, ასევე მეუღრო პალატაში რომ გადაეყვანა?

ჯუზეპე კორტეს, რა თქმა უნდა, თავბატიფი არ დაუწვია. მისთვის სულერთი იყო, ამ პალატაში იქნებოდა თუ სხვაგან, პარიქით უნდოდა კიდეც, ახალი და უფრო ნატიფი ექთანი ჰყოლოდა.

— მთელი სულითა და გულით გიხდით მადლობას, — თავის თანაუ დაკვირვებულად უბნებოდა ჯუზეპე კორტეს ექთანი, — თქვენსაირი პიროვნებისაგან არც მიკვირს ასეთი კეთილშობილური და რაინდული საქციელი. თუკი საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ერთი საათის შემდეგ გადაგიყვანთ ახალ პალატაში, — შემდეგ კი, თითქოს საქმე რაღაც უმნიშვნელო წვრილმანს შეეხებოთ, ისე, სხვათა შორის დაუმატა, — იცოდეთ, ერთი სართულით ქვემოთ უნდა ჩაგიყვანიოთ. სამწუხაროდ, აქ, მეშვიდე სართულზე, თავისუფალი პალატები არაა. მხოლოდ დროებით გადაწყობხართ ახალ ოთახში, — და რაკი დაინახა, რომ კორტემ ელვის სისწრაფით წამოიწია საწილიდან, რათა წამომჯდარიყო და პროტესტი გამოეთქვა, მაშინვე შეკცადა, დაეზუსტებინა. დამერწმუნეთ, ეს მხოლოდ დროებითა ამბავია, როგორც კი გამოთავისუფლდება პალატა, მე მგონი, ეს სულ რაღაც ორ-ხამ დღეში მოხდება, შეგეძლებათ ზემო სართულზე დაბრუნება.

— გამოგიტყდებით, — ღიმილით მიუგო ჯუზეპე კორტემ, თითქოსდა ამით უბნებოდა, ყველაფერი მესმის ბავშვი კი არა ვარო, და განაგრძო. — გამოგიტყდებით, რომ სრულებითაც არ მომწონს ოთახიდან ოთახში სიარული.

— პალატის გამოცვლას არავითარი სამედიცინო მოტივი არ უდევს საფუძვლად. ძალიან კარგად მესმის, რისი თქმაც ვნებავთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს ასე არაა. ჩვენს მხოლოდ და მხოლოდ გვინდა. პატივი ვცეთ ერთ ხინიორას, რომელსაც თავის შვილებთან ახლოს ყოფნა უნდა... ღვთის გულისათვის, — მიუგო ბილოს რაღაცნაირი კეთილი ღიმილით. — ვთხოვთ, ნუ იფიქრებთ, თითქოს, აქ რაიმე სხვა მიზეზი იყოს.

— ალბათ ასეა, — თქვა ჯუზეპე კორტემ. — მაგრამ მაინც ავის მომასწავებლად მერვენება ყოველივე ეს.

ასე გადაბარგდა ჯუზეპე კორტე მეექვსე სართულზე. და თუმცა, დარწმუნდა, რომ ოთახის გამოცვლა ნამდვილად არ იყო გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესებით, მაინც აწუხებდა ფიქრი, რომ მასა და ნორმალურ სამყაროს, ჯანმრთელ ხალხს შორის ამკარა ბარიერი აღმართულიყო. მეშვიდე სართულზე, ჰილში ჯერ კიდევ იგრძნობოდა ადამიანთა საზოგადოებასთან ერთგვარი კავშირი. ეს სართული ჯერ კიდევ, შეიძლება, ჩვეულებრივი სამყაროს გაგრძელებად ჩაგეთვალოთ. მეექვსე კი უკვე სააკადემიოფოსათვის დამახასიათებელი გარემოს ნაწილი გამხდარიყო. ერთგვარად განსხვავებული იყო ექიმების, ექთნებისა და თვით აკადემიოფების აზროვნებაც. აქ უკვე აღიარებდნენ, რომ სართულზე, თუმცა მოკლებულ დაადებული, მაგრამ მაინც ნამდვილი, უეჭველი აკადემიოფები

იყვნენ. ჯუზეპე კორტემ პალატის მეზობლებთან, სამედიცინო პერსონალთან და სანიტრებთან პირველივე გასაუბრებიდან შეიტყო, რომ თავის ახალ განყოფილებაში მეშვიდე სართულს ხუმრობით მოეყარულ ავადმყოფთა თავშესაფარს ემახდნენ, თავშესაფარს ავადმყოფებისა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ხუმტურებს შეეპყროთ. ნამდვილი საავადმყოფო კი, ასე ვთქვათ, შექმნილი იყვნენ.

ამასთან, ჯუზეპე კორტემ ისიც შეიტყო, რომ თავისი ავადმყოფობის ხარისხით კუთვნილი ადგილის დაბრუნებაში უაღრესად ვარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. ისევ მეშვიდე სართულზე რომ დაბრუნებულყო, მთელი ძალით და მოხდომება უნდა მოეკრიბა. ისიც უეჭველად იყო, თვითონ თუ არ იბრუნებდა, არაყინ იფიქრებდა მის კვლავ ზემო, „თითქმის ჯანმრთელთა“ სართულზე აყვანას.

ჯუზეპე კორტემ გადაწყვიტა, არაფრით არ დაეთმო თავისი უფლებები და არ შერიგებოდა ახალ მდგომარეობას. განყოფილებაში თავის ამხანაგებთან საუბარში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის ხაზგასმას, რომ მხოლოდ ორიოდღე დღით უწყვეტად მათთან ყოფნა, რომ ერთი ხინიორას პატივსაცემად თვითონ მან მოისურვა ერთი სართულით ქვემოთ ჩამოსვლა და, როგორც კი გამოთავისუფლდებოდა მეშვიდეზე რომელიმე ოთახი, აუცილებლად უკანვე დაბრუნებდნენ. ამასე თავის ქნევით ეთანხმებოდნენ ახალი ამხანაგები, თუმცა, ნაკლებად სჯეროდათ მისი სიტყვებისა.

ჯუზეპე კორტეს თვითდაჯერებულობა მთლიანად დაადასტურა ახალი ექიმის დასკვნამაც. შეიძლება, კორტეს მეშვიდე სართულზე დაბრუნება, რადგან მისი დაავადება ხედ-მი-წევ-ნით მსუ-ბუ-ქი ფორმით გამოიხატებოდა (ექიმი დამარცხებით, ხაზგასმით წარმოთქვამდა სიტყვებს), თუმცა, შინაგანად თვლიდა, რომ ჯუზეპე კორტეს მიექვსე სართულზე უკეთ უმკურნალებდნენ.

— მოეშვით ამ ლათაიებს, — უმაღლესად აწყვეტილებდა ჯუზეპე კორტე, როგორც კი ექიმი შეექვსე სართულს უხსენებდა. — გითხარით, ჩემი ადგილი მეშვიდე სართულზეა და იქ მსურს დაბრუნება.

— არავის უთქვამს სხვა რაბე, — უპასუხებდა ექიმი. — მე მხოლოდ გულწრფელად, ადამიანურად ვარჩიეთ, როგორც გუ-ლი-თად-მა მე-გო-ბარ-მა და არა — როგორც ე-ქიმ-მა! გიმეორებთ, თქვენ ძალიან მსუბუქი ფორმით ხართ დაავადებული (არც იმის თქმა იქნებოდა სწორი, თითქოს, საერთოდ არ იყოთ ავად), მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენი ავადმყოფობა ანალოგიური ავადმყოფობისაგან რაღაც ერთგვარად განსხვავებული, ერთგვარად ვართულებული სახით მიმდინარეობს. ახლავე გეტყვით, რასაც ვგულისხმობ: ავადმყოფობის ინტენსივობა დაბალია, მაგრამ საგულისხმოა მისი მოცულობა, შესაძლოა, უჯრედების დაშლის პროცესი განვითარდეს. ჯუზეპე კორტე პირველად ისმენდა ამ საშინელ სიტყვებს. — უჯრედების დაშლის პროცესი, განაგრძობდა ექიმი. — უეჭველად საწყის სტადიაშია, შეიძლება, დაწყებულსაც არ იყოს, მაგრამ მიდრეკილება აქვს, ზაზს ვუსვამ: მხოლოდ მიდრეკილება, და, შესაძლოა, დიდად დააზიანოს ორგანიზმი. ამის გამო, ჩემი აზრით, უფრო შედეგიანად გიმკურნალებდნენ აქ, მეექვსე სართულზე. სადაც მეტად ტიპურ და ინტენსიურ თერაპიულ მედიკამენტებს იყენებენ.

ერთ დღეს ჯუზეპე კორტეს უთხრეს, რომ საავადმყოფოს მთავარ ექიმს, თანამშრომლებთან მოთათბირების შემდეგ, ოთახებში ავადმყოფთა ჩასახლების ახალი პრინციპის შემოღება გადაწყვიტა. ყოველი მათგანის ჯანმრთელობის ხარისხი, ასე ვთქვათ, ნახევარი ტულით მცირდებოდა. ამასთან, ეს პრინციპი სა-



შუალელებს იძლეოდა, ავადმყოფები ყოველ სართულზე დაავადების სიმძიმის მიხედვით ორ კატეგორიად დავეყოთ. ავადმყოფთა ჩასახლების ახალი პრინციპი კარგად გამოიყენეს შესაბამისმა ექიმებმა, ამასთან, ზედმიწევნით დაიცვეს შინაგანაწესი. მათ ერთი სართულით ქვემოთ ჩაჰყავდათ ქვედა კატეგორიისათვის მიკუთვნილებული ავადმყოფები. მაგალითად, მეექვსე სართულის ავადმყოფთა ნახევარი, რომელთა ჯანმრთელობა ოდნავ იყო გართულებული, მუხრანის ქუჩის სართულზე უნდა ჩასულიყო, ნაკლებად მსუბუქებს კი მეხუთედან მეექვსეზე და მეექვსედან მეშვიდეზე უნდა გადაენაცვლათ. ამ სიახლემ ღიად გაახარა ჯუზეპე კორტე. ჩასახლების ასეთი სრულყოფილი წესით უფრო იოლად შეძლებდა მეშვიდე სართულზე დაბრუნებას. როცა ამ იმედით გადაუკრა ექთანს სიტყვა, მწარე სიურპრიზის წინაშე აღმოჩნდა — შეიტყო, რომ ძალიან ახალ სართულზე უნდა გადასულიყო, მაგრამ მეშვიდეზე კი არა, ერთი სართულით ქვემოთ. ამაზე ახლა ექთანს არ შეეძლო მასთან საუბარი, იგი მეექვსე სართულის მდგმურთა უფრო „მძიმე“ ნახევრისათვის მიეკუთვნებინათ და ამის გამო მეხუთეზე უნდა ჩასულიყო.

პირველმა ვლდამ რომ გაუარა, ჯუზეპე კორტე გაცოფდა. ყვიროდა, რომ უსინდისოდ აცურებდნენ, რომ მას მოსძენაც არ სურდა ქვემოთ გადაბარგებაზე, რომ სულაც შინ წავიდოდა, რომ წესი წესი იყო და კლინიკის ადმინისტრაციას უფლება არ ჰქონდა, ასე პარი-პარად მოჰკიდებოდა მედპერსონალის მიერ დასმულ დიაგნოზს.

ვიდრე ყვიროდა კორტე, ექიმი ქოშინით მოვარდა მის დასამშვიდებლად. სობოვდა, დაწყნარებულიყო, სიცხეს რომ არ აეწია, არწმუნებდა, ბოლოს და ბოლოს, რაღაც გაუგებრობა მოხდაო. ამასთან, ისევ იძეორებდა, თქვენს კუთვნილ ადგილზე მაშინ იქნებოდით, მეშვიდე სართულზე რომ მოეთავსებინეთო, მაგრამ იქვე დასძინდა, ამ შემთხვევაზე პირადად ოდნავ განსხვავებული, გნებავთ, სულაც საკუთარი მოსაზრება მაქვსო. იგი თვლიდა, რომ ჯუზეპე კორტეს ავადმყოფობა, შინაგანად მისი ავადობის გამოვლინებით, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, გარკვეული აზრით, მეექვსე ხარისხითაც შეფასებულიყო, მაგრამ ვერ აეხსნა, როგორ მიაკუთვნეს კორტე მეექვსე სართულის ავადმყოფთა ქვედა ჯგუფს. შესაძლოა, გადაწყვიტოს შემცდარიყო მთავარი ექიმის მდივანი, რომელმაც ამ დილით ტელეფონით დაურეკა და ჯუზეპე კორტეს ზუსტი კლინიკური მდგომარეობა იკითხა. გამორიცხული არ იყო, წინასწარ გამიზნულად თვით დირექციას ოდნავ „დაემძიმებინა“ დიაგნოზი. რადგან მას ძალიან ღმობიერ ექიმ-ექსპერტად თვლიდნენ. და ბოლოს, ექიმი ურჩევდა კორტეს, დაამშვიდებულიყო, მოთმინებით შერიგებოდა ქვემო სართულზე ჩაყვანას. მთავარი ის იყო, რომ ავადმყოფობის მიხედვით მას არ ხვდებოდა ის ადგილი, რომელიც განაწილებით ერგო.

— რაც შეეხება მკურნალობას, — უთხრა ბოლოს ექიმმა ჯუზეპე კორტეს. — აწი არაფერი გექნებათ სასაყვედურო, ქვედა სართულის ექიმს გაცილებით მეტი გამოცდილება აქვს, — საერთოდ, კლინიკაში თითქმის წესად იყო ქცეული, ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიდა დირექცია, ექიმთა პროფესიონალიზმი უფრო მატულობდა, რაც უფრო ქვემოთ ეშვებოდით სართულებზე. ახალი პალატა ადრინდელივით კომფორტული და ელეგანტური იყო. თვალწინ ისევ წარმტაცი ხედები იშლებოდა, მესრად შემოჯარული ხეები მხოლოდ მესამე სართულამდე აღწევდნენ, მის ქვემოთ კი თვალს ეფარებოდნენ.

სადამო უამს ერთიანად სიცხით გათანგული ჯუზეპე კორტე არაქათგამოცდილი უსძენდა ექიმის სკრუპულოზურ ახსნა-განმარტებას. ბოლოს მიხვდა,

რომ აღარც ძალა და, რაც მთავარია, აღარც სურვილი შერჩუნოდა, ვერაუ წინ აღდგომიდა უსამართლო გადაწყვეტილებას და შეურიგდა იმ აზრს, ქვემო სართულზე რომ უნდა ჩასულიყო.

მეხუთე სართულზე ცხოვრებისას ჯუზეპე კორტეს ერთადერთი, ძლიერდა მბჭუტავი ნუგეში ასულდგმულედა. მან იცოდა, რომ ექიმების, ექსნებისა და აკადემიკოფების საერთო აზრით, იგი სართულზე ყველაზე მსუბუქი აკადემიკოფი იყო. ერთი სიტყვით, შეეძლო, აქ თავი ყველაზე ბედნიერ ადამიანად ჩაეთვალა, მაგრამ, მეორე მხრივ, აწამებდა იმისი გაფიქრებაც კი, რომ ნორმალურ ადამიანსა სამყაროს ახლა ორი საფეხური აშორებდა. გაზაფხული ახლოვდებოდა და ვარეთ სითბო სულ უფრო იკრებდა ძალას, მაგრამ ჯუზეპე კორტეს ადრინდელივით აღარ უჩნდებოდა ფანჯრიდან გადახედვის სურვილი: თუმცა ასეთი შიშის სრულიად უნიადაგო იყო. მთელი სხეულით ცახცახებდა, როგორც კი თვალს მოჰკრაუდა პირველი სართულის ფანჯრებს, უკვე საკმაოზე მეტად რომ დაახლეობოდნენ მას.

გამოჯანმრთელება არ ეტყობოდა ჯუზეპე კორტეს, პირიქით, მეხუთე სართულზე ჩასვლიდან სამი დღის შემდეგ მარჯვენა ფეხზე რაღაცამ გამოაყარა. რასაც მომდევნო დღეებშიც არ დასტყობია გაქრობის ნიშან-წყალი. როგორც ექიმმა უთხრა, ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ძირითად აკადემიკოფობასთან, ასეთი დაავადება მსოფლიოში ყველაზე ჯანმრთელ ადამიანსაც შეიძლებოდა შეჰყროდა. ამიტომაც არაფერი იყო აქ საშიში. დიგამა სხივებით ინტენსიური მკურნალობით რაღაც ორიოდე დღეში გაუქრებოდა.

— არ შეიძლება აქაც გქონდეთ დიგამას სხივები? — იკითხა ჯუზეპე კორტემ.

— რა თქმა უნდა, შეიძლება, — მიუგო თვითკმაყოფილმა ექიმმა. — ჩვენი კლინიკა აღჭურვილია ყველა საჭირო საშუალებით მოწყობილობით. მხოლოდ ერთი უხერხულობაა...

— რა? — რაღაცნაირი ავი წინათგრძნობით იკითხა კორტემ.

— უხერხულობა, ასე ვთქვათ, ის გახლავთ, რომ სხივების მოწყობილობა მხოლოდ მეოთხე სართულზეა და დღეში სამჯერ ხუთოთ-ქვემოთ სირბილს არ გირჩევდით.

— ესე იგი?

— ესე იგი, ვიდრე გამოჩნდარი გაგივლიდეთ, კარგი იქნებოდა, თუ მეოთხეზე ინებებდით ჩასვლას.

— კმარა! — ახლა კი იღრიალა ჯუზეპე კორტემ. — მეყოფა ქვემოთ ჩასვლა. მოვკვდები და მეოთხეზე მაინც არ ჩავალ!

— როგორც გენებოთ! — არ შეკამათებია ექიმი, რათა უარესად არ გაეღიზიანებინა. — მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ, როგორც მკურნალი, გიკრძალავთ დღეში სამჯერ აღმა-დაღმა სიარულს.

უბედურება ის იყო, რომ ეგზემა შემცირების ნაცვლად, ნელ-ნელა დიდდებოდა. ჯუზეპე კორტემ მოსვენება დაკარგა და გამწარებული წრიალებდა ლო-

გინში. ასე იწვალა სამი დღე, მერე თვითონ სიხოვა ექიმს, ქვედა სართულზე ჩაეყვანათ და სხივებით ემკურნალათ.

კორტემ ქვემო სართულზე ერთგვარი სიამოვნებით შეიტყო ამ გამონაკლისის შესახებ, მის მიმართ რომ დაეშვათ. აქ ავადმყოფების მკურნალებს პირობებში ჰყავდათ: არავის ჰქონდა უფლება, თუნდაც ერთი წუთით მიეტოვებინა საწოლი. მას კი შეეძლო, ესარგებლა განუსაზღვრელი ფუფუნებით — ექიმების ალტაცებული კომპლიმენტების თანხლებით ფეხით გაეკვლო თავისი ოთახიდან სხივების დარბაზამდე.

ჯუზეპე კორტემ ახალ ექიმს ენერგიულად დაუსაბუთა თავისი უაღრესად განსაკუთრებული მდგომარეობა. მას, რომელსაც შინაგანად მეშვიდე სართული ეკუთვნოდა, მეოთხეზე უწევდა ყოფნა. როგორც კი გამონაყარი გაუვლიდა, უმაღლეზე ზემოთ დაბრუნდებოდა და ვერანაირი ახალი საბაბი ვერ შეაცვლევინებდა გადაწყვეტილებას, ისევ მეშვიდე სართულზე ყოფილიყო, რომელიც კანონით ეკუთვნოდა.

— მეშვიდეზე? — დიმილით წამოიძახა ექიმმა, რომელიც ის-ის იყო, ამთავრებდა მის გასინჯვას. — ძალიან გაყვართ ავადმყოფებს გაზვიადება. პირველი ვარ, ვინც გეუბნებით, რომ, შეგიძლიათ, კმაყოფილი იყოთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობით, რამდენადაც, როგორც კლინიკურ გრაფიკზე ვხედავ, დიდ კართულებებს არა აქვს ადგილი. მაგრამ, მომიტევეთ მწარე გულახდილობისათვის, როგორ შეიძლება, თქვენნაირმა ავადმყოფმა მეშვიდე სართულზე ილაპარაკოს! ხომ არის ავადმყოფთა შორის განსხვავება? გეთანხმებით, თქვენი მდგომარეობა ნაკლებად საგანგაშოა, მაგრამ მაინც ერთსაქვად ავადმყოფი ხართ!

— ესე იგი! — ჩაუძია ჯუზეპე კორტე და მთელი სახით წამოეწიო, — რომელი სართული მეკუთვნის, თქვენი აზრით?

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ასე იოლი როდია ამის თქმა. მხოლოდ ერთხელ მყავხართ ზერელედ გასინჯული. გადაჭრით რომ ვითხრათ რამე, სულ მცირე, ერთი კვირა მაინც უნდა გაკვირდებოდეთ.

— კარგით, — დაუთანხმა კორტე და დასძინა. — დაახლოებით ხომ მაინც შეგიძლიათ, მითხრათ.

ექიმი ჩაფიქრდა, უფრო კორტეს დასამშვიდებლად, ყურადღება დაძაბა, შემდეგ თავი ვააქნია და აუჩქარებლად თქვა:

— ოჰ, ღმერთო! თქვენთვის რომ მესიამოვნებინა, შინაგანად შევძლებდი, მეექვსეზე მომეთავსებინეთ. აი! დიახ, მეექვსე კარგი იქნებოდა თქვენთვის, — დასძინა ბოლოს, თითქოს საკუთარ თავს არწმუნებო.

ექიმს სჯეროდა, რომ ამ სიტყვებით სწეულს ასიამოვნებდა. ჯუზეპე კორტეს კი სახეზე შიში აღბუჭდებოდა. ხედებოდა, რომ ზედა სართულების ექიმებმა მოატყუეს. მისთვის ცხადი იყო, რომ აი, ამ ახალი ექიმის აზრითაც, რომელიც უდაოდ უფრო საზრიანიცა და პატიოსანიც ჩანდა, მეშვიდეზე კი არა, მეექვსეზე ანდა, იქნებ, უფრო ქვემოთ, მეხუთეზეც კი უნდა მოეთავსებინათ. მოულოდნელმა იმედგაცრუებამ ერთბაშად გატეხა კორტე მ საღამოს ლიცხამ საგრძნობლად აუწია.

ჯუზეპე კორტეს მეთხუ სართულზე ყოფნა სანატორიუმში შემოსვლის დღიდან ყველაზე მშვიდ პერიოდად ეჩვენა. ექიმი ერთობ სიმპათიური, კურად-ლებიანი და გულთაძი ადამიანი აღმოჩნდა. ხშირად საათობრივად ემუშავებოდა მასთან და სხვადასხვა საკითხზე ესაუბრებოდა. ჯუზეპე კორტეს დიდად სიამოვნებდა ეს, იგონებდა ფაქტებს, რომლებიც მის — ერთი ჩვეულებრივი ვექილისა და მსოფლიო მოქალაქის ცხოვრებას შეეხებოდა, ცდილობდა, თავი დაეჯერებინა, რომ ჯერ კიდევ ჯანმრთელ ადამიანთა საზოგადოებას ეკუთვნოდა, რომ ისევ იყო საქმიან სამყაროსთან დაკავშირებული, რომ კვლავ აინტერესებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ამბები. მიუხედავად ამისა, საუბარში, როგორც წესი, წამდაუწუმ თავის ავადმყოფობას უტრიალებდა.

ამასობაში გამოკეთების სურვილი მუდმივ მოთხოვნის სახით ექცა. სამწუხაროდ, დიგამა სხივებმა შეჩერებით კი შეუჩერა გამონაყარის განვითარება, მაგრამ ვერ შეძლო მისი მთლიანად გაქრობა. ამაზე ჯუზეპე კორტე ყოველდღიურად ხანგრძლივად ბჭობდა ექიმთან და თავს ძალას ატანდა, ძლიერ, უფრო მეტიც, იუმორით დაჯილდოებულ ადამიანად სჩვენებოდა. მაგრამ ამას ვერ ახერხებდა.

— მითხარია, ექიმო, — იკითხა ერთ დღეს, — როგორ მიღის ჩემი უჯრედების დაშლის პროცესი?

— ოჰ, რა საშინელი სიტყვებია! — ხუმრობაგარევით უსაყვედურა ექიმმა. — საიდან მოიტანეთ? როგორ მიღის და ცუდად, ცუდად, და, უპირველესად, თვით ავადმყოფის წყალობით! არ მინდოდა, თქვენგან მსგავსი სიტყვები მომესმინა.

— კარგით, — დაუთანხმა კორტე. — მაგრამ თქვენ მაინც არ გაგიციათ პასუხი.

— ოჰ, ახლავე ვიპასუხებთ, — თავაზიანად მუშავდა ექიმმა. — უჯრედების დაშლის პროცესი, თქვენი შემზარავი გამოთქმა რომ უხმარო, მინიმალურია, სრულიად მინიმალური, მაგრამ, მე ვიტყვოდი, მყარი.

— მყარი, ალბათ, გნებავთ, თქვათ, ქრონიკული?

— ნუ მომაწერთ იმას, რაც არ მითქვამს. მინდა ვთქვა, მხოლოდ და მხოლოდ მყარი. თუმცა ეს ავადმყოფობა უძრავლეს შემთხვევაში სწორედ ასეთნაირად მიმდინარეობს. მისი უმსუბუქესი გამოვლინებაც კი ხშირად ენერგიულ და ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს.

— მაგრამ, ექიმო, გამაგებინეთ, როდის შეიძლება გამოკეთებაზე ვიოცნებო?

— როდის? საკმაოდ ძნელია ასეთ შემთხვევებში წინასწარ რაიმეს თქმა... — მერე დაფიქრდა და მცირე ხნის შემდეგ დასძინა. — გატყობთ, რომ გამოჯანმრთელებას რალაცნაირი მოუთმენლობით მოუვლით. თქვენი გაბრაზების რომ არ მეშინოდეს, ერთ რჩევას მოგცემდით...

— ბრძანეთ, ახლავე ბრძანეთ, ექიმო...

— თუ ასეა, რა გაეწყობა, შევეცდები, ჩემი აზრი ძალიან ნათელი ტერმინე-

ბით გადმოგვიყოს. ეს დაავადება პირადად მე ყველაზე სუსტი ფორმითაც რომ აღმოძრუნოდა და ამ კლინიკაში მოვხვედრიდიყავი, რომელიც, შესაძლოა, საუკეთესოც კი იყოს სხვა კლინიკებს შორის, საკუთარი ნებით თავს პირველივე დღიდან, გესმით, პირველივე დღიდან ერთ-ერთ ყველაზე დაბალ სართულზე განაწილებდნენ. თავს მოვათავსებინებდი პირდაპირ...

— პირველზე? — ნაძალადევი ღიმილით ჩაეკითხა კორტე.

— თ, არა! პირველზე არა! — მიუგო ექიმმა, რომელსაც ხმაში ირონია გარეთდა. — პირველზე არა, მაგრამ უთუოდ მესამეზე და მეორეზეც კი. ქვედა სართულებზე მკურნალობა უკეთაა ორგანიზებული. აპარატურაც უფრო სრულყოფილი და ჭკვიანური აქვთ. გარწმუნებთ, ნამდვილად ასეა, როგორღაც პერსონალიც უფრო მოხერხებულია. ამასთან, იცით, ვინ არის ჩვენი კლინიკის სული და გული?

— პროფესორი დატი ხომ არა?

— დიახ, პროფესორი დატი. მისი შემუშავებულია მკურნალობის მეთოდი, რომელსაც კლინიკაში ვიყენებთ. მისი დაპროექტებულია მთელი აპარატურა. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო პირველ და მეორე სართულებზეა ხელმძღვანელი. აქედან მართავს კლინიკას. თუმცა გარწმუნებთ, რომ მისი გავლენა არ ვრცელდება მესამე სართულს ზემოთ. იმის იქით ძალას კარგავენ მისი განკარგულებები, არაუარს ასრულებს მათ. ქვემოთაა საავადმყოფოს ნამდვილი გული და თუკი გნებავთ, საუკეთესოდ იმკურნალოთ, ქვემოთ უნდა ჩახვიდეთ.

— ესე იგი, ერთი სიტყვით, — ათრთოლებული ხმით ამოიღულღულა ჯუზეპე კორტემ, — ესე იგი, მირჩევთ...

— გაითვალისწინეთ ერთი რამეც, — განაგრძობდა თავდაჯერებულად ექიმში, — პირადად თქვენ გამოხაყარის უკეთ მიხედვის საშუალებაც გექნებოდათ. გეთანხმებით, ეს სრულიად უმნიშვნელო რამაა, მაგრამ სხვა რომ არაფერი იყოს, უბრალოდ, მომაბეზრებელი ამბავია, რომელმაც, შესაძლოა, მორალურად დაგჯახნოთ კიდევ, სულიერი სიმშვიდე კი, ხომ მოგეხსენებათ, რამდენად აუცილებელია გამოჯანმრთელებისათვის. სხივებით მკურნალობამ, რომელიც მე ჩაგიტარეთ, მხოლოდ სანახევრო შედეგი მოგვცა. მერედა, რატომ? შესაძლოა, ეს უბრალო შემთხვევითობით იყოს გამოწვეული, შესაძლოა, მიზეზი სხივების არასაკმარისი ინტენსივობა იყოს. გაცილებით მძლავრი სხივების მანქანები კი, ბოლოს და ბოლოს, მესამე სართულზეა. ეს ეგზემის უკეთ მკურნალობის საშუალებას მოგვცემდა. ერთი რამეც უნდა გითხრათ, ხომ ხედავთ, უკვე გაძლიერებთ განკურნების ნიშნები, გადაიდგა ყველაზე რთული ნაბიჯი. როცა იწყება გართულება, ძალზე ძნელია მისი შემობრუნება. თავს რომ ნამდვილად უკეთ იგრძნობთ, ვერაფერი შეგიძლიათ ხელს, თქვენი „დამსახურებისდა“ შესაბამისად, ამოხვიდეთ აქ, ჩვენთან, და კიდევ უფრო ზემოთაც — მეხუთეზე, მეექვსეზე, გავბედავ თქმას, — მე შეიდეზედაც...

— და გჯერათ, რომ ეს დააჩქარებს მკურნალობას?

— შეუძლებელია, ამაზე ორი აზრი არსებობდეს. უკვე გითხარით, თქვენს ადგილზე, როგორ მოვიქცეოდი.

ექიმს ასეთი საუბრები ყოველდღე ჰქონდა ჯუზეპე კორტესთან. ბოლოს და-  
 ღვა მოძენტი, როცა ეგზემისაგან შეწუხებულ-ქანცგამოცლილმა აკადემიკოსმა,  
 რომელსაც არანაირად არ უნდოდა, მძიმე შემთხვევათა სამეფოს ბინადარი გამ-  
 ხდარიყო, გადაწყვიტა, ექიმის რჩევა მიეღო და ქვემო სართულზე ჩასულიყო.

ერქუნუნი  
 შიზონისუნი

მესამე სართულზე ჩასვლისას ჯუზეპე კორტემ უმაღლე შენიშნა — განსაკუ-  
 თრებით ხალისიანი განწყობილება დაუფლებოდა აქაურობას. სახე უღიმოდათ  
 ექიმებსაც და ექთნებსაც, თუმცა ძალიან მძიმე აკადემიკოსებისათვის უნდა ემკურ-  
 ნალათ. უფრო მეტიც, შეამჩნია, რომ დღითი დღე უფრო ძლიერდებოდა ეს გან-  
 წყობილება. ამან დიდად გააოცა. ექთანს, როგორც კი ოდნავ გაუშინაურდა, ჰკი-  
 თხა, რანაირად არიან ყველანი ამ სართულზე ასეთი ხალისიანებით?

— არაფერი გაგიგიათ? — აქეთ ჩაეკითხა ექთანსი. — სამ დღეში შვებულება-  
 ში მიუდივართ.

— როგორ შვებულებაში?

— დიახ, დიახ, ახუთმეტი დღით, მესამე სართული იკეტება და სამედიცინო  
 პერსონალი დასასვენებლად მიდის... სართულებს რიგრიგობით ერგებათ შვებუ-  
 ლება.

— შერედა, აკადემიკოსებს რას უშვრებით?

— აქ ისინი არც აუ ისე ბევრნი არიან და ამიტომ ორი სართულის აკად-  
 მეოფებს ერთ სართულზე ვათავსებთ.

— როგორ? მესამე და მეოთხე სართულების აკადემიკოსები ერთ სართულზე  
 გადაგყავთ?

— არა, არა, — შეუსწორა ექთანმა. — მესამესი და მეორესი, ისინი, კინც  
 აქ არიან, ერთი სართულით ქვემოთ უნდა ჩავიდნენ.

— მეორეზე უნდა ჩავიდნენ? — აღმოხდა ჯუზეპე კორტეს, რომელსაც  
 მკვდრის ფერი დასდებოდა. — ასე რომ, მეორეზე მომიწევს ჩასვლა?

— აბა, რა! რა არის აქ გასაკვირი? ახუთმეტი დღეში შვებულებიდან რომ  
 დავბრუნდებით, ისევ თქვენს სართულზე ამოხვალთ. არა მგონია, ამაში რაიმე  
 საშიში იყოს.

შიშმა შეიპყრო ჯუზეპე კორტე, რომელსაც შინაგანი ინსტინქტი რაღაც ავს  
 უწინასწარმეტყველებდა. ქვემო სართულზე ჩასახლებაზე უარი ევდარ გაბედა.  
 მიხვდა, რომ არ შეეძლო, ხელი შეეშალა სამედიცინო პერსონალისათვის, შვე-  
 ბულებაში წასულიყო, თანაც გრძნობდა, უხდებოდა ახალი მეოთხით სხივებით  
 მკურნალობა — ეგზემა უკვე თითქმის მთლიანად გაწოვილიყო. ქვემო სართულზე  
 გადასვლის სანაცვლოდ, კორტემ მოითხოვა, მისი ახალი ოთახის კარზე მიეკრათ  
 ფირფიტა: „ჯუზეპე კორტე, მესამე სართულიდან, დროებით“, თუმცა ექთანს  
 სასტიკი წინააღმდეგი იყო: კლინიკის ისტორიაში ასეთი რაიმე უპრეცედენტო  
 იყო, მაგრამ ექიმები არ გაძალიანებულან. მათი აზრით, კორტესნაირი ნერვული  
 აფეთქების დროს სულ მცირე წინააღმდეგობასაც კი შეეძლო, ძლიერი სული-  
 ერი რყევა გამოეწვია.

არსებითად საქმე, არც მეტი, არც ნაკლები, ოხუთმეტი დღით მოცდას შეეზებოდა. სულწასული ითვლიდა ჯუზეპე კორტე ამ დღეებს. მთელი საათობით გაუხმრევლად იწვა საწოლში და თვალები მიეშტერებინა ავეჯისათვის, რომელიც ასეთი თანამედროვე და ხალისიანი აღარ ეჩვენებოდა, როგორც იქ, ზემოთ, — რაღაცნაირად უფრო დიდნი ჩანდნენ და მედიდური და შიშველი იერი დაპყრავდათ. კორტე დროდადრო აყურადებდა: აგონიაში მყოფი ავადმყოფების ბუნდოვანი ხრიალის ხმა მოესმოდა ქვემო სართულიდან, მომაკვდავთა სართულიდან, „განწირულთა“ განყოფილებიდან.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გუხებას უწამლავდა. საოცრად მოსწყურებოდა სიმშვიდე, რაც თითქოს უმწყავებდა ავადმყოფობას. სიცხე უწყვედა და სულ უფრო და უფრო მეტად უჯდებოდა ტანში სისუსტე, გარეთ ვაგანია ზაფხული იდგა და ერთთავად თითქმის ღიად ტოვებდნენ ფანჯრებს, საიდანაც აღარც საჩურავები მოჩანდა და აღარც სახლები. ფარდასავით ჩამოფარებოდათ მათ ხეობა მწვანე მესერი, კლინიკას რომ შემოჯაროდა.



შვიდი დღის შემდეგ, შუადღის დაახლოებით ორ საათზე პალატაში მოყვლიდნენ უფროსი ექთანი და სამი ექთანი შემოვიდნენ და გორგოლაჭებიანი საწოლი შემოავორეს.

— მზად ვართ გადასასვლელად? — გულთბილად იკითხა მთავარმა ექთანმა.

— რა გადასვლა? — შემფოთდა ჯუზეპე კორტე. — კიდევ რაღა ხუმრობაა? განა, შვიდ დღეში არ ბრუნდებიან ისინი, მესამე სართულელები?

— რა მესამე სართული? — ისე ჩაუკითხა უფროსი ექთანი, თითქოს ვერ გაიგო კორტეს შეკითხვა. — შეხედეთ, — და კორტეს პირველ სართულზე გადასაყვანი ბარათი უჩვენა, რომელსაც, არც მეტი არც ნაკლები, თვითონ პროფესორი დატი აწერდა ხელს.

უწყვეტ, გაბმულ რისხვად ამოხეთქა ჯუზეპე კორტეს ჯოჯოხეთურმა დარდმა, მისმა პროტესტმა აშკარა ტერორის მიმართ და მთელი განყოფილება გააყრუა.

— ჩუმად, ღვთის გულისათვის, ჩუმად. შეიბრალებთ ავადმყოფები! მათზე ცუდად მოქმედებს ხმაური, — ევედრებოდნენ ექთნები, მაგრამ აღარავის შეუძლო კორტეს დამშვიდება.

ბოლოს გამოჩნდა ექიმი, რომელიც განყოფილებას ხელმძღვანელობდა. იგი თავაზიანი და კეთილშობილი პიროვნება იყო. დააშვალიერა ბარათი, მოისმინა კორტეს ახსნა-განმარტება, გაბრაზებული მიუბრუნდა უფროს ექთანს და უთხრა, რაღაც შეცდომა მოხდა, მე არ გამოცია ასეთი განკარგულებაო. ექიმი წუხდა, ამ ბოლო ხანს, განყოფილებაში საშინელი გაუგებრობები ხდება, არაფრის საქმის კერძში არ მაყენებენი... ბოლოს უდრმესი ბოდიში მოუხადა ავადმყოფს და თავაზიანად მიმართა:

— სამწუხაროდ, პროფესორი დატი ერთი საათის წინ ხანმოკლე შვებულებაში წაუდა და ორიოდე დღეში დაბრუნდება. დიდად ვწუხვარ, მაგრამ უფლება არა მაქვს, მისი ბრძანება არ შევასრულო. დარწმუნებული ვარ, ეს გაუგებრობა

ყველაზე მეტად სწორედ მას შეაწუხებდა... ვერ გამიგია, როგორ შეიძლებოდა, ასეთი შეცდომა მომხდარიყო!

საშინელ კანკალს აეტანა ჯუზეპე კორტე. ერთბაშად დაგარგვოდა საკუთარი თავის ფლობის უნარი. მიღად გაესრისა ტერორს და ახლა ბავშვივით მწარედ ქვითინებდა ოთახში.

ერთი, გამოუსწორებელი შეცდომის გამო უკანასკნელი სართულის ბინადარი გახდა. მომაკვდავთა განყოფილებაში ამოყო თავა იმან, ვისაც თავისი ავადყოფობის სიმძიმის მიხედვით, ყველაზე მკაცრი ექიმების აზრითაც კი მეშვიდეზე თუ არა, მეექვსე სართულზე მაინც უნდა გამწესებულიყო! მდგომარეობა იმდენად გროტესკული იყო, რომ ზოგჯერ ყოველგვარი მიზეზის გამო ხარხარის სურვილიც უჩნდებოდა.

ჯუზეპე კორტე საწოლზე მიგდებულიყო და ვიდრე ზაფხულის მცხუნვარე შუადღე ნელ-ნელა გადადიოდა ქალაქზე, ფანჯრიდან გაჰყურებდა ხეების სიმწვანეს. ისეთი გრძნობა იპყრობდა, თითქოს თანდათან უერთდებოდა ირეალურ სამყაროს, რომელსაც აბსურდული, სტერილიზებული, მოკაფელებული კედლები, სასიკვდილო ჰოლი და სულისაგან დაცლილ ადამიანთა თეთრი ფიგურები ამშვენებდა. ერთხანს ისიც კი გაიფიქრა, ხეები, ფანჯრების მიღმა რომ მოჩანან, სინამდვილეში არც კი არსებობენო. უფრო საკუთარი თავის დასარწმუნებლად, დაიჯერა, ფიგურები საერთოდ არ შრიალეებნო.

ამ აზრმა ისე შეაშფოთა, ღილაკით მოიხმო ექთანს და ახლომხედველთა სათვალე მოატანინა. ოდნავ დამშვიდდა, როცა ლინზების დახმარებით დარწმუნდა, რომ ფანჯრებს მიღმა მართლა ნამდვილი ხეები აღმართულიყვნენ და რომ ფოთლებს, თუმცა შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც ხანდახან აშრიალეებდა ქარი.

ექთანის გასვლიდან ხუთი წუთი სრულ სიჩუმეში გაიპარა. მართალია, დასანანი შეცდომის გამო, მაგრამ მაინც შეუბრალებელი სიმძიმით აწვა ახლა ჯუზეპე კორტეს ექვსი სართული... საშინელი ექვსი კედელი. რამდენ წელიწადში, — დიახაც, ანგარიში სწორედ რომ წლებზე უნდა მქონოდა, — შეძლებდა ამ უფსკრულის თავზე აღწევას?

ჯერ კიდევ გაგანია შუადღე იყო. ჯუზეპე კორტე ვერ მიმხვდარიყო, ასე მოულოდნელად რატომ წვებოდა ბინდი. საოცარ სისუსტეს გრძნობდა, უკანასკნელი ძაღლის მოკრება დასჭირდა, საწოლის გვერდით, კომოდის თავზე მდგარი საათისათვის რომ შეეხედა, ოთხის ნახევარი იყო. თავი მოაბრუნა და დაინახა, რომ მოსრიალე დარაბებს, თითქოს საიღუმლო ბრძანებას ასრულებდნენ, ნელ-ნელა ეშვებოდნენ ძირს და შუქს გზას უღობავდნენ.

### ახლარი მდინარეზე

წყლის ლერწმებმა, ნაპირზე მობიბინე ბალახმა, ტირიფის ნორჩმა ბუჩქებმა და ტანმალაღმა ხეებმა სექტემბრის ერთ კვირადღესაც იხილეს მდინარეზე ამოსული თეთრებში გამოწყობილი, ხანშესული სინიორი.

მხოლოდ ყველაზე ხნიერ ხეებს ახსოვდათ ბუნდოვნად: მრავალი წლის წინათ ერთმა უცნობმა კაცმა ითევზავა მდინარის ამ მარტოსულ ტოტზე. სადაც



წყალი მშვიდია და ღრმა. ამის შემდეგ უკლებლივ ყოველ დღესასწაულზე, მოდიოდა სათევზაოდ, როგორც კი საამისო სეზონი დადგებოდა.

ერთხელაც სხვასთან ერთად მოვიდა უცნობი სათევზაოდ. ერთი ციციქნა, წკრიალახშიანი ბიჭი ახლდა, ხეებს შორის რომ თამაშობდა. ნელ-ნელა გაიღია წლები: სინიორი კიდევ უფრო მობურებულებო, ბიჭი კი თვალდახველ შუა გაზრდილებო. მერე, გაზაფხულის ერთ კვირა დღეს, აღარ გამოჩნდა მოხუცი. მხოლოდ ყმაწვილი ამოვიდა და მარტოდმარტო ითევზავა.

ღრო კი თავისი გზით მიდიოდა. ხანგამოშვებით ამოდიოდა ახალგაზრდა სათევზაოდ. უკვე აღარ ჰქონდა უწინდელი წკრიალა ხმა და მასაც შეჰპარუოდა სიბერე. ერთხელაც ისიც სხვისი თანხლებით ამოვიდა სათევზაოდ.

მთელი ტყე ამ გრძელი ამბით ცხოვრობდა. ეს მეორე ბიჭიც წამოიზარდა, მამამისი კი აღარ გამოჩნდა მდინარეზე. ყველაფერი ეს მცენარეებს ბუნდოვნად შემორჩენოდათ მეხსიერებაში. რამდენიმე წელია, რაც აქ სათევზაოდ ისევ ორნი დადიან. წინა თვეშიც თეთრებს შორის გამოწყობილ სინიორთან ერთად მოვიდა აქ ბიჭი და პატარა ანკესით ითევზავა.

ხეებს გაუხარდათ მათი ხელახლა გამოჩენა. უფრო მეტიც, მთელი კვირა მათი მოლოდინი აძლევიანებდათ მდინარეზე ჩამოწოლილ საშინელ მოწყენილობას. ახლა კი ერთობოდნენ მათთვის თვალყურის დევნებით, სიამოვნებდათ ბავშვის ტიტინი, ფოთლების შრიალში ასე კარგად რომ ისმოდა. ყველანი მისჩერებოდნენ ნაპირზე მშვიდად მსხდარ, მდინარესავით გარინდულ ორ ადამიანს. მათ თავზე კი, ცაში, ღრუბლები მიცურავდნენ.

რომელიღაც მწერმა თქვა, მამა-შვილი მახლობელ ბორცვზე ერთ დიდ სახლში ცხოვრობსო, მაგრამ ტყემ არ იცოდა დანამდვილებით, ვინ იყვნენ ისინი. სამაგიეროდ, იცოდა, რომ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს და ადრე თუ გვიან მოხუცებული სინიორიც ვეღარ შეძლებდა აქ მოსვლას და ახალგაზრდას მარტო მოუწევდა თევზაობა.



დღესაც ჩვეულ ღროს აშრიალდნენ ფოთლები. მოასმა მოახლოებული ნაბიჯის ხმა. გამოჩნდა მოხუცი, მაგრამ მარტოდმარტო, თმა შეთხელებოდა, ოდნავ გამხდარი და დაღლილი ჩანდა. მოაბიჯებდა მწვანეში ჩაფლული პატარა ქოხისაკენ. უხსოვარი დროიდან აქ ინახავდნენ სათევზაო ნივთებს, ამჯერად სინიორი ჩვეულებრივზე მეტხანს შეყოვნდა. მდუმარე სახლში ძველ ნივთებში იქექებოდა.

რადაცნაირი სიწყნარე და სიმშვიდე გამეფებულიყო, მახლობელი ეკლესიის სამრეკლოდანაც აღარ ისმოდა ზარების რეკვა. მეთევზემ პიჯაკი გაიხადა, ალვის ხის ფესვებზე ჩამომჯდარს ხელში ანკესი ეჭირა, მდინარეში ჩაშვებული ტივტივა თეთრ ლაქად აჩნდა მწვანე წყალს. ცაზე ორი ღრუბელი ეკიდა, ერთი ძაღლის დრუნჩს მიაგავდა, მეორე კი ბოთლის ფორმას.

აღარსად ჩანდა ბავშვი და ტყე მოუთმენლობას შეეპყრო. სხვა ღროს რას არ აკეთებდნენ ლერწმები თევზების შესაშინებლად, საგანგებოდ პატარა მეთევზესთან რომ მიერეკათ. დღეს კი, პირიქით, მათ ნერვებზე თამაშობს მარტო მოსული კაცი, გაცრეცილსახიანი და ფერდაკარგული.

თევზი ანკესს რომ არ ეკიდება, ეს სულაც არ ანალვებს სინიორს, თითქოსდა, გაქვავებულაო, ისე უჭირავს ანკესი და ირგვლივ უხალისოდ იფურება.

ახლა ლერწმებს მთელი ყურადღება მდინარის ნაპირზე გამორჩეული ერთი დიდი კვადრატულფორმიანი მორისათვის მიუპყრიათ. ბალახებს შუა მოქცეულ მორს თავის ამბავს აყოლებენ. ისიც უხსნის მათ: თურქეთი ურთულად ხიდს ეკუთვნოდა. მერე დიდ სიმძიმეს ველარ გაუძლო და ბრახინი-ტარტარა ლერწმები უხმენენ, შემდეგ ყრომანეთში რაღაცას ჩურჩულებენ. მათი ხმაური ირგვლივ ეფინება მიდამოს, წვება მღელვოზე, ხეთა ტოტებზე და ქართან ერთად იკარგება.

აი, თავს სწევს შეთევვზე, თითქოს რაღაცის ხმა მოესმაო, ისე იხედება აქეთ-იქით. მეზობელი ქოხიდან ერთი-ორჯერ რაღაც იღუბალი დარტყმის ხმა მოისმის. ბებერი ბუზი გამომწვევდებულა ოთახში და დაბნეული, ანგარიშმიუცემლად წრიალებს. ხანდახან ერთ ადგილზე იყინება და აყურადებს, არსად ჩანან მისი მეგობრები. ვინ იცის, სად წავიდნენ. ეს მძიმე ჰაერიც უცნაურია.

ვერ მიმხვდარა ბუზი, რომ შემოდგომა მოსულა. აქეთ-იქით აწყდება ფანჯარას. სარკმელთან მისი თავგანწირული ჭიდილის ხმა ისმის. კაცმა რომ თქვას, სულაც უმიზნოდ გაფრენილან მისი თანამოძმენი, სააფდრო ღრუბლებს ერეკება ქარი.

სინიორმა სიგარას მოუკიდა. დროდადრო ტოტებიდან ცისფერი კვამლი ამოდის. შუადღე უკვე კარგა ხნის გადასულია და ალბათ აღარ მოვა ბავშვი. ბუზმა, როგორც იქნა, თავი დააღწია საპყრობილეს. მზე ქოხს უკან ღრუბლებში მიიშალა. ცოტა ხნის წინათ ქარმა მორს უბიძგა, ბალახებს მოაშორა და შუაგულ წყალში შეაცურა. მისდა უნებურად, შეწყვიტა მორმა მოთხრობა, იგი თანდათანობით შორდება მდინარის ნაპირს, ზღვაში დასალპობად განწირული.

გაავდრდა, შეთევვზე კი თითქოს ძეგლიაო, გაუნძრევლად ზის ხეზე ზურგმიყრდნობილი. იქვე, მღელვოზე ჩაუქრალი სიგარა გლია და ბოლავს. მის კვამლს აქეთ-იქით ფანტავს ქარი. შავი ღრუბელი იხვევა და წვიმა ცრის, წვეთები წყალში აქა-იქ პატარა წრეებს ქმნიან, შემდეგ თანდათან იზრდებიან და ძლიერდებიან. მახლობელი ქოხიდან კვლავ ისმის ყრუ დარტყმის ხმა. ვინ იცის, რატომ არ მიდის სინიორი. აი, წვიმის წვეთი სიგარას დაეცა და ყრუ შიშინით ჩააქრო.

დასავლეთით, სადაც ცას ნაპრალივით დაუღია პირი, ცივი და თეთრი შუქი ჩამოდის ქვემოთ და ირგვლივ მთელ გარემოს ეფინება. ქარი ხეებს ეხეთქება და ზუზუნით თხრის ძირ-ფესვიანად. ფრიალებს ალვის ხის ტოტებზე ჩამოკიდებული პიჯაკი. დიდი ხეები, ტარიფის პატარა ბუჩქები, მდინარის ნაპირზე მობიბინე ბალახი და წყალმცენარეები ხვდებიან. შეთევვებს ჩასძინებია, თავა ჩაუქინდრავს, ნიკაპი მკერდზე ჩამოუდვია. პორიზონტის სიღრმიდან კი ჭექა-ქუხილი მოემართება.

საოცრად გამოცოცხლებული, წყალში ჩაყურყურმაღავეებული ბალახები კვლავ აფრთხობენ თევზებს და უწინდებურად ანკესისაკენ მოერეკებიან. შეთევვებს კი ხელი გაუშვია ანკესისათვის, რომელიც ხელ-ხელა ეშვება ძირს, წვერი უკვე გაუჩინარებულა წყალში. მის გარშემო მღორე წყალი პატარ-პატარა ჭავლებად იშლება.

მოსასხამი

უსაზღვრო ღოდინის შემდეგ, ოცნება რომ სიკვდილს იწვებდა, ჯოვანი შინ დაბრუნდა. ჯერ არ ჩამოერეკა ორ საათს, დედა კი სკურის ალაგებას შესდგომილა.\* მარტის მოქუფრული დღე იდგა. ცაში ყვავილები იჭრებოდნენ.

მოულოდნელად გამოიჩნდა ზღურბლზე.

შინა-ლიქიქი

— ოჰ, შენ შემოგველე! — შესძახა დედამ და გაქანდა მისკენ, რომ მოხვეოდა. სიხარულისაგან აფივილდნენ ანა და პიეტრო, მისი პატარა და-ძმა. დამდვარიყო წუთები. თვეობით რომ ელოდნენ, განთიადის ტკბილ ბურანში ასე ხშირად რომ აბოდებდათ და ახლა საოცნებო ბედნიერება უნდა დასადგურებულიყო აჯახში.

სიტყვა არ დასცდენია, დიდი დამაბვის ფასად შეიკავა ცრემლი. მძიმე მახვილი მაშინვე სკამზე დადო. მატყლის ქუდი კი ისევ თავზე ეხურა.

— მოდი, დაბეჩახე, — ლულულულებდა აცრემლებული დედა და უკან იწვევდა, — დამაცადე, კარგად შეგხედო, როგორი ღამაში ხარ. აი, იცი, ფერი კი დაგიკარგავს.

მართლაც, ოდნავ გაფითრებული და ერთობ მოქანცული ჩანდა. ქუდი მოეხადა, შუა ოთახში გაჩერდა და ჩამოჯდა. ოჰ, როგორი დაღლილი, როგორი დაღლილი იყო, სულ უბრალო გაღიმების ძალაც კი არ შერჩენოდა.

— ო, შეილო, მოიხადე მოსასხამი, — უთხრა დედამ, რომელიც შეჰყურებდა როგორც ხაოცრებას, მორიდებას რომ უნერგავდა, თან ფიქრობდა, როგორი მაღალი, ღამაში, ამაყი გამხდარა (თუმცა, სიფერმკრთალე ოდნავ გადაჰკრაუს).

— მოიხადე მოსასხამი, მომეცი აქეთ, ვეღარ გრძნობ, როგორ ცხელა ოთახში?

მოსულმა, თითქოს თავს იცავსო, უეცრად რალაცნაირი ინსტინქტური მძრაობა გააკეთა და კიდევ უფრო მაგრად გაეხვია მოსასხამში, თითქოს ეშინოდა, ძალით არ გამხადონო.

— არა, არა, თავი დამანებე, ასე მიჩვევია, მაინც მალე უნდა წავიდე.

— სად უნდა წახვიდე? ორი წელია, შინ არ ყოფილხარ და ახლაც უნდა წახვიდე? — აღმოხდა სასოწარკვეთილ ქალს, რომელიც გრძნობდა, დიდი სიხარულის შემდეგ დედების მარადიულ საწუხარს რომ შეეპყრო. — ახლაც უნდა წახვიდე? არაფერს შეჭამ?

— შვევ ვჭამე, დედი, — კეთილი ღიმილით მიუგო შვილმა, თან აქეთ-იქით იხედებოდა და მისთვის ახლობელი, გაცრეცილ შუქ-ჩრდილებს ესალბუნებოდა, — გზად ერთ სასადილოში წავიხემსეთ, აქედან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით.

— ოჰ, განა მარტო არ ხარ? ვინაა შენთან? შენი პოლკის მეგობარია, ხომ? შენას შვილი ხომ არ არის?

— არა, არა, ვიღაც კაცია, გზაზე დამემგზავრა. გარეთ დგას ახლა და მულოდდება.

\* იტალიაში ამა თუ იმ რეგიონში მით უფრო ადრე სადილობენ, რაც უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს ეს რეგიონი, მაგალითად, მილანში დღის პირველის ნახევარზე სადილობენ, სიცილიაში — სამ საათზე. ასე რომ, მოთხრობაში, როგორც ჩანს, ასახულია ჩრდილო იტალიის სინამდვილე (მთარგ.).

— გართაა და გელოდება? რატომ შინ არ შემოიყვან? შუა ქუჩაში მიატოვე?

ქალი ფანჯარასთან მივიდა და ბაღს გადაღმა, ხის ტიპის აქეთ ვიღაც შენიშნა, ერთიანად ლაბადაში გახვეულიყო და ბოლოს სცემდა. ადამიანში რაღაცნაირ მწუხარების გრძნობას ბადებდა. როგორც კი მოჭკრა ქალმა თვალი, სულში შეუცნობელი, იღუმალა და მწყავე ტკევილის გრძნობა ჩაებუდა და ერთბაშად მის სიხარულს ცოვი წყალი გადაესხა.

— არა, ასე სჯობს, — მოუჭრა ბიჭმა, — არ მინდა, შინ მოპატივებით შევაჩუხო. რაღაცნაირი ტიპია.

— მაგრამ ხომ შეიძლება, ერთ ჭიქა ღვინოზე მაინც შემოვიპატივოთ, ერთ ჭიქა ღვინოზე?

— არა, დედი, არა. თავისებური ტიპია, უბრალო რამეზე იცის გაცეცხლება.

— ვინაა ასეთი? რატომ დაუამხანაგდი? რა უნდა შენგან?

— კარგად არც კი ვიცნობ, — ძლივს ამოღერდა ბიჭმა, — გზად გადავეყარე და დამეძგზავრა.

ეტყობოდა, ბიჭს არ უნდოდა ამაზე ლაპარაკის გაგრძელება, თითქოს ერცხვინებოდა კიდევ რაღაცის და დედამაც, თითქოს, მიუხედავად, უმაღლესი შეცვალა საუბრის თემა და სიყვარულით გასხვიოსნებულ სახეზე ნელ-ნელა ჩაუქრა აღრინდელი შუქი.

— გესმის, ჯოვანი, პირდაპირ გადაირევა მარიეტა, შენი ჩამოსვლის ამბავს რომ შეიტყობს. ჭკუაზე შეიმლება სიხარულისაგან. ასე რომ ეშურები წასვლას, მარიეტასაკენ მიგეჩქარება ხომ?

ბაჭმა მხოლოდ ჩაიღიმა და ისეთი უცნის გამომეტყველება აღებუჭდა სახეზე, ვისაც სწორედ რომ ესიამოვნებოდა ასეთი რამ, მაგრამ ამის საშუალებას რაღაც იღუმალი ძალა არ აძლევდა.

დედა ვერ მიძხვდარიყო, რატომ იყო შვილი ისეთივე ნაღვლისანი, როგორც იმ შორეულ, გამგზავრების დღეს. ახლა ხომ შინ იყო, ელოდა ახალი ცხოვრება, უთვალავი თავისუფალი და უზრუნველი დღეები, ლამაზი სადამოებო, მეგობრებთან რომ გაატარებდა, ელოდა მომავალ ბედნიერ დღეთა უსასრულო წყება, რომელთა ბოლო სადღაც შორს, მთებისა და მარადისობის უსაზღვროებაში იკარგებოდა. უკვე აღარასოდეს შეაწუხებდა ტანჯვა-წამებად ქცეული ღამეები, გაუნებელ კოცონებად რომ ჰქონდა შემონთებული. აწი სადღაც აქ იყო ისიც, სისხლით მორწყულ ნანგრევთა შორის და, სიცოცხლის ნიშან-წყალწართმეული, მკერდშენგრეული ეგდო მიწაზე. როგორც იქნა, ეღირსა დაბრუნება, გაზრდილსა და დამშვენებულს. ო, როგორ გაიხარებს მარიეტა! მალე განაფხული მოვა, ერთ კვირა დილით ყვავილებით მორთულ-მოკაზმულნი, ჩარების გუგუნში ველესიაში დაიწერენ ჯვარს. მაგრამ რატომ არის ასე სასომიხდილი და დაბნეული, სახეგაუცინარი? რატომ არაფერს ჰყვება გადახდილ ბრძოლებზე? ან ეს მოსასხამი რა არის? რატომ გახვეულა მასში ამ გაგანია სიცხეში, ოთახში რომ დასადგურებულა? იმიტომ ხომ არა, მოსამხამს შიგნით ძოღად დაგლუჯილი და ტალახში ამოსვრილი ტანსაცმელი რომ აცვია? მაგრამ შეიძლება კი დედასთან დაირცხვირო? ფიქრობდა, თითქოს ზღვარი დაედო ამდენ ტანჯვა-წამებას, აქ კი ახალი საწუხარი გაუჩნდა.

აღერსიანი სახე მოღრეცოდა დედას, ერთთავად აფორიაქებული, გაფაციცებით შესცქეროდა ბიჭს, რათა უმაღლესი შეესრულებინა მისი ყოველი სურვი-

ლი. იქნებ, ავადაა? რატომ ზის ასე ხმაგაკმენდილი, რატომ ვერ უსწორებს დედას თვალს?

შვილი მართლაც არ უყურებდა. მეტიც, თითქოს, რაღაცის ეშინიაო, თვალს არიდებდა მის პირდაპირ მზერას. უსიტყვოდ, რაღაცნაირი შორიდებული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა მოსულს პატარა და-ძმა.

— ჯოვანი, — წაილულლულა დედამ, რომელსაც თავი ვეღარ შეეკავებინა, — როგორც იქნა, გელირსა შინ მობრუნება, როგორც იქნა, გელირსა შინ მობრუნება! მოიცა, ახლავე მოგიდულებ ყავას.

სამზარეულოსაკენ გაეშურა და ჯოვანი პატარა და-ძმასთან დარჩა. იმდენად გამოცვლილიყვნენ ამ ორ წელიწადში, ვეღარც კი იცნობდა, გზაში რომ შეხვედროდნენ, ახლა რიგ-რიგობით, მდუმარედ შეჰყურებდნენ ერთმანეთს და არც აპირებდნენ სიტყვის დაძვრას. ხანგამოშვებით ეღიძებოდა სამივეს, თითქოსდა რაღაც ძველი, დაუვიწყარი აღთქმა გაახსენდათო.

აი, დედაც დაბრუნდა. აი ყავა, ოხშივარი რომ ასდის, აი, ნამცხვრის მოზრდილი ნაჭერიც. ერთი მოსმით გამოსცალა ფინჯანი და ძლივსძლივობით დალეჭა ნამცხვარი.

— მეტი აღარ გინდა? უკვე აღარ მოგწონს ყავა? ერთ დროს ხომ ასე გიყვარდა! — უნდოდა ეთქვა ბიჭისათვის, მაგრამ იფურჩა, არ უნდოდა, უხერხულ მღვომარეობაში ჩაეყენებინა და ამის მაგიერ უთხრა:

— ჯოვანი, არ გინდა შენი ოთახი ნახო? იცი, ახალი საწოლი დაგიდგი? კედლები შევათეთრებინე, ლამაზად ახალია. მოდი, ნახე, ნახე... მაგრამ ეს მოსას-ნამი, ესე იგი, არ მოიხდი? ვერა მხედავ, როგორ ცხელია?!

ბიჭს ხმა არ გაუღია, ისე წამოდგა სკამიდან და მეზობელ ოთახში გავიდა. რაღაც ხანტად მოძრაობდა, თითქოს, ოციოდე წლისა არ ყოფილიყო. დედა წინ გაუძღვა, რათა დარაბები გამოეღო, ოთახში კი მარტოოდენ რუხი, რაღაცნაირად სევდიანი შუქი შემოვიდა.

— რა ლამაზია! — ჯერ ზღურბლი არ გადაებიჯებინა, ისე აღმოხდა ერთბაშად სიხარულით ანთებულ ბიჭს, როგორც კი ახალთახალი ავეჯი, ქათქათა ფარდები, თეთრი კედლები დაინახა. ყველაფერი ახალი იყო და კრიალებდა. მაგრამ, როცა დედა ახალთახალი საწოლის გადასაფარებლის გასასწორებლად დაიხარა, შეიღმა მის სუსტ მხრებს შეავლო თვალი და აუწერელმა სევდამ შეიბყრო. ამას მის მეტი ვერავინ შეიგრძნობდა. ანა და პიეტრო ზურგს უკან კდგნენ, პატარა სახეები გაცისკროვნებოდათ და განსაცვიფრებელი სანახაობის მოლოდინში გარინდულიყვნენ.

ამის ნაცვლად კი...

ბიჭმა მხოლოდ ორიოდ სიტყვა ამოღერდა:

— რა ლამაზია! გმადლობთ, დედა!

თვალეზს ისე მოუსვენრად აცეცებდა, თითქოს, ტანჯვადქცეული საუბრის დასრულებას ეშურებოთ. დროდადრო შემფოთებით ფანჯრიდან გარეთ იხედებოდა, სადაც ხის მწვანე ჭიშკარს მიღმა, ვიღაც ნელა ზემოთ-ქვემოთ მიმოდიოდა.

— მოგწონს, ჯოვანი? მოგწონს? — ჰკითხა დედამ, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, გახარებული შვილი ეხალა.

— ჰო, აბა, რა, მართლა ლამაზია! — დიდი ძალდატანებით იღიძებოდა შვილი.

„მაგრამ რატომ ჯიუტობს და არ იხდის მოსასხამს?“ — ფიქრობდა ქალი.

— ჯოვანი! — აღმოხდა დედას, — რა მოვივიდა? რა მოვივიდა, ჯოვანი? რაღაცას მიმალავ, რატომ არ მიმხელ დარდს?

ბიჭს ტუჩები მოეკვნიტა. ისე ღუმდა, თითქოს ბურთი გახრილია ქელში.

— დედი, — ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ აღმოხდა, — ახლა უნდა წავიდე.

— უნდა წახვიდე? მაგრამ ხომ ძაღვ დაბრუნდება? მარიეტასთან მიდიხარ, ხომ? მართალი მითხარი, მარიეტასთან, ხომ? — ქალი ცდილობდა, ეჩუძრა, თუმცა, სიმწრის ტკივილებს ერთიანად გაეთანგა.

— არ ვიცი, დედი, — ისეუ გაგუდული და მწარე ბგერები აღმოხდა ბიჭს, რომელიც ამასობაში კარებს მიახლოებოდა და ხელში თავისი მატყლის ქუდი ეჭირა, — არ ვიცი, დედი, მაგრამ ახლა უნდა წავიდე. გარეთაა ის ვინც შელოდება!

— მოგვიანებით დაბრუნდება, არა? ორ საათში ხომ აქ იქნები? ძია ჯულის და დეიდას გადმოვიყვან, ხომ წარმოვიდგენია, როგორ გაიხარებენ, შეეცადე, ვახშამდე ცოტა ადრე მოხვიდე.

— დედი, — ისე წარმოსთქვა შვილმა, თითქოს ევედრებოდა, მეტად არ გაელო ხმა, ეყუჩა, რათა ღმერთთან არ შეეცოდა და მეტი ტანჯვა არ მიეყენებინა მისთვის.

— უნდა წავიდე! გარეთაა ის, ვინც შელოდება. — სულის შემძვრელი მზერით შეხედა და დასძინა, — კიდევ კარგად მოითმინა ამდენი ხანი.

კარებს მიუახლოვდა, და-ძმა ისეუ სანახაობის მოლოდინში იყო. ტანზე მიკეროდნენ, პიეტროს მოსასხამის კალთა აეწია, უნდოდა დაენახა, რა ეცვა ძმას შიგნით.

— პიეტრო! პიეტრო! აბა, რას შვრები! ნუ აწუხებ, პიეტრო! — დაუყვირა დედამ, რომელსაც ეშინოდა, ჯოვანი არ გაჯავრებულიყო.

— მომეშვი! მომეშვი! — იყვირა ბიჭმაც, რომელსაც თვალი მოეკრა ძმის მოძრაობისთვის. მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო — ერთი წამით გახსნილიყო ცისფერი მოსასხამის ორივე კალთა.

— ოჰ, ჯოვანი, ჩემო პატარა ბიჭო, ეს ვინ დამღუპა, შვილო! — იკვილა დედამ და თავში ხელები იტაცა, — ჯოვანი, ეს ხომ სისხლია!

— უნდა წავიდე, დედი, — გაიმეორა ბიჭმა სასოწარკვეთილი ხმით, — ისედაც ბევრი ვალოდინე. კარგად იყავი, პიეტრო, მშვიდობით, დედა.

კართან იყო უკვე, ქარის მოყვანილივით გავარდა. თითქმის სირბილით გადაჭრა ბაღია, გააღო ჭიშკარი...

ორი ცხენი რუხი ცისქვეშ ნავარდით გაჭენდა გზაზე. სოფლისკენ კი არა, დიდი მდელის გადაჭრით, ჩრდილოეთისაკენ, მთების მიმართულებით მიჰქროდნენ.

მხოლოდ ახლა იგრძნო დედამ, როგორ გაუნდა გულში უკიდევანო სიცარიელე, სიცარიელე, რომელსაც ვედარასოდეს, საუკუნეების შემდეგაც კი ვედარ ამთავსებდა. მხოლოდ ახლაღა ჩასწვდა მოსასხამის საიდუმლოს, შვილის ნაღველის მიზეზს, რაც მთავარია, მიხვდა, ვინ იყო ის იდუმალი კაცი, ქუჩაში რომ იცდიდა და ბოლოას სცემდა, ვინ იყო ის პირქუში, რკინის ნერვებიანი კაცი, ასეთი ღმობიერი და მომთმენი, დედასთან გამოსათხოვებლად ძველ სახლამდე რომ მოაცილა ჯოვანი, ვიდრე საბოლოოდ წაიყვანდა უსასრულობაში, სამყაროს მეუფე ყოფილა ის, ვინც ჭიშკარს გადაღმა დამშეულ მაწანწალასავით ამდენ ხანს ზეზეულად ელოდებოდა.

**უკიდლი მაღმასობოლი**

მამახემის სამეფოს გასაცნობად შინიდან წასული დღითი დღე ვშორდები დედაქალაქს და სულ უფრო კანტიკუნტად მომდის იქიდან ცხოვრება.

მოგზაურობა ოცდაათ წელს გადაცილებულმა დავიწყებულმა წელზე მეტი, უფრო ზუსტად რვა წელი, ექვსი თვე და თხუთმეტსა დღეს გავუფრა, რაც მუხლი არ ჩამიხრია. მოგზაურობის დაწყებამდე კი მეგონა, რამდენიმე კვირამი იოლად მივალწევდი სამეფოს საზღვრებს. სინამდვილეში სულ ახალ-ახალი ხალხებისა და მხარეების ხილვა მიწვედა. ყველგან ჩემს ენაზე ლაპარაკობდნენ ადამიანები და ყველანი ჩემს ქვეშევრდომებად აცხადებდნენ თავს.

ხანდახან მუჩვენიბა, თითქოს ჭკუაზე შეიშალა ჩემი კომპასი, დარწმუნებული ვიყავით, ერთთავად სამხრეთისაკენ მივიწევდით. ამ დროს კი თურმე ერთ ადგილზე გვიბორიალია და ოდნაუადაც არ მოვშორებივართ დედაქალაქს. სწორედ ამის გამო ვერ მივალწიეთ აქამდე უკიდურეს საზღვარს.

ხშირად გულს მიღრღნის ეჭვი, იქნებ, საერთოდ არ არსებობს ეს საზღვარი, იქნებ, უკიდევანთა სამეფო და, რამდენიც არ უნდა ვიარო, ვერასოდეს ვიხილავ დასაღიერს.

უკვე ვთქვი, რომ ოცდაათ წელს გადაცილებული შეკუდექი მოგზაურობას, ალბათ, ძალიან გვიანი იყო ეს ჩემთვის. კიდევ დამცინიან მეგობრები, ჩემი თჯახის წიერებიც, ამბობენ, რომ უქმად ვფლანგავ ცხოვრების საუკეთესო წლებს. ძალზე ცოტა ვინმემ მომიწონა განზრახვა, ვისაც სჯეროდა ჩემი.

წამიერად გაუიფიქრე მოგზაურობის დროს ქალაქში მიტოვებული ჩემთვის მკირფას ადამიანებზე და მათთან კავშირისათვის ცხენოსან მხლებელთაგან შვიდი ისეთი საუკეთესო მხედარი შევარჩიე, შიკრიკებად რომ გამომაღგებოდნენ.

ქვეშეცნულად ვგრძნობდი, მეტიმეტი რომ იყო ერთდროულად შვიდი შიკრიკის ყოლა. დრომ კი დამარწმუნა, რომ ვცდებოდი: ისინი ძალიან ცოტანი აღმოჩნდნენ და ეს მაშინ, როცა არც ერთი არ გამხდარა ავად, არც ყაჩაღებს გადაჰყრიან, არც ცხენი დაუარდნიათ. შვიდივე ისე თავგამოდებით და ერთგულად შემსახურა, რომ ძნელად თუ შევძლებ მათი ამავის გადახდას.

იოლად რომ გამერჩია ერთმანეთისაგან, შიკრიკებს სახელები ანბანის რიგის მიხედვით დავარქვი: ალესანდრო, ბართლომეო, კაიო, დომენიკო, ეტორე, ფედერიკო, გრეგორიო\*.

მოგზაურობის მეორე დღის ვვიან საღამოს, როდესაც უკვე ოთხმოციოდე მილი გექონდა გავლილი, ამბის გასაგებად შინ პირველად ალესანდრო გავგზავნე. განუწყუტელი კავშირი რომ გექონოდა, მომდევნო საღამოს მეორე შიკრიკი გაუისტუმრე, მერე — მესამე, მერე — მეოთხე და ასე შემდეგ — მერვე საღამომდე, როდესაც გზას გრეგორიო დაადგა, პირველი შიკრიკი ჯერაც არ მობრუნებულიყო.

მეათე საღამოს, ერთ უკაცრიელ ველზე ღამის ბანაკის გამართვისას, ალესანდროსაგან შევიტყვე, რომ იგი თავის ცხენს ვერ მიაჭენებდა ისეთი სისწრაფით, როგორადაც მოკვლიდი. რატომღაც მეგონა, იგი მარტოლმარტო, ჭენების პინატანილი, დიდებულ ბუდაურზე ამხედრებული, ერთსა და იმავე დროში ჩვენთან შედარებითი სრჯერ მეტ მანძილს დაფარავდა, მან კი მხოლოდ და მხოლოდ

\* მოტანილია ლათინური ანბანის რიგის მიხედვით (მთარგ.).

ერთნახევარჯერ მეტი გზა გაიარა — ჩვენ ორმოცი მილი გავლიეთ, მან კი — მხოლოდ სამოცი და მეტი არა.

სხვებიც ამ დღეში აღმოჩნდნენ. ბართლომეო, ქალაქს მოგზაურობის შესამეხადამოს გამგზავრებული, მხოლოდ მეოთხემეტე დღეს დაგვეწვია: კაიო, მეოთხე დღეს გამგზავრებული, მხოლოდ მეოცე დღეს დაბრუნდა. რაზედაც შევნიშნე, რომ საკმარისი იყო ხუთჯერ გამემრავლებინა მოგზაურობაში განვლილი დღეები, რათა გამეგო, როდის მობრუნდებოდა მალემსობოლი.

რაც უფრო ვშორდებოდით დედაქალაქს, ყოველ ჯერზე მით უფრო მატულობდა თვეების რიცხვი. მოგზაურობის ორმოცდაათი დღის შემდეგ, ერთი მალემსობოლის მობრუნებიდან მეორის გამოჩენამდე კიდევ უფრო გაიწვლა დრო. თუკი წინათ ყოველ მეხუთე დღეს შემემდლო უკან მობრუნებული მალემსობოლის ნახვა, ახლა დროის ინტერვალი ოცდახუთ დღემდე გაზრდილიყო. ამგვარად, სულ უფრო სუსტდებოდა მშობლიური ქალაქიდან მოწვენილი ხმა, რამდენიმე კვირა ისე გადიოდა, რომ იქიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

ექვსი თვის შემდეგ უკვე გადავლახეთ ფაზანის მთები. ერთი მალემსობოლის მობრუნებიდან მეორის გამოჩენამდე დრო უკვე კარგა ოთხ თვემდე იყო გაზრდილი. ჩემამდე ახლა მხოლოდ და მხოლოდ შორეული ამბები აღწევდა. დაჭმუჭნილ კონვერტებს ზოგჯერ ნესტის სუნი ახდიოდათ. ისინი, ვისაც ეს კონვერტები ჩემთან მიჰქონდათ, ღამეებს ღია ცის ქვეშ ათევდნენ.

კვლავ გზას ვიყავი გაკრული. ამაოდ ვცდილობდი, დამერწმუნებინა სიკუთარი თავი, რომ ღრუბლები, რომლებიც ჩემ ზემოთ დაცურავდნენ, ისეთივენი იყვნენ, როგორც ჩემი ბავშვობისას, რომ ჩემი მშობლიური ქალაქის ცა არ განსხვავდებოდა იმ ცისფერი გუმბათისაგან, რომელიც ახლა თავზე შეფარა, რომ აქ იგივე ჰაერი იყო, რომ ისევ ის ფრინველები ჭიკჭიკებდნენ, მაგრამ ეს ღრუბლები, ცა, ჰაერი, ქარი, ფრინველები მაინც სრულიად განსხვავებული მეჩვენებოდა და თავს უცხოელად ვგრძნობდი.

წინ, წინ! მგზავრები, რომლებიც გზაზე გვხვდებოდნენ, გვარწმუნებდნენ, რომ შორს აღარ იყო საზღვარი. ყველანაირად ვამხნევებდი ჩემს მეგზურებს, ვცდილობდი, დამემდლია მათში უიმედობა, ასე რომ უკრთიდათ სახეებზე. უკვე ოთხი წელი გასულიყო ჩემი გამგზავრებიდან. რამდენი ტანჯვა-წვალეების გადატანა მომიწია ამ ხნის მანძილზე. ისე უცნაურად შორეული გამხდარიყო დედაქალაქი, მშობლიური სახლი, მამაჩემი, არც კი მჯეროდა, ახლა სინუმისა და მარტოობის კარგა ოციადე თვე რომ გადიოდა მალემსობოლთა შორის გამოჩენამდე. ჩემთან უკვე დროისაგან გაყვითლებული წერილები რომ მიჰქონდათ, გარდასულ ამბებს რომ მატყობიხებდნენ, მახსენებდნენ მივიწყებულ სახელებს, შეიცავდნენ ჩემთვის უცხო სიტყვებს, გაუგებარ გრძნობებს. ყოველ მომდევნო დღეს, ერთდღიანი შესვენების შემდეგ, ვიდრე გზას გავუყვებოდით, მალემსობოლელი საწინააღმდეგო მიმართულებით მიეშურებოდა და დედაქალაქში მიჰქონდა წერილები, რომლებიც კარგა ხნის წინათ მქონდა მომზადებული.

რვა წელსწინააღმდეგო განვლი. საღამოხანს მარტო ვვახშობდი ჩემს კარავში, როცა დომენსკო შემოვიდა, იგი რაღაცნაირად კიდევ ახერხებდა ვადიმებას, თუმცა ქანცი გაწყვეტოდა. მალემსობოლელი თითქმის შეიდი წელი აღარ შენახა. მოელი ამ უგრძესი ხნის მანძილზე მას არაფერი უკეთებია უკიდევანო ველებში, ტყეებსა და უდაბნოებში სობოლის ვარდა. ვინ იცის, რამდენჯერ გამოიცვალა ცხენი, ჩემთვის კონვერტები? ახ პაკეტი რომ მოეტანა, რომლის



გახსნის სურვილიც კი აღარ მქონდა უკვე. დომენიკო დასაძინებლად წავიდა და სვალვე, გამთენიისას ისევ გაუღებია გზას.

აღბათ, უკანასკნელად გაუღებია. უბის წიგნაკში გამოვთვალე, რომ თუკი ყველაფერი რიგზე იქნება — მე, როგორც აქამდე, ჩემს გზას გავაგრძელებ, ის კი — თავისას, დომენიკოს თრმოცდაოთხ წელზე ადრე ვეღარ ვიხილავ. მაშინ სამოცდაჩვიდმეტი წლისა ვიქნები. აღბათ უკვე გრძნობებგამოფიტული, მაშინ, შეიძლება უფრო ადრეც კი, მიწიოს სიკვდილმა. ასე რომ, იქნებ, საერთოდ, ვეღარ შევძლო მისი ნახვა.

თრმოცდაოთხი წლის შემდეგ, შესაძლოა, ადრეც, ძალიან ადრეც, დომენიკო მოულოდნელად შეამჩნევს ჩემს ნაბანაკებზე დაყურული კოცონებს და გაოცდება, რატომ გავიარე ამ ხნის მანძილზე ასე ცოტა მანძილი. მამაკაცი მალე მსრბოლელი, როგორც ამ საღამოს, ისევ შევა ჩემს კარავში წლებისაგან გაყვითლებული წერილებით. უკვე გარდასული დროის აბსურდულ ამბებზე რომ მოგვითხრობენ და, რომ დამინახავს აქეთ-იქიდან ორ ჩირაღდნიან მკვდართან ერთად სამუდამოდ მიწოლილს გვერდზე, კარის ზღურბლზევე გაქვავდება.

და მაინც, გასწი, დომენიკო, ნუ მეტყვი, რომ უღმობელი ვარ! ჩემი უკანასკნელი მოკითხვა გადაეცა დედაქალაქს, სადაც დავიბადე. შენ ერთადერთი გაღარჩენილი კავშირი ხარ ქვეყანასთან, რომელიც ერთ დროს ჩემი სამშობლო იყო. ადრე გაგზავნილმა მალემსრბოლებმა შემატყობინეს, რომ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა იქ, ვიცო, რომ მამა აღარ არის ცოცხალი, ვიცო, დაკარგულად რომ მთვლიან და გვირგვინი ჩემს უფროს ძმას რომ დაუდგამს თავზე. ისიც ვიცო, ახალი ქვის სასახლე აუშენებიათ იქ, სადაც წინათ მუხები იდგა და მართოდმართო ვთაძაშობდი. ყველაფერი ეს საოცრად გაუცხოვებულა, მაგრამ მაინც სამშობლოა ჩემი.

შენ უკანასკნელი კავშირი ხარ მათთან, დომენიკო. მეხუთე მალემსრბოლი, ეტორე, რომელიც, ღვთის ნებით, ერთი წლისა და რვა თვის შემდეგ წამომეწევა, ვეღარ გაემგზავრება ხელახლა, რადგან ვეღარ დაბრუნდება დროზე. შენს მერე მღუმარება დაისადგურებს, დომენიკო. იქნებ, ვეღარც მივალწიო საოცნებო საზღვარს. რაც უფრო წინ მივიწევ, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ, საერთოდ, არ არსებობს ეს საზღვარი.

უეჭველია, არ არსებობს საზღვარი იმ სახით, როგორც ჩვენ, ჩვეულებრივ, წარმოგვიდგენია. არ არის არც გამყოფი გაღაფნები, არც მიწაყრდნები და არც მთები, რომლებიც უღელტეხილებს ჰკეტავენ. შეიძლება, ისე გადავლახო საზღვარი, რომ ვერც კი შევნიშნო და ისე განვაგრძო გზა, არაფერი ვიცოდე ამის შესახებ.

ამის გამო, ვფიქრობ, რომ ეტორე და სხვა მალემსრბოლნი, მას შემდეგ, რაც წამომეწევიან, მეტად აღარ გაუყვებიან გზას დედაქალაქისაკენ, მაგრამ ისინი წინ ივლიან, წინ წამიძლევიან, რათა წინასწარ შევძლო იმის ვაგება, რაც მომეღის.

ამ ბოლო ხანს, საღამოთბით ნერვიული მოუსვენრობა დამჩემდა. ახლა აღარ ვოცნებობ აღრინდელ ხალასიან დღეებზე, როგორც ეს მოგზაურობის პირველ ხანებში ვიცოდი. უბირველეს ყოვლისა, შებყრობილი ვარ იმ უცნობი მიწების ნახვის სურვილით, საითკენაც მივისწრაფვი.

ვამჩნევ, რაც აქამდე არავისთვის გამინდვია. ვამჩნევ, რომ ნელ-ნელა, რაც უფრო წინ მივიწევ უხასრულო დასალიერისაკენ, ცაში დღითიდღე კრთება უცნაური სხივი, რომელიც სიზმრადაც არ მომღაანდება. მეჩვენება, რომ სხვა,

ჩვენგან განსხვავებული არსისაგან არიან შექმნილი ხეები, მთები, მდინარეები, რომლებიც გზაზე გეხვლებიან და ქაურს მოაქვს წინასწარმეტყველება, რომლიც არაფერი მესმის.

ხვალ დილით იმედი კვლავ გამაქროლებს წინ, წამიყვანს იმ მიუწვდომელი მთებისაკენ, რომლებიც დამის სიბნელეში გახვეულან. კიდევ ერთხელ უფრო ბაჩაკს, ვიდრე დომენიკო საწინააღმდეგო მხარის ჰორიზონტს მიღმა გაუჩინარდება, რათა უშორეს ქალაქს ჩაუტანოს ჩემი ამით დანაბარები.

### კაცი, რომლის თავს იფასებდა

ხალაყ წლის მიწურულს, დაბლობზე მცხუნვარე მზესთან ერთად მშრალი სეზონი რომ გამეფებულიყო, ექიმ ანტონიო დეროცს თანდათანობით თავმდაბლობის უკმარისობა მოეძალა. იგი საავადმყოფოში ახალი ექიმი იყო. მისი გამოცდის პერიოდს თებერვლის ბოლოს გახდიოდა ვადა. გულმოდგინე იყო და აკურატული, მაგრამ აინუნში არავინ ავლებდა, ალბათ იმიტომ, რომ თვისიერი კაცი ჩანდა, სწორედ ისეთი, ვისაც საკუთარი თავი მუდამ სხვაზე ნაკლები ჰგონია, ვინც მუდამ მზადაა, სხვას ემსახუროს, ვინც არასოდეს დაჯდება, თუკი ვინმე დგას ფეხზე. ბევრჯერ მინახავს იგი ქალაქის ქუჩებში, მაგრამ როგორც არ უნდა დავატანო თავს ძალა, ვერაფრის დიდებით ვერ ვიხსენებ მის სახეს.

ძალზე სწრაფად, სულ რამდენიმე დღეში გაუქრა თავმდაბლობის გრძნობა. ერთთავად თვალსა და ხელს შუა დაადნა ხორცი, სახე კი სიგამხდრისაგან უფრო და უფრო დაუგრძელდა. ხმელ-ხმელი იყო, საშუალო სიმაღლის. პროფესორმა დომინიჩიმ, პარატოქსიკოლოგმა, თავიზთან რომ მიიხმო საჭირო მედიკამენტების გადასაცემად, დეროცმა, არც მეტი, არც ნაკლები, შეუთვალა, დრო არ მაქვსო. მიბრძანება არ ინება. სწორედ რომ საოცარი იყო ასეთი რამ — აქამდე პროფესორ დომინიჩის უბრალო გაღიმებაც ვი კმაროდა, ახალგაზრდა ექიმი სიხარულისაგან რომ წამოწითლებულიყო (დეროცისათვის საავადმყოფოში ადგილის დასამკვიდრებლად დომინიჩის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. პროფესორის საამებლად ახალგაზრდა ექიმს მასთან კოლოები, ტკიპები და ტილები მიჰყავდა, მაგრამ, ამას, როგორც წესი, შედეგი არ მოჰქონდა. მეცნიერი სავალდებულო ღალასავით იღებდა მასალას, უფრო მეტიც, ენამწარედ დასცინოდა კიდევ და ამით აგრძნობინებდა, ტყუილუბრალოდ ირჯებიო. ვითომცდა არაფერიად, ისე შეავლებდა თვალს მწერებს, მინის ტუბებს გადმოაპირქვავენდა და ფეხით სრესდა მწერებს).

დომინიჩიმ გაუკებრობად ჩათვალა დეროცის პასუხი და შავკანიანი მსახური ხელახლა გაგზავნა ექიმის დასამახებლად. ამჯერად დეროცმა ბარათით უბასუხა: „კვირფასო ბატონო პროფესორო, თქვენ მეერ მოთხოვნილი ამბულები გათავდა. ეწუხვარ, რომ არ შემიძლია, პირადად გეახლოთ, მერწმუნეთ, საქმე თავზე საყრელად მაქვს. ნახვამდის“. მეცნიერმა ნაძალადევად გაიცინა, თუმცა, არავინ უყურებდა, და ქალაქი ნაკუწებად აქცია. ნეტავ, ჭკუას რომ არიკებდნენ, მაშინ სად იყო ეს საბრალო?! ვის — ვის და პროფესორ დომინიჩის როგორ ჰკადრა ეს შიშველი და უტიფარი „ნახვამდის“?! დომინიჩიმ იცის, მომავალში როგორ დაიჭიროს თავი! განა მის ხელთ არ არის ახალგაზრდა კაცის კარიერა?! ერთი სიტყვაც კმარა ჯანმრთელობის ინსპექტორისათვის, ერთი ფრაზაც კი,

თითქოსდა, ანგარიშმიუცემლად წამოცდენილი. ამ იქნებ, სულაც ავადაა დეროცი, იქნებ სიცხე აქვს?

მაგრამ არა, სიცხეს არ აუწყვია მისთვის! საღამოხანს, როცა შორს, პორიზონტს მიღმა, ასვეტილი საღი კლდეების გადაღმა, მზე ჩასვლას რომ აპირებდა, ექიმი დეროცი კაფე ანტინეაში გამოჩნდა. ერთთავედ ქოფურებში გამოწყობილს აბრეშუმის პერანგზე პალსტუხი ეკეთა, რაც წინასწარსავე შეეხიშნა. ერთ პატარა მაგიდას მიუჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდა, სიგარეტს მოუკიდა და, თითქოს საკუთარ თავთან დიდად მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრობსო, დაინებით მიაშტერდა წინ მდგარი სახლის დახურულ გისოსებიან კედელს. დაღლილ სახეს ღიმილი უნათებდა.

— დეროც, რატომ არ მოხვედით? — მოულოდნელად ზურგიდან დაუძახა პროფესორმა დომინიჩიმ, რომელიც ორი მეგობრის თანხლებით უახლოვდებოდა.

ახალგაზრდა ექიმმა ძლივსძლივობით მოაბრუნა თავი, არც კი უცდია ფეხზე წამოდგომა.

— ვერ მოვახერხე, პროფესორი. სწორედ რომ ვერ მოვახერხე, — ისე, სხვათა შორის მიუგო.

მერე ისევ მიაშტერდა წინ მდგარი სახლის კედელს, რომელსაც თითქოსდა მოეჯადოებინა.

— ეს რა ეშმაკი შეგიჯდათ, დეროც?! — შეუტია ნარწამხდარმა მეცნიერმა, — ვინ გასწავლათ ასეთი პასუხის წერა?! ანგარიშს თუ აძლევთ საკუთარ თავს? მიპასუხეთ! ანგარიშს თუ აძლევთ-მეთქი?!

ორივე მეგობარი ავი თვალღი და მესტქეროდა ახალგაზრდა ექიმს და წინასწარ ტკბებოდა იმის წარმოდგენით, თუ როგორ მოუღებდნენ მას ბოლოს.

მხოლოდ ახლადა წამოდგა ფეხზე დეროცი, სხარტად წამოიძარათა, ცალი ხელით დაეყრდნო წითლად შეღებილ მაგიდას, რომელზედაც ეწერა: მიირთვიოთ პიტერ\* ლეიპარდი. და ახარხარდა მოურიადებლად, გულლიად, ახალგაზრდულად, იმ კაცივით, ვინც იცის ხუმრობაში მხარის აბმა. მერე მეცნიერს ენერგიულად დაჰკრა მხარზე ხელი.

— გენიალურია! — წამოიძახა, — იცით, ერთხანს მეგონა, სერიოზულად აკეთებდით ამას! მაგრამ ჩამოჯექით, ჩამოჯექით, შემოძლია, აპერიტივით\*\*

— კი მაგრამ, გეუბნებით... არ შემოძლია... არ შემ... — წაიღულულა შეცბუნებულმა დომინიჩიმ და მეგობრებთან ერთად მექანიკურად დაეშვა სკამზე. რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო, ასეთი მოქცევა რომ გაეხდებოდა დეროცს მისთვის. რაღაც ახალი დავალება ხომ არ მიახდევს? საჭირო იყო, განა, ახლა ტკუა ესწავლებინა მისთვის? უფრო გონივრული ხომ არ იქნებოდა, თავი შეეკავებინა?

— მინდოდა, მეთქვა, დეროც, რომ, — ვითომც არაფერიო, თავის კლასიკურ, აკადემიურ ტონს დაუბრუნდა დომინიჩი, რაც ყოველთვის ახდენდა ეფექტს.

\* ინგ. bitter, (იტალიური პოაიო ძლიერი ალკოჰოლური სასმელია. რომელიც მრავალი ნაყენისაგან მზადდება და მომწარო, ქინაქინის, გემო აქვს. იტალიაში მას, როგორც საჭმლის მომხელებელ საშუალებას, ნასადილევს სვამენ (მთარგმ.).

\*\* აპერიტივი მსუბუქი ალკოჰოლური სასმელია, რომელიც მადას ალუიკებს (მთარგმ.).

— თხუთმეტ დღეში მოგიხდებათ ქვემოთ, ალიბარდის ჭებიდან ელენთის სინჯების აღება. უნდა დამავალით და...

— თხუთმეტ დღეში აქ აღარ ვიქნები, — შეაწყვეტინა დეროცმა, ანდა, უფრო სწორად, ძალზე შორს ვიქნები.

— მიემგზავრებით? — ჰკითხა განცვიფრებულმა დომინიჩიმ იტალიაში მიდიხართ? მაშ, გვტოვებთ?

ახალგაზრდა ექიმს მწარედ და შემწყნარებლურად გაეცინა.

— ოჰ, არა, იტალიაში არა! მოგზაურობა მეღის, საკმაოდ შორეული მოგზაურობა, — და მარჯვენა ხელი შუბლზე მოისვა, თითქოს თავს ძალზე სუსტად კრძნობსო.

დომინიჩი ისევ მოიღუშა. ესე იგი, მოსალოდნელი სულაც არ უნდა ყოფილიყო რეპატრიაცია, დასჯა, სამსახურიდან დათხოვა. პირიქით, უფრო ოფიციალური გამგზავრება იყო სავარაუდებელი, კონკრეტული და ჭეშმარიტი მივლინება.

— მთავრობის დავალებით? ჩემთვის რომ არაფერი, ვითქვამთ, დეროც! — ისეთი მსუბუქი და ახლობლური კილოთი დატუქსა, თითქოს ამით ხაზს უსვამდა, ჩვენი მეგობრობა უფლებას მაძლევს, შენი ყოველი საიდუმლო წინასწარ ვიცოდეთ.

— დავალება? ჰო, — სიტყვა ბანზე აუკლო დეროცმა, — შეიძლება, დავალებაც მივიღოთ. ხელმძღვანელი პირების განკარგულებაა...

ცაში ორი დიდი საავდრო ღრუბელი ეკიდა, რომელთაც ჯერ კიდევ ანათებდა მზე, მიწაზე კი უკვე ჩრდილი გაწოლილიყო. ღრუბლებს საკმაოდ ჩვეულებრივი ფორმა ჰქონდათ, მაგრამ ქვემოთ კიდევზე შავი ფონები ჩამოკონწივლებოდათ და ალაგ-ალაგ მიწას სწვდებოდნენ.

— არც მინდა, ვიცოდე, რა დავალებაა, — ნაწყენი ტონით შეუბრუნა სიტყვად დომინიჩიმ, — მაგრამ ხომ შეიძლება, ის მაინც მიბრძანოთ, სად მიდიხართ?

— ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი, — თქვა დეროცმა და დაჟინებით, თითქმის თავხედურად, სახეში მიაშტერდა დომინიჩის, — მაგრამ, ალბათ, ქვემოთ, სამხრეთისაკენ.

სამივე მეგობარმა განცვიფრებულებმა გადახედეს ერთმანეთს. დეროცი კი ფეხზე წამოდგა, თითქმის შუა მზის ქვეშ ისე გაჩერდა, რომ სახლები თვალს არ მოჰყარებოდა და თითოთ ნელ-ნელა შემოხაზა სამხრეთის მიწები, უდაბნო, ოვალუწვდენული ტაფობები. ასე გაშეშდა მარჯვენაგაწვდილი, ზღაპრულად თეთრი კაფე ანტინეას ნათურების უფერულ ანარეკლზე.

— აჰ, მივლინება უდაბნოში? — გაიმეორა დომინიჩიმ და თვითონვე გათელა თავისი უბადრუკი სული. — ერთ-ერთი ჩვეულებრივი ინსპექციაა, ხომ მართალია? რომელიმე ინსპექტორი გახლავთ თან?

დეროცმა თავი გააქნია.

— არა, არა! — თქვა შერე, — ვფიქრობ, სწორედ რომ მარტოდმარტოს მომიწევს გამგზავრება.

როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა, უცებ შებარბაცდა, თითქოსდა რომელიღაც უხილავი არსება, გზაზე რომ მიჰქროდა, დაეჯახათ. კინაღამ მიწას დაეხარცხა, მაგრამ მალე წინასწორობა აღიღვინა და მაგიდას მიუბრუნდა.

მეორე დღეს დომინიჩი შეეცადა. რაიმე გაერკვია მთავრობაში, მაგრამ დეროცის მოგზაურობის შესახებ არა რა არაფერი იცოდა ჯანმრთელობის ინსპექტორმა კი სხვათა შორის თქვა:

— რაღაც დაბნეული ჩანს ეს ახალგაზრდა. მეშინია, რომ ვერ შეძლებს ჩვენთან მუშაობას. ბევრი ვერ იტანს აქაურ კლიმატს.

ამ მრავალმნიშვნელოვანმა სიტყვებმა სიამოვნება მოჰგვარეს დომინიჩის. „სულ მალე, — ფიქრობდა თავისთვის, — საკადრის პასუხს მიიღებს ეს თავ-ზელი“.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო გამომწვევად ეჭირა დეროცს თავი, მეტიც, თითქოს შემოდანაც კი დაჰყურებდა ყველას, პირველი აღარასოდეს იძლეოდა საღამოს, როცა ელაპარაკებოდნენ, თავს იკატუნებდა, აქაოდა, არაფერი მესმისო, საღამოობით შინ იკეტებოდა, რათა საქარავნო მგზავრობისათვის განკუთვნილი ხის ყუთები გაემზადებინა.

დაბოლოს, ერთ თავარა ნაშუადღევს პროფესორი დომინიჩის წარუდგა გამოსამშვიდობებლად. სიცოცხლეში პირველად ეცვა ასეთი თეთრი, ქათქათა ტანსაცმელი და ხელჯოხს დაგრძნობოდა. ფეხებს ლოკოკინასავით მიათრევდა, რაც დომინიჩის პოზიირობად მოეჩვენა.

— პროფესორო, გამოსათხოვებლად მოვედი, — თქვა ახალგაზრდა ექიმმა, — ბრძანება ჯერ არ მომსვლია, მაგრამ, ვფიქრობ, ამაღამ გავემგზავრები, ოღონო ადრე, ვიდრე ინათებდეს, ალბათ, ასე, ექვსის ნახევარზე.

— სულაც არ მაინტერესებს, შეინახეთ თქვენი საიდუმლოებანი, — ცივად მიუგო დომინიჩიმ და დაუმატა, — გზა დამილოცნია... — და უკვე დარწმუნებულს, რომ ეს მგზავრობა მართლადენ ერთი სულელური ხუმრობა იყო, მცირე-ოდენმა დიმილმა გადაურბინა სახეზე.

გრაფიკებითა და სამედიცინო მოწყობილობით გაჭედულ კაბინეტში ჯერ ხანმოკლე ხველა გაისმა, შემდეგ კი ექიმ ანტონიო დეროცის მშვიდი ხმა:

— პროფესორო, რატომ გელიძებათ? გვედრებით, ნუ შერებით ამას!

შეტრიალდა და კარებისაკენ გაემართა, სულ ერთთავად ხელჯოხს ეგრძნობოდა ან სპეციალურად აკეთებდა ამას ან, არადა, მართლაც ძლივს იდგა ფეხზე.

— წყვული ცრუპენტელა! — კბილებში გამოსცრა დომინიჩიმ, თან შეეცადა, დეროცს არ გაეგონა.

— რა ბრძანეთ, პროფესორო? — ჰკითხა დეროცმა და ზღურბლზე შედგა.

— თქვენს ადგილზე რომ ვიყო, დავიცდიდი, — მიუგო იმანაც, რათა გაებრაზებინა, — გარწმუნებთ, ცუდად ხართ. მიცვალებულის ფერი გადევთ. სწორედ რომ მიცვალებულის.

— მაშ, ასე არა, პროფესორო? ჩემს ადგილას რომ იყოთ, გამგზავრებას გადადებდით, არა? ეჰ, თქვენ ყოჩაღი ხართ, პროფესორო, თქვენ ძალიან ბევრი რამ იცით! — სრულიად დამშვიდებულად მიუგო დეროცმა.

ასე ჩამოწვა ღამე, დრო მწუხრისა, ხანმოკლე წამი სამყაროს მარადისობაში. მაგრამ ახლა ყველაფერი იყო იგი. კაშკაშა მოვარე არ ანუგეშებდა ღამეს. ათასობით ვარსკვლავი ციმციმებდა და ეკიდა კაბადონზე. ღამე ნელ-ნელა გადადიოდა მცირე კოლონიური ქალაქის თავზე\*, მის გარშემო შემოჯარულ უდაბნოებზე, მთების იდუმალ სასაფლაოებზე.

ექიმ დეროცის ფანჯარაში კი ისევ ენთო შუქი.

დილის ხუთ საათამდე შევიცადით, ხელი არ შევეშალოთ მოვლენების განვითარებას. მართლაცდა, სწორედ ამ დროისათვის გაისმა ფეხის ხმა — ვიღაც

\* მოთხრობაში აღწერილია აფრიკაში იტალიის კოლონიური, ალბათ ერთ-ერთი ქალაქის სინამდვილე.

უახლოვდებოდა დეროცის სახლს. და აი, მისი რეზიდენციის ლამპიონების ყვირთვით შუქზე პროფესორ დომინიჩის მოგრძობით ფიგურა გამოიკვეთა.

თუმცა, იგი მარტო არ იყო — ორი მეგობარი ახლდა თან. ერთმანეთს ეპატაჟებოდნენ იმ კაცზე საქმიანად, ვინც რაღაც ხლაპრებს თხზავდა დედ მოგზაურობებზე სხვათაგან პატივისცემის მოსაპოვებლად. სინამდვილეში კი ახლათ გაღუპილი გაშხლართულიყო სავარძელში და ასე ივიწყებდა ცხოვრების უბედურებას.

ასე მიუახლოვდნენ სახლს. მათი ნაბიჯების ხმამ ჩაძინებული კედლები გამოაღვიძა. ირგვლივ კი მაინც არაფერი იძროდა და ყველაფერი მშვიდად ყვოქავდა. კარის წინ მაწანწალა ძაღლს ეძინა. აქ არც ავტომწეები ელოდნენ გამგზავრების სიგნალს, არც სურსათით, ყუთებითა და მედიკამენტებით დატვირთული ავტოტრანსპორტი ჩანდა, როგორც ეს უდაბნოში ექსპედიციისათვის იქნებოდა საჭირო, ეჭვი არ იყო, დეროცის მოგზაურობის ამბავი მხოლოდ სასაცილო ფანტაზია იყო, მისთვის კიდევ უფრო დიდი სირცხვილი რომ უნდა ეჭმია.

ქუჩის მხარეს ფანჯრები დახურული და ჩაბნელებული იყო, მოპირდაპირე მხარეს კი ყველაფერი ბრდღვიალებდა. უნდა შევნიშნოთ, რომ სახლის უკანვე იწყებოდა ხშირი ბუჩქნარი. თუ ამ მიმართულებით გაუყვებოდით გზას, ადრე თუ გვიან ხრიკ უკაცრიელ უდაბნოებს მიაღებოდათ. ეს კი ერთგვარი საიდუმლოებით მოსავდა შენობას, ისევე, როგორც ჩრდილში გახვეული ბუჩქნარი.

შენიშნა თუ არა ფანჯარაში შუქი, პროფესორი დომინიჩი შებრუნდა და, თითის წვერებზე შემდგარმა, გისოსებს შორის შეიჭყიტა. უკითხავად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეიხედა სათავსოს შიგნით. ასე წაბილწა ღამე, რომელიც ძალიან შორიდან მოსულიყო ფეხაკრეფით, იღუმალ, რათა ახალგაზრდა ექიმთან განმარტოებული მოხერხებულად მოკალათებულიყო.

დომინიჩისათვის მეტად ფაქიზი და ძნელად აღსაქმელი იყო ასეთი უცნაური სანახაობა და, მანაც მხოლოდ დეროცი დაინახა, რომელსაც, როგორც ჩანდა და თვითონაც ასე ვარაუდობდა კიდევ, სავარძელში მიწოლილს ეძინა. მის თავს ზემოთ, კედელზე, დაბალჩამებული ანტილოპას თავი ეკიდა, რომლისთვისაც თვალების ადვილას მინის ნახევარსფეროებიც კი არ ჩაესვათ და ამიტომ თვალის ფოსოები ცარიელი და უადრესად სერიოზული ჩანდნენ. ახალგაზრდა ექიმი აბრეშუმის ხალათში გახვეულიყო. თავზე ნაირ-ნაირი კოლოები დაბზუოდნენ და შეხებას ვერ უბედავდნენ. უკანასკნელი საათების განმავლობაში ერთბაშად გაჩრდილიყო მისი ავტორიტეტი.

ბუნებრივია, კოლოების ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება არ შეუნიშნავს პროფესორ დომინიჩის, რომელსაც ტანში უკვე უკელიდა მოსალოდნელი სიამოვნების ურუანტელი და თავის თავს ეუბნებოდა, უნდა ვიხარხარო.

— ვინაა ეს კონკიფლარუნა! — აღმოხდა ხმადაბლა, დარწმუნებულს, რომ დეროცი უბრალოდ მთერალი იყო, მიწაზე დაიხარა. უნდოდა, ქვა აეღო და ოთახში შეეგდო. ამ დროს ერთ-ერთმა აფორიაქებულმა მეგობარმა უცებ ხელი შეაელო და შეაჩერა.

სახლის უკანა კარი გაღებულიყო და იქიდან რაღაც საოცრებით თვით ექიმი დეროცი გამოსულიყო. როგორც ბოლო დღეებში, ახლაც თეთრებში იყო გამოწყობილი, მაგრამ უცნაური ოპტიკური ეფექტის გამო, ბუნებრივია, არ ჰქონდა ჩვეულებრივი გამომეტყველება, მისი კონტურები, თითქოს ბნელეთის ძა-

ლებს შეუპყროათო. ფოსფორის რაღაც ათინათინების გამოისობით, ზუსტ აღქმას აღარ უმორჩილებოდნენ და კვამლისას ჰგავდნენ.

— დეროც! დეროც! სად გარბიხართ! — დაუძახა დომინიჩიმ, მაგრამ მისი ხმა უაღრესად საწყვალაობლად ჩაწყდა, რადგან ახალგაზრდა ექიმში, იმის ნაცვლად, რომ მის დაძახილზე მობრუნებულიყო, ბუნქნარის შიმართულებით მიდიოდა თავისი, ახალი ეჭვის აღმძვრელი და მტკიცე გადაწყვეტილებებით. ფეხებს აღარ მიათრევდა, არც ხელჯოხს ხმარობდა, ენით აუწერელ გრძნობას ასხიკვებდა. თვით დომინიჩიც აღარ განცვიფრებულა მეტად. საბოლოოდ მიხვდა, რომ ეს იყო იმ ცნობილი მოვზაურობის დასაწყისი, საიდანაც დეროცი აღარასოდეს დაბრუნდებოდა, რომ მას ფეხები სამუდამოდ მიაქანებდნენ ჩრდილოეთისაკენ, თვალუწედენელი შორეთისაკენ, როგორც დარს მაწანწალასი ან ღმერთისა.

ფერდაკარგული ეკლიანი აკაციების ტევრში მარტოდმარტო მიიკვლევდა გზას ჩვენთვის უცნობი ქალაქების შიმართულებით. თავს დაძნაოდა გენიების\* შარავანდედი. შემოხვეოდა გულმოწყალე ამაღა, რომელიც ყურში ჩასჩურჩულებდა თავაზიან სიტყვებსა და ებითეტებს, ისეთებს, როგორიცაა: „აქეთ მობრძანდით, მარჯვნივ, გოჩოვო, თქვენს აღმატებულებავ!“

როგორც კი ბუნდოვანი ფიგურა თვალს მიეფარა, პროფესორმა დომინიჩიმ უმაღ პოლიციური სისხარტით შეაბიჯა სახლში. იქ კი, ბუნებრივია, სავარძელში, ანტილოპას ჩაფიქრებული თავის ქვეშ, ექიმ დეროცის გვამი დახვდა, მეტისმეტად სუსტი და მძიმე საიმისოდ, რომ თავის პატრონს ვრძელ გზაზე გაჰყოლოდა.

## როგორ მოკლეს დრაკონი

ვინმე ჯოხუე ლონგო, გრავი მარტინო ჯეროლის გლეხი, ხშირად დაიარეზოდა მთაში სახადიროდ. 1902 წლის მაისში ხმა დააგლო — მშრალ ხეობაში უხარმახარი ცხოველი ვნახე, დრაკონს ძალიან წააგავსო. ხეობის ერთ, მიყრუებულ სოფელ პალიზანოში უხსოვარი დროიდან დადიოდა ლეგენდა — წყლისაგან დაწრეტილ ერთ-ერთ განაპირა ხეობაში ჯერ კიდევ ბინადრობსო ურთი ასეთი ურჩხული. მაგრამ ამ ზღაპრისთვის არასდროს უთხოვებია ვინმეს ყური. ახლა კი ლონგოს საზრიანობა, მისი მონათხრობის სიზუსტე, წვრილმანებსაც ყოველთვის სიტყვა-სიტყვით რომ იმეორებდა, კაცს ძალაუნებურად არწმუნებდა ნაპირობის სინამდვილეში. და გრაფმაც გადაწყვიტა, წასულიყო და ყველაფერი თავისი თვალთ მისეხილა, ცხადია, გუნებაშიც არ გაუვლია, რომ იქ დრაკონს ნახავდა, ფიქრობდა, აღბათ, იშვიათი ჯიშის გველეშაპი იქნება, უკაცრიელ ხეობაში შემორჩენილიო.

ექსპედიციაში წაიყვანა პროვინციის გუბერნატორი კუინტო ანდრინიკო, მისი მომხიბვლელი და უშიშარი ცოლი მარია, ნატურალისტები პროფ. ინგირამი და, რაც მთავარია, დაბალხამებაში დახელოვნებული თავისი კოლეგა ფუსტი დონდლი და ურწმუნო გუბერნატორს, კარგა ხანია, შეენიშნა, მისი ცოლი განსაკუთრებულ ყურადღებას რომ იჩენდა ჯეროლისადმი, მაგრამ ამას საგონე-

\*\* genium ბერძნულ-რომაულ და ზოგიერთ სხვა რელიგიაში ცალკეული ადამიანებისა და ხალხების, ადგილებისა და რეგიონების მფარველი სული ან დეოთაებაა (მთარგ.).

ბელში არ ჩაუგდია. პირიქით, სიამოვნებით დაეთანხმა მარიას, როცა გრაფთან ერთად დრაკონზე სანადიროდ წახვლა შესთავაზა. სულაც არ ეჭვიანობდა მარტინოზე, არც შურდა მისი: მერე რა, რომ ჯეროლი მასზე გაცილებით ახალგაზრდა, ღამაზი, ღონიერი, გაბელული და მდიდარია!

შუალამე ახალგადასული იყო, როცა ორმა ეკიპაჟმა ცხენებზე ამხედრებული რეა მონადირის თანხლებით დატოვა ქალაქი. სოფელ პალიზანოში დაახლოებით დილის ექვს საათზე ავიდნენ. ჯეროლს, მომხიბვლელ მარიასა და ორივე ნატურალისტს ეძინათ, მხოლოდ ანდრონიკო ფხიზლობდა. მან ეტლი თავისი ძველი ნაცნობი ეკიმის, თადეის სახლის წინ შეაჩერებინა. სულ მალე მეორე სართულის ფანჯარაში გამოიკვეთა სადამურა ჩაჩი ეკიმისა, მეეტლეს რომ გაეღვიძებინა. ანდრონიკო ეტლიდან ჩამოხტა, მზიარულად მიესალმა ეკიმს და აუწყა ექსპედიციის მიზანი. ეგონა, დრაკონის ხსენებაზე თადეი სიცილს დააყრიდა. მან კი, პირიქით, უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— თქვენს ადგილას რომ ვყოფილიყავი, არსადაც არ წავიდოდი, — მიუგო შეუვალი სიმტკიცით.

— რატომ? გგონიათ, რომ ტყუილუბრალოდ ვირჯებით, ყველაფერი მინატორია?

— არა, ამის თქმა როდის მინდა. — უპასუხა ეკიმმა. — თვითონ მე სულ სხვაგვარად ვფიქრობ, მჯერა დრაკონის არსებობა, თუმცა თვალი არასდროს მომიკრავს მისთვის. თვითონ მე ვეცდებოდი, თავი არ გამეყა ხათაბალაში. ცუდ რაღაცას მიგრძნობს გული.

— ცუდ რაღაცას გიგრძნობთ გული? ამით იმაში ხომ არ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ნამდვილად გჯერათ დრაკონის არსებობა?

— დავბურდი, ძვირფასო გუბერნატორო, — მიუგო ეკიმმა. — ათას რამეს მოვსწრებივარ. იქნებ, ეს ყველაფერი ზღაპარია, მაგრამ ხომ შეიძლება, მართალიც გამოდგეს? თქვენს ადგილას რომ ვიყო, არ გავერეოდი ასეთ საქმეში. ყური მიგლეო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გზის გაგნებაც ჭირს. ამასთან, მთები სულ ერთიანად მორღვეულია და ერთი პატარა სიოც კმარა, ქვეყანა თავზე რომ ჩამოვემხოთ, თანაც, წვეთი წყალი წამლადაც არ მოწანწკარებს სადმე. არა, არა, სუ წახვალთ, გუბერნატორო! გირჩევნიათ, ქვემოთ, კროჩეტაში ჩახვიდეთ. — თქვა ეკიმმა და ხელი გაიშვირა ამწვანებული მთისაკენ, სოფელს რომ გადმოჰყურებდა. — იქ იმდენ კურდღელს იპოვით, რამდენიც გენებებათ, — მერე ერთი წუთით იყუჩა და დასძინა. — თვითონ მე არაფრის დიდებით არ წავიდოდი. სხვა რომ არაფერი იყოს, ერთხელ უკვე მოკკარი ყური, რომ... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამას, თანაც ვიცი, დამცინებთ...

— რატომ დაგცინებთ? — მიუგო ანდრონიკომ. — მითხარით! ახლავე მითხარით, გეთაყვა!

— კეთილი. ზოგიერთები ამბობენ, დრაკონი ცეცხლს აფრქევს, ეს ცეცხლი მომწამვლელია და, საკმარისია, ოდნავ მოვედოს, მაშინვე მოგკლავსო.

ანდრონიკომ გულიანად გადაიხარხარა, თუმცა დაჰპირდა, არ დაგცინებო.

— მუდამ რეაქციონერად მეგულებოდით, — დააყოლა ბოლოს, — ახირებულ კაცად და რეაქციონერად, ახლა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეთ. ნამდვილად შუა საუკუნეებიდან ხართ შემორჩენილი, ჩემო ძვირფასო თადეი. ნახვამდის, სადამოს შევხვდებით ერთმანეთს, როცა დრაკონის თავით ხელდამშვენებული დავბრუნდებით.

დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია, ეტლში ავიდა და გამგზავრების



ბრძანება გასცა. ჯოჯუე ღონგო მონადირეებში გარეულიყო. გზას იცნობდა და ქარავანს სათავეში ჩასდგომოდა.

— რა თაქს აქნეუდა ის ბერიკაცი, რა უნდოდა? — იკითხა არსობაში გამოღვიძებულმა მოძხიბვლელმა მარიამ.

— არაფერი, — მიუგო ანდრონიკომ. — ჩვენი კეთილი თადვი მოცალეობის ვამს ვეტერინარობს ხოლმე და ციმბირის წყლულზე ვკითხულობ.

— დრაკონზე არაფერი გიკითხავს?.. — საუბარში ჩაურია გრაფი ევროლი, რომელიც მოპირდაპირე მხარეს იჯდა. — არაფერი სმენია დრაკონზე?

— მართალი ვითხრათ, არაფერი მიკითხავს, — მიუგო გუბერნატორმა. — არ მინდოდა, ზურგს უკან დაეცინა. მოვატყუე, აქეთ ისე, სანადიროდ, წამოვედით-მეთქი, სხვა არაფერი მითქვამს.

მზე რომ ამოიწვერა, მგზავრები გამოფხიზლდნენ, ცხენებმა ფეხს აუჩქარეს და შეეტლუებიც აღიღინდნენ.

— თადვი ჩვენი ოჯახის ექიმი იყო, — ჰყვებოდა გუბერნატორი. — ერთ დროს დიდებული პაციენტები ჰყავდა. დანამდვილებით არ ვიცი, მგონი, სიყვარულში მოეცარა ხელი და ერთ მშვენიერ დღეს რომელიღაც სოფელში გადაიხვეწა. შემდეგ რაღაც სხვა უბედურებას გადაეყარა და აქ, ამ ხეობას შეაფარა თავი. აქაც რამე რომ შეეძთხვეს, ვინ იცის, სად გადაიკარგება, იქნებ, თვითონაც ერთგვარ დრაკონად იქცეს!

— რა სისულელეებს ყბედობ! — შეაწვევტინა ცოტა არ იყოს, თავგაბეზრებულმა მარიამ. — ერთთავად აგვიკიატებიან რაღაც დრაკონის ამბავი. აღარ შემიძლია ამ მონაჩმახის მოსმენა. მთელი გზა სხვა რამეზე კრინტიც არ დაგიძრავო!

— განა შენ თვითონ არ ისურვე წამოსვლა! — ირონიულად დაუყვავა ქმარმა. — ესეც არ იყოს, მთელი გზა გეძინა და როგორ უსმენდი მძინარე ჩვენს საუბარს? იქნებ, არც კი გეძინა და მხოლოდ თავს იკატუნებდი?!

ხმა არ გაუღია მარიას. მოუსვენრად იყურებოდა ფანჯრიდან, აკვირდებოდა მთებს, რომლებიც უფრო და უფრო ძალადი, სალი და ხრიოკი ხდებოდა. შორს, ხეობის სიღრმეში მოჩანდა ქალტური წყება მწვერვალებისა, მოტიტვლებულ კონუსებს რომ მიაგავდნენ. ირგვლივ არსად ჩანდა არც ტყეები და არც მდელოები, მთები მოფვითალო ფერებში შემოსილიყვნენ და, მცხუნვარე მზის სხივებით გავარჯარებულნი, უცხო მდუმარებით სუნთქავდნენ.

ცხრა საათი იქნებოდა, ეკიპაგები რომ შეჩერდნენ. ამას იქით გზა აღარ იყო, ჩამოქვეითდნენ და მხოლოდ ახლა მიხვდნენ, მტრულად მომზირალი მთების ალყაში რომ მომწყვდეულიყვნენ. ახლოდან კარგად ჩანდა, როგორ ჩამოფშენილიყვნენ და ჩამორღვეულიყვნენ კლდეები, როგორ ქცეულიყვნენ ნაპრალებად თხემიდან ძირამდე.

— აი, აქ იწყება ბილიკი, — თქვა ღონგომ და მიანიშნა ნაკვალევზე, რომელიც ერთ-ერთი პატარა გვერდითი ხეობისაკენ მიდიოდა. აქედან ორმოციოდე წუთის სავალზე იყო ბურელი\*, სადაც ღონგოს დრაკონი ენახა.

— წყალი წამოიღეთ? — იკითხა ანდრონიკომ.

\* ბურელი ადგილის სახელწოდებაა (მთარგ.).

— ოთხი ბოცა გვაქვს სავსე, ორითაც დვინო მოგვაქვს, თქვენო აღმატებულებავ, — უპასუხა ერთ-ერთმა მონადირემ. — გვეყოფა აღბათ...

რა უცნაურია! ახლა, როდესაც ასე შორს იყვნენ ქალაქიდან, მთებში გამოძვინდებულს, სულ უფრო და უფრო ნაკლებად უსაფუძვლოდ ეჩვენებოდათ ფიქრი დრაკონის არსებობაზე. ირგვლივ იხედებოდნენ და სეზონურად ვერაფერს ამჩნევდნენ. გარს ერტყათ უღიმღამო მთაგრებილები, ძე-სუფრეწილები, კარას-დროს რომ არ დაეღვა, სადღაც გვერდიგვერდ ეკარგებოდნენ პატარ-პატარა ხეობები და გულდაგულ ძალავედნენ თავიანთ ხვეულებს, გაუსაძლისი უკაცრიელება გამეფებულიყო ირგვლივ.

ხარბაზნებით, თოფებითა და სხვა სახადირო იარაღით აღჭურვილნი, უსიტყვოდ მიუყვებოდნენ გზას. წინ მონადირეები მიუძღოდნენ. მათ მარია მოსდევდათ, ბალოს კი ნატურალისტები მოჰყვებოდნენ. საბუნდოვროდ, ბილიკზე ჯერ კიდევ გადმოყენილიყო ჩრდილი, არადა, აუტანელი ტანჯვა იქნებოდა თაკარა მზის. ქვეშ ყვითელ მიწაზე სიარული.

ხეობა, რომელიც ბურელამდე მიდიოდა, ვიწრო და დაკლაკნილი იყო. აქ არსად ჩუხჩუხებდნენ ნაკადულები, არსად ჩანდნენ ზეები და ამწვანებული მდელო-ფერდობები, ირგვლსუ მხოლოდ ქვები და ჩამოქცეული მიწა ეყარა, ქვების ცვენის ხმადა ისმოდა ფრინველთა ვივილ-ხივილისა და წყლის რაკრაკის ნაცვლად.

ასე მიიწევდნენ წინ, როცა ქვემოდან სწრაფად მომაკალი ბიჭი შენიშნეს, მხარზე მოკლული თხა რომ გადაეკიდებანა.

— დრაკონთან მიიქარის, — ძალიან ბუნებრივად, ირონიის გარეშე თქვა ლონგომ, მერე კი დაუმატა, — დრმა ცრუმორწმუნენი არიან პალიზანოელები, ურჩხულს გულის მოსაგებად ყოველდღიურად უძღვნიან თხას, ხარკს სოფლელი ბიჭები უხიდებიან. ჰგონიათ, დრაკონმა ხმა რომ ამოიღოს, საშინელი უბედურება დატრიალდება.

— მაშ, დრაკონი ყოველდღიურად მიართმევს თხას? — ხუმრობით იკითხა გრაფმა ჯეროლმა.

— არ ვიცი, მიართმეული თხისაგან დილით რომ ვერაფერს ნახულობენ, ამას კი ნამდვილად წყალი არ გაუვა.

— ძელებიც არ რჩება?

— არც ძელები, გამოქვაბულის შიგნით შეექცევა.

— ხომ შეიძლება, მაგ თხას რომელიმე პალიზანოელი მიართმევდეს? — იკითხა გუბერნატორმა. — ბურელის გზა ხომ ყველამ იცის. ვინმეს საკუთარი თვალით უნახავს, როგორ შეექცევა დრაკონი თხას?

— ვერაფერს გატყვით, თქვენო აღმატებულებავ, — მიუგო მონადირემ.

ამასობაში მხარზე თხაგადაკიდებული ბიჭიც წამოეწიათ.

— მოთხარი, ჭაბუკო, — მბრძანებლური კილო ეღერდა ჯეროლის ხმაში, — რამდენი მოგცე მაგ თხაში?

— ვერ მოგციდით, სინიორ, — უპასუხა ბიჭმა.

— არც ათ სკულოდ?

— აჰ, ათ სკულოდ... — შეყოყმანდა ბიჭი, მერე დაუმატა. — კარგი, დაგიომობთ, მე კი წავალ და სივას მოვიტან, — თქვა და ცხიველი მიწაზე დაავლი.

— რად გინდა თხა. იმედია, შეხრამუნებას არ უპირებ? — უთხრა ანდრონიკომ გრაფ ჯეროლს.

— გაიგებ, მალე გაიგებ, რისთვისაც მჭირდება, — მიუგო ცალკებად იმანაც.

ერთ-ერთმა მონადირემ ზურგზე მოიგდო თხა, პალიზანოელი ბიჭი კი სირბილით დაეშვა სოფლისაკენ, დრაკონისათვის ახალი თხა რომ ეშოვა.

ჯგუფმა კმა განაგრძო.

საათზე მეტი გავიდა და, როგორც იქნა, მიადწიეს საჭირო ადგილს. მოულოდნელად გაიხსნა ხეობა და მათ თვალწინ თითქოსდა დიდი, მრგვალი, კელური ცირკი აღიმართა. ბურული ჰგავდა ერთგვარ ამფითეატრს, რომელსაც მოყვითალო-მეწამული ფერის მიწა და ჩამორღვეული კლდეები შემორტყმობდა კედლებად. ზუსტად შუაგულში, ჩამოფშვნილი მიწის გროვის წვერზე, შავი ხვრელი — დრაკონის ძღვიმე მოჩანდა.

— იქაა, — თქვა ლონგომ.

შორიახლო, ქვიან ტერასაზე შეჩერდნენ, იგი გამოქვაბულის თითქმის პირდაპირ, ათიოდე მეტრით მაღლა იყო. აქედან საუცხოოდ მოჩანდა ყველაფერი. ამ ადგილს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ქვემოდან კერაფრით შიუდგებოდა ძეხორციელი, რადგან ზემოდან გადმოფარებოდა ფერდობი. მარიას შეეძლო, აქ თაკი ყოველმხრივ უშიშრად ეგრძნო.

გარინდულიყვხეხ ყველანი. აყურადებდნენ მიდამოს. მხოლოდ მათთა უსახლვრო სიჩუმე სუნთქავდა. მღუმარებას ხანდახან პატარ-პატარა კენჭების გამუდმებული, ძლივს გასაგონი ხმაური არღვევდა: მოულოდნელად ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან იშლებოდა მიწა, წვრილ-წვრილ ნაკადულებად ჩამორბოდნენ ქვები და როდის-როდის წყვეტდნენ გაუთავებულ სირბილს. ნელ-ნელა ქრებოდნენ ღმერთისგან შიტოვებული მთები. კაცს ეგონებოდა, გამუდმებით წირვა გაუდისო ბუნებას.

— დღეს რომ აღარ ინებოს დრაკონმა გარეთ გამოსვლა? — იკითხა ანდრონიკო კვინტომ.

— აგერ არა მაქვს თხა, — მიუგო ჯეროლმა. — დაგავიწყდა, თხა რომ წამოვიღე?!

ახლავა მოუხვდნენ ჩანაფიქრს. ცხოველის ლეში საუკეთესო სატყუარა იყო გამოქვაბულიდან ურჩხულის გამოსატყუებლად.

დაიწყეს მზადება. ორი მონადირე გაჭირვებით აცოცდა გამოქვაბულის თავზე, სიცილით მეტრით მაღლა. საჭიროების შემთხვევაში იქიდან ქვები უნდა ჩამოეყარათ. რომელიღაც მონადირემ თხა მდვიმის შორიახლოს, დიდი რიყის ლოდზე დააგდო, დანარჩენები კი ფერდობებში ჩასაფრდნენ, უხარმახარი ლოდებით, ხარბაზნებითა და თოფებით გულდაგულ შეიარაღებულები. სათვალთვალო ადგილიდან ყუხი არ მოუცვლია ანდრონიკოს, ყველაფერს თვალს ადევნებდა.

გაყურებულიყო მომხიბვლელი მარია, გაჰქრობოდა ყოველგვარი სურვილი. ი, რა საამოვნებით დაბრუნდებოდა შინ, მაგრამ კერავისათვის გაემხილა ეს. შეჰყურებდა აქეთ-იქით კედლებივით აღმართულ, ძველი და ახალი ნაპრალებით დახერილ მთის კალთებს, ყვითელი მიწის გროვას, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩამოშლილიყო. ეჩვენებოდა, რომ ძალიან ცოტანი, ძალიან ცოტანი იყვნენ მისი ქმარი, გრაფი ჟეროლი, ორი ნატურალისტი და მონადირეები ამ გაუსაძლის სიმარტოვეში.

მღვიმის წინ ეგდო დაკლული თხა და ხმაგაკმენდილნი იღვნენ ყველანი. კარკა ხნის წინათ გადასულიყო ათი საათი, მშუ დაუფლებოდა ბურელს და ერთიანად გაევარვარებინა. აქეთ-იქით აწყდებოდნენ ჰაერის გამომშრალი ტალღები. გუბერნატორისა და მისი ჰუულის მზისგან დასაცავად მონადირეებს ეტლის ფარ-

დებისაგან სახელდახელოდ ერთგვარი ბაღდაჩისი გაემართათ. განუწყვეტლად წყალს ეძალებოდა მარია.

— ყურადღება! — იყვირა უცნაურად. ქვემოთ, ლოდზე შემდგარიყო. ხელში კარაბინი ეჭირა, მკერდზე კი ლითონის ჩუგლუგი ეკიდა.

ყველას დაუარა ყრუანტელმა, სუნთქვა შეუგუბდა, როგორც ციკლოპი ფეხი მოპირეს ცოცხალ არსებას, გამოქვაბულის ხახიდან რომ გამოეყოფოდა.

— დრაკონი! დრაკონი! — იყვირა ორმა თუ სამმა მონადირემ ისე, რომ კაცი ვერ გაიგებდა, გაუხარდათ თუ შეეშინდათ ურჩხულის დანახვა.

რალაცხაირი უცნაური არსება ჩანდა, გველსვით შემართულიყო და მთელს სხეულით ირხეოდა, ცახცახებდა მზის შუქზე. აი, ლეგენდარულა ურჩხული, მთელს სოფელს შაშის ზარს რომ სცემს! როგორც იქნა, გველირსა მისი ნახვა!

— ოჰ, რა საშინელი სანახაყია! — წამოიძახა მარიამ, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, უარესის მოლოდინში გულზე რომ მოშვებოდა.

— მოდი! მოდი, — ხუმრობით შესიძახა ურჩხულს ერთ-ერთმა მონადირემ და ერთბაშად გაიმაგრა ყველამ გული.

— პატარა ცერატოზავრს\* წააგავს! — თქვა პროფ. ინვირამიმ, რომელსაც სამეცნიერო პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო სულის სიმშვიდე დაბრუნებოდა.

სინამდვილეში ურჩხული სულაც არ ჩანდა საშინელი. ორ მეტრზე ოდნავ მეტი იქნებოდა, ნიანგისმაგვარი თავი ჰქონდა, თუმცა, უფრო მოკლე, მსხვილი კისერი ხელიკისას მიუგავდა, გამობერილი მკერდი და მოკლე კუდი ჰქონდა, ზურგზე დუნე, მომცრო გრეხილი გასდევდა. პატარა იყო, რაღაც მოუხერხებლად მოძრაობდა და ეს შიშის გრძნობას უკარგავდა კაცს. მთლად პერგამენტის, მიწის ფერი ედო მის მოღუნებულ სხეულს. თუ მხედველობაში არ მივიღებდით აქა-იქ მომწვანე ლაქას. ყველაფრიდან გამოსჭვიოდა ორმა სიბერე. დრაკონიც რომ ყოფილიყო, ახლა მთლად დაძაბუნებული, თითქმის სიკვდილის პირას იყო მისული.

— აჰა, მიირთვი! — გესლიანად იხუმრა ამხანაგებთან ერთად ძღვიმის თავზე აცოცებულმა ერთ-ერთმა მონადირემ და ცხოველს ქვა ესროლა.

ქვა მოსხლეტით დაეშვა ძირს. ზუსტად თავში მოხვდა დრაკონს და გაისმა ყრუ ხმა „ტუკ“, თითქოს რაღაც მყარ საგანს ესროლესო. უსიამოვნებისაგან შეკრთა მარია.

საკმაოდ ძლიერი იყო დარტყმა, მაგრამ — არასაკმარისი, დრაკონისათვის სული რომ გაეცხებინებინა. ურჩხული, თითქოს გაბრუებულიაო, ერთხანს გაუნძრევლად იწვა, მერე, თითქოს ტკივილის გაფუხება უნდოდა, კისერი მოიღრიცა და თავი აამოძრავა. ხან აღებდა და ხანაც ხურავდა პირს, საიდანაც წვეთიანი კბილების წყება მოუჩანდა, სავარცხელს რომ მოგაგონებდათ. ხმა არ გაუღია. ცოტა ხნის შემდეგ კი ქვემოთ, თხისაკენ გაცოცდა.

— რათ, თავბრუ დაგეხვა? — დახცინოდა დრაკონს ევროლი, რომელსაც ერთბაშად მოძალეობდა ვაჟკაცობა და, სასიცრად აღვზნებული, წინასწარ ტკბებოდა ნადირობის შედეგებით.

მიზანს ასცდა იცდნათიოდ მეტრიდან გასროლილი ჭურვი. ზათქმა გავ-

\* ცერატოზავრი (ლათ. — *ceratosaliris*) დინოზავრების ჯგუფის ხორცის-მჭამელი ოთხფეხა ქვეწარმავალია, ცხვირზე პატარა რქა აქვს. შემორჩენილია ცარცული პერიოდის (ჩვ. წ. აღ.-მდე 134-70 მილიონი წლები) ქანებში (მთარგ.).

ლიჯა შედეგებული ჰყური, გაძოადვიდა მოის კალთებს შორის მთელმარე სეუ-  
ლიანი ხმაური და პატარ-პატარა ნაკადულებად ძირს დაიძრნენ წყრულ-წვრილი  
ქვეები.

თითქმის იმავე წამს იქუხა მეორე ზარბაზანმაც, ჭუწვი ურჩხულს უკანა  
ფეხში მოხვდა, უმაღლე იჩქეფა სისხლის ჭავლმა.

— ერთი უყურეო, როგორ ცეკვავს! — წამოიძახა მომხსტველმა მკამრიამ,  
რომელიც სხვებივით ტკბებოდა სამინელი სპექტაკლის ყურებით. ქვეწარმავალი  
გაუსაძლისი ტკივილისაგან მართლაც ბზრიალებდა აღვილზე, იკლავებოდა და  
შესაბრალისად ქმისავდა. დამსხვრეულ ფეხს ჩვარივით მისითრევდა და ქვებზე  
შავი სითხის ლაქას ტოვებდა.

როგორც იქნა, მიაღწია თხამდე და პირში მოიკლო. ის-ის იყო, გაცოცებას  
აპირებდა, როცა, საკუთარი სიძაძაციით თავი რომ მოეწონებინა, ჯეროლი თით-  
ქმის ორ მეტრამდე მიუახლოვდა ურჩხულს და კარაბინა თავში დაახალა.

დრაკონს პირიდან სტვეჩის მაგვარი ხმაური ამოუვიდა. კაცს ეგონებოდა,  
თავის შოთოკვა უნდა, ბრაზი როგორმე რომ დათრგუნოს და მთელ სხეულში და-  
გუბებული ხმა შიგ სხეულშივე მოგუდოსო. ადამიანებისათვის გაუგებარი რაღაც  
ნააკონებდა, რაღაც უნდა დაჯდომიდა, მოეკრიბა მოთმინება. შიგ თვალში მოხ-  
ვედროდა კარაბინის ტყვია. ჟეროლი გასროლისთანავე სირბილით მობრუნდა  
უკან. ეგონა, ურჩხულს უცებ ამოხდებოდა სული და მიწაზე გაიშხლართებოდა.  
მაგრამ არ მომკვდარა იგი. თითქოს კუბრის ცეცხლივით შეუძლებელი ჩანდა  
მისი სიცოცხლის ჩაქრობა. თავის ქალაში ტყვიაგაჩხერილმა, მშვიდად გადაყ-  
ლაპა თხა. ეყება ლუკმამ ხელ-ხელა გამოუბერა ყელი. შემდეგ უკან, მღვიმის გვე-  
რდით დაზვავებული ლოდებისაკენ გადსცდა. ძლივსძლივობით მიხოსავდა მღვი-  
მის შორიახლოს ციცაბო კალთაზე და რაღაცნაირი მოუსვენრობა აძაგძაგებდა,  
წამდაუწუმ ემლებოდა ფეხქვეშ მიწა, ყველანაირად ცდილობდა, როგორმე გადა-  
ერჩინა თავი. გუმბათივით გადმოჰფარებოდა ცა, კრიალა და უფერული, მზე უმა-  
ღლე ამრობდა სისხლის ნაკვალევს.

— გვეგონება, თითქოს ტარაკანი დაფორთხიადობს ქვაბში. — თავისთვის ჩა-  
ილაპარაკა ანდრონიკომ.

— რაო? — ჩაუკითხა ცოლი.

— არაფერი, არაფერი, — მიუგო კაცმა.

— ეშმაკმა უწყის, რატომ არ შეძვრება თავის გამოქვაბულში? — თქვა პროფ.  
ინგირაძემ, რომელიც პროფესიული თვალსაზრისით მეცნიერულად აფასებდა  
გათამაშებული სცენის ყოველ წვრილმანს.

— ალბათ, ეშინია გამომწვევდევისა, — დააზუსტა ფუსტიმ. — მგონი, მთლად  
გაბრუებულა... თუმცა, საერთოდ, როგორ შეიძლება, ცხოველი აზროვნებდეს?..  
ცერატოზაური?.. არა, ცერატოზაური არ უნდა იყოს, — განაგრძო შემდეგ. —  
მათი არა, ერთი და ორი ფიტული რადი დამიმზადებია მუხეუმისათვის, სულ  
სხვანაირები არიან ისინი. აბა, სადა აქვს ამ ურჩხულს კულზე წვეტები?

— მაღავს, — შეეპასუხა ინგირაძე. — შეხედე, როგორ გაბერვია მუცელი,  
კული ქვემოთ შეუკეცავს და ამიტომ ვერ ვხედავთ.

ასეთ საუბარში იყენენ გართულნი, როცა ერთ-ერთმა მონადირემ, სწორედ  
იმან, ვინც მეორე ზარბაზანი გაისროლა, სირბილით გასწია ტერასისაკენ, სადაც  
ანდრონიკო იდგა. აშკარად ეტყობოდა, გულით უნდოდა, აქაურობას მოში-  
რებოდა.

— სად გარბინარ, სად?! — დაადევნა კითხვა ჟეროლმა. — სანამ ბოლო არ მოგვიღია ურჩხულისათვის, ფეხი არ მოიცვალთ ადგილიდან.

— უნდა წავიდე, — მტკიცედ შეეპასუხა მონადირე. — არ მომწონს ეს ამბავი. ამას ნადირობა არ ჰქვია.

— იქნებ, გეშინია და არ გინდა ამას გამხელა?

— არა, სინიორ, არ მეშინია.

— დიახაც, რომ გეშინია! ასე რომ არ იყოს, ახლავე დაბრუნდებით შენს ადგილზე.

— არ მეშინია, ვიძულებთ. ისე, თაქედ კი უნდა შევრცხვეთ, სინიორ გრაფო.

— აჰ, შემრცხვეს, ჰო?! — კბილებში გამოსცრა მარტინო ჟეროლმა. — საჩიზლარი გაიძვერა, აი, ვინა ხარ შენ! პალიზანოელი ბრძანდები, არა? ნიძლავს დავდებ, მხდალი ხარ შენ. გამასწარი აქედან, სანამ ჭკუას გასწავლიდე.

— ეი, ბუბი, შენ სადღა მიდიხარ? — წამოაძახა გრაფმა, როცა შენიშნა, მეორე მონადირეც რომ აპირებდა წასვლას.

— უნდა დავტოვოთ, სინიორ გრაფო, არ მინდა ცუდ საქმეში გარეკა.

— აჰ, მხდალებო! — იყვირა ჟეროლმა. — მხდალებო! ჩასაფრებული რომ არ ვიყო, ძვირად დავისვამდი ამას.

— შიში რა შუაშია, სინიორ გრაფო! — შეეპასუხა მეორე მონადირე. — თვითონვე ნახავთ, რომ ცუდად დამთავრდება ეს ამბავი.

— უჰ, თქვენო!.. — ქვას დასწვდა გრაფი და მთელი ძალით ესროლა მონადირეს, მაგრამ ააცდინა.

რამდენიმე წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, დრაკონი გამოქვაბულის ციცაბო კლდეზე აცოცებას ღაძობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა — ვერა და ვერ აეზიდა ტანი. თავზე ეყრებოდა მიწა და ქვები და ხულ უფრო და უფრო ქვემოთ ექანებოდა. ქვების ჩამოშლის ხმაურიღა არღვევდა სიჩუმეს.

მერე ახდრონიკოს ხმა გაისმა:

— ევლარ ჩააძაღლე?! — უყვიროდა ჟეროლს. — ჯოჯობხეთურად ცხელა. ჩააძაღლე ერთხელ და სამუდამოდ. რატომ უნდა კაწვალთ ასე? რახან დრაკონია, ვგონია, ხული არ ამოხდება?! —

— რა ჩემი ბრალია, — ხმაში გაბრაზება შეჰპარვოდა ჟეროლს. — ვერა ხედავ, არ უნდა სიკვდილი?! თაქის ქალაში გაჭედელი ტყვიით კიდევ უფრო უკეთ გრძნობს თავს...

სიტყვა შუაში გაუწყდა, როცა მთის წვერზე ნაცნობი ბიჭი შენიშნა. მოდიოდა, ისევ მხარზე ოხაგადაკიდებულს. იგი გააოგნა გამოქვაბულთან ადამიანების თავმოყრამ, საბრძოლო იარაღებმა, სისხლიანმა საკვალევემა, ყველაზე მეტად კი, დრაკონის თავგანწირულმა მონდომებამ, როგორმე აფირობებულყო კლდეზე. ბიჭს არასოდეს ენახა გამოქვაბულიდან გამოსული ურჩხული. ახლა კი იდგა და გაშტერებული შესცქერიდა უცნაურ სანახაობას.

— ეი, ჭაბუკო! — დაუძახა ჟეროლმა. — რამდენი ვინდა მაგ თხაში?

— არაფერიც არ მინდა, ვერ დავითმობთ, უპასუხა ბიჭმა. — ოქროს ფასადაც ვერ მოგვიდით, ეს რა ვიქნიათ?! — იყვირა ბოლოს და გაოცებული თვალები მიაპყრო ურჩხულს, რომელსაც სისხლი მთაქრიაღებდა.

— ანგარიშს ეუხსორებთ. მაღლობელი უნდა იყოთ, ხვალღიდან აღარ დაგჭირდებათ ოხის ძირთმეკა.

— რატომ აღარ დაგვჭირდება? — იკითხა ბიჭმა.

— ხვალღიდან აღარ იქნება დრაკონი და იძიტო — უპასუხა გრაფმა.



— ოო, ნუ იზამთ, გაფრობილებო ყველას, ნუ იზამთ ამას. — წამოიძახა შე-  
შინებულმა ბიჭმა.

— გაჩუმიდი. შენც ნუ დამჩხავი ყვაკვით თაგზე! — იყვირა ~~ჯეროლმა~~, — ახ-  
ლავე მომეცი ეგ თხა!

— არა-მეთქი, გუბნებით! — იყვირა ბიჭმა და უკან დაიხილა.

— აჰა, ესეც შენ! — გრაფმა შიგ სახეში სთხლიმა ~~შეშლილი ხიფის~~ მხრიდან  
მოვლიჯა თხა და მიწაზე დააგდო.

— ინანებთ ამას, ინანებთ, მითქვამს თქვენთვის, სულ ძალე ნახაეთ, რომ ინა-  
ნებთ! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ბიჭმა, რომელსაც ვერ გაეგებდა წინააღმდეგობის  
გაწევა.

ჯეროლს კი უკვე ზურგი შეექცია მისთვის.

მზე კი სულ უფრო და უფრო მუტი ძალით უკეთებდა ხეობას ცეცხლს. ისე  
წყაუდა მზერას ყვითულ-ყვითელი ლოდების ანარეკლი, რომ ძლიერდებოდათ ახე-  
რებდნენ თვალის გახელას. ირგვლივ ლოდები, მხოლოდ ლოდები და ქვები იყო  
და სხვა არაფერი, რაც თინავ მაინც მოასვენებდა თვალს.

— დმეროო, როგორ ცხელა! — კვნესოდა მარია, რომელსაც ვერა და ვერ  
მოეკლა წყურვილი, სულ უფრო და უფრო რომ უძლიერდებოდა და ახლა გრა-  
ფი ჯეროლის დანახვაც კი აღიზიანებდა.

ამასობაში, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ჰორიზონტზე ათიოდე კაცი გა-  
მოჩნდა. პალიზანოელები უნდა ყოფილიყვნენ. ხმა დარბეულიყო, ბურელში უც-  
ხონი არსახო და ამიტომ ამოხულოყვნენ. ხმაგაკმენდილნი, თავიახითთვის იდგნენ  
ყვითელ ქიმებზე და უცნაურ სანახაობას შესცქეროდნენ.

— ახლა ნამდვილად კარგი მყურებელი გყავს! — ხცადა ანდრანიკომ,  
გახუმრებოდა ჯეროლს, რომელიც ორ მონადარესთან ერთად თხას დასტრია-  
ლებდა.

ჯეროლმა თავი ასწია და დაინახა მთაზე გადმომდგარი უცნობები, მას რომ  
აკვირდებოდნენ, ქვამაღლურად დაიჭყანა და თავისი საქმე განაგრძო.

კლდიდან ჩამოცოცებულყოფი ღონემიხდილი დრაკონი, ახლა ლოდების ძირას  
გაუხმრევლად იწყო და გამობერილი მუცელია უფშვინავდა.

— მოემჩადეთ! — ბრძანება გასცა მონადირემ და ჯეროლთან ერთად მიწიდან  
წამოსწია თხა, რომლისთვისაც მუცელი გაეფატრათ, შიგ ღენსი ჩაედოთ და პა-  
ტრუქთან შევერთებინათ.

ახლა კი ნამდვილად ივაჟაკა ჯეროლმა. ლოდებისაკენ გაიწია, ათიოდე მე-  
ტრზე მიუახლოვდა დრაკონს და წარბშეუხრელად დაუვლო წინ თხა. მერე უკან  
გამობრუნდა და დახვეული პატრუქი გაშალა.

ნახევარი საათი ელოდნენ, სანამ გაინძრეოდა დრაკონი. ქანდაკებებს ჰგავდნენ  
მათს ქიმებზე გადმომდგარი უცნობები. ხმაგაკმენდილნი იდგნენ და სახეზე ამ-  
კარად ეტყობოდათ უკმაყოფილება. აინუნშიაც არ აგდებდნენ მზეს, რომელიც სულ  
უფრო და უფრო აცხუნებდა, თვალს არ ამოარებდნენ ურჩხულს, თითქოს ევედრე-  
ბოდნენ, ნუ გაინძრევიო.

დრაკონს კი კიდევ ერთხელ ესროლეს ზურგში კარაბინი. იგი უეცრად გად-  
მობრუნდა, თვალი შეაულო თხას და ხელ-ნელა გაცოცდა მისკენ. უნდოდა, თა-  
ვი წინ გაეშვირა და ნადავლი პირში მოეგლო, მაგრამ გრაფმა ჯეროლმა პატ-  
რუქს წაუკიდა. ცეცხლის პატარა კოცონებმა უცებ გაირბინეს თიკის მთელ სიგ-  
რძეზე, მთაღწიეს თხამდე და აფეთქების ხმაც გაისმა.

იგი ძლიერი არ ყოფილა — კარაბინის სროლაზე უფრო სუსტი და მკვეთრი  
იყო, მაგრამ ყრუ, თითქოს ფიცარი გასკდაო, დრაკონი მოსხლეტით გადავარდა

უკან და გაფატრულს ფაშვი გამოუჩნდა. თავი ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ გააქნია საწყალობლად, თითქოსდა, ჩიოდა, რატომ მომეჭეცით უსამართლოდ, რატომ გამიხწორდით უღმობლადო, მაგრამ უკვე თვითონვე შეგუებოდა ამას.

გრაფმა თავმომწონედ გაიციხა, მაგრამ არაუინ აპყოლია.

— ოჰ, ეს რა საშინელებაა! კმარა! — იყვირა მომხიბვლელმა მარიამ და სახეზე ხელები აიფარა.

— მდა, — მძიმედ ამოიოხრა ქმარმა. — მეც მგონია, რომ ცუდად დამთავრდება ეს ამბავი.

ურჩხული იწვა სისხლის გუბეში. სიცოცხლის ნიშანწყალი არ უტყობოდა. და აი, უცებ, რუხი კვამლის სვეტები ამოიძაროთა გვერდებიდან — ერთი მარჯვნიდან და ერთიც მარცხნიდან. მძიმედ იხრჩოლებოდნენ სვეტები და წელში გამართუას ცდილობდნენ.

— დაინახე?! — გადაულაპარაკა ინგირამიმ კოლეგას.

— ჰო, დაუინახე, — დაუდასტურა იმანაც.

— ნამდვილი ცერატოზაურია. ამასაც საბერველის ფორმის ორი საჭაულე მილი, ე. წ. ჰამურის რქის ფირფიტა ჰქონია.

— არა, — თქვა ფუსტიმ. — ეს არ არის ცერატოზაური.

ამ დროს გრაფმა ჯეროლმა, რომელიც ლოდს მოჰფარებოდა, წინ წამოიწია, უნდოდა დრაკონისათვის ერთხელ და სამუდამოდ მოელო ბოლო. ხელში ლითონის ჩუგლუგი ჩაებლუჯა. ის იყო კონუსივით აღმართული ქვების გროვის შუაგულს მიაღწია, როცა ყვირილი მოესმა.

ჯეროლს ერთი წამით მოეჩვენა, რომ ეს იყო გამარჯვების ყიუინა, რომელიც ურჩხულის მოკვლის გამო აღმოხდათ, მაგრამ მყისვე იგრძნო, რომ ზურგს უკან რაღაც მოძრაობდა. ელვის უსწრაფესად შემოტრიალდა და სასაცილო სურათი წარმოუდგა: გამოქვაბულიდან გამოცოცხებულიყო ორი პაწაწინა, შესაბრაღისი ქვეწარმავალი და საკმაო სისწრაფით მოცოცავდნენ მისკენ. დიახ, ორი პაწაწინა, მოუქჩელი ქვეწარმავალი. სიგრძით ნახევარი მეტრიც არ იქნებოდნენ და თითქოსდა მომაკვდავი დრაკონის მინიატურებს წარმოადგენდნენ. გამოქვაბულიდან შიმშილს გამოედევნა ორი პაწაწინა დრაკონი — ურჩხულის შვილები.

ყველაფერი უცებ მოხდა. გრაფი ხომ ყოველ წამს გასაოცარ მოხერხებულობას იჩენდა.

— ესეც შენ! ესეც შენ! — მხიარულად გაჰყვიროდა იგი და ჰაერში რკინის კვერთხს ატრიალებდა.

საკმარისი აღმოჩნდა ორიოდვე დარტყმა. გასაოცარი ძალითა და სიმტკიცით მოქნეული ჩუგლუგი რიგრიგობით მოხვდა თავში პაწაწინა ურჩხულებს და მინის დოქებივით გაუხეთქა. ახლა სულმიხდილი იწვნენ მიწაზე და შორიდან კორნამუხებს\* მიაგაედნენ.

იმავ წუთს უცხოებმა კაცებმა, თითქოს მოულოდნელ საფროთხეს გაყრიდნენო, ხმაამოუღებლივ ჩაირბინეს ქვემოთ და ლოდებს შორის პარდალებულ ნაპრალებს გაუყვნენ. ხმისამოუღებლად გაეცალნენ იქაურობას, ერთი პატარა ქვაც კი არ დაგორებიათ, ერთხელაც არ გაუხედავთ დრაკონის გამოქვაბულისაკენ, ისევე იდუმალ გაუჩინარდნენ, როგორც გამოჩნდნენ.

დრაკონი სიცოცხლისაკენ მობრუნებულიყო. კაცი იფიქრებდა, აწი აღარასოდეს, აღარასოდეს მოკვდებაო. ლოკოკინასავით მიათრევდა წელს, წინ, მკვდარ

\* ჭიანურის მხგავსი ერთგვარი ჩახაბერი მუსიკალური საკრავია, შედგება ტყავის პარკუჭისაგან და სამი მილისაგან (მოარგ.).



შვილებისაკენ მიიწეკდა და გამუდმებით ამოდიოდა კვამლის ორი ბოლქვი, როგორც კი პაწაწინა დრაკონებამდე მიაღწია, ქვებზე მიესვენა, საოცარი გაჭირვებით წაიგრძელა თავი და დახოცილ შვილებს ღოკვა დაუწყო, ალბათ, ამით უნდოდა მათი სააქაოსაკენ შემობრუნება.

ბოლოს, თითქოს, უკანასკნელი ღონე მოიკრიბათ, ამქნის უჭინძავლობაში პირველად ახწია თავი მაღლა, ცას მიაბყრო თვალები და დახედა მისი სუსტი, მერე კი თანდათანობით სულ უფრო და უფრო ძლიერი, შემზარავი ყვილი ამოუშვა. არც ცხოველებს, არც ადამიანებს არასოდეს ამოხდომიათ ასეთი ხმა. იმდენ რამეს იტყუდა იგი, რომ საშინელებისაგან ძრწოლას აუტანა გრაფი ჟეროლიც კი.

მხოლოდ ახლა მიხვდნენ ადამიანები, რატომ არ შეიძალა დრაკონი გამოქვაბულში, სადაც ვერავინ მისწუდებოდა. ახლა მიხვდნენ, რატომ არ ღრიალებდა, რატომ არ ბრდღვინაუდა, რატომ მისცა თავს მარტოოდენ ხისინის უფლება. ახლა მიხვდნენ, რომ იგი მხოლოდ თავის ორ პაწაწინა შვილზე ფიქრობდა, მათი გადარჩენისთვის თქვა უარი საკუთარ სიცოცხლეზე. გამოქვაბულში რომ შესულიყო, ადამიანები დაედევნებოდნენ და უთუოდ იპოვიდნენ მის პაწაწინებს, ანდა რომ ეყვირა, შვილები ხომ აუცილებლად გამოცვივდებოდნენ გარეთ. მერე, მხოლოდ მერე ამოუშვა ჯოჯოხეთური ღრიალი, როცა თვალწინ დაუხოცეს თავისი პაწაწინები.

შეელას ითხოვდა დრაკონი, შურისგებას ითხოვდა თავისი შვილების სიკვდილისათვის, მაგრამ ვისგან? იქნებ, ხრიოკი და უდაბური კლდეებისაგან? იქნებ, ცისაგან, სადაც ფრინველიც არ ჭაჭანებდა, სადაც ღრუბლის ერთ ფთილასაც ვერ დაღანდაკდა? ადამიანებისაგან, წამებით რომ ამოხადეს სული? ანდა, იქნებ, ღუმონისაგან? საშინელი ღრიალი აცახცახებდა შემოჯარულ კლდეებს, ჭერს ხდიდა ცას, გოდებით ავსებდა ქვეყნიურებას. შეუძლებელი იყო, მართლაც, შეუძლებელი, არავის (თუმცა, არ ვიცი, როგორ), ეპასუხა მისთვის.

— ვის ეძახის? — იკითხა ანდრონიკომ და ამაოდ შეეცადა, ხმაში სახუმარო კილი გაერია. — ვის უხმობს, ნეტავი? მგონი, არავინ უნდა მოიჩქაროდეს მის საშველად!

— ოჰ, ერთი მალე აღმოხდეს სული! — თქვა მარიამ.

დრაკონს კი ვერა და ვერ გადაეწევიტა სიკვდილი, თუმცა, მოსმინებადაკარგულმა ჯეროლმა კიდევ ერთხელ ესროლა კარაბინი. „ტანი“ „ტანი“ მაგრამ ამაო იყო ვოყუელივე. დრაკონი ღოკავდა და საოცარი სინაზით ეყურებოდა თავის მკვდარ პაწაწინებს. სულ უფრო და უფრო ნელი ხდებოდა მისი მოძრაობა, თან ხალი თვალთან მოთეთრო სითხე გადმოსდიოდა.

— დინოზავრი! — აღმოხდა პროფ. ფუსტის. — ნახე, როგორ ტირის?

— უკვე გვიანაა. კმარა, მარტინო! გვიანაა, წასვლის დროა! — თქვა გუბერნატორმა.

შვიდჯერ შეჰღაღადა ცას ურჩხულმა, გოდებით აღავსო ხეცა და კლდეები. შემვიდე ჯერზე ისე გაიწედა მისი ღალადი, კაცს ეგონებოდა, არასდროს ექნება დასასრულიო. მერე ერთბაშად ჩაენავლა ხმა, მოსხლეტით დაეცა პირს და ღუმლის საუფლოს შეუერთდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მერე ხველების ხმა გაისმა. მტვერში ამოგანგლულ, არაადამიანური ჯაფის, ემოციისა და ოფლისაგან სახემოდრეცილ გრაფ მარტინოს კარაბინი სადღაც ქვებზე მიეგდო და, მკერდზე ხველებმისვენებული, მომზღველული ქვების კონქის გავლით ხველებ-ხველებით მოიკვლევედა გზას მათკენ.

— კიდევ რაღა ამბავია? — იკითხა შეშფოთებულმა ანდრონიკომ და ავის მოლოდინში გული შეეკუმშა. — რა დაგეძარათა?

— არაფერი, — ნაძალადევი უდარდელობით მიუგო ჯეროლმა. ცოტაოდენი

— რა ბოლი?

ხმა არ გაუღია ჯეროლს, ისე გაიშვირა ხელი დრაკონისაკენ. ურჩხული გაუხმრეკლად იწვა, თავი ქვებს შორის მოქცეოდა. კვამლის ორი თხელი ბოლი ამოსდიოდა. ეს რომ არა, კაცს ეგონებოდა, ახლა კი საბოლოოდ მიაბარა უფაღს სულით.

— მე მგონი, გათავდა, — თქვა ანდრონიკომ.

ასეც ჩანდა. დრაკონს პირიდან ძაღლისძალად ამოსდიოდა გაჯიუტებული სიცოცხლე.

არავინ გამოპასუხებია მის ძახილს, არავინ გაუფანუნებულა მთელს ქვეყნიერებაზე. თავ-თავისთვის გარინდებულებიყვნენ კლდეები, თითქოსდა გაერთმთლიანებულიყვნენ პატარ-პატარა შეწყობებიც, მოკრიალებულიყო ცა, არსად ჩანდა პაწაწკინტილა ღრუბელიც კი, მზეც ისევე ისე ჩადიოდა. არავის — არც მხეცს, არც ადამიანს — არ უცდია, შური ეძია მკვლელობისათვის, სწორედ ადამიანს მოესპო კიდევ ერთი, მისთვის შეუცნობელი საოცრება, აქამდე რომ შემორჩენილიყო ქვეყნიერებაზე, მოესპო ცბიერსა და ძლიერ ადამიანს, ყველგან რომ აწესებს თავის ბრძნულ კანონებს, შეუმცდარ ადამიანს, თავგადაკლულს პროგრესისათვის, ვინც ვერანაირად ვერ შეგუებია იმას, რომ დედამიწაზე, თუნდაც ყველაზე მიყრუებულ კუთხე-კუნჭულში, ცხოვრობდეს დრაკონი. სწორედ ადამიანს ჩაედინა საშინელი მკვლელობა და უგუნურება იქნებოდა, ამას წინ აღდგომოდა ვინმე.

რაც ადამიანს ჩაედინა, ზედმიწევნით სამართლიანი იყო, ზუსტად შეესაბამებოდა კანონებს, და მაინც, დაუჯერებელი იყო, არავინ გამოპასუხებოდა დრაკონის სულისშემძვრულ ძახილს. ახლა ანდრონიკო, ისევე როგორც მისი ცოლი და მოხადარეები, ამასლა ნატრობდნენ, როგორმე ხასწრაფოდ გასცლოდნენ აქაურობას. ოღონდ ხასწრაფოდ გასცლოდნენ აქაურობას და ნატურალისტებსაც კი უარი ეთქვათ დრაკონის დასაბალზამებლად მოშხადებაზე.

პალიზანოელებიც გამჭრალიყვნენ, თითქოს წინასწარ ეგრძნოთ მოახლოებული რისხვა. ჩრდილი თანდათანობით ეფანებოდა კლდეებს. დრაკონის სისხლდაწრეტილი ლეშიდან განუწყვეტლივ ადიოდა კვამლის ორი სვეტა და შედედებულ პაურში ერთმანეთს ეწვნოდა. ისე ჩანდა, თითქოს ყველაფერი გათავებულიყო, თითქოს ყველაფერი ერთ ნაღვლიან, დასავიწყებელ ამბად ქცეულიყო. გრაფ ჯეროლს კი ისევ და ისევ ახველებდა და ახველებდა. ღონემიხდილი, მეგობრების გვერდით ერთ ლოდზე მისვენებულიყო. ვერავინ უბედავდა დალაპარაკებას, უშიშარი მარიაც კი სადღაც განზე იხედებოდა. მხოლოდ მიკლე ხველების ხმა არღვევდა მყუდროებას. ამოდ ცდილობდა ჯეროლი, როგორმე მორეოდა უცნაურ ცეცხლს, მკერდს შიგნით რომ მოდებოდა და სულ უფრო და უფრო მიიწვედა ქვემოთ.

— გული მიგრძნობდა, — გადაუჩურჩულა გუბერნატორმა ანდრონიკომ აკანკალებულ ცოლს, — ვგრძნობდი, ეს ამბავი ავბედითად რომ დამთავრდებოდა.





თარგმნა მამია ნათაძემ

რადიარდ კიკლინგი (1865–1936), გეორგ თრაქლი (1887–1914), რაინერ მარია რილკე (1875–1926) — სამი ევროპელი პოეტი, ერთი ეპოქის, მაგრამ სხვადასხვა ხასიათის; რილკე და თრაქლი ე. წ. „საუკუნის მიჯნის“ პოეტებია, მე-20 საუკუნისკენ გადმოხრილი, კიკლინგი უფრო კლასიკური ხანის მწერალს მოკვავონებს.

„თუ...“ არის ამონაწერი კიკლინგის ზნეობრივი მრწამსისა, — რაც თავისთავადაც, მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი — ძლიერი, მაღალზნეობრივი პიროვნების აბსტრაქტული პორტრეტი. მაგრამ არც იხეა, რომ მწერლის პრეტენზია ადამიანის მიმართ ამ ლექსში წარმოდგენილი მორალური სქემით ამოიწურებოდეს და არ რუტოვებდეს ადგილს ემოციებს. ამას მოწმობს თუნდაც „დედაო ჩემო...“, სადაც გრძნობა ლამის მოვლენათა მმართავ ძალად მოჩანს, და უფრო მეტიც, — სიღრმისეულ პლანში, შეფარულად, — ადამიანის სისუსტეების არსებობაც ბუნებრივად და მისაღებად მიიჩნევა. „თუ...“ განსხვავდება ამ ლექსისაგან პოეტიკითაც — უადრესი შთაბეჭდლობის მიუხედავად უფრო პროზაული თვისებისაა, ვიდრე პოეტურის, თუნდაც იმით, რომ სათქმელი — თავისთავადაც ბოლომდე ლოგიკურ-აზროვნებითი — სრულად დევს ზედაპირზე, პირდაპირ იტყვის; შესაბამისად, მისი აღქმა და ესთეტიკური განცდა მკითხველის მიერ მოძრაობს ინტელექტიდან ემოციისკენ, ლოგიკიდან განცდისკენ (ესთეტიკის ჩათვლით) და არა პირიქით, როგორც ხვდევს პოეზიას. საწინააღმდეგოს ვხედავთ თრაქლის ლექსში, რომლის ესთეტიკური ღირებულება (განცდიან-აზრიანად) დაფარული სიღრმეებიდან მოედინება, ზშირად პირველწაკითხვისას გაუცნობიერებელი, ლოგიკურად მოუხელთავი, ბუნდოვანი, მაგრამ უკიდურესად დაწნეხილი მძაფრი ემოციის სახით — „უკანასკნელი თქრო დაშლილი ვარსკვლავების“ — ამ ხატიდან უშუალოდ იღვრება სამყაროს უსაშველო მშვენივით და განწირულობით თავზარდაცემული ტანჯული პოეტის ორადგახლენილი განცდა; ვარსკვლავი სამყაროს მშვენივით და არსობრივი ღირებულების შემადგენელი ელემენტია, მისი დაღუპვა სამყაროს ღირებულების დაღუპვის ტოლფასია. „უკანასკნელი“ წარსულ ბრწყინვალებას მიგვანიშნებს და აწმყოსთან კონტრასტში განწირულობის შეგრძნება თავზარდამცემ ტრაგიზმამდე აქვავს. ეს შინაგანი კონტრასტი ხატებში და ლექსის მთელ სტრუქტურაში არის თრაქლის პოეზიის და პიროვნების ლაიტმოტივი, მისი „სამყაროს ხატის“ ძირითადი ბირთვი, რომელიც უშუალო განცდით შემოდის ჩვენს აღქმაში, მხოლოდ შემდეგ ცნობიერდება და იქცევა ლოგიკურ აზრად, გონების შთაბეჭდილებად, დასკვნად.

ასეთი აზრადქცეული განცდაა მკითხველისათვის ყველაფერი, რასაც თრაქლის პოეზია გვაძლავს; რომ დასავლის, დაშლის, დაქცევის, ღმობის განწყობილება, რომელიც ბუდობს მასთან სილამაზის და მშვენიერებას მტკივნეული განცდის მეზობლად, არის შედეგი საკუთარი ზნეობრივი დანაშაულის მღრღნელი შეგრძნებისა, რომელსაც თრაქლი მუდამ, ყველგან და ყოველთვის დაატარებს თან, და რომელიც დაკავშირებულია მის უსინჯარულ ცხოვრებაში ბედნიერებასთან, რასაც სიყვარული აძლევს („ღამით“); რომ პირადი ტრაგედია — ცოდვილი სიყვარული, ჰაშიში, მტკივნეული ფსიქიკა, ბავშვობას გაყოლილი მოცარტის სონატები და ხვეული კიბეები და არაესთეტიკობით, უსულობით, ბორბლებით გაუსაძლისი აწინდელი ყოფა ერწყმის მის ცნობიერებაში საუკუნის განსაცდელს — დასავლეთევროპული ცივილიზაციის ისტორიულ ტრაგედიას, საუკუნეთა მიჯნის დასავლეთევროპელის და მისი ლიტერატურისათვის ნაცნობ დანაშაულის გრძნობას საკუთარ თავში ღმერთის მოკვლისა, და აქედან „ღვთის ღუბილის“, შიშის, მარტობის, დაკარგული სილამაზის, დაკარგული სიწმინდის, „დაკარგული სამოთხის“ განცდას, რომელიც განზოგადდება სამყაროს ტრაგედიის და ბოლოს ადამიანის ეკზისტენციური ტრაგედიის დონემდე („ღამადება“).

კრიტიკოსები თრაქლს ექსპრესიონისტად მიიჩნევენ, რაც არცთუ დამაჯერებლად მენუენება — ექსპრესიონიზმის ცნება, ჩემს თვალში, თრაქლს შეიძლება მიუყვებოთ მხოლოდ ყველაზე ფართო აზრით (როგორც ნაწილობრივ როდენს ან უბისის ეკლესიის ფერმწერს, რომლის ზოგიერთი ფრესკა ცალკე აღებული ექსპრესიონისტი მხატვრის ტილო გვეგონებათ), და არა როგორც დროში და სივრცეში ლოკალიზებული, გააზრებული ესთეტიკური კრედოს მქონე მიმდინარეობის წარმომადგენელს; მხოლოდ როგორც ხელოვანს, რომელიც ცდილობს დაიჭიროს და დააფიქსიროს მოვლენის — იქნება ეს გარესამყაროს მოვლენა თუ საკუთარი განცდა — არსი, შინაგანი ლოგიკა, და მოახდინოს მისი „ექსპრესია“ (გამოხატვა) ნებისმიერი გზით, თუ საჭირო გახდა ემპირიული სინამდვილის ხატის მოშლით, მისი დარღვევა-დეფორმირებით. ბუნებრივია ამიტომ, რომ თრაქლის პალიტრის წამყვანი ფერი, რეალური აღწერა-სურათის გვერდით, არის „ხილვის“ მხატვრული ფორმა, რომელიც აგრეთვე აღწერა-სურათია, ოღონდ წრეგადახული წარმოდგენა აქვს შინაარსად (მღრ. ფერწერაში ხალვატორ დალის ხილვები). სიუჟეტურად, სემანტიკურად, ლოგიკურად ხილვა ამოვარდნილია ლექსის ზედაპირული სტრუქტურიდან, სამავიეროდ შეუძლია ფსიქიკის ირაციონალურ სიღრმეებში მოტივტივე, უფორმო და შეუცნობელი იმპულსების „დაჭერა“, „ამოხიდვა“, გასავნობრიება, ფორმის მიცემა, ანუ არაცილობიერის, უხილავის, განცდის ზედაპირზე ამოტანა, განცდის რეალობაში შეყვანა.

სენსორულად — თვალისა და ყურისათვის — თრაქლის პოეტურ ფერწერას უკიდურესად მკვეთრი და გარკვეული კონტურები აქვს. საინტერესოა, რომ ხატოვანების იმ გადარეულ ორომტრიალში, რომელშიც გაგვახვევს მისი ლექსი, პროცენტულად უმნიშვნელო ადგილი აღმოაჩნდა მეტაფორას; არ არის მეტაფორული არც ფერი, ბგერა, სურნელება, ნივთიერება (მასალა) — ქვა, ვერცხლი, ბროლი... რომელთა საშუალებებითაც აღიქვამს სამყაროს პოეტი. მათ უკან დვას არა გადატანითი მნიშვნელობა, არამედ უშუალოდ განცდა, რომელიც ამ ფერს, ბგერას, მასალას... სინესთეტიკურად უკავშირდება თვით ავტორის და მისი მკითხველის აღქმაში.

არ აველება გვერდი თრატლის ოსტატობის ერთ უნიკალურ შტრიხს: მის ლექსში (როგორც სალვატორ დალის ფერწერაში) დაძლეულია მბხალის მატურიალური წინააღმდეგობა — ერთდროულად ორი გამოსახულება იხატება, რომელიც ზოგჯერ ერთმანეთს ერწყმის. ასეთი შრევალობის, გამჭვირვალობის ნიმუშია „რონდელი“ და ნაწილობრივ „De profundis“ სურათის დასახატად საჭირო მნიშვნელობების მინიშნებისთვის მონახულებად მინაარსობრივი სტრუქტურის სიტყვები, რომელთა რომელიმე წახნავს მოაქვს თავს ასოციაციურად მეორე სურათის შემადგენელი წარმოდგენები. მაგ.: ოქროგაღვრილი, საღამურით აუღერებული დღისა, რომელიც წინ უსწრებდა მოხუც საღამოს და დაუტოვა გამოძახილად თავისი სხივი და ბგერა. ასე, რომ ყოფილიყო, მაგალითად, „ჩამქრალა“, „გამქრალა“, „წასულა“, „გალეულა“ ოქრო დღეების, საღამო სრულად ჩაქრებოდა, „გაღვრილა“-ს კი მოაქვს არდამთავრებულობის, მოძრაობის, სივრცეში გაშლის შთაბეჭდილება (თარგმანში სიტყვა „ცურვილი“-ს შემოტანაც ამ შთაბეჭდილებას ემსახურება). ასევე, ვთქვათ, „ჩაქრა“, „გაქრა“, „ჩაკვდა“, ბგერები იქნებოდა — გაჩუმდა, არაფერი მოიტოვა უკან. „მოკვდა“ კი ჩვენს აღქმაში არ არის საბოლოო — რაც და ვინც მოკვდა, განავრძობს ვლერას ჩვენშიც და სამყაროშიც; „მწყემსის საღამური“ (ერთი მწყემსის) მოიტანდა ბგერების ერთ ადგილას კონცენტრირებას, „მწყემსთა“ საღამური კი მთელ მიდამოში ვლერს, მოიცავს გარემოს, დღეს, მინდვრიან-ფერდობიან-პაერიანად და აქეთაც, საღამოშიც შემოაღწევს. საღამოს გამოსახულებაც თავისთავად შრევადი და მოძრაია: თარგმანში, ქართული აღქმის ბუნებრიობისთვის მიხლოდა მეთქვა ჯერ „ღურჯი და ყავის ფერები“ მეორე სტრიქონში, მერე, მეოთხეში — პირიქით. მაგრამ არ გამოვიდა — დაიკარგა მოძრაობა, გაქვავდა სურათი, აღბათ იმიტომ, რომ საღამო თანდათან ღურჯდება, ჯერ ჭარბობს ყავისფერი, მერე ღურჯი...

**რილაქს** „კლასიციისტურად“ მკვეთრად ჩამოქნილი, რაფინირებული, ქანდაკებასავით ჩამოსხმული შავ-თეთრი ლექსი, გამოსახულებით ერთშრევადი, მაგრამ კონცეპტუალურად ღრმა, „მსოფლმხედველობითია“, სადაც აზრი სპირალურად თანდათან ამოდის შუაგულიდან ზედაპირზე და ფილოსოფიურ კონცეფციად იშლება მკითხველის წინ. ოღონდ ამისთვის განსაკუთრებულად უნდა ჩაუღრმავდე, უნდა (და გინდა) დაუბრუნდე კიდევ და კიდევ. რილაკს ლექსის აზრობრივი ამოხსნის გასაღები მის სხვა ლექსებშია საძებარი, იმათი კიდევ სხვაში, ისევ იმ პირველში, მერე ისევ სხვაში, ისევ და ისევ... და ასე, სპირალურად (ამჯერად მთელი მიხი პოეზიის ფარგლებში), სანამ ბოლოს რილაკე-მოაზროვნეს ერთიანად ჩავწვდებით (ან ვერ ჩავწვდებით). ასე მაგ., „სიყვარულის სიმღერა“ აიხსნება პირველი „ღუინური ელეგიის“ შემდეგი სიტყვებით: „... ნუთუ არ დადგა დრო იმისა, რომ ვისაც გვიყვარს, // განვთავისუფლდეთ საყვარული არსებისაგან და დავძლიოთ თავი თრთოლვით, // როგორც ისარი უძლებს მშვილდის მოზიდულ ღარს, მისთვის, რომ ძალა მოიკრიბოს და მოწყვეტის წამს // უმეტესი იყოს იმისა, რაც არის თვითონ, რადგან დარჩენა არსად ყოფნაა“. ისრის პოტენცია (და იგულისხმება ადამიანის პოტენცია), არსი, დანიშნულება არის ის, რომ იქროლოს (შდრ. „სულს იმას არქმევთ...“) შორს, სიმაღლისკენ. ამის გარეშე ადამიანის ხული, ანუ მისი ადამიანური არსი ჩლუნგდება, ღუნდება, განუხორციელებელ პოტენციად რჩება, როგორც გაუსროლელი ისარი რჩება უაზრო საგნად, რაც არარსებობის ტოლფასია. პარმონიული გაზი-

არებული სიყვარული კი, რილკესთვის, როგორც ჩანს, ასეთ არქროლვას უტო-  
 ლდება. „ისრის“ ორეულია „შუბის“ მეტაფორა ლექსში „ერანა მიმართავს სა-  
 ფოს“, რომელიც ხდის ფარდას რილკეს მსოფლმხედველობის კიდევ ერთ მხარეს,  
 მის შეხედულებას პოეტის და პოეზიის დანიშნულებაზე. პოეტის (შდრ. „შენ  
 სიმთა ეღერამ...“), ვინც შუბის მიძინებულ პოტენციას ამოძრავებს და მოხვედრას  
 მიხებურ გეზს – ძირეულ ადამიანურთან დახვლისა, ცივილიზაციის ზედნაშენე-  
 ბში გაღწევით (შდრ. „ველურო“ მტყორცნელო“). ეს ხატი ხსნის რილკეს ცნო-  
 ბილი საპროგრამო ლექსის („იხრება საათი...“) ბოლო სტრიქონს, იმას, თუ  
 რაში მდგომარეობს პოეზიის მიერ „სულის გამოხსნა“, რაც თავისთავად პოე-  
 ტის მიერ სამყაროს „ქმნადობის“ (შდრ. იგივე ლექსი) პროცესია, რილკეს გა-  
 რდამხახველი (დემიურგული) და არა ამსახველი (მიმეტური) ესთეტიკის მიხე-  
 დვით. ყველაფერ ამას გამოხატავს ორ სიტყვაში ლექსის ცენტრალური მეტა-  
 ფორაც – „... ვიუფლები პლასტიურ დღეს“, ანუ ძერწვად სამყაროს: მე, პოეტი,  
 ვძერწავ სამყაროს ჩემი თვალთახედვის მიხედვით, და არა ის მკარნახობს რო-  
 გორ ავსახო. ამ ტიპის მეტაფორაში კავშირი მის ორ მნიშვნელობას შორის  
 პოეტის აღმოჩენაა, ასახავს მის წარმოდგენას სამყაროს მოვლენათა შორის  
 მიმართებაზე და ამით მის მსოფლმხედველობას გამოხატავს. და რა გასაკვირია,  
 რომ სწორედ ასეთი, შეიძლება ითქვას „მსოფლმხედველობრივი“ მეტაფორა  
 არის რილკეს შემოქმედებითი რესურსების ყველაზე ქმედითი ელემენტი.

მთარგმნელი

## რადიარდ კიპლინგი

თუ...

თუ შეგწევს ძალა, არ დაგებნეს თავგზა, როდესაც  
 იბნევა ყველა და ბრალსა გდებს ალალი გულით,  
 თუ შეგწევს ძალა, ენდო შენ თავს, როცა ყველა სხვა  
 ეჭვით გიყურებს, მაგრამ მაინც ათხოვო ყური,

თუ შეგწევს ძალა, იოცნებო და დარჩე ქვეყნად,  
 იაზროვნო და არ გაგიხდეს თვითმიზნად აზრი,  
 დიდებას და მარცხს თუ შესძლებ რომ თავმდაბლად შეხვდე,  
 და ორივე მაცთურს ერთნაირად არარად ჩათვლი,

თუ შეგწევს ძალა, დაულოდო მშვიდად საწადელს,  
 ცილისწამებას არ მიაგო ღვარძლი და შური,  
 სიძულვილს სხვისას შეხვდე თმენით, როგორც განსაცდელს  
 და არ გეგონოს, რომ ხარ ბრძენი ან წმინდა სული,

თუ შეგწევს ძალა, აიტანო, რომ შესს სიმართლეს  
 შეატრიალებს ავაზაკი ბრივეების მახედ,  
 ანდა შეხედო შენი სულის ძალებით ნაკებს  
 ნანგრევად ქცეულს, ჩამუხლო და აშენო ახლად,

თუ შეგწევს ძალა, შეაგროვო შენი მოგება,  
 მთელი ცხოვრების მონაგარი სასწორზე დადო,  
 წაავო უცებ, და დაიწყო ისევ გროვება  
 და დარდი შენი ტვირთად შენს მეტს არავის არავო,

უჩინებელი

თუ შეგწევს ძალა, შენი გული, ნერვი, <sup>სტენოკარდი</sup>  
 მოიმსახურო მას მერე, რაც გაუვათ ვადა,  
 რომ შენმა ნებამ უთხრას: გასძლე, ხუ მოღუნდები,  
 თუმც ალარ შეგერჩა არაფერი ამ ნების გარდა.

თუ შეგწევს ძალა, ეხმო ბრბოს და ფლობდე ღირსებას,  
 ან ძუფუებთან იარო და გახსოვდეს ხალხი,  
 თუ ვერც მტერი ვერ შეგატყუებს ბოროტ თვისებას,  
 ვერც სიყვარულით უვარგისად ვერავინ გაგხდის.

თუ შეგწევს ძალა, დაუნდობელ წუთის წამები  
 დირსად აქციო იმისა, რომ გულდაგულ ხდის,  
 შენი იქნება ეს ქვეყანა თავის ავ-კარგით  
 და კიდევ მეტი, იცოდე, რომ კაცი ხარ, შეიღო.

### დედაო ჩემო...

თუ ჩამომახრჩეს უმაღლეს მთაზე,  
 დედაო ჩემო, ო, დედაო ჩემო,  
 ვიცი, ვისი სიყვარულიც მოძევება გზაზე,  
 დედაო ჩემო, ო, დედაო ჩემო...

ან თუ ჩამძირეს ღრმაზე ღრმა ზღვაში,  
 დედაო ჩემო, ო, დედაო ჩემო,  
 ვიცი, ვისი ცრემლიც მომძებნის წყალში,  
 დედაო ჩემო, ო, დედაო ჩემო.

თუ წვევლამ გამიპო ტანი და სული,  
 ვიცი, ვისი ლოცვაც კვლავ გამხდის სრულად,  
 დედაო ჩემო, ო, დედაო ჩემო.

### გაორბ თრავლი

#### რონდელი

გაღვრილა ცურვილი ოქრო დღეების,  
 საღამოს ყავის და ლურჯი ფერები;  
 მწვემსთა საღამურის მოკედა ბგერები,  
 საღამოს ლურჯი და ყავის ფერები,  
 გაღვრილა ცურვილი ოქრო დღეების...

## დას

სადაც გაივლი, დგება შემოდგომა და მიმწუხრის ბინდი,  
 ლურჯი ნადირი, რომელიც ხეებქვეშ ჟღერს, ურუნუნუნ  
 მარტოსული ტბორე მიმწუხრის ბინდში. შიზლინიშა

ნელა ფრინველთა ფრენა ჟღერს,  
 სევდას ინახავს შენი თვალების რკალი,  
 შენი ვიწრო დიმილი ჟღერს.

ლეთისგან ძერწილია შენი ქუთუთოთა რკალი,  
 ციმციმით ცდილობენ ვარსკვლავები, ენების  
 პარასკევის შვილო,  
 მონახონ ღამით შენი შუბლის ციური რკალი.

## ღამით

სიღურჯე ჩემი თვალების ჩაქრა ამ ღამით,  
 ჩემი გულის წითელი ოქრო, ო, რა ჩუმად იწოდა შუქი,  
 შენი ლურჯი მოსასხამი შემოეხვია ფსკერისკენ მიმავალს,  
 შენმა წითელმა ბაგემ დაახუა ბეჭელი მეგობრის შეღამებას.

## გიჟუნა ელისს

ელის, როცა შავ ტყეში შაშვი იძახის,  
 ეს არის შენი დასავალი,  
 შენი ტუჩები კლდის ლურჯი წყაროს სიგრილეს სვამენ.

აქციე ზურგი, როცა შუბლიდან ნელა გიწვევთავს სისხლი,  
 ხავსმოდებულ დროთა თქმულებებს  
 და მინიშნებებს ფრინველთა ფრენის.

შენ კი მიდიხარ რბილი ნაბიჯებით უკუნ ღამეში,  
 რომელიც გადმოკიდებულა მოწისფერი მტევნებით დახუნძლული  
 და სიღურჯეში უფრო ღამაზად ამოდრავებ მკლავებს.

ეკალბარდი ჟღერს,  
 სადაც შენი მთვარიანი თვალებია,  
 ო, რახანია მკვდარი ხარ, ელის.

შენი სხეული სუმბულია,  
 რომელშიც სანთლის თითებს შეაცურებს ბერი.  
 შავი გამოქვაბულია ჩვენი დუმილი,



საიდანაც გამოვა ნაზი ცხოველი  
და დახრის ხელა მძიმე ქუთუთოებს.  
შენ საფეთქლებს შავი ცვარი ეპყრება,  
უკანასკნელი თქრო დაშლილი ვარსკვლავების.



## DE PROFUNDIS

არის ხოდაბუნი, რომელშიც შავი წვიმა ვარდება,  
არის ყავისფერი ხე, რომელიც მარტოდმარტო დგას,  
არის სისინა ქარი, რომელიც ცარიელ ქოხებს შემოურბენს,  
რა მწუხარედ იწურება დღე.

სოფლის გადაღმა  
აგროვებს თბოლი ვოგონა შემორჩენილ თავთავს,  
თვალეები მრგვალი აქვს და თქროსფერ ნეტარებას ასხიუებენ ბინდში,  
წილი ციური საქმროს ღოდინშია.

დაბრუნებისას  
ნახეს მწყემსებმა ტკბილი სხეული,  
რომელიც ღებობდა ეკალბარდებში.

მე ვარ ჩრდილი პირქუშ სოფლებს განრიდებული,  
ღვთის დუმილი  
შევსვი უსიერი ტევრების ჭიდან.

ჩემს შუბლს ცივი მეტალი ეხება,  
ობობები იწევენ ჩემი გულისკენ,  
არის შუქი, რომელიც ჩემს პირში ქრება.

ღამით აღმოვაჩინე თავი მდუღოზე,  
ვარსკვლავების უწმინდურობისა და მტვერისაგან გაშეშებული,

თხილნარში  
ისევ ბროლის ანგელოზები წკრიალებდნენ.

## სიშვილა და მღუპარება

მწყემსებმა დამარხეს მზე შიშველ ტყეში,  
მეთევზემ მქისე ბადით  
ამოზიდა მოვარე მათოშილ ტბიდან,

ლურჯ კრისტალში  
 სახლობს ფერმკრთალი კაცი, ლოყაშიდებული თავის ვარსკვლავებზე  
 ან თაყდაქინდრული ძოწეულ ძიღში.



ქართული  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

და მაინც მუდამ ათრთოლებს გულს  
 შავი ფრენა ფრინველების, ლურჯი ყვავილის წმინდა სინაზვე  
 სინუმე ფიქრობს გარდასულზე; ჩამქრალ ანგელოზთა წყება...

ისევ იღამებს შუბლი მთვარიან კლდე-ლოდებში,  
 სხივიანი ჭაბუკი  
 გამოჩნდება და, შემოდგომით და შავი ღპობით შემოსილი.

### მწუხრის სამყაროს სიღვრა

ჰოი, ღამეული ფრთისცემა სულის:  
 ვიდოდით იდეს ჩვენ, მწყემსები უხსოვარ დროს შებინდული  
 ტყეების პირას,  
 გვღვედა ფეხდაფეხ ნადირი ფლავი, მწვანე ყვავილი, ნაკადული  
 ენაბორძიკა  
 უღრტვინველად, მშვიდად. ჰოი, მარადძველი ბგერა ჭრიჭინის,  
 სისხლის ყვავილობა სამსხვერპლე ქვასთან  
 და უეცარი ძახილი ეული ფრინველის განაბული ტბის  
 ბალახისფერ მღუმარებაში.

ჰოი, ჯვაროსნულ ღამქრობებო და ხორცის გვემავ  
 ნაღვერდლიანი. ძოწეული ნაყოფის ცვენა  
 საღამოს ბაღში, სად დროთა სვლის წინ კდემით მოსილი მორჩილები  
 მიძოდოდნენ,  
 აწ მეომრები ჭრილობებს და ვარსკვლავსიზმრებს ერკინებიან,  
 ო, ღამეული შხამის ფაფუკი ფუთა.

ჟამნო სიწყნარის და ქარვისფერი შემოდგომების,  
 როს ჩვენ, ბერები უშფოთველნი ვწნეხავდით მტყვანს  
 მზიან სერებით და ტყე-მინდვრით გარშემორტყმულნი;  
 მონადირეთა ვიფინავ და სასახლეებო, ჰოი, მყუდრო დაისებო,  
 იდეს თვის თავთან დარჩენილი ადამის შვილი მართალს ზრახავდა  
 და გულში ლოცვით ღვთის ცოცხალ სახეს ეძიებდა.

ო, დასავალის მწარე საათი,  
 როცა შავ წყალში ქვის სახეს ვხედავთ;  
 და მაინც სხივი ჩახდგომიათ ვერცხლის წამწამებში მათ, ვისაც  
 უყვარს...

ამბრი მოიფრქვევა ვარდისფერი ამბორიდან  
 და მკვდრეთით აღმდგარსა უტკბილესი ჰანგი იღვრება.

დაბადება



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მთები, სიჩუმე, სიშავე, თოვლი,  
წითლად ეშვება ნადირობა მთიდან;  
ო, ხაუსიანი თვალეები ირმის.

სიმშვიდე დედის. შავი ნაძვის ქვეშ  
ახსნება დაძინებული ხელის თითები,  
როცა გამოჩნდება ცივი დაშლილი მოვარე,

ადამიანის დაბადება. ღამ-ღამობით  
ჩხრიალებს ლურჯი წყალი კლდეების ძირში;  
ოხვრით დასცქერის დაცემული ანგელოზი თავის ანარეკლს.

დახუთულ ოთახში იღვიძებს ფერმიხდილი,  
ორი მოვარე  
აელვარებს კლდის დედაბრის თვალებს.

ტკივილი, მშობიარე ქალის დაკვივლება, შავი ფრთით  
ეხება ბიჭის საფეთქელს ღამე,  
თოვლი, რომელიც უხმოდ წყდება ძოწეულ ღრუბელს.

მზე

ყოველ ცისმარე დღეს დაადგება ყვითელი მზე ქოჩორა გორას,  
ღამაზია ტყე, მუქი ნადირი,  
ღამაზია ადამიანი; მწვემსი თუ მონადირე;

მოწითალოდ აელვებს მწვანე ტბაში ლივლივა თევზი,  
ცამრგვალის ქვეშ  
ვაცურავს მეოვეზე ცისფერი ნავით;

ღინჯად მწიფს მტევანი, ივსება თავთავი.  
წყნარად რომ გადაიხრება დღე,  
მზადდება კეთილი და ბოროტი საქმე.

ღამდება,  
ნელა სწევს მგზავრი დამძიმებულ ქუთუთოებს,  
შავბნელი უფსკრულიდან იჭრება მზე.

## რაინერ მარია რილკე

როგორ გეწვია სიყვარული? ცისკრის ვარსკვლავად  
 სათუთ ალუბლის ყვავილის თუ მწველი მზის სხივად,  
 თუ როგორც ღოცვა? — თქვი, ვერა ვხვდები...

სიხარული ღიქვით მოსცილდა ლაყვარდს  
 და სხივმოხილ უზარმაზარ პეპელას მსგავსად  
 ჩემს აფეთქებულ სულის კიდეს გამაღა ფრთები...

იწყება ისე, როგორც სიზმარი,  
 ქრება ისე, ვით ბედისწერა.

### სიყვარულის სიმღერა

როგორ მოვთხოვო ჩემი სული, რომ  
 არ შეეხოს შენ სულს? ეით შევძლო  
 გადაგაფრინო შენ და დაგსევა უცხო საგნებთან?  
 ო, რარიგ მიინდა დაუშვა ბნელში  
 გადაკარგულ რამის მახლობლად,  
 მყუდრო ადგილას,  
 რომელიც ქრთვით არ აჭყვება შენს სიღრმეთ ქროლვას.  
 მაგრამ რაც კი რამ შეგვხვებია შენცა და მეცა,  
 ყველამ მიგვზიდა ქამანივით, რომელიც ერთ ხმად  
 აუღერებს ორ სიმს თავისი ჩანგის.  
 რომელ საკრავზე ვართ გაბმულნი,  
 ან რომელ დამკვრელს ვუპყრივართ ხელს?  
 ო, ტკბილი ჰანგი.

სულს იმას არქმევთ, ასე ფრთხილად რაც იძვრის თქვენში,  
 მასხარას ოქროს საკრავივით, ზანზალაკებით  
 ტამისკვრას ითხოვს, ღირსებისთვის ხელგაწვდით იბრძვის,  
 და ბოლოს საწყლად, საცოდავი სიკვდილით მიდის  
 გოთურ კაპელათ გუნდრუკმევის ბრწყინვალეებაში,  
 სულს იმას არქმევთ?

როცა ვუყურებ ლურჯს, დათოვლილს მაისით ღამეს,  
 სად სამყაროებს თვის შორ გზებზე ტრიალი უწევთ,  
 მგონია, მკერდით ვატარებდე მიწვივის ნატებს,  
 რომელიც ბორგავს და ხშიანობს და ზევით იწევს,  
 რომ მათ უსაზღვრო, მარადიულ ქრთვებაში გაჭყვეს.  
 ეს არის სული.

სიკვდილი დიდია,  
 ყველანი მისი ვართ,  
 მაშინაც, როცა ხალისით ვიციანთ,  
 თაუი რომ ცხოვრების შეაგულს გვიცნია,  
 ბედავს და იბუდებს  
 ჩვენში ქვითინით.



**მრანა მიმართავს საფოს**

ჰოი, შენ, მტყორცნელო ველური ქალო,  
 ვით სხვა საგნებთან დებული შუბი,  
 ისე ვიდე მცხ ჩემს საგნებთან, მშუიდი და ჩუმი.  
 შენ სიმთა ჟღერამ მისროლა შორს, დამკარგა სრულად,  
 არ ვიცი სად ვარ, ვერ მპოულობს ცოცხალი სული.

იხრება საათი და მეხება რეკვით,  
 ნათლად, სპილენძივით ჟღერს,  
 მითრთიან გრძნობები, ვიცი შემოძლია  
 და ვეუფლები პლასტიურ დღეს.

არ იყო სრულქმნილი ჩემამდე არარა,  
 ყოველი ქმნადობა სდუმდა,  
 ხედვა მომიმწიფდა და როგორც საცოლუ  
 მოუდის ის, რაც უნდა.

არც რამ შემცირება და მაინც მიყვარს,  
 თქროზე ეხატავ დიდად,  
 და მიჭირავს მალლა და არ ვიცი ვისთვის  
 იქცეს სულის გამოხსნის ხიდად.





თარგმნა მერეა ზუგარაძე

### ტალპა

ნატალია კისერზე ჩამოეკიდა დედას და ატირდა. ტიროდა ჩუმად, დიდხანს. ამ ცრემლებს იგი კარგა ხანს აკაფებდა, აგროვებდა და შინ, სენსონტლესში დაბრუნებულმა დედა დაინახა თუ არა, ეტყობა, ხუგეშისცემა მოუხდა.

იმ საშინელ დღეებში კი, — როცა ამდენის გადატანა გვიხდებოდა, შერე ტალპაშიც, როცა მე და ნატალია მარტოდმარტონი, სხვის დაუხმარებლად ვიხრიდით საფლავს და შიშველი ხელებით ვცდილობდით მიწის ბელტების ამოღლეჯას, რასა, რაც შეიძლება ჩქარა დაგვესაფლავებინა ტანილო და ხალხი აღარ შეგვეშფოთებინა ამ საშინელ სუნით, სიცოცხლეშივე რომ ასდიოდა მას — აი, მაშინ ნატალია არა ტიროდა.

არც შერე ტიროდა, როცა უკან ვბრუნდებოდით, როცა მთელი დღე და ღამე შეუსვენებლივ მოვდიოდით, მოვდიოდით ისე, თითქოს საკუთარი თავიდან გაქცევა გვაწადა; მოვდიოდით კი არა, მოვარეულივით მოვეხეტებოდით და გვეჩვენებოდა, გზაზე ჩვენი ფეხსაცმელები კი არა, მიწის ბელტები ხშირობდნენ ტანილოს საფლავის ამოვსებისას, ნატალია გაქვავებულიყო, საკუთარი გულის ფუთქვაც აღარ სურდა მოესმინა. მოუღ გზაზე ერთი ცრემლი რა არის, ერთი ცრემლი არ ვადმოვარდნია.

შინ კი, მივყვით თუ არა, დედას მკერდში ჩაეკონა და აქვითინდა, უნდოდა დედამისს ეგრძნო შვილის მწუხარება, ეგრძნო, როგორა ჰქონდა დამძიმებული სული. ჩვენც, დანარჩენებს, ნატალიას ცრემლების დამნახავთ, ნაღველი მოგვეძაღა. მე თავითონ ცრემლი პირდაპირ სულში მეღვრებოდა, თითქოს ნატალია ამ ცრემლებს ჩვენი ერთობლივი ცოდვიდან ისე წურავდა, როგორც წყალს წურავს სველი ტილოდან.

ტალპა პირველად ჩემს ძმას, ტანილოს მოუვიდა აზრად. თვითონვე მოიფიქრა. უკვე რამდენიმე წელია გვთხოვდა, ტალპაში წამიყვანეთო. ჰო, რამდენიმე წელია. იმ დღიდან, როცა დილით გაიღვიძა და ხელფეხი წითელი ბებერებით ჰქონდა დაფარული. ის ბებერები ჩქარა წყლულებად გადაექცა, მაგრამ ბებერებიდან სისხლი კი არა, საძაგელი ყვითელი, ბლანტე, ფისის მაგვარი სითხე ვადმოსდიოდა. არასდროს დამავიწყდება იმ ხანებში როგორ აიკვირებოდა, მეშინია, ეს ავადმყოფობა ნამდვილად ბოლოს მომიღებსო. ჰოდა, გადაწვევითა, წახულიყო და თაყვანი ეცა ტალპას დეთისმშობლისათვის — ფიქრობდა, დეთისმშობლის ერთი მოწყალე გამოხედვა იკმარებს ჩემი წყლულების მოსარ-

ჩენადო. იცოდა ტანილომ, ტალბამდე გვარიანი მანძილი იყო და მარტის დღე-  
ებში, როცა ეს უნდა მომხდარიყო, დღის სიცხეში და ღამის სიციხეში კარგა  
ხანს მოუხდებოდა სიარული, მაგრამ მაინც აიჩემა, არა, წავალ, უკველად  
უნდა წავიდე, ღვთისმშობელი მოწყალეა, მიჩვენებს ამ სიუღლების შორჩენის  
გზებს, თორემ წყლულები არ აპირებენ პირის შეკვრას, განსუფთავებს მიდ-  
გებო წყალი. ღვთისმშობელი ყოვლის მცოდნეა, ყველაფერი მისი ხელთ არის,  
რაც არ უნდა ავი რამ გჭირდეს, გიხსნის და ახალ ცხოვრებას ისე არხვინად  
შეუდგები, როგორც ჩაწვიმარი მინდორიაო. ღვთისმშობლის წინ მუხლებზე  
დავეცემი და ყველა ჩემი უბედურება ქარს გაჰყვება, ჯანმრთელი წმინდანები  
და დამაჰიწყებება კიდევ როდისმე თუ მტკიოდა რაიმეო.

მე და ნატალიამაც ხელზე ეს დაეიხვიეთ: გადავწყვიტეთ, ტალბაში წავვე-  
ყვანა. მე უნდა გავეყოლოდი, — მე ხომ ძმა ვიყავი მისი, — ნატალია, მით უფრო აუ-  
ცილებლიყო — ის კიდევ ხომ ცოლი იყო? იქითობას, თუ კი საჭირო გახდებო-  
და — უკან დაბრუნებისასაც, ხელკავით ვატარებ ჩემს ქმარსო, თუ გაუჭირდება —  
მხრებშიც ამოვუდგები — და იმედმოცემული ნაბიჯ-ნაბიჯ, ტალბამდე ჩავალ-  
წევთო.

მე უკვე ვიცოდი, აქულში რაც ელო ნატალიას. დიან, ვიცოდი რაღაც-  
რაღაცები მის შესახებ. ვიცოდი, რომ ისეთი მრგვალი, ხორცსავსე და მზურ-  
ვალე ბარძაყები ჰქონდა, როგორც შუადღის მზეზე გახურებული ქვებია, ისიც  
ვიცოდი, რომ კარგა ხანია ისინი მარტონი და უპატრონონი იყვნენ. მაგრამ  
რამდენჯერაც შევხვდიო პირისპირ მე და ნატალია, მუდამ ტანილოს აჩრდი-  
ლი ჩავვიდებოდა შუაში. თითქოსდა დაწყლულებულ ხელებს იწვდიდა და  
მართმევდა ნატალიას, რათა მისი ზოვლის გარდა სხვა არაფერი ფიქრად არ  
გაევილო. და სულ მეგონა, სანამ ტანილო ცოცხალია, მუდამ ასე იქნება-მეთქი.

ახლა ვიცი, ნატალია ნანობს. მეც ვნანობ, მაგრამ რამდენიც უნდა ვინა-  
ნოთ, ჩვენს სულებს სიკვდილამდე მოსვენება მაინც დაკარგული ექნება. სინ-  
დისის ქენჯნას ვერხად გავექცევით. ტანილოს სააქაო პირი აღარ უჩანდა და  
აღარავითარი ტალბა იმას აღარ უშველდა, თანაც წინ ამსიშორე გზა გველო.  
იქ თუ არა, აქ მოკვდებოდა. მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, ცოტა უფრო მეტხანს  
გაძლებდა. გზამ უკანასკნელი ძალ-ღონე გამოაცალა, თან სისხლიც მეტი და-  
კარგა. ცალკე ეს ძალღუმადურობა, წვალე და ყველაფერმა ერთად ბოლო  
მოუღო. ყველაზე ცუდი მაინც ისაა, რომ იგრძნო თუ არა, საღოცავად წასვლა  
არაფერს მარჯებსო, გზის გაგრძელება აღარ ისურვა, ხვეწნა დაგვიწყო, უკან  
დავბრუნდეთო, მე და ნატალიამ კი ყური არ მივუგდეთ, ძალისძილედ მივათ-  
რევდით, ხელახელთ მიგვეყვოდა, თუ დიეცემოდა, უმაღ ვაყენებდით და ვაჩქა-  
რებდით — რაკი წამოვედით, გზა უნდა განვაგრძოთ, უკან რას მიქვია, ტალ-  
ბამდე უფრო ცოტა გზა დარჩა, ვიდრე სახლამდე-თქო. სანამდვილეში, ტალ-  
ბამდე ჯერ კიდევ ძალზე შორი იყო — რამდენიმე დღის საუაღა.

ჩვენ, უბრალოდ, მისი სიკვდილი გვინდოდა. პირდაპირ ვიტყვი, ჯერ კი-  
დევ შინ, სენსონტლში, სანამ გზას დავდებოდით და შერე, გზაშიც, კიდრე  
ტალბამდე მივადწევდით, მარტო ამაზე ვფიქრობდით. ახლა ეს ჩვენც არ  
გვჯერა, მაშინ კი ნამდვილად ასე იყო. კარგად მახსოვს, გვინდოდა, მიმკედა-  
რიყო.

ჰო, ის დამეები ღრმად ჩამებუჭდა გონებაში. ჩამოწვება ბიხდი თუ არა,  
ფიჭვის რტოებისგან კოცონს ვანთებთ, ჩაიწვება ცეცხლი, ნაკვერჩხლები მიი-

ჩველება, ირგვლივ სიბნელე ისადგურებს — მე და ნატალიაც ვდგებით და მივ-  
დივართ, მყუდრო ადგილს ვეძებთ, რათა ტანილოს თვალს დავემალეთ და ცი-  
დან ვარსკვლავებმაც ვერ დაგვიხაზონ. ბნელ ღამეში ვაცი მიხდვრალ ადგილს  
ვერ იპოვის? სწორედ იმითომ, რომ ვიცოდით მე და ნატალიამ მარტონი ვი-  
ყუით ამ ტრიალ მინდორზე — ეს მარტონობა და სიბნელე გვიბნებდა ერთმა-  
ნეთისკენ. ვუხვეოდით და ორივე შვებას ვგრძნობდით. ნატალია — სხეულში იმ-  
დღევანდელ დღეს, ივაწყებდა ყველაფერს, მერე კი იძინებდა — სხეულში თენ-  
თილი, მშვიდი, თითქოსდა ყოველგვარი ტვირთისაგან თავისუფალი.

მე და ნატალია ყოველთვის მიწაზე ვიძინებდით, რადგან მიწა მუდამ თბი-  
ლი იყო. ნატალია ძალზე ცოტახანს იწვა ხოლმე, სხეული კი მას — ჩემი ძმის,  
ტანილოს ცოლს — ისეთი ჰქონდა, სიმბურვალისგან უგარვარებდა. ცხელია მი-  
წაც, მისი სხეულიც და შენც სიმბურვალისგან ღამის იწვები. უცებ გელვიძე-  
ბა, მისკენ უნებურად იწვდი ხელებს, ჯერ წყნარად, ოდნავ ეხები, მერე კი  
თვითონ ვერ ამჩნევ, როგორ მგზნებარედ და გახელებით დაუწვებ ხელების  
ფათურს, გულში იხუტებ, ისე იხუტებ, თითქოს სისხლისგან გინდა დაწურო-  
ჩავთვლემს და ისეუ ჩქარა გელვიძება, ასე ყოველ ღამე, განთიადამდე. სისხამ-  
დილით კი დაუბერავს ცივი ქარი და სხეულებს გვიგრილებს. აი, როგორ გავა-  
ტარეთ ის ღამეები ტალპის გზაზე მე და ნატალიამ, სანამ ტანილო ღვთისმშო-  
ბელთან მიგვეყავდა განსაკურნებლად.

ახლა ყველაფერმა გაიარა. ტანილო განიკურნა მარტონ ავადმყოფობისა-  
გან კი არა, სიცოცხლისაგანაც და უკვე ვეღარ ვიამბობს, როგორი წამებაა  
ცხოვრება, როცა მთელი სხეული წყლულებითა გაქვს დაფარული, როცა მო-  
წამლულივით ჩირქოვანი სითხე გდის, ოდნავ თუ გავეკაწრა ხელი ან ფეხი,  
წამოვივა სითხე და სულ მალე წყლულად შექცევა. თავიდან კიდევ არა უშავს,  
როცა წყლული პატარაა, მერე და მერე ისე იზრდება — შეხედვა შეგეზარება,  
თანაც წყლულიდან ქაერის ბუშტები ისე ამოდის, როგორც რაიმე სიღამპლი-  
საგან.

მაგრამ მოკვდა ტანილო და ახლა ყველაფერი ძველებურად კი არა, სულ  
სხვაგვარად გვეჩვენება. ახლა ნატალიას ცრემლები ღამისუბით ჩამოსდის, შე-  
საძლოა ტანილო იმქვეყნიდან ხედავს ნატალიას დიდ სიხანულს — თქვა ვიდევ  
ნატალიამ, ამ დღეებში ტანილოს სახე მომეჩვენაო, თითქოს გამომეცხადაო.  
მაგრამ აბა, რა შვება უნდა ეგრძნო მისი სახის შემხედვარეს, სახე რომ აუტა-  
ნელი ტკივილისაგან ოფლით ექნებოდა დაცვარული, პოდა, მოსჩვენებია, თით-  
ქოს ტანილო ტუნებით მისი ტუნებისკენ იწვედა, სახეს თმაში უმაღავდა,  
ძლივს ვახაგონად რაღაცეებს ვჩურჩულებოდა და დახმარებას ევედრებოდა.  
ამასთან; თითქოს განკურნებულყო, საღსაღამათს აღარაფერი ტკიოდა, და  
ეუბნებოდა: „ახლა შემძლია, ნატალია, შენთან ყოფნა, და მომეხმარე, მოვიდე  
შენთან“.

ჩვენ იგი ტალპაში დავასაფლავეთ და უკან ისე დავბრუნდით. ღრმად საი-  
მედოდ ჩავფალით, ოღონდ საფლავი ცოტა ვიწრო გამოვკვივიდა.

იმ დღიდან ნატალიას დავავიწყდი. აღრე თვალეები მთვარის შუქით აელვა-  
რებულ ორ ტბას მიუგავდა, ახლა ჩაუქრა. თითქოს ბინდა ჩასწოლიდეს. ისე  
იფურება, გეგონება, გარშემო ვეღარაფერს ამჩნევსო. ასე გამოდის, ტანილოს-  
თვის ცხოვრობდა: სანამ ავადმყოფობდა, უვლიდა, მოკვდა და დამარბა, ახლა  
კი უიმისოდ ცხოვრება ცხოვრებად აღარ ეჩვენება.



მთელი ოცი დღე მოვუწოდით, ხანამ ტალბისკენ მიმავალ გზატკეცილზე გავიდოდით. მარტო ჩვენ, სამნი მიუდოდით. გზატკეცილზე როგორც კი გავედით, ყოველი მხრიდან ხალხმა იწყო დენა. გზატკეცილი ფართოა, მაგრამ ხალხი მდინარესავით უწყვეტ ნაკადად მოედინება. აქ უკვე ვხვდებით არა, უნდა იარო, ნაბიჯი არ უნდა შეანელო, რადგან აქეთ-იქეთ მჭიდროდ ამოვიღებოან, უკანიდან გეჯახებიან და ვერსაით ვერ წახვალ. გზაზე აღნიღ მტვრის საფარს ყველა თითქოს ერთად გაუხვევია და საითკენღაც მიჰყავს. ჩამინდის ბზესავით თეთრი მტვერი, გზაზე სვეტებივით რომ აგრაგნაღია, ერთი წუთითღ არ კლებუღლობს, ან როგორ იკლებს — ზღვა ხალხი გახუწყვეტღიღვ შოდის და ფეხსაცმღლით მტვერს აყენებს. მთელი დღე ასეა. თაღით-ფეხამღღ მტვერში ხარ გახვეული. თანღც მზე გაცხუნებს, ცაზე ღრუბღლის ნაღლეღჯღც არა ჩანს, ზეღცას მარტო მტვერი ფარავს, მტვერის ჩრდიღლი კი აბა ვის გაუღკონია?

მივღვიღართ და მოუღიმენღლად ვღლით დაღამეღებას, რათა მზეს თაღვი დაღადღწიღით და თეღთრი გზაც აღარა გვჭრღიდღეს თვალს.

დღეები კი თანღდათან დაღდღება. შინიღდან თეღბერვღლის შუა რღიცხეღებში გამოვეღდით, ხანამ გზაში ვიფავღით, მარტღიც დაღღა. ახღლა აღრე თენღდება. საღდაღმთი თვალღის მოხუჭეღვასაც ვერ ასწრებს და ხეღდავთ, მზე გაღღვიღებღს უკვე როღცა გვღონია, ეს-ესაა ჩავღიღათ.

არახღიდღეს მიფიქრღია, რომ დღეები შეიღძღლება ასე გაჭღიანურეღბულიღვი — ამ დღეებში ღამის სული ამოგვართღვა: ხალხი გზაზე ბუზღივღით ირეღვა, მტვერში მზეზე მატღლიღვით ფუტფუტღებს. გვერდიღდან რომ შეხეღდავ იტყვი, მტვერის საფარვეღს ყვეღლანი ერთი გზისღღვის გაუყენეღბია, ქვეყნიერეღბიღდან გამოუღცაღღკავეღბია და საღდაღც მიერეკეღბია. საითღაც უნდა გაიხეღლი, მტვერის კორიანტღელი დღას. მტვერის გარღდა ვერაფერს ხეღდავ. ცასღაც კი ნაცრისფერი გადაღკვრღია, ჩვენს ზეღმთ იგი ტყეღის ფიღლახავღით ჰკიღღია და გვვღონია, საღდაღცაა თაღვზე დაღვემხობღა. გზაზე საღდმე მდინარე თუ შეღმოგვხვღდა, მტვერის ღრუბღელი მაშინღდა იფანტღება. ჩვენც გახურეღბულიღვი და დაღმტვერიღლები ვფურფუღმღღლაობთ ცივ წყალში და შევღბას ვგრძღნობთ. ტანზე ოშხიღვარი აგვღღის, მაგრამ სულ ცოტა ხანში ისეღ მტვერსა ვღღლაპაღვთ და თაღვიღდან ფეხეღბამღღ მტვერში ვეღხვეღვით. მზე კი, ვითომღც აქ არაფერიღო, აცხუნებს და აცხუნებს: ხსნა მარტო ერთ რამეშია: ერთიღმეორეს ვეფერეღბით, თუმღცა მზე მაინც ყვეღლას გაწვღღება.

და თითღოღული ერთ რამეღსღდა ფიქრობღს: დაღამღღება, დაღამღღება და ჩვენც გვეშვეღლება — ოღღონღ დღეღვანღღელი დღე გაგვატანღინა, საღდამღმღღე შოგვათმენინა, როგორღმე მზეს გადაღურჩეღთ და საღდაღმთი დაღვისღვენეღბთღ. ეს მღრე ჯერჯერობღით კი, თუნდაღც უკანასკნელი ძალღღონის დაღძაბეღით, უნდა იჩქარო, წინ გასწიღ, არ უნდა ჩამორჩე წინ მიმავალღთ, ხელი არ უნდა შეღუშაღლო შენს უკან მყოფებს — ისინი, შენს წინა და შენს უკან მავალღნი, ათახობღით არიან. უნდა იაროთ, იაროთ. დასვენეღბით კი, ყვეღლა ტანჯვისღგან სიკვღდიღლის მეღრე დაღესღვენეღბთ.

აღ, რაზე ვფიქრობღდღით მეღც, ნატაღლიაღც და, აღღბათ, ტანღიღლიღც, როღცა მღღოღცვეღლთა ბრბოსთღან ერთღად მიღვუფეღვებღლით ტაღლბას გზატკეციღლს. ვჩქარობღდღით, რათა პირვეღღნი მიღვსულიღყავღით ღვთისმშობღლის თაფვანისსაღცემად, ხანამ მას სასწაულეღბის მოხღღენა არ დაღესრულეღბინა.

მაგრამ ტანღიღლი უარეღსაღ შეიქმნა. ფეხეღბი სულ დაღსკღდა, და იარეღბი უარეღსაღ გაუარჯღღდა. მაშინ თქვა, მეტს ვეღღარ ვიღღლიღ. ჩვენც დაღუწეღვთ მკურ-

ნაღობა და იარები როგორღაც შეუხორცდა. მაგრამ ეს მიხეც თავისას იძახდა, აღარ წამოვალ და აღარ წამოვალ.

„მირჩევნია აქ ორიოდე დღე მოვიცადო და მერე შინ დავბრუნდე“

მაგრამ მე და ნატალიამ არ მოვისურვეთ უკან დაბრუნება. [ორივეს] თითქოს რაღაც ბოროტი სული ჩაგვისახლდა, ტანილო იქნებოდა — ძე [სხვა] კვინმე ჩვენ მაშინ არავის შებრალება არ შეგვეძლო. წინ, ტალბისკენ ვისწრაფოდით. იმ დღეებში ტანილოს კიდევ შეუძლო სიარული. ნატალია ფეხებს არვით უწმენდდა, რათა ნაკლებად დასიებოდა, ამხნეუვებდა, არწმუნებდა, მარტო ღვთისმშობელს შეუძლია შენი განკურნებაო, მარტო მას შეუძლია სასწაულის მოხდენა და გიხსნას ამ აყადმყოფობისაგან, ტალბის ღვთისმშობლის გარდა არავის იმედი არ უნდა გქონდესო. ღვთისმშობელი, რაღა თქმა უნდა, სხვაგანაც არის, ყველა ადგილს ჰყავს თავისი ღვთისმშობელი, მაგრამ შენი ხსნა მხოლოდ ტალბის ღვთისმშობელს შეუძლიაო, ასე დაარწმუნა ნატალიამ.

ტანილო უსმენს და ტირის, სახეზე ცრემლებს კვალი აჩნდება. მერე გაუგონრობისათვის თავის თავს უჯაურდება. ნატალია შალის ბოლოებით ცრემლებს სწმენდს, ორივე ვაყენებო მიწიდან და წინ მივათრევთ, რათა მოხალაძობამდე ცოტაოდენი გზა კიდევ გავიაროთ.

ასე, ლამის თრევა-თრევით მივიყვანეთ ტალბამდე.

ბოლო დღეებში მე და ნატალიასაც გამოგვეცალა ძალა. ისე გავმწარდით, წელში ისე მოვიკაკვეთ, თითქოს მხრებზე უშველებელი ტვირთი გვაწვა, და ფეხებზე გირები გვეკიდა. ტანილო წარამარა ეცემა ძირს, ჩვენც ვაყენებო, ხანდახან კი ზურგზე ვიკიდებო, ამიტომაც ფეხებს ძლივსღა მივათრევთ, ძვალი და ტყავიღა დაურჩით. ჩვენს გვერდით ხალხი მხნელ მოაბიჯებს, ჩვენც მგტირა ძალა გვაქვს, ჩამორჩენისა გვეშინია და მივდევთ უკან.

ჩამოდგება ღამე და თანდათანობით კლებულობს ადამიანთა წყალდიდობაც. მინდორში, გზის პირას კოცონები იანთება, ცაცხლის გარშემო ხალხი იკრიბება, პირს ტალბისკენ იბრუნებენ, ხელებს გულზე ჯვარედინად იკრეფენ; თვალებს ზეცისკენ ადაპრობენ — და საღამოს ღოცვებს კითხულობენ. მინდორი ივსება ხალხის დუღუნით, ქარი მას აქეთ-იქით ფანტავს, ერთმანეთში არეული ხმები დუღუნად კი არა, რაღაც ვაურკვეველ კვხესად თუ ზმუილად ისმის. მერე ყველაფერი წყნარდება: შუაღამისას საიდანღაც ხანდახან ვილაცის სიმღერა თუ მოსწვდება აქაურობას. გამოგალვიძებს რაღაც ხმები და ისევ ხუჭავ თვალებს, მაგრამ გათვხებამდე ძილი არ გეკარება.

ტალბაში ღვთისმშობლის სადიდებლად სიმღერით შევედით.

შინიდან თებერვლის შუა რიცხვებიდან გავუღექით გზას. ტალბაში კი მარტის მიწურულს მივალწიეთ. ამ დროს ბევრი მლოცველი უკან ბრუნდებოდა. ჩვენ იმითმ ჩამოვრჩით, რომ ტანილომ აიკვიატა, მლოცველად არ მიხდა მისვლა, მონანიება მწადიაო. დაინახა თუ არა, რომ მომხახიებლებს სკაპულიარების დარად შემოეხვიათ ნიპალის ეკლიანი ყოთლები, თვითონაც მოინდომა უფრო მეტიც, პერანგი გაიხალა და სახელოებით ფეხები დაიბორკა, რათა სიარული უფრო გამძლეობდა. მერე თავზე ეკლის გვირგვინი დაიდვა და თვალები აიხვია. ქალაქს რომ მივუახლოვდით, მუხლებზე დაეცა, ხელები ზურგზე დაიწყო და ჩოქვით სიარულით მუხლისკვერები გადაიტყავა... — შევედით ტალბაში და ვეღარ გამეგო, ეს ჩემი მშა ტანილო საჩტახი იყო თუ სხვა კვინმე: თაყიო ფეხებამდე სახვეუებში გაბლანდულა, სახეზე და მთელ ტანზე

ეკლესიისგან შავი სისხლი ჩამოსდის, სიღამპლისაგან ისეთი სუნი ასდის, როგორც მურღლად მკვდარ საქონელს.

ჰოდა, ამას ვილა იფიქრებდა. მოხედვა ვერ მოვასწარი, რომ ვხედავთ, მოცეკვავეთა წრეში მიძვრება, ფერხულში დგება, ხელში დაფრულ უჭირავს და წყლულებისაგან გაშავებულ ფეხებს რაც ძალი და ღონე უჭყვეს უტყაბუნებს. გაშმაგდა. ისე ტრიალებს, თითქოს მთელი თავისი დარდისა და ვარაძის მოშორება, სულაც აუადმყოფობის დათრგუნვა სწადია, რათა სიცოცხლე ცოტათი მაინც გაიხანგრძლივოსო.

მაგრამ დიდხანს არ უცეკვია. ერთ წუთს ვუყურებდით მე და ნატალია წრეში მდგარს. მერე ვხედავთ, ხელები ზევით ალაპყრო და მიწაზე დაუნარცხა. ფართხალებს მიწაზე, დაირას ხელიდან მაინც არ უშვებს. თითები სისხლში აქვს მოთხვრილი. წრიდან გამოუათრიეთ, თორემ მოცეკვავეები ხეირს არ დააყრიდნენ; ისინი თუ გახურდნენ, მერე თავიც აღარ ახსოვთ, მიწაზე ფეხებს ისე აბაკუნებენ, აღარც ქვებს დაგიდევენ და ვეღარც იმას ამჩნევენ, რასა თელავენ.

ეკლესიაში ტანილო დაღამბლაუებულივით ხელში ატატებული შევიყვანეთ. ნატალიამ მუხლებზე დაიჩოქა, ტანილოსაც დააჩოქებინა ზუსტად ტალბას ღვთისმშობლის პირდაპირ. ღვთისმშობელი კი პატარაა, სულ ერთი ბეწო — ახლად მოიქროვილ თოჯინას ჰგავს. ტანილომ ლოცვა დაიწყო, და თვალებიდან ცხარე ცრემლები წამოუვიდა — ეტყობა, გულით ტიროდა. ცრემლებმა ნატალიას მიცემული სანთელი ჩაუქრო, მაგრამ ის ვერაფერს ამჩნევდა. გარშემო იმდენი სანთელი ენთო და ისეთი კაშკაში გაუდიოდა, რომ იგი თითქოს გაშტერდა: ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა ირგვლივ. ღოცულობდა, ხელში კი ჩამქრალი სანთელი ეჭირა. ხმამაღლა, ღამის ყვირილით ღოცულობდა, რათა თავისი ღოცვა თვითონვე გაეგონა.

მაგრამ ამან ვერ უშველა, მაინც მოკვდა.

მღვდელი კი ამ დროს ქადაგებდა: „დედა ღვთისმშობელს გულის სიღრმიდან მუდამ აღვუყვანთ მწუხარებით აღსავსე ერთსა და იგივე მუდარას, სასოებით შევთხოვთ ნუგეშს, და ისიც გულმიწვალებით ყურად იღებს ჩვენს ცრემლებსა და ვაებას, რამეთუ იგი ჩვენთან ერთად იტანჯება. იგი ბნელს გაფანტავს ჩვენი სულებიდან, გვიძსუბუქებს და განგვიწმენდს გულებს, რათა დირსნი გაგვხადოს თავისი სიყვარულისა და სიკეთისა. დედა ღვთისმშობელი ჩვენს ცოდვებს გულშიც არ გაივლებს, იგი ყველას ცოდვებს საკუთარ თავზე აიღებს, თავისი კალთის გადმოფარებით სურს დაგვიცვას ცხოვრების უკეთურობისაგან. აი, იგი ჩვენს გვერდითაა, და დაძაბუნებულებს ძალას გვანიჭებს, სულიერ ტკივილებს გვიამებს, ღონეს მატებს ტანჯვით განაწამებ, განკურნებისათვის მავედრებელ სხეულს. მისდამი რწმენა დღითიდღე მტკიცდება ჩვენში, და მაინც, დედა ღვთისმშობელმა იცის ეს, ვინაიდან ჩვენ უშურველად ვწირავთ მის საკურთხეველს“.

ასე ლაპარაკობდა ჩვენს ზემოთ, თავის კათედრაზე მდგარი მღვდელი.

დაამთავრა თუ არა ქადაგება, ყველამ ერთხმად დაიწყო ღოცვა. ეკლესია ისე აგუგუნდა, თითქოს კრაზანებისათვის ბუდე მოუშლიათო. მაგრამ ტანილო უკვე აღარ უსმენდა ქადაგებას. ვხედავთ, დაიხარა და თავი ღამის მიწას დაარტყა. ნატალიამ ხელები შეაშველა წამოსაყენებლად, ის კი უკვე მკვდარი იყო.

ქუჩაში ხალხი ცეკვავს, დოლებს ბრაგაბრუვი გაუდის, უკრავენ საღამუ-

რები, რეკენ ზარები, მე კი უცებ საშინლად დავლონდი. ირგულივ ცხოვრება დუღს, სინათლეები გაკაშკაშებულიან, ღვთისმშობელი მე და ნატალიას გვიღიმის, ტანილო კი ჩემს გვერდით მკვდარი წევს. ჩავკამწარა დღესასწაული. გულზე დარდი შემომამწვა.

მაგრამ ჩვენ ხომ იქ სწორედ იმითომ წავიყვანეთ, რომ <sup>მეც ვინაა</sup> ~~მეც ვინაა~~ ეს ძალიან კარგად მახსოვს.

და აი, შინ დავბრუნდით. დავბრუნდით მარტონი, უტანილოდ. ნატალიას დედა არაფერს მეკითხება, არც იმაზე, ძმა რა უყავით, არც სხვა რამეზე. ნატალია კი კიხერზე მოეხვია, ატირდა და ყველაფერი უამბო, რაც მოხდა.

მე კი მენიჭებოდა, რომ თითქოს შინ არც დავბრუნებულვართ. თითქოს ისევ გზაზე ვისვენებთ, დავისვენებთ თუ არა, ისევ გზას გავუდგებით: საით, არ ვიცო; მაგრამ აქ ნამდვილად არ გავჩერდებით. აქ სინდისის ქენჯნა შეგვაწუხებს, ტანილოს ხსოვნაც არ მოგვასვენებს.

მე და ნატალიას აქ სულ ერთმანეთის უნდა გვეშინოდეს. საქმეს ეგეთი პირი უჩანს. აკი მას მერე, რაც მე და ნატალიამ ტანილო დავასაფლავეთ, ერთმანეთისთვის ხმა აღარ ვაგვიცია. შეიძლება იმითომაც ვდუმვართ, რომ ტანილო გონებიდან ვერ მოგვიშორებია. თვალწინ მიდგას ყველას დასახინხად როგორ ვახევეთ ჭილოფში, ნაკელის ბუზები გუნდგუნდად ასევია, ზოგიერთები ჭილოფის შიგნითაც ბზუიან; ჩვენ კი გვეგონია, ტანილო ხვრინაუსო. რამდენი არ ვეცადეთ მე და ნატალია, მაგრამ მიცვალებულს პირი ვერაფრით ვერ დავუბუნეთ. ჰოდა, გვეგონია, ცდილობს როგორმე ჰაერი ჩაისუნთქოსო. მიცვალებული სულ თვალწინ გვიდგას. ის ხომ მაშინ ტკივილს უკვე ველარა გრძნობდა, მაგრამ სახე მაინც ტანჯვისგან დაბრეციოდა, <sup>ხელ-ფეხზე</sup> ~~ხელ-ფეხზე~~ თითები დაგრებოდა; თვალები ღიად დარჩენიოდა და ისე ფართოდ ჰქონდა გახულილი, გვეგონება, საკუთარ სიკვდილს მისჩერებია სახეშიო. ტანი წყლულებით ჰქონდა დაფარული; წყლულებიდან მოყვითალო მერაღი სითხე სდიოდა. ამ სუნმა მოსვენება დაგვაგარგვინა, ღამის მის გემოსაც კი ვგრძნობდით: იგი თაფლივით სქელი და მოტკბო იყო, ოღონდ მწარე გემო დაჰკრავდა. გვეგონა, ჰაერს ველაპავდით და ეს სიმწარე მთელ სხეულში ძვლებამდე ვეატანდა.

აქ რომ დავრჩეთ, ეს იმას ნიშნავს, მთელი სიცოცხლე ტანილოს ეხედავდეთ, სულ ის გვაგონდებოდეს, როგორ ვმარხავდით მე და ნატალია ტალბის სასაფლაოზე, როგორ ვაკსებდით მის სამარვს მიწით და ქვებით, რათა გარეულ მხეცებს საფლავი არ ამოეთხარათ.

### ცაცხლეოკიდებაული ველი

ძუკნა მოკლეს და  
ლეკვები დარჩნენ...

„გაუმარჯოს პეტრონილიო ფლორესს!“ — გადაუარა ძახილმა ხრამებს და ფურღობებზე ექიდ გახშირდა.

ყვირილი რომ მიწყნარდა, ქარმა ქვემოდან ხალხის ყაყანი ამოიტანა და ვგრე მოგვეჩვენა, რომ იქ, ქვემოთ ქვალორდიან კალაპოტში აბობოქრებული მდინარე გრუხუნებდა.

„გაუმარჯოს გენერალ პეტრონილო ფლორესს!“ — კვლავ აიჭრა ხრამის თავზე და, ფერდობებს მიხარცხებული ზეავით ჩაიქცა ქვემოთ.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ.

სუკა ხელა წამოდგა, ყუთიდან თავისი კარაბინის მჭიდი ამოიღო, ხალათის ჯიბეში ჩაიღო, „ოთხეულთან“ მივიდა და უთხრა: „წავიდეთ, ზიტებო, ვნახოთ ერთი, უფალი ღმერთი ვის გვიგზავნის. კეთილ ტორეროს არ დაეძრახება დაინტერესდეს, საომრად როგორ ხარს გამოუშვებენ“.

უკან გაპყვვნენ ოთხნი ძმანი ბენავიდები. ისინი წელში მოხრილები მიდიოდნენ. მარტო სუკა მიაბიჯებდა წელში გამართული. თუმცა გალაყანი მზისგან გარუჯულ მის სხეულს წელამდე ფარავდა. დანარჩენები ადგილიდან არ დავძრულვართ. ჩვენ კედლის გაყოლებით ისევ ისე ვიწვექით გულადმა მზეს მიფიცხებული იგუანებივით.

ქვიტკირის კედელი, დაკლაკნილად რომ მოჩანდა ფერდობზე, ხან ზევით მიიწევდა, ხან ქვემოთ ეშვებოდა. სუკა და ოთხეული ამ დაკლაკნილი კედლის გაყოლებით დაწალიკებული მიდიოდნენ. შორიდან გვეგონებოდათ, კველი ან რაღაც ფეხებგაკრული უცხო ცხოველი მილოდავსო. მალე ისინი გაუჩინარდნენ, ჩვენ კი კვლავ ზეცას მივაპყვართ მზერა. მზეს საპინდუსის ტოტები გვიჩრდილავდა, თუმცა ხშირი ჩრდილი არა ჰქონდა. თანაც ეს ჩრდილი სიგრილეს კი არა, საპინდუსის საპნის მყრალ სუნს უფრო აფრქვევდა.

შუადლისხანს ძილმა წავგართვა თავი. მაგრამ ქვემოდან, ხრამიდან ჩვენამდე წამდაუწუმ აღწევდა ყაყანი და გვაფხიზლებდა. სმენა დავძაბეთ, ვლამობდი თითო-ორილა სიტყვა მაინც გაგვეჩია. მაგრამ ამოდ, გაურკვეველი ხმაურისა თუ ღრიალცელის გარდა არაფერი ისმოდა, და გვეჩვენებოდა, თითქოს სადღაც შორს მოკირწყლულ ვიწრო ქუჩაში თავაწყვეტილი ფურგონი მირახრახებდა.

ატყდა სრილა. ხრამმა ისეთი გრგვინვით მისცა ხმა, თითქოს ორივე ფერდობი ერთდროულად ჩამოიქცათ. ანახლეულად ყველაფერი შეიცვალა. ჰაერში აიჭრა ჭრელ არაბთა გუნდი, რომელიც ის-ის იყო უზრუნველად ერთობოდა მწვანე საპინდუსებში. შუადლის თვლემისგან გამოფხიზლდნენ ჭრიჭინობელები და გადარეულებივით მოპყვვნენ ჭრიჭინს.

— რა იყო? — იკითხა ნამძინარეუმა პედრო სამორამ.

ჩიუილა წამოდგა და წინ წასულ ხუთეულს გაჰყვა. კარაბინს თან როკებიანი ჯოხივით მიათრევდა.

— წავალ, ვნახავ, რა ხდება, — თქვა და თვალს მიეფარა.

ჭრიჭინობელთა ჭრატინმა ისე გამოგვათიყვანა, ვარაუდიც ვერ გავუწიეთ, რომელ საათზე დაიწყო ეს ყველაფერი. მტრის მოახლოება გამოგვეპარა და ახლა მის პირისპირ თითქმის უიარაღიანი, ბრძოლისთვის მოუმზადებელი აღმოუჩნდით. ჩანს, არც ფედერალისტები ემზადებოდნენ ჩვენს შესახვედრად, და წინ სულ სხვა რაღაც საქმეებს ელოდნენ.

გულადმა გადმოებრუნდით და ქვიტკირის კედელში გამოჭრილ ამბრაზურებს მივეკარით.

აი, გამოჩნდა პირველი რიგი, მას მეორე და მესამე მოჰყვა. დაღლილები და წელში მოხრილები ნამძინარებივით მიაბიჯებდნენ. ოფლიანი სახეები უპრიალედათ, თითქოსდა წყაროს წყალი ის-ის იყო სხეულდახელოდ შეესხათ სახეზე.

ისინი შეუსვენებლივ მიდიოდნენ.

გაისმა გაბმული სტვენა. ეს ჩვენი დათქმული სიგნალი იყო. შორს, იმ მხარეს, საითაც სუკა მიეფარა თვალს, ატყდა თოფების ჭახჭახი. ჩვენც მოკმარჯვეთ კარაბინები.

ეს ძალზე უბრალო რამ იყო. ერთიმეორეს ოთხიოდე ნაბიჯიდა გვაშორებდა. ჯარისკაცები მთელი ტანით ლამის სულ ფარავდნენ ჩვენს ამბრაზურებს. ჩვენც მიბჯენით დავუწყეთ სროლა; უეჭველია, საიქიოში გამგზავრების წინ აზრზე მოსვლასაც ვერ მოასწრებდნენ.

მაინც სწრაფად მოეგნენ გონს. ჩვენი ორი ბათქის შემდეგ კედლის იქითა სვრცე თითქმის მოცარიელდა. ამბრაზურებიდან რომ გავხედეთ, გზაზე მარტო კამები ეყარა. კაცი იფიქრებდა, სადღაც ზემოდან გადმოჰყარეს და ამიტომაც მობრეციათ ასე სასწაულად თავი და ხელ-ფეხიო.

ცოცხლები სადღაც გაქრნენ. ჩვენ მათ ხელახლა გადავაწყდით ძალე, მაგრამ ჯერჯერობით გზაზე კაცის ჭაჭანება არ ჩანდა.

ველარ ვითმუნდით, გვინდოდა კარაბინები მესამედაც დაგვეცალა, მაგრამ ლოდინი მოგვიხდა: „გაუმარჯოს პედრო სამორას! — ვერ მოითმინა და იყვირა ვიღაცამ ჩვენი რიგებიდან.

პასუხად კედლიდან მოგვესმა მისუსტებული ხმა, ლამის ჩურჩული. „უფალო, მიხსენ და გადამარჩინე! ატონის უწმინდესო ყრმაო, დამიფარე!“

გადაგვიფრინა ფრინველთა რამდენიმე გუნდმა. შაშვები იყვნენ. მთისკენ მიფრინავდნენ.

მესამე ბათქმა უკანიდან დაიგრგვინა. ამჯერად უკვე ისინი ისროდნენ. წამოვვარდით, კედელს გადავევლეთ და გზაზე აღმოჩნდით, ზედ ვახტებოდით წუთის წინ ჩვენს მიერ დახოცილ გვამებს.

ზედ ვახტებოდით ბუჩქებს, ტყვიებს ჩვენს ფეხებთან გაუდიოდა ჭახჭახი, და, არც მეტი და არც ნაკლები, დამფრთხალი კალიებივით ხტოდნენ. ტყვია სულ უფრო და უფრო ხშირად აღწევდა მიზანს და ხან აქ, ხან იქ ვინმე ჩვენიანი, დამტვრეული ძელების ჭახუნით, ეცემოდა ძირს.

სულმოუთქმელად მივრბოდით. უცებ ხრამს მივადექით, ჩვენც ვეცით ფლატეს და უფსკრულს, გზას ვილა დაგიდეკდათ.

ისინი კი ისროდნენ და ისროდნენ. უკვე მეორე მხარეს გადავედით, ისინი სროლას მაინც განაგრძობდნენ. ჩვენ სოროებიდან გამორეკილი მაჩვენებით ოთხზე მივბობლავთ.

„ეი, თქვენ, ძაღლის შვილებო, გაუმარჯოს გენერალ პეტრონილო ფლორესს!“ — მოგვძახოდნენ უკანიდან, და მათი ყვირილი ხრამს ჭექა-ქუხილივით ევლებოდა.

ვიწყით, ვეფარებოდით ვეება კაჭრებს და სული ველარაფრით მოგვებრუნებინა. თვალეზღაჭყეტილები უსიტყვოდ შევცქეროდით პედრო სამორას და უსიტყვოდვე ვეკითხებოდით — ეს რა დარღუბაააო. ისიც შემოგვეცქეროდა და ღუმდა. თითქოს ყველას გადაგვეყლაპა ენა, სამპრაობაწართმეულებს ვგავდით, როცა სიტყვის ამოღება გინდა, მაგრამ ენა აღარ გემორჩილება.

პედრო სამორა თვალს არ გვაშორებდა. მზერას ხან ერთზე შეაჩერებდა, ხან — მეორეზე, გვთვლიდა ალბათ. თვალეზღაჭყეტილები კი განსაკუთრებული ჰქონდა: ქუთუთები გაწითლებოდა, თვალის თეთრი გარსი ჩასისხლიანებოდა — ასეა, როცა ნიადაგ გაკლია ძილი. მან უკვე დაგვთვალა, რამდენილა დაურჩით, მაგრამ, ეტყობა, ეეჭვებოდა და თვლას ისევ თავიდან იწყებდა.

ქვებამდე ყველამ ვერ მივალწიეთ. თერთმეტ-თორმეტი კაცი გალავანთან

ან გზაზე ბუჩქებთან დაეცა, სუკას მოკლულებს არ ვითვლი, არც ჩიუილსა და არც იმათ, ვინც მათთან წავიდა; ვინ იცის, იქნება ჩიუილამ საპინდუსზე აცოცებაც მოახწრო, ტოტებში გაეუჩნდა, კარაბინი კალონივით გადო, ხელ ჩამოჯდა და ახლა იმასლა უცდის, როდის წავლენ ფედერალისტები?

ქვებიდან პირველები სუკას შვილები გამოძვრნენ. ორივეს ხოსე ერქვა. ჯერ თაყი წამოსწიეს, მერე მთელი ტანით წამოიმართნენ და ექიმს გაეშურნენ, სადაც პედრო სამორა ეგულებოდათ. ძმები მისჩერებოდნენ მას, თან თითქოს ეკითხებოდნენ, რას იტყვიო. იმანაც თქვა:

— კიდევ ერთი ასეთი შეტაკებაც და ბოლო მოგვედება. — ნერწყვი ისე გადაყლაბა, თითქოსდა სურდა ბოდიაც თან მიეყოლებინა, თორემ შეიძლება დაეხრჩო. — რაო, მე კი ვერა ვხედავ, რომ მამათქვენი არ დაბრუნდა?!.. — უყვირა მათ, — მოშითშინეთ! ჯერ მოვიცადეთ! მოგვიანებით მოვპებნოთ“.

მეორე მხრიდან თოფმა იჭექა, უმაღ იმავე ფერდობიდან ჰაერში აიჭრა ზუავების გუნდი და ხრამის თავზე იწყო ტრიალი. ორმა-სამმა ფრინველმა ჩვენამდეც მოაღწია, მაგრამ შეგეამჩნიეს თუ არა, შეშინებულები უკანვე გაცივდნენ, მზეზე ააელვარეს ფერად-ფერადი ბუმბული, სქითა მხარეს კივილით დასხდნენ ჩის ტოტებზე და კარგა ხანს ვერ დაშოშმინდნენ.

ორივე ხოსე თავთავიანთ ადგილას დაბრუნდა და უსიტყვოდ ჩაცუცქდნენ ქვებს უკან.

საღამომდე დაურჩით იქ დაბინდებისას გამოჩნდა ჩიუილა და მასთან ერთად ერთი „ოთხეულთაგანი“. გვიამბეს, მთელი დღე ხრამში, სიბ ქვებს ამოფრებულები ვიძალეობდით, ვერ გავვეგო ფედერალისტები წავიდნენ თუ არა, თუმცა ირველივ სიწყინარე იდგა, და შორიდან კანტიკუნტად თუ მოაღწევდა კოიოტების კივილი.

— აბა, მტრედო, — მომიბრუნდა პედრო სამორა, — შენთან საქმე მაქვს, შენ და ორივე ხოსე სიბ ქვებთან უნდა წახვიდეთ, დახვეროთ იქაურობა და გაიგოთ, რა დაემართა სუკას. თუ მოკლეს, დაასაფლავეთ. დანარჩენებსაც მიხედეთ. დაჭრილებს ნუ გამოიყვანთ, თუ ვინმეს იპოვით, მაღლობზე დააწვინეთ, რომ ფედერალისტებმა შეამჩნიონ.

— არის, შეეასრუდით.

გზას სამნი დავადექით.

სულ მალე მივაღწიეთ ბანაკს, სადაც ადრე ცხენები დავტოვეთ. კოიოტების კივილი ახლა გაცილებით ახლოდან ისმოდა. ჩვენი ცხენები სადღაც გამქრალიყვნენ. ბაკში მართო დაჩაჩანაკებული ვირიდა დაფრატუნობდა, რომელიც ჩვენ აქ მოხვლისას დაგვხვდა. ცხენები, აშკარად ჩანდა, ფედერალისტებს წაესხათ.

ჯაგების მახლობლად „ოთხეულიდან“ სამის გვამს წავაწყდით. ისინი თითქოს განგებ დაეწყით ერთმანეთზე. სათითაოდ დავაკვირდით სახეზე, ხელითაც შევეხეთ, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარც ერთს არ ემჩნეოდა. სამივე მკვდარი იყო. წყაროსთან, სადაც ცხენებს ვარწყობდით, კიდევ ერთი ჩვენი ამხანაგი ვიპოვეთ, ეპობილი მკვრიდან ნეკნები გამოსჩროდა, ეტყობა, ხმლით იყო აჩეხილი. კედლის ორივე მხარეს მთელი ფერდობები ძარისძირობამდე მოვათვალაიერეთ, ყველგან ჩვენების გვამები ეყარა. სახეები დენთისგან თითქმის ყველას გამაყებოდა.

— დაჭრილები წაუყვანიათ, — თქვა ერთ-ერთმა ხოსემ.

ახლა მარტო სუკას დაუწყეთ ძებნა. მხოლოდ სუკას და სხვა არავის, როგორც გვქონდა ნაბრძანები.

მაგრამ ვერსად ვიპოვეთ.

„თან წაიყვანდნენ, ხელისუფლებისათვის გადასაცემად წაიყვანდნენ“, — გაკვივლვა აზრმა. მაინც განვაგრძეთ ძებნა. ყველა ჯაგი მოვჩხრიკეთ. უიოტები უკვე სულ ახლოს კიოდნენ.

მთელ ღამეს კიოდნენ.

პეტრონილიო ფლორესს მეორედ რამდენიმე დღის შემდეგ, მდინარე არმერიას გადალახვისას შევხვდით. როგორც კი შევამჩნიეთ ისინი, უმაღლესი უკან მოვბრუნდით, მაგრამ უკვე გვიანი იყო. შეტაკებას ვერიდებოდით, ისე გამოდიოდა, რომ სულ უბრალოდ უნდა ამოვეხოცეთ. წინ მოხდენილ ულავს — ჩემს ცხოვრებაში ამაზე უკეთესი ცხენი არ მენახა — ოთხით მიაჭენებდა პედრო სამორას. ჩვენ კი უწესრიგოდ შეჯგუფებულები კუდში მივყვებოდით. მოწინააღმდეგეებმა პირდაპირ სასხლში გვაბანავეს, თუმცა იმ წუთში ამაზე ფიქრის თავი არა მქონია: მე ჩემი მოკლული ცხენის მუცელქვეშ მოქცეულმა მდინარეში ამოყვავი თავი და ღამის დავიხრჩე. დინება მიგვაქანებდა, და ღმერთსა მადლი, გადასასვლელიდან კარგა შორს, ქვიშით დაფარულ, მყუდრო, თავთხელ ყურეში გამოვვრიყა.

ასე დასრულდა ჩვენი მეორე და უკანასკნელი შეტაკება პეტრონილიო ფლორესის სალდათებთან. ამის შემდეგ კარაბინებისათვის ხელი აღარ გვიხლია, თუმცა, კაცმა სიმართლე რომ თქვას, უკვე კარგა ხანია სერიოზულად არც გვიბრძოლია; ბრძოლას გაუბრძოდით, მარტო ერთ რამეს ვცდილობდით: გავცლოდით აქაურობას. ბოლოს ორიოდე კაციღა დავრჩით და გადავწყვიტეთ თავის გადასარჩენად მთებში წავსულიყავით. იმისათვის, რათა შეუმჩნეულად გავველწია, ჯგუფებად დაეყავით. თითო ჯგუფში რამდენიმე კაცი იყო. ახლა არავისთვის საფრთხეს აღარ წარმოვადგენდით და ჩვენს დანახვაზე ყვირილით აღარავინ მიბრბოდა: „პედრო სამორას რაზმი მოდის!“

უზარმაზარ ველზე ისევ სიმშვიდემ დაისადგურა.

მაგრამ სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა.

რვა ოვის მანძილზე ტოსინის ზედა კანიონს ვაფარებდით თავს, იქ, სადაც ხეობაში იკარგება მდინარე არმერია, რათა რამდენიმე საათის შემდეგ ხელახლა გამოჩნდეს და ოკუანეს მისცეს თავი. ჩვენ აქ სამ-ოთხ წელიწადს, იქნებ მეტხანსაც ვაპირებდით ცხოვრებას, გვინდოდა, ხალხს ჩვენი ამბავი გადავიწყებოდა. დავიწყეთ ქათმების მოშენება. ხანდახან მთებში ირმებზე სანადიროდაც მივდიოდით. ხუთნილა ვიყავით, უფრო სწორედ, ოთხნი: ტყვიების წვიმაში ფედერალისტებს ზურგი რომ ვუჩვენეთ, ერთ-ერთი ხოსე დუნდულის ქვემოთ, ბარძაყში დაიჭრა, ჭრილობა გაუარჯლდა და უფეხოდ დარჩა.

ჩვენ ჩვენს სამალავში ვაფარებდით თავს და სევდა გულს გვიღრღნიდა, რადგან ცხოვრებიდან გარიყულები ვიყავით. ჩამოხრჩობისა რომ არ გვშინებოდა, რაღა დროსი იყო, აქამდე, ხელისუფლებაში გამოვცხადდებოდით და იარაღსაც დაგვრიდით.

მაგრამ ჩვენთან ამოვიდა პედრო სამორას მეკავშირე არმანსიო აღკალა: მას მიმოჰქონდა სამორას წერილები და სხვა დავალებებსაც ასრულებდა.

ერთხელ დილაუთენიაა და ძროხას ვატყავებთ. უცნებ ბუკის ხმა გვესმის,



ისმის შორიდან, საღვაც ვაკიდან. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაისმა ბუკის ხმა, რომელიც რაღაცით ხარის ბლავილსა ჰგავდა: ჯერ ხმამაღლა უკრავდა, მერე ხრინწიან დაბალ ხმაზე გადადიოდა, ბოლოს ისევ აუმაღლდაურებდა. ამით ხმა უფრო ძლიერდებოდა და ჩვენამდე აღწევდა. ბოლოს ხმა მიწყდა, მდინარის ბუტბუტში ჩაიძირა.

მზის ამოსვლის წინ კი ჭაობის კვიპაროსებს შორის გამოჩნდა ცხენოსანი. ეს ალკალა იყო. მკერდზე ვახნებიანი ლენტები ჰქონდა გადაჯვარედინებული, უკან, ცხენის გავაზე კი გარდიგარდმო შაშხანების ჩხრო ჩემოდანივით დაეკრა.

ალკალა ჩქარობდა. კარაბინები ჩამოგვირიგა, დანარჩენი ისევ შეკრა და უნაგირის უკან დააკრა.

— თუ ამ დღეებში რაიმე გადაუდებელი საქმე არა გაქვთ, სამგზავროდ გაემზადეთ. ხეალ სან-ბუენავენტურისკენ მიუდივართ. იქ პედრო სამორა გველოდება. ჯერჯერობით კი გემშვიდობებით, ქვემოთაც ჩავალ, მძებ სანატრებთან და ისევ დავბრუნდები.

მართლაც, მეორე დღეს, საღამოთი დაბრუნდა. და, როგორც შეგვიბრდა, მართლაც კი არა, მძებ სანატრებთან ერთად. უკვე შებინდებული იყო, მაგრამ გარუჯულები და გამხდრები შორიდანვე ვიცინით. მათთან ერთად კიდევ სამი უცნობი ყმაწვილი იყო.

— ცხენებს გზაში ვიშოვით; — თქვა ალკალამ. ჩვენც უკან გავყევით.

სან-ბუენავენტურის გამოჩენამდე ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე ცეცხლმოკიდებული მამული დაეინახეთ. ყველაზე ხალისიანად მარცვლეულით საკსე ბელლები იწოდდა. — ბელლები სკიპიდროთ სავსე კასრებსით ბრიალებდა, ქარს ღამეულ ცაზე აეტაცა ცეცხლიხენები და ნაპურწკლები, დაგრაგნილი მეწაბულისფერი კვამლის ცისკენ მიიწვედა.

ჩვენ კი მიუდიოდით და სან-ბუენავენტურის გზას თავზე დაფენილი ხანძრის შუქი გვინათებდა; ეს შუქი გვიზიდავდა, გვიხმობდა, გვანქარებდა, ერთი სული გექონდა მივსულიყავით და მიწასთან გაგვესწორებინა ყველაფერი, რისი განადგურებაც ცეცხლს ჯერ ვერ მოესწრო.

ქალაქს რომ მივუახლოვდით, პირველი ცხენოსნები მაშინ შეგვხვდნენ. ისინი ჩორთით მოდიოდნენ და ყოველი მათგანი უნაგირის წინ ტახტას რგოლში გაყრილი ქამანდით ფეხებშებორკილ ადამიანს მოათრევდა. ზოგიერთი ხელებს ინაცვლებდა მიწაზე და ჯერ კიდევ ცდილობდა წონასწორობის შენარჩუნებას. ზოგს კი ხელები მიწაზე მოწვევებით ეყარა და თავები აქეთ-იქით უქანავებდათ.

ვიდექით და ვუყურებდით. ისინი რომ მიიმალნენ, ახლა ცხენოსანთა დიდი რაზმი გამოჩნდა. წინ თავის ულაყით პედრო სამორა მოდიოდა, ამდენი ხალხი არასდროს გვეოლია, მათ დანახვაზე გული სიხარულით ამევსო. ანდა როგორ არ გამიხარდებოდა, დიდ ველზე ძველებურად დაქროდა ჩვენი საბრძოლო კავალერია. ჰო, ძველებურად, როგორც იმ ნეტარ დროს, როცა ტალიკ-ტალიკმა ბიჭებმა ამბოხება წამოვიწყეთ. მოული ველი ჩვენი შიშით ძრწოდა. დიახ, იყო ასეთი დღეები და გეწამდა, იგი დაბრუნდებოდა!

სან-ბუენავენტურიდან სან-პედროსკენ დავიძარით. გადავწყვიტეთ იგი და ახლა პეტაკალისკენ ვიბრუნეთ პირი. სიმინდის ალების დრო იყო. სიმინდს ღეროები უკვე გახმობოდა და ქარი რომ დაუბერავდა — უყვარს ამ დროს ქარს ველზე ნავარდი — წელში ტყდებოდა. ჰოდა, ნაპირიდან ცეცხლს მიუსართებ,

აბრიალდება უცებ და ისე წაეკიდება მეძამულეთა ნაკრძალს, რომ თვალს ეამება! შთელი ველი კოცონებად იქცევა, ზემოდან კი ტალღებად იწყებს რხევას სურნელოვანი კვამლი, რადგან ხანძარი, ამასობაში, შაქრის ლერწმასა და ლელქაშსაც მისწვდება.

კვამლიდან კი ეშმაკებით გაშავებული ჭენებ-ჭეხებით ჩვენს უმეცხველივლებით და ყოველი მხრიდან ერთი ადგილისკენ მივრეკავთ საქონულს, ერთი დაუბრკოლებლივ დავკლათ და გავატყაოთ. ახლა ჩვენ ამ საქმეს — ტყავის რეწვას მივდევთ.

ჰედრო სამორამ გვითხრა: „ჩვენს რეკლუციას ფული სჭირდება, და ამ ფულს მდიდრებს წავართმევთ. ჩვენ სისხლს ვღვრით და დაუ, მდიდრებმა იარაღსა და რეკლუციის საჭიროებისათვის ფული მაინც გადაიხადონო. ეგ არაფერია, რომ ჯერჯერობით არაეისი დროშით არ ვიბრძვით, ახლა ჩვენი ერთადერთი ამოცანაა: არ დაუზოგოთ თაყი და რაც შეიძლება ბევრი ფული ვიმოვიოთ. მოვიდნენ მაშინ ფედერალისტები და ნახონ, რა ძალაც გვექნება!“

მაგრამ მოვიდნენ ფედერალისტები, კვლავ მარცხი გვაგემეს და ამოგვეღიტეს: თუმცა ჩვენი დამარცხება ამჯერად უფრო გაუმძნულდათ. ახლა შორიდანაც ეტყობოდათ, რომ ეშინოდათ ჩვენსა.

თუმცა ჩვენ კიდევ იმათი გვეშინოდა. ხანდახან ქარი მათი თოფების საკეტების ჩხაკუნს რომ მოიტანდა, ანდა საფარში მჯდარნი ქვალორდიან გზახეცხენის ნალების ჭახატუსს გაეიგონებდით, სული ლამის ფეხებში გაგვპაროდა. თანაც თითოეულ ჩვენგანს ეს სახეზე გვეწერა. გაივლიდნენ და გვეჩვენებოდა, რომ ცერ-ცერ ჩვენკენ იყურებოდნენ, თითქოსდა უნდოდათ ეთქვათ: „ვიციოთ: მანდ სხედხართ, მაგრამ დრო სანამ არ დამღვარა, არ ვიმჩნევთ“.

ეტყობა, ასეც იყო; რადგან იყო ხოლმე შემთხვევა, მიდიან, მიდიან და უცებ, ანახდეულად ცხენებიდან ჩამოხტებიან, ცხენებს წრედ დააყენებენ, როგორც ბრუსტერებს, ისე ამოუფარებიან და ისერიან, სანამ მაშველი არ მოუსწრებთ. მაშველი როგორილა? როგორა და, ზურგიდან დაგვივლიან, შეუმჩნეველად დაგვარტყამენ რკალს და — შორჩა. ისე ამოგვხოცავენ, როგორც საქათმეში ქათმებს. ჩქარა მივხვდით, რომ მართალია ბევრნი ვიყავით, მაგრამ ჩვენი სიმრავლე დიდხანს არ გაგვეყვებოდა.

რადგან ახლა საქმე გენერალ ურბანოს მეომრებთან აღარა გვექონდა, რომლებიც თავდაპირველად გამოგზავნეს ჩვენს წინააღმდეგ, ისინი მარტო ჩვენს ერთ დაყვირებაზე და აპრეხილი შლაპების დანახვაზე ფრთხებოდნენ. ანდა რისი იმედი უნდა ჰქონოდათ თავთავიანთი რანჩოებიდან ძალისძალად მოწყვეტილა და ჩვენს წინააღმდეგ იძულებით გამოეკეილი ახალწვეულებისაგან. ისინი მაშინდა გვესხმოდნენ თავს, როცა ხედავდნენ, რომ მათზე ბევრად ცოტანი ვიყავით. ის დრო დიდი ხანია მოკვდა. ურბანოს ახალწვეულებს მაგისურად ბრძოლებგამოვლილი სალდათები მოვიდნენ. მაგრამ ყველაზე უარესები მაინც აბლანდელები იყვნენ. მათ მეთაურობდა ვინმე ოლაჩეა. ჰყავდა გამძლე და რისკიანი ხალხი. ზოგი შორეული ტეოკალჩიტელი მთიელი იყო, ზოგი გრძელთმიანი ტეპეუანი ინდიელი. იმათ, თუ გაჭირდა, შეუძლიათ რამდენიმე დღე უჭმელად გაძლონ ანდა რამდენხანსაც გინდა, იმდენ ხანს ისხდნენ საფარში გაუნძრევლად, თვალვებლაუხამჩამებლად მიაშტერდნენ ერთ წერტილს და იცადონ ასე: აბა სცადე ცხვირის გამოყოფა სამალავიდან. ერთი მარჯვე გახროლა და — იყო და აღარ არის კაცი. მათ მსხვილკილიბრიანი, კარაბინები ჰქონდათ — მი-

სთვის კაცის ხერხემლის გადამტვრევა ისევე იოლია, როგორც ფუტურო ხის გახვრეტა.

რალა თქმა უნდა, გაცილებით ძნელი იყო ფედერალისტებისა და შებმა, ვიდრე განმარტოებულ მამულებზე თავდასხმა. ამიტომ დაჯიხტულად დავიწყეთ ზოქმედება, მცირე რაზმებით მტერს ხან აქ დავატყდებოდით, ხან იქ. ჯერ მოწინააღმდეგეებისთვის ამდენი ზარალი არ მიგვეყენებინა, მერე უფროდნელად დავესხმებოდით ხოლმე თავს, ისინიც გაველურებული ჯორებივით ტლინკებს ყრიდნენ და თავს შველოდნენ.

ესიქვათ, ერთი ჯგუფი ხასმინის ვულკანის ფერდობზე მდიდარ რანჩოს წვადა, ამ დროს სხვაგან მეორე რაზმი შეომრებს ესხმოდა თავს, ხოლო იმისათვის, რათა ეფიქრათ, რომ ბევრნი ვიყავით, ყოველ ჩვენგანს თოკებზე აკაციის ტოტები გვქონდა გამობმული და გზაზე მტერის კორიანტელს ვაყენებდით, თან იქაურობას სტვენით, ყვირილით და ყიჟინით ვიკლებდით.

მამულებს რომ ვაწიოკებდით, ფედერალისტები მაშინვე არ ერეოდნენ საქმეში. ერთხანს იცდიდნენ, ბოლოს მაინც დაგვედევნებოდნენ, მთელ ველზე კიდით კიდემდე გაშმაგებულები დაქროდნენ, მაგრამ უშედეგოდ. სადაც კი მივიდოდნენ, ჩვენი კვალი გამქრალი ხდებოდათ. მთებში ისეთ ილუმინაციებს ვუწყობდით, შენი მოწონებული — აქედან ყველაფერი ჩანდა. დაჰყურებ ხანძარს და გგონია, ტყესაკაფი იწვის! დღე და ღამე ბრიალი გაუდიოდა რანჩოებს, კარმიდამოებსა და ზოგჯერ მთელ სოფელსაც კი: ტუსამილპასა თუ სოპოტიტულანს. დიახ, აქედან ასე ჩანდა ხოლმე. ღამე დღესავით ხათელი იყო. ოლაჩეას სალდათები შენიშნავდნენ თუ არა ცეცხლს, თავქუდმოგლეჯილნი მირბოდნენ შემთხვევის ადგილას, მაგრამ როგორც კი მივიდოდნენ, ახლა ტოტოლიმისპაში ჩნდებოდა ხანძარი, სწორედ იქ, საიდანაც ის-ის იყო მოჭენდნენ ცხენებით.

უყურებ და გული სიხარულით გიყიყის, სალდათები ერთხანს აქეთ-იქით ბორიალობენ და ბოლოს შინისკენ იღებენ გეზს. ჩვენ კი გამოვდივართ მესკიტის გაუვალი ბარდებიდან და ვუყურებთ, გაპლუტებულები როგორ მიიკვლევენ უდაბნოში გზას. სურდათ მტერთან ძალის გამოცდა, მაგრამ არავითარი მტერი არ ჩანდა, ირგვლივ კი გაშლილიყო მოვებით გარშემორტყმული ნალისებური თვალუწვდენელი ველი და სამხედრო რაზმი როგორც უძირო ზღვაში ისე იკარგებოდა შიგ.

ჩვენ ფერფლად ვაქციეთ კუასტეკომატე და მოვაწყეთ „ხარების ბრძოლა“. პედრო სამორას სიგიჟემდე უყვარდა ეს თამაში.

ფედერალისტები ამ დროს ცხენებს აუტლანზე მიერეკებოდნენ: ვარაუდობდნენ, რომ ბანდიტებს, — ეს ჩვენზეა ლაპარაკი, — პირდაპირ ბუნაგში, ლა-პურიფიკასიონში მოგვიმწყვდევენ, ჩვენ კი იქიდან ის-ის იყო ავიყარებით. იმათ რომ იქით გაუტყეს, იმათ ადგილას ჩვენ დავბრუნდით. აქ შესანიშნავი ხარების ბრძოლა შეიძლება მოგვეწყოს. ფედერალისტებს სიჩქარის გამო კუასტეკომატეში რვა თავიანთი სალდათის ვარდა უფროსი და უმცროსი ინტენდანტებიც დარჩენოდათ.

არენა მოვაწყეთ როგორც წესია. ერთ ადგილას თხების ფარებივით მრგვლად შემოვრავეთ, ჩვენ კი ხარიხებზე ჩამოვსხედით, რათა ჩვენი ტორერო სადმე არ გამძვრალიყო, პედრო სამორა მას ხანჯლით დახდევს, რათა ხარის რქებივით სადმე ატაკოს, ჩვენი ტორერო კი — ისე მირბის, ფეხებს ლამის ზურგზე ირტყამს. ისე თავგამეტებით მირბის, გაძლებასუა პირდაპირ.

მაგრამ სულ შეიდი სალდათი იყო და ისინი მხოლოდ ერთ სალდოს ვიმყოფინეთ. ინტენდანტები პედრომ მეორე დღისთვის შემოინახა. აჰ, რა დღე უნუნა მეორე ინტენდანტმა, კაპრალმა. გაძხარი და გასალტული იყო, თანაც აწოწილი. მიდი აბა და მიზანში მოახვედრე, გახტება ოღნავ გასხე და ხანჯალს აიცილენს. სამაგიეროდ, უფროს ინტენდანტს ისე მოუთათუნა ხელი, წრეში შესვლაც ვერ მოასწრო. ან რის თავი უნდა ჰქონოდა იმისთანა მსხვერპლს, დაგვაჯულსა და ჩაფსკვნილს, ერთხელ მაინც აეცდინა! არა, ვერ შეძლო, გამოვიდა, დადგა ერთ ადგილას და არც განძრეულა, თითქოს მარტო იმას უცდიდა, ხანჯალს როდის მატაკებსო; და ისე მშვიდად მოკვდა, არც დაუფვირია. აი, კაპრალმა კი დიდი ჯაფა დააყენა.

პედრო სამორამ ბრძანა, წრეში გამოსვლისას თითოეულისათვის თავდასაცავად ასალი მიეცათ. მაგრამ ასალი მარტო კაპრალმა გამოიყენა. გვარიანად ხმარობდა — ეს კი უნდა გეხერხებოდეს — ასალი ხომ გვარიანად სქელი და თანაც მძიმეა. აიღო კაპრალმა ასალი და დაიწყო დარტყმების მოგერიება. პედრო გარშემო დახტის, ხანჯალს უმიზნებს, კაპრალი ასალს უხვედრებს და ხანჯალს იცილენს. არაქათი გამოეცალა ჩვენს პედროს კაპრალის გარშემო სირბილისაგან, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, ოღნავ გაკაწრა და ეგ იყო. თავშეკავება არ ეყო პედროს. ხარს უკანიდან ან გვერდიდან არასოდეს არ ეპარებიან, მოწინააღმდეგეს წინიდან, პირდაპირ უნდა შეეხება. პედრო კი უცებ გვერდიდან მოექცა, მარცხენა ხელი ასალს უტაცა, მარჯვენათი კი ხანჯალი ფერდში გაუყარა. კაპრალმა გახელებისგან, ეტყობა, ტკივილი ვერ იგრძნო, აზრადაც არ მოსვლია, რომ წარუვა უკვე გამოყვანილი ჰქონდა, თავისთვის ზევით-ქვევით, ზევით-ქვევით იქნევს ასალს, გეგონება, კრაზანების გუნდს იგერიებსო. მერე ხედავს, ფერდიდან სისხლი სდის, სისხლი წითელი ლენტვიით შემოერთყა გარს. შეჩერდა, სახეზე შიში დაეტყო, ჭრილობაზე ხელს იჭერს, მაგრამ რას გახდება, სისხლი თქრიალით მოსდის, და რაც უფრო აღისფერი ხდება სისხლი, თავად მით უფრო ფითრდება. შუა წრეში ეცემა, და თითოეულ ჩვენგანს თვალებში შემოგვცქერის. იწვა ასე, ერთხანს იწვა, მერე აუიღეთ და ჩამოვკიდეთ, თორემ ვინ იცის, როდის მოკვდებოდა,

მას შემდეგ პედრო სამორას არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა, ხშირად მართაუდა „ხარების ბრძოლას“.

იმ ხანებში პედრო სამორას რაზმში პედროდან დაწყებული, თითქმის ყველანი „მდინარის ქვემოთა წელიდან“ ვიყავით. მერე უცხო ხალხიც შემოგვემატა, ქერათმიანები და თეთრგვრემანები, გრძელთმიანი საკოალკოელი ინდიელები, „ცივიმიწელი“ მთიელები — მგონი, მასამიტლები. როგორი სიცხეც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ისე იფუთონებოდნენ თაყიანთ სარაპებში, გეგონება, თოვლ-ჭყაპიაო. სიცხისაგან მაღა ეკარგებოდათ, ამიტომაც პედრომ ისინი ვულკანებს შორის გასასულელის დასაცავად გაგზავნა მთაში. იქ ირგულივ მარტო სილა და ფრიალო კლდეები იყო. თეთრი ინდიელები პირდაპირ შეეყარებულები იყვნენ პედრო სამორაზე. ერთი ნაბიჯით არ სცილდებოდნენ, რომ ეთქვა, ცეცხლში ჩადექითო, ჩადგებოდნენ. ბრძოლის დროს გვერდიდან არ სცილდებოდნენ. საკუთარი სხეულით იფარავდნენ: სადაც სამორა იყო, ისინიც უმაღლივ გაჩნდებოდნენ. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ხანდახან, ქალაქში ან სოფლებ-

1. „ცივი მიწა“ ეწოდება მექსიკის მაღალმთიან რაიონებს.

ში შესვლისას გოგოებს რომ ვიტაცებდით, ყველაზე ლამაზებს თავიანთის კი არ იტოვებდნენ, სამორასთან მიჰყავდით.

სამუდამოდ დამამახსოვრდა ის დრო. ღამეა, მთის ბილიკებით შევიკვლევთ გზას. მივდივართ ფრთხილად, უჩუმრისპირა, თუმცა ძილი თავს გვერთმევს და ღამის უნაგირებიდან ჩამოვცვივდეთ. შესვენება არ შეიძლება, ყველაზე ფედერალისტები მოგვეყვებიან. და აი, ახლაც თითქოს თვალწინ მთავრად პედრო სამორა, ჩამოუვლის ჩვენს რიგებს ეოლოსფერ ლაბადაში გამოწყობილი და გვათვალთვრებს, რომ არავინ ჩამორჩეს.

— აბა, პიტასია! დეზი ჰკა ერთი შენს ოჩანს ცხენს! ეი, შენ რესენდის, ხომ არ ჩავვთვლიმა? გამოფხიზლდით, აბა გამოფხიზლდით, რაღაც უნდა გითხრათ.

ღიახ, ყველაზე ზრუნავდა. ღამეა, ირგვლივ კუნაპეტი სიბნელეა. თვალები თავისთავად გეხუჭება — საფრთხეზე აღარ ფიქრობ, ოღონდ როგორმე დაგამინა. ის კი მიმოდის, გელაპარაკება — სახეზე თითქმის ყველას ვეცნობდა, ყველას სახელი იცოდა — უყურებ შენცა და ფხიზლდები, მხნევდები. მის მოშტურებულ მზერას იჭერ და მშვიდდები: პედრო სამორას რული არ ეკიდება. გამჭრიახი მზერა აქვს: როგორი სიბნელეც უნდა იყოს, ყველაფერს ხედავს, და ყველას უმაღლესობს. ჩამოგვიყვლის და გვითვლის, როგორც ვაჭარი თავის სქროებს. მერე მოაბრუნებს ცხენს და გვერდით მოგვეყვება. ჩვენც ვისმენთ იმის ცხენის ფლოქეების ხმას და დარწმუნებულები ვართ: რაკი პედრო სამორა ფხიზლობს, რაიმე რომც მოხდეს, უმაღლესად შეამჩნევს. ამიტომაც მივყვებით ბრძელებით უსიტყვოდ, არა ვჩიოდით არც სიცოცხეს, არც უძილობას.

მთელი ჩვენი საქმე იმით დავლუბეთ, რომ საიულასთან ფერდობზე მატარებელი გადავაგდეთ. ეს წყვეული მატარებელი რომ არა, იქნებ სამორა ახლაც ცოცხალი ყოფილიყო. ცოცხლები ყოფილიყვნენ არიას-„ჩინელი“ და ჩიუსილა, პო, ყველა ჩვენთან, და რა ვიცო, შეიძლება ჩვენ, აჯანყებულებს, კიდევ გაგვემარჯვა. მაგრამ პედრომ ამ მატარებლით მოწინააღმდეგეს დიდი უსიამოვნება მიაყენა, იმათ კი ვერ მოინდულეს, პედრომ ასეთი ოინი რომ მოუწყონ.

დახოცილებს მატარებლის გადავარდნის მერე ჯგუფ-ჯგუფად სწვავდნენ. იმხელა ალი ავარდა — ღამის ცასა სწვდებოდა, შორიდან ისე ანათებდა, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. მკედრებს მორებივით აცურებდნენ რკინიგზის ყრილიდან, ჩინებებით ხვეტავდნენ, ნავთს ასხამდნენ და წვავდნენ — კვამლი ქარს ირგვლივ მიმოჰქონდა და იქაურობა რამდენიმე დღის შემდეგაც კი დამწყარი ლეშის სუნით ყარდა.

რატომ მოხდა ეს ყოველივე? განა ჩვენ კი ვიცოდით რა მოხდებოდა? ჩვენ, უბრალოდ, ავიღეთ და ღიანდაკებზე დავყარეთ საქონლის რქები და ძვლები — რკინიგზის კარგა მოზრდილი ვაკისი ამგვარად დავამუშავეთ, უტყუარი შედეგისთვის კი — მოსახვევი ავირჩიეთ. ჩვენი საქმე გავაკეთეთ და ლოდინი დაწყვეთ.

ადრიაანი დილა იყო, მაგრამ უკვე შეიძლებოდა ყველაფრის გარჩევა. ეხედავთ, მოდის მატარებელი. სახურავზე აუარებელი ხალხია. ვიღაც მღერის, ისმის ქალებისა და კაცების ხმები, ჩვენს ახლოს ახმაურდნენ ვაგონები, და თუმცა ბინდი ჯერ არ გაფანტულიყო, ყველაფერი მაინც აშკარად დავინახეთ: მოდიან სალდათები თავთავიანთი გოგოებით. ჩვენ კი ვსხედვართ და ვიცდით. მატარებელი სწრაფად არ მოდის, მაგრამ არც ჩერდება. რომ მოგვენდომებინა, შეგვეძლო ყველა ამოგვეხოცა — ორთქმავეალი ძლივს მოჩანჩალებდა, ისე ქშინავდა, თითქოს ფიქრობოდა — ერთს ამოვიქშინებ და დაღმართსაც ჩავაოთავებო:

სხვა დროს გამოლაპარაკებაც კი შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ ყველაფერი სხვაგვარად დასრულდა.

ხალხი გვიანლა მიხვდა, რა ხდებოდა მათ თავს. ვაგონებს უნებ შეირყა, მერე შეხტნენ და რკალად ისე მოიხარნენ, თითქოს ვიღაც ქვემოდან ექაჩებოდა. ორთქმავეალი უკან მოცურდა, მაგრამ რელსებზე კი არა, ~~ქვემოთ~~ მიწა-ყრილზე გადავარდა და ვაგონებიც თან გაიყოლა — ვაგონებზე ~~კერძო~~ იყო გატენილი. ორთქმავეალი გაბმულად ჩახრინწული, სევდიანი ხმით კივის, მაგრამ მშველელი არსაიდან ჩანს. ვაგონები, რომელთაც ბოლო არ უჩანთ, სულ უკან და უკან მიექაჩებიან და ორთქმავეალსაც თან მიათრევენ. უცებ ვხედავთ, ორთქმაველის ბორბლები ამოხტნენ ღიანდაგიდან, ორთქმავეალი გვერდზე გადაიხარა, დაეცა და ფერდობზე დაქანდა, ვაგონებიც ერთმანეთის მიყოლებით თან გაიყოლა. თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარიით. გონზე რომ მოვედით — ირგვლივ უკვე სიწყნარე იყო, არავითარი ხმა აღარ ისმოდა, თითქოს მარტო ისინი კი არა, ჩვენც მათთან ერთად ამოვწყვეტილიყავით.

აი, ასე მოხდა ეს.

როცა ცოცხლად გადარჩენილებმა ნამსხვრევებიდან გამოძრომა იწყეს, ჩვენ მოგვურცხლვით — ისეთმა შიშმა აგვიტანა, სულ ერთიანად ვკანკალებდით.

რამდენიმე დღე საიშვლი ადგილას ვაფარებდით თავს. მაგრამ ფედერალისტებმა ჩვენს კვალს მოაგნეს და იმ დღიდან სული აღარ მოგვათქმევინეს. ხანდახან პირში შებოლილი ხორცის ნაჭრის ჩაღებასაც ვერ ვახერხებდით, აღარც გვეძინა, აღარც ჭამა, აღარც ძილი — დღე და ღამე მოსვენება დაგვაკარგვინეს. ვფიქრობდით, ტოხინის კანიონს მივალწევთ და სულს მოვითქვამით — მაგრამ არ გაგვიმართლა. ჩვენზე ადრე იქ ისინი მისულიყვნენ. მაშინ უულკანს გარს დაუარეთ და მთებისკენ ვქენით ~~ქარი~~. მაგრამ ფედერალისტები აქაც დაგვხვდნენ. უფლის ბილიკი რომ ჰქვია, იქ მოგვიწყეს შეხვედრა. ცოტაც და, ძვლებს ყველანი იქ დავტოვებდით. აჰ, რას იყარეს ჯაერი! ისეთი ციციხელი გაგვიხსნეს, ისე დაგვზუზუნებდა ტყვიები, რომ, ღმერთმანი, ჰაერიც კი ვარვარებდა. ჩვენ ქვეს ვეფარებოდით, რომლებიც სულ ძალე მიწის ბელტებივით დაიფშვნიტა. მერეღა მივხვდით, რომ ფედერალისტებს კარაბინები კი არა, ტყვიამფრქვევები ჰქონდათ თურმე, და რომ ამ ტყვიამფრქვევებით ჩვენი დაცხრილვა სულ ერთი წუთის საქმე იყო. მაგრამ მაშინ ტყვიამფრქვევები არც გაგვეგონა, და ვფიქრობდით, ჩვენს წინააღმდეგ მთელი არმია, ათასობით სალდათი გამოუყვანიათო. თავში მხოლოდ ერთადერთი აზრი მოგვდიოდა, როგორმე უკანმოუხედავად გვეშველა თავისთვის.

ვისაც ბედმა გაგვიღიმა — გავიქეცით. აი, ჩიუილას კი ბედმა უშტყუნა. ტყვიებისგან თავდასაცავად თუთის ხეს მოეფარა, ზედ აეკრა და ასევე დარჩა. მოსასხამის კალთები ყელზე ისე შემოხვეოდა, გვეგონებოდა, შეციებულს გათბობა სურსო. ზის და ღიად დარჩენილი თვლებით გვიყურებს საითითაოდ როგორ ვტოვებთ იქაურობას, როგორ ვინაწილებთ სიკვდილს, და სისხლით მოთხვრილი კბილები ისე დაეკრიჭა, თითქოს დაგვეცინოდა.

დავტოვეთ იქაურობა და აქეთ-იქით გავიფანტეთ.

ამან ბევრს უშველა, ბევრისთვის კი ეს ცუდად დასრულდა. გზაზე, სადაც კი გავიარეთ, ტელეგრაფის ბოძებზე ყველგან ჩვენიანი იყო ჩამოკიდებული, ფიხებით კიდებდნენ და მერე აღარავინ არ ხსნიდა. იქამდე ეკიდნენ, სანამ თოვი თავისით არ გაწყდებოდა. სვაკები შიგნეულობასა და ხორცს უკორტნიდნენ და რჩებოდა მარტო ცარიელი, გამხმარი გახეშებული ტყავი. თანაც ისე ძალდა

ჰკიდებდნენ, რომ ვერავინ შესწვდებოდა, ისინიც ეკიდნენ მოელი კვირობით თუ თვეობით და თავის ნებაზე აქანავებდათ ქარი. ხანდახან ჯეჟურებ, რომ ადამიანისგან აღარაფერი დარჩენილა. მართო ცარიელი შარვალია ქანაობდა, თითქოს ვიღაცას გაერეცხა და გასაშრობად გაუფანა. ამეების შემხელვარე იფიქრებდი, ჩანს, ნამდვილად აღსასრულის დღე დამდგარათ.

ვისაც ბედმა გაგვილიმა გველივით ხონიალ-ხონიალით დიდ მთამდე მივალწიეთ. ვსხედვართ მთაზე და ქვემოთ, კელისკენ, ჩვენი ძვირფასი მიწისკენ ვიფურებით, სადაც დავიბადეთ, ვცხოვრობდით და სადაც ახლა გველოდნენ, რათა ამოვეჩოცეთ. შიშმა აგვიტანა. ხანდახან ხდებოდა, ღრუბლის ჩრდილისაც გვეშინოდა.

ჩვენი ნება რომ ყოფილიყო, დიდი სიამოვნებით ჩავიდოდით ქვემოთ, და განუცხადებდით ვისაც ჯერ არს, მშვილობა გვინდა, აღარავის აღარაფერს დავუშავებთ, ოღონდ ხელი არ გვახლოთო. მაგრამ ბევრი სიაკაკე გვქონდა ჩადენილი, თანაც ერთვან კი არა, ყველგან, მტრები მოვიმრავლეთ და ახლა რაღას დაგვიჯერებდნენ? მთიელ ინდიულებთანაც უთანხმოება მოგვივიდა — საქონელსა და ფრინველს რატომ გვტაცებთო. ხელისუფლებამაც შეიტყო თუ არა ეს, ისინი ჩვენს წინააღმდეგ იარაღით მოამარაგა, ინდიულებმაც კაცი გამოგვიგზავნეს და გაგვაფრთხილეს, ჩვენკენ მეტი აღარ გაიჭაჭანოთ, თორემ სათითაოდ ამოგხოცაყითო.

„ჩვენ ძათი ნახვა არ გვსურს, თუ ვნახეთ, ცოცხლებს არ გავუშვებთ“ ასე ამბობდნენ თურმე.

და დედამიწის ზურგზე ადგილი აღარ დავგვრჩა არამც თუ თავმისაღებად, სიკვდილისთვისაც, რადგან სამარიზთვისაც მიწის ნაგლეჯია საჭირო, ამიტომ გადავწყვიტეთ, ვინც ბოლოს დავრჩით, დავშლილიყავით და ათითათათოდ სხვადასხვა მხარეს გავფანტულიყავით.

თითქოს ხუთი წელი ვიბრძოლე პედრო სამორას მხარდამხარ, ავიც მიხანაყს და კარგიც არც ერთი დღე ერთმანეთს არ ჰკვანებია, ხუთი წელი უცებ გაქრა ოვალსა და ხელს შუა. მას შემდეგ რაც მას დავშორდი, აღარ შევხვედრივარ. ხმები დაყარეს, მეხიკოში ვიღაც ქალს გაეკიდა და იქ მოკლესო. ჩვენ კი, მეც და სხვებიც, მაინც ვუცდიდით, იქნებ კიდევ დაბრუნდესო, დადგება დრო და პედრო სამორა ისევ შეგვანარალებს საბრძოლველადო. მაგრამ მერე ღოღინი დავიდალეთ. აღარ დაბრუნდა. მოუკლავთო, მითხრა ერთმა კაცმა, რომელიც ჩემთან ერთად იჯდა ციხეში.

ციხე ღან სამი წლის წინათ გამოგვიშვეს. სატუსალოში ერთდროულად რამდენიმე დანაშაულისთვის ჩამსვეს, მაგრამ პედრო სამორას რაზმში თუ ვიყავი, ეს არ შეუტყვიათ. სხვადასხვა რამისთვის ჩამსვეს, რაც მთავარია, ერთი ცუდი ხნე დამჩემდა — გოგოებს ვიტაცებდი. ამ გოგოებიდან ერთ-ერთი ახლაც ჩემთან ცხოვრობს და სანამღვოს ვღებ: ამაზე კარგი და კეთილი ქალი ქვეყანაზე მეორე არ იქნება. გამოვდივარ ციხიდან, ის კი ციხის კართან დგას. მიცდიდა თურქ, როდის გამომიშვებდნენ, არც უიცი, იქ რამდენ ხანს იდგა.

„შენ გიცდიდი, მტრედო, რამდენი ხანია გიცდი აქ“, — მეუბნება.

თაუში ახლაც მიქრის, და, ეფიქრობ, ამიტომაც დამიყარაულა. როგორც სიზმარში ისე მახსენდება მაგის ასავალ-დასავალი, და გახსენებაზე ზურგზე ცივმა წყლმა თითქოს ისევე გადამიარა, როგორც იმ ჭექა-ქუხილიან დამეს, როცა ტელკამპანეში შევიჭერთ. მთელი ქალაქი უწყალოდ ავაობრეთ, ქვა-ქვაზე არ დავვიტოვებია, და მე დანამდილებით ვიცოდი, რომ ამ გოგოს მოხუც

მამას ქაღაჩის დატოვების წინ ჩვენმა ბიჭებმა გააფრთხობინეს სული. მე გოგოს ხელი რომ ვტაცე და უნაგირზე გარდივარდმო გადავაწვიინე, მოხუცმა ყვირილი მორთო. ამ დროს ვილატამ კარაბინი აქუნა და მოხუცს დავი გაუხვრიტა. მე დასარეტიანებლად გოგოს ორიოდ ვუთავაზე, თორემ ისე იკბინებოდა, ლამის ხელიდან დამსხლტომოდა. ის სულ ახალგაზრდა, ქორფა იყო, მაქსიმალურად მეთისა თუ იქნებოდა, მეტის არა. უპ, რა თვალები ჰქონდა! გამაწვანდა კი. კრთხანს ვერაფერს გავხდი, მაგრამ მერე მოვათვინიერე და დაეიმორჩილე.

— ბიჭი გავიზარდე, ეგერ, იქით დგას, — მეუბნება და თითო მიჩვენებს აწოწილ ყმაწვილზე. ბიჭმა დაიმორცხვა და თვალები დახარა.

— შლაბა მოიხადე, შვილო, შეძოვხედოს მამამ.

იმანაც მოიხადა ქუდი. გამოცხადებული მე ვარ. თვალები ისეთი ეშმაკური აქვს, მე თუ არა, სხვას აბა ვის უნდა ჰგაუდეს.

— მაგასაც მეტსახელად მტრედოს ვეძახით, — მეუბნება ჩემი ახლანდელი ცოლი, — ოღონდ შენსავეთ ავაზაკი და მკვლელი არ არის. დამოუკიდებელი ბიჭია.

მეც რაღა დამრჩენოდა, თავი ჩავქინდრე.

### განთიადისას

ღამით ღრუბლები ჩამოაწვა სოფელს და თბებოდნენ. ადამიანთა სიტბოთი თბებოდნენ. მაგრამ სულ ძალე ამოვა მზე და ცვრით დანამული სან-გაბრიელი გადაიგდებს ჯანდის საფარველს. ღრუბლები დაიგრაგნებთან და ზანტად გაცურავენ ძალდა, დაბლა სახურავებზე კი დატოვებენ მოთეთრო ღენტებს. ხეებიდან და ცვრიანი მიწიდან აღენილი ოღნავ შესამჩნევი მონაცრისფერო ოხშივარი გაჰყვება ღრუბლების კვალს და უცებე გაქრება. სულ ძალე მოწმენდილ ხე, ა დაფარავს კერიებიდან აღენილი შავი კვამლი და ჰაერს ცეცხლმოკიდებული ანტილის მუხის სუნი მოედება.

შორეული მთები ჯერ ისევ ბინდს მოუცავს.

ქუჩების ასწვრივ მერცხალმა გაინავარდა. ცოტა მოგვიანებით ცისკრის ზარების რეკვა გაისმა.

ფანჯრებში სინათლეებმა ნელ-ნელა იწყეს ჩაქრობა. სოფელი ახლა შორიდან ბურუსისებურ ლაქას დაემსგავსა. განთიადის ბინდბუნდში მოვლემარე იჭინურებდა საბოლოო გამოფხაზლების წყოს.

ძროხაზე ამხედრებული მოხუცი ესტებანი ხეებჩარიგებული ბიკილპანის კზაზე დილაადრიან ნახირს მოსაწველად სოფლისკენ მიერეკება. ძროხა მან ხტუნია კალიებისაგან თავის დასაცავად შეკაზმა. გრძელფეხება კალიებს ფართოფარფლებიანი სომბრეროთი იგერიებს. უკბილო პირიდან დრო და დრო სტეუნის მაგვარ რაღაც ხმას უშვებს, და უკან ჩამორჩენილ ძროხებს უჯავრდება. ძროხები ციხნა-ციხნით, დინჯად მიდიან, მაღალი, ცვრიანი ბალახისგან ფეხები ლამის მუცლამდე დასველებიათ. ნათდება. სან-გაბრიელიდან აღწევს ცისკრის ზარების რეკვა. ესტებანი ძროხიდან ჩამოხტება, შუა გზაზე იჩოქებს და პირჯვარს იწერს.

სადღაც ახლოდან, ეტყობა, გზისპირას მდგარი დაფუღუროებული ხიდან ისმის ბუს კვილი. ესტებანი ჩქარა-ჩქარა ისევ ძროხას ებლოტება. შიშისგან ლამის დასცხა, და პერანგს იხდის: ნიაკი გულს გაუგრილებს, გული რომ გაუგრილდება, შიშიც გაუვლის.



ძროხები უახლოვდებიან სოფლის ორღობეებს და ისიც ითვლას — „ერთი, ორი, სამი, ათი“. ერთ-ერთ ძროხას ყურებში ხელს ჩაავლებს და შეახერხებს: „უპ, შე ხულელო, არაფერი რომ არ გაგეგება, დღეს ხბოს წავართმევ. ბუერიც რომ იბღავლო, დღეის ამას იქით ვეღარ ნახავ, დღეს ბოლო დღეა“. ძროხა მოსჩერებია თავისი მშვიდი თვალებით, კუდს იქნევს და გზას ვახაგრძობს.

ჰაერში ზარის ბოლო დარტყმის ხმა ისმის.

გზაზე მერცხლები დანავარდობენ. შეიძლება ისინი სიკატაჩიდანაც მოყრინდნენ, შეიძლება აქაურები — სან-გაბრიელებიც არიან. არა აქვს მაგას მნიშვნელობა. მერცხლები ფრენისას გუბებში გულ-მკერდს ისველებენ. ერთს ნისკარტში რაღაც უჭირავს, მეორეს კულა ტალახში ამოუვლია. ისინი ძალდა, გზის ასწვრივ აიჭრებიან და დილის ბინდბუნდში უჩინარდებიან.

ღრუბლები უკვე შორს, მთავრეხილებზე გაწოლილან. შორიდან ისინი ნაცრისფერი საკერებლებით აჩნია ლურჯი მთების დანაოჭებულ კალოებს.

ცაზე საკარნავალო სერპანტინის ფერებზე აღევადნენ განთიადის ფერები, წითელი, ნარინჯისფერი და ყვითელი. მოხუც ესტებანს თვალი ზედ დარჩა. ვარსკვლავები ჩაქრნენ, ვარდა ყველაზე მოკაშკაშე ვარსკვლავებისა, თუმცა ისინიც თანდათან უჩინარდებოდნენ: აი, პორიზონტიდან მზე ამოიწვერა, მერე თვალისმომჭრელ ბურთად ამოგორდა — და ბალახებზე ნამი პაწაწინა მოცახცაზე მინის ნატეხებით ააელვარა.

„არ მახსოვს, რატომ გავიხადე პერანგა. მაგრამ ასე პერანგახდისლი მოვდიოდი. დილის სიოსაგან გავითმე და მუცელში ნაწლავები ღამის გაძეგინა. ვუახლოვდები საქონლის ბაკს, ჩამოვხტი, ვაკაკუნებ კარზე. არავინ არ მიღებს. კარი ქვებით ღამის ჩამოვიღე, ხელში ქვების ნამტკრევებილა შემრჩა. მაინც არავინ გამოდის. ვფიქრობ, ჩაეძინა-მეთქი დონ ხუსტოს — ეს ჩემი ბატონია. ძროხებს, რა თქმა უნდა, არაფერს ვეუბნები, ან იმათ რას ვააგებინებ. ჩუმად, ძროხებს რომ არ დაეყენახე, და მთელი ნახირი უკან არ გამომყოლოდა, გვერდზე გავედი და კუთხეს მოვეფარე. მოვძებნე, სად იყო კვლევი ყველაზე დაბალი, გადავძვერა და ძირს ზღართანი მოვადინე — პირდაპირ ხბორუბთან დავეცა. ჰოდა, მიუდივარ კარის გასაღებად. დავიწყე თუ არა კარის გაღება, ვხედავ, ჩემი ბატონი დონ ხუსტო ჩამოდის ზემოდან, ცალკე დაშენებული ოთახიდან, თანაც მარტო კი არა, ხელში აყვანილი მოჰყავს ქალბატონის მძინარე ქალიშვილი მარგარიტა. გადაჭრა ეზო და შინ შეიყვანა. მე ვერა მხედავს. კმდეღს ავეკარი, რომ არ დაეყენახე. ეტყობა, გადავრჩი. შეიძლება, ტყუილადაც მეგონა, რომ გადავრჩი“.

მოხუცი ესტებანი დაჯდა და დაიწყო ძროხების წველა. ძროხებს ერთმანეთის მიყოლებით — ჯერჯერით ატარებდა კარში. ის, რომელსაც ხბოს ამორებდნენ, ბოლოსთვის მოიტოვა. ბაკის იქით მდგარი ძროხა საწყალობლად ბღაოდა. „დამშვიდობებისას ასეც უნდა იყოს, — დაუყვავა და ძროხა შიგნით შეუშვა, — ალოკე, ალოკე შენი ძვირფასი ბოჩოლა, და შეეგუე იმას, რომ დღეის ამას იქით შენთვის ეგ აღარ იარსებებს. ჩქარა მეორე გვეოლება, აბა სულ ამ ვირგლას ხომ არ გადაჰყვები. ჰო, კარგი, მოწოვე საბოლოოდ, — გულმოწყალებდართო ნება მოხვედრს. — აი, შე ხულელო, შე ხულელო, არ იცა, რომ ტკბილი და სოყიერი რძე პატარებისაა. უპ, შე უჯიშო, ცემა ხომ არ მოგდომებია?! — დაუყვირა მოხვედრს, როცა იმან მთელი ცური ერთბაშად მოიქცია პირში, და პანდურის კვრით სცადა ხბო ძროხისთვის მოეშორებინა.

„რაც მართალია მართალია, რა დამცლოდა, თავ-პირს კარგად მივუხერ-  
ქეკდი, მაგრამ უცებ საიდანღაც ჩემი ბატონი, დონ ხუსტო გაჩნდა და იმან  
აქეთ მე დამიწყო ტყუის სწავლება. ისე გვარიანად შემახურა, ქვებზე  
ლამის უგრძობლად დავეცი. მეგონა, ძელები დამემსხვრა. მთელი დღია ამ  
ქვებზე ვვგდე, თითქოს ბურანში ვიყავი, ფეხზე წამოსადგომად მასწავლონ მყოფ-  
ნიდა, ისე ვიყავი დაღურჯებულ-გასიებული, საღი ადგილი აღარ შემჩრა, ტკი-  
ვილისაგან ვეღარ ვინძრეოდი, ძელები ახლაც მტეხავს.“

მერე რა მოხდა? არ მახსოვს, თავი გავანებე იმათან მუშაობას. მარტო მე  
კი არა, სხვებმაც. იმიტომ, რომ მოკვდა. მოკვდა თითქმის იმავე დღეს. რაო,  
თქვენ ეს არ იცოდით? მე შინ საწოლზე ვწევარ, ჩემი ბებრუცუნა გარშემო და-  
მფუსფუსებს, საღბუნს მისვამს, სველ საფენებს მადებს. ამ დროს მოდიან და  
მოაქვთ ახალი ამბავი, ბატონი მოკვდაო. თანაც თითქოს მე მომეკლას — ხალ-  
ხი ლაპარაკობს ასე. შეიძლება მართალიც იყოს და კიდევ მოვკალი, ჰა? მაგ-  
რამ მე არაფერი მახსოვს. კაცის მოკვლა ხუმრობაა? ეს როგორ არ უნდა გახ-  
სოვდეს? თქვენ როგორ ფიქრობთ? ხომ უნდა გახსოვდეს? ბატონი თუა, მაშინ  
მით უფრო, ულაპარაკოდ. ჰოდა, გამოდის, რომ მე არ მომიკლავს. მაგრამ კაცს  
ციხეში ტყუილუბრალად ხომ არ ჩასვამენ? სულ ტყუილუბრალად, ხომ მარ-  
თალია? თუმცა მიყოლებით რომ ავიღოთ, მე მარტო იმ წუთამდე მახსოვს, მო-  
ხუერს რომ უთავაზე, ბატონი კი მე მეტა. ეს აი, ახლაც თვალწინ მიდგას. მე-  
რე ყველაფერი ბურუსმა დაფარა. თითქოს თვალებზე ბინდი ჩამომეფარა და  
მკვდარივით დამეძინა. გონზე რომ მოვედი, ვხედავ, შინ ჩემს საწოლზე ვწე-  
ვარ, თავზე ჩემი დედაბერი დაძღვომია, მანუგეშებს, მოითმინე, ტკივილი გა-  
გვიღოსო. ისე მანუგეშებს, თითქოსდა დაჩაჩანაკებული ბერეკაცი კი არა, პატა-  
რა ბაღლი ვყოფილიყავ. მახსოვს, კიდევ ვავუბრაზდი, ბევრს იკაკანებ-მუთქი,  
ჰო, ძალიან კარგად მახსოვს, სწორედ ასე უთხარი. აბა, შეიძლება ასეთი  
წვრილმანი გახსოვდეს, კაცი მოკლა და ის კი დაგავიწყდეს? მაინც ლაპარაკს  
არ იშლიან, თითქოსდა მე მომეკლას დონ ხუსტო... ასე ამბობენ, რომ მე მოვ-  
კალი, ხომ? თანაც კიდევ ქვითაო? თითქოსდა თავი ქვით გამეხეთქოს! დამი-  
ხეთ, ერთი! მაშ, ქვითაო — არა, კაცმა რომ თქვას, ეგ შესაძლებელია. აი, რომ  
ეთქვათ, დანითაო, მაშინ ნამდვილად ტყუილი ბრალდება იქნებოდა. დანა თან  
არასდროს არ დამაქვს პატარაობის შემდეგ. ეჰ, მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიი-  
რა!

ხუსტო ბრამბილამ ფროთხილად დააწვინა დისშვილი საწოლზე. ცდილობ-  
და არ ეხმაურა. ღმერთმა დაიფაროს, გვერდითა ოთახში დას გაედვიძოსო.  
ორი წლის წინ მის დას დაშლა დაეცა და იმ დღიდან ძილი აღარ ეკარება.  
წვეს თავის საძინებელ ოთახში, მოძინარული, ხელ-ფეხწართმეული, მარტო  
თვალებიღა შერჩენია საღი, და ისიც ფხიზლობს, არც დღე, არც ღამე თვალს  
არა ხუჭავს. გამთენიისას წაიძინებს ერთ-ორ საათს, ეგ არის და ეგ საძიგაყ-  
რიდ, მაშინ მკვდარივით სძინავს. მზე ამოვა თუ არა, ისიც იღვიძებს. დონ ხუ-  
სტო ახლაც მაგიტომ ფროთხილობდა რომ არ გაედვიძებინა.

მართლაც ხუსტო ბრამბილამ მძინარე მარგარიტის საწოლზე დაწვეს  
ვერც კი მოასწრო, რომ მის დას გაედვიძა. კვლავს იქით მძინარე ქალიშვი-  
ლის ფშვინვა რომ მოესმა, შეეკითხა: „სად იყავი წუხელ, მარგარიტა?“ ხუს-  
ტო ბრამბილამ არ დაუცადა, ოთახიდან მანამდე გაიმურწა, სანამ მისი და ყვი-  
რილს ატეხდა და ქალიშვილს გაადვიძებდა.

დილის ექვსი საათი იყო.

ხუსტო მოხუცი ესტებანისთვის კარის გახადებად ბაკისკენ წავიდა. ზევა-თაც უნდოდა ასულიყო, მარგარიტისთან ღამენათევი დღეების გასასწორებლად. „მღვდელმა ნება რომ დამართოს, ვიქორწინებდი, მაგრამ რას დამართავს ნებას! ვე რომ ვუხსენო, ისეთ ამბავს დამაწევს... სისხლის აღრევით, მომაკვლინებელი ცოდვაო! ეკლესიიდან ორივეს მოგვკვეთავს. მალეღოდ ჯობია, — თავისთვის განსჯიდა ხუსტო ბრამბილა. სწორედ ამ დროს დაინახა, რომ მოხუცი ესტებანი ხლის ეჯაჯგურებოდა. გაძვალტყავებული ხელებით ხბოსთვის თავი ჩაექინდრიხებინა და ფეხებს შიგ თავში ურტყამდა. უფერე ერთი, ხბო ღამის მოკლას, ფეხზე ძლივსდა დგას.

ხუსტო მოხუცს საყულოში სწვდა, ქვებზე მოისროლა, ზედ ფეხით შესდგა და უშვერს პირით დაუწყო გინება, რომლის აზრისთვისაც მოხუცს კერაფერი გაეგო. მაგრამ უცებ ხუსტოს თვალთ დაუბნელდა, იგრძნო, ძირს დავარდა, ბაკის ქვის ფილებზე დაეცა. წამოდგომას შეეცადა, მაგრამ თავი ვერ შეიძაგრა. მესამედ რომ დაეცა, ვეღარც გაინძრა. თავს ძალას ატანდა, როგორმე თავალი გაეხილა, მაგრამ წინ რაღაც ბინდივით აეფარა. ტკივილი არ უგრძნია, ოღონდ უფრო და უფრო ბუნდოვანი უხდებოდა აზრი, მერე რაღაც უცნაური სიბნელე ჩამოწვა, რამაც ყველაფერი დაფარა.

მოხუცი ესტებანი რომ წამოდგა, მზე ცაზე უკვე კარგა შემადღებული იყო. იგი ბრმასავით ხელისცეცებით მიდიოდა, თან ყოველ ნაბიჯზე კვნესოდა. კარი როგორღაც გააღო და ქუჩაში გავიდა. ახდებზე, ბრმად მიჩანჩალებდა შინამდე. ქუთუთოები ერამანეთისათვის ვეღარ დაემორებინა. მიდიოდა და გზაზე სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა. სახლში რომ შევიდა, საწოლზე დაეცა და კვლავ ბურუსში გაეხვია.

თერთმეტ საათზე საქონლის ბაკში გამოვარდა მარგარიტა, ცრემლი დაბლუპით ჩამოსდიოდა. ხუსტოს ეძებდა: დედამისმა მთელი დღია სისხლი მოუწამლა, ბოლოს კი გარყვნილი გომბიო უწოდა.

მარგარიტამ იპოვა ხუსტო ბრამბილა, იგი ეხომსი მკვდარი ეგდო.

„ახლა ამბობენ, თითქოს დონ ხუსტო მე მომკვლას. რა ვიცი, იქნებ მართალიც იყოს. ან იქნებ მრისხანებისგან სისხლიც ჩაექცა. ჭირვეული იყო, ყველაფერს იწუნებდა, არაფერი ჭკუაში არ მოსდიოდა. ვერა ხედავ, გიჯა ჭუჭყიანიას, ჩან — სარწმუნოებელში წყალი არ ასხიათ, ძროხები დამჭლეუდნენო, შენც ხორცი აღარ გაკრივსო. ხორცი საიდან უნდა მსხმოდა, როცა არც საღმრეთო საჭმელი იყო და ვერც ჭამისთვის ვიცლიდი. მთელი დღე და ღამე ძროხაში ვიყავი. ნახირი ხიკილძანის საძოვარზე უნდა გამერეკა — საბაღაზე ჩემმა ბატონმა იქ იყიდა. ვაძოვებდი და სისხლამ დილით მოსაწველად ისევ უკან ვერგამბოდი. მუდამ ვგრე იყო, თითქოსდა მოხილიცად მევლის.

ახლა კი ხედავთ, ციხეში ჩამსვეს. იმ კვირიას გამასამართლებენ, იმიტომით, რომათ, დონ ხუსტო ავაზაკურად მოკალიო. მე კი არაფერი არ მახსოვს. თუმცა შეიძლება მართალიც იყოს. ერთმანეთს გამწარებულები ვიძგერეთ და გონდაკარგულებს აზრადაც არ მოგვსვლია, ერთმანეთს რამეს თუ ავუტყვბდით. ყველაფერი შეიძლება. ჩემი ხნის კაცს მეხსიერება დაღატობს. ჰოდა, მეც ვამბობ, რომ ყველაფერი ღოთის ნებაა! ჩემი სიკვდილი დიდი დანაკარგი არ იქნე-

ბა, ძალ-ღონე მაინც გამოლეული მაქვს, ჩემს სულს კი, უფალო ღმერთო, შეს გაბარებ“.



სან-გაბრიელი ისევ ჯანღმა მოიცვა, იგი შორიდან კვლავ ბურუსიან, შავ ლაქსავით მოჩანდა, მხოლოდ ღურჯ მთაგრეხილთა კალთებზე აღჭრებულმა მოქროსფრად მზის სინათლე. მერე მზე ჩადის, მაგრამ ფანჯრებში სინათლეები არ იხიება. დღეს სოფელი თავის ბატონ დონ ხუსტოს გლოვობს. ადრე სინათლეები სახლებში ყოველთვის მისი, დონ ხუსტოს მოწყალე ნებართვით იხიებოდა. ძველი დღე-ღამე სან-გაბრიელში ძაღლები ყმუიან. მთელი ღამე — განთიადამდე ეკლესიის ფერადი მინების მიღმა იხიება ვეება სინათლები — ღამეს უთვევენ მაცვალებულს. მთვლემარე ღამეში გაისმის ქალების წამლერებული ხმები: „იხსენი, უფალო, ყველა მორწმუნის სული ჯოჯობეთისა და განსაწმენდელის წაშებისაგან“. განთიადამდე განუწყვეტლივ რეკენ ეკლესიის ხარებს და წყდება მხოლოდ მზის ამოსვლისას, როცა იწყება ჩვეულებრივი ცისკრის ხარების რეკვა.

### ანაკლებო მორონესი

ბებრუხუნები! ეშმაკის ნაშიერნი მოდიოდნენ ჯვროდ, საეკლესიო პროცესიასავით. მზე ძველი ძალით აცხუნებდა. ბებრები კი შავ ტანსაცმელში გამოწყობილიყვნენ და გასავათებული სახედრებივით ოფლი წურწურით ჩამოსდიოდნენ. ისინი შორიდანვე დავიხაზე. გზაზე ისეთი მტკერი დაეყენებინათ, თითქოსდა ჩემი რანჩოსკენ მართლაც მძიძე საპალნიანი სახედრები მოდიოდნენ. მტკერით გადათეთრებული სახეები რომ არა, ნამდვილ ყორანთა ვუნდსა ჰგავდნენ. ამულიდან მოდიოდნენ, მოდიოდნენ სიცხე-პაპანაქებაში და თან ლოცვებს ღუღუნებდნენ. ვეება გაზინთულ სკაპულიარებზე<sup>1</sup> ოფლი ღვარად ჩამოსდიოდნენ.

გამოჩნდნენ თუ არა, დავიძალე უიცოდი, ვისაც ეძებდნენ: და რაც უნდოდნენ. შარვალზე ხელი ვიტაცე, მოვკურცხლე და ეზოს სიდრმეში დავიძალე.

მაგრამ ისინი უკვე ჭიშკარში შემოდიოდნენ და დამინახეს. „გიხაროდეს, წმინდაო მარიამ“ — წარმოთქვეს ერთხმად.

მე ქვებზე ავბობლდი და ჩავცუცქდი, მოსასაქმებლად კი არა, ისე, უბრალოდ, შარვალის ჩახდილი მაქვს, ვფიქრობ, დამინახავენ და ახლოს მოსვლა შერცხვებათ-მეთქი. შუნც არ მომიკვდეს! ჭეჭავენ და ჭეჭავენ „გიხაროდეს, წმინდაო მარიამ!“ და პირდაპირ ჩემკენ მოდიან.

უსირცხვილო დედაკატები! თანაც ვითომც ბებრები ჰქვიათ. უნამუსოები, პირჯვარს იწერენ და კედელივით აღმართულები მოდიან ჩემკენ. შემომხვებიან, გარს შემოძადგნენ, თყუი ასკდებათ, თმა სახეზე ისე მიწებებიან, გვგონება, თავზე თითოეულისათვის კედროთი წყალს ჩამოუქცევიათ.

— შენთან მოვედით, ლუკას ლუკატერო. პირდაპირ სახლიდან მოვდივართ შენ ხანახავად. გვითხრეს, შენ არისო... ოღონდ მაგას არ უელოდით, რომ სადღაც ეზოს მისაკარგაეში შეგხვდებოდით, თანაც კიდევ ასეთ საქმეში გართულს. ვიფიქრეთ, ქათმების საკენკის დასაყრდელად გამოიქვეცი და თან მოგყევით, შენთან მოლაპარაკება გვინდა.

1. სკაპულიარი — ლენტებისაგან ან ქსოვილებისაგან შეკერილი თავზე ჩამოსაცმელი მოსასხამი, კათოლიკურ-რელიგიური ღვთაების წვერებისათვის.

აჰ, ეს ბებრუხანები! ღეთის მოძაგებული სიფათები! ჩემი სახედრის ჩონჩორიკზე უარესები.

— აბა, გადმოალაგეთ ერთი, რა გნებავთ! — ვუბნები და თავს შარვალს ვიკრავ. ისინი კი, რომ არ დამინახონ, თვალებზე ხელს იფარებენ. დამინებთ ერთი მოკრძალებულეს!

— საქმე გვაქვს შენთან. თავდაპირველად სანტო-სანტო-სანტო გვძებდით, მერე, სანტა-ინესაში. კეთილმა ხალხმა გვითხრა, აქედან წავიდა და იქ რანჩოში დამკვიდრდაო. ჰოდა, ჩვენც მოვედით. ამულიდან ვართ.

მე ისედაც მივხვდი, ვინც იყვნენ და საიდანაც იყვნენ, თითოეულის სახელიც კი ვიცოდი, მაგრამ თავი მოვიკატუნე, თითქოს არაფერი გამეგებოდა, რა საქმე უნდა ჰქონოდათ ჩემთან.

— ღმერთს მადლობას ვწირავთ რომ გიპოვეთ, ლუკას ლუკატერო.

გალერეაში შევიბატიე, სკამები გამოვუტანე, შევთავაზე, ხომ არაფერს მთარსმევთ ან ეგებ გწყურიათ, დოქით წყალს მოგიტანო-მეთქი.

ბებრები ჩამომწკრივდნენ და სკაპულიარებით ოფლიანი სახეები მთიწმინდეს.

— გმადლობთ, არაფერი არ გვინდა, მაგიტომ არ მოვსულვართ, რომ ზედმეტად შეგაწუხოთ, საქმე გვაქვს შენთანო, — მუბნებიან. თუ მიცანია, ლუკას ლუკატერო? — მომიბრუნდა ერთ-ერთი ბებერთაგანი.

— თითქოს მეცნობები, — ვუბნები მე, — მაგონდება, სადღაც შემხვედრიხარ. მგონი, პანჩა ფრეგოსო უნდა იყო. შენ არ იყავ ომიბონო რამოსმა რომ გაგძარცვა და დელიშობილა გავიშვა?

— მართალია, პანჩა ფრეგოსოს მეძახიან. მაგრამ გახდით ჯერ არავის გაუხვდითარ, მე და რამოსს გზა დაგვებნა გარამბუისის კრუფაში და ამის მერე მოაჭორეს ბოროტმა ენებში. მე კონგრეგაციის წევრი ვარ და არავის არ მივცემ ნებას, რომ...

— რომ, რაო, პანჩა?

— აჰ, ლუკას, ლუკას, სულ ცუდი აზრები როგორ უნდა გიტრიალებდეს თავში! ვერა და ვერ გადაეჩვიე ადამიანისათვის სახელის გატეხვის საძრახ ჩვეულებას. კეთილი, რაკი მცნობ და მეც უკვე ვაგები საუბარი, იმასაც ვეტყვი, რაზედაც მოვედით.

— ეგებ დოქით წყალი მაინც მომეტანა, ნამგზავურებს გეწყურებათ, — ვთავაზობ ხელახლა.

— არ ღირს შეწუხება, მაგრამ რაკი დაიფინე, არ გაგაწბილებთ, გმადლობთ.

ორყურიანი დოქით მივუტანე მურტის წყალი და ისე გამოწრუპეს, წვეთი არ დატოვეს. მეორე დოქი მოვიტანე, ისიც დაცალეს. მაშინ უფრო დიდი დოქით უბრალო წყალი გამოვიტანე, მაგრამ იმას პირი არ დააკარეს, დაუნაყრდებით და მერე დავლევთო, ხედავთ, ჭამის მერე მომიხდომეს დალევა!

ჩემ წინ ჩამწკრივებულყო ჭუჭყსა და მტვერში ამოვანგლული შალხანი ათი ბებრუხანა — პონსიპანოს, ემელიანოს, კრესენსიანოს, მედუქნე ტორიბიოს, დალაქ ანასტასიოს ქალიშვილები.

აჰ, ბებერა მაიმახები! ერთი მაინც იყოს ახალგაზრდა! ყველა ორმოცდა-

1. გარამბუიო-მექსიკაში იფართოდ გავრცელებული კატუსის წვრილი ნაყოფი.

ათს უკაკუნებს! გამომხმრები და დანაოჭებულები არიან — მოკლედ, გადამჭკნარი ვარდების თაიგულია და ამოსარჩევოც არაფერია...

— რა გნებავთ მაინც?

— შენთან მოვედით.

— ჩემთან? გმადლობთ, რომ გამიხსენეთ. მე, როგორც ხედავთ, მშვენივრად ვარ. ტყუილად შეწუხებულხართ.

— შორს წამოსულხარ. ადგილიც რომ მივარდნილი შეგირჩევია. მისამართი არავისთვის გაგიმხელია. შენს ახალ-დასაველს არავის აცნობ. სადღა არ გიკითხეთ, კვალს ძლივს დავადექით.

— რა კვალი, მე არავის ვეძებ. აქაურობა მომწონს — სიმშვიდეა და სიხალვათე — მეც ვცხოვრობ ჩემთვის. მაინც რა საქმისთვის მოსულხართ?

— იცა, რა... არა, არა, ნუ შეწუხდები, მშვირები არა ვართ. წამოსვლისას ტორკასიტაში დავნაყრდით. კარგად დაგუაპურეს. ჯობია, ჩვენი საქმე განუხაჯოთ. დაგვიჯექი წინ, ისე რომ ყველა გხედაუდეთ და მოგვისმინე, რასაც გიტყვი.

მე თითქოს ნაკვერჩხლებზე ვიდექი. ძალიან მინდოდა უკანა ეზოში გასვლა. ქათმები აკაკანდნენ და კვერცხებს ახლავე თუ არ ამოვიღებდი, კურდღლები შეჭამდნენ.

— წავალ, კვერცხებს მოვიტან, — ვერ მოვითმინე მე.

— არ არის საჭირო. დღეს კარგად გაიხელით, ნუ შეწუხდები.

— ორი კურდღელი დაუმწვედეკელი დამრჩა, თუ არ მივხედავ, კვერცხებს შემეჭამენ. ახლავე მოვალ.

დავტოვე ასე მსხდომიარენი და უკანა ეზოს ვეცი. უკან დაბრუნებას არ ვაპირებდი. გავვარდები-მეთქი ტიშკარში დააშერი. აქვე, ზევით ტყეა. ეგვიც თქვენ, ბებრუხანებო!

თვალი მოვაველე ეზოს კუთხეში დახვავებულ ქვებს და უცებ შევნიშნე, რომ ძალიან ჰგავდა საფლავის ბორცვს. ვეცი და ქვების აქეთ-იქით გადაყრა დავიწყე, ქვაფენილზე დაცემული ბლუჯა-ბლუჯა სცვსოდა ნაპერწკლები. ეს იყო მდინარის სიბი ქვები და იოლად ვერეოდი. წყეული ბებრები, იუდას ნაშიერნო! გამომიჩინეს საქმე. აქ რა ეშმაკებმა ამოახეტათ!

ქვებს თავი მივანებე, ჩემს სტუმრებთან დავბრუნდი და წინ ქათმის ახლად დადებული კვერცხები დავულავე.

— კურდღლები დახოცე? დაგინახეთ, ქვებს ესროდით. კვერცხებს შევინახავთ, მერე შევჭამთ. ისე, ტყუილად წუხდები ჩვენთვის.

— კვერცხებს, გირჩევთ, ნუ შეინახავთ, ეწყოს ასე, თორემ ილღის ქვეშ შეიძლება წიწილები გამოგერეკოთ.

— უტიფარი ხარ, ლუკას ლუკატერო. გული არ გითმენს, კეთილი ხალხი რომ არ გაქირდო. არც ისეთი მხურვალეები ვართ, წიწილები გამოვჩეკოთ.

— თქვენ, არ ვიცი, ხართ თუ არა მხურვალეები, მაგრამ დღევანდელი პაპანაქება სრულიად საკმარისია სისხლის გასახურებლად.

მართო ერთ რამესლა ვფიქრობდი, რაც შეიძლება ჩქარა მომეშორებინა ისინი თავიდან. ჯანდაბას იქით მიმებრძანებინა, რათა სამუდამოდ დაკარგოდათ ჩემს რანსიში ცხვირის შემოყოფის ხალისი. მაგრამ როგორ, როგორ გამეკეთებინა ეს, ვერაფერი მომესაზრებინა.

ვიცოდი, იანურიდან მოყოლებული რომ მეძებდნენ. ღამის იმ დღიდან მეძებდნენ, რა დღითაც გაქრა ანაკლეტო მორონესი. კიდევ კარგი, კეთილი ადა-

მიანები აღმოჩნდნენ და გამაფროთხილეს, ამულის კონგრეგაციის ბებრები დაეძებნო. მათ გარდა აბა ვის რაში ანაღვლებდა ანაკლეტო მორონესი? და, აბ, სოალწაეს კიდევ ჩემამდე.

ერთი გამოსავალია მრჩებოდა; ვმჯდარიყავ, სიტყვა ბანზე ამუღლი, ლაპრაკით თავი გამებეზრებინა, დაბინდებოდა და თუთათნვე, გაუყვებოდნენ ვბას. ჩემთან ღამის გათევას ვერ გაბედავდნენ.

ღამის გათევაზე სიტყვა უკვე ჩამოვადეს. პონსიანოს ქალიშვილმა უცბა აქვა: ამულში დაღამებამდე უნდა დავბრუნდეთ და გვინდა, რაც შეიძლება ჩქარა გადავწყვიტოთ ის საქმე, შენთან რისთვისაც ამოვუღითო. მე კი ვეუბნები: სად გენქარებათ, სახლი დიდი მაქვს, ადგილი ყველას ვეყოფათ, საწოლები თუ არ იკმარებს, ჭილოფები ბევრი მომეძვევება-მეთქი.

უარის აქმას ერთმანეთს არ აცლიდნენ: არა, არაფრის გულისთვის, შენთან ერთ ჭერქვეშ არ ვაუთხვეთ. რას იფიქრებს ხალხი! ნუ, ნუ, გვთხოვო. მე ათას სისულელეს ვიგონებდი, ოღონდ მათაყის თავი გამომელაყებინა, და დავიწყებოდათ რისთვის მოვიდნენ. მიხლოდა, დრო შებინდებამდე გამეწელა, საღამოს კი, თავი თუ არ ჰქონდათ მობეზრებული, თვითონვე აიკრეფავდნენ გვდა-ნაბადს.

— ქმარმა რა ვითხრა, აქ წამოსვლა რომ დააპირე? — ვეკითხები ერთ-ერთ მათგანს.

— გაუთხოვარი დავრჩი, ლუკას. შენი საცოლე რომ ვიყავი, დაგავიწყდა? გიცადე, გიცადე, ლოდინით დავილიე. მერე ხალხმა თქვა, ცოლი შეირთოთ. მე კი ზედაც აღარავინ შემომხვდა და დავბერდი ასე.

— ტყუილად მდებ ბრალს. მაშინ ისეთ ხათაბალას გადავეკიდე, საკუთარი თავიც აღარ მახსოვდა, მაგრამ მაგ საქმის გამოსწორება კიდევ შეიძლება.

— გამოსწორება? ავი ცოლი შეირთოთ? თანაც ვიღაც ვიგინდარა კი არა, თავად ანაკლეტო მორონესის ქალიშვილი. მე, ჯობია, თავი გამანებო, უცდილობ თანდათან დაგივიწყო.

— მე კი არ დამვიწყებიხარ. ისა... რას გეძახდნენ?

— რასა და, ნიევესს მეძახდნენ... ახლაც ნიევესი მქვია. ნიევეს გარსია. ნუ ამიტირებ, ლუკას ლუკატერო. შენი ტკბილი საუბარი და დაპირებები რომ მაგონდება, ახლაც ურუანტელი მივლის.

— ნიევეს... ნიევეს. ტყუილად გგონია რომ დაგივიწყე. არ დამვიწყებიხარ. გინა შენნაირებს ივიწყებენ?.. ახალგაზრდა და ალერსიანი იყავი. გუშინდელივით მახსოვს, რომ გეხუოდი ახალგაზრდასა და ფუმფულას. პაემანზე მოსულს კაბაზე ქაფურის სუნი აგდიოდა. ხანდახან ყელზე ჩემომუკიდებოდი და მთელი ტანით ისე მეკვროდი, თითქოს ვინდოდა ჩემს ძვლებს შეზრდოდი. აბა, ამას რა დამავიწყებს?

— გეყოფა, ლუკას, გეყოფა. მე გუშინ აღსარებაზე ვიყავი, შენ კი ცოდვილი აზრებით მაშფოთებ, ვმბაკეული ცდუნებით მაცდუნებ.

— გახსოვს, მუხლებზე გკოცნიდი. შენ კი მეუბნებოდი, ნუ შერები, მელუტუნებათ; ახლაცა ვაქვს მუხლებზე პატარა ორმოები?

— გირჩევ, გაჩუმდე, ლუკას ლუკატერო. ღმერთი არ გაპატიებს იმას, რაც შენ დამმართე. ძვირად დაგიჯდება ეს ყველაფერი.

— რა ვიყავ მაგისთანა? გცემდი თუ ალერსს გაკლებდი?

— ნაყოფი მოვიშორე. შენ მაიძულე მეთქვა, თორემ დღემდე ეს ხალხში არ გამიმხეღია. პოდა, ახლა გეუბნები, ნაყოფი მოვიშორე. როგორც რაღაც ხორ-

ცის ნაგლეჯი. არცაო დამნახებია. ან რაზე უნდა დამნახებოდა, როცა მამამისი უნამუსო ბუღა გამოდგა.

— ხედავ, როგორ ყოფილა საქმე. ამის შესახებ არაფერი არ ვიცოდი. ვინ-  
და კიდევ მურტის წყალი? დამაცადეთ, ამ წუთში მოვიძიებ.

მე ისევ უკანა ეზოს მივაშურე მურტის მოსაკრეფად. გახვდნენ მისი, ეგებ ბებრებს სიბრაზემ გადაუაროთ-მეთქი.

უკან რომ მივბრუნდი, ნიევესი იქ აღარ დამიხვდა.

— წავიდა?

— აატირე და წავიდოდა, აბა რას იზამდა!

— რა უცხაურია, მე ხომ უბრალოდ მასთან საუბარი და ძველის გახსენება მოვიხდომე. ხედავთ, როგორი ამინდები დაიჭირა — წვიმა არა და არ მოდას, ამულში, უეჭველია, წვიმა იქნებოდა.

— ჰო, სამი დღე გადაბმულად წვიმა.

— წუნს ვერ დადებ, დიდებული ადგილი გაქვთ. წყალიც საკმარისია და ხალხიც გამართულად ცხოვრობს. ჩვენთან კი, სანამღვოს ვდებ, ღრუბელიც არ გადმოივლის. თქვენი ქალაქის სამმართველოს უფროსი ვინ არის ახლა? ისევ როგასიანია?

— ისევ ისაა.

— კარგი კაცია როგასიანი.

— კარგი კი არა, გათახსირებულია.

— არ ვიცი, თქვენ უკეთ გეცოდინებათ. ედელმარო როგორღაა, დუქანი ისევ გამოკეტილი აქვს?

— ედელმარო ჩაძაღღდა. და, უნდა ითქვას, დროულადაც. თუმცა არ ვარ-  
გა ეგეთი ლაპარაკი. ის და როგასიანი გაჭრილი ვაშლივით ჰგვანდნენ ერთმა-  
ნეთს. ჩვენს კეთილისმყოფელ ანაკლეტოს ცილს სწამებდნენ, რაღა არ დააბრა-  
ლეს: ცუდმორწმუნობდაო, ექიმბაშობდაო, ვალთაბანდობით ხალხს ატყუებდაო.  
სადღა არ უვრცელებდი ედელმარო ამისთანა ხმებს. არაუის არ უნდოდა ამის  
მოსმენა, და აკი ღმერთმაც დასაჯა. ჯაჭვზე დაბმული ძაღლივით ავი იყო და  
სიკვდილიც ძაღლული ერგო. ცოფით ჩაძაღღდა.

— უფალი მარადიულ წამებას მიუსჯის.

— ეშმაკები შეშას ბეჯითად მიუსართებენ ცეცხლს, რომელზედაც ის და-  
იწვება.

— იგივე ბედი ეწევა მოსამართლე ღირიო ლოპესს, იმიტომ რომ, ედელ-  
მაროს მხარი დაუჭირა და ნეტარი ანაკლეტო ციხეში გამოამწყვდია.

ბებრუხუნების ლაპარაკში აყოლიება აღარ იყო საჭირო, თვითონვე აიშვეს  
თავი და აღარც მე ვუშლიდი — დაე, ჩამოფქვან ყველაფერი, ოღონდ მე თავი  
დამანებონ-მეთქი. მაგრამ ერთი მომიბრუნდა და მეკითხება:

— წამოგვეყვები თან?

— სადა?

— ამულში. ამიტომ მოვედით შენთან.

კინალამ ხელახლა მოვკურცხლე. უკანა ეზოდან გავიდოდი ჭიშკარში და  
ტყეს მივცემდი თავს. მერე სადაც უნდა იქ ვეძებნეთ. აჰ, ბებრო ეშმაკებო!  
ჯანდაბამდე ვნა გქონიათ!

— ამულში რა მიხდა?

— გვინდა, ჩვენს შუამდგომლობას მხარი აუბათ. ჩვენ, ნეტარ ანაკლეტოს  
სახოგადობამ, მის საპატივცემოდ ცხრადღიანი ღოცვა გამოვაცხადეთ. მისი



წმინდანად შერაცხვა გვსურს. სიძე ხარ მისი და მთავარი მოწმეც შენ უნდა იყო. მღვდელმა გვითხრა, ერთი კაცი მაინც მოიყვანეთ, კარგად რომ იცნობდეს ნეტარ ანაკლეტოს, და მასთან იქამდე ემეგობროს, ვიდრე ხასწაულების მოხდენას დაიწყებდათ. ჩვენ უძალ შენ გაგვახსენდი. მის გვერდით ცხოვრობდი, შენზე უკეთ ვინ მოყვება მის გულმოწყალებაზე? უშეჩუდ ვერღვერს გავაწყობთ. ჩვენს ხელაში პირველი ხოლოკა შენ უნდა იყო. ~~ბაბუაჩი~~

ბებერი კუდიანები! რა გარეკვს!

— მე დიდი სიამოვნებით, მაგრამ არაფრით არ შემიძლია, მეურნეობას ვერ მივატოვებ.

— ჩვენ ამაზეც მოვილაპარაკეთ: ორი ვოვო აქ დარჩება. შენი ცოლიც ხომ შინ იქნება?

— მე ცოლი არა მყავს.

— როგორათუ არა?! ჩვენი კეთილისმყოფელი ანაკლეტოს ქალიშვილი მამ ვისი ცრლია?

— მილალატა, მეც ავდექი და გავაგდე.

— რას ამბობ, ლუკას ლუკატერო, ეს რა უბედურება მომხდარა! ალბათ როგორ იტანჯება ახლა ბედშავი. შენი ცოლი ქალი კი არა, ოქრო იყო. თანაც სულ ახალგაზრდა. სანდომიანი. საით გაამგზავრე, ლუკას? იქნებ მოსიანინებლად მონასტერში გაუშვი? თუ ასეა, ეს, რაღა თქმა უნდა, ქმრის ნებაა!

— არსადაც არ გამიგზავნია. გავაგდე, გესმით? მონასტერშიო! მეტი საქმე არა აქვს. იმას მხოლოდ ერთი რამ უტრიალებს თავში: ცეკვა-სიმღერა და კაცობთან ყიალი. დაეხეტება ახლაც, ალბათ, სადმე ახლომახლო და ბიჭებს ზედ ეკონწიალება.

— არა გვჯერა შენი, ლუკას, იოტისოდენაც არ გვჯერა. ზის ალბათ ახლა თავის ოთახში და ლოცვებს კითხულობს. შენ ხომ ცნობილი ცრუპენტელა ხარ, თანაც გიყვარს უღანაშაულოებზე ხელის დადება. გახსოვს, ლუკას, ერმენდოს ვოვოებს რა დამართე? საცოდავები შორს, ელ-გრულიაში გადაიხვეწნენ. ხალხის შიშით ქუჩაში ვეღარ გამოსულიყვნენ, როგორც კი გამოჩნდებოდნენ, ვილატას უნდა წაემღერა: „მხიარული ვოვოები...“ ვინ არის დამნაშავე? ვინა და, შენ. ათასი ჭორი დაუყარე. არა, ლუკას ლუკატერო, შენ არაფერი არ დაგვეჯერება.

— მაშინ ამულში რაღაზე უნდა წამოვიდე?

— ჩვენ თავდაპირველად აღსარების სათქმელად წავიყვანთ. შენს სიტყვას მერე დავიჯერებთ. დიდი ხანია არ გითქვამს აღსარება?

— თხუთმეტი წელია, მას შემდეგ, რაც ქრისტეროსებმა<sup>1</sup> კინალამ დამხვრიტეს. მღვდლის წინ დამაჩოქეს, თოფის ლულა ბეჭებშუა მომაბჯინეს და — აღსარება მათქმევინეს. მაშინ ისეთი რამეები წამოვროშე, ძილშიც არ დამსიზმრებია. წინასწარა ვთქვი ცხოვრების აღსარება.

— ნეტარი ანაკლეტოს სიძე რომ არ იყო, შენთან არაფრის გულისთვის არ მოუედოდით. არც არაფერს ვიხიუდით. ეშმაკია შენში ჩაბუდებული, ლუკას ლუკატერო.

1. 1927 წელს მექსიკაში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ, რომელიც პროვოცირებულ იყო პრეზიდენტ კალიესის დემაგოგიური ანტიკლერიკალური პოლიტიკით. სახელწოდება დაერქვა ლოზუნგის მიხედვით — „ქრისტე — უფალი ღმერთი“, რომლითაც მოქმედებდნენ აჯანყებულები.

— რაც მართალია, მართალია, ტყუილად არ ვყოფილვარ ანაკლეტო მონხესის ხელქვეითი. ის თვითონ სატანა იყო.

— ნუ მკრეხელობ.

— თქვენ მას არ იცნობდით.

— ვიცნობდით. ის წმინდა ადამიანი იყო.

— იქნებ ფარისეველი?

— გონს მოეგე, ლუკას!

— არაფერი თქვენ არ ვაგებებათ, თავდაპირველად იგი წმინდანებით ვაჭრობდა. ბაზრობებზე, ეკლესიათა კარიბჭესთან, მე კი საქონლით სავსე ზანდუკი დამქონდა. ასე დავდიოდით სოფლიდან ხოფელში, ქალაქიდან ქალაქში. ის წინ მიდისოდა, მე ზანდუკით უკან მივყვებოდი. ზანდუკში მელაგა წმინდა პანტელეიმონი, წმინდა ამბროსი და წმინდა პასკუალე თავსაყთანთი ლოცვებით, რაც მათი ცხრადღიანი ლოცვების დროს უნდა წაკითხულიყო... ზანდუკი სამი არობის სიმძიმის მაინც იქნებოდა.

ერთხელ გზაში ჭიანჭველების ბუდე შემოგვხვდა. ანაკლეტომ ზედ დაიჩოქა და მასწავლის, ენაზე კბილებს თუ დაიდგამ, ვერ იგრძნობ, ჭიანჭველები როგორ გკბენენო. სწორედ ამ დროს გზაზე მლოცველები გამოჩნდნენ. დაახანეს ანაკლეტო და გაჩერდნენ, ეს რა სასწაული ხდებაო. უკითხებიან: საოცრებაა, ჭიანჭველების ბუდეზე ხარ დაჩოქილი და ჭიანჭველები რატომ არაფერს გვნებენო?

ანაკლეტომ გულხელი დაიკრიფა და გარეკა და გარეკა. ეს-ეს არის რომიდან ჩამოყვანილი, თან პაპის ეპისტოლე და წმინდა ჯვრის ნაწილი ჩამოვიტანე, რაზედაც იესო ქრისტე გააკრესო.

ანაკლეტო მათ ხელში აიყვანეს და ამულამდე ასე, ხელში აყვანილი მიჰყავდათ. იქ კი ერთი ამბავი დატრიალდა. ხალხი მის წინაშე მუხლებზე ეცემოდა და სასწაულებზე ლოცულობდა.

ამის შემდეგ დაიწყო რაც დაიწყო. მე მარტო პირს ვაღებდი და თქალებს ეფაბულებდი იმის შემხედვარე, როგორ აბრიყვებდა ანაკლეტო მასთან თავჯანსაღებდ მისულ მომლოცველებს. ზღვა ხალხი აწყდებოდა.

— ტყუილებს ჩმახავ და მკრეხელობ. მას რომ შეხვდი, რას წარმოადგენდი? მეღორე იყავი! იმან გაგამდიდრა. მოელი ქონება მისი წყალობით შეიძინე. ამის შემდეგ მის საოუგოდ ენა როგორ გიბრუნდება? უნამუსო ხარ!

— არა, არ უარვეყოფ. მართალია იმან ჩამაცვა და დამახურა, მაჭამა-მასვა, ამაზე მადლობელი ვარ. მაგრამ სატანა რომ იყო, ისიც მართალია. ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ახლა სამოთხეშია თუ ჯოჯოხეთში, სულერთია — სატანა იყო და სატანად დარჩება.

— სამოთხეშია, სამოთხეში, ღმერთის ანგელოზებთან. აი, სად არის, გასკდი შურით.

— სამოთხისა რა მოვახსენოთ და, ციხეში რომ იჯდა, ეს ნამდვილად ვიცო.

— მაგ ამბებმა ჩაიარა. ციხიდან გაიქცა. კვალს ვერ მიაგნეს. უფალმა ხორცშესხმული თავისთან, ზეცაში წაიყვანა. და ახლა ცათა შინა სისუფვევლიდან გვლოცავს. გოგოებო! დაეჩიოქოთ, ვილოცოთ, დაე, ნეტარი ჩვენი ქობაგი იყოს უზენაესის წინაშე. შეგვიწყალებ, უფალო!

ბებრები მუხლებზე დაეცნენ და ლოცვა დაიწყეს. ყოველთვის „მამაო ჩვე-

ნოს“ რომ შიადწევდნენ, კოცნიდნენ თავთავიანთ სკაპულიარებს, რომელზედაც ანაკლეტო მორონესის გამოსახულება იყო ამოქარგული.

შუადღის სამი საათი იქნებოდა.

სანამ ისინი ღოცვლობდნენ, სამზარეულოს ვეცი და სახელდახელოდ გადაესახსლე ორი-სამი კოვზი ღობიო. უკან რომ დავბრუნდებო, ხუთხსლა დამხუნენ.

— დანარჩენები რა იქნენ? — დავინტერესდი მე.

— წავიდნენ, — შიოხრა პანჩამ და ზედა ტუჩზე შავი ბუსუსები აუტოკდა, — არ უნდათ შენთან არავითარი საქმის დაჭერა.

— ძალიან კარგი. როგორც მოხვალ სვიხაო, ისე წახვალ შინაო. — კიდევ მოგიტანით მურტის წყალი?

ფილიმონა, მკვდარივით რომ დადუმებულიყო — ბიროტმა ენებმა ტყუილად როდი შეარქვეს მეტსახელად „მიცვალებული“ — წამოდგა, ყვავილების ქოთანთან მივიდა, თითები პირში ჩაიწყო და რაც ხიწიწსა და პარკოსნებს მურტის წყალი დააყოლა, სულ უკან ამოაღებინა.

— არ მინდა, ცოდვილო, შენი მურტის წყალი. შენი არაფერი არ მინდა. — და მაგიდაზე დამიწყო ჩემი მიცემული კვერცხები — არც შენი კვერცხები მჭირდება! აქ ჩემი ფეხი ამოიკვეთება!

ოთხნილა დარჩნენ.

— შენი წყლის ამორწყვეა არც მე გამიჭირდებოდა, მაგრამ როგორმე მოვიტემენ, — ალაპარაკდა პანჩა. — ჩვენ უსიკვდილოდ უნდა ჩავიყვანოთ ამულში. მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია დაგვიდასტურო ნეტარ ანაკლეტოს წმინდანობა. მოგიღბეს იქნებ ეგ გაქვავებული გული. მისი ხატი უკვე ეკლესიაშიც ჩამოვკიდეთ, და ცუდი იქნება, ახლა შენი მიზეზით რომ ჩამოვხსნათ.

— ჩემ მაგივრად სხვა ვინმე მონახეთ. მე მაგ საქმეში არ ვავერევი. სხვის გამო უსიამოვნებას ვერ გადავეკიდები.

— მაგრამ შენ ხომ შუილივით ჰყავდი. შემკვიდრეობაც მიიღე — მთელი ქონება, რაც წმინდანობით მოინაგრა, სხვას კი არა, სწორედ შენ დაგადგი თვალი, რათა ამქვეყნად საკუთარი ოჯახი დაემკვიდრებინა — ქალიშვილი შენ მოგათხოვა.

— მართალია, მომათხოვა, ოღონდ, ქალიშვილს ოჯახი ჩემამდე დაუმკვიდრა.

— დმერთო, მოწყალეო! რეებს ამბობ, ლუკას ლუკატერო!

— იმას, რაც გეყურებათ. ქალი მან ნამატით მომცა. ოთხ თვეზე ნაკლების არ იქნებოდა.

— ტყუიხართ, ქალი სათხოვებით ცხოვრობდა.

— სათხოვებით კი არა, სიბაღწით. და იმისათვის, რათა ყველას სცოდნოდა წმინდანი კი არა, იმავე სისხლისა და ხორცისგან რომ იყო შექმნილი, რითაც ყველანი, ვინც შეხვდებოდა, სურვილი ვისაც კი ჰქონდა, სუფველას მუცელს უჩვენებდა. აიწვევდა კალთას და გამოიჩენდა სიმძიმისაგან წითლად დაძარღვეულ მუცელს. კაცები იდგნენ და ხარხარებდნენ. რა თქმა უნდა, სახეირო იყო. იმას კი ნამუსა ჰქონდა დაკარგული და არა რცხვენოდა. აი, თუ გინდა მთელი სიმართლე ანაკლეტო მორონესის ქალიშვილზე.

— ღვთის მგმობელი ხარ. შენ იმაზე რა გეტქმის. ისეთმა ფურმა დამწიხ-

ლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო. სკაპულიარს ჩაგაცმევთ, რათა განდევნოს შენ-  
გან ეშმაკები.

—... შერე გამოჩნდა ერთი სულელი, თითქოს შეუყვარდა, და უთხრა, რაც  
იქნება, იქნება, შენს ცოდვებს დაეფარავო. ჰოდა, გამომევა ცოლად.

— რის ცოდვა. ცოდვა კი არა, ნეტარის წმინდა ოჯახში იყო, ქალიშვილი  
ღვთის წყალობასათვის გერგო საჩუქრად! ნამდვილ განძს ფლობდი, წმინდანის-  
გან გაჩენილს!

— მიდიო, მიდიო, როშეთ!

— რათ, რა თქვი;

— რადა, ანაკლეტო მორონესის ქალიშვილს ანაკლეტო მორონესის შვი-  
ლიშვილი ყჯღა მუცელში.

— ეს შენ მოუგონე სახელის გასატეხად. გიცნობთ, ჭორების ოსტატი იყა-  
ვი მუდამ.

— ჭორებისაო? სხვებზე რაღას იტყუით? ანაკლეტომ ჩვენს კუთხეში ღა-  
მის ყველა გოგო გააფუჭა! ოთახში ღამე აუცილებლად გოგო უნდა სჯდომოდა,  
რომ მისი ძილისათვის ეყარაულა.

— ამას თავისი სიწმინდის გულისთვის სჩადიოდა, სახელი რომ არ გაე-  
ტეხათ, უმანკოებას იკრებდა გარს, რათა სული ჭუჭყისგან დაეცვა.

— იქ ღამე თქვენიც რომ გაგეთიათ, სხვაგვარად ამღერდებოდით.

— ტყუილია, მეც ვყოფილყარ მასთან — მიმიწვია და ვუთიე კიდევ მოელი  
ღამე.

— შერე?

— შერე არაფერი. დილით ცოტა რომ ჰცივდა, მან თავის სასწაულმოქმედი  
ხელებით დამახურა საბანი. მე „მადლობა“ ვუთხარ, რომ თავისი სხეულის სი-  
თბოთი გამათბო. სხვა ჩვენს შორის არაფერი მომხდარა.

— იმიტომ რომ ბებერი მოეჩვენე. იმას პატარა გოგოები უყვარდა, ისეთე-  
ბი, გულში რომ ჩაიკრავდა და ძვლებს ჭახაჭუხს დააწყებინებდა, ისე, თითქოს  
არაქისს ამტერევდე.

— წყნული უღმერთო ხარ, ლუკას ლუკატერო, ისეთი უღმერთო, ქვეყანას  
დღემდე რომ არ მოვლენას!

ეს „ობოლი“ ალაპარაკდა, ოთხიდან ყველაზე ხნიერი, რომელსაც ყველა-  
ფერზე ეტირებოდა.

— ობლად რომ დაერჩი, — თქვა და ხელები აუცახცახდა, თან ცრემლები  
ღვარად ჩამოუვიდა, — მან შემიმსუბუქა ობლობა. ღვთის მაგივრობაც გამიწია  
და მამისაც. მთელი ღამე ჩემს გვერდით იყო, მეფერებოდა, მამშვიდებდა,  
მწუხარების დაეიწყება მან შემადლებინა.

ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა.

— რაღა გატირებს? — კკითხე მე.

— მშობლები დამიხოცეს. მარტოდმარტო დაერჩი ობოლი. ისეთ ასაკში  
ვიყავი, რომ ამ დროს ვერც თანაგრძნობას იპოვი და ვერც დასაყრდენს. მთელი  
სიცოცხლის მანძილზე ერთადერთი ღამე მახსოვს, როცა ჩვენი მწყალობელი  
ანაკლეტო მომეხვია თავისი ნუგეშისმცემელი ხელებით. შენ კა სახელს უტე-  
ხავ.

ის წმინდანი იყო.

- თანაც კეთილზე კეთილი.
- ჩვენ გვეგონა, მის კვალს გაჰყვებოდი, მან ხომ მოელი თავისი შემკვიდრეობა გიანდერძა.
- შემკვიდრეობა! ერთი ტომარა მოკვდავის ცოდვება! — აი, რა გიანდერძა. ჰო, კიდეც ცალტვინა ბებრუხუნათი დამასაჩუქრა. რა თქმა უნდა, თქვენსაეიო ბებერი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, იმისი სისულელეებს — ჩემს კეთილთა კიდეც კარგი, თავიდან მოვიშორე, მე თვითონ გავუღე კარი — გზა დამილოცნია-მეთქი.
- სისულელეებს ნუ რომავ, ღვთის მგმობელი!
- ამის შემდეგ ორნი კიდეც წავიდნენ. მიდიოდნენ, თან პირჯვარს იწერდნენ და მპირდებოდნენ, ლოცვებით დავბრუნდებით, რათა შენგან ეშმაკი გავაძევათო. ორნიღა დარჩნენ.
- რაც გინდა ისა თქვი, — დაიწყო ანასტასიოს ქალიშვილმა, — და ჩვენს მწყალობელ ანაკლეტოს სასწაულებს მაინც ვერ წაართმევ. სასწაულმოქმედი რომ იყო, ამას ვერავინ უარყოფს!
- ბაღლების კეთებას რა სასწაული უნდა. თუმცა, უმჯობელია, ამ საქმის დიდი ოსტატი იყო.
- ჩემი ქმარი სიფილისისაგან განკურნა.
- მე კი არ ვიცოდი ქმარი თუ გყავდა. შენ დალაქ ანასტასიოს ქალიშვილი არა ხარ? მახსოვს, ტანოს ქალიშვილი ქალწულად ითვლებოდა.
- ქალწულად კი არა, გაუთხოვრად. სხვადასხვაა ქალწული და გაუთხოვარი. ქალწულია, როცა ქმარი არ ჰყოლია, გაუთხოვარს კი შეიძლება კაცი ჰყავდეს. ამის მიხედვით მეც გაუთხოვრად ვითვლება.
- შენც მაგ გზას დაადექი, მიქელა? შენი ასაკის ქალი?
- სწორედაც რომ ჩემი ასაკისა. უნებურად მომიხდა. თუმცა რაში მაინტერესებდა ქალწულად დარჩენა? ახლა უკვე ქალი ვარ. მოგეცემა რაიმე? მაშასადამე, უნდა გასცე კიდეც. ამქვეყნად მაგიტომ იბადები.
- თითქოს ანაკლეტო მორთნესი მელაპარაკებოდეს.
- სწორედ მის რჩევას დაუუჯერე. ღვიძლის ჭვალე გაგავლისო. მეც ავდექი და ვიშოვე ქმარი. ორმოცდაათი წელი ქალწულად ყოფნა ცოდვება.
- ანაკლეტო მორთნესმა ვითხრა ესიც?
- ჰო, იმან მითხრა. ოღონდ, ჩვენ შენთან სხვა რამისთვის მოვედით: წამოხვალ ჩვენთან და დაადასტურებ, რომ იგი წმინდანი იყო.
- იქნებ ის კი არა, მე ვარ წმინდანი?
- შენ არც ერთი სასწაული არ მოგიხდენია. იმან კი ჩემი კაცი გადაარჩინა. ეს მე ჩამდვილად ვიცი. იქნებ შენც განგიკურნია ვინმე სიფილისისაგან?
- არა, მე თვალისთავ არ მიჩაჩავს ეგეთი ავადმყოფი.
- ეს განგრენასა ჰგავს. სხეული სულ გაუწითლდა და ლურჯი ლაქებით დაეფარა. ვეღარ დაეძინა, ამბობდა, თვალები ისე მივარვარებს, გვეგონება, ეშმაკების ჯოჯოხეთში ვიყურებიო. ისე ეწეოდა, მოთმინება არ შეეძლო — მთელ სახლს გარს ურბენდა. ავდექით და წავუღით ჩვენს კეთილისმყოფელთან — ანაკლეტოსთან და იმანაც განკურნა. ცხელი ლელქაშის ღეროთი მოუწვა, მერე თავისივე გამოძწვარი ნერწყვი მოუსხა. უცებ დაუამდა ყველაფერი. ჰოდა, თქვი ახლა, არის თუ არა სასწაული?
- შენს ქმარს უბრალო ჩუტყვავილა ჰქონია. ბაღლობაში მეც ვგრე წამისვეს ნერწყვი.

- ხომ გეუბნებოდი, უღმერთო ხარ, გამოუსწორებელი უღმერთო.
- სანუგეშოდ ერთი რამ დამრჩენია - ანაკლეტო მორონესი ჩემზე უარუნი იყო.
- მან ღვიძლი შეიღვეით მიგიღო, შენ კი ბედავ... შენი მოსმენაც აღარ მინდა, მივდივარ. შენა, პანჩა, დარჩები?
- ცოტახანს დავრჩები, ვცდი უკანასკნელად პირისპირ დარჩენილს, შეგებ როგორმე დავიყოლიო.
- მისმინე, ფრანსისკა ყველა ხომ წავიდა, დარჩი ამაღამ ჩემთან.
- ღმერთმა დამიფაროს, რას იტყვის ხალხი? მე მხოლოდ ერთი რამე მსურს - როგორმე დავიყოლიო.
- კარგი მაშინ: შენ მე დამიყოლიე, მე შენ დავიყოლიებ. რას წააგებ? დაფიქრდი აბა, შენნაირი ბებერი ვიღას რად უნდა? სიბრალულის გამოც კი აღარავინ გამოიხედავს შენსკენ.
- მერე დაიწყებენ ყბედობას, რაღას არ იფიქრებენ.
- იფიქრებენ და იფიქრონ, მიგიფურთხებია ყველასათვის. ვერაფერსაც ვერ დაგაკლებენ, რა პანჩაც იყავი, ისევ ის პანჩა დარჩები.
- კარგი, ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება, დავრჩები, ოღონდ, გარიფრაყამდე. სამაგიეროდ, სიტყვა მომეცი, რომ წამოხვალ ამულში, მაშინ სათქმელი შექნება, რომ მთელი ღამე გიყოლიებდი, გიყოლიებდი და ბოლოს გაგტეხე. ისე აბა როგორ დავებრუნდე.
- როგორც ვინდა. ოღონდ, მანამდე უღვაშები შეიკრიჭე, მაკრატელს ახლავე გამოგიტან.
- თანაც დამცინი და ნაკლს მიძებნო, ლუკას ლუკატერო, ჩემს უღვაშს მიუშვი, თორემ მიმიხვდებიან.
- მაშინ კარგი, მოვრიგდით.
- მოსაღამოვდა. ქალი მეხმარებოდა - წნელებისაგან საქათმე მოვწანით, მოვლს ეზოში სულ ახლახან რომ სიპი ქვები მივყარ-მოვყარე მოვავროვეთ და სადაც ადრე იყო, ისევ იქ დავახვავეთ.
- ჩემს სტუმრებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ქვების ქვეშ დამარხული იყო ანაკლეტო მორონესი და, რა თქმა უნდა, ვერც მიხვდებოდნენ რომ სწორედ იმ ღამეს გარდაიცვალა, როცა ციხიდან გაიქცა და მომადგა მოთხოვნით-უკან დამებრუნებინა მთელი მისი ქონება. მოვარდა მაშინ და მეუბნება:
- გაყოფე ყველაფერი, რასაც აიღებ, მომეცი. ჩრდილოეთისკენ ვაპირებ წასვლას. იქიდან წერილს გამოგიგზავნი და ისევ ერთად დავიწყით მუშაობა.
- ჯობია, შენი ქალიშვილი წაიყვანო, - ვუბნები მე, - მთელი ჩემი ქონებიდან, რაზედაც ამბობ, რომ შენია, ერთადერთი მხოლოდ ეგ არა მჭირდება. შენ ჩემს გაბრიყვებასაც კი არ მოერიდე.
- როცა მოეწყობი, მოგწერთ და თქვენ მერე ჩამოდით, იქ გავარჩიოთ ყველაფერი.
- არა, გასარჩევი ახლავე უნდა გაირჩეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ სათელი გახდეს ყველაფერი.
- მისმინე, მე აქ სახუმაროდ არ მოვსულვარ, - მეუბნები ის, - შენ ჩემი მომეცი. ფული აღბათ სადმე გადაძალული გაქვს.
- ცოტაოდენი მაქვს, ოღონდ შენ იმას ნუ ანგარიშობ. შენმა უხირცხვი-

ლო ქალიშვილმა თავი გამაბუზრა, მე კი მაინც ვაჭმევ და ვასმევ. ასე რომ, ჩვენ ანგარიში გასწორებული გვაქვს. ის კი არა, მადლობაც უნდა მათხრა. ის ალუღდა, ფეხების ბაკუნი დაძიწყო, დრო კი აღარ ითმენდა... უნდა წასულიყო...

„განისვენე მშვიდად, ანაკლეტო მორონეს!“ – ვუთხრებდი საფლაავზე მიწას ვაერი. მერე ამ სიტყვებს ვიმეორებდი ყოველთვის, როცა კი მდინარიდან ვბრუნდებოდი მის საფლაავზე დასაყრელი სიპი ქვებით დატვირთული – ახლა რა ხრიკებით უნდა იხმაროს, ამ სამარეს თავს ვეღარ დაადწევს!

პანჩა მეხმარებოდა საფლაავზე ხელახლა ქვების დაყრაში. რომ სცოდნოდა ეს საფლაავი იყო და თანაც ანაკლეტო მორონესი განისვენებდა! საფლაავი ქვებით ამოვავსე, რათა იქიდანაც არ ამომპერალიყო და ხელახლა არ მოეთხოვა ანგარიშის გასწორება. ამისთანა გაქნილისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. შეიძლება მკვდრეთითაც აღხდგეს და სამზეოს ხელახლა მოუვლინოს.

– კიდევ მოიტანე ქვები, პანჩა. აქ, ამ კუთხეში დაყარე, არ მიევიარს ქვები ფეხებში რომ მეღება.

გარიჟრაჟისას პანჩა მეუბნება:

– უტიფრად და მხეცივით მომექეცი. ალერსი არა გცოდნია, ლუკას ლუკატერო. იცი, ვის შეუძლია ქალის ალერსი?

– ვისა?

– ჩვენს მწყალობელს, ანაკლეტო მორონესს. ია, ვინ იყო სასიყვარულო საქმეების ოსტატი.

### კვალზე მიყოლა

ქვიშაზე აღბეჭდილი იყო კაცის ნაფეხურები, თუმცა მხეცის უფორმო ნაკვალევს უფრო ჰგავდა. ფერდობზე, ეტყობა, თითებს ნერვიულად უჭერდა, ქვებს ებლაუჭებოდა. მერე კვალი ისევ მიიწეკდა ზევით, მთის თხემისაკენ, საიდანაც მიდამოს დაზვერვა შეიძლებოდა.

„ბრტყელტერფა ყოფილა. – დაასკვნა იმან, ვინც კვალს მიჰყვებოდა, – ერთი თითი იკლია, მარცხენა ფეხის დიდი თითი, ასეთი ნაშანი არც თუ ბევრსა აქვს. განსაკუთრებული შრომა არ დაძვირდება“.

თიკეებით ვაწრო ბილიკი ეკაღბარდებსა და გაბარჯულ „ემშაკის სიდურს“ შორის გადიოდა. ბილიკი ზევით, პარდაპირ ცისკენ მიიწეკდა და მისივე ცისფერ კიდესთან წყდებოდა. მაგრამ მთის თხემს იქით ბილიკი ხელახლა იწეებოდა, ცაც, ბილიკთან ერთად, წინ მიიწეკდა და თანდათან შორდებოდა. ბილიკიდან კვალს ერთხელაც არ გადაუხევეია.

... კაცი მიდიოდა, მძიმედ ადგამდა გარქივანებულ ტერფებს, ფრჩხილებით ქვებს ვაწრავდა, ეკლები ხელებსა და მხრებს უღადრავდა. ყოველ მთის თხემზე ჩერდებოდა, მიდამოს ათვალიერებდა, ბილიკმდე კიდევ ბევრი დამრჩა თუ არაო. „ეს ჩემთვის კი არა, იმისთვის იქნება აღსასრული“, – ჩაილაპარაკა მან და მოტრიალდა, ეს ვინ წარმოთქვაო.

... ხუნთქვა უჭირდა, პაერი არ იძვროდა. ყურებში ფეხქვეშ დამსხვრეული ჩხრიმლის ექო ედგა. მიდიოდა ფრთხილად, ყოველი მოძრაობა გათვლილია ჰქონდა, სარკოჯის დაადგამდა, ცდილობდა, ნაბიჯი მოეზომა, ხმაძალდა ამო-

სუნიტებისა კი ეშინოდა — და ეს ყოველივე ღლიდა, „რაც იქნება, იქნება“, — წარმოთქვა ისევ ხმაამალა და ახლავდა მიხვდა, რომ თვითონვე ლაპარაკობდა.

„აქ ბარდები მაჩეტეთი გაუჭრია და ისე გასულა, — დაასკვნა მღევარმა, — აგერ ნაკაფიცო, მაშასადამე, ერთი სული ჰქონია, აქედან როგორმე გაედრო, უჩქარა და, მოთმინება როცა არა გყოფნის, კვალსაც ტოვებ“.

...მოთმინებამ გუშინ უღალატა, როცა დაინახა, რომ საათს ხანის მისდევდა, მის წინ კი ერთი მოის თხემს მეორე ცვლიდა. აღარა და აღარა ჰქონდა დასასრული ფერდობებს, რომლებზედაც ძლივს მიბობლავდა. გაბრაზებულმა ამოიღო მაჩეტე და კაფჯა დაუწყო ფესვებივით დაუმორჩილებელ ჯაგნარსა და შამხარს. პირში რაღაც გაუკნაწუნდა, გაცოფებულმა გადმოაფუროთხა მტვერი და კვამლი, ნერწყვი კბილებშია მიიტარ-მოიტარა და ისევ გადმოაფუროთხა. წინ, ზევით, აკაციების გაშიშვლებული ტოტების მიღმა, ანათებდა ზახტად მოძრავი ღრუბლებით დაფარული მშვიდი ზეცა.

ხეებს ფოთლები გასცვივნოდა. უწვიმობასა და გვალვას ბალახიც გაეხმო, ირგვლივ ეკალ-ბარდი და შამბი მომძლავრებულიყო და კაციც მოუთმენლად და თავდავიწყებით ეკვეთა მაჩეტეთი წყეულ ბარდებს. „შენც გამოიგდე რაღა საქმე, მაგით მარტო მაჩეტეს დაახლუნგებ, მოეშვი და წინ გასწი“, — ზურგს უკანდან მოესმა ხაკუთარი ხმა.

„მას თაეისივე ბოროტება გასცემს, — გაიფიქრა კაცის კვალზე მავალმა, — თვითონ რასაც წარმოადგენს, გაამხილა უკვე, ახლა მარტო იმის გაგება ლა მინდა, ბევრივე ჩამოვრჩები თუ არა. მეც ავივლი მაგის ავლილ ფერდობებს, დაღმართზეც დავეშვები მის ნაკვალევზე და სულ წინ და წინ გავივლებ, ანამ ძალ-ღონე არ გამოუღებია. როცა დავეწევი, მაშინლა გავჩერდები. იგი მუხლებზე დაეცემა და შეწყალებას მოხოვს, მე კი კუფაში ტყვიებს მივაჭედებ. დავეწევი თუ არა, ეს აღსრულდება“.

...როგორც იქნა, მივიდა. ახლა წინ, ზევით, მხოლოდ და მხოლოდ ნაცრისფერი, ჰორიზონტიდან ზენიტამდე დაისით ვალვივებული ღრუბლიანი ზეცა იყო. დედამიწამ გვერდი იცვალა. კაცმა სახლი და მინავლული კერიიდან ამოშვალი კვამლი დაინახა. ფეხები ახლად მოხნული, მიწით ჰქონდა დასვრილი. მისდა უნებურად მაჩეტეს ტარი კარს მოხვდა. ძალი გამოვარდა და ფეხების ღოკვა დაუწყო, მეორე გარშემო ურბენდა და კუდს უქიცინებდა. კაცმა კარს ხელი ჰკრა, კარი მოხურული აღმოჩნდა მხოლოდ.

„სუფთად იყო ნამუშევარი, — ჩაილაპარაკა მღევარმა, — არვინ არ გაუღვაძებია, ეტყობა, ნაშუალამევეს მივიდა, როცა კაცს ყველაზე ღრმად სძინავს და პირველი სიზმრები ესიზმრება, როცა სიცოცხლე ღამესაა მინდობილი, კაცს დაღლილობისგან ონსილა აქვს გამოცლილი და სიფრთხილე აღარ აგონდება. მივიდა ალბათ და თქვა: განცხრომით მისცემიანი ძილს“.

„ყველა არ უნდა დამეხოცა, — ჩაილაპარაკა წინ მიმაკვალმა, — ყველა არა, — და გაჩუმდა“.

...მოქრუშული განთიადი სიცივისაგან გათანგულიყო. წინ მიმაკვალი კაცი თხემს მეორე მხრიდან უკვე ველზე ეშვებოდა, ფეხი მშრალ ბალახზე უსხლტებოდა, ხელში ისევ მაჩეტე ჩაებლუჯა, მაგრამ თითები მალე სიცივისაგან გაუშემდა და მაჩეტე ხელუკუღმა ისროლა. შამბში დაცემული პირბასრი იარაღი შუაზე გაწყვეტილი გველივით აელვარდა. კაცმა კი გზი განაგრძო. ბარდებში ახლზე ქნიდა ბილიკს და მდინარისაკენ მიიწევდა.



მდინარე შორს, ქვემოთ, კვიპაროსებით ატეხილ ჭაობიან ნაპირებს მიუ-  
ვებოდა, შავი დინება უხმაუროდ, მღორედ მიიზღახებოდა, ხან იკლავებოდა,  
ხან უკუიქცეოდა, იხლარებოდა, ერთ ადგილზე ტრილობდა, ამწყანებულ ღ-  
დამიწას სერპანტინის ლურჯ ლენტად ეხეოდა, მაგრამ მისი ხმაური ახლოდ-  
ნაც არ ისმოდა. წყალშიც რომ შესულიყავ, მარტო საჭურჭრ მუწისქვას თუ გაი-  
გონებდი, სხვას ვერაფერს. ჭაობის ძალი კვიპაროსებთან სვეტიკიდებული  
სურთ გახლართულიყო, ხეთა ტოტების აბლაბუდაში, რომელიც დინებას წყალ-  
დიდობის დროსაც კი ვერ გაერღვია.

... მდინარის კალაპოტი კაცმა აყვავებული კვიპაროსების ყვითელი არმი-  
ით გამოიცილო. წყლის ხმაური არ ესმოდა. დილის ბინდბუნდში აქა-იქ მარტო  
მდინარის მოსახვევი გაიღვებდა ხოლმე. კაცს თავზე ჩაჩაღაკების გუნდმა ვა-  
დაუფრინა. გუშინ, მზის ჩასვლისას, ისინი მიმავალი დღის კვალს გაჰყვნენ,  
დღეს კი, მზე ამოვიდა თუ არა, მასთან ერთად დაბრუნდნენ.

... ხანამ მაჩეტეს ხელს მოჰკიდებდა, სამჯერ გადაიწერა პირჯვარი. „უნდა  
მაპატიოთ“, — თქვა მან, პირჯვრის შესამედ გადაწერამდე, ცრემლა ღვარად ჩა-  
მოსდიოდა, ან იქნებ ოფლიც იყო. ძნელია კაცის მოკვლა, ძნელია ცოცხალი  
კაცის აკუწვა, ხორცი ერთი შეხედვითაა ადვილად დამყოლი, სინამდვილეში  
თასმასავით მაგარია და შეუპოვრად გიძალიანდება. მაჩეტეს კი პირს დაჩლუნ-  
გებული ჰქონდა. „ყველამ უნდა მაპატიოთ“, — გაიმეორა მან.

„მდინარის ნაპირისათვის რომ მიუღწევია, ქვიშაზე დამჯდარა, — ჩაილა-  
პარაკა კვალზე მიმავალმა, — იქ კარგა ხანს მჯდარა, ალბათ დრუბლების გა-  
უანტვას ელოდებოდა. მაგრამ მზეს არც იმ დღეს და არც მეორე დღეს დრუბ-  
ლებიდან არ გამოუხედავს. კარგად მახსოვს, კვირა დღე იყო, ახლადშობილი  
რომ გარდაიცვალა და სასაფლაოზე წავედი. ახალშობილზე არავინ ენადვლო-  
ბდით, მარტო ის მახსოვს, ზეცა მოქურუშებული იყო და ყვავილები, ხელში  
რომ გვეჭირა, ფერწასული და ლამის დამჭუნარი ჩანდა, თითქოს უმზეობას  
წუხდნენ.

ქვიშაზე მჯდარა და ისე უღოდნია. იი, მისი აქ ყოფნის კვლიც: ბარდე-  
ბის მახლობლად ქოხი და მისი თბილი სხეულისაგან კვალდამჩნეული ნესტი-  
ანი მიწა“.

... ბილიკიდან რომ არ გადავსულყავ, აქამდე უკვე მდინარის მეორე ნა-  
პირზე ვიქნებოდი. თუმცა, არა, არა, გაკვალულ ბილიკზე სიარული საშიშია,  
მით უფრო თუ ნამუსი სუფთა არა გაქვს. ამას კი პირველივე შემხვედრი შე-  
მატყობს. გიგონება, შუბლზე მეწეროს. ვიცი, ასეა. თითო რომ მოვიჭერი,  
ხალხმა დაინახა, მე კი გაცხარებისაგან ვერაფერი ვიგრძენი. მერეღა მივხვდი.  
ახლაც ასეა. მე ჩემს თავს ვერ ვატყობ, სხვა კი, უეჭველია, აშკარად შემატ-  
ყობს, ჰო, ვგრძნობ, აშკარად შემატყობს. შეიძლება იმითომ, რომ ნამუსი სუფ-  
თა არა მაქვს, შეიძლება იმიტომაც, რომ ძალიან გამოძნელდა. სუყველა არ  
უნდა დამეხოსცა, არა, მარტო ის უნდა მომეკლა, რომლის მოკვლაც განზრახუ-  
ლი მქონდა, მაგრამ, აბა, მიდი და გაიგე სიბნელეში — ვინ ვინ არის. ხელის  
ცეცებით კი ერთმანეთისაგან რას გაარჩევ. რას იზამ, რაკი ყველა ერთად დაი-  
ხოცა, დაკრძალვა იაფი დაუჯდებათ“. — ფიქრობდა წინ მიმავალი კაცი.

„შენ ჩემზე ადრე დაიღვები. მე იქ პირველი მივალ, საითკენაც. შენ ის-  
წრაფვი, — ამბობდა კვალს ადევნებული, — შენი განზრახვა ჩემთვის წინასწარ-  
ვე ცნობილია. ვიცი, ვინა ხარ და საიდანა ხარ, ისიც ვიცი, სად მიდიხარ, და  
შენზე ადრე იქ მე მივალ“.

“...არა, ეს არ არის ის ადგილი, — თქვა მდინარესთან გასულმა კაცმა, — მდინარე აქ რომ გადავლახო და ქვემოთ ისევ მეორე მხარეს გადავიდე, კვლავ ამ ნაპირზე აღმოვჩნდები. მე კი იქით უნდა გავაღწიო. იქ არასოდეს ვყოფილვარ, იქ არც სახეზე მიცნობენ და არც ჩემი ვინაობა იციან. მერე პირდაპირ გავეგრძელებ გზას და სულ ასე პირდაპირ ვივლი. იქ კი, უაჭველია, უშმაკოც ვეღარ მომძებნის“.

ჩაჩალაკების სამმა-ოთხმა გუნდმა თავზე კვლავ გადაუფრინა, მათი კვილისაგან ლაძის დაკარგა ყუროასძენა.

„ქვემოთ, დინებისაკენ უნდა დავეშვა, აქ მდინარე ძალიან დაკლაკნილია, შეიძლება, დამაბნიოს და უკანვე დამაბრუნოს. უკან დაბრუნება კი არაფერს მარგებს“.

„ხუ გეშინია, ჩემო ბიჭო, თითოსაც ვერაფერს დაგაკარებს. აბა, მამა რიდას მაქნისია. იმიტომ დავიბეღე შენზე აღრე, ძვლებიც შენზე აღრე იმიტომ გამიბაგრდა“.

ეს მისი, საკუთარი ხმა იყო და თვითონვე ისმენდა თავის ხმას, ისმენდა, როგორ დიხჯად სწყდებოდა სიტყვები ბაგეს. უაზრო და ყალბი სიტყვები.

რატომ წარმოთქვამდა ამ სიტყვებს? მისი ვაჟიშვილი. ალბათ ახლა დასიცნოდა. იქნებ არც დასცინოდა. „შეიძლება, არასოდეს მაპატიოს, რომ ჩვენს ბოლო, უკანასკნელ საათს მარტო დავტოვე. დიახ, ჩვენსას-მეთქი, იმიტომ, ვამბობ რომ ეს ჩემი უკანასკნელი საათიც იყო. არა, მარტო ჩემი. ის ხომ ჩემს სამებნელად მოვიდა, მას მე უუნდოდი და არა თქვენ, იგი მხოლოდ ჩემ გამო და ადგა ამ გზას. სურდა მკვდარი ვენახე, ტალახში პირქვე ვეთრიე, სახე ფეხებით გადაექელა, რათა ვეღარავის ვეცხე. ასე მოვექცევა მეც მის ძმას. მაგრამ მე ის პატაროსან ორთაბრძოლაში მოვკალ, ხოსე ალკანსია, მე პირისპირ გედექით იმახაც და შენც, თქვენ ორნი იყავით ჩემ წინააღმდეგ, შენ მაინც შიშისაგან ტიროდი და ცახცახებდი, იმ დღიდან მივხვდი, რა კაციცა ხარ, იმახაც მივხვდი, როგორ გადაძიხდიდი სამაგიეროს. მოული ერთი თვე გელოდებოდი, თვალს არც დღე და არც ღამე არ მომიხუჭავს, ვიცოდი, შხამიანი ქვეშპრომივით ჩუმად, მალულად მომეპარებოდი, მაგრამ შენ გვიან მოხვედი, თუმცა მეც დავიგვიანე. ბეცდი. მე ახალშობილის დაკრძალვას შეუერჩი. ახლა კი მივხვდი, რატომაც მეჭსრა დამჭკნარი ყვავილები“.

„...არა, ყველა, არ უნდა დამეხოცა, — ფიქრობდა წინ, მდინარის ნაპირას მიშავალი, — რატომ დაკიძიძიე სული. მკვდრები სინილისს უფრო მძიმე ტვირთად აწვებიან, ვიდრე ცოცხლები. მათ დაუცანთი სიმძიმით შეიძლება კაცს სულიც ამოხადონ. ხელის ცეცებით უნდა მომძებნა, სანამ არ ვიპოვიდი იმას, ვისაც ვეძებდი. იმას ხომ უღვაში აქვს. ბნელოდა, სანამ ის გონს მოეგებოდა, მე ბოლოს მოვუღებდი და გაქცევასაც მოვასწრებდი... რას ეზამ, ეტყობა, ასე ჯობდა. ყოველ შემთხვევაში, ახლა შემიძლია, მშვიდად ვიცხობრო: იმით დარდს თან ვერ გადავყვები. მთავარია, აქედან რაც შეიძლება ჩქარა გავაღწიო, თორემ შეიძლება, ღამემ მომიხწროს“.

... მდინარის სანაპირო ველი თანდათან მოვიწროვდა და ხეობად იქცა, მზე შაული დღე ერთხელაც არ გამოჩენილა, მაგრამ გაურკვეველი, დაგრძელებული ჩრდილებით კაცი მაინც მიხვდა, რომ შუადღე გადასული იყო.

„უკვე ვაგები მახეში, — თქვა მღვეარმა, — მდინარის პირას მჯდარა დასასვენებლად. ამ ხეობიდან გასასვლელი არ არის. ჩაისყარა და ახლა ჯაგებში იმალება. სწორედ ამ ჯაგებში ჩაგაყუდებ თავით. ოღონდ არ

იფიქრო, რომ კიდევ მოგვეყვები კვალზე. უკან შენ თვითონ მიბრუნდები, იმიტომ რომ, ხეობის იქით კანიონია და ვერსაით ვეღარ გააღწევ. მე აქ დაგიცდი. რომ არ მოვიწყინო, ჩემს კარაბინს მივხედავ, სამიზნეს შევუძოწმებ, მიზანში ამოსაღებად ადგილს შევარჩევ. რათა არ აგაცდინო. მე მოთმინება მყოფნის, შენ კი მოთმინება და თავშეკრება უარგაგანია, ასე რომ, უპირატესობა ჩემს მხარესაა. გულიც მე უფროს მხარეს მიცემს, იმიტომ, რომ მასში ჩემი მხურვალე სისხლი გადის, შენი გული კი, შიშისაგან სულ რომ ვიკანკალებს, სისხლს კი არა, მერაღ სიბინძურეს ატარებს. აქაც უპირატესობა ჩემს მხარესაა. ხვალ გვამად იქცევი. ხვალ თუ არა, ზეგ მაინც ან შეიძლება, ერთი კვირის მერე. რამდენი დღე გაივლის არა აქვს მნიშვნელობა. მოთმინება და თავშეკრება მყოფნის“.

...ხეობის კედლები შვეული გახდა. ნაპირი სადღაც გაქრა. კაცი შეჩერდა. „უკან უნდა მივბრუნდე“, — თქვა თავისთვის.

კანიონში მდინარე განიერი, ღრმა და უნაპირო იყო, ქვის მაღალ კედლებს შორის შავი, მანქანის ბლანტე ზეთივით მოედინებოდა, შემთხვევით რაიმე ტოტი ან ჩხრიმალი რომ ჩავარდნილიყო, მდინარის ჩქერი უმაღ უზმაუროდ ყლაპავდა.

„ჩემო ბიჭო, შეგიძლია, გული დაიბმელო, რომ უკვე მკვდარია შენი მკვლელი, — ამბობდა მდინარის პირას მომლოდინე მღევარი; — ეს რაღას გვარგებს? რაღა თქმა უნდა, აღარაფერს, მაგრამ მე ვერ დაგიცავი, იმ დროს შენ გვერდით არ ვიყავი. კო, სიტყვებით ვერაფერს ავიხსნი. რომ გეუბნები, შენ გვერდით არ ვიყავი-მეთქი, ამით ყველაფერს ვამბობ. არ ვიყავი არც შენ გვერდით, არც ჩემი გოგონას და არც დანარჩენების გვერდით, ვერც ერთი ვერ დაგიცავით; ახალშობილმა ამირსა თავგზა“.

...კაცი ახლა უკან ბრუნდებოდა, მდინარეს აღმა მიუყვებოდა. სისხლი საფეთქლებში ურტყამდა. „შეშეშინდა, რომ პირველს თავისი სასიკვდილო ხროტივით დანარჩენი არ გამოვლვიძებინა და ამიტომაც ვჩქარობდი“.

„მაპატიეთ, სიჩქარის გამო ვიქცევი ასე“, — თქვა მან. მერე მოეჩვენა, რომ ეს სასიკვდილო ხროტინი კი არა, ღრმად მძინარე ადამიანთა ხვრინვა იყო. აი, რატომ იყო ასე მშვიდი იმ ცივსა და ღრუბლიან ღამეს, როცა უკვე გარეთ გამოვიდა.

გარეგნულად ღტოლვილსა ჰგავდა. ფეხებიცა და შარვალიც ტალახში ჰქონდა ამოგანგლული, — ვერ მიხვდებოდით, თავიდან რა ფერისა უნდა ყოფილიყო ქსოვილი.

ის ჯერ კიდევ მაშინ დავინახე, როცა ნაპირიდან მდინარეში გადმოხტა. მკვდრი გამოზნექა და წყალში ტყაპანი მოადინა. მოცურავს, მოჰყვება მდინარის დინებას, ხელებს არ უსვამს, იფიქრებდით, ფსკერზე ღვას და მოდისო. მეორე ნაპირზე რომ გამოცურა, თავისი ძონძების გაშრობას მოჰყვა, თვითონ კი, შორიდანაც ჩანდა სიცივისაგან ცახცახებდა, რადგან აედრიანი დღე იყო, თან ქარიც უბერავდა.

ჯაგებშუა გავყავი თავი — ჯაგები საძოვარს გარშემო უვლის, სადაც ჩემი ბატონის ცხვარს ვაძოვებ — და ვუთვალუთალებ. იმას კი აზრადაც არ მოხდის, ვინმე თუ უყურებს.

მუცელზე დაწვა, ხელებითა და ფეხებით მიწას დაებჯინა და მთელი ტანით ხან აიწევდა, ხან დაიწევდა, რათა ნიავს ყოველი მხრიდან დაებერა, — ასე კაცი ჩქარა შრება.

მერე ისევ ჩაიკვა თავისი დაფხრეწილი შარვალ-ხალათი, თან არც მანეტე ჰქონია და არც სხვა რამ იარაღი. ქამარზე საცოდავი, ცარიელი ქარქაში უქანავებდა.

ერთხანს აქეთ-იქით იყურებოდა, კარგა ხანს ათვლიერა ექვთურთაღ მერე ადგა და წავიდა. მე წამოვდექი და ღობის იქით გადავინაცვლე. რომცხვრები არ გამიფანტოდნენ, ვხედავ, კაცი უკან იხედება, სახეზე ეტყობოდა, აქაური არც ადგილები უნდა სცოდნოდა, არც ვხები.

მდინარეზე ჩავიდა, ფონი მონახა, დინების საწინააღმდეგოდ ვაცურვა გადაწვიტა.

„ნეტავ რა კაცი, ან აქ რა უნდა-მეთქი, ვფიქრობ ჩემთვის. მაგრამ მდინარეს ვერ აჯობა. წყალმა ჩაითრია. ჩქერმა ნაფოტივით აათამაშა, ცოტაც და, ფსკერისკენ გააქანებდა. მაშინ კი იკადრა ხელის მოსმა და ისევ ჩემს ნაპირზე გამოვიდა, ოღონდ ჩემგან ცოტა უფრო ქვემოთ. ვხედავ, პირიდან წყალი ჩქაფუნით გადმოსდის, ბლომად ეყლაპა და ახლა უკან ანთხევდა, მგონი, შიგნეულობაც თან ამთავოლა.

სველი ტანსაცმელი ისევ გაიხადა, დედიშობილა დარჩა. ხელმეორედ დაიწყო გაშრობა. ჩაიკვა თუ არა, ისევ უკან გადავიდა მეორე მხარეს, საიდნაც მოვიდა.

აჰ, ერთი ახლა მომცა იმისი თაუი! მაშინ რომ მცოდნოდა, რაც ჩაიღინა, ქვებით ისე ჩავქოლაუდი, ხელი არ ამიკანკალდებოდა.

მე უკვე გითხარით, ბატონო გამომძიებელი: სახეზე ეტყობოდა, რა ჩიტიც იყო. სხვის აუ-კარგში კაცი ეგრე იოლად მაინც ვერ გაერკვევა. მაინც მოტყუვდება. მე კი ვინა ვარ? ერთი უბრალო მწყემსი. თანაც, ცოდვა გატეხილი ჯობს, არც თუ მაინცდამაინც ფხიანი. თუმცა, რა თქმა უნდა, თქვენ ეს სწორედ განსაჯეთ, რომ კაცი მე ვერ მხედავდა და შემეძლი, იოლად დამეჭირა. ანდა სულაც ქვებით თავი გამეჭვჭვია, — ის ადგილიდან ვერ გაინძრეოდა, არ უნდა ლაპარაკი, სწორად ახსენით.

ახლა თქვენ მოყევით, რომ ამდენი და ამდენი ხალხი დახოცაო, თანაც კიდევ ეს ბოლო ამბავი. ჰოდა, ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია, ამისთანა შეცდომა როგორ დამემართა, ავაზა ადგილზე უნდა გაათავო. მე ულაპარაკოდ, სიამოვნებით ვიზამდი ამას. ოღონდ არ იფიქროთ, ვილაც ბანდიტი ვიყო. მაგრამ კაცს გესიამოვნება, როცა უფალ ღმერთს ხელს წახმარ და დედამიწას ბოროტ სულს მოაშორებ.

ამით ეს ამბავი არ დასრულებულა. მეორე დღეს ვხედავ, ისევ მოდის, ეტყობა, კვლავ უკან დაბრუნდა. მე კი იმაზე ცული ჯერ არაფერი ვიცი. ანკი როდის რას გავიგებდი.

მოდის, ძლივს მოღანღალეებს. ქანცი გამოლევია. ძვლები გამოსჩრია. პერანგი უარესად ჩამოფხრეწია, ერთ დღე-ღამეში ისე გამხდარა, თავიდან ვერც კი ვიცანი, ვიფიქრე, სულ სხვა ვილაცა არის-მეთქი.

მერეღა მივხვდი, ვინც იყო. თვალეებზე ვიცანი. აუი თვალეები ჰქონდა. ისე შემოვხედავდა, თითქოს დანა გავიყარა გულშით. ვხედავ, დაიხარა და წყალს სვამს. მერე პირის გამორეცხვა დაიწყო. წარამარა იფურთხებოდა. უეჭველია, წყალთან ერთად, აქსელთლებსაც ყლაპავდა. თანაც ეტყობა, კარგა ბლომად... ყურე, სადაც წყალს სვამდა, სავსეა აქსელთლებით. აშკარად ეტყობოდა, კვარიანად იყო დამშუღლი. თვალეების მაგივრად ორი შავი ორმოდა უჩანდა.

მერე მოდის ჩემთან და მეკითხება: „შენია ცხვრები?“ — „არა, ჩემი არა, თავიანთი დედ-მამის არიან-მეთქი“, ვითომც, ჩემი ჭკუით, კეხურები.

იმას კი, ჩანს, ხუმრობისთვის არა სცხელოდა. არც ვაღიძვრია, თვალებს აცეცებს აქეთ-იქით, ფარაში ყველაზე სათვალის, დიდჯიქიან დედა ცხვარს დაადგა თვალი და სტაცა ფეხში ხელი. ტკიპასავით მიეგრძობდა დაუწყველად. ცხვარი საწყალობლად, რაღაც უცხო ხმაზე ბლავის, ასე უსმის მისთვის აქ არაფერიო, თავგანწირულივით ჩაფრენია და, სანამ რძე სულ არ გამოწოვა, არ მოეშვა. მთელი ცხვრები დაუსისხლიანა, იქამდე, რომ, მერე სულ კრეოლის ვუსვამდი, ისე ჰქონდა ცურები დაკბენილი, იარები გაუარჯლდებოდა, ჯიქანი დაუსივდებოდა და მოკვდებოდა.

მაშ, თქვენ ამბობთ, ურკიდების მთელი ოჯახი ამოწყვიტაო? აჰ, მცოდნოდა ერთი ეგ ამბავი. კეტით გავაფრთხილებინებდი სულს.

მაგრამ, აბა, საიდან მეცოდინებოდა? მარტოდმარტო ვცხოვრობ შობაზე, თვე ისე გაივლის, ცოცხალ სულიერს ვერა ვხედავ. მთელი დღე ცხვართანა ვარ. ცხვრები კი ადამიანების ამბებს არა ჰყევიან.

მეორე დღეს ისევ მოვიდა. მე მდინარეზე ვიყავ ჩასული. აქეთური, იქითური და დაუძმაკაცდით.

მომიყვა, აქაური არა ვარო, შორიდან მოუდივარ, მაგრამ უბედურება წამომეწია—ფეხები აღარ მეძირჩილება, ვეღარ მივლიაო. მოვკოჭლობ, მოვკოჭლობ და მაინც ერთ ადგილზე ვარ, მუხლები სისუსტისაგან მეკვეთება, ჩემი სახლი კი აქედან შორს არის, აიშ მთებს გადადმავ. ისიც თქვა, ორი დღეა არაფერი მიჭამია, თავი ბალახითა და ფესვებით გამქონდაო.

თქვენ ამბობთ, არავინ დაინდო და მთელი ოჯახი ამოწყვიტაო? აჰ რატომ არ ვიცოდი ეს ამბავი, იქვე მოვუღებდი, ბოლოს, სანამ ჩემს ცხვარსა სწოვდა და ანგარიშსაც გავუსწორებდი. ისე დაეცემოდა ჩემს ფეხით, პირის მომუწვასაც ვერ მოასწრებდა.

ისე კი, რომ დაეღაპარაკებოდი, თითქოს არა ჩანდა ცუდი კაცა. სულ ცოლისა და თავისი ბაღლების ხსენებაში იყო. დარდიობდა, ჩემგან შორს არიანო. თანაც მათ ხსენებაზე სრუტუნებდა, ტირიდა.

უჰ, როგორ იყო ჩამომხმარი. ცარიელი ძვალი და ტყავილა დარჩენილიყო. მიკვირდა, რაში უდგას-მეთქი სულა. რაღაც ავადმყოფობით ერთი ბატკანი მომიკვდა და ლამის ნახევარი იმას შეჭამა. გატყავებულ-გამოშინებული დამით ჭიანჭველებს გამოესუტათ, რაც გადარჩენიდათ, ცეცხლზე შეწვა და სულ-მოუთქმელად შესახსლა. ცეცხლი მე მეჩითო ტირტილის გამოსაცხობად. ძვლები ისე გამოხრა, ძალი მოგონილია იმასთან.

ბატკანი ავადმყოფი იყო-მეთქი, გავაფრთხილე, იმას კი, ვითომც არც ვაუგონია. ისე შეთქვლიფა, ლუკმა არ დაუტოვებია. დამშეული იყო კაცი.

ახლა თქვენ ამბობთ, მთელი ოჯახი ამოწყვიტაო. მერე ვინ იცოდა ეს? მოდი და ენდე ადამიანს ყველაფერი ჩვენი უსწავლევლობით გვემართება. ხომ გითხარიო, მწყემსი ვარ და, ჩემი ცხვრის გარდა სხვა არაფერი გამეგება-მეთქი. პოდა, აბა, რას ვიფიქრებდი. ლუკმა გავუყავი, ტირტილია გავუნაწილე. ერთი ჯამიდან ვჭამდიო.

ახლა გამოდის, რაკი ყველაფერი ისე მოგიყვით, როგორც იყო, უმაღლესი მას? აი, თურმე როგორ არის საქმე! მაშ, უმაღლესი? რაკი შევიფარე, ამიტომ უნდა ჩამსვათ ციხეში? თითქოსდა ის ოჯახი მე ამომეწყვიტოს. მაშინ

თქვენთან რატომღა მოუვდი? რატომ და იმიტომ, რომ მეუქვა, მდინარესთან, მენჯზე მკედარი კაცი ვლია-მეთქი. თქვენ კი მეუბნებით — ვინ არის, საიდან არის, რატომ მოკლესო. მე ყველაფერი პატიოსნად მოვიყვებით, მაინც ისე გამოდის, რომ ემაღავდი. აი, ხათაბალა!

როგორც უფალი ღმერთის წინაშე, ისე ვაღიარებ, ბატონო გამოძიებელი, რომ მცოდნოდა, რა ჩიტიც იყო, არხეინად იყავით, რაღაცას ვიქმნაკებდი და სულს გავაფრთხოებინებდი. მაგრამ აბა, საიდან მეცოდინებოდა. ნათქვამია, უცხო სული წყვდიადსა ჰგავსო, მე კი რომელი გულმძისანი ვარ, რომ გამოძიებო? ან, აბა, რით გამოვიცნობდი? საჭმელი მთხოვა, ეგ იყო და ეგ თანაც თავის ბაღლებზე რომ დაიწყებდა ლაპარაკს, სულ ცრემლად იღვრებოდა.

ბოლოს კი მაინც დაუდგა ილხასრული. ჯერ ვიფიქრე, წყლის პირას ქვებზე თავის კონკები გასაშრობად გაუშლია-მეთქი, მაგრამ არა, ვხედავ, რაღაც ასე არა ჩანს. პირქვე წევს, მთელ სივრცეზე გამხლართულა და თავი წყალში ჩაუყვია. თავიდან მეგონა, ალბათ, წყლის დაღვევა მოუნდა, მაგრამ პირქვე დაეცემულა, წყალი უყლაპია და ახლა უკან აღებინებს-მეთქი. მივუახლოვდი და რასა ვხედავ, პირიდან სისხლი თქრიალათ მოსდის. ქეჩო ნახვრეტებად აქვს ქცეული, გეგონება, ბურღით დაუხვრეტიათო. ვინ დამართა ეს, აბა, მე რა ვიცა. რომ მცოდნოდა, თქვენთან რაღაზე მოვიდოდი. ყველაფერი მართალი ვითხრათ. რაც ვიცოდი, ვთქვი, რაც არა და რა ვითხრათ, აბა, ტყუილს ხომ ვერ მოვიგონებ! მწყემსი ვარ და, ჩემი ცხვრის გარდა სხვა არაფერი გამეგება.





ინგლისურიდან

თარგმნა ზაურ კილაძემ

მელოდრამა

მოქმედება I

1777 წლის ზამთრის ერთი საშინელი ღამე ჯერ კიდევ არ გათენებულა. ნიუ-ჰემპშირის შტატია, ქალაქ უებსტერბრიჯის განაპირა უბანი. ქ-ნი და ჯე-ნი სამზარეულოშია, სადაც ჩვეულებისამებრ უყვართ ხოლმე თავშეყრა. ღამაშიაო, მასზე ვერ იტყვი. თუმცა კი რა ღამაში უნდა იყოს ღამენათევი ქალი, თანაც ქ-ნი დაჯენი არც სხვა დროსაა გულმხიარული, მკაცრ ნათქვებს დაუსერავს მისი პირქუში სახე, რაიც მის სისასტიკესა და შედიდურობაზე მოწმობს, რისი მიზეზი აწ დრომოჭმული პურიტანული აღზრდა უნდა იყოს. ხანშიშესული ქალბატონია; დამქანცველმა შრომამ ბევრი ვერაფერი შესძინა, მხოლოდ მარტოსულობა და ამ უხეშნაგები სახლის სრული ბატონპატრონობაა მისი ჯილდო, ღვთისმოსავი და პატიოსანი ქალის სახელი აქვს მეზობლობაში, სადაც ღოთობა და დროსტარება ურჩევნიათ რწმენითა და ზნეობრივად ცხოვრებას, ხოლო პატიოსნება თვითგვემის ბადალია მათთვის. ხსენებული თვითგვემა სულ აღვილად ხდება ხოლმე სხვათა მიმძღავრების საფუძველი, პატიოსნება კი ჩვეულებისამებრ უსიამოვნების წყარო. პოდა, რაკილა იგი უსიამოვნო პიროვნებაა, კიდევაც ეძახიან მეტად პატიოსან ქალს, და ამის წყალობით თავადაც არ იცის, იმდენი თავისუფლება აქვს მინიჭებული: ვერც ვერაფერ იტყვის მასზე აკვს, რადგან ყოველთვის ასრულებს მეშვიდე მცნებას და ერთხელაც არ გამოუტოვებია საკვირაო ღოცვა აქაურ პრესვიტერიანულ ეკლესიაში.

1777 წელი ის დროა, როდესაც ამერიკულ კოლონიებს სურთ გამოეყონ ინგლისს, რისი მიზეზიც უფრო გარკვეული სიმძიმეა და ის ვნებები, რომელნიც გახდნენ შედეგი ამ გარემოებისა, და აგრეთვე ისიც რომ ინგლისმა მოისურვა ამ ვნებების იარაღის ძალით დათრგუნვა, რამეთუ ამ ქვეყნის მესვეურთათვის აუცილებელი იყო ბრიტანეთის მეუფების დამკვიდრება თავის დომინიონებზე, ამერიკელებს კი სურდათ თავისუფლება, ტირანიის დამხობა და მზად იყვნენ მსხვერპლად მიეტანათ თავი ადამიანთა უფლებების დაცვის საკურთხეველზე. საჭირო არ გახლავთ აქ გამოწველილვით განხილვა ამ იდეალიზებული განწყობილებისა, საკმარისია მიუკერძოებლად ვთქვათ, რომ ასეთი ამაღლებული ფიქრების შედეგად ამერიკელებმაც და ინგლისელებმაც ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა დაიწყეს. ამ

გაქანებული ომიანობის დროს თაუ-თაეიანთი პანაკის მხარეზე დადგა სამღვდელ-  
ებაც, ლოცვა-კურთხევით რომ ისტუმრებდა მეომრებს ბრძოლის ველზე.

ამისდა კვალად არამარტო ეს უსიამოვნო ქ-ნი დაჯენი, ბევრი ქალი თე-  
ორად ათენებს ღამეებს ახალი ამბების მოლოდინში. მის მსგავსად ბევრს ერევა  
ხოლმე ძილი განთიადისას და შეიძლება სამზარეულოს ბუხარშიც შევანდეს თა-  
ვით. შალძოხვეული ქ-ნი დაჯენი სთვლემს, ფეხები ფართო, ხაჩაძებიან  
ზღუდისთვის მიუბჯენია, რომლის მიღმა საბუხრე თაროა, ქვაბი და შესაწვა-  
ვი ხორცის ჩამოსაკიდი კაუჭი. სამზარეულო მაგიდა ბუხრის პირდაპირაა, ქ-ნ და-  
ჯენის გვერდით, ზედ სანთელია ბრინჯაოს სასანთლეში. ქალის სკამი ისეთი-  
ვეა, როგორც სხვა სკამები ამ ოთახში, უბალიშო და შეუღებავი, ოღონდ ზურგი  
მომრგვალებული აქვს, რათა პატრონისთვის მოსახერხებელი იყოს და  
ამავე დროს საპატიო ადგილიც. დიასახლისის ოთახს საში კარი აქვს, ერთი ბუხ-  
რის მხარეს, კუთხის ახლოს, ქ-ნ დაჯენის საძინებელში რომ გადის, მეორე, მის  
პირდაპირ კედელში დატანებული, სამრეცხაოში გადის. შესამე, სადარბაზო კარის  
მძიმე საკეტითა და ვეებერთელა ხის ურდულით, მოქცეულია წინა კედელში ფა-  
ნჯრისა და იმ კუთხის შუაში, რომლის ახლოც ის საძინებელი ოთახის კარია.  
ფანჯარასა და კარს შუა — ტანსაცმლის საკიდარია. მახვილი თვალის სტუმარ-  
ი უმაღ შეამჩნევს, რომ სახლში მამაკაცთაგან არავინაა, რადგან არც ქუდი  
პკიდია და არც მოსახხამები. ფანჯრის მეორე მხარეს ლურსმანზე დაკიდებული  
საათია, ხის ციფერბლატით, რკინის შავი საწონებით და ბრინჯაოს ქანქარით.  
საათსა და კუთხეს შუა დიდი ბუფეტია, მისი ზედა ნაწილი მაგრად ჩაკეტილია,  
ქვედაზე კი ფაიფურის უბრალო ჭურჭელია ჩამწკრივებული.

ბუხრის პირდაპირ, კედელთან, სამრეცხაოს კარის ახლოს შავი ფერის ძვე-  
ლისძველი გადატყავეებული დივანია. ვინც შეხედავს, მიხედება, ქ-ნი და-  
ჯენი რომ მარტო არ არის, დივანის კუთხეში ჩვიდმეტი წლის გოგოს სძინავს.  
ღაჩარული, გაწამებული სახისაა, თმა შავი აქვს, მზედაკრული პირისკანი, ტან-  
საცმელი გახუნებია და დახვეია, ზედ ჟოლოს წვენიც გადასხმია, ისედაც უს-  
უფთაო კაბის კალთები თავისუფლად გადმოშვებია დაბლა და შერუჯული ფეხე-  
ბი უჩანს, ეტყობა, კაბის ქვეშ ბევრი არაფერი აცვია.

კარზე დააკაკუნეს, თუმცა არც ისე ხმაძაღლა, რომ მძინარენი გამოადვი-  
ძოს. კაკუნი გამეორდა და ქ-ნი დაჯენი შეიღვიძებს. ხოლო როცა ურდულის  
ახსნას შეეცდებიან, ქალი ზეზე წამოიჭრება.

ქ-ნი დაჯენი (მუქარით). რაო, კარს რად არ აღებ? (ხედავს, გოგოს  
ჩასძინებია და მაშინვე ცოფები მოერევა.) ერთი ამას უყურე! ერთი ამას უყურე...  
(ხელს სტაცებს.) ადექი, ადექი-მეთქი, არ გესმის?

პოპო (წამოიწევა). რა მოხდა?

ქ-ნი დაჯენი. გაიღვიძე-მეთქი. როგორ არა გრცხვენია, გრძნობა ასე  
როგორ დაკარგე, შე უსინდისო, მივდებულხარ და გძინავს, როცა მამაშენი  
ჯერ კიდევ არ გაცივებულა სამარეში.

პოპო (კარგად არც არის გამოფხიზლებული). მე არ მინდოდა. ჩემდა უნე-  
ბურად...

ქ-ნი დაჯენი (გააწყვეტინებს). პო, თავს ნუ იმართლებ, ჩემდა უნებუ-  
რადო! (გამძვინვარდება, რადგან კაკუნი გამეორდება.) კარს რად არ აღებ და ბი-  
ძაშენს რად არ უშვებ? მთელი ღამე ველოდები, არ იცი? (უხეშად ჩამოაგდებს



დიუნდან.) კარგი, მე ვაკულებ. შენგან რა ხეირს უნდა ელოდე. მიდი და ბუხარს მიხედე.

საბრალო, შეშინებული გოგო ბუხართან მიდის და დიდ შეშეს ღერს შეუკეთებს. ქ-ნი დაჯენი ურდულს ახსნის, კარს გააღებს. ჩამოხუთულ სამსარეულოში სიკრილე, უფრო სწორედ, განთიადის სუსხი და მისი პეორე ვაჟი კრისტი შე-  
მიდის, ჩახუქებულ-ჩამრგვალებული, ბრიყული სახის, ქერაობიანი, ასე, 22 წლის ყმაწვილკაცი, შალმოსხმული, ნაცრისფერ მოსახსნაში გახვეული. აკან-კალებული სახწრაფოდ ბუხარს მიაშურებს. ქ-ნი დაჯენი კი ისევ კარს მიუბრუნდება დასაკეტად.

კრისტი (ბუხართან). პო-პო! ვაკვირე და ეს არის! (გოგოს შეამჩნევს და თვალებდაჭყეტილი დააცქერდება.) შენ კი ვინა ხარ?

პოპო (შემკრთალი). ესი.

ქ-ნი დაჯენი. ვინდა არ ვინდა, მაინც უნდა ჰკითხო. (ესის.) წადი შენს ოთახში და დაწეჟი, რაკილა ფეხზე უერ დგები. შენი ამბავი შენი ყურისთვისაც კი არაა მოსასმენი.

ესი. მე...

ქ-ნი დაჯენი. ნუ მასუხობ, ის გააკეთე, რასაც მე ვეუბნები. (ესის ცრემლები მოერევა, მთელ ოთახს გაივლის და დიუნთან ახლოს სამრეცხაოს კართან მივა.) ლოცვა არ დაგავიწყდეს. (ესი გავა.) დამენებებინა და ლოგინში დწვებოდა წუხელსავე, ვითომდა არაფერი მომხდარიყოს.

კრისტი (გულგრილად). ბიძია პიტერის სიკვდილი რად უნდა იღარდოს? რეენა რა არის.

ქ-ნი დაჯენი. აბა რას ამბობ, ბიჭო? ეგ მისი ასულია — განვებამ მოუვლინა სასჯელად და თავმოსაჭრელად. (თავის სკამზე დაუნარცხება.)

კრისტი (შიაცქერდება). ბიძია პიტერის ასულიო!

ქ-ნი დაჯენი. აბა აქ რა უნდა? ჩემი საკუთარი ჯოგოებისთვის ვერ მოძივლია, შენც და შენი უსაქმური ძმაც ხომ ჩემს კისერზე ხართ, ახლა კი ეს ბიძაშენის ნაბიჭვარი...

კრისტი (შეაწვევტინებს, კარისკენ გაიხედავს, საიდანაც ესი გავიდა). სუ! არ გაიგონოს.

ქ-ნი დაჯენი (ხმას აუწევს). მერედა გაიგონოს. ვისაც ღვთის შიში აქვს, იმას არ ეშინია თავისი სახელი დაარქვას უშმას ნამოქმედარს. (კრისტი-თვის სულერთია, ვინდ სიკეთეს გაუმარჯვია და ვინდ ბოროტებას, ცეცხლს მიხერებია და თბება.) კიდევ დიდხანს უმზერ ცეცხლს გამოტვინებული ღორივით? რაო, ახადს რას მეტყვი?

კრისტი (ქუდს მოიძრობს და მოხახხამს მთიხსნის, საკიდართან მიდის). ჰლუდელი გეტყვის ახალ ამბებს. სადაცაა შემოვა.

ქ-ნი დაჯენი. რა ახალ ამბებს მეტყვის?

კრისტი (ფეხის წვერებზე შედგება ბავშვივით ქუდის დასაკიდებლად და უდრტვინველი, თუმცა კი უაღვილო სიმშვიდით წარმოთქვამს.) მამაც ხომ მოკვდა.

ქ-ნი დაჯენი (თავზარდაცემული). მამაშენი?

კრისტი (მოღუშული კვლავ ბუხარს მიეფიცება, ცეცხლი უფრო იპყრობს მის ყურადღებას, ვიდრე დედა). რა ვქნა, რა ჩემი ბრალია. ნევისსტაუნს ჩასულლებმა ვნახეთ, ლოგინად იყო ჩაფარდნილი. პირველად ვერც კი გვიცნო. ჰლუდელი სასთუმალთან მიუჯდა, მე კი გამაძევა. იმ დამით მოკვდა.

**ქ-ნი ღაჯენი** (გამკვინვარებული უეცრად აქვითინდება). ეს უკვე მეტისმეტია, მეტისმეტი! მისი ძმა, ვინც მთელი ცხოვრება თავს გვჭრიდა, აჯანყებაში გაურია და საჯაროდ ჩამოახრჩვეს, მამაშენი კა იმის მავსურად სახლში დამჯდარიყო და ოჯახისთვის მიეხედა, ამას ვაჭყვა და დაიღუპა, მე დამიტოვა ყველაფერი საპატრონოდ. ეს გოგოც მე გამოძიგზაყნა მოსავლელად. (შუბლზე ჩამოიწვეს შალს.) მაინც ასეთი რა შევცოდუ!

**კრისტი** (ერთხანს ჩუმადაა, მერე კი ბრევვული სიხარულით წამოიძახებს). რა კარგი დილა იქნება!

**ქ-ნი ღაჯენი** (დაცინებით). რა კარგი დილა იქნებაო, მამა კი ახალი სკვდარი გყავს! ქვა გული ხომ არა გაქვს, ბიჭო?

**კრისტი** (ჯოუტად). მერედა რა მოხდა, რა ვთქვი ასეთი, კარგი ამინდი იქნება-მეთქი! არ უნდა მეთქვა, რახან მამა მოკვდა?

**ქ-ნი ღაჯენი** (შწარედ). მეც უნდა ვთქვა, შვილები მომესწრო! ერთი ბიჭი სულელია. მეორე — წყალწაღებული ცოდვილი, სახლი დატოვა და დაძრწის კონტრაბანდისტებში, ავაზაკებსა და გარუწრებში, მთელი ქვეყნის ნადირალებში.

კარზე აკაკუნებენ.

**კრისტი** (არც კი წამოიწვეა). ალბათ მღვდელია.

**ქ-ნი ღაჯენი** (შკვახედ). იქნებ აბრძანდე და ბატონი ანდერსონი შემოუშვა სახლში!

კრისტი გაუბედავად მიუახლოვდება კარს. ქ-ნი ღაჯენი ხელებს აიფარებს სახეზე, ახლა უკვე ქვრივია, დარდიანი და მწუნარე უნდა იყოს. კრისტი კარს აღებს და მღვდელს შემოუშვებს, ენტონი ანდერსონს, კაცს ჭკუადამჯდარს, გონებაფხიხელს, ასე 50 წლისას, პრესვიტერიანული მოძღვრის კვალობაზე ღირსეულად უჭირავს თავი. თუმცა დინჯი მიხრა-მოხრა, განზავებული გულითადობითა და გულდიაობით, სულაც არ არის იმის მაუწყებელი, რომ მისთვის უცხოა ამ სოფლის სიამენი. გარეგნულად წარმოსადეგი, ძლიერი მამაკაცია, სანგვინიკური სქელი კისრით, მომღიმარი პირი ძლივს მოუჩანს ხორცსავსე ლოყებში. ნამდვილად დიდებული სულიერი მწეემსია, მაგრამ საეროსიც ბევრი სცხია და ეს კიდევაც ეუხერხულება ჭეშმარიტი პრესვიტერიანელის კვალობაზე.

**ანდერსონი** (კართან შედგება და კრისტის მიმართავს, თან მოხასხამს მოიხხნის). თუ უთხარი?

**კრისტი**. აბა რა უნდა შექნა! (კარს ჩაკეტავს, დაამოქნარებს, დივანისკენ წარეცრევდება, დაჯდება და ძაღუ ჩაეძინება.)

ანდერსონი თანაგრძნობით შესცქერის ქ-ნი ღაჯენს. მერე მოხასხამს და ქედს დაკიდებს. ქ-ნი ღაჯენი ცრემლს შეიშშრალებს და თავს ასწევს.

**ანდერსონი**. დაო, ღვთის რისხვაა თქვენს თავს.

**ქ-ნი ღაჯენი** (დიდად მოთმინე იერით). ასეთია ღვთის ნება და მეც მას უნდა მიუენდი. გული კი მაქვს დაძანოული. სპრინგტაუნს რამ წაიყვანა ტიმოთი და ყველას რას მოაგონა, ნათესავი რომ იყო ეს სიკვდილმისჯილი კაცი? — და (ბოლმით) დამსახურებულადაც, მართალი თუ გნებავთ.

**ანდერსონი** (დაეკავებით). ისინი ხომ ძმები იყვნენ, ქ-ნი ღაჯენ.

**ქ-ნი ღაჯენი**. ტიმოთიმ უარი თქვა მის ძმობაზე, რაც ჯვარი დავიწერეთ, პატივს მცემდა და ჩემთან არც ახსენებდა თავის ძმას. როგორ გვონიათ,

ას გარეწარი პიტერი ოცდაათ მილს გაივლიდა ცხენით, რათა ენახა ტიმოთის ჩამოხრჩობა? მაგრამ მე უნდა ვზილო ჩემი ჯვარი და რაც უფრო ცოტას ვილა-  
ნარაკებ, მით უკეთესი.

ანდერსონი (ბუხართან მიდის და ზურვით ცეცხლს შეეფიცება, მერე გულდინჯად ამბობს). თქვენი უფროსი ვაჟი იქ იყო იმ დროს, ქალბატონო დაჯენ.

ქ-ნი ლაჯენი (ელდანაკრავი). რიჩარდი?

ბიზუნიონი

ანდერსონი (თავს დაუქნევს). დიახ.

ქ-ნი ლაჯენი (მრისხანედ). დაე გაფრთხილება იყოს ეს მისთვის. მასაც იგივე მოეწიას, მაგ შარახვეტიას, მუსუსსა და უდმერთოს! (უცებ შეჩერდება, შეკრთება, ხმა შეეცვლება და თავზარდაცემული ჩაეკითხება.) ტიმოთიმ თუ ნახა ის?

ანდერსონი. დიახ.

ქ-ნი ლაჯენი (სუნთქვა შეეკვრება). და რაო?

ანდერსონი. დაინახა ბრბოში მღვარი, არც კი დალაპარაკებიათ ერთმანეთს. (ქ-ნი დაჯენი შვებით სულს მოითქვამს.) თქვენმა მეუღლემ დიდად განიცადა თავისი ძმის საშინელი სიკვდილი. (ქ-ნი დაჯენს ჩაეცინება. ანდერსონს ნირი შეეცვლება და აღშფოთება დაუტყობა.) რაო, ასე არ უნდა ყოფილიყო, ქალბატონო დაჯენ? თავისი ძე შეცთომილი მთავონდა გულმომბაღს იმ წუთას და მის მოსაყვანად კაცი გაგზავნა.

ქ-ნი ლაჯენი (კვლავ შეშფოთდება). რიჩარდის მოსაყვანად?

ანდერსონი. დიახ, მაგრამ რიჩარდმა არ მოიხურვა მოსვლა. ასეც შემოუთვალა მამას. ვწუხვარ, მაგრამ უნდა ვითხრაოთ, ცუდად მოიქცა, ძალიან ცუდად.

ქ-ნი ლაჯენი. რა უპასუხა?

ანდერსონი. ჩემი გზასაცდენილი ბიძის მხარეზე დავრჩები და ვერ ვიქნებიო ჩემი ღვთისმოსავი მშობლების მომხრე არც ამქვეყნად და არც იმქვეყნადო.

ქ-ნი ლაჯენი (ჯიუტად). კიდევაც მიეზღვება. კიდევაც მიეზღვება აქაც და იქაც.

ანდერსონი. ეს ჩვენს ხელთ არაა, ქალბატონო დაჯენ.

ქ-ნი ლაჯენი. მერუდა ვინ ამბობს ამას, ბატონო ანდერსონ? დამნაშავეს უნდა მიეზღოს, ასე გვასწავლიდნენ ჩვენ. მოვალეობას რაღად ვიხდით, უფლის კანონებს რაღად ვმორჩილებთ, თუკი აღარ არის განსხვავება ჩვენსა და იმათ შორის, ვინც ისე ცხოვრობს, როგორც მოესურვება, და დავვცინის ჩვენც და ყოვლის შემოქმედსაც?

ანდერსონი. მაგრამ რიჩარდის ამქვეყნიურმა მამამ აპატია მას, ხოლო რეცოური მსაჯული მისი — მამაა ყოველი ჩვენთაგანის.

ქ-ნი ლაჯენი (წონასწორობას ჰკარგავს). რიჩარდის ამქვეყნიური მამა ჰკუთახელი იყო...

ანდერსონი (თავზარდაცემული). ოო!

ქ-ნი ლაჯენი (შერცხვენილი). თუ მე, რიჩარდის დედა, მის წინააღმდეგ ვარ, ვის აქვს უფლება მას მიუღვეს? (მღვდლის გულის მოგებას ცდილობს). რატომ არ დაბრძანდებით, ბატონო ანდერსონ? ეს ადრევე უნდა მეთქვა, მაგრამ ჩემს ჰკუთახე აღარ ვარ.

ანდერსონი. გმადლობთ. (ბუხართან ახლოს მღვარ სკამს მოხერხებულად შეატრიალებს, რათა ცეცხლს კარგად მიეფიცოს. დაჯდება და საუბარს განაგრ-

ძობს იმ კაცივით, ვისაც ძნელი თემა აქვს სალაპარაკოდ.) კრისტინ თუ ვით-  
ბრათ ახალი ანდერძის შესახებ?

ქ-ნი ღაჯენი (შიში კვლავ გაუახლდება). ახალი ანდერძი? ხუთუ ტი-  
პოთიმ... (ხმა ჩაუწყდება, სიტყვას ვეღარ სძრავს.)

ანდერსონი. დიახ, სულ უკანასკნელ წუთებში ახრიე შეიცვალა!

ქ-ნი ღაჯენი (გამპვინვარებული და გადაფითრებულად) და ჩქვენს მაცეთ  
ჩემი გამარცვის უფლება?

ანდერსონი, წინ როგორ აღუდგებოდი მის ნებას დაეტოვებინა საკუ-  
თარი ვაჟისთვის, რაც სურდა.

ქ-ნი ღაჯენი, საკუთარი იმას აღარაფერი ჰქონდა. მისი ფული ჩემი  
ფული იყო, მზითვად რომ მომეყა. იქ რომ ვყოფილიყავი, ამას ვერ გაბედავდა  
და ეს თავადაც კარგად იცოდა. თურმე იმიტომ გაიპარა ქურდივით და კანონს  
ამოფარებულმა ასე უწყალოდ გამძარცვა, უჩემოდ დაწერა ახალი ანდერძი.  
თქვენ კი როგორ არა გრცხვენიათ, ბ-ნო ანდერსონ, თქვენ, ღვთის მსახურს...  
ასეთ დანაშაულში წილი როგორ დაიდეთ.

ანდერსონი (წამოდგება). ვიცე, გამწარებული ხართ და არ მწყინს თქვე-  
ნი სიტყვები.

ქ-ნი ღაჯენი (ბოღმიანად). გამწარებული!

ანდერსონი. ვინდაც გულნაკლული, თუ ასე გნებავთ.

ქ-ნი ღაჯენი. გული და გული! რამდენი ხანია, რაც ასე ხშირად ახ-  
სენებთ გულს.

ანდერსონი (დამნაშავე სახით.) მე... მე...

ქ-ნი ღაჯენი (ცხარედ). ნუ ცრუობთ ბატონო ანდერსონ. ჩვენ გვეუბნე-  
ხიან, გული კაცისა ცრუა და ორპირი, აღსავსე ბოროტებით. ჩემი გული ოდეს-  
დაც ტიპოთის კი არა, მის ავაზაკ ძმას ეკუთვნოდა, პიტერ დაჯენს, ვინც თავის  
დღენი სახრჩობელაზე დაასრულა. თქვენ იცით ეს, მოხუცმა ელი ჰოუკინსმა,  
რომლის კათედრაც თქვენ დაიკავეთ, თუმცა კი ღირსი არც იყავით იმის ფეხის  
დაბანისაც, ვიამბოთ ყველაფერი, როდესაც თქვენს ზრუნვას მიანდო ჩვენი სუ-  
ლები. სწორედ იმ კაცმა მომანიჭა ძალა და სიმბნევე და ვძლიე გულისთქმას,  
პატიოსანი ღვთისმოსავი ავირჩიე ქმრად, ასე მეგონა მაშინ. მოთმინება  
ქასწავლა მან და ახლა ის ქალი ვარ, რაც ვარ. თქვენც ხომ დამორჩილდით გუ-  
ლის ძახილს და ცოლად ის ითხოვეთ, ვინც გნებავდათ, მე კი მეუბნებით, ნუ  
აყვებითო გულის კარნახს. სახლში წაბრძანდით, თქვენს მშვენიერ ცოლთან,  
ქე კი დამტოვეთ, მშვიდად ვილოცო. (მიტრიალდება, იდაყვებით მაგიდას დაე-  
კრძნობა და ფიქრს მიეცემა, აღარც კი ამჩნევს მღვდელს.)

ანდერსონი (თავადაც ერთი სული აქვს, როდის წავა). ღმერთი იყოს  
თქვენი მფარველი, ხელს აღარ შეგიშლით. უფალმა ხსნა მოგივლინით! (საკიდა-  
რთან მიდის და მოსასხამს და ქუდს ჩამოიღებს.)

ქ-ნი ღაჯენი (არც კი შეხედავს). იცის ღმერთმა ვისი მფარველი უნდა  
აყოს და ვისი არა, იცის ღმერთმა და არ სჭირდება თქვენი კარნახი.

ანდერსონი. და ვის უნდა აპატიოს, ისიც იცის. იმედია. ელი ჰოუკინსსაც  
და მეც მაპატიებს, თუკი გადავედით მის ნებას. (სახწრაფოდ ჩაიცვამს მოსახ-  
ხამს, წახვლას აპირებს.) კიდევ ერთი სიტყვა... ეს აუცილებელია, ქალბატონო და-  
ჯენ, ანდერსს წაკითხვა უნდა და რიჩარდს უფლება აქვს დაესწროს, ის ახლა აქ,  
ამ ქალაქშია, მაგრამ დიდსულოვნად განაცხადა, ძალით მე იქ არ შევალ.

მ-ნი ღაჯინი. აქ უნდა მოვიდეს, ხომ არ ჰქონია, მისი გულსთვის რეჟი დაუტოვებთ მამის სახლს? ყველანიც მოვიდნენ და მალევე წავიდნენ. აქამ და ანდერძს წაკითხვა უნდათ, ამიტომ მოელი ნახევარი დღე ჩამუშაოს სუ გააცდენენ, მზად ეიქნები, დარდი სუ გაქვთ.

ანდერძი (ერთ-ორ ნაბიჯს გადადგამს მისკენ). ქალბატონო დაჯენ, მგონი, გაქროდათ ჩემი, როდის აქეთ დავკარგე თქვენი ნდობა?

მ-ნი ღაჯინი (არც ახლა შეხედავს). როდესაც სიყვარულით ცოლი მო-  
ყვანეთ. ხომ ვაივინებთ.

ანდერძი. დიახ, ვაივინებ. (ჩაფიქრებული გადის.)

მ-ნი ღაჯინი (თავის ქმარზე ფიქრობს). ქურდი! ქურდი! (განრისხებული წამოიჭრება სკამიდან, თავიდან შალს მოიხსნის, სახლის დალაგებას შეუდგება, რაკილა ანდერძის წასაკითხად უნდა მოვიდნენ. ანდერძი რომ იჯდა, იმ სკამს ისევე კედელთან მიაგლებს, შემდეგ თავისას ფანჯრისკენ გასწევს და თავისი შკვაზე, შკატრი, შპრძანებლური ხმით გასძახებს.) კრისტი! (პახუხი არ არის, ბიჭს მაგრად სძინავს.) კრისტი-შეთქი! (უხეშად შეანჯღრევს.) აბა ადექი! როგორ არა ვრცხვენია, მამა მოგიკვდა, შენ კი გძინავს! (მაგიდასთან მიდის, შანდალს აიღებს და ბუხრის თაროზე შედგამს, წითელ სუფრას გამოიღებს და მაგიდას გადააფარებს.)

კრისტი (ძლივს წამოღება). კვლარ უნდა დავიძინოთ, საჩამ გლოვას არ ლოვრჩებოთ?

მ-ნი ღაჯინი. სუ დაიწყებ ახლა შენებურად! მოდი და მაგიდა გადმო-  
კადგმევიანე. (მაგიდას შუაგულ ოთახშიაყადიატანენ. ბუხრისკენ მიმართული კი-  
დე კრისტის უკავია, მის მოპირდაპირედ—დივნიკენ კი ქ-ნ დაჯენს. კრისტი სასწ-  
რაფოდ ბუხარს მიაშურებს, დედას მიანდობს მაგიდის გასწორებას.) ძღველი  
ლობრუნდება ახლა ვეჭილთან ერთად, მოელი ოჯახი თავს მოიყრის ანდერძის  
ქოსასმენად, შენ კი ისევე ცეცხლს იქნები მიფიცხებული. წადი და ის გოგო გაა-  
ღვიძე, მერე ფარულში ღუმელი დაანთე, აქ კვლარ ისაუზმებ. პირი კარგად  
დაიბანე, იცოდე, და მოწყვსრიგდი სტუმრების მოსვლამდე. (ქალი ბუფეტთან მი-  
დის, გააღებს, გამოიღებს დვინიან გრაფინს, რომელიც ალბათ ხელუხლებელი  
დგას იქ მას შემდეგ, რაც ბოლო წვეულება ჰქონდათ ამ ოჯახში, ჭიქებიც კი  
არ ავიწყდება, შემდეგ მწვანე ფერის ორ ლანგარს მოიტანს, ერთზე ქერის ნამ-  
ცხვარს დადებს და იქვე დანას, მეორეზე კი რამდენიმე ტკბილ კვერს, რომელ-  
საც რკინის კოლოფიდან გადმოყრის, თუმცა მალე ერთს თუ ორს უკანვე ჩააბ-  
რუნებს, დანარჩენს კი გულდასმით გადაითვლის). აბა ნახე, აქ ათი ცალია და  
ათი ცალივე უნდა იყოს, როდესაც ჩავიცვამ და უკან დავბრუნდები. ნამცხვრი-  
დან ქიშმიში არ ამოკორტნო. ესისაც ასე უთხარი. იმ ჩიტების ფიტულებიც  
ისე მოიტახე, მინა არ ჩაამსხვრიო. (რკინის კოლოფს უკანვე ბუფეტში შედგამს,  
დაკეტავს და გასაღებს საგულდაგულოდ ჯიბეში შეინახავს.)

კრისტი (ცეცხლს კვლარ სცილდება). სჯობს სამელზე დაუდგა იმ ვეჭილს.

მ-ნი ღაჯინი. შენი ჭკუის სწავლება არ მჭირდება, სერ. წადი და ის  
გააკეთე, რაც გითხარი. (კრისტი მოღუშული მოტრიალდა დავალების შესასრუ-  
ლებლად.) მოიცადე, ჯერ მიდი და დარაბები დახსენი. უკვე გათენებულია,  
მოელი სახლი ჩემს ვისერზეა, ამხელა ვირი კი უსაქმოდ დაეთრევი.

კრისტი ფანჯარასთან მიდის, რკინის ურდულს გამოაცლის და მიაყუდებს, მერე  
დარაბას გახსნის, განთიადის ბინდით შეიფურება ფანჯარა, ქ-ნი დაჯენი ბუხ-

რის თარიღს შანდალს გადმოიღებს, ხანოელს თითებშით ჩააქრობს და შანდალს ისევე ბუხრის თაროზე ღვაძს.

პრისტი (ფანჯარაში გაიხედავს). მღვდლის ცოლი მოდის.

ქ-ნი ღაჯენი (არ ეხიაძუნება). რაო! აქ მობრძანდება?

პრისტი. ჰო, აქ.

ქ-ნი ღაჯენი. ამ დილაადრიან რას დამადგა თავზე? მოძისწრია სტუმრების დასახვედრად.

პრისტი. სჯობს მასვე ჰვითხო.

ქ-ნი ღაჯენი (მუქარით). სჯობს წესიერი ლაპარაკი ისწავლო. (ნაწყენი კრიტიკა კარს მიაშურებს. ქალი უკან მიჰყვება და დავალებებს აძლევს.) ის ვოგო ისაუბრებს თუ არა, უთხარი, ჩემთან მოვიდეს, ისიც უთხარი, დაიბანოს და გასუფთავდეს, სანამ ხალხი მოვიდოდეს. (კრიტიკა გაუა და კარს ცხვირწინ მიუკეტავს.) ერთი ამას უყურე! (შემოსასხვლელ კარზე დააკაკუნებენ, ქალი მიტრიალდება და უკმეხად გახდახებს.) შემოდით! (შემოდის ჯუდიო ანდერსონი, მღვდლის ცოლი. ჯუდიო ქმარზე ოცი წლით უფრო ახალგაზრდაა, თუმცა ქმარი უფრო ყოჩაღია. მშვენიერი, ნაზი და ქალურია, შეჩვეულია თავიანთი ცემასა და ყურადღებას. საკმაოდ კარგი წარმოდგენა შეუქმნია თავის თავზე და ძალას თავდაჯერებაც ანიჭებს. გემოვნებითაც აცვია. ხახის საამური ჩაკეთები მის გრძნობიერებას მოწმობს, მეოცნებე ხასიათით შექმნილს, ბავშვივით მცირეოდენი თვითკმაყოფილება ეტყობა. ერთი სიტყვით, იმასთან ურთიერთობა ხასიაძუნია, მით უმეტეს იმათთვის, ვინც იცის, რა უხეშია ეს ქვეყანა. შეიძლება ბ-ნ ანდერსონს უარესი არჩევანი გაეკეთებინა, თუმცა ისეთი ქალი კი, ვისაც დაცვა სჭირდება, უკეთეს ვერ მონახავდა.) ოჰ, ეს თქვენა ხართ, ქალბატონო ანდერსონ?

ჯუდიო (ძალზე თავაზიანად, მფარველური კილოთი). დიახ, იქნებ რამეში დაგეხმაროთ, ქალბატონო დაჯენ, სახლიც რომ მისაღლაგებელი გაქვთ. სანამ ანდერსონის წახაკიოხავად შეიყრებთან.

ქ-ნი ღაჯენი (ცივად). გმადლობთ, ქალბატონო ანდერსონ, ჩემი სახლი ყოველთვის მზადაა სტუმრებისათვის.

ჯუდიო (მოწყალებ, დაეკუებით). დიახ, მართალს ბრძანებთ. მგონია, კი სჯობდა ასე უეცრად არ შემოვჭრილიყავი თქვენსა.

ქ-ნი ღაჯენი. ოჰ, სულ ერთი არ არის, ვინდ ერთით მეტი ყოფილა და ვინდ ნაკლები ამ დილას, ქალბატონო ანდერსონ? რაკილა მობრძანდით, დარჩით კიდევაც. ოღონდ კარი დაკეტეთ, თუ არ შეწუხდებით. (ჯუდიოს გაეცინება, თითქოსდა იმისი თქმა უნდა, ეს რა უშნოდ მოძივიდაო! კარს ისე დაკეტავს, თითქოსდა რაღაც სახურველს აკეთებდეს, რამაც შეიძლება კიდევაც გააღიზიანოს სხვა ვინმე). ასე სჯობს, ახლა კი, მე წავალ, თავს, მოვიწესრიგებ, მგონი, არ შეწუხდებით, აქ რომ დაიცადლო ჩემს მოსვლამდე, თუკი ვინმე მოვა.

ჯუდიო (თანხმობის ნიშნად თავს ნაზად დაუკრავს). ოჰ, დიახ, მობრძანდით. მე ვიქნები აქ, ქ-ნი დაჯენ, ნუ იმქარებთ. (მოსახხამსა და შლაპას საკიდარზე დაკიდებს).

ქ-ნი ღაჯენი (თითქმის დაცინვით). მგონი, ეს უფრო შეგეყურებათ, ვიდრე სახლის დალაგება. (შემოდის ეხი). ოჰ, შენც მობრძანდი? (შკატრად.) მოდი აქ, ერთი კარგად შეგხედო. (ეხი გაუბედავად მიუახლოვდება. ქ-ნი დაჯენი უხეშად შეატრიალებ-შემოატრიალებს, უნდა გაიგოს, შეძლო თუ არა მან თავის მოწესრიგება, თუმცა კი ამ მხრივ ვოგო არც გამოცდილია, არც ბუჯითი). ჰმ! ამას ეძახი შენ დავარცხნას? გეტყობა, ვინცა ხარ და სად იზრდებო-

და. (ხელს მოაცილებს და მკაცრად განაგრძობს.) ახლა კი ყური დამიგდე და ისე გააკეთე, როგორც გეტყვი. დაჯექი აქ კუთხეში, ცეცხლთან და, რომ მოვლენ, სიტყვა არ დაძრა, თუ რამე არ გკითხვს. (ესი უკან იხევს ბუხრისკენ.) სჯობს მენი მამის ახლობლებმა აქ ვნახონ და იცოდნენ, რომ უნდა მოვხედონ და ასევე უნდა გიწილადონ ღუკმაპური, როგორც მე ყოველ შემთხვევაშიც ვაქცე შეუძლიათ შეგეწიონ. მაგრამ ლაყბობა არ დაიწყო, იცოდე, და თავი დაიჭირე! შენი ტოლი აქ არავინ იქნება, ხომ გაიგონე?

მსი. დიახ.

მ-ნი დაჯენი. ახლა მიდი და ის გააკეთე, რაც გითხრეს. (ესი წავა და ხარიხის იმ კუთხეში მიიკუნჭება, კარის მხარეს რომ არის.) ნუ შეწუხდებით, ქალბატონო ანდერსონ, თქვენ იცით, ვინც არის და რაც არის. თუ თავს შეგაწყენო, მითხარიო და ჭკუას ვასწავლი. (ქ-ნი დაჯენი საძინებელ ოთახში გადის, კარს მოიჯახუნებს, თითქოსდა კარსაც უნდა ასწავლოს ჭკუა და იმანაც ისე უნდა მოიხადოს მოვალეობა, როგორც ჯერ არს.)

ჯუდიტი (ჭკუას არიგებს ესის და თანაც ღვინოსა და ნამცხვრებს გადაადგილებს სუფრაზე). ნუ გეწვიება ბიცოლაშენის სიმკაცრე. ის კარგი ქალია და მენტოვისაც კარგი უნდა.

მსი (ხაბრალის ძლივს ესმის, რასაც ეუბნებიან). დიახ.

ჯუდიტი (აღშფოთებულია, რადგან მიხი აზრათ ესი ვერ ხვდება თავაზიან მოპყრობას და იმას, რასაც კეთილი გულით ეუბნებიან.) შენ, მგონი, არ გაიბუტები, ესი?

მსი. არა.

ჯუდიტი. კარგი გოგო ხარ! (ორ სკამს აიღებს და ზურგით ფანჯრისკენ დადგამს, ნასიამოვნებია, რადგანაც ფიქრობს, ქ-ნ დაჯენს დიასახლისობაში ვაჯობდეთ.) მამაშენის ნათესავთაგან თუ იცნობ ვინმეს?

მსი. არა. არც არავინ მოდიოდა მასთან. დიდად ღვთისმოსავი არიან და ამიტომ. ხშირად უხსენებია მამას დიკ დაჯენი, მაგრამ მე ის არასდროს მინახავს.

ჯუდიტი (ცხადლივ შეკრთება). დიკ დაჯენიო! შენ ხომ ვინდა ღირსეული და კარგი გოგო იყო და დამკვიდრდე ამ სახლში?

მსი (უგულისყუროდ), დიახ.

ჯუდიტი. ჰოდა, რიჩარდ დაჯენი არ ახსენო, არც იფიქრო მასზე, ის ცუდი კაცია.

მსი. რად არის ცუდი?

ჯუდიტი. ამას ნუ მეკითხები, ესი. შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ და არ იცი, რა არის ცუდი კაცი. კონტრაბანდისტია, ბოშებთან ცხოვრობს, დედა არ უყვარს და არც არავინ თავისიანი, ჩხუბისთავია, კვირადღეობით კარტს თამაშობს, იმის მაგიერად, რომ ეკლესიაში ილოცოს. ახლოსაც არ გაიკარო, თორემ, იცოდე, თავს შეირცხვენ და ყველა ქალსაც შეგვარცხვენ.

მსი. დიახ.

ჯუდიტი (კვლავ აღშფოთდება). სულ დიახ და არა, ვერც ხვდები, რას ვუბნებიან.

მსი. დიახ. მე მგონია...

ჯუდიტი (მკაცრად), რაო, რა გგონია?

მსი (ხადაცაა აჩირდება), აკი... ჩემი მამაც კონტრაბანდისტი იყო და.... (აკაკუნებენ.)

**ჯუდიში.** აი თავს იყრიან უკვე ბიცოლამ რაც ვითხრა, ნუ დაგავიწყდება, ესი, და კარგი გოგო იყავი. (კრისტი შემოდის, შემოაქვს ჩიტების ფიტულე-ბი შემინული ყუთით, რომელსაც მაგიდაზე დგამს.) დილა მშვიდობისა, ბანი და-ჯენ. თუ შეიძლება კარი გააღეთ, ვილაც მოვიდა.

**კრისტი.** დილა მშვიდობისა. (სადარბაზო კარს გააღებს). უკვე კარგა გათენებულია და დათბა კიდეც. პირველი შემოდის ანდერსონი, მოსასხამი სახლში დაუტოვებია. მას მოყვება ვეჭილი პოუკინსი, შუა ასაკს მიტანებული მხნე იურის კაცი, ცხენოსნის ყავისფერ გეტრებსა და ყვითელ მარვალში, მემამულეს რომ უფრო ჰგავს, ვიდრე ვეჭილს. ის და ანდერსონი წინ მოუძღვებიან დანარჩენებს ნასწავლი ხალხის პირობაზე. მერე ოჯახის წევრები გამოჩნდებიან, ყველაზე წინ უფროსი ბიძია უილიამ დაჯენია, გოლიათი, დიპი-ანი კაცი მსხვილი ცხვირით. როგორც ჩანს, სუფრაზე არ გამოირჩევა მოკრძალებით, მისი ტანისამოსი არ იყო ის ტანისამოსი და მისი შემინებული ცოლი არ იყო ის ცოლი, ვინც გაფიქრებინებდათ, ცხოვრებაში ხელმოცარულნი არ უნდა იყვნენო. ტიტუს დაჯენს, უმცროს ბიძიას, ტანგაჩხიკულს, მწვევარ ძაღლს დამსგავსებულს, და მის მეუღლეს წარმოსადგევ, ვეება ქალს, მდიდარი რომაა და კიდევაც ამით თავი მოაქვს, კარგად ეტყობოდათ, არ აწუხებდათ ის, რასაც ყოველ-დღიურად შეუჭირვებია უილიამი.

პოუკინსი მყისვე მიუახლოვდება მაგიდას და დივანთან ახლოს დადგმულ სკამზე დაჯდება, რადგანაც იქვეა კრისტის მიერ მოტანილი სამელნე, ქუდს იატაკზე დადებს და ანდერსონს ამოიღებს. ბიძია უილიამი ბუხართან ზურგიით დგობა და ცეცხლს უფიცებს მოსასხამის კალთებს, ქ-ნი უილიამი მარტოდ რჩება კართან. ბიძია ტიტუსი, ვისაც ქალების მუსუნის სახელი აქვს გავარდნილი შინაურებში, უყურადღებოდ მიტოვებულ ქალს მიაშურებს, ხელს გაუწვდის, დივანთან მიიყვანს და თავის რძალსა და თავის მეუღლეს შორის მოხერხებულად დაჯდება. ანდერსონი ქუდს დაკიდებს და ჯუდიშის შორიახლოს დადგება რაღაცის სათქმელად.

**ჯუდიში.** ახლავე გამოვა ქალბატონი დაჯენი. უთხარი დაიცადონ. (სამი-ნებელი ოთახის კარზე დააკაკუნებს, პასუხს დაულოდება, მერე შეაღებს და შევა.)

**ანდერსონი** (მაგიდას მიუჯდება პოუკინსის პირდაპირ). ჩვენი საბრალო მგლოვიარე და ახლავე გამოვა. ყველანი მოვიდნენ?

**კრისტი** (სადარბაზოს კართან დგას, ხწორედ ეს წუთია რომ დაკეტა). ყვე-ლანი ვართ დიკის გარდა.

კრისტი მშვიდად წარმოთქვამს ამ ბიწიერი კაცის სახელს და ამით შეურაცხ-ყოფს ოჯახის ღირსებას. ბიძია უილიამი ნელა მოჰყვა თავის ქნევას. ქ-ნ ტი-ტუსს ოხვრა აღმოხდება, თავს ვეღარც მისი მეუღლე შეიკავებს.

**ბიძია ტიტუსი.** იმედი მაქვს, დაგვლებს პატივს და არ მობრძანდება. დიახ, იმედი მაქვს.

კმაყოფილების ჩურჩულით შეხვდებიან დაჯენები ამ განცხადებას გარდა კრის-ტისა, ფანჯარასთან რომ მივა ხათვალთვალოდ. პოუკინსს იღუმალი ღიმილი არ სცილდება სახიდან, თითქოსდა რაღაც ისეთი იცის, რის გაგებაზეც ყველა იმ-წუთსვე შეიცვლის აზრს. ანდერსონი შეწუხებულია, რადგან არ უყვარს საზეი-



მო შეკრებები, განსაკუთრებით გლოვის ხანს. საძინებელი ოთახის კარი გაიღება და ჯუდიტი გამოჩნდება.

**ჯუდიტი** (ნაზად, თუმცა კი შთამბეჭდავად). მეგობრებო, ქალბატონი და ჯენი! (ბუხრის ახლოს სკამს აიღებს და ქ-ნ და ჯენს დაუღვამს, ის საძინებელი ოთახიდან გამოდის. შაუები აცვია, სუფთა ცხვირსახოცი აუფარები თვალებზე. ყველანი ფეხზე წამოდგებიან ესის გარდა, ქ-ნი ტიტუსი და ქ-ნი უილიამი ახუთივე სუფთა ცხვირსახოცებს ამოიღებენ და ჩუმად აქვითინდებიან. გულის ამაყუნებელი წამია.)

**ბიპია უილიამი**. იქნებ შვება იგრძნო, დაო, ვილცილო?

**ბიპია ტიტუსი**. თუ ფსალმუნს ვიმღერო?

**ანდერსონი**. (მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ). მე უკვე მოვინახულე ჩვენი დაი ამ დილით. მეგობრებო, გულში უთქვათ, ღმერთის წყალობა სუ მოგვეშალოს.

**ყველანი** (გარდა ესისა). ამინ.

ყველანი დასხდებიან ჯუდიტის გარდა, ის ქ-ნ და ჯენის უკან დადგება.

**ჯუდიტი** (ესის), შენ თუ თქვი — ამინ?

**ესი** (შეშინებული). არა.

**ჯუდიტი**. ჰოდა, თქვი, შენ ხომ კარგა ვოგო ხარ.

**ესი**. ამინ.

**ბიპია უილიამი** (დაფვაკებით). არაფერია, არაფერია. ჩვენ ვიცით, ვინა ხარ და ჩვენი სურვილია შენი სიკეთე, ოღონდ კარგი ვოგო უნდა იყო და უნდა დაიმსახურო. ყველანი ერთნი ვართ ზეცის წინაშე.

ეს რესპუბლიკური შეგონება არ სიამოვნებთ ქალებს, რომელთა აზრით სასუფეველი უფლისა სწორედ ის ადვილია, სადაც ამქვეყნად ასე რიგად საკამათო მათი უპირატესობა აღიარებულიც იქნება და დაჯილდოებულიც.

**კრისტინი** (ფანჯარასთან). დიკი მოდის.

ანდერსონი და პოუკინსი მოიხედავენ. ესისაც, ვინც თითქოსდა ბურანშია, გამოციცხლება დაეჭობა და თავს აწევს. კრისტინი ჩაიხითხითებს და კარს მოლოდინით მიაცქერდება. დანარჩენები გაირინდებიან და შიშით გრძნობენ, ბიწიერება როგორ უახლოვდება სიკეთეს. კარი გაიღება და ზღურბლზე გადმოაბიჯებს მოურჯულელებელი ცოდვილი, წამით მზის სათელი შემოჰყვება, თუმცა სულაც ღირსი არაა. მართლაც მშვენიერი ემაწვილია, მაგრამ, ჩანს, თავხედი უნდა იყოს, იქედნური და ყოყოჩი. გამოძვრვადაც აცვია ფერად-ფერადი ტანსაცმელი. მხოლოდ შუბლი და პირის მონახაზი მოწმობს მის გასაოცარ ნებისყოფას და თვალებიც ფანატისკოსისა აქვს.

**რიჩარდი** (ზღურბლზევე მოიხდის ქედს). ქალბატონებო და ბატონებო, თქვენი მსახური და მონა-მორჩილი! (აშკარა თავხედობით ქედს გაიქნევს და კრისტინს მიახლის ისე მოულოდნელად, რომ ის მეკარესავით ნახტომს გააკეთებს მის დასაჭერად. რიჩარდი შუაგულ ოთახში დადგება და ღვარძლით მოაულებს თვალს მთელ საზოგადოებას.) რა ბედნიერი სახე გაქვთ ყველას! როგორ ვიხარიათ ჩემი ნახვა! (ქ-ნი და ჯენის სკამისკენ მიტრიალდება, საშინელი ზიზღით აუწევა ზედა ტუჩი, თითქოსდა ძაღლმა დაიდრინაო, ისე გამოაგლეკებს კბილებს, როცა ქალის სიძულვილით სავსე მზერას წააწყდება). რაო, დედაჩემო, ოღონდ კი ღირსეულად გეჭიროთ თავი, ხომ? მართალია, მართალი. (ჯუდიტი, აშკარად ყველას დახანახავად, მოცილდება იმ ადგილს, თავისდა უნებურად კაბის კალთებს აიწევს და სამზრეულოს შორეულ კიდეკ მიაშურებს, როგორც სხეულს

გაეროდებიან ხოლმე. ბიძია ტიტუსს მოეწონება მისი საქციელი და საჩქაროდ სკამს მიუტანს.) ოჰო! ბიძია უილიამ! პირველად გხედავთ, რაც სმას თავი დაანებეთ. (საწყალი ბიძია უილიამი წამოწითლდება და უნდა იუაროს, მაგრამ რიჩარდი გულიანად ხელს დაჰკრავს მხარზე და დასძენს.) ხომ დაანებეთ? (ჩაიციანებს). დაანებეთ და ძალიანაც კარგი. (ბიძია უილიამს ზურგს შეაქცევს და დაუჩინებს გასწევს.) ჩვენი პატიოსანი ქორვაჭარი კი სადღაა? ბიძია ტიტუსს, სქესს მობრძანდით! (ბიძია ტიტუსს ამ დროს უნდა ჯუღითი სკამზე დახვას.) რაღა თქმა უნდა, ქალების პატივი მისი ვალია!

**ბიძია ტიტუსი (გაბრაზებული).** გრცხვენოდეთ, სერ...

**რიჩარდი (გააწყვეტინებს და ხელს ძალით ჩამოართმევს).** მრცხვენია, მრცხვენია, მაგრამ მე ვამაყობ ჩემი ბიძით და ყველა ჩემი ნათესავით. (კვლავ მათვალისწინებს იქ მყოფთ.) ვინც ამით ნახავს, ვის არ ესიაძოვნება, ვინ არ იამაყებს? (ხარწამხდარი ბიძია ტიტუსი ისევ დივანს დაუბრუნდება, რიჩარდი მაგიდისკენ მიტრიალდება.) ოჰ, ბატონო ანდერსონ, სულ სიკეთეს თესავთ, სულ მწვემსავთ თქვენს სამწყსოს. ცდუნება აშორთა ღმერთმა თქვენი შეწვევით, ცდუნება აშორთა ღმერთმა. აქეთ მობრძანდით. (ხმაურით დაჯდება მაგიდაზე, გრაფის ხელს დაავლებს.) ჭიქა მომიჭახუნეთ, მღვდელი, ძველი დრო გავიხსენით.

**ანდერსონი.** თქვენ ხომ იცით, ბატონო დაჯენ, სადილაძდე არა ვსკამ.

**რიჩარდი.** ძოვა დრო და მოისურვებთ, მღვდელი, ბიძია უილიამი საუბრემდეც კი სვამს. დამიჯერეთ, უფრო საამური მოსახმეხი იქნება თქვენი ქადაგება. (ღვინოს დაყნოსავს და სახე დაემანჭება.) თღონდ დედაჩემის ღვინით ქეიფის დაწყებას არ გისურვებთ, ექვსი წლისამ ვემო გავუხინჯე და მერე უკრა და ვერ მიუეჩიე ბევრ სმას. (გრაფის ღვამს და საუბრის თემასაც შეიცვლის.) ჯვარს დაგასწერიათ თურმე, მღვდელი, ამბობენ, თქვენი მეუღლე მეტად ღამაზაო, მეტიშეტადაც, ვინემ ჭემშარიტ ქრისტიან ქალს შეუფერებაო.

**ანდერსონი.** (აუძღურველად ანიშნებს ჯუღითზე). სერ, ჩემი ცოლი აქ რის. (ჯუღითი წამოდგება შეუვალი სათხოების იერით.)

**რიჩარდი (სწრაფად ჩამოხტება მაგიდიდან, ზრდილობის უნებური კარნახით.)** თქვენი მონა-მორჩილი, ქალბატონო, ნუ მიწვევთ. (ჯიქურ დააცქერდება). მაქებარნი თურმე არ სცდებიან, თუმცა კი ვწუხვარ, სათხოებით სავსე რომ ჩანხართ. (ჯუღითი შეკრთება და იქ მყოფთა თანადგომისა და აღშფოთების ჩურჩულში ისევ თავის ადგილას დაჯდება. ანდერსონს ჭკუა ჰყოფნის და იცის, აღშფოთების გამოხატვა რომ უფრო გაათამამებს და აღავზნებს ხოლმე თავზედ კაცს, ვისაც აქ მყოფთა გაღიზიანება გადაუწყვეტია.) მერეღა რა მოხდა, მღვდელი, კიდევ უფრო მეტ პატივს გცემთ, ვიდრე მანამდე. ჰო, მართლა, ყური მოუყარო, რომ აწ განსვენებული ბიძია პიტყერი, უცოლო კაცი, თურმე მამა ყოფილა.

**ბიძია ტიტუსი.** მას მხოლოდ ერთი უკანონო ბავშვი ჰყავდა, სერ.

**რიჩარდი.** მხოლოდ ერთი! გგონიათ, ეს არაფერია? თქვენ მაგივრად მე მრცხვენია, ბიძია ტიტუს.

**ანდერსონი.** ბატონო დაჯენ, აქ მგლოვიარე დედათქვენია.

**რიჩარდი.** მისი მწუხარება სულს და გულს მითუთქავს, მღვდელი, მაგრამ, ერთი მითხარით, ის უკანონო ბავშვი სადღაა?

**ანდერსონი (ესიზე მიუთითებს).** ის აქ არის, სერ, და თქვენ ყურს გივლებთ.

**რიჩარდი.** (მოულოდნელობისაგან ნირი შეეცვლება, დაღინჯდება). უშმაკმა დალახვროს, რად არ მითხარით? ბავშვები ისედაც იტანჯებოდნენ ამ სახლში და... (შეწუხებული ეხისთან მიიჭრება.) არ გეწყინოს, ჩემო პატარა დაო, თუ აქ იყავი, არ ვიცოდი. (გოგო მაღლიერების გრძნობით შეხედავს, მისი ნამტირალევი სახე გულს ჩახწყვეტს ემაწვილკაცს და გამძვინვარდება.) ვინ აწყენინა? ღმერთო...

**მ-ნი დაჯენი** (წამოდგება, მისკენ გაიწევს). ენას კბილი დააჭირე. ქმარა, გასწი ჩემი სახლიდან, მკრეხელო.

**რიჩარდი.** მერედა ვინ ვითხრათ, რომ ეს თქვენი სახლია, ჯერ ხომ ანდერძი არ წაგვიკითხავს? (წამით ერთმანეთს დიდი სიძულელით შეხედავენ. მერე ქ-ნი დაჯენი მორჩილად ისევ თავის სკამზე ჯდება. რიჩარდი მტკიცედ ჩაუვლის გვერდით ანდერსონს, ფანჯარასთან მივა და ხელით იქ მდგარ სკამის საზურგეს დაეყრდნობა.) ქალბატონებო და ბატონებო, მე ვარ უფროსი ვაჟი აწ გარდაცვლილი მამისა და, თუმც უღირსი, მაგრამ მაინც ამ ოჯახის თავი. მოგესალმებით, თქვენი ნებართვით, ვექილო პოუკინს. თქვენი ნებართვით, ბატონის ანდერსონს, მაგრამ ოჯახის უფროსს ეკუთვნის ამ სუფრის წინამძღოლობა. (სკამს მაგიდასთან დადგამს მღვდელსა და ვექილს შორის, დაჯდება და იქ მყოფი ოჯახის უფროსივით მიმართავს.) სამწუხარო ამბის გამო შევერიღვართ, მამა გარდაიცვალა, ბიძია ჩამოახრჩვეს და ახლა ალბათ პირდაპირ საკირეშია. (მჭმუნვარედ თავს გააქნევს, თავზარდაცემული ნათესავები გაშეშდებიან.) ასეც უნდა, ცხვირ-პირი ასე უნდა ჩამოვტიროდეთ. (ესის შეხედავს და უეცრად ხმა შეეცვლება, უკვე ღინჯად წარმოთქვამს). განგებას ვთხოვ, იმედი ნუ მოუშალოს ამ ბავშვს. (ცოცხლად.) ახლა კი, ვექილო პოუკინს, საქმეს, საქმეს მივხედოთ! სად არის ანდერძი?

**ტიტუსი.** ნუ დაანებებთ, ბატონო პოუკინს, რომ ვიბრძანოთ და დაგაჩქაროთ.

**პოუკინსი** (ძალიან მშვიდად და დაყვავებით), ბატონ დაჯენს არ უნდა ჩვენი განაწყენება. ახლავე, ბატონო დაჯენ, დიდხანს არ დაგაყოვნებთ, საოვალეს გავიკეთებ და... (ძებნას დაწყევბს ჯიბეებში. შეშფოთებული დაჯენები ერთმანეთს გადახედავენ.)

**რიჩარდი.** ოჰო! თქვენი ზრდილობა ამათ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, ბატონო პოუკინს, გული ცუდს უგრძნობთ. ერთი ჭიქა ღვინო გადაკარით, სანამ დაიწყებდეთ, ყელი ჩაიწმინდეთ. (ღვინოს დაუსხამს და მიაწვდის, მერე თავისთვისაც დაისხამს.)

**პოუკინსი.** გმადლობთ, ბატონო დაჯენ, თქვენი სადღეგრძელო იყოს, სერ!

**რიჩარდი.** თქვენიც, სერ! (ჭიქას ტუჩებთან მიიტანს; უცებ უნდობლად დახედავს ღვინოს და ხაზგასმით წარმოთქვამს.) თუ არ შეწუხდებით, ვინმემ ერთი ჭიქა წყალი მომიტანოს.

ესი ყურადღებით ისმენს მის ყოველ სიტყვას და ჩუმად წამოდგება, ქ-ნ დაჯენის უკან გახლტება საძინებელ ოთახში, მაშინვე დოქით ხელში დაბრუნდება და საჩქაროდ გარეთ გადის.

**პოუკინსი.** ვერ არის გამართულად შედგენილი ეს ანდერძი, ისე, როგორც საჭიროა.

**რიჩარდი.** ჰო, მამაჩემი მწყრალად იყო კანონიან.

**პოუკინსი.** დიახ ბატონო დაჯენ, დიახ. (წასაკითხავად მოემზადება.) ქადა ხარ... სერ?

**რიჩარდი.** მზად ვარ, მზად. უნდა მოვისმინოთ, რაც ღვთის ნებაა, და მა-  
ღლობა შევწიროთ მას. დაიწყეთ.

**პოუპინსი (კითხულობს).** „ჩემია ეს უკანასკნელი ანდერძი და ჩემი, ტი-  
მოთი დაჯენის ნება-სურვილი. ასე ვაცხადებ სასიკვდილო სარეკლამო-  
ლო ნევისტაუნს, სპრინგფილდიდან უებსტერბრიჯისკენ მიმავალ გზაზე, მის  
ოცდაათს სექტემბერს, ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტ წელს. წინამდებარე ქა-  
ღალღით მე ვაუქმებ ჩემს ყველა ადრინდელ ანდერძს და ვაცხადებ, სრულ გონე-  
ბაზე მყოფმა ვიცი, რასაც ვაკეთებ, ეს არის ჩემი ნება, გამოხატულება ჩემი  
არმონებებისა და სურვილების“.

**რიჩარდი (ღეღას გადახედავს).** ჰმ!

**პოუპინსი (თავს გააქნევს).** რა გამოთქმებია, სერ, რა სიტყვებია. „უმ-  
ცროსს ჩემს ვაჟს, კრისტეფორ დაჯენს მიეცეს ასი გირვანქა, რომლიდანაც  
ორმოცდაათი — ხარა უილკინსზე დაქორწინების დღეს, თუკი ეს იქნება ქალის  
სურვილიც; და ყოველი ბავშვის დაბადებისას ხუთ-ხუთი გირვანქა“.

**რიჩარდი.** რომ არ გაჰყვეს?

**პრისტნი.** ორმოცდაათი გირვანქა შექნება და გამოყვება.

**რიჩარდი.** კარგია, ჩემო ძმაო! განაგრძეთ.

**პოუპინსი.** „ვამღვე და ვუნიშნავ ჩემს მეუღლეს ანა დაჯენს, დაბადე-  
ბულს ანა პრიმროუზად“ — ხედავთ, როგორ ესმოდა კანონი ამ კაცს, ბატონო  
დაჯენ, თქვენი დედა არ იყო დაბადებული ანად, ნათლობის დროს დაარქვეს  
ასე — „წლიურ სარჩოდ ორმოცდაათორმეტ გირვანქას. (ყველა ქ-ნ დაჯენს შე-  
ხედავს, ძლივს რომ იხარჩუნებს სიმშვიდეს.) ეს ფული მიეცემა მას საკუთარი  
თანხის პროცენტების ხარჯზე...“ აი როგორ წერს, ბატონო დაჯენ, საკუთარი  
თანხისო!

**ქ-ნი დაჯენი.** ღმერთმა იცის, სწორედაც ამბობს, ყოველი პენი ამ ფუ-  
ლიდან ჩემია. ორმოცდაათორმეტი გირვანქა წელიწადში!

**პოუპინსი.** „და ჩემს შვილებს, მათ კეთილ და მოწყალე გულს მივანდობ  
მასზე მზრუნველობას. თუმცა ყოველთვის ვცდილობდი ჩემდგარიყავი ამ ქალსა  
და მათ შუა, რამდენადაც შეძემდლო“.

**ქ-ნი დაჯენი.** და ეს არის ჩემი ჯილდო ყველაფრისათვის! (თავს  
ძლივს იკავებს.) თქვენ იცით, რას ვფიქრობ ამაზე, ბატონო ანდერსონ, იცით,  
რას ღაფარქმევდი ამას.

**ანდერსონი.** რას იზამთ, ქალბატონო დაჯენ, მოთმინება გვმართებს  
ჩვენი წილხვედრისა. (პოუპინსს.) განაგრძეთ, სერ.

**პოუპინსი.** „ვუტოვებ და ვუანდერძებ ჩემს სახლსა და კარმიდამოს,  
მოელ უძრავ-მოძრავ ქონებას უებსტერბრიჯში ჩემს უფროს ვაჟსა და შემკვიდ-  
რეს რიჩარდ დაჯენს...“

**რიჩარდი.** თქო! მსუქანი ხბოა, მღვდელი! მსუქანი ხბო!

**პოუპინსი** „... ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებით...“

**რიჩარდი.** ეშმაკმა დაღახეროს, რა პირობებია?

**პოუპინსი.** „სახელდობრ: პირველი — შიმშილით არ მოკლას ჩემი ძმის, პი-  
ტერის უკანონო ქალიშვილი და არ მისცეს უფლება ცუდ გზას დაადგეს.“

**რიჩარდი.** (ფიცხად დაჰკრავს მაგიდაზე მუშტს). თანახმა ვარ! (ქ-ნი და-  
ჯენი მიტრიალდება, რათა ბრაზით შეხედოს ესის, მაგრამ ვერ დაინახავს და,  
რა მიხვდება, უნებართვოდ გასულაო, ტუჩებს მოკუდავს.)

პოუპინსი. „მეორე – კარგად მოუაროს ჩემს ძველ მეგობარს, ჩემს ბებერ ცხენს ჯამს“. (იხვე თავს გაიქნევს.) აი, როგორ წერს! ჯეიმსო, ასე უნდა დაეწერა სერ.

რიჩარდი. სამოთხის ბაღახი არ მოაკლდება მას, განაგრძეთ.

პოუპინსი. „მსახურად დაიტოვებს ჩემს ყრუ მოჯამავირ პროჯერ ფესტონს“.

რიჩარდი. პროჯერ ფესტონი კარგად გამოთვრება ყოველ შაბათ დღეს.

პოუპინსი. „მესამე – საქორწინო საჩუქარს შიართმევს კრისტის იმ ნივთებიდან, რომლებიც სადარბაზოშია“.

რიჩარდი (ხელს წაავლებს ჩიტების ფიტულების ყუთს). შენი იყოს, კრისტი.

კრისტი (გულდაწყვეტილი) ხვობს ჩიხური ფაიფურის ფარშეკანგები

ქაჩუქი.

რიჩარდი. შენი იყოს ესეც და ისიც. (კრისტი დიდად ნახიაბოვნები რჩება.) განაგრძეთ.

პოუპინსი. „მეოთხე და უკანასკნელი – სცადოს მშვიდობით ცხოვრება დედასთან, თუკი ეს ქალის სურვილიც იქნება“.

რიჩარდი (უჭვით), კმ! სულ ეს არის, ბატონო პოუპინს?

პოუპინსი (საზეიმო კილოთი). „დასასრულ უფალს ვაბარებ ჩემს სულს, ვევედრები მომიტყუოს ცოდვები და შეცდომები და მაქვს იმედი, ისე ატარებს ჩემს ვაჟიშვილს, რომ არავინ მისაყვედუროს, რად უბოძაო იმას ყელაზე უფრო მეტი თავის უკანასკნელ ჯამს იმქვეყნად მიმაჯალმა“.

ანდერსონი. ამინ.

ბიძები და ბიცოლები. ამინ.

რიჩარდი. ჩემს დედიკას არ უთქვამს, ამინო.

მ-ნი დაჯენი (წამოდგება, უბრძოლველად დათმობას არ აპირებს). ბატონო პოუპინს, კანონიერია ეს ანდერძი? თუ განსოვთ, მე მაქვს ნამდვილი, კანონიერი ანდერძი, თავად თქვენი შედგენილი, რომლის მიხედვითაც ყველაფერი მე უნდა დამრჩეს.

პოუპინსი. ძალიან ცუდად არის დაწერილი და სიტყვებიც არასწორად ნახმარი, ქალბატონო დაჯენ, მაგრამ (თავაზიანად მიუბრუნდება რიჩარდს) ჩემი აზრით, სამართლიანად გაუნაწილებია თავისი ქონება.

ანდერსონი (ქ-ნ დაჯენს დაასწრებს). ამას არ გეკითხებიან, ბატონო პოუპინს, ხომ კანონიერია ეს ანდერძი?

პოუპინსი. სასამართლოსთვის ჭეშმარიტი ეს არის და არა ის.

ანდერსონი. მაგრამ ის ხომ წესისამებრ არის შედგენილი.

პოუპინსი. სასამართლო პირველობას მამაკაცს ანიჭებს, სერ, და არა ქალს, თანაც ეს მამაკაცი უფროსი ვაჟია. ხომ გეუბნებოდით, ქალბატონო დაჯენ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის პირველი ანდერძი შემადგენინეთ, რომ არ იყავით მართალი. და თუმცა თქვენს ქმარს ხელი მოაწერინეთ, არ მოისვენებდა მანამ, სანამ ახალს არ დატოვებდა. მაგრამ ჩემი რჩევა ყურად არ იღეთ, ახლა კი ვველაფურის პატრონი ბატონი რიჩარდია. (თავის ქუდს აიღებს იატაკიდან, წამოდგება, ქაღალდებს მოაგროვებს და სათვალეს მოიხსნის).

ეს წახვლის ნიშანი იქნება სხვებისთვის. ანდერსონი საკიდრიდან ქუდს ჩამოიღებს და ცეცხლთან მდგარ ბიძია უილიამს მიუახლოვდება. ტიტუსი საკიდრიდან გადმოიღებს მოხასხამსა და შლაპას და ჯუდითს მიაწვდის. ბიცოლები დივნიდან წამოდგებიან და პოუპინსთან საუბარს გამართავენ. ქ-ნი დაჯენი გაუნძრევლად დგას, ოთქოს საკუთარ სახლში უკვე უცხო სტუმარი, დათრგუნუ-

ლია კანონის უსამართლობით ქალების მიმართ, თუმცა მზად არის გაუძლოს, როგორც ერთ-ერთ საშინელ განსაცდელს, რომელიც განგებამ მოუვლინა და რომელსაც უნდა დამორჩილდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს მერი უოლსტონკრაფტი მხოლოდ თერამეტი წლის გოგოა და მისი „ქალთა უფლებების დაცვის“ გამოსვლამდე თხუთმეტი წელია დარჩენილი. ქ-ნი დაჯენი ეს ის დაინახავს და გონს მოვა. გოგოს წყლით სავსე ღოჭი მოაქვს და რიჩარდს მიაშურებს, მაგრამ ქ-ნი დაჯენი შეაჩერებს.

ქ-ნი დაჯენი (მუქარით). ხად იყავი? (შეშინებული ესი ცდილობს უპასუხოს, მაგრამ ვერ შეძლებს.) როგორ გაბედე უჩემნებართვოდ გარეთ გასვლა?

მსი. წყალი ითხოვა მან... (შიშით ენას ვედარ აბრუნებს პირში.)

ჯუდიტი (არც ისე მკაცრად). ვინ გთხოვა წყალი? (ესი უხმოდ რიჩარდზე მიუთითებს.)

რიჩარდი. რაო! მე?

ჯუდიტი (სავევდურით). ოპ, ესი, ესი!

რიჩარდი. სწორია, მე მინდოდა! (ჭიქას აიღებს და ესის გაუწვდის. გოგო წყალს უსხამს, ხელები უკანკალებს.) რაო! ჩემი ხომ არ გეშინია?

მსი (საჩქაროდ). არა, მე... (ჭიქას გაუვსებს.)

რიჩარდი (მოსვამს). ოპო, შენ ბაზრის ჭიშკრამდე ასულხარ, სადაც წყაროა, ხომ? (დალევს.) დიდებული წყალია! ვმადლობთ! (საუბედუროდ, იმ წუთსვე დაინახავს ჯუდიტის სახეს, ვისაც აშკარად ეტყობა, რომ არ მოსწონს რიჩარდის ესისადმი სიმპათია, გამოწვეული გოგოს მისდამი ესოდენი ერთგულების გამოხატველი მზერით. რიჩარდი შეამჩნევს ამას და მაშინვე დაცინვის გუნებაზე დგება. ჭიქას დადგამს, ყველას თვალწინ ესი მკლავს მოხვევს და შუაგულ სტუმრებში გაიყვანს. მაგრამ რადგან გზაზე ქ-ნი დაჯენი დახვდებათ, ამბობს.) თქვენი ნებართვით, დედაჩემო! (და უკან დაახევინებს.) რაო, რა გქვია შენ, ბესი?

მსი. ესი.

რიჩარდი. პო, პო, ესი, მართლაც. შენ ხომ კარგი გოგო ხარ, ესი?

მსი (დიდად შეწუხებული, ამ ყმაწვილკაცმა სხვებივით რომ დაუწყო ლაპარაკი.) დიახ. (დაბნეული ჯუდიტს შეხედავს.) მე მგონია, მე... იმედი მაქვს...

რიჩარდი. ესი, თუ გავიგონია როდისმე იმის შესახებ, ვისაც ეშმას ეძახიან?

ანდერსონი (აღშფოთებული.) გრცხვენოდეთ, სერ, ეგ ხომ ჯერ კიდევ ბავშვია...

რიჩარდი. თქვენი ნებართვით, მღვდლო, თქვენ როდესაც ქადაგებთ, მე ხელს არ ვიშლით, პოდა, ხურც თქვენ შემაწვევებინებთ. (ესის.) თუ იცია, მე რას შეძახიან, ესი?

მსი. დიკს.

რიჩარდი (გაუცინებს და მხარზე ხელს დაჰკრავს.) დიახ, დიკს, მაგრამ ხანდახან ეშმას მოწაფესაც შეძახიან.

მსი. თქვენ კი რატომღა ანებებთ?

რიჩარდი (ადარ ხუმრობს.) მართალია და იმიტომ. მე სხვა რწმენაზე მზრდიდნენ, მაგრამ იმთავითვე ვიცოდი, ეშმაა ჩემი ჭეშმარიტი მოძღვარი, მე-უფე და მეგობარი. ვხედავდი, სწორედ ისაა მართალი და მხოლოდ შიშის გამო მორჩილებს ეს ქვეყანა გამარჯვებულს. ცდუმალ მას ვუგზავნიდი ლოცვას და ისიც მანუგეშებდა, მაძლევდა ძალას ჩემი სული არ გაცამტკერებული-

ყო იმ სახლში, სადაც ყოველი კუთხე-კუნჭული ბავშვების ტრემლებითაა მორწყული. მას მივუძღვენი ეს ჩემი სული და კიდევაც შევფიცე, მასთან ვიქნები ამქვეყნად და იმქვეყნადაც. (სახეიმო კილოთი.) კაცური კაცი გაგზდრ ამ ფიცის შემდეგ. ჰოდა, ამიერიდან ეს სახლი მისი სახლია და ბავშვის ქეთონს აქ არავინ გაიგონებს, მისი საკურთხეველია ეს ბუხარი და საღამოობით, როდესაც სიბნელე დაისადგურებს, შიშით არავის მოეკვეთება მუხლები ახლავე (შკვეთრად მიუბრუნდება ყველას), კეთილი ხალხი, ვინ დაიხსნის ამ ბავშვს და წაიყვანს იმ სახლიდან, სადაც ეშმა ბინადრობს?

**ჯუდიტი** (ესის მიუახლოვდება და მხარზე ხელს დაადებს.) მე წავიყვან. თქვენი სასჯელი კი ცოცხლად დავვა.

**მსი**, მაგრამ მე არ მინდა! (უკუ მიდგება, რიჩარდი და ჯუდიტი ერთმანეთის პირისპირ ჩარჩებიან.)

**რიჩარდი**, სწორედაც არა სურს, დიდად ღირსეულო ქალბატონო!

**ბიპია ტიტუსი**, ფრთხილად იყავი, რიჩარდ დაჯენ. კანონი...

**რიჩარდი** (მუქარით მიუბრუნდება მას), თავად გაფრთხილდით. კიდევ ერთი საათი და არც რა კანონი იკანონებს გარდა ომის კანონისა. ვზაზე ჯარისკაცები ვნახე ექვსი მილის იქით, როდესაც აქეთ მოვდიოდი, ჯერ კიდევ შუადღემდე მაიორი სუინდონი ჯანყისთაყუებისთვის საბრჩობელას აღმართავს ბაზლის მოედანზე.

**ანდერსონი** (მშვიდად.) მერედა ჩვენ რისი უნდა გვეშინოდეს, სერ?

**რიჩარდი**, კი უნდა გეშინოდეთ. სპრინჯფილდში მან ის არ ჩამოაბრჩო, ვინც უნდა ჩამოეხრჩო. ეგონა, ღირსეული კაცი იყო ბიპია პიტერი, რაკილა დაჯენებს კარგი სახელი აქვთ. მოვა აქ და სამაგალითოდ დასჯის უპატიოსნეს კაცს ამ ქალაქში, თღონდაც კი შრალი დასდოს, ხალხს მიჯანყებოს. ჯანყისთაყუები ვართ ჩვენ ყველანი და ეს იცით კიდევაც.

**ყველა მამაკაცი** (გარდა ანდერსონისა), არა, არა და არა!

**რიჩარდი**, ხართ, დიახაც ხართ. ჩემსავით ტალახში არ ათრევდით იმ წყეული მეფე გეორგის სახელს, მაგრამ ავი შესთხოვდით ღმერთს მის დამარცხებას, კათედრიდან ავი თქვენ ქალაგებდით, ენტონი ანდერსონ, საოჯახო ბიბლია თქვენ გაყიდეთ, რათა პისტოლეტები შეგეძინათ. შეიძლება ინგლისელებმა მე არც კი ჩამომაბრჩონ, რადგანაც ეშმას მოწაფის ფეხების ფართხალი, ხალხს პიროქით გაახარებს. სხვა ამბავია მღვდელი! (თავზარდაცემული ჯუდიტი ანდერსონს მოეხვევა.) ან ვექილი! (პოუკინსს ჩაეცინება, აქაოდა, მე კი ვუშველით ჩემს თავს.) ან ეს პატიოსანი ქორვაჭარი! (ბიპია ტიტუსი ამოიკვნესებს შიშის ზარით ატანილი.) ანდა ეს ჭკუაზე მოსული ლითი! (ბიპია უილიამი ამოიგმინებს და შიშით ცახცახებს.) დიახ, დიახ, მეფე გეორგმა იცის, რასაც აკეთებს.

**ანდერსონი** (სრულიად მშვიდად.) წამოდი, ჩემო ძვირფასო, მას მხოლოდ ჩვენი შეშინება უნდა, მეტი არაფერი. (კარისკენ წაიყვანს. დანარჩენებიც კარს მიაწყდებიან. ესი რიჩარდის გვერდით დადგება.)

**რიჩარდი** (ღვარძლით.) რაო, რა დაგემართათ, რამდენი დარჩებით ჩემთან, ვინ აღმართავს ამერიკის დროშას ეშმას სახლზე, თავისუფლებას თავს ვინ შეიწირავს? (ყველანი გარეთ გარბიან, მათ შორის კრისტოც.) ხა! ხა! ხა! გაუმარჯოს ეშმას! (კარისკენ მიმავალ ქ-ნ დაჯენს დაინახავს.) რაო, დედარჩემო, თქვენც მიდიხართ?

**მ-ნი დაჯენი** (ზაფრანისფერი ადევს, ლახვარნაკრავივით მკერდზე ხელს მიიდებს.) დამიწყევლიხარ! დედის მკვლელი! (გადის.)

რიჩარდი (დაადევნებს.) დიდებულია, ხა, ხა, ხა!

მსი (ძლივს ამოთქვამს.) მე აქ დავრჩე?

რიჩარდი (ძიუბრუნდება.) რაო? ოღონდ კი ხორცი გადაირჩინონ და სული აღარც ახსოვთ? ჰო, ჰო, შენ დარჩი. (კარისკენ მიტრიალდება და მძვინვარედ მუშტს აღმართავს. მარცხენა ჩამოშვებული ხელიც მუშტად შეეკვრება. ესი მასთან მიიღებს და ხელზე კოცნის, ცრემლები წასკდება. რიჩარდი შეკრთება და ირგვლივ მიმოიხედავს.) ცრემლები! ეშმამ მოგნათლა უკვე! (ესი მუხლებზე დაეცემა, ქვითინებს. რიჩარდი მის ასაყვანად დაიხრება და ხელს ნახად მოკიდებს ასაყენებლად.) ჰო, კარგი, ასე იყოს, იტირე, ესი, თუკი ასე გსურს.

მოქმედება II

მღვდელ ანდერსონის სახლი უესტერბრიჯის მთავარ ქუჩაზე, ქალაქის რატუშას შორიანლოს. მეთვრამეტე საუკუნის ახალი ინგლისის მაცხოვრებელთა თვალში ეს შენობა ბევრად უფრო უკეთესი უნდა ჩანდეს, ვიდრე დაჯენების უბრალო ფერმერული სახლი, მაგრამ (ორივე ეს ნაგებობა ჩვენი თანამედროვე უძრავი ქონების გამყიდველი აგენტის მიერ ერთ ფასში იქნებოდა გაყიდული. ერთ დიდ ოთახში აქაც იხეთივე სამზარეულო ღუმელია, იქვე ქვაბი, პურის გასახუხი ფურნაკი, ხორცის შესაწვავი ჩამოსაკიდი კაუჭი და ფართო ხარიხა, რომელზეც შემოდგმულია კარდალა და დიდი თეფში ერბოწასმული შემწვარი პურის ნაჭრებით. ღუმელსა და ოთახის კუთხის შუა უბრალო ფიცრული კარია დატანებული, არც სახელური აქვს, ურდულით იკეტება. მაგიდა ჩვეულებრივია, სამზარეულო, ზედ მოყავისფრო კიდებგაქეჩილი მუშამბაა გადაფარებული, დგას ჩაის ჭურჭელი — ორი დიდი ქაშანურის ჭიქა, საშაქრე, კარგა მოდილო სარძევე, ხის ლანგარი პურითა და კარაქით ქაშანურისვე თასში. ღუმლის პირდაპირ მუხის ვეებერთელა კარადაა, ოთახის შესამკობად კი არა, არამედ რაღაცების შესანახად გაკეთებული, მის კარზე მიჭედულ ლურსმანზე ჰკიდია მღვდლის საშინაო სერთუკი, როცა პატრონი სახლში არაა, ხოლო როცა სახლშია, საგარეო სერთუკი. კარადის გვერდით ცხენოსნის მადლყელიანი ჩექმებია, დროგორც ჩანს, ჩვეულებისამებრ აქაა მიხი ადგილი. მღვდლის ეს ოთახი სინამდვილეში სამზარეულო, სახადილო და სასტუმროა ერთად, ისინი ჯერ კიდევ არ არის ერთმანეთისგან გამოყოფილი. ჩვენს უზრუნველ ხანას თუ გავითვალისწინებთ, ეს სამყოფი არაფრით არ სჯობს დაჯენებისას.

თუმცა განსხვავება მაინცაა. უპირველეს ყოვლისა, ქ-ნი ანდერსონი უფრო სასიამოვნო ქალია, ვიდრე ქ-ნი დაჯენი. ამაზე კი ქ-ნი დაჯენი იტყოდა და სამართლიანადაც, ქ-ნი ანდერსონს არც ბავშვები ჰყავს მოსაველელი, არც საქონელი, ღორები და ქათმები აწუხებსო, შემოსავალი კი მყარი და მუდმივი აქვს, დამოკიდებული არ არის მოსაველსა და საბაზრო ფასებზეო, ჰყავს დიდებული ქმარი, მისი მწე და მშველელი. ერთი სიტყვით, მღვდლის სახლში ცხოვრება იმდენად იოლია, რამდენადაც ძნელია ჯერმაში. მაგრამ ფაქტის ახსნა მის უარყოფას სულაც არ ნიშნავს. და რაც უნდა ვთქვათ, ქ-ნი ანდერსონს ამიტომ თუ იმიტომ გაუადვილდაო საამური გაეხადა თავისი სახლი, ერთი კი ცხადია, კარგადაც მოახერხა ეს ყველაფერი. მმ ქალის სოციალური უპირატესობის ნათელი დადასტურებაა იატაკზე დაფენილი სახლე, კოჭებშუა შელესილი ჭერი-სკამები თუმცა არაა გადაკრული, მაგრამ ლაქწასმულივით პრიალებს. ხელოვნების მიმუშად აქ წარმოდგენილია წილაც პრესვიტერიანელი სასულიერო პი-



რის პორტრეტი და რაფაელის სურათის 'ახლი — „წმინდა პავლეს ქადაგებანი ათენს“. ბუხრის თავზე მათი საქორწილო საჩუქარი, როკოკოს სტილის საათია, რომლის აქეთ თუ იქით ჩამწკრივებულია ორ-ორი ჩარჩოიანი მინიატურა, ფაიფურის ძაღლები, რომლებსაც პირში კალათები უკაუცაო, დაბოლოს ზღვის ნიუარები. ოთახს დიდად ამშვენებს დაბალი, ფართო, ლამაზი ხარისხიანი ფანჯარა, სანახევროდ ჩამოშვებული წითელი ფერის ფარდებით, დივანი ოთახში არ არის, მაგრამ კარადის ახლოს დგას ხის ფართო სავარძელი, მოჩუქურთმებული ზურგით, რომელზეც სულ ადვილად დაეტევა ორი ადამიანი, ერთი სიტყვით, ოთახების ასეთმა ინტერიერმა სრულყოფას მიაღწია მეცხრამეტე საუკუნეში ბატონ ფილიპ უებისა და მისი მიმდევრების თაოსნობით, თუმცა კი ამ ორმოცდაათი წლის წინ არც ერთი დირსეული ძღველი არ იკადრებდა აქ ცხოვრებას.

საღამო ხანია. ოთახი ჩამობნელებულია, თუმცა კი ბუხარში ნაკვერჩხლის ბუტყა სიმყუდროვეს ანიჭებს აქაურობას. ქუჩიდან ფანჯრის ფარდაში აღწევს ფარნების ციმციმი, ჩანს, დათბა კიდეც, უქარო ამინდია და გაუთავებლივ, წყნარად წვიმს. ქალაქის საათმა მეოთხედი დაჰკრა. შემოდის ჯუდიოთი, თიხის შანდლებით ორი ხანთელი შემოაქვს და მაგიდაზე დგამს. დილანდელი თავდაჯერებულობისა აღარაფერი ეტყობა, შფოთისა და შიშს აუტანია. ფანჯარასთან მიყა და ქუჩაში გაიხედავს. იმწუთსვე დაინახავს, რომ შინისკენ მისი ქმარი მოიჩქარის, წვიმაში მოიკვლევს გზას, ქალი შვეებით ამოიკვნესებს, კარისკენ მიტრიალდება. შემოდის მთლად დახველებულ მოსასხამში გახეული ანდერსონი.

ჯუდიოთი (მასთან მიიბრუნს.) თჰ, მოხვედი, როგორც იქნა! როგორც იქნა მოხვედი! (სურს მოეხვიოს.)

ანდერსონი (მოიცოლებს.) აფრთხილად, ჩემო სულისდგმავ, მთლად სველი ვარ, ერთი ამ მოსასხამს მოვიხსნი. (სკამს ბუხართან მიდგამს და მოსასხამს გადაადებს გასაშრობად, ქუდს დააქნევს და წვიმის წვეთებს მოაცილებს, საბუხარე ხარისხაზე დადებს, მხოლოდ ამის მერე გაშლის ხელებს.) ახლა კი მოდი! (ქალი მაშინვე გულში ჩაეკვრება.) ხომ არ დამიგვიანია? ქალაქის საათმა მეოთხედი დაჰკრა, როდესაც სახლთან მოვედი. თუმცა ქალაქის საათი მუდამ წინ მიდის.

ჯუდიოთი. ამ საღამოს, ეტყობა, ჩამორჩა. რა კარგია, რომ მოხვედი.

ანდერსონი (კიდეც ჩაიკრავს გულში.) შეგეწმინდა ხომ, ჩემო სულისდგმავ?

ჯუდიოთი. ცოტათი.

ანდერსონი. ხომ არ ვიტირია?

ჯუდიოთი. სულ ცოტა. მაგრამ არაფერია, მორჩა. (ბუკის ხმა მოიხმის შორიდან. ქალი შიშით შეკრთება და სავარძლისკენ დაიხვეს.) ეს რა არის?

ანდერსონი (ქალს მიჰყვება, ნაზად ჩასვამს სავარძელში და გვერდით მიუჯდება). მეფე გეორგია, მეტი ვინ უნდა იყოს, ჩემო სულისდგმავ. ეაზარმებში უხმობენ ჯარისკაცებს ან გადათვლაზე, ან ჩაის დასალევად, ან უნდა ჩაიცივან, ან ცხენები შეკაზმონ და, ვინ იცის, კიდეც რა. ჯარისკაცებმა ასე იციან, არც ზარს აუუგუნებენ, და არც ფანჯარაში შემოგძახებენ, როცა რამე სჭირდებათ, მებუკეს გამოგზავნიან და ბუკს დააყვირებენ მთელი ქალაქის გასაგონად.

ჯუდიოთი. როგორ გგონია, საშიში არაფერია?

ანდერსონი. სულ არაფერი.

**ჯულითი.** ჩემი დაწყნარება გინდა, შენვე არა გჯერა, რასაც ამბობ.

**ანდერსონი.** ჩემო სულისდგამავ, საფრთხე მუდამაა ამქვეყნად/მათთვის, ვისაც მისი ეშინია. ხომ შეიძლება ჩვენი სახლი ღამით ცეცხლმა გზაბუკოს, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, ხომ გვძინავს კარგად.

**ჯულითი.** ჰო, ვიცო, შენ ყოველთვის ასე ამბობ და მარტო ყფობ. ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ... ალბათ მხდალი ვარ და ეს არის მჯობინებელი გული მისკდება ხოლმე, როდესაც ჯარისკაცები მახსენდება.

**ანდერსონი.** ნუ გეშინია, სულისდგამავ, სიმხდალე ადვილი დასაძლე-  
ვია, ოღონდაც მოხდომო.

**ჯულითი.** მეც ასე ვფიქრობ. (კვლავ მოეხვევა.) შენ კი რა გულადი ხარ, ჩემო ძვირფასო! (გრემლები მოერევა.) კარგი, მეც გულადი ვიქნები, შენ არ უნდა შეგრცხვეს შენი ცოლის.

**ანდერსონი.** დიდებულთა. ძალიან მიხარია, ამას რომ ამბობ. მაშ! მაშ!  
(წამოდგება და ბუხართან მიდის ფეხსაცმლის გასაშრობად.) რიჩარდ დაჯენი-  
ხას გამოეცარე, მაგრამ სახლში არ იყო.

**ჯულითი** (გაოცებული ადგება.) იმ კაცთან გაიარე!

**ანდერსონი** (დაეკანკაბო.) ჰო, არაფერი არ მომხდარა, სახლში არ იყო.

**ჯულითი** (კინალამ არ ატირდება, თითქოსდა იმ კაცთან მისვლა მისი პი-  
რადი შეურაცხყოფაა.) იქ რა გინდოდა?

**ანდერსონი** (შეშფოთებული.) ხმები დადის, მაიორი სუინდონი აქაც იმასვე მოიმოქმედებს, რაც სპირნგფილდში მოიმოქმედა — სამაგალითოდ დას-  
ჯისო ყველაზე გამოუსწორებელ ბუნტისათვის, როგორც ჩვენ ყველას გვეძახის.  
იქ პიტერ დაჯენი ჩაუვარდა ხელში, აქ კი, ასე ამბობენ, რიჩარდი გახდება  
მისი წერათ.

**ჯულითი.** მაგრამ რიჩარდმა ხომ თქვა...

**ანდერსონი** (ნაზად შეაწყვეტინებს.) ოჰო! რიჩარდმა თქვა! იმიტომ  
თქვა, რომ შენი შეშინება უნდოდა და ჩემიც, ძვირფასო. მან ისა თქვა — ღმერ-  
თმა მოუტყუოს! — რის დაჯერება მეც კი გამეხარდებოდა, საშინელია სიკვდილ-  
ზე ფიქრი ასეთი კაცისთვის. ჰოდა, გავაფრთხილე, ბარათი დავუტოვე.

**ჯულითი** (გაბრაზებული.) ბარათი!

**ანდერსონი.** რაღაც სათქმელი მაქვს შენთვის და შენი ნახვა მინდა, მა-  
ლზე დამავალზე, თუ შემოივლი-მეთქი.

**ჯულითი** (თავზარდაცემული.) შენ ვუბნები ასეთ კაცს, შემოიარეო!

**ანდერსონი.** დიას.

**ჯულითი** (სკამზე დაჯდება და ხელებს იმტვრევს.) ნეტამც არ მოვიდეს!  
ომ! ღმერთო, ნეტამც არ მოვიდეს.

**ანდერსონი.** რატომ? ნუთუ გინდა ხიფათს გადაეყაროს?

**ჯულითი.** არა, მან უნდა გაიგოს ხიფათის შესახებ. ოჰ, ტონი, მიიხარო,  
ცუდია, რომ ასე მძულს ეს უღმერთო და არამზადა კაცი? ისე მძულს, რომ სულ  
თვალწინ მიდგას და ვიცო, დაგვლუპავს. შენ გაგლანძლა, მე გამლანძლა, გალან-  
ძლა თავისი დედაც.

**ანდერსონი** (სიცოლით.) მოდი, ძვირფასო, ვაპატიოთ და ყველაფერი  
დავივიწყოთ.

**ჯულითი.** ოჰ, ვიცო, ცუდია ვინმე გბუღდეს, მაგრამ...

**ანდერსონი** (მიუახლოვდება, ნაზად და ხუმრობით.) კარგი, კარგი, ძვირ-  
ფასო, არც ისეთი ცოდვილი ხარ, როგორც გგონია. სიმძულვილზე უარესი მი-  
ყვასი ადმი გულგრილობაა, არაადამიანობის თავიდათავი სწორედ ეს არის. თა-

ნაც, ჩემი ძვირფასო, კარგად რომ ჩაუფიქრდე, გაოცებული დარჩები, სიძულვილი და სიყვარული ისე ძალიან ჰგავს ერთმანეთს. (ქალი შეკრთება, უფრო ნაური გრძობა მოიცავს, შიშიც კი. კაცს ეცინება.) ხუმრობა იქით იყოს და გაიხსენე, რამდენი ჩვენი მეგობარი ცოლ-ქმარი აწამებს, ჯვარს აცხვებს დაბალებას აწვევლინებს ერთმანეთს, ერთმანეთის დანახვაც კი არ უნდათ ხანდახან და შედიღუკეთ, მონათმფლობელებს უფრო ჰგონან ვიდრე მოყვარულ მეუღლეებს. ისიც გაიხსენე, როგორი არიან ზოლმე ისინი თავიანთი მტრებთან, ღირსეულნი, თავდაოკებულნი, ამაღლებულნი, მტკიცენი, ყოველ სიტყვას სწონიან... ოჰ! თუ გიფიქრია როდესმე, თუმცა თავად არც კი უწყიან, რომ უფრო გულითადი მეგობრები არიან ერთმანეთის, ვიდრე ცოლ-ქმრები. აი თუნდაც შენ, ჩემი ძვირფასო, ის რიჩარდი შენ უფრო გიყვარს, ვიდრე მე!

**ჯუდიტი.** ოჰ, ასე ნუ ამბობ, ტონი, თუნდაც ხუმრობით. შენი სიტყვები პირდაპირ მკლავს.

**ანდერსონი (იცინის.)** კარგი, კარგი, გულს ნუ გაიხეთქავ, ჩემო ძვირფასო, ის ცუდი კაცია და ისე უნდა გეჯავრობოდეს, როგორც იმსახურებს. ჩაის ხომ დამალევიან?

**ჯუდიტი (შეწუხებული.)** როგორ არ დაგალევიან. სულ დამავიწყდა. ამდენი ხანი როგორ გალოდინე! (ბუხართან მივა და ჩაიდანს შეკიდებს.)

**ანდერსონი (კარადახთან მიდის და სერთუკს იხდის.)** ჩემი ძველი სერთუკის სახელი თუ გაკერე?

**ჯუდიტი.** დიახ, ძვირფასო. (მაგიდახთან მიდის და ჩაისთვის გაწყობას იწყებს, მერე საჩაიუში ჩაის ჩაყრის.)

**ანდერსონი (ძველ სერთუკს იცვამს, ახალს კი მის ადგილას დაკიდებს.)** ვინმემ თუ მიკითხა?

**ჯუდიტი.** არა, მხოლოდ... (კარზე დააკაკუნებენ. ქალი შეკრთება, ეტყობა, ძალიან დედავს, უკან დაიხევს, მაგიდის მეორე ბოლოში მიდგება, ხელში საჩაიუ და კოვზი უკავია.) ვინ უნდა იყოს?

**ანდერსონი (ქალს მიუახლოვდება, გასამხნეველად მხარზე ხელს მოუთათუნებს.)** კარგი, კარგი, ჩემო ძვირფასო, ვინც უნდა იყოს, ხომ არ შეგჭამს. (ქალი გაღიშებას ცდილობს, თუმცა კი საღაცაა ატირდება. ანდერსონი კართან მიდის და გააღებს. ზღურბლზე რიჩარდია უმოსასხამოდ.) შეგეძლო პირდაპირ ურდული აგეხსნათ და ისე შემოსულიყავით, ბატონო დაჯენ. ჩვენი ნუ მოგერიდებათ. (გულითადად.) მობრძანდით! (რიჩარდი თამამად შემოვა და მაგიდასთან დადგება. მიმოიხედავს და, სასულიერო პირის პორტრეტს რომ დაინახავს კედელზე, სახე მოედრიცება. ჯუდიტი კი თავის საჩაიუს დასჩერებია.) აღარ წვიმს? (კარს დაკეტავს.)

**რიჩარდი.** აღარ წვიმს კი არადა... (დაინახავს, ჯუდიტი სწრაფად რომ გამოხედავს და თავს ამაყად ასწევს.) ბოდიშს გიხდით, მაგრამ (თავის სველ სერთუკზე მიუთითებს). ხომ ხედავთ...

**ანდერსონი.** გაიხადეთ, სერ. და იმ ცეცხლთან დაკიდეთ, არა უშავს, ჩემი ცოლი გაპატიებთ. ჯუდიტო, კიდევ ჩაამატე კოვზი ჩაი ბატონ დაჯენის წილად.

**რიჩარდი (იქედნურად თვალმოჭუტული იცქირება.)** დიდი ძალია ჰქონია ფულს, მღვდელს! ჩუთუ თქვენც გულისხმიერი გახდით, რაც მამაჩემის ავლადიდება მე დამრჩა.

**ჯუდიტი წამოინთება და კოვზი დაუვარდება.**

**ანდერსონი** (სრულიად მშვიდად რიჩარდს ქურთუკის გახდაში ეშველება.)  
 მე კი მგონია, სერ, რაკი ჩემს მასპინძლობაზე უარს არ ამბობთ, ცუდად არც უნ-  
 და მიყურებდეთ. დაბრძანდით. (ცალ ხელში რიჩარდის ქურთუკი უკავრავს, მეო-  
 რთი კი სკამზე მიუთითებს, პერანგის ამარა დარჩენილი რიჩარდი წამოთიხევ  
 თავხედურად დააცქერდება, მაგრამ ბოლოს თავს დაუკრავს, თითქოს აღიარებს,  
 მღვდელმა მაჯობაო, და დაჯდება. ანდერსონი სკამის საზურგედან თავის მო-  
 ხასხამს აიღებს და რიჩარდის ქურთუკს გადაკიდებს.)

**რიჩარდი.** თქვენ მომიწვიეთ და მეც მოვედი. რაღაც ფრიალ მნიშვნელო-  
 ვანი სათქმელი გქონიათ ჩემთვის.

**ანდერსონი.** თქვენი ვაფრთხილება ჩემი ვალია.

**რიჩარდი** (სწრაფად წამოდგება.) ქადაგება უნდა წამიკითხოთ? სჯობს  
 ისევ წვიმას მივცე თავი, მაპატიეთ. (უნდა თავისი ქურთუკი აიღოს.)

**ანდერსონი** (შეაჩერებს.) ნუ გეშინიათ, სერ, არც ისე დიდად მაქვს გან-  
 თქმული სახელი ქადაგებებით. დარდი ნუ გაქვთ. (რიჩარდს თავისდა უნებურად  
 გაეღიშება, შეწუხდება, თითქოს ბოდიშის მოხდაც კი უნდა. ანდერსონი ხედავს,  
 ყმაწვილკაცს გული მოუღება და უკვე დინჯად მიმართავს.) ბატონო დაჯენ,  
 თქვენი ამ ქალაქში დარჩენა საშიშია.

**რიჩარდი.** საშიშიო?

**ანდერსონი.** ვაითუ ბიძათქვენის ბედი გაიზიაროთ და მაიორ სუინდო-  
 ნის ლუკმა გახდეთ.

**რიჩარდი.** საშიში თქვენი ყოფნაა აქ, მე ხომ გითხარით...

**ანდერსონი** (შეაწყვეტინებს რბილად, თუმცა კი მტკიცედ.) ვიცო, ვიცო,  
 ბატონო დაჯენ, მაგრამ ამ ქალაქში ასე არ ფიქრობენ. და თუნდაც საშიში  
 იყოს ჩემთვის აქ ყოფნა, მოვალეობა არ უძღვეს წასულის უფლებას. მაგრამ  
 თქვენ თავისუფალი კაცი ხართ. საფრთხეს რად არ უნდა გაერიდოთ?

**რიჩარდი.** ხომ არა გგონიათ, დიდი დანაკლისი იყოს ჩემი ჩამოხრჩობა?

**ანდერსონი.** მე მგონი, ყოველი კაცი, ვინც უნდა იყოს, ღირსია ხსნიისა.  
 (რიჩარდი დაცინვით თავს დაუკრავს, ანდერსონიც ასევე ხუმრობით თავს დახ-  
 რის.) მობრძანდით, ჩაი დალიეთ და აღარ გაცვიკდებით.

**რიჩარდი.** ვხედავ, ქალბატონი ანდერსონი თქვენსავით არ მუპატიჟება,  
 მღვდელო.

**ჯუდიტი** (ჯავრი ახრჩობს, მისი აზრით, ქმარიც ასევე უნდა ბრაზობდეს  
 და უპასუხოდ არ ტოვებდეს რიჩარდის ყოველ გამოხდომას.) მობრძანდით და  
 მიირთვიეთ ჩემი ქმრის ხათრით. (საჩაივს ისევ ცეცხლზე შედგამს).

**რიჩარდი.** მე საკუთარი თავის ხათრაც მაქვს, ქალბატონო. (წამოდგება.)  
 ვფიქრობ, აქ პურის გატეხვა არა ღირს, მღვდელო.

**ანდერსონი** (ცოცხლად.) მიზეზი რა არის, ვერ მეტყვი?

**რიჩარდი.** ჩემს პატივისცემას იმსახურებთ რატომღაც და ამ მიზეზით  
 მინდა თქვენი მტერი ვიყო.

**ანდერსონი.** კარგადაა ნათქვამი. და თუ ასეა, სერ, მეც მინდა თქვენი  
 თუ სხვათა მტერი ვიყო. ჯუდით, ბატონი დაჯენი ჩვენთან დარჩება ჩაის და-  
 სალევად, კიდევ ორი წუთი და ჩაი უკვე მზად იქნება. (რიჩარდი დაბნეული  
 უყურებს მას, მერე დაჯდება და თავს ჩაღუნავს, რათა მღელვარება დამალოს.)  
 სწორედ ახლა ვეუბნებოდი ჩემს ცოლს, ბატონო დაჯენ, რომ მტრობა... (ჯუ-  
 დითი ხელზე წაეჭანება და ისეთი მუდარა დაეჭყობა, რომ იგი შეჩერდება.)  
 კარგი, კარგი. თორმე არ უნდა გითხრათ, თუმცა კი ისეთი არაფერია და ვერც

შეუშლის ხელს ჩვენს მეგობრობა... მტრობას-მეოქი, მკონია, ჯუდიითი თქვენ დიდი მტერია.

რიჩარდი. თუკი ყველა ჩემი მტერი ქალბატონ ანდერსონს დაემსგავსება მაშინ უსათნოესი ქრისტიანი უიქნებოდი მოელ ამერიკაში.

ანდერსონი (კმაყოფილებით ხელს დაკრავს ხელზე ჯუდიითს.) გესმის ჯუდიით? ბატონ დაჯენს თურმე კომპლიმენტის თქმაც შეუძლია.

ვილაც გარედან ურდულს წაეპოტინება.

ჯუდიითი (შეშინებული.) ვინ არის?

შემოდის კ რ ი ს ტ ი.

კრისტი (შეჩურდება და რიჩარდს თვალდაჭყეტილი დააცქრდება.) თქვენც აქა ხარ?

რიჩარდი. ვარ. გასწი აქედან, სულელო, ქალბატონი ანდერსონი მოელ ოჯახს ჩაის ვერ დაგვაღვევინებს.

კრისტი (მოუახლოვდება.) დედა ძალიან ცუდადაა.

რიჩარდი. ჩემს დასამახებლად გამოგაგზავნა?

კრისტი. არა.

რიჩარდი. მეც ვიცი, რომ არა.

კრისტი. ძღვეული მომიყვანე... ახლავეო.

ჯუდიითი (ანდერსონს.) ოჰ, ჩაი მაინც დალიე, ხანამ წახვიდოდე.

ანდერსონი. დაგბრუნდება და სიამოვნებით დავლევ, ძვირფასო. (თავის მოსახხამს ხელს დაავლებს.)

კრისტი. წვიმამ გადაიდო.

ანდერსონი (მოსახხამსა და ბუხრის რიკულებიდან ქუდს აიღებს.) დედაშენი სადაა, კრისტი?

კრისტი. ბიძია ტიტუსისას.

ანდერსონი. ექიმს თუ გამოუარე?

კრისტი. არა, არ მინდაო.

ანდერსონი. ახლავე გაუარე, მის კართან წამოგეწევი. (კრისტი გატრიალდება.) ერთი წუთით დაიცადე. შენი ძმა ალბათ დელავს და დაწვრილებით მოუყვები.

რიჩარდი. ოჰ, ვლელავ კი არა! ამან რა უნდა მომიყვეს და არც მჭირდება, (გააფთრებით.) გასწი აქედან, შე რეგვენო! (კრისტი გარეთ გავარდება. რიჩარდი დასძენს ოღნავ ნირშეცვლილი.) სულ მალე ისედაც ყველაფერს გავიგებო.

ანდერსონი. კარგი, თქვენი ნებართვით მე წავალ და, რომ მოგბრუნდება, თავად გიამბობთ ყველაფერს. ჯუდიით, ჩაი დაალევიანე ბატონ დაჯენს და ჩემს ნოსვლაძღე არსად გაუშვა.

ჯუდიითი (გაფთრებული და აკანკალებული.) მე უნდა...

ანდერსონი (ხელს მოკიდებს და შეაწევეტინებს, რათა ქალმა თავისი ძღველვარების დაძალვა შეძლოს). ჩემო ძვირფასო, შენი იმედი ხომ უნდა მქონდეს?

ჯუდიითი (ცდილობს მიხი ნდობის გამართლებას.) ჰო.

ანდერსონი (მის ხელს ლოყაზე მიიღებს.) ალბათ გვაპატიებთ, ბატონო დაჯენ, ჩვენნაირ ბებრებს. (კარს მიაშურებს.) აღარ გუუბნებით, ღამე მშვიდობისაო, ჩემს მობრუნებაძღე უნდა დაიცადოთ, (გადის.)

რიჩარდი და ჯულითი ფანჯრიდან უმზერენ მიმავალს, მერე კი ერთმანეთს დააცქერდებიან უხმოდ, ძოღად გაოგნებულები. რიჩარდი შეაძინევს, ქალს რომ ტუჩები უთრთის, და პირველი მოვა გონს.

**რიჩარდი.** ქალბატონო ანდერსონ, კარგად ვიცი ჩემდამი თქვენი განწყობა. თავს აღარ შეგაწყენთ. დამე მშვიდობისა. (კვლავ წავა ბუხრისკენ თავიბი ქურთუკის ახალებად.)

**ჯულითი** (გზას გადაუღობავს.) ნუ, ნუ, ნუ წახვალთ, ვინაშით, არ წახვალეთ.

**რიჩარდი** (უხეშად.) რატომ? თქვენ ხომ არ ვინღათ ჩემი აქ დარჩენა.

**ჯულითი.** მე... (ხელების მტვრევას მოჰყვება, სასოწარკვეთილი.) აჰ, გუტყვით სიმართლეს და, ვიცი, მერე გამაწყვალეთ.

**რიჩარდი** (აღშფოთებული.) გამაწყვალეთო? როგორ მეუბნებით? ამის მერე ვგონიათ, რომ აქ დავრჩები?

**ჯულითი.** უნდა დარჩეთ, მაგრამ (ბავშვივით უცრად გაბრაზდება.) იმიტომ კი არა, რომ მსიამოვნებს.

**რიჩარდი.** მართლა?

**ჯულითი.** კარგით, სჯობს მიბრძანდეთ, სიმართლე კი ეს არის, მძულხართ და მეშინია თქვენი, ეს ჩემმა ქმარმა იცის. დაბრუნდება და, თქვენ რომ არ დახვლებით, მეტყვის, მაინც არ დამიჯერე და გაავლეთ.

**რიჩარდი** (იქედნურად.) არადა, ისე თავაზიანად და გულთბილად დამხვდით, ისე მასიამოვნეთ, გეგონათ, სულაც თავისით წავათ ეს ჯიუტი კაცი, ხომ?

**ჯულითი** ვეღარაფერს ეუბნება, ჰკამზე დაჯდება და ცრემლები წასკდება.

ნუ, ნუ, ნუ ტირით, გეუბნებით, ნუ ტირით-მეთქი. (თითქოს გულში დაჭრებს, მკერდზე ისე მიიჭერს ხელს.) თქვენი მეუღლე ნამდვილი ვაჟკაცი და თავისი სიტყვები შიგ გულში მომახვედრა. თქვენ კი ტირით და ვინღათ მაფიქრებინათ, ნამდვილი ქალიაო? განა არ ჩაგავთნათ, ჩემი დაცინვით რომ ვერც თქვენ და ვერც მას ვერაფერს დაგაკლებთ. (ქალი ტირილს შეწყვეტს და მხოლოდ შიშნული ცნობისმოყვარეობით უმზერს.) კარგით, კარგით, მორჩა და გათავდა. (დაევაკებით.) თავს ხომ უკეთ გრძნობთ? (გასამხნევებლად მხარზე ხელს დაადებს. ქალი იმწამსვე წამოდგება და მედიღურად, გულცივად შეაცქერდება. რიჩარდი მაშინვე დამცინავ კილოზე გადადის.) დიდებულია... თქვენ ისევ თქვენა ხართ და რიჩარდიც ისევ ისაა. ახლა კი ჩაი მივირთვით ამ ღირსეულმა წველმა, ვიდრე თქვენი ქმარი დაბრუნდებოდეს.

**ჯულითი** (დარცხენილი.) თუკი ინებებთ. მე... მე მწყინს, რომ კარგად ვერ მოვიქცევი. (ბუხრისკენ დაიხრება და თეფშზე შემწვარ პურს დააწყობს.)

**რიჩარდი.** მეც ეწუხეარ თქვენი გულისთვის, რომ ისა ვარ, რაცა ვარ. თქვენი ნებართვით. (თეფშს გამოართმევს და მაგიდასთან მიდის.)

**ჯულითი** (მიჰყვება ჩაიდნით ხელში.) დაბრძანდით. (რიჩარდი მაგიდას მიუჯდება კარადის სიახლოვეს. იქ ერთი თეფში და დანაა. გვერდით — მეორე თეფში, მაგრამ ჯულითი მოპირდაპირე მხარეს დაჯდება, სადაც ბუხარია, და თავისკენ ლანგარს მიიწევს.) შაქარი ჩავიყაროთ?

**რიჩარდი.** არა, ცოტა უფრო მეტი რძე ჩამისხით. შემწვარ პურს გადმოვლავლებთ. (შემწვარი პურის ნაჭრებს მეორე თეფშზე დაალაგებს და დანასთან ერთად ქალს გაუწვდის. ცხადია, მიხედება, ქალი რომ განკვებ დაჯდა მისგან მოშორებით და არა თავის ჩვეულებრივ ადგილზე.)

**ჯულიანი** (თავის მხრივ იხილ მიხვდება თავის საქციელს. ჩაის ჭიქას მოაწვდის.) თქვენც გადაიდეთ.

**რიჩარდი.** გმადლობთ. (ერთ ნაჭერ შემწვარ პურს გადაიღებს, ქალი კი თავისთვის ჩაის დაიხამს.)

**ჯულიანი** (შეაძინებს, რომ რიჩარდი არაფერს ჭამს.) არ შეგწონთ, ხომ? სულ არაფერს არ მიირთმევთ.

**რიჩარდი.** თქვენც ხომ ასევე არ მიირთმევთ.

**ჯულიანი** (ხერვიულად.) ჩაი მაინცლამაინც არც მიყვარს. მე რუ მიყურებთ, თქვენ მიირთვით.

**რიჩარდი** (ჩაფიქრებული მიმოიხედავს.) იცით, ვუიქრობ... უცხოა აქ ჩემთვის ყველაფერი. რა სიმყუდროვე და მშვიდობაა ამ სახლში, მგონი, ჩემს ცხოვრებაში. პირველად ვგრძნობ თავს ასე კარგად, თუმცა კი ვიცი, აქ ვერ ვიცხოვრებდა, ვერ შევეგუებოდი თბილ ჭერქვეშ ყოფნას. მაგრამ რა დიდებულია აქაურობა, თითქმის წმინდაა ეს ადგილი. (ერთხანს ფიქრებს მიეცემა. მერე კი ჩაეცინება.)

**ჯულიანი** (სწრაფად.) რატომ იცინით?

**რიჩარდი.** თავში გამიელვა უცებ, ვინმე უცხო რომ შემოვიდეს, ცოლი და ქმარი ვეგონებოდით ალბათ.

**ჯულიანი** (ნაწყენი.) თქვენი აზრით, თქვენ უფრო შემეფერებით ასაკით, ვიდრე ჩემი ქმარი?

**რიჩარდი** (გაოცებულია, ეს რა მოაფიქრდაო.) აზრადაც არ მომსვლია. (კვლავ იქედნურად.) თურმე მთლად საამური არ ყოფილა შინ ჯდომა.

**ჯულიანი** (გაბრაზებული.) სჯობს საყოველთაოდ პატივცემული ქმარი გვაკვდეს, ვიდრე... ვიდრე...

**რიჩარდი.** ვიდრე ეშმას მოწაფე! მართალი ბრძანდებით. მაგრამ ჩემი ფიქრით თქვენი სიყვარული შველის მას, რომ კარგი იყოს, როგორც მე თქვენი სიძულვილი, რომ ცუდი ვიყო.

**ჯულიანი.** ჩემი ქმარი თქვენდამი ასე კუთილია. თქვენი შეურაცხყოფა-ნი აღარც კი ახსოვს და თქვენს ხსენას ცდილობს. ნუთუ ვერ გაბატონებიათ, რომ თქვენზე უკეთესია? ან როგორ ბედავთ მის დამცირებას, თითქოს შეიძლება მის ადგილზე იყოთ?

**რიჩარდი.** მე?

**ჯულიანი.** დიახ, თქვენ, თქვენ არა თქვით, ვინმე რომ შემოვიდეს, ქმარი ვეგონებდით და... (შიშით ენა ჩაუკარდება, რადგანაც ჯარისკაცების რაზმი ფეხების ბრაზუნით ფანჯარასთან ჩაიკვლის.) ინგლისელი ჯარისკაცები! დმერთო, აქ რა...

**რიჩარდი** (აყურადებს.) ჩუ!

**სმბ** (გარედან). სდექ! ოთხნი გარეთ. ორნი შემომყევით!

**ჯულიანი** (სანახევროდ წამოიწევს და სმენად გადაქცეული, თვალეგაფართოებული რიჩარდს უცქერის, ვინც გულმშვიდად ჩაის ჭიქას ხელს დააქვებს და სმას დაიწევებს. იმწამსვე ურდულის ჩხაკუნი გაისმის და ოთახში შემოვა ინგლისელი ხერჯანტი ორი ჯარისკაცითურთ, რომლებიც იქვე, კართან დადგებიან. ხერჯანტი მიუახლოვდება მაგიდას.)

**სერჟანტი.** მაპატიეთ, ასე რომ შემოვიჭერი, მემ, მაგრამ მოვალეობა მოვალეობაა! ენტონი ანდერსონ, მეფე გეორგის სახელით თქვენ დაპატიმრებული ხართ, როგორც ჯანყისთავი.

**ჯულიანი** (რიჩარდზე მიუთითებს.) მაგრამ ეს ხომ... (სახეგაქვავებული რი-

ჩარდი მყისვე ქალს შეხედავს. ქალი პირზე აიფარებს იმ ხელს, რომლითაც უნდა მიეთითებინა, და თავზარდაცემული გაირინდება.)

სმრჰანტი. აბა, მღვდელი, ჩაიცვით თქვენი სურთუკი და წამობრძანდით.

რიჩარდი. დიახ, მოვდივარ. (წამოდგება და თავისი ქურთუკისკენ ნაბიჯს გადადგამს, მაგრამ მაშინვე გონს მოვა, სურჰანტისკენ ზურგმუქცეული ხელა მოავლებს ოთახს მზერას და ბოლოს ანდერსონის შავ ზურთუკს დაინახავს, კარდაზე დაკიდებულს. წყნარად მიუახლოვდება, ჩამოხსნის, ჩაიცვამს. მღვდლის როლის თამაში ფრიალ გაამხიარულებს. მერე ამ სამოსლის შავ სახელოს დახედავს და ეშმაკურად გაუღიმებს ჯუდითს, მაგრამ ქალის მკედრისფერი სახე მოწმობს, რომ მისთვის ეს მღვდმარუობა კომედია კი არა, საშინელი ტრაგედიაა. რიჩარდი სურჰანტს მიუბრუნდება, ვისაც ზურგს უკან ხელბორკილი აქვს დამალული, და სიცილით ამბობს.) თუ დაგიპატიმრებიათ რიჩარდისმე კაცი ამ შესამოსლით, სურჰანტო?

სმრჰანტი (თავისდა უნებურად პატივისცემითაა გამსჭვალული შავი სურთუკისა და ასევე რიჩარდის დახვეწილი მიხრა-მოხრის გამო.) არა, სერ, სამხედრო კაპელანს თუ არ ჩავთვლით. (ხელბორკილს აჩვენებს.) ვწუხვარ, სერ, მაგრამ მოვალეობა...

რიჩარდი. რაღა თქმა უნდა, სურჰანტო, მერუღა რა მოხდა, თავაზიანი კაცი ბრძანდებით და ვმადლობთ ამისთვის. (ხელებს გაუწვდის.)

სმრჰანტი (ყურადღებას არ აქცევს გამოწვდილ ხელებს.) ჯენტლმენები ვართ თქვენც და მეც, სერ. რამეს ხომ არ ეტყვით თქვენს ქალბატონს, სერ, სანამ წაუდლოდეთ?

რიჩარდი (ღიმილით.) ჰო, მაგრამ ჩვენ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს, სანამ... ხომ? (უნდა თქვას, „სანამ ჩამომახრჩობენო“).

სმრჰანტი (მხნედ, მხიარულად, ვითომდა აქაც არაფერიო.) ოჰ, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ნურაფრის დარდი ნუ უქნება ქალბატონს. მაგრამ... (ხმას დაუწევს, მხოლოდ რიჩარდმა რომ გაიგონოს.) მეტი შემთხვევა არც გექნებათ, სერ. (წამით ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად უმზერენ. რიჩარდი ამოიხვნეშებს და ჯუდითს მიუტრიალდება.)

რიჩარდი (ძალზე მკაფიოდ.) ჩემო ძვირფასო... (ჯუდითი შეხედავს მას. გაფითრებულმა და საკანკალებულმა უნდა უბასუხოს, მაგრამ ვერ შეძლებს, უნდა ნაბიჯი გადმოდგას, მაგრამ ვერ სცილდება მაგიდის კიდეს.) ამ დიდებული ჯენტლმენის წყალობით ჩვენ შეგვიძლია ორიოდ სიტყვა ვუთხრათ ერთმანეთს. (სურჰანტი უკან დაიხევს და კართან მღვდომ თავის ხალხს შეუერთდება.) რას შენ დაგიხდო და სიმართლე არ ვითხრა, მაგრამ სჯობს ყველაფერი იცოდეთ. ვერს თუ მიგლებ? (ქალი თავს დაუქნევს.) თუ გესმის, რომ სიკვდილი არ ამცდება? (ქალი კვლავ დაუქნევს თავს, მკეხმისო.) დაიმახსოვრე, შენ უნდა ნახო ის სვენი მეგობარი, რომელიც აქ იყო. ხომ გესმის? (ქალი ისევ დაუქნევს თავს, კიო.) ისე უნდა გააკეთო, რომ გადარჩეს, რაც უნდა მოხდეს, არ უთხრა, რა დღეც მოშელის. მაგრამ თუ გაიგებს, მაშინ უთხარი, რომ მაინც ვერ დამიხსნის, მასაც ჩამოკიდებენ და მეც მიმყოლებენ. ესეც უთხარი, მე ჩემს რწმენას მივსდევ, როგორც ის თავისას და, სანამ პირში სული მიდგას, ჩემი იმედი ქტონდეს. (მოტრიალდება წასახვლელად, მაგრამ სურჰანტის დაეჭვებულ მზერას რომ წააწყდება, წამით დაფიქრდება და მერე ჯუდითს მიუტრიალდება ეშმაკური ღიმილით.) ახლა კი, ჩემო ძვირფასო, ვაითუ სურჰანტმა არ დაიჯეროს, რომ ისე ვიყვარვარ, როგორც უნდა უყვარდეს ქმარი კარგ ცოლს, და ვინემ წავალ, უნდა მაკოცო.



ქალს მიუახლოვდება და ხელებს გაშლის. ქალი მაგიდას მოსწყდება და მკერდზე თითქმის მიესვენება.

**ჯუდიტი** (სულშეხუთული ძლივს ამოთქვამს.) მე უნდა... ეს ხომ მკვლელობაა...

**რიჩარდი**, არა, მხოლოდ კოცნაა. (ჩუმად.) მისი გულსისხლქვეითი

**ჯუდიტი**, არ შემიძლია, მე უნდა...

**რიჩარდი** (ქალის განცლებით შეძრული მკერდზე მიიკრავს.) საბრალო გოგო!

ჯუდიტი უეცრად მკლავებს შემოაჭდობს და აკოცებს, მერე დაუსხლტება ხელებიდან და იატაკზე გულშეღონებული დაეცემა, თითქოს ეს კოცნა მომავლდინებელი იყო მისთვის.

**რიჩარდი** (სახქაროდ სერჟანტს მიუახლოვდება.) ახლა კი, სერჟანტო, ჩქარა წავიდეთ, სანამ გონს არ მოხვალა. სად არის თქვენი ბორკილები? (ხელებს გაუწვდის.)

**სმრშანტი** (ბორკილებს ჯიბეში შეინახავს.) არ არის საჭირო, მე თქვენი მჯერა. ვაჟკაცური კაცი ხარო, თქვენ ჯარისკაცი უნდა ყოფილიყავით. სერ. ამ ორთა შუა ჩადექით, თუ შეიძლება. (ერთი ჯარისკაცი რიჩარდს წინ დაუდგება, მეორე — უკან. სერჟანტი კარს გააღებს.)

**რიჩარდი** (უკანასკნელად მიმოიხედავს.) მშვიდობით, ჩემო მეუღლე, ჩემო სახლკარო. დაძვარით ჩუმად დაფდაფებს და წინ გაეხსწიოთ. სერჟანტი მეწინავე ჯარისკაცს ანიშნებს, წადიო. ყველანი სწრაფად გადიან... როდესაც ანდერსონი ქ-ნ დაჯენისგან დაბრუნდება, გაოცდება: ოთახში თითქმის სრულიად ბნელა, მხოლოდ ნაკვერჩხლები ბუუტავს ბუხარში, ერთი სანთელი უკვე ჩამწვარა, მეორე სადაცაა ჩაქრება.

**ანდერსონი**, რა ამბავია, რა მოხდა?.. (იძახის.) ჯუდიო, ჯუდიო! (პასუხი არ ისმის.) კმ! (კარადახთან მივა და უჯრიდან სანთელს ამოიღებს, მაგიდაზე დადგამს, მბუუტავ სანთლიდან აანთებს და გაოცებული დაინახავს, რომ საჭმელი ხელუხლებელია. სანთელს შანდალში ჩაარჭობს, ქუდს მოიხდის და კეფას მოიფხანს. არ იცის, რა იფიქროს. ამ დროს თავს დახრის და დაინახავს იატაკზე განროხმულ, თვალდახუჭულ ჯუდიოს. ქალთან მიიჭრება, მუხლებზე დაეცემა და თავს წამოუწევს.) ჯუდიო!

**ჯუდიტი** (გამოერკვევა. გრძნობის დაკარგვის მერე თვლელა მორევია ამდენი განცლებით ქანცგამოცლილს.) რაო? შენ მკედახოდი? რა მოხდა?

**ანდერსონი**, შემოვედი და რას ვხედავ, იატაკზე ხარ გამოტოილი, სანთლები ჩამქრალია. რა მოხდა აქ?

**ჯუდიტი** (ჯერ კიდევ არ არის გონს მოხული.) არ ვიცი. მეძინა თუ რა არის? მე მგონი... (დაბნული გაჩუმდება.) არ ვიცი-მეთქი.

**ანდერსონი** (ამოიგძინებს). ღმერთო, შენ მომიტყევე. იმ არამზადასთან მარტო როგორ დაგტოვე. (ჯუდიოს მის მოაგონდება ყველაფერი, მწარედ აქვიითინდება, მხარზე მოეჭიდება და მასთან ერთად ფეხზე წამოდგება. კაცი გულში ჩაიკრავს.) რაო, ჩემო სულისდგმა?

**ჯუდიტი** (სახოწარკვეთილი.) რა ვქნა ახლა? ოჰ, ღმერთო ჩემო, ახლა რა ვქნა?

**ანდერსონი**, არაფერია, არაფერი, ჩემო კარგო, ჩემი ბრალია ყველაფერი. ნულარაფრის შიში ნუ გაქვს. რამე ხომ არ გტკივა? (ხელს გაუშვებს, აბათავისით თუ დადგებაო ფეხზე.) ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი. თუკი არაფერი გტკივა, კარგია.

**ჯუდიტი.** არა, არა, არა, მე არაფერი მტკივა.

**ანდერსონი.** ძაღლობა ღმერთს! წამოდი. (ხელს მოკიდებს, სავარძელში ჩასვამს და თავადაც გვერდზე მიუჯდება.) აქ დაჯექი და დაისვენე შევიძლია ყველაფერი ხვალ მომიყვი, ან... (სულ სხვანაირად ესმის ქალის სასოწარკვეთილება.) ან სულაც სურაფერს მომიყვები, თუ არ ვინდა. კარგი! კარგი! (მხიარულად.) ახალ ჩაის მოგიდუღებ და გუნებაზე მოგიყვანს. (მაგრად მისთან შრდის, ჭიქას აიღებს და ჩაის ხელსაბანში გადაახვამს.)

**ჯუდიტი** (უცნაური ხმით.) ტონი!

**ანდერსონი.** რაო, ძვირფასო?

**ჯუდიტი.** სიზმარში ვარ თუ ცხადში?

**ანდერსონი** (შეშფოთებული თვალს შეავლებს, თუმცა არ შეიმჩნევს და ჩაიდანს მხიარულად დატრიალებს.) შეიძლება ასეც იყოს, სულისდგმავ, მაგრამ იმ სიზმართან ერთად ბარემ ეს ერთი ჭიქა ჩაიც დაგესიზმროს.

**ჯუდიტი.** ოჰ, ნუ, ნუ, ასე ნუ ამბობ. შენ არ იცი... (სასოწარკვეთილი თვალებზე ხელს აიფარებს.)

**ანდერსონი** (თავს ვეღარ შეიკაევებს და მასთან მიიჭრება.) რა მოხდა, ძვირფასო? რად არ მეუბნები, ვეღარ ამიტანია, უნდა მითხრა. ყველაფერი ჩემი ბრალია. მას როგორ ვეხდე, გიყვი ვარ სწორედ.

**ჯუდიტი.** არა, ასე ნუ ამბობ. შენ ამას არ უნდა ამბობდე. ის.. ოჰ, არა, არა, არ შემოძლია, ტონი, ნუღარაფერს მეუბნები. ხელი მომკიდე, ორივე ხელი. (გაოცებული მღვდელი მის ხელებს ჩაეჭიდება.) მე მინდა შენზე ვიფიქრო და არა იმაზე, საფრთხე, საშინელი საფრთხე გელის და უფლება არ მაქვს მასზე ვიფიქრო, არადა, არ შემოძლია, არ შემოძლია, სულ ის მიდვას თვალწინ და უნდა გადავარჩინოთ, არა... ის კი არა, შენ უნდა გადავარჩინო. შენ, შენ, შენ-პუტქი. (წამოიჭრება, თითქოსდა უნდა რაღაც მოიმოქმედოს ან სადღაც წავიდეს.) აჰ, ღმერთო, შენ მიშველე.

**ანდერსონი** (ხელს არ უშვებს და ისე აჩერებს.) დაწყნარდი, დაწყნარდი, ნემო ძვირფასო, შენს ჭკუაზე აღარ ხარ.

**ჯუდიტი.** მართლაც ასეა. რა ვქნა, არ ვიცი! რა ვქნა, არ ვიცი. (ხელს გამოსტაცებს.) მე ის უნდა გადავარჩინო. (ანდერსონი ფეხზე წამოდგება, რადგანაც ქალი კარს მიაშურებს, მაგრამ იმწუთასვე კარი იღება და აქოშინებული ესი შემორბის. ჯუდიტი გაოცდება და გაწყრება კიდევაც გოგოს დანახვაზე და საბოლოოდ გონს მოდის. მკვახედ.) აქ რამ მოგიყვანა?

**მსი.** მითხრეს წამოვსულიყავი.

**ანდერსონი.** ვინ გითხრა?

**მსი** (თვალდაჭედილი უმზერს.) თქვენ აქ ხართ?

**ჯუდიტი.** აბა სად უნდა იყოს?

**ანდერსონი.** ნუ უჯაერლები, შეეშინდება. (მათ შუა ჩადგება.) მოდი აქ, ესი. (გოგო მოუახლოვდება.) ვინ გამოგვზავნა?

**მსი.** დეკმა ჯარისკაცის პირით მაცნობა, ახლავე წადი იქ და, რასაც ქალბატონი ანდერსონი ვეტყვის, ყველაფერი გააკეთეო.

**ანდერსონი** (ძიხვდება.) ჯარისკაციო. ოჰო, ვხვდება, რაც მოხდა. რიჩარდი დააპატიმრეს. (ჯუდიტს სასოწარკვეთილება დაეტყობა.)

**მსი.** არა, არა, მე ვკითხე ჯარისკაცს. დაეს არა უჭირს რა, ჯარისკაცმა მითხრა, რომ თქვენ დაგიჭირეს.

**ანდერსონი.** მე დამიჭირეს? (ვაოგნებული ჯუდიოს მიუბრუნდება, რას შეტყვიო.)

**ჯუდიოი** (დაევაკებით.) ყველაფერი კარგადაა, ძვირფასო, მიუხედი. (ესის.) გმადლობთ, ესი. კარგია, რომ მოხვედი, ახლა კი სახლში წადი.

**მსი** (წამოიტირებს.) დიკს ხომ არაფერი მოუვა? იქნებ მან უთხრა ჯარისკაცს, თქვი, მღუდელი დავიჭირეთო? (შეშფოთებული.) ქალბატონო ანდერსონ, რა შეიძლება მოხდეს?

**ანდერსონი.** სიმართლე უნდა უთხრა, ჯუდიოთ, არადა, მაინც პირველი შემხვედრი ეტყვის ქუჩაში. (ჯუდიოთი სახეს მიატრიალებს და ხელებს აიფარებს.)

**მსი** (შეწუხებული.) ვაი, რა მოუვა მას? რას უზამენ? ჩამოახრჩობენ, ხომ? (ჯუდიოთი აკანკალებს და იმ სკამზე დაენარცხება, რინარდი რომ იჯდა ამ ცოტა ხნის წინ მაგიდასთან.)

**ანდერსონი** (ხელს უთათუნებს მხარზე ესის და მის დამშვიდებას ცდილობს.) არა მგონია, არა მგონია, თუკი შენ დაწყნარდები და ძალას მოიკრებ, იქნებ როგორმე დავიხსნათ.

**მსი.** კი დავწყნარდები, თორღ უშველეთ, კი, კი დავწყნარდები.

**ანდერსონი.** ახლავე მასთან უნდა წავიდე, ჯუდიოთ.

**ჯუდიოი** (წამოიჭრება.) ოჰ არა, ახლავე უნდა მოცილდე აქაურობას, სადღაც შორს გადაიხვეწო, სადაც ველარავინ გნახავს.

**ანდერსონი.** ეგღა მაკლია!

**ჯუდიოი** (ცხარედ.) მკლავ და ეს არის! როგორ გგონია, მთელი დღეები აქ უნდა ვიყო და ყოველ დაკაკუნებაზე, ყოველ ფეხის ხმაზე გული გამისკდეს, მთელი ღამეები თუთრად ვათენო იმის მოლოდინში, აი ახლა მოვლენ შენს დასაჭერად?

**ანდერსონი.** ნუთუ ფიქრობ, ყველაფერს მივატოვებ და სადღაც გავიქცევი საფრთხის პირველსავე გამოჩენისას?

**ჯუდიოი** (სახოწარკვეთით.) ჰო, ვიცო, ვიცო, არსადაც არ წახვალ, კარგად ვიცო. შენ დარჩები... მე კი ჭკუიდან უნდა შევიშალო.

**ანდერსონი.** ჩემო ძვირფასო, შენი მოვალეობაა...

**ჯუდიოი** (გამწარებული.) ვიცო, რაც არის ჩემი მოვალეობა! ნუ მასწავლი!

**ანდერსონი** (გაოცებული.) ჯუდიოთ!

**ჯუდიოი.** მე მოვიხდი ჩემს მოვალეობას. კარგადაც მოვიხდი. ჩემი მოვალეობაა აქ არ გაგაჩერო და გადავარჩინო, ის კი ბედის ანაბარად დაგვადო. (ესის სასოწარკვეთილების კივილი აღმოხდება, მერე ბუხართან ახლოს სკამზე დაეცემა და აქვიოინდება.) ერთ ბუქვეშა ვართ მე და ეს გოგო, მუც ასევე გული მკარნახობს, რაც უნდა მოხდეს, იგი გადავარჩინო, თუმცა კი მისთვის სიკვდილი უკეთესია! მაგრამ ვიცო, არ დამიჯერებ და რასაც მოისურვებ, იმას გააკეთებ. მე რაღა შემიძლია. (მძიმედ ჩაეშვება სავარძელში.) მე მხოლოდ ქალი ვარ. უილაჯო, უბედური, მხოლოდ ის შემიძლია აქ ვიჯდე და ვეწამო. თორღდაც ეს კი უთხარი მას, რომ შენს გადარჩეხას ვცდილობდი და ყველაფერი ვიღონე; რაც შემეძლო.

**ანდერსონი.** ჩემო ძვირფასო, ვაი რომ ის ახლა უფრო თავის თავზე ფიქრობს, ეიდრე ჩემზე.

**ჯუდიოი.** ე-ემად იყავი, თორემ შემძულდები, იცოდე.

**ანდერსონი** (უნდა დააწყნაროს.) კარგი, კარგი, კარგი-მეთქი, უნდა წავიდე და არ ვიცი, ასე როგორ დაგტოვო, შენს ჭკუაზე აღარა ხარ. (ესის.) ესი მსი (იმწამსვე წაძოდგება და ცრემლებს შეიმშრალებს.) დიახ?

**ანდერსონი.** გარეთ გადი და იქ დამიცადე, შენ ხომ კარგი გოგო ხარ, ქალბატონი ანდერსონი ვერ არის კარგად. (ესი შერყევს.) დარდი უნდა გაქვს. ახლავე გამოვალ და დიკთან წავალ.

**მსი.** მართლა წახვალთ მასთან? (ჩურჩულით.) თქვენს ცოლს არ დაუჯერებთ?

**ანდერსონი** (გაიღიმებს.) არა, არა-მეთქი. ყველაფერი კარგად იქნება, კარგად. (გოგო კარისკენ მიდის.) მშვენიერი ბავშვია! (კარს დაკეტავს და ჯუღითთან ბრუნდება.)

**ჯუღითი** (გაუნძრევლად ზის.) წახვალ და მოკვდები.

**ანდერსონი** (ხუმრობით.) მაშინ იმ ჩემს საგარეო სერთუკს ჩავიცვამ, ძვირფასო. (კარადისკენ მიტრიალდება, თავის სერთუკს ეძებს.) სად არის? (იმ ცარიელ ლურსმანს უმზერს. შემდეგ ბუხრისკენ გაიხედავს, მიდის, რიჩარდის ქურთუკს იღებს.) რაო, ჩემო ძვირფასო, მან ჩაიცვა ჩემი საგარეო სერთუკი?

**ჯუღითი** (იხევ ისე გარინდებული.) ჰო.

**ანდერსონი.** ჯარისკაცები შეცდნენ, ხომ?

**ჯუღითი.** ჰო, ისინი შეცდნენ.

**ანდერსონი.** რატომ არ უთხრა? საბრალო ბიჭი, ეტყობა, დაიბნა, არა?

**ჯუღითი.** ჰო, შეეძლო ეთქვა, მეც შემეძლო მეთქვა.

**ანდერსონი.** საოცარია, საოცარია... თითქმის სასაცილოც. საკვირველია სწორედ, სულ უბრალო შემთხვევა და ჩვენ... (შეჩერდება და რიჩარდის ქურთუკის ჩაცმას დაიწყებს.) უნდა წავუღო ეს მისი ჩასაცმელი. ვიცი, რასაც მეტყვის... (რიჩარდის დამცინავი კილოთი.) „ჩემი სულის დარდი გაქვთ, მღვდელი, და ამასთან თქვენი საგარეო სერთუკისაც“, ჰო?

**ჯუღითი.** ჰო, სწორედ ასე გეტყვის. (უგულიხეუროდ.) სულერთი არაა, ვეღარასოდეს გნახავთ ვერც შენ და ვერც მას.

**ანდერსონი** (დაცინვით.) ჰო, ჰო, ჰო! (გვერდით მიუჯდება.) ასე ასრულებ შენს პირობას, აღარ შეგარცხვენსო შენი გულადი ცოლი?

**ჯუღითი.** არა, აკი ვერ ვასრულებ, რასაც მას დაჰპირდი, და რატომ უნდა შევასრულო, რაც შენ დაჰპირდი?

**ანდერსონი.** უცნაურად მელაპარაკები, ჩემო საყვარელო. გულწრფელი არ უნდა იყო. (ქალი მას დაუფარავი საყვედური უმზერს.) ასეა, ძვირფასო, გულწრფელობა და აბღაუბდა ვერ ეგუება ერთმანეთს, ჩემი სულზე უტკბესი ცოლი აბღაუბდას მეუბნება სწორედ. (ჯუღითს სახე მოეჭურება და გაჩუმდება, ქმარს აღარ უცქერის, რიჩარდის ბედი აწუხებს. ანდერსონი თვალს არ აცილებს მას და მიხვდება, ქალს არ ესმის მისი ხუმრობა, ამიტომ შეწყვეტს, საგონებელს მიეცემა.) მაინც მინდა ვიცოდე, ასე რამ შევაშინა, გაიბრძოლა, არ მიჰყვებოდა?

**ჯუღითი.** არა. იღიმებოდა.

**ანდერსონი.** მიხვდა კი რა ელის, როგორ გვინია?

**ჯუღითი.** მიხვდა, შენ რა გელის.

**ანდერსონი.** მე?

**ჯუღითი** (წყნარად.) მან თქვა: „ისე უნდა გააკეთო, რომ გადარჩეს“. მე დაჰპირდი და ... ხომ ვხედავ, ვერ ვასრულებ ჩემს დაპირებას, მან თქვა: „რაც უნდა მოხდეს, არ უთხრა, რაც მეღლისო“. მე კი ვითხარი, მან თქვა, თუ გაი-

გებს, მაინც ვერ დამიხსნის, ისინი მასაც ჩამოახრჩობენ და მეც არ დამინ-  
დობენო.

**ანდერსონი** (წამოდგება კეთილშობილი აღშფოთებით წამონთებული.)  
და შენ ფიქრობ, ასეთი დიდი სულის კაცს ძალლივით მოვაკვლევინებ, როცა  
სულ რამდენიმე სიტყვა და ასე მოკვდება, როგორც ქრისტეანი? <sup>მეუ</sup> შენი მრცხვე  
ნია, ჯუდიო!

ბიზლინისეა

**ჯუდიო**. იგი თავისი რწმენის ერთგული დარჩება, შენ კი შენის. და  
არ გაგწირავს, სანამ პირში სული უდგას. ასეც თქვა.

**ანდერსონი**. ღმერთი იყოს მისი მფარველი, კიდევ რა თქვა?

**ჯუდიო**. ასე თქვა, მშვიდობითო.

**ანდერსონი** (აღელვებული წინ და უკან სიარულს მოჰყვება.) საწყალი  
ბიჭი, საწყალი ბიჭი. შენ კი, ჯუდიო, თუ გამოიჩინე გულისხმიერება დამშვი-  
დობების ხანს?

**ჯუდიო**. ვაკოცე.

**ანდერსონი**. რას ამბობ, ჯუდიო!

**ჯუდიო**. რაო, მიწყრები?

**ანდერსონი**. არა, არა, კარგად მოქცეულხარ, კარგად. საწყალი ბიჭი,  
საწყალი ბიჭი! (დიდად შეწუხებული.) ასეთი ახალგაზრდაა და უნდა ჩამოახრჩონ,  
მერე წაიყვანეს?

**ჯუდიო** (დაქანცული.) მერე კი შენც მოხვედი. მხოლოდ ეს მახსოვს,  
მგონი, გრძნობა დაუკარგე. ახლა კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს, ტონი, თორემ  
შეიძლება ისევ წამივიდეს გული. ნეტავი მოუკვდებოდე.

**ანდერსონი**. კარგი, კარგი, ჩემო ძვირფასო, გონს მოდი და ჭკუას მოუხ-  
მე. მე რისი უნდა მეშინოდეს?

**ჯუდიო** (ძკვეთრად.) წახვალ და დაიღუპები, ტონი, სიკვდილი არ აგ-  
ცდება, თუკი ღმერთი გასწირავს უდანაშაულო კაცს. ისინი მას არც გაჩვენებენ,  
იტყვი, ვინცა ხარ, და იმწამსვე დაგაპატიმრებენ. ჯარისკაცები შენს წასაყვანად  
იყვნენ მოსულნი.

**ანდერსონი** (მეხნაკრავივით.) ჩემს წასაყვანად!!! (ხელები მუშტებად შე-  
კვრება, კისერზე მარღვები დაებურცება, წამოწითლდება, თვალებს დააკვესებს,  
გულდინჯი, მშვიდობიანი კაცის ნაცვლად მძვინვარე, გააფთრებული მეომარია.  
მაგრამ ქალის გონება მაინც სხვაგან ქრის და ქმარს არც უმზერს, სიმტკიცის  
ალი უერთის თვალეებში, თითქოსდა ანარეკლი რიჩარდის სიმტკიცისა.)

**ჯუდიო**. შენი ადგილი დაიკავა მან, მოკვდება, შენ რომ დავიხსნას. სწო-  
რედ ამიტომ ჩაიცივა შენი სურთუკი, სწორედ ამიტომ ვაკოცე მას.

**ანდერსონი** (გააფთრდება.) დედას ვიტყვირებო! (მჭკქარე, მკაცრი ხმით,  
გამძვინვარებული კაცის მიხრა-მოხრით.) ჰეი! ესი, ესა-მეთქი!

**მსი** (შემოირბენს.) დიას.

**ანდერსონი** (სწრაფად.) აბა ჩქარა, ახლავე გასწი ფუნდუკში. ასე უთხა-  
რი, ცხენი შემიკაზმონ, ყველაზე უფრო გამძლე და მალი. (ჯუდიო წამოდგება,  
სუნთქვა შეეკვრება და გაოცებული დაატყარდება) ქურანა იყოს, თუ ბაგაშია,  
ნულარ აყოვნებ. თეითონ შედი თაკლაში და ზანგს უთხარი, ვერცხლის დოლარს  
მოგცემენ-თქო, თუ ჩემს მოსვლამდე შეკაზმულს დამახვედრებს, მეც ახლავე წა-  
მოვალ. აბა გაიქეცი.

**ჯუდიო** (ვერ დაუჯერებია ქმრის ასეთი ცვლილება.) შენ იმასთან არ  
წახვალ?

**ანდერსონი** (ჩექმებს წაეჭანება.) მასთან რომ წავალ, მერედა რა იქნე-

ბა? (თავისთვის ბურტყუნებს. ძლივს ერთ ჩექმას ჩაიცვამს. ჯუღით ბრძანების კილოთი.) პისტოლეტები მომიტანე, დამჭირდება. ფულიც, ფულიც, ისიც დამჭირდება, სულ მომიტანე, რაც კი სახლშია. (მეორე ჩექმასაც ხელს ბურტყუნითვე წაავლებს) დიდი შეღავათი იქნება მისთვის, თუკი გვერდს დავემშვენებ სახრჩობელაზე! (ჩექმას ჩაიცვამს.)

ერეკლე  
ნიჭიერი

ჯუღითი. ტოვებ და მიდიხარ?

ანდერსონი. ენას კბილი დააჭირე, ქალო, და პისტოლეტები მომიტანე. (ჯუღითი კარადასთან მიდის, გამოიღებს ორ პისტოლეტჩატანებულ ქაძარს, დენის რქასა და სავაზნეს. მაგიდაზე დაყრის ყველაფერს. მერე ქვედა უჯრას გამოხწევს და ქისას ამოიღებს. ანდერსონი ხელს სტაცებს ქაძარს, უნდა წელზე შემოირტყას. განავრძობს.) იმ ჩემს სამოსში თუკი მე ვეგონეთ, მაშინ მის სამოსში ის ვეგონებით. (ქაძარს შეიკრავს და გაისწორებს.) მას თუ ვგავარ?

ჯუღითი (შეშოტრიალდება მისკენ ქიხით ხელში.) სულაც არა!

ანდერსონი (ქისას გამოართმევს, გახსნის, მაგიდაზე გადმოაპირქვაევს.)

მ, მაგასაც ვნახავთ.

ჯუღითი (სასოწარკვეთილი დაჯდება.) ხომ არ ვილოცოთ, რას იტყვი, ტონი?

ანდერსონი (ფულს ითვლის.) ვილოცოთ! ლოცვით დავიცავთ სუინდონის თოვისგან რიჩარდის კისერს?

ჯუღითი. იქნებ დმერთმა ვული მოუღბოს მაიორ სუინდონს.

ანდერსონი (ფულს ჯიბეში ინახავს, ზიზღით.) ჰოდა, სცადოს. მე კი დმერთი არა ვარ და სხვა ვზას უნდა დავადგე. (ასეთი მკრეხელობის გაგონებაზე ჯუღითს სული შეეხუთება, ის კი საფულეს მაგიდაზე დააგდება.) შეინახე, 25 დოლარი ავიღე მხოლოდ.

ჯუღითი. ნუთუ დაგაუიწყდა, რომ მღვდელი ხარ?

ანდერსონი. მღვდელი კი არა... სად არის ჩემი ქუდი? ქუდი-მეთქი? (ქუდსა და მოხახხაძს მონახავს და სახწრაფოდ იცვამს.) ახლა კი ყური მიგლე, თუკი მასთან მიხვალ, რაკი მის ცოლად გიცნობენ, უთხარი, დილაძღე სიტყვა არ დამრას, ეს დრო საკმარისი იქნება ჩემთვის.

ჯუღითი (პირქუშად.) ბოლომდე გქონდეს მისი იმედი.

ანდერსონი. რა სულელი ხარ, ჯუღით, რა სულელი. (წამით თავს მოთოკავს, ისევ ძველებური სიღინჯე და სიმტკიცე დაუბრუნდება.) შენ კიდევ არ იცნობ შენს ქმარს. (ესი ბრუნდება, ანდერსონი მაშინვე მას მიმართავს.) რაო, მზადაა ცხენი?

ესი (აქოშინებული.) მიხვალთ და მზად იქნება.

ანდერსონი. ძალიან კარგი. (კარს მიაშურებს.)

ჯუღითი (წაშოდგება და თავისდა უნებურად ხელებს გაუნწედის.) არ შემშვიდობები?

ანდერსონი. და კიდევ ნახევარი წუთი დავკარგეთ. ოჰ! (გრუხუნით გარეთ გაიჭრება.)

ესი (ჯუღითთან მიირბენს.) რიჩარდის გადასარჩენად წავიდა, ხომ?

ჯუღითი. რიჩარდის გადასარჩენად! არა, რიჩარდმა გადაარჩინა იგი. ეგ კი თავის გადასარჩენად წავიდა, რიჩარდი მოკვდება.

ესი შიშით შეკვივლებს და მუხლებზე დაეცემა, სახეზე ხელებს აიფარებს. ჯუღითი უერც კი ამჩნევს მას, უმოძრაოდ პირდაპირ იმზირება, თვალწინ რიჩარდი უდვას, სახრჩობელაზე ამავეალი.

## მოქმედება III

მეორე დღის განთიადია. ქალაქის მერიამში, სადაც ბრიტანეთის ჯარის შტაბბინაა, სერჯანტი პატარა მისაღები ოთახის კარს გააღებს და ჯუდიოს შემოიყვანს. ქალს ჯოჯობხეთური ღამე აქვს გათენებული, საშინელმა ფიქრებმა არაქათი გამოაცალა; ახლა კი, ამ მრუშე გარიჟრაჟზე, რეალური ადქმის უნარი დაუბრუნდა, და მაინც დროდადრო მზერა ეყინება, როდესაც ხანდახან გარესაგნები აღარ იპყრობენ მის ყურადღებას.

სერჯანტს ესმის ქალის გრძნობები და გულისხმიერებას იჩენს მის მიმართ, რამდენადაც ეს შეუძლია ჯარისკაცს. წარმოსადეგი კაცია, ჩინითა და ფორმით გაამაყებული გრძნობს, რომ თავისი მოვალეობის კვალობაზე ძალუძს შეძლებისდაგვარად თანაგრძნობა გაუწიოს ქალს.

სერჯანტი. აქ შეგიძლიათ წყნარად დაელაპარაკოთ მას, მეგ.

ჯუდიო. მალე მოიყვანო?

სერჯანტი. ამ წუთას, მეგ, ღამე ბრაიდუელის ციხეში გვეყავდა და ახლახან გამოვიყვანეთ, აქ უნდა გაასამართლონ. ნუ სწუხართ, მეგ, ბავშვივით ეძინა და კარგადაც ისაუზმა.

ჯუდიო (უნდობლად.) კარგ ხასიათზეა?

სერჯანტი. თავს დიდებულად გრძნობს, მეგ. ჩვენმა კაპელანმა შეუარა წუხელ და ჩვიდმეტი შილინგი მოუგო კარტში თქვენმა მეუღლემ! ის ფული კი ჯენტლმენურად გაგვინაწილა. რა თქმა უნდა, მეგ, მოვალეობა მოვალეობაა, მაგრამ შეგიძლიათ თავი შეგობრებს შორის იგულვოთ. (მოახლოებული ჯარისკაცების ფეხის ხმა ისმის.) მგონი, ამოვიდნენ კიდევ. (შემოდის რიჩარდი, დარდი და შიში არ ეტყობა. სერჯანტი მის თანმხლებ ჯარისკაცებს თავს დაუქნევს და ოთახის გასაღებს უჩვენებს. ისინი გადიან.) თქვენი ქალბატონი, სერ.

რიჩარდი (ქალს მიუახლოვდება.) ოჰო, ჩემი ცოლი! ჩემი საყვარელი ცოლი! (ხელზე ჰკოცნის მეტიმეტად დახვეწილი მიხრა-მოხრით.) გულმოკლულ ქმარს რამდენი დრო შეგიძლიათ უბოდოთ, სერჯანტო?

სერჯანტი. რამდენიც შეიძლება, სერ, სასამართლომდე არ შეგაწუხებთ.

რიჩარდი. სასამართლო ხომ სულ მალე იქნება!

სერჯანტი. მალე უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეფერხებაა, გენერალი ბერგონი ჩამოვიდა, ჯონი ჯენტლმენს ვეძახით ყველა, სერ, ნახევარი საათი არა მგონია ეყოს ყველაფრის დასათვალიერებლად. მე მას ვიცნობ, სერ, პორტუგალიაში ვმსახურობდი მასთან. ოცი წუთი მაინც დააყოვნებს. ახლა კი მეტ დროს აღარ დაგაკარგვინებთ. (გადის, კარს დაკეტავს. რიჩარდი წელანდელ თავის ქცევას მყის იცვლის, ჯუდიოს მიმართავს თავაზიანად და გულწრფელად.)

რიჩარდი. კარგია, რომ მოხვედით. თავს როგორ გრძნობთ ამ დღით? წუხელ გულწასული დაგტოვეთ და ესის შევუთვალე, წადი და მიხედე-მეთქი. ნეტავი თუ მიხვდა, რა ვთხოვე.

ჯუდიო (სუნთქვა შეეკვრება, სწრაფად.) ოჰ, ჩემი დარდი ნუ გაქვთ. აქ იმით კი არ მოვსულეარ, ჩემს თავზე გელაპარაკოთ. მითხარით, ისინი მართლაც... (აღარ ამთავრებს, ჩამოგახრჩობენო.)

რიჩარდი (ჩაიცინებს.) ზუსტად შუადღით. სწორედ ამ დროს მოუღეს ბოლი ბიძია პიტერს. (ქალს კანკალი მოერევა.) თქვენი მეუღლე ხომ სამშვიდობისაა? ხომ დაიმაღლა?

ჯუდიო. ის უკვე აღარ არის ჩემი მეუღლე.

რიჩარდი (თვალები გაუფართოვდება.) რაო?!

**ჯუდიტი.** მე არ დაგიჯერეთ და ყველაფერი ვუამბე. შეგონა, აქ მოვიდოდა და დაგიხსნიდით. მიხდოდა მოსულიყო და გადაერჩინეთ, ის კი გაიქცა.

**რიჩარდი.** მეც ხომ ეს მიხდოდა. აქ რატომ უნდა დარჩენილიყო? მაშინ ორივეს ჩამოგვკიდებდნენ.

**ჯუდიტი (დიდი საყვედურით.)** რიჩარდ დაჯენ, მართალია მისი ჩართობით, თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილზე?

**რიჩარდი.** სწორედ ასევე, თქმა რად უნდა.

**ჯუდიტი.** ოჰ, რად არ გინდათ მითხრათ უბრალოდ, პირდაპირ და გულწრფელად? თუ ასეთი თავკერძა ხართ, წუხელ თავი რად დააჭერინეთ?

**რიჩარდი (მხიარულად.)** გეფიცებით, ქალბატონო ანდერსონ, არ ვიცა. მას მერე თავს ვეკითხები და ვერ მივმხვდარვარ, მიზეზი რა იყო, ასე რად გაეკეთე.

**ჯუდიტი.** არა, იცით, ის რომ გადაგერჩინათ, რაკილა თქვენი აზრით თქვენზე უფრო ღირსეულია.

**რიჩარდი (იცინის.)** ოჰო! მართლაც იქნებოდა ეს დიდებული მიზეზი, მაგრამ მე რომ არც ასეთი თავმდაბალი ვარ. არა, მისი გულისთვის არ მოვქცევულვარ ასე.

**ჯუდიტი (ეროვნას ჩუმადაა, რიჩარდს შემკრთალი უმზერს, მერე წამოინთება.)** ჩემი გულისთვის, ხომ?

**რიჩარდი (ღირსეულად.)** დიახ, თქვენი გულისთვისაც. თუმცა იხე კი, რომ დაძიბირეს, თქვენი ნებაც იყო.

**ჯუდიტი.** ოჰ, როგორ გვინათ, ამაზე არ ვფიქრობდი მთელი ღამე? თქვენი სიკვდილი ჩემს სინდისზე იქნება. (თავისდა უნებურად ხელს გაუწვლის და გრძნობით დასძენს.) ნეტავი კი შემეძლოს თქვენი გადარჩენა და თუნდაც სული ამომხადონ წაშებით.

**რიჩარდი (ხელს ხელზე მოკიდებს და გაუღიშებს, თუმცა არც ის უნდა, ახლოს მიუშვას.)** მე კი ამას არასოდეს დაგანებებდით.

**ჯუდიტი.** მაგრამ მე ხომ შემოდლია თქვენი ხსნა.

**რიჩარდი.** როგორ? ტანსაცმელი შევცვალეთ?

**ჯუდიტი (ხელს გაინთავისუფლებს და თითს ტუჩზე მიაღებს.)** ნუ... (უნდა თქვას, ხუმრობთო.) არა, მე შემოდლია სასამართლოს განუუცხადო, ვინცა ხართ.

**რიჩარდი (მოიღუშება.)** ტყუილადაც გაირჯებით. მე ესენი არ შემიწყალებენ, ის კი გაქცევას ვერ მოასწრებს. მათ გადაწყვეტილი აქვთ ჩვენი დაშინება და ვილაც უნდა ჩამოახრჩონ სამაგალითოდ. რას იზამ! ჩვენ კი ერომანეთისთვის თავს გაგწირავთ და ასე დავაშინებთ მათ. ჩვენი ძალა ეს არის და ბურგონიც ბოლოს და ბოლოს დაბრუნდება ატლანტის ოკეანის მიღმა, ხოლო ამერიკელი ხალხი თავისუფლებას მოიპოვებს.

**ჯუდიტი (მოუთმენლად.)** ოჰ, მერედა რა მნიშვნელობა აქვს ამას?

**რიჩარდი (სიცილით.)** მართლაცდა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ქალბატონო ანდერსონ. უცნაური ზნე სჭირთ კაცებს და ქალებს კარგად ესმით მათი სისულელე.

**ჯუდიტი.** ჰოდა, კიდევაც ჰკარგავენ, ვინც უყვართ.

**რიჩარდი.** სულ ადვილად ნახავენ სხვას.

**ჯუდიტი (აღშფოთებით.)** ოჰ! (მკვეთრად.) თუ ხვდებით, რომ თავს ძალით იკლავთ?

**რიჩარდი.** მხოლოდ ასეთი თვითმკვლევლობის უფლება მაქვს, ქალბატონო



ნო ანდერსონ. ნუ შეწუხდებით, მოკვდები და არც ერთი ქალი არ ჩაიცვამს ქაძებს. (ღიმილით.) მაღლობა დმერთს, არც არავის აქვს ჩემი ღარდი. დედაჩემი მოკვდა, თუ გაიგეთ?

**ჯუდიტი.** მოკვდა?

**რიჩარდი.** გულმა უმტყუნა წუხელ. ჩემი წყველა იყო მტყუნა. ანასკნელი სიტყვები და არა მგონია გადავრჩე. ჩემი გულისთვის არც სხვა რაღაცეები მოიკლავენ თავს. ეს თუ შიტირებს ერთ ან ორ დღეს, თუმცა არც მე დამვიწყებია ეს გოგო, წუხელ მეც დაეწერე ანდერძი.

**ჯუდიტი (გრუნდ, ცოტა ხნის შემდეგ.)** მერე მე?

**რიჩარდი (გაოცებული.)** თქვენ?

**ჯუდიტი.** დიახ, განა ჩემთვის სულერთია?

**რიჩარდი (შხიარულად და უხეშად.)** რას მეუბნებით! გუშინ არც კი გიცდიათ დაგეძალათ, თუ რასა გრძნობთ ჩემდამი. მერე რაც მოხდა, შეიძლება იმან გული მოგიღობოთ, მაგრამ დამიჯერეთ, ქალბატონო ანდერსონ, თქვენ ჩემი ღარდი სულაც არა გაქვთ და, თუ დაუიღუბები, მგონი, არც კი ინალვლებთ, თქვენთვის სულ ერთია გინდ დღეს 12 საათზე მოხდეს ეს ამბავი და გინდაც ხვალ 12 საათზე.

**ჯუდიტი (აკანკალებული ხმით.)** რა უნდა ვქნა, რომ დამიჯეროთ, თუ როგორ სცდებით?

**რიჩარდი.** ნუ სწუხართ. მჯერა, რომ თქვენ თვალში მთლად ის აღარა ვარ, რაც ვიყავი. თუმცა რაც უნდა იყოს, ჩემი სიკვდილი გულს არ დაგიშანთავთ.

**ჯუდიტი (თითქმის ჩურჩულით.)** თქვენ რა იცით? (ხელებს მხარზე დააწყობს და დაუინებით დააცქერდება.)

**რიჩარდი (გაოცებული, მიხვდა სიმართლეს.)** ქალბატონო ანდერსონ! (ქალაქის საათი მეოთხედს დაჰკრავს. კაცი გონს მოდის და ჯუდიტის ხელებს მოიცვლებს, თითქმის ცივად ეუბნება.) მაპატიეთ, ახლა ჩემს წასაყვანად მოვლენ. გვიანდაა.

**ჯუდიტი.** არა, არ არის გვიან. მითხოვეთ და მოწმედ გამოვალ, თქვენს გმირობას გაიგებენ და ვერ გაბუდავენ თქვენს მოკვლას.

**რიჩარდი (ღაშცინავად.)** მართლაცდა! თუკი ბოლომდე არ მივიყვან ამ საქმეს, გმირობა სადღა იქნება? მიხვდებიან, რომ გავაცურე და ძალღივით ჩამოკიდებენ. ღირსიც ვიქნები.

**ჯუდიტი (შწარედ.)** ოჰ, ვიცო, სიკვდილი გინდათ.

**რიჩარდი (ჯიუტად.)** სულაც არა.

**ჯუდიტი.** მაშინ რატომ არ ცდილობთ თავის დახსნას? გვედრებითი ყური დამივდეთ! სწორედ ახლა არ მითხარით, თქვენი გულისთვისაც დავიხსენიოთ ის... დიახ, დიახ, (ხელს სტაცებს ხელზე, რაკიდა რიჩარდი გაიწევა უარყოფის ნიშნად) ჩემი გულისთვისაც, ხომ? კარგით, ახლა ჩემი გულისთვისაც გადაირჩინეთ თავი და თუნდაც ქვეყნის კიდემდე გამოგყვებით.

**რიჩარდი (ქალის მაჯებს წაეტანება და შეაჩერებს, თვალს არ აცილებს.)** ჯუდიტი!

**ჯუდიტი (სიხარულით შეკრთება, თავის სახელს რომ გაიგონებს.)** კარგით, ხომ?

**რიჩარდი.** თქვენდა სასიამოვნოდ ვთქვი, თქვენი გულისთვისაც-მეთქი, და მოგატყუეთ როგორც მამაკაცმა ქალი. თქვენ იცით, ბევრ უღირს კაცთა შორის მიცხოვრია და ბევრ უღირს ქალთა შორისაც. ჰოდა, როცა შეყვარებულნი არიან, (ამ სიტყვას ჭეშმარიტი პურიტანისთვის ჩვეული ზიზღით წარმოთქვამს.)

რადაც სიკეთესა და სათნოებას მხოლოდ მაშინ ეზიარებიან ხოლმე. ცხელ გულზე სიკეთის გამოვლინებას კი დიდად არ ეაფასებ. ამ მხრივ გამოცდილია კაცი ვარ და ვიცო, წუხელ რაც გავაკეთე, ცივი გონებით გავაკეთე, არც თქვენი მეუღლის ხატრით და არც (ჯიქურად.) თქვენი. (თავზარდაცემული ქალი თავს ჩაქინდრავს.) ჩემთვის გავაკეთე, რამე მნიშვნელოვანი მიზეზები სულაც არ მქონია. მაგრამ როდესაც მოხდა ისე, რომ ჩემი კისრიდან ძარყუყი უნდა მომქსქსქს და სხვისთვის ჩამომეცვა, ვერ შევძელი. ასე რად მოვიქეცა, არ ვიცო, მას მერე თავი სულელი მგონია და ვწუხვარ კიდევაც, მაგრამ არ შემიძლო სხვანაირად მოვექცეულიყავი და არც ახლა შემიძლია. ჩემი ბუნების კანონებს ვემორჩილება იმთავითვე, თუნდაც ერთხელ კი არა, ასჯერ ჩამომახრჩონ. (ქალი ხელს ასწევს თავს და ახლა პირდაპირ შესცქერის), ამასვე მოვიმოქმედებდი, სულ ერთია ვინც ან ვისი ცოლიც არ ყოფილიყო. (მის ხელებს გაუშვებს). ხომ გაიგეთ ახლა?

**ჯუდიტი.** დიახ, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ არ გიყვარვართ.

**რიჩარდი (აღშფოთებულია, ზიზღით).** მხოლოდ ეს გაიგეთ ჩემი სიტყვებიდან?

**ჯუდიტი.** მეტი რაღა უნდა გამეგო... ჩემთვის ამაზე უარესი რა უნდა ყოფილიყო? (სერჯანტი კარზე აკაკუნებს. ქალს გულზე მოხვდება კაკუნით). ოჰ, კიდევ ერთი წუთი, ერთი წუთი-მეთქი! (მუხლებზე დაეცემა). გვეუღრებით...

**რიჩარდი.** სუუ! (დაიძახებს). შემოდით! (სერჯანტი გასაღებს გადაატრიალებს და კარს გააღებს, ჯარისკაცები ზღურბლთან დგანან).

**სენშანტი (შემოვა), უკვე დროა, სერ...**

**რიჩარდი.** მზადა ვარ, სერჯანტო. ახლა კი, ჩემო ძვირფასო! (ქალის წამოყენებას ცდილობს).

**ჯუდიტი (წაეპოტინება),** მხოლოდ ამაზე ვთხოვთ, გეხვეწებით, ღვთის გულისათვის, სახამართლოზე მეც უნდა ვიყო, მაიორ სუინდონს ვთხოვე, მას მითხრა, შემოვიშვებ, თუ პატიმარი მოითხოვსო. ჩება დამრთეთ, ჩემი უკანასკნელი თხოვნა ეს არის, მეტს აღარაფერს ვთხოვთ. (მუხლებზე მოეხვევა.) გვეუღრებით.

**რიჩარდი.** თუ შემოვიშვებთ, ხომ ჩუმაღ იქნებით?

**ჯუდიტი.** კი.

**რიჩარდი.** არ მომატყუებთ?

**ჯუდიტი.** არ მოგატყუებო. (აქვითინდება.)

**რიჩარდი (დაიხრება და ხელს მოკიდებს).** შემომეშველეთ, სერჯანტო, გადიან, ჩუდითი ორ კაცს შუა მიძავალი გულამომჯდარი ხლუკუნებს.

ამ დროს შერიის დარბაზში ყველაფერი მზადაა სამხედრო სახამართლო-სათვის. ეს არის ვეებერთელა, მაღალჭერიანი ოთახი, რომლის შუაგულში საპატიო ადგილას წაბლისფერი სავარძელია ბალდახინის ქვეშ, ბალდახინზე ოქრო-ძვედით დაქარგული გვირგვინი და სამეფო ვენზელია G. R. სავარძლის წინ მაგიდაა წაბლისფერი მაუდით გადაფარებული, ზედ ზარია, მძიმე სამეფო საწერი მოწყობილობითურთ, მაგიდის ირგვლივ რამდენიმე სკამია. კარი იმ სავარძელში მჯდომარის ხელმარჯვნივაა, თუმცა ჯერ იქ არავინ არ ზის. მაიორ სუინდონი ფერშერთალი, ქერათმიანი 45 წლის კაცია, ეტყობა, მოვალეობის მოხდა მისთვის თავიდათავია. მაგიდას უზის ზურგით კარისკენ და წერს. ოთახში მარტოა. სერჯანტი შემოვა და მოახსენებს, გენერალი მობრძანდაო. ამ სიტ-

1. Georgius Rex – გეორგ მეფე (ლათ.).

ყვეს ისე ხმადაბლა წარმოთქვამს, ჩანს, ჯონი-ჯენტლმენის ჩამოსვლას საკმაოდ შეუშფოთებია ყველა.

სპრუანტი. გენერალი შობრძანდა, სერ.

სუინდონი იმწამსვე წამოდგება. შემოდის გენერალი. 25 წლის კაცია, მაგრამ კარგად გამოიყურება. მაღალი წრის კაცია, დახვეწილი მანერებით გამოირჩევა, თავის დროზე სახელი გაუთქვამს მოტაცებულ ქალზე დაქორწინებით. ვინებამახვილია და შეუძლია კარგი კომედიებიც წეროს. არისტოკრატიული წარმომავლობის გამო დიდებული სამხედრო კარიერა გაუკეთებია. თვალები დიდრონი და ნათელი აქვს, რაც მოწმობს მის ჭკუასა და გამჭრიახობას. ეს თვალუბი რომ არა, თხელი ცხვირი და პატარა პირი გაფიქრებინებდათ, მეტიხმეტად მომთხონნი და ნაკლებ მტკიცე უნდა იყოსო, ვინემ სჭირდება სახელოვან გენერალს. ამწყუთს მრისხანედ და მოღუშული იყურება, პირი მოკუმული აქვს, ნესტოები უთრთის.

ბერპონი. მაიორი სუინდონი ბრძანდებით?

სუინდონი. დიახ, თქვენ კი გენერალი ბერგონი, თუ არა უცდები, (ორივენი ცერემონიულად თავს დაუკრავენ ერთმანეთს). მოხარული ვარ, დღეს რომ ჩამობრძანდით. ვერ არის სასიამოვნო საქმე ამ უბედური მღვდლის ჩამოხრჩობა.

ბერპონი (სუინდონის სავარძელში ჩაჯდება). დიახ, სერ, მართალს ბრძანებთ. საჯაროდ ჩამოხრჩობა დიდი პატივია მისთვის, უკეთესს ვერც მოიფიქრებდათ, თუნდაც ინგლისური ეკლესიის წარმომადგენელი ყოფილიყო. მოწამეობრივი სიკვდილი, სერ, ხალხს მოსწონს ხოლმე და უნიჭო კაცისთვის ერთადერთი გზაა სახელის მოსახვეჭად, მაგრამ რაკი გვაიძულებთ მის ჩამოხრჩობას, რაც უფრო მალე მოხდება ეს ამბავით უკეთესი.

სუინდონი. 12 საათზე. ყველაფერი მზადაა, ისლა დაგვრჩენია, გავასამაროლოთ.

ბერპონი. (უშხერს, მრისხანების დაოკებას ცდილობს). დიახ, ესლა დაგვრჩენია, ჩვენც არ გავგაყოფინონ თავი ბაწარში. თუ გაიგეთ, რა ახალი ამბები მოვიდა სპრინგტაუნიდან?

სუინდონი. ისეთი არაფერი. უკანასკნელი მოხსენება დამაკმაყოფილებელია.

ბერპონი (გაოცებული წამოდგება). დამაკმაყოფილებელი, სერ! დამაკმაყოფილებელი!! (წამით უცქერის და მერე მკვახედ დასძენს). მიხარია, რომ ასე ფიქრობთ.

სუინდონი (გაკვირვებული). მე ასე მესმის, რომ თქვენი აზრით...

ბერპონი. ჩემს აზრს სულაც არ გეუბნებით, არც ბილწსიტყვაობა მიყვარს, საუბედუროდ ასე რომ სჩვევიათ ჩვენი ხელობის ხალხს. თავს ამიტომაც ვიკავებ სპრინგტაუნის ახალი ამბების გამო. რაკ თქვენ (შკაცრად) ვერ არც კი იცით. რამდენი დრო სჭირდებათ თქვენს ხელქვეითთ, ახალი ამბები რომ გაცნობოთ... ერთი თვე, ხომ?

სუინდონი (ნაწყენი). ეტყობა, სერ, პატაკი ჩემ მაგივრად თქვენ მიიღეთ. ცუდად არის საქმე?

ბერპონი (პატაკს ჯიბიდან ამოიღებს). სპრინგტაუნი აჯანყებულთა ხელშია. (პატაკს მაგიდაზე დააგდებს).

სუინდონი. (თავზარდაცემული). გუშინს მერე?

ბერპონი. დამის ორი საათიდან. შეიძლება ამაღამ ორი საათისთვის ჩვენც ჩაუუვარდიო მათ ხელში. რაო, რას იტყვით?

**სუინდონი (მტკიცედ).** მაშინ კი, გენერალი, ბრიტანელი ჯარისკაცე შეძლებს თავის დაცვას.

**ბერპონი (ღვარძლით).** პოდა, მე მგონი, სერ, ბრიტანელ ოფიცერს ამიტომაც არ სჭირდება თავისი საქმის ცოდნა, ბრიტანელი ჯარისკაცი ხიშტით გამოასწორებს მის უგნურებას. სამომავლოდ კი ამას გეტყვით, სერ, სჯობს თქვენს ხელქვეითთა ხიცოცხლეს უფრო მეტად გაუფროხილდეთ, ვიდრე თქვენს ჯიუხს, სერ.

**სუინდონი.** ბოდიშს ვიხდით, სერ, თუმცა სიბრძნითა და გახსწყალებლობით ვერ შეგედრებით, მაგრამ ვცდილობ, რაც შეიძლება, და ჩემი თანამემამულეების იმედიც მაქვს.

**ბერპონი (დახვეწილი სარკაზმით).** შეიძლება გკითხოთ, მელოდრამებს თუ წერთ, მაიორო სუინდონ?

**სუინდონი (წამოინთება).** არა, სერ.

**ბერპონი.** სამწუხაროა! სამწუხაროა! (დაცინვის გარეშე მთელი სერიოზულობით და მტკიცედ). თუ იცით, სერ, რომ ჩვენს დამარცხებას წინ უღვას მხოლოდ ჩვენი ყოყლოჩინობა და აქაურთა მოუწესრიგებლობა? მაგრამ ესენიც ხომ ინგლისელებია, ჩვენი სისხლი და ხორცი. ამასთან ექვსნი ერთზე მოდიან (შთაბეჭდავად გაიმეორებს) — ექვსნი ერთზე-მეტეი, სერ. ჩვენი ჯარი კი თითქმის სანახევროდ ჰესხელები, ბრაუნშვეგელები, პრუსიელი დრაგუნებია და კიდევ ტომავაკებით შეიარაღებული ინდიელები. სწორედ ესენი არიან თქვენი თანამემამულენი, რომელთა იმედიცა გაქვთ! ვოქვათ და, აქაურებს გამოუჩნდათ ვინმე წინამძღოლი! სპრინგტაუნის ახალი ამბები იმას ხომ არ მოწმობს, რომ უკვე გამოჩნდა კიდევაც ასეთი წინამძღოლი! მაშინ რაღა უნდა ვქნათ? მითხარიო!

**სუინდონი (პირქუზად),** ჩვენი მოვალეობა უნდა მოვიხადოთ, სერ, მე მგონი.

**ბერპონი (დამცინავად, ხელს ჩაიქნევს, რა რეგვენიაო).** მართალს ბრძანებთ, მართალს. ვმადლობთ, მაიორო სუინდონ, ვმადლობთ. კარგი პასუხი იყო, სერ, და კიდევ ნათელი მოჰყინეთ საქმის ვითარებას. მიხარია, რომ გვერდით ასეთი გონიერი და ერთგული ოფიცერი მყავს და შემძლია სულითა და გულით მივენდო. მე მგონი, სერ, ჩვენ ორივესთვის სჯობს ახლავე მოვაშთით ის თქვენი დისიდენტი, ნუ დაკაყოვნებთ. (ზარს დარეკავს). მეტი რაღა დაგვრჩენია. მით უმეტეს, რომ წესად არა მაქვს ლანძღვა-ვინებით მოვიოხრო გული სამხედროებივით. (სერფანტი გამოჩნდება ზღურბლზე). შემოიყვანეთ ის კაცი.

**სერჟანტი.** დიას, სერ.

**ბერპონი.** და შეახსენეთ ყველა ოფიცერს, ვისაც კი ნახავთ, სასამართლო მათ ვეღარ დაულოდებათ.

**სუინდონი (თავს ძლივს იკავებს).** სასამართლოს ყველა წევრა უკვე დიდი ხანია მზად გახლავთ, სერ, და უკვე ნახევარი საათია თქვენს ბრძანებას ელიან. ყველანი მზად გახლავთ, სერ.

**ბერპონი (დაყვავებით).** მეც ასევე. (შემოდის რამდენიმე ოფიცერი და მაგიდას მიუსხდებიან კარის პირდაპირ, სხდომის ოქმის დასაწერად ემზადებიან, მუნდირების მიხედვით ისინი მე-9, მე-20, 21-ე, 24-ე, 47-ე, 53-ე და 62-ე ბრიტანულ ქვეითთა შენაერთების ოფიცრებია. მათ შორის არიან სამეფო არტილერიის გენერალ-მაიორი, აგრეთვე, გერმანელი ოფიცრები ჰესენის, ბრაუნშვეიგის შენაერთებისა, პრუსიელ დრაგუნთა და ჰესენელ მსროლელთა ნაწილებიდან). დილა მშვიდობის, ჯენტლმენებო, მაპატიეთ, რომ შეგაწუხებთ. ვმადლობთ, რომ გვიბოძეთ რამდენიმე წუთი.

სუინდონი. თავმჯდომარე თქვენ იქნებით, სერ?

ბერძონი (ხალხის თვალწინ კიდევ უფრო თავაზიანი, ზრდილი, დახვეწილი მიხვრა-მოხვრისა ხდება, ასევე უფრო იქედნურიც). არა, სერ მე ამ საქმისთვის ვერ გამოვდგები, თქვენს ნებართვით, გამაღიანის ფერხით მოვთავსდები. (კარის სიახლოვეს, მაგიდის ბოლოში მდგარ სკამთან მიდის და სუინდონს თავმჯდომარის სავარძელზე მიუთითებს. დაიცდის, ხანამ იქ ამ ადგილს დაიკავებს).

სუინდონი (დიდად ნაწყენია). თქვენი ნება იყოს, სერ. მე მხოლოდღაც ვცდილობ ჩემი მოვალეობა მოუხადო ამ ძნელბედობის ხანს. (დაჯდება).

ბერგიონი ერთხანს თავს ანებებს თავის ხანამუშო თავაზიანობას, დაჯდება და სახემოღუშული ქაღალდების კითხვას დაიწყებს. ფიქრობს, ცუდ დღეში ჩავარდნილს რა გამოხავალი აქვს, რომ სუინდონი არარაობაა. შემოძვავთ რა ხარდი, ჯუდი თი მის გვერდითაა. პატიმრის წინ ორი ჯარისკაცია, ორი უკან მოსდევს სერუანტის მეთაურობით, მთელ დარბაზს გაივლიან და კარის პირდაპირ კედელს მიაშურებენ, მაგრამ რიჩარდი ჩაუვლის თუ არა თავმჯდომარის სავარძელს, სერუანტი ხელით შეაჩერებს, თავად კი უკან დაუდგება. ჯუდითი თრთოლვით კედელს მიუვრდნობა. ის ოთხი ჯარისკაცი მის სიახლოვეს გამწკრივდება.

ბერძონი (თავს აწევს და ჯუდითს დაინახავს). ვინ არის ეს ქალი?

სერუანტი. მღვდლის ცოლი გახლავთ, სერ.

სუინდონი (აღელვებული). მიხოვა დასწრებოდა სასამართლოს და ვიფიქრე...

ბერძონი (დამცინავად დააზრულებს მის სიტყვას). იფიქრეთ, რომ მისთვის სასამართლო იქნება აქ ყოფნა. დიახ, დიახ. (დაევაფებით). ძოართვით ქალბატონს სკამი.

სერუანტი სკამს მოიტანს და რიჩარდის ახლოს დადგამს.

ჯუდიონი. გმადლობთ, სერ. (შიშნარევი მოწიწებით თავს მდაბლად დაუკრავს ბერგიონს, რომელიც თავაზიანად მიესალმება).

სუინდონი (რიჩარდს, მკვეთრად). თქვენი სახელი, სერ?

რიჩარდი (ნახევრად ხუმრობით). კარგით, ერთი, სერ, ისე მომიყვანეთ, რომ ჩემი სახელი არც იცით?

სუინდონი. წესია, უნდა დაასახელოთ, ვინცა ხართ.

რიჩარდი. თუკი წესია, რას იზამ, მე ვარ ენტონი ანდერსონი, ამ ქალაქის პრესვიტერიანული ეკლესიის მღვდელი.

ბერძონი (ყურადღებით). რას ამბობთ! ვთხოვთ მითხრათ, ბატონო ანდერსონ, არსი თქვენი რწმენისა.

რიჩარდი. დიდი სიამოვნებით, თუკი დრო გვექნება. თქვენს მოსაქცევად ორი კვირა მაინც დამჭირდება.

სუინდონი (შეაწივეტიანებს). ჩვენ აქ თქვენი რწმენის განსასჯელად არ მოვსულვართ.

ბერძონი (თავაზიანად თავს დაუკრავს საბრალო სუინდონს). ყურადვიდებ თქვენს საყვედურს.

სუინდონი (შეცბება). ოჰ, თქვენ კი არა, მე...

ბერძონი. არა უშავს. (რიჩარდს, ძალზე ზრდილობიანად.) თქვენს პოლიტიკურ რწმენაზე კი რას იტყვით, ბატონო ანდერსონ?

რიჩარდი. რამდენადაც მესმის, ჩვენ ყველანი აქ სწორედ ამის გამოხარკვევად ვართ.

**სუინდონი (მკაცრად).** თქვენ აპირებთ უარყოთ, რომ ჯანყისთავე ხართ? რიჩარდი. მე ამერიკელი ვარ, სერ.

**სუინდონი.** რა უნდა ეიფიქრო ამ თქვენი სიტყვის შემდეგ, ბატონო ანდერსონ?

**რიჩარდი.** მე მგონია, ჯარისკაცს ფიქრი საერთო არ მაროუძის. ბერგონს ეს პასუხი ისე აღაფრთოვანებს, რომ ლამის შეგეგუქს დაკარგვას.

**სუინდონი (ბოლძით გადაფიქრდება).** გირჩევთ თავხედობას თავი დაანებოთ, პატიმარო.

**რიჩარდი.** რას იზამ, გენერალო, თუკი კაცის ჩამოკიდება გაქვთ გადაწყვეტილი, ამით კიდევაც ანიჭებთ მას გარკვეულ უპირატესობას. თავაზიანობას რატომღა მთხოვთ. ბოლო ხომ ერთია.

**სუინდონი.** თქვენ არ გაქვთ უფლება თქვათ, სასამართლოს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი აქვსო. და კეთილინებუთ გენერალს ნუ მიწოდებთ. მე მაიორი სუინდონი გახლავარ.

**რიჩარდი.** დიდი ბოდიში. მეგონა, ჯონი-ჯენტლმენტან საუბრის პატივი მქონდა.

ოფიცრები შეტოკდებიან, სერჟანტი ძლივს იკაგებს სიცილს.

**ბერბონი (თავაზიანად).** მგონია, ჯონი-ჯენტლმენი მე უნდა ვიყო, სერ, და მზად ვარ ვემსახუროთ. მეგობრები კი გენერალ ბერგონს მეძახიან. (რიჩარდიც თავაზიანად თავს დაუკრავს). თქვენ უნდა გესმოდეთ, სერ, და ვიმედოვნებ, გესმით კიდევ, როგორც ჯენტლმენს და სულიერ მოძღვარს, თუკი ჩვენდა საუბედუროდ თქვენი ჩამოხრჩობა მოგვიხდება, ამას პოლიტიკური აუცილებლობა და სამხედრო ვალი გვიკარნახებს და არა პიროვნული ცუდი განწყობილება თქვენდამი.

**რიჩარდი.** ოჰ, რას ამბობთ. დიდი შვება მომანიჭეთ, რაღა თქმა უნდა. ყველას დიმილი მოურევა, ხოლო ზოგიერთ ემაწვილ ოფიცერს სიცილი წახდება.

**ჯუდიში (ძრწოლას გვრის მათი ხუმრობა და თავაზიანობა).** ოჰ, როგორ შეგიძლიათ?

**რიჩარდი.** ხომ დამპირდით, ჩუმად ვიქნებით.

**ბერბონი (ჯუდიშს დიდი პატივისცემით).** დამიჯერეთ, ქალბატონო, თქვენი მეუღლის ჯენტლმენური შემართება ჩვენ დიდად გვახარებს ამ ესოდენ უსიამოვნო პროცედურის დროს. სერჟანტო, სკამი მოართვით ბატონ ანდერსონს. (სერჟანტი ასრულებს მის ბრძანებას, რიჩარდი დაჯდება). ახლა კი, მაიორო სუინდონ, ჯერი თქვენზეა.

**სუინდონი.** მგონია, თქვენ იცით, ბატონო ანდერსონ, რა მოვალეობაც აკისრია მისი უდიდებულესობა მეფე გეორგ მესამის ქვეშევრდომს?

**რიჩარდი.** მე ვიცი, სერ, რომ მის უდიდებულესობა მეფე გეორგ მესამეს ხურს ჩემი ჩამოხრჩობა, რადგანაც უარყოფ ღორდ ნორტის უფლებას მმარცვავეს მე.

**სუინდონი.** თქვენი ეგ სიტყვები დალატის ტოლფასია, სერ.

**რიჩარდი (მკვახედ).** როგორც გნებავდეთ.

**ბერბონი (აშკარად უარყოფს დაცვის ასეთ ხერხებს, თუმცა კი მაინც თავაზიანად).** ხომ არ ფიქრობთ, ბატონო ანდერსონ, რომ თქვენი ასეთი...

1. ღორდ ნორტი — ინგლისის პრემიერ-მინისტრი (1770–1789 წლებში).

გთხოვთ მომიტყუოთ... ასეთი დამოკიდებულება ცოტა ვულგარულია, ასე იყუ-  
როთ და ყაჩაღობად ჩათვალოთ საფოსტო ბაჟი, ჩაას ბაჟი და ასე უმღევს რაც  
უნდა იყოს, ჯენტლმენი ბრძანდებით და ისე უნდა გადაიხადოთ, მილი და  
თამაშობდეთ სახეზე.

**რიჩარდი.** ფული რა სათქმელია, გენერალო, მაგრამ თუ შენს ჯიბეში  
ხელს უფათურებს მეფე გეორგისთანა რეგენი...

**სუინდონი (თაუზარდაცემული),** სუს, სერ.. ჩუმად!

**სპრშანტი (შედრწუნებული დასჭექს),** ჩუმად!

**ბერპონი (აუმღერეველად).** პო, თქვენ სხვა შეხედულებისა ბრძანდ-  
ბით, ჩემი მღვთმარეობა არ მაძლევს უფლებას შეგვეკამათოთ, თუმცა კი კერძო  
საუბარში შეიძლებოდა, მაგრამ (მხრებს აიჩეჩავს), რა თქმა უნდა, ბატონო ან-  
დერსონ, თუკი ასე მიუღწევით სახრჩობელას, (ჯულითი შეკრთება) რაღა უნდა  
ვთქვა. თავისებური გემოვნებისა ბრძანებულხარო! რას იზამ... (კვლავ აიჩეჩავს  
მხრებს).

**სუინდონი (ბერგონს).** მოწმეებს უნდა გამოუცხადოთ.

**რიჩარდი.** მოწმეები რაღად გჭირდებათ? ჩემს თანამემამულეებს ჩემო-  
ვის ყური რომ დაეგლოთ, თქვენ აქ ბარიკადები დაგზავდებოდათ, ყოველი სახლს-  
დან მიზანში ამოვიღებდნენ, ხალხი თქვენ წინააღმდეგ აღდგებოდა, თავის ქა-  
ლაქს დაიცავდა და უკანასკნელ კაცამდე შეგებრძოლებოდნენ, მაგრამ, სამწუხა-  
რიდ, მანამდე მოხვედით, ვინემ სიტყვას საქმე მოჰყვებოდა, ახლა კი გვიანდა.

**სუინდონი (შკატრად).** კარგით, სერ. თქვენც და თქვენს ქალაქელებსაც  
ჭკუას ვახწავლით და დიდხანს არ დაავაწყდებით ეს გაკვეთილი. გაქვთ კიდევ  
რამე სათქმელი?

**რიჩარდი.** მგონი, შეგიძლიათ სამხედრო ტყვედ ჩამოვალათ და დამხვრა-  
ტოთ, ძალღივით არ ჩამომკიდოთ.

**ბერპონი (თანაგრძნობით).** როგორ გეტყობათ, ბატონო ანდერსონ, სე-  
მოქალაქო პირი რომ ბრძანდებით. მაპატიეთ, ამას რომ გეუბნებით. თუ იცით,  
როგორ არტყამენ მიზანში მისი უდიდებულესობა მეფე გეორგის ჯარისკაცები?  
თუ იცით, მათი მწკრივის წინ რომ დადგებით, ერთი ნახევარი აგაცილებთ, მე-  
რე ნახევარი კი იმას იზამს, რომ სამხედრო პოლიციის უფროსი იძულებულია  
გახდება პისტოლეტი დაგაჩაღოთ. ჩამოხრჩობა კი დიდებული ვიცით და დიდად  
კმაყოფილი დარჩებით. (შეგობრულად.) ასე რომ ჩამოკიდებას გირჩევთ, ბატო-  
ნო ანდერსონ.

**ჯულითი (სადაცაა გული წაუვა).** ღმერთო ჩემო!

**რიჩარდი (ჯულითს).** თქვენ ხომ დამპირდით: (ბერგონს). გმადლობი,  
გენერალო, ამაზე აღარ მიფიქრია, დიდათ დამაჯალეთ, თოკი იყოს, გთხოვთ ჩა-  
მომიკიდოთ.

**ბერპონი (თავაზიანად).** 12 საათზე იყოს, ბატონო ანდერსონ?

**რიჩარდი.** როგორც გნებავდეთ, გენერალო.

**ბერპონი (წამოღგება).** ამით დავამთავროთ, ჯენტლმენებო. (ყვილანი  
აღგებიან.)

**ჯულითი (შავიდასთან მიიჭრება),** ოჰ, არა, არა, გაუსამართლებლად კა-  
ცი როგორ უნდა მოკლათ, არც დაფიქრებულხარო, რას სჩადით, ისე... არც...  
(სიტყვას ვედარ პოულობს.)

**რიჩარდი.** ასე ახრულებთ თქვენს დაპირებას?

**ჯულითი.** მე თუ არ უნდა ვთქვა, თქვენ უნდა თქვათ, თავი დაიცავით, გა-  
დაირჩინეთ, უთხარ სიმართლე.

**რიჩარდი (შეშფოთებული).** მე მათ იმდენი სიმართლე ვუთხარი, საკმარისია ათგზის ჩამომახრჩონ. თუ კიდევ რამეს იტყვით, სხვებს გასწირავთ, იცოდეთ, და ვერც მე დამიხსნით.

**ბერბონი.** ჩემი ძვირფასო ქალბატონო, ჩვენ მხოლოდ ის ვგსურს, უსიამოვნებას აგაცილოთ. ნუთუ შვებას მოგგვრით ჩემი მეგობრის სუბდონის შვე მოსასხამში გამოწეობა და ასე შემდეგ? ჩემი აზრით, დაღმარებული უნდა ვიყოთ თქვენი მეუღლისა, ასეთი თავშეკლება და ჯენტლმენურ სტანდარტება რომ გამოამჟღავნა.

**ჯულიანი (სიტყვებს სახეში შიახლის).** პოი, შეშლილხარა და ეს არის თქვენთვის სულ ერთია, რა დახაშაული მოხდება, ოღონდ კი ჯენტლმენურა იყოს? თქვენთვის სულ ერთია კაციკვლა, თუ მოკვდინებისას წითელი მოსახამი გეცმებათ? (სასოწარკვეთილი). თქვენ მას არ ჩამოახრჩობთ, ეს კაცი ჩემი ქმარი არ არის.

ოფიცრები ერთმანეთს გადახედავენ და აჩურჩულდებიან. გერმანელები გვერდით მჯდომარეთ ეკითხებიან, რას ამბობსო ეს ქალი. ბერგონი კი, ცხადლივ რომ დაეტყო, ჯულიანის ნათქვამმა რა დიდად იმოქმედა მასზე, მყის მოუვა გონს საქმის ასეთი შეტრიალებით. რიჩარდი კი ამ დროს ხმას აუწევს, ხმაური რომ დაფართოს.

**რიჩარდი.** გთხოვთ, ჯენტლმენებო, დავასრულოთ ყველაფერი. ქალი ვერ შეგუდება იმ აზრს, რომ ჩემი გადარჩენა არ შეუძლია. დაამთავრეთ სასამართლოს სხდომა.

**ბერბონი (ისეთი წყნარი და მტკიცე ხმით, რომ ყველა გაჩუმდება).** ერთი წუთით, ჯენტლმენებო, (ისევ თავის ადგილას დაჯდება, სუბდონიც და სხვებიც მას მიბაძავენ). მინდა სწორად გავიგო, ქალბატონო, თქვენ ამბობთ, რომ ეს ჯენტლმენი თქვენი მეუღლე არ არის, ანუ... არ მინდა ცუდად გამოივიდეს... თქვენ არ ხართ მისი მეუღლე?

**ჯულიანი.** არ ვიცი, რისი თქმა გნებავთ, მე გითხარით, ეს კაცი ჩემი მეუღლე არ არის — ჩემი მეუღლე გაიქცა. პოდა, ამ კაცმა მის გადასარჩენად მისი ადგილი დაიჭირა. პკითხეთ ყოველს ამ ქალაქში, ქუჩიდან მოაყვანიხეთ პირველივე შემხვედრი მოწმედ და ის გეტყვით, რომ პატიმარი არ გახლავთ ენტონი ანდერსონი.

**ბერბონი (ისევ ისე მშვიდად).** სერჯანტო.

**სერჯანტი.** დიახ, სერ.

**ბერბონი.** გადით ქუჩაში და მოიფვანეთ პირველივე მოქალაქე, ვისაც კი ნახავთ.

**სერჯანტი (კარს მიაშურებს).** დიახ, სერ.

**ბერბონი (მიმავალ სერჯანტს).** პირველივე მოქალაქეს, ვისაც ნახავთ, წესიერად ჩაეძულსა და ფხიზელს.

**სერჯანტი.** დიახ სერ. (გადის).

**ბერბონი.** დაბრძანდით, ბატონო ანდერსონ... თუკი ნებას მიბოძებთ ასე დაგიძახოთ. (რიჩარდი დაჯდება.) თქვენც დაბრძანდით, ქალბატონო, და დაელოდეთ. გაზეთი მოართვით ღუდის.

**რიჩარდი (აღშფოთებული).** გრცხვენოდეთ!

**ბერბონი (ეშმაკური ღიმილით).** თუ თქვენ ამ ქალის მეუღლე არა ხართ, სერ, მაშინ... სადარდებელი არც უნდა ჰქონდეს... ამ ქალს. (რიჩარდი ტუჩებს ჩაიკვნეტს და გაჩუმდება).



ჯუდიტი (თავის აღვილას დაბრუნება, რიჩარდს). სხვანაირად არ შე-  
მეძლო. (რიჩარდი თავს გაიქნევს, ჯუდიტი დაჯდება).

ბმრბონი. თქვენ, რაღა თქმა უნდა, გესმით, ბატონო ანდერსონ, ამ პა-  
ტარა შემთხვევის იმედი არ უნდა გქონდეთ. ჩვენ ვიღაც გვჭირდება სხვების სა-  
მაგალითოდ.

ერიკსული

რიჩარდი. კარგად მესმის, მგონი, ჩემი ახსნა აქედან უფროდგება.

ბმრბონი. თქვენი ნებართვით უცხო მოწმეს ვამჯობინებთ.

ქალაქის პაკეტით ხელში შემოდის სერჟანტი და თან შეშინებული კრი-  
სტი შემოჰყავს.

სერჟანტი (ბერგონს პაკეტს გაუწვდის), დეპეშებია, სერ. 33-ის კაპრალ-  
მა მოიტანა. მთელი გზა ისე მოაჭენებდა ცხენს, რომ ყუბზე ძლივსა დგას, სერ.

ბერგონი პაკეტს გახსნის და ყურადღებით კითხულობს. დეპეშები იმდენ-  
ნად დამაფიქრებელი გამოდგება, რომ სხვა ვედარაფერს ამჩნევს.

სერჟანტი (კრისტის). შენ გეუბნები, ჭკუით იყავი და ქუდი მოიხადე, მო-  
უსმინე, რასაც გეტყვიან. (მის უკან დადგება, კრისტი მაკიდის იმ მხარეს შე-  
ჩერდება, სადაც ბერგონი ზის).

რიჩარდი (კრისტის მიმართავს ჩვეულებისამებრ გამომწვევად). ნუ გე-  
შინია, სულელო, მოწმედ მოგიყვანეს აქ. ესენი შენ არ ჩამოგკიდებენ.

სუინდონი. თქვენი სახელი?

კრისტი. კრისტი.

რიჩარდი (ბრაზით). კრისტიოფერ დაჯენი, გამოთავყანებულს. სრულად  
უნდა თქვა შენი სახელი და გვარი.

სუინდონი. ჩუმად იყავით, პატიმარო, მოწმეს ნუ კარნახობთ.

რიჩარდი. კი ბატონო, მაგრამ უნდა ვაგაფრთხილოთ, თუ ძალით არა,  
ბევრს ვერაფერს ათქმევინებთ. ღვთისმოშიშმა დედამ ისე გაწვრთნა, ჭკუა-გო-  
ნება სულ დააკარგვინა.

ბმრბონი (წამოიჭრება და სერჟანტს შეშფოთებული მიმართავს). სად  
არის ის კაცი, რომელმაც ეს პაკეტი მოიტანა?

სერჟანტი. საგუშაგოში, სერ.

ბერგონი სასწრაფოდ გადის. ოფიცრები ერთმანეთს გადახედავენ.

სუინდონი (კრისტის). თუ იცნობთ ენტონი ანდერსონს, პრესვიტერიან-  
ნულ მღვდელს?

კრისტი. ვიცნობ, აბა არ ვიცნობ. (ისეთი სახით წარმოთქვამს თითქოს  
გულსხმობს, ვირი უნდა იყოსო ეს ხუინდონი, თუკი ამას შეკითხება.)

სუინდონი. ის აქ არის?

კრისტი (მიმოიხედავს). არ ვიცი.

სუინდონი. თუ ხედავთ მას?

კრისტი. არა.

სუინდონი. თქვენ იცნობთ პატიმარს?

კრისტი. ვის, დიკს?

სუინდონი. დიკი ვინაა?

კრისტი (რიჩარდზე მიუთითებს). ვინ და ეს.

სუინდონი. მისი სახელი?

კრისტი. დიკი.

რიჩარდი. წესიერად უპასუხე, რეგვენო. დიკიო, რომ ეუბნები, რას მიხ-  
ვდებიან?

კრისტი. შენ განა დიკი არა ხარ? აბა სხვანაირად როგორ ვთქვა?

სუინდონი. მე მიპასუხეთ, სერ, თქვენ კი, პატიმარი, ჩუმად იყავით. მოთხარით, ეს კაცი ვინ არის?

პრისტი. ჩემი ძმა დიკია... რიჩარდი... რიჩარდ დაჯენი.

სუინდონი. თქვენა ძმა?

პრისტი. დიახ.

სუინდონი. დარწმუნებული ხარ, რომ ანდერსონი არ არის?

პრისტი. ვინა?

რიჩარდი (გააფთრებული). მე, მე, მე, ერთი შენი...

სუინდონი. ჩუმად იყავით, სერ.

სერჟანტი. (ყვირის), ჩუმად-მეთქი.

რიჩარდი (ბრაზით). ფუი! (კრისტის). უნდა გაიგოს, ვარ თუ არა მე მღვდელი ანდერსონი. უთხარი, მასხარასავით ნუ იმანჭები.

პრისტი (კიდე უფრო გაიბადრება). შენ — მღვდელი ანდერსონი! (სუინდონს). ბატონი ანდერსონი კარგი კაცია, დიკი კი ხელიდან წასული. წესიერი ხალხი არც კი კადრულობს მასთან ლაპარაკს. ეს ცული ძმაა, მე კი კარგი ვარ. (ოფიცრები გადაისარხარებენ, ჯარისკაცებს დიმი მოურევით).

სუინდონი. ვინ დააპატიმრა ეს კაცი?

სერჟანტი. მე, სერ, მღვდლისას კნახე, ამ ქალთან ერთად ჩაის მიირთმევდა, უქურთუკოდ იჯდა, როგორც საკუთარ სახლში. და თუ ეს კაცი მისი ქმარი არ არის, მით უარესი მათთვის.

სუინდონი. მღვდელი იკითხეთ და მან ვიპასუხათ?

სერჟანტი. დიახ, სერ! თუმცა კი ეს მღვდელს არც ჰგავს. თუ გნებავთ, ჩვენს კაპელანსაც ჰკითხეთ, სერ.

სუინდონი (რიჩარდს მუქარით). მაშასადამე, სერ, ჩვენი მოტყუება მოასურვეთ, თქვენი სახელი კი რიჩარდი დაჯენია?

რიჩარდი. ბოლოს და ბოლოს მახვდით, როგორც იქნა!

სუინდონი. კმ! (ტუჩებს მოკუმავს და მრავლისმეტყველი სიმკაცრით შეპყრებს).

პრისტი. ესენი შენ ჩამოგვიღებენ, დიკ?

რიჩარდი. დიახ, გასწი აქედან, უკვე აღარა ხარ საჭირო.

პრისტი. ჩინური ფაიფურას ფარშევანგებს მე წავიღებ, კარგი?

რიჩარდი (წამოიჭრება). გასწი, გასწი-მეთქი აქედან, გამოთავებანებული. (შეშინებული კრისტი გარეთ გავარდება).

სუინდონი (წამოღება, წამოღებიან დანარჩენებიც). რაკილა მღვდლობა მოისურვეთ, იყოს თქვენი ნება. როგორც დადგენილია, 12 საათზე სიკვდილით დასჯებით და თუ ანდერსონი მანამდე არ გამოჩნდება, მის მაგივრად საბრძოლველად თქვენ ახვალთ. სერჟანტო, გააფვანეთ ეს კაცი...

ჯუდიტი (შეძრწუნებული). არა, არა...

სუინდონი (ცოფები მოურევთ, ვაითუ ამ ქალმა განაგრძოს თავისი მუდარა). გაათრიეთ ეს დედაკაცი!

რიჩარდი (ვეფხვივით გადმოეკლება მაგიდას და სუინდონს ველში მისწვდება). არამზადავ!

ერთი მხრიდან სერჟანტი მიირბენს სუინდონის საშუკლად, მეორე მხრიდან კი ჯარისკაცები. მაგიდაზე დანარცხებული სუინდონი წამოღება და ტანსაცმელს გაისწორებს. რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ამ დროს შემოვა ბერგონი. ქაღალდები უკავია. თეთრი ფერის წერილი ისფერი ღებავა.

ბერბონი (მაგიდას მიუახლოვდება, თავშეკავებით). რა მოხდა? რა ამბავია, ბატონო ანდერსონ, თქვენ მე მალცებთ.

რიჩარდი. მაპატიეთ შეწუხებისთვის, გენერალო, თქვენი ხელქვეითის მოხრჩობა მიხლოდა და მეტი არაფერი. (გააფთრებული სუინდონისკენ გაიწევა). ქალს ბრიყვულად მოეპყარი და ჩემს სულში მოვლემარცხემა გამოაფხიზლე, ძაღლიშვილი! რა სიამოვნებით მოგიგრებდი კისურს! (სერჯანტს ხელებს გაუწვდის). მოიტანე ის შენი ხელბორკილი, თორემ ამ ხელებს ისე კერავაჩერებ.

სერჯანტი ხელბორკილს ამოიღებს და ბერგონის გახედავს, რას მეტყვისო.

ბერბონი. თქვენ შეურაცხპყავით ეს ქალბატონი, მაიორი სუინდონ?

სუინდონი (გაბრაზებული). არა, სერ, რა თქმა უნდა, არა, თქვენ ეს შეკითხვა ჩემთვის არ უნდა მოგეცათ. ქალს გასვლა ვუბრძანე, რაკილა წესი დაარღვია, ეს კაცა კი მეცა. მოაცილეთ ეგ ხელბორკილი, ჩემს თავს მეც კარგად დავიცავ.

რიჩარდი. რადგან ახლა კაცურად დაბარაკობთ, თქვენთან საჩხუბარი აღარაფერი მაქვს.

ბერბონი. ბატონო ანდერსონ...

სუინდონი. ეს კაცი დაჯენია, სერ, რიჩარდ დაჯენია, თვითმარქეია.

ბერბონი (აღშფოთდება). რას მიედ-მოედებით, სერ, დაჯენი სპრინგტუნში არ ჩამოაზრჩევთ?

რიჩარდი. ის ბიძა იყო ჩემი, გენერალო.

ბერბონი. აჰ, თქვენი ბიძა! (სუინდონს, თავაზიანად.) გახიოკთ მაპატიოთ, მაიორი სუინდონ. (სუინდონს მაინცდამაინც არ სიამოვნებს ეს ბოდიში, ბერგონი რიჩარდს მიუბრუნდება). რაღაც საბედისწეროდ ვართ გადაკიდებული თქვენს ოჯახზე. კარგით, ბატონო დაჯენ, ერთი ეს მინდა გკითხოთ, ვინ არის (წერილს ჩახედავს) უილიამ მენდევი?

რიჩარდი. სპრინგტაუნის მერი.

ბერბონი. ის უილიამ... მენდევი თუ ვინც არის... სიტყვის კაცია?

რიჩარდი. უნდა იყიდოთ მისგან რამე?

ბერბონი. არა.

რიჩარდი. მაშინ შეგიძლიათ ენდოთ.

ბერბონი. გმადლობთ, ბატონო... დაჯენ. და რადგანაც თქვენ ბატონი ანდერსონი არა ხართ, ჩვენ მაინც... რას იტყვით, მაიორი სუინდონ? (უნდა თქვას, მაინც ჩამოვაზრჩობთ).

რიჩარდი. განკარგულება არ იცვლება, გენერალო.

ბერბონი. ოჰ, მართლაც, ძალიან ვწუხვარ. უნდა დაგტოვოთ, ბატონო დაჯენ, თქვენც. ქალბატონო ანდერსონ.

რიჩარდი (თითქმის უხეშად შეაჩერებს ჯუდითს, რადგან ქალს უნდა იხევ წინ გამოიჭრეს, და მკლავზე ხელს მოკიდებს), სიტყვა აღარ დაძრათ, წამოდიეთ.

ქალი მუდარით შეხედავს, მაგრამ კაცის სიმტკიცე ძალას გამოაცლის. თახი ჯარისკაცის თანხლებით გარეთ გადიან. სახემოდუშული სერჯანტი რიჩარდის უკან მიაბიჯებს და ისე უძხვრს უკანასკნელს, ვით საშიშ ნადირს.

ბერბონი. ჯენტლმენებო, აღარ დაგაკავებთ. მაიორი სუინდონ, სიტყვა მაქვს თქვენთან, (თორ რები გადიან, იგი მშვიდად დაელოდება მათგან უკანას-



კნელის გახვლას. მერე სახე მოექუფრება და სუინდონს მიუბრუნდება, პირველად მიმართავს მხოლოდ ვეარით). სუინდონ, თუ იცით, აქ რა წერია? (წერილს უჩვენებს).

**სუინდონი.** რა წერია?

**ბერბონი.** ხელშეუხებლობის ბარათს მოითხოვენ ერთ-ერთი მათი ნაწილის ოფიცრისათვის, ვინც აქ მოხალაპარაკებლად უნდა მოვიდეს.

**სუინდონი.** ოჰო, აგადრეს უკან დახევა!

**ბერბონი.** მერე კი გვწერენ, რომ იმ კაცის გამოგზავნას აპირებენ, ვინც წუხელ აჯანყებას ჩაუღვა სათავეში და ჩვენ გამოგვყარა იქიდან. ასე რომ იცოდეთ, ეს მათი უფროსი ხელწამოსაკრავი კაცი არ არის.

**სუინდონი.** დიდი ამბავი!

**ბერბონი.** ჩვენ გვექნება საშუალება, რომ... აბა თუ იცით, რისი?

**სუინდონი.** მათი დამორჩილებისა, ვიმედოვნებ.

**ბერბონი.** არა, ამ ქალაქის დატოვებისა ექვსი საათის განმავლობაში.

**სუინდონი.** ენით უთქმელი თავხედობაა!

**ბერბონი.** როგორ გვთნიათ, რა უნდა ვქნათ?

**სუინდონი.** სპრინგტაუნს შევუტოოთ და მაგრად დავცხოთ.

**ბერბონი (შშვიდად).** ჰმ! (კარისკენ პოტრიალდება). მისაღებში გაკიდეთ.

**სუინდონი.** იქ რა გვინდა?

**ბერბონი.** ხელშეუხებლობის ბარათი დავწეროთ. (კარის სახელურს ხელს მოკიდებს).

**სუინდონი (გაქვავებული დგას).** გენერალი ბერგონს!

**ბერბონი (შეშოტრიალდება).** დიას, სერ?

**სუინდონი.** ჩემი ვალია ვითხრაო, სერ, ვერ ვხედავ მიზეზს უკანდახევასა იმ აჯანყებული მელუქნეების წინაშე.

**ბერბონი (აუმღვრევლად).** უთქვათ და უარი განვაცხადე სარდლობაზე, მაშინ რას მოიმოქმედებთ?

**სუინდონი.** რას და რისი გულითვისაც კვებუკიდან აქ ჩამოვედით, რისი გულითვისაც გენერალი პოუ ნიუ-იორკიდან ჩრდილოეთს გაემართა, ოლბენისთან მათ ნაწილებს შევეურთდები და გაერსიანებული ძალებით შევმუსრაოთ იმ ჯანყისთაყებს.

**ბერბონი (უცნაური ხმით).** ჩვენს ლონდონელ მტრებსაც ასე გაანადგურებთ?

**სუინდონი.** ლონდონელ მტრებსო?

**ბერბონი (მთამბეჭდავად).** უგნურობასა და უგულისყურობას, უვიცობასა და უქნარობასაც შემუსრაოთ? (დექეშას უჩვენებს და სასოწარკვეთილი დასძენს). ეს წუთია გავიგე, სერ, გენერალი პოუ ჯერ კიდევ ნიუ-იორკშია.

**სუინდონი (თავზარდაცემული).** ღმერთო დიდებულო! ბრძანებას გადასულა!

**ბერბონი (დამცინავი სიმშვიდით).** მას არც მიუღია ბრძანება, სერ. ვალაც ლონდონელ ჯენტლმენს დავიწყებია მისი გამოგზავნა, ქალაქგარეთ მიიჩქაროდა დასასვენებლად, მე მგონია, მისი საკვირაო გახეირნება ინგლისს ამერიკული კოლონიების ფასად დაუჯდება, სულ რაძდენიმე დღეში კი თქვენ და მე სარატოგაში ვიქნებით 5 000 ჯარისკაციოთურთ 18 000 კარგად გამაგრებულ ჯანყისთაყთა პირისპირ.

**სუინდონი (შექრწუნებული).** შეუძლებელია, სერ!

**ბერბონი (ცოვად).** რა ბრძანეთ?

სუინდონი. ამას ვერ დავიჯერებ. რას იტყვის ისტორია?

ბერკონი. ისტორია, ხერ, ჩვეულებისამებრ, ტყუილს იტყვის. წამოდით, ის ხელშეუხებლობის ბარათი უნდა დაგწეროთ. (გაღის).

სუინდონი (გაოგნებული უკან გაჰყვება). ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! დავლუპულვართ.

სერქანტი

შუადღე მოახლოებულია. ბაზრის მოედანზე გამოცოცხლებას სახრჩობელაზე, აქ რომ მუდმივად დგას დამნაშავეთა დასაშინებლად, მის გვერდით კი სხვა დასასჯელი მოწყობილობანი: სამარცხვინო ბოძი, ხუნდები და გასამათრახებლად დაგებული ფიცარნაგი, მარყუჟიანი ახალი თოკი ჰკიდია, მარყუჟი კადონზეა გადადებული, რათა ბიჭები ვერ მისწვდნენ. კიბეც აქ არის, მერიის კლერკს უკვე მოუტანია და ცნობისმოყვარეთაგან დარაჯობს. აქ თავმოყრილი უებსტერბრიჯელი მოქალაქეები სანახაობის მოლოდინში წამოგზნებულნი და კმაყოფილნი არიან, რადგან უკვე გაიგეს, რომ ეშმას მოწაფე უნდა ჩამოკიდონ და არა მღვდელი მეფე გეორგისა და მისი საშინელი გენერლის ბრძანებით. აპიტომ აღარც შიში აქვთ და აღარც სინდისი აწუხებთ, უბრძოლველად როგორ უნდა დავანებოთო. ზოგ-ზოგს მოუთმენლობაც კი ეტყობა — შუადღე მოახლოებულია და მზადყოფნა მხოლოდ იმ კიბის მოტანით აღინიშნა, მეტი არაფრითო. მაგრამ აი ყვირილი გაისმა: მოჰყავთ, მოჰყავთო. ხიშტებმომარჯვებული ბრიტანელი ფეხოსნები და ჰესენელი ჯარისკაცები სწრაფად გამოდიან საბაზრო მოედანზე და გასწი გამოსწევენ ბრბოს.

სერქანტი. სდექ! სწორდით! (ჯარისკაცები ოთხკუთხად შემოეკვრებიან სახრჩობელას, უნტერ-ოფიცერი და სერჯანტი საჩქაროდ აგდებენ იმათ, ვინც ამ ოთხკუთხედში მოქცეულა). გასწით! იქიდ გასწით! თქვენი დროც მოვა აქ საკონწიალოდ. სწორდით-მეთქი, თქვე ჰესენელი გაგრიებო, თქვენი გულისთვის გერმანულს ვერ ვისწავლი! კონდახი ხეოქეთ ფეხებში და ჰკუას ისწავლიან! გასწით-მეთქი, თქვენ გეუბნებით! (ჯუდიოს გადააწყდება, ვინც სახრჩობელასთან სულ ახლოს დგას). თქვენ აქ ვინ მოგიწვიათ?

ჯუდიო. ვიქნები აქ, ხელს არ შევიშლით.

სერქანტი. ოღონდ ხმას ნუ ამოაღებთ. ისე კი უნდა გრცხვენოდეთ, ამ კაცის ჩამოხრჩობას რომ გინდათ უცქიროთ, ვინც თქვენი ქმარი არ არის. ეგვიც კი ვინმე ყოფილა! მაიორს ვუთხარი, ჯენტლმენია-მეთქი, ის კი ეცა და კიხაღამ მოახრჩო. მის უდიდებულესობასაც რეგვენი უწოდა. ჰოდა, გასწით აქედან! ჩქარა!

ჯუდიო. ეს ორი ვერცხლის დოლარი აიღეთ და აქ დამტოვეთ.

სერჯანტი აქეთ-იქით მიმოიხედავს და ფულს ჯიბეში ჩააცურებს. შემდეგ კი ხმას აუწევს კეთილშობილური აღშფოთებით.

სერქანტი. რაო! ფული შემოძაძლიეთ მოვალეობის მოხდის ხანს? რას მიბედავთ! მეფე გეორგის ოფიცრის ცდუნებისათვის დაპატიმრებული ხართ. სანამ სიკვდილით დასჯა არ დასრულდება, მანდ იდექით, ჩემ თვალწინ, და არ წახვიდეთ, სანამ ნებას არ მოგცემთ. (თვალს ჩაუკრავს და იმ ოთხკუთხედის მარჯვენა კუთხეში მიუთითებს სახრჩობელის უკან, მერე ზურგით მიტრიალდება და ისევ აყვირდება). სწორდით! უკან მიდექით-მეთქი, თქვენ გეუბნებით!

აქ მოგროვილ ქალაქელებს შორის გაისმის: „სუ, სუ, ჩუმად!“ სამხედრო ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს ჰენდელის „საულიდან“. ბრბო მაშინვე გაყუჩდება. სერჯანტი და უნტერ-ოფიცრები ოთხკუთხედის შუაგულში გამოვლენ, ჩურჩულთ ბრძანებას იძლევიან და ზოგს მუჯღუგუნებითაც აგდებენ, რათა გზა მიხიონ აქ შემოსულ სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც ჯარისკა-

ცების ორი რიგით გარშემოწყობილი მოემართება. პირველები ბერგოინი და სუინდონი შევლენ ამ ოთხკუთხედში, ზიზღით ახედავენ სახრჩობელას. მერე იქვე, გვერდზე მიდგებიან, მარყუჟის ქვეშ გავლა რომ აღარ მოუხდეთ. მერე შემოვა ბ.ნი ბრიუდნელი, კაპელანი, ხელთ გადაშლილი ლოცვანი უკავია, გვერდით რიჩარდი მოჰყვება პირქუში, გამოძწვევი იერით, შტკიცე ნაბიჯით ჩაივლის მარყუჟის ქვეშ და ოდნავ წინ დადგება. მერე გამოჩნდება ჯალათი, სახელოებაწეული ზორბა ჯარისკაცი. ორი ჯარისკაცი მსუბუქ ხამხედრო საზიდარს შემთავორებს. დაბოლოს ორკესტრი შემოვა, სამგლოვიარო მარშის დაკვრას ამთავრებს. ჯუდიით შეწუხებული უმზერს რიჩარდს, მერე სახრჩობელას ჩუმად მიუახლოვდება და მის მარჯვენა ბოძს მიეყრდნობა. შემდგომი საუბრის დროს საზიდარს შემთავორებენ სახრჩობელის ქვეშ, ხელნებით უკან, ორი ჯარისკაცი აქეთ-იქიდან ამოუდგება. ჯალათი საზიდრიდან პატარა კიბეს გადმოიღებს და უკან მიადგამს, რათა მსჯავრდადებულს არ გაუჭირდეს მასზე ასვლა. შემდეგ აძვრება კიბეზე, ზედა ძელზე მიბმულ წვრილ თოკს გადაჭრის, მარყუჟს გაანთავისუფლებს და ისიც საზიდრის თავზე აქანავდება. ჯალათი ისევ საზიდარზე დადგება.

**რიჩარდი** (ბრაზი ახრჩობს და თავს ძლივს იკავებს, ბრიუდნელს). აციო, რას გეტყვით, სერ, თქვენსაირ კაცს აქ არაფერი ესაქმება. რად არ მიდიხართ?

**სუინდონი**. მე გირჩევთ, პატომარო, თუკი რამ ღირსების გრძნობა მაინც დაგრჩათ, ყურად იღოთ კაპელანის რჩევა-დარიგება და ამ საზეიმო წუთს თავი არ შეივრცხვიოთ.

**კაპელანი** (რიჩარდს დაევაუებითა და თან საყვედურით). ნებისყოფას მოუხსნეთ და დამორჩილდით ღვთის ნებას. (ლოცვანს აღმართავს და სალოცავად მოემზადება).

**რიჩარდი**. თქვენ გნებავთ თქვათ, სერ, თქვენსა და კიდევ თქვენს ამ ორ თანამდგომთა ნებას. (ბერგოინსა და სუინდონზე მიუთითებს). ღვთაებრივს ვერაფერს ვხედავ თქვენში. ან რომელ ქრისტიანულ სათნოებაზე მელაპარაკებთ მტრის ჩამოსახრჩობად გამზადებულნი? ვის გაუგონია ასეთი მკრეხელობა! (სუინდონს მკვახედ.) თქვენი საზეიმო წუთი, როგორც წამოროშეთ, ის არის, ხალხი განაცვიფროთ ზარზეიმურობით — ჰენდელის მუსიკაო, მღვდლის მოსვლაო, რათა მკვლელობა ღირსეულ სანახაობად გადააქციოთ! ჰოდა, როგორ გგონიათ, მე ვიქნები ამ საქმეში თქვენი მშველელი? თქვენ მე თოკი ამომარჩევით, რადგანაც კარვად არც გისწავლიათ სროლა. კარგი, ჰქმენით, რაც საქმელია, და მორჩით ყველაფერს.

**სუინდონი** (კაპელანს). თქვენ არაფერს ეტყვით ამ კაცს, ბატონო ბრიუდნელ?

**კაპელანი**. კიდევ შევიცდები, სერ. (კითხვას იწყებს). „კაცი შობილ დედაკაცისაგან...“

**რიჩარდი** (თვალს არ აცილებს). „არა კაც კლა“.

**ბრიუდნელს** კინაღამ ხელიდან გაუვარდება ლოცვანი.

**კაპელანი** (უმწეოდ). რაღა უნდა ვითხრაო, ბატონო დაჯენ?

**რიჩარდი**. თავი გამანებეთ, კეთილო კაცო, გესმით?

**ბერგონი** (დახვეწილი თავაზიანობით). მე მგონია, ბატონო ბრიუდნელ, თქვენი ჩვეულებრივი მოვალეობის მოხდა ბატონ დაჯენს უადვილოდ ეჩვენება და სჯობს შეიცადოთ, სანამ... ბატონ დაჯენს იგი უკვე აღარ შეაწუხებს. (ბრიუდნელი მხრებს აიჩეჩავს, ლოცვანს დახურავს და სახრჩობელის უკან დადგება.) მგონია, თქვენ ჩქარობთ, ბატონო დაჯენ?

**რიჩარდი** (უკვე შიში იტანს სიკვდილის მოახლოებაზე). როგორ ფიქრობთ, ძალიან სასიამოვნოა ეს მოლოდინი? მკვლელობა ვადგინებთა და ნუღარ აყოვნებთ.

**ბერბონი**. ბატონო დაჯენ, მიზეზი მხოლოდ...

**რიჩარდი**. ისაა, რომ თქვენ ჯამაგირს ამაში იღებთ.

**სუინდონი**. რა თავხედია... (თავს იკავებს).

**ბერბონი** (შეტისმეტი გულითადობით). ოჰ, ნამდვილად ვწუხვარ, რომ ასე ფიქრობთ, ბატონო დაჯენ. თქვენ რომ იცოდეთ, ჩემი მდგომარეობა რა დამიჯდა ან რამდენს მიხდია, სულ სხვანაირი აზრი გექნებოდათ ჩემზე. და მაინც მოხარული ვიქნებოდი მეგობრულად დავცილებოდიო ერთმანეთს.

**რიჩარდი**. კარვით ერთი, გენერალი ბერგონს, თუ ფიქრობთ, რომ ჩამოხრჩობა მიხარია, სცდებით, სულაც არ მიხარია და ვერც აღტაცებას გამოვჩაბავ. ხოლო თუ ფიქრობთ, დიდად დამაყალებო, ასე ჯენტლმენურად რომ მიიტუმრებთ საიქიოს, ძალიან შემცდარი ბრძანდებით. ჯანდაბას, მე ეს ამბავი სულაც არ მომწონს და მხოლოდ ის შვერის შვებას, რომ მოვა დრო და აქ ყოფნა ისევე სამწუხარო იქნება თქვენთვის, როგორც ჩემთვის იქ, ზევით ყოფნა. (მიტრიალდება და საზიდარს მიაშურებს. იმ წუთს ჯუღითი წინ გადაუდგება მკლავებგაშლილი. რიჩარდი გრძნობს, სულ ცოტაც და ღონე უმტყუნებს, და შეჰყვირებს.) თქვენ აქ რა გინდათ?! სათქვენო ადგილი აქ არ არის! (ქალს თითქოსდა უნდა ძას შეეხოს, ის კი ბრაზით გაიწევს.) არა, არა, გასწით, გასწით აქედან, თქვენ სულ თავგზას ამირევთ. წაიყვანეთ ვინმემ ეს ქალი!

**ჯუღითი**. თქვენ ჩემთან დამშვიდობება არ გინდათ?

**რიჩარდი**. (მხოლოდ ხელს მოჭვიდინებს). ოჰ, მშვიდობით, მშვიდობით. ახლა კი გასწით, გასწით ჩქარა აქედან! (ქალი მის ხელს ჩაეჭიდება, ასეთი ცივი დამშვიდობება არ აკმაყოფილებს და, როცა რიჩარდი თავის განთავისუფლებას შეეცდება, სასოწარკვეთილი ჩაეკვრება).

**სუინდონი** (ხერყანტს დაუბღვერს, რომელიც ხედავს, რაც ხდება, ოთხკუთხედის სიღრმიდან გამოვა და ჯუღითს უკან დაუდგება დაბნეული). რა ხდება? ეს ქალი აქ ვინ შემოუშვა?

**სერჟანტი** (დამნაშავის სახით). ვერ გეტყვით, სერ, ისეთი მოხერხებულია, სად არ გაძვრება.

**ბერბონი**. მოგრთამათ?

**სერჟანტი** (აღშფოთებით). არა, სერ...

**სუინდონი** (შკაცრად). იქით ვადით! (ხერყანტი გადის).

**რიჩარდი** (მუდარით ირგვლივ მიმოიხედავს, და ბოლოს ბერგონს დააცქრდება, როგორც ყველაზე უფრო გონიერს). გაიყვანეთ ეს ქალი. როგორ გვინდათ, ახლა ქალის თავი მაქვს?

**ბერბონი** (ჯუღითს მიუახლოვდება, ხელმკლავს გამოსდებს). ბრძანდებოდეთ აქ, ქალბატონო, თუ ასე გნებავთ, ამ წრის აქეთ, მაგრამ ჩვენ უკან დადებით და არ შეხედოთ.

**რიჩარდი** შვებით სულს მოითქვამს, როცა ქალი უკან მიდგება, მერე ბერგონს ზურგს შეაქცევს და საზიდარს მიაშურებს, ზედ ავა. ჯალათი სერთუკს გასწით და ხელებს უკან გადაუწევს.

**ჯუღითი** (ბერგონს ხელს გამოსტაცებს). არა, მე აქ დაერჩები, აქ უნდა ვიყო. (სახრჩობელის ახლოს დადგება, მარჯვენა ბოძთან, უნდა რიჩარდს უცქიროს, მაგრამ აკანკალებული მიტრიალდება, დაიჩოქებს და ღოცვას დაიწევს. მზიუდნელი ქალთან მივა).

ბერბონი (თავს დამშვიდებული დააქნევს მუხლებზე დაცემული ქალის დანახვაზე). დიახ, ასე სჯობს. ქალს ნულარ შეაწუხებთ, ბატონო ბრიუნელ, ყველაფერი კარგად იქნება. (ბრიუნელიც თავს დაუქნევს და ცოტათი უკან მიდგება, ქალს თანაგრძნობით უყურებს. ბერგონი თავის ადგილს იკავებს და ჯიბიდან ოქროს საათს ამოიღებს). ხომ ყველაფერი მზად არის? ბატონ დაჯენს ნულარ დავაყოვნებთ.

ამ დროს რიჩარდს ხელები უკვე ზურგს უკან აქვს გაკრული, ყულფი — კისერზე ჩამოცმული. ორი ჯარისკაცი საზიდრის ხელნებს ჩაეჭიდება და მზად არიან გადააგორონ. ჯალათი საზიდარში რიჩარდის უკან დადგება და სერჟანტს ანიშნებს.

სერჟანტი (ბერგონს). ყველაფერი მზად გახლავთ, სერ.

ბერბონი. თუ გაქვთ რამე სათქმელი, ბატონო დაჯენ? თორმეტამდე კიდევ ორი წუთია დარჩენილი.

რიჩარდი (ომახიანი ხმით იმ კაცისა, რომელმაც სძლია სიკვდილის შიშს). თქვენი საათი ორი წუთით ჩამორჩება ქალაქისას, ეხედავ აქედან, გენერალო. (ქალაქის საათი რეკვას იწყებს. ხალხს ოხვრა აღმოხდება და უნებლიეთ უკან დაიხევს). ამინ, ამ ქვეყნის მომავლის სანაცვლო იყოს ჩემი სიცოცხლე!

ანდერსონი (ყვირილით შემოიჭრება მოედანზე). ამინ! დასჯა შეაჩერეთ! (გამოარღვევს ჯარისკაცების რიგს ბერგონის წინ და ქოშინით მიიჭრება სახრჩობელასთან). მე ენტონი ანდერსონი ვარ, ის კაცი, ვისაც თქვენ ეძებთ!

სუნთქვაშეკრული ბრბო სმუნად იქცევა. ჯუდითი წამოიწევა და თვალებგაფართოებული ანდერსონს მიაჩერდება, შემდეგ ხელებს ზეაღმართავს მადლობის ნიშნად, ზეცამ ისმინაო ჩემი ვედრება...

სუინდონი. რას ამბობთ! სწორედ დროზე მობრძანდით, თქვენი ადგილი უნდა დაიკავოთ სახრჩობელაზე, დააპატიმრეთ ეს კაცი!

სერჟანტი ანიშნებს და ორი ჯარისკაცი წინ გამოვა ანდერსონის დასაჭერად.

ანდერსონი (რალაც ქალაქს ამოიღებს და სუინდონს ცხვირთან მიუტანს). ჩემი ხელშეუხებლობის ბარათი, სერ!

სუინდონი (გაოგნებული). ხელშეუხებლობის ბარათი! ეს თქვენა ხართ?..

ანდერსონი (შთამბეჭდავად). დიახ, მე ვარ. (ორი ჯარისკაცი მხრებში ჩაეჭიდება.) უთხარით თავი დამანებონ.

სერჟანტი. გასწით!

ორივე ჯარისკაცი თავის ადგილას დაბრუნდება. ბრბო მხიარულად აყაყანდება. ქალაქელებს გული მოეცემათ, რაკი ხელავენ მტერთან მღვდლის თავდაჯერებულ საუბარს.

ანდერსონი (შვებით ამოისუნთქავს და ცხვირსახოცით შუბლს შეიშორავს). მადლობა დმერთს, დროზე მოვედი!

ბერბონი (ჩვეულებრივსამებრ შეუშფოთებლად, საათი ისევ ხელში უკავია). დროზე ადრეც, სერ. ამერიკული საათის მიხედვით მე კაცს როგორ ჩამოვახრჩობდი! (საათს შეინახავს.)

ანდერსონი. დიახ, რამდენიმე წუთით გისწრებთ კიდევაც, გენერალო. ახლა კი მოხსენით ყულფი ამ ამერიკელ მოქალაქეს.

ბერბონი (ჯალათს მიმართავს დიდი თვალით). გახიოვთ ხელები გაუხსნათ ბატონ დაჯენს.

ჯალათი ყულფს მოხსნის რიჩარდს, ხელებსაც გაუნთავისუფლებს და სერთუკის ჩაცმაშიც შეეშველება.



ჯუდიტი (გაუბედავად უახლოვდება ანდერსონს). ტონი...

ანდერსონი (ხელს შემოიხვევს მხრებზე და გრძნობით კუბნება). ახლა რას ფიქრობ შენს ქმარზე? პა? მითხარია!

ჯუდიტი. მრცხვენია... (ხახვს მის მკერდზე ჩაძალავს.)

ბერპონი (სუინდონს). თქვენ თითქოს გული დაგწყდათ, მაშინ სუინდონს?

სუინდონი. თქვენ კი დამარცხებული ჩანხართ, გენერალო ბერგონს.

ბერპონი. დიახ, სერ, და მიხარია კიდეც, როგორც აღამიანს. (რიჩარდი საზიდრიდან ჩამოხტება, ბრიუდნული ხელს შეაშველებს. მერე ანდერსონთან მიიბრუნებს და გულიანად ჩამოართმევს მარცხენა ხელს, რადგანაც მარჯვენა ანდერსონს ჯუდიტისთვის მოუხვევია.) მაგრამ, ბატონო ანდერსონ, რაღაც არ მესმის, ხელშეუხებლობის ბარათი ხომ აჯანყებულთა ნაწილის უფროსს უნდა მქონოდა, თქვენ კი, მგონი... (ჯიქურ, თუმცა ზრდილობიანად, როგორც ეს შეფუერება კარგად აღზრდილ კაცს, დაატკერდება მის ჩექმებს, პისტოლეტებსა და რიჩარდის ქურთუკს) მღვდელი ბრძანდებით.

ანდერსონი (რიჩარდსა და ჯუდიტს შუა ღვას). სერ, მხოლოდ განსაცდლის უამს ჩახედება კაცი თავის ჭეშმარიტ მოწოდებას. ეს სულელი ყმაწვილკაცი (რიჩარდს მხარზე ხელს დაადებს) გაიძახოდა, ეშმას მოწაფე ვარო, მაგრამ განსაცდლის უამს მიხვდა, ტანჯვა და თაყვანწირვაა მხოლოდ აღამიანის ღირსება. მე მშვიდობიანი მღვდელი მეგონა ჩემი თავი, მაგრამ განსაცდლის უამს მივხვდი, ვერ დავრჩებოდი უმოქმედოდ და ჩემი ადვილი ბრძოლის ველი და ცეცხლია. პოდა, ორმოცდაათი წლის კაცმა ხელახლა დავიწყე ცხოვრება. მე გახლავართ ენტონი ანდერსონი, კაპიტანი სპრინგტაუნის რაზმისა, ხოლო ეს კაცი, ეშმას მოწაფე, ღირსი რიჩარდ დაჯენი ჩემს კათედრას დაიკავებს და ჭკუას დაარიგებს ჩემს პატარა სულელ და გრძნობიერ ცოლს. (მერე ხელს მხარზე დაადებს ჯუდიტს. ქალი შეფარვით რიჩარდს გახედავს, რას იტყვისო ამაზე). ერთხელ დედათქვენმა მე მითხრა, რიჩარდ, და, მგონი, მართალიც იყო, მღვდლობისთვის დაბადებული კაცი ჯუდიტს არ აირჩევდაო. დე ეს ჩემი სურთუკი თქვენ დავრჩეთ, მე კი თქვენი ქურთუკი მქონდეს.

რიჩარდი. მღვდელი... ანუ კაპიტანო, თურმე რა რეკვენი ვყოფილვარ.

ჯუდიტი. არა, გმირია!

რიჩარდი. ეს ერთი და იგივე უნდა იყოს. (თავის თავზე ბრაზობს.) თუმცა არა, ცოტა მაინც ჭკუათამყოფელი კაცი რომ ვყოფილიყავი, მეც იმახვე გააკვეთებდი, რაც თქვენ ჩემთვის გააკეთეთ, და ამოდ მსხვერპლად არ შევეწირებოდი.

ანდერსონი. ამოდო, ნუ ამბობთ, ჩემო ბიჭო. ამ ქვეყანას წმინდანებიც სჭირდება და ჯარისკაცებიც. (ბერგონს მიუბრუნდება). ახლა კი დრო აღარ ითმენს, გენერალო. ამერიკას ეჩქარება. იმედია მიხვდით, რომ შეიძლება აიღოთ ქალაქები და მოიგოთ ბრძოლები, მაგრამ მთელ ერს ვერ დაიმორჩილებთ.

ბერპონი. ძვირფასო სერ, სივრცეთა დაუპყრობლად არისტოკრატია ვერ იარსებებს. შტაბში წამობრძანდით და იქ მოვილაპარაკოთ ყველაფერზე.

ანდერსონი. სიამოვნებით, სერ. (რიჩარდს.) ჩემ მაგივრად ჯუდიტი სახლში წაიყვანეთ, ჩემო ბიჭო. (ქალს იმისკენ წაუბიძგებს.) წავიდეთ, გენერალო! (საქმიანი ნაბიჯით, საბაზრო მოედნით ქალაქის მერიას მიაშურებს, ჯუდიტს რიჩარდთან ტოვებს. ბერგონი ჯერ მას გაჰყვება, მაგრამ ორი ნაბიჯის შემდეგ რიჩარდს მიუბრუნდება).

**ბერბონი.** იცით, რა უნდა ვითხრათ, ბატონო დედა, თვის ნახუვარზე ჩემთან მიბრძანდით და ვისაუბროთ, ძალიან გამიხარდება. (და ძლიერ შესაძინე. ვი ეშმაკური ღიმილით დასძენს.) ქალბატონი ანდერსონიც წამოიყვანეთ, თუკი მოასურვებს და პატივს დამღებს: (სუინდონს, ვინც გამძვინვარებულია). გულს სუ გაიტყუოს, მაშინ სუინდონს, თქვენი მეგობარი ბრიტანელი ჯარისკაცი კე-ლაფერს ვაუძღვებს, მხოლოდ ბრიტანულ სამხედრო უწყებას უჭერს კისრს. (შიდის ანდერსონთან ერთად.)

**სერჟანტი.** რას მიბრძანებთ, სერ?

**სუინდონი (ბოლოთ).** რას მიბრძანებთ! რაღა უნდა ვითხრა, როცა ჯარი აღარაა. თქვენს ყაზარმებში დაბრუნდით და მერე თქვენ... (ქუსლებზე შეტრიალდება და გადის.)

**სერჟანტი (ოქანთან და მხედ, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყოს).** სწორდით! თავები ძაღლი! დე დაინახონ, რომ არაფრად მიგვაჩნია ეგები. თი-ფები მხრებზე! შემოტრიალდით! თახ-თახად ნაბიჯით იარ!

ღოლების გამაყრუებელი ხმა ისმის, ორკესტრი „ბრიტანულ საგრუნადე-როს“ უკრავს; სერჟანტი, ბრიუნელი და ინგლისელი ჯარისკაცები გამოძვე-ვად მწყობრი ნაბიჯით ყაზარმებისკენ გასწევენ. ქალაქელთა ბრბო ყიჟინით და-ეღვენება. ბრბოს უკან მიძავალი ქალაქის ორკესტრი თავის მხრივ „იანკი-დუდლს“ დასცხებს. ბრბოსთან ერთად მოხული ესი რიჩარდთან მიიბრძენს.

**მსი.** ოჰ, დიკ!

**რიჩარდი (მხიარულად, თუმცა კი მტკიცედ).** კარგი, კარგი, გეყოფა! ჩა-მოხრჩობას კიდევ რა უშავს, ოღონდ სუ შემიცხადებ.

**მსი.** არა, გავჩუმდები. კარვად მოვიქცევი. (ცრემლების შეკავენას ცდი-ლობს, მაგრამ ვერ შეძლებს.) მე... მე ვნახა ჯარისკაცები სად წავიდნენ. (რამ-დენიმე ნაბიჯს გადადგამს, ვითომდა ბრბოს უნდა გახედოს).

**ჯუდიტი.** დამპირდით, რომ მას არაფერს ეტყვი.

**რიჩარდი.** სუ გეშინიათ.

ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს.

**მსი (ყვირის).** ისინი ბრუნდებიან, თქვენი გულისთვის ბრუნდებიან!

საყოველთაო ზეიშია საბაზრო მოედანზე. მუსიკა გრიალებს, მოქალაქეები გარშემოეხვევიან რიჩარდს, მხრებზე დაისვაძენ და ასე გაკყავთ მხიარული შე-ძახილებით.



შუადღის შესვენება



პიესა

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ ნუკიაშვილმა

მოქმედი პირნი:

ქალიშვილი

კაცი

სასტუმროს დიასახლისი

დონდონი. პატარა ოთახი სასტუმროში, რომელიც კინგს-კროსის სადგურის ახლოს მდებარეობს. ბუხრის თავზე ძველებური საათი რეკავს, პირველი საათია, ზამთარია.

სცენის სიღრმეში კარი მოჩანს. ოთახის შთელი ავეჯეულობა ფართო, სპილენძის კაბეებიანი საწოლია თეთრი გადასაფარებლით. სხვა დანარჩენს ჭუჭყიანი მოყვითალო ფერი დაჰკრავს. აბურცულ შპალერზე ერთი და ავივე ციხესიმაგრის ნახატი მეორდება. გამჭვარტლულ ბუხარში ცეცხლი ანთია, გვერდით გაზის ავტომატი უდგას შილინგის ჩასაგდებად. ჭერიდან უჭადო, შიშველი ნათურაა ჩამოშვებული. ბუხრის თავზე ბიბლია, საათი და მატარებლების განრიგი დევს. გარედან მატარებლების ხმაური ისმის. სარკმელს მაქმანის ფარდა აქვს ჩამოფარებული. შემოდის ასე ზეცდარი წლის ქალიშვილი და ფრთხილად ათვალიერებს ოთახს. აცვია უბრალოდ, თუმცა მისი ჩაცმულობა პრეტენზიულია.

მას შემოყვება კაცი. აანთებს სინათლეს. ორმოციოდე წლისა, იქნება, თმა გამეხნელებული აქვს. სასიამოვნო შესახედაობის კაცია, თუმცა არაფრით არ გამოირჩევა. აცვია მუქი კოსტუმი, საყულოგახამებელი თეთრი პერანგი. ორივეს პალტო აცვია. ბარგი არა აქვთ. ქალიშვილი აქეთ-იქით იყურება და წყნარად იწყებს სიცილს.

კაცი: რა გაცინებს?

ქალიშვილი: არ ვიცი.

კაცი: ბედნიერება?

ქალიშვილი: შიმშილიც მაცინებს ხოლმე.

კაცი: (განაწყენებული). შენ თუ ჭამა უფრო ვინდა...

ქალიშვილი: სულაც არ მინდა (უცებ მოეხვევა). ამ პალტოში ისეთი დიდი მკჩვენები... მთასავით.

კაცი: ახლავე გაუიხდი.

ქალიშვილი: ჯერ არ ვინდა. სადა ვართ?

კაცი: ერთ უბრალო სასტუმროში.

ქალიშვილი: სასტუმროში?

კაცი: სადგურის გვერდითაა. მოსახერხებელია...

ქალიშვილი: ვისთვის?

ჯონ მორტიმერი თანამედროვე პოპულარული ინგლისელი მწერალი და დრამატურგია. წინამდებარე პიესა რამდენიმე წლის წინ გადაიკა ბი-ბი-სის რადიოს მესამე პროგრამით ჩაღე სოლსბერის თეატრშიც დაიდგა და დიდი წარმატებაც ხედა წილად.

**კაცი:** იმათთვის, ვინც ჩრდილოეთ ინგლისიდან ჩამოიდა.

**ქალიშვილი.** (ოცნებით გართული). ძალიან სასაცილო რაღაცას ამბობ. (კოცნიან ერთმანეთს). ვინმემ ხომ არ იცის, რომ აქა ვართ?

**კაცი:** მე ტიუდორების დარბაზში ტექსტილის ბიზნესმენთათვის გამართულ საუბრეზე გახლავარ, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება.

**ქალიშვილი:** მე კი მარტოდმარტო ვზივარ კაფეში, ჩაბნელებულ მუთხეში და ბუტერბროდს შევექცევი. ფიკუსის ყოთოლი ლოყაზე მელამუნება. უძუშევარი მსახობები მგლებივით მისჩერებიან შავგვრემან, შარვალშემოტმასნილ, ჩაბუტკუნებულ იტალიელ ოფიციალტ ქალებს...

**კაცი:** „აბა, ჯენტლმენებო, აი, ის ორაგული გასინჯეთ, დიდ ლანგარზე“, — ამას მე ვთავაზობ.

**ქალიშვილი:** იქ რომ დაგვიწყონ ძებნა?

**კაცი:** დაგვიწყონ და ვერ გეპოვნიათ.

**ქალიშვილი:** კო, ჩვენ არსად არა ვართ...

**კაცი:** ჩვენ აქა ვართ.

**ქალიშვილი:** გაუჩინარდით... აღარ ვარსებობთ.

**კაცი:** მთელი საათით... ან ცოტა მეტი!

**ქალიშვილი:** მეტი არ შეიძლება.

**კაცი:** ბიზნესმენთა საუბრე ისე გაჭიანურდება ხოლმე, რომ კაცმა არ იცის, როდის დამთავრდება.

**ქალიშვილი:** კი მაგრამ, ერთი ბუტერბროდით რიღემდე გინდა დროას გაჭიანურება. (გაჩუბდებიან).

**კაცი:** ამ პალტოში ერთი ციციქნა ჩანხარ.

**ქალიშვილი:** ვისა ვგავარ?

**კაცი:** დილით თოვლით გადაპენტილ ბაღში გამოსულ ბავშვს.

**ქალიშვილი:** კიდევ ვის?..

**კაცი:** სახლიდან გაქცეულ, სხვის ტანსამოსში გადაცმულ ქალს...

**ქალიშვილი:** აბა, კიდევ?..

**კაცი:** არქტიკის მკვლევარის გამოუცდელ ცოლს...

**ქალიშვილი:** კიდევ?

**კაცი:** მორჩა. ჩემი მარავი ამოიწურა.

**ქალიშვილი:** რისი მარავი?

**კაცი:** სიტყვების. (გაჩუბდებიან).

**ქალიშვილი:** ისე კი ბუტერბროდი სულაც არ არის უგემური. ამ კაფეში სხვა რამეებიც იყიდება: შნიცელი, ფუმფულა ცომში გამომცხვარი ცხელცხელა სოსისები, მლოვეი რამდენიც გესიამოვნება... ისეთი გემრიელი საჭმელებია, სულ თითებს ჩაიკვნეტ!

**კაცი:** შენ კაფეში ჯდობა გერჩივნა?

**ქალიშვილი:** აქ უფრო...

**კაცი:** რა?

**ქალიშვილი:** უფრო საინტერესოა.

**კაცი:** მართაღს ამბობ?

**ქალიშვილი:** იმიტომ, რომ მე შენ მიყვარხარ.

**კაცი:** მეც მიყვარხარ!

**ქალიშვილი:** დიდი ხანია?

**კაცი:** მას შემდეგ, ჩემს კაბინეტში რომ შემოხვედი...

**ქალიშვილი:** ახალი ესკიზები მოეიტანე პლუშის ქსოვილის მოსახატავად.

**კასი:** ესპანური პლუშისათვის.

**ქალიშვილი:** გახსოვს?!

**კასი:** და ისიცა მკითხე: შეიძლება აქედან ასლის კადასარზე განყოფილებაში ვაგიდო?

**ქალიშვილი:** შენ კი ბრძანე: არაო.

**კასი:** მაგრამ განვიხილოთ, როგორ ვახვიდეთ-მეთქი.

**ქალიშვილი:** შენ წამოდექი, სარკმელში შემოსული სინათლე ზურგთან გცემდა და ვერცხლის ქანდაკებასავით ბრწყინავდი...

**კასი:** მისტერ ჯეკონსამდე მივაცილე...

**ქალიშვილი:** გრძელი, ჩაბნელებული კორიდორი გავიარეთ, ხანში შესული მემანქანე ქალების დაუინებულ მზერასაც ვაუწყელით...

**კასი:** ლიფტში...

**ქალიშვილი:** ერთი სიტყვაც არ დაგცდენია!

**კასი:** რაღაც ალღოთი ვიგრძენით, ერთმანეთისაკენ მიგვიწევდა გული...

**ქალიშვილი:** მე განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ ლიფტში ჩუმად იდექი და გაცვეთილ ფრაზებს არ ისროდი. აი, ამდგვარს: „აქამდე სად იყავა, ერთხელ მაინც რომ არ შემხვდი?“ ან — „სახლში ერთი შეხნაირი კიდეც ხომ არა გყავს?“ ეგ კი არა, ზედაც არ შემომხვდე...

**კასი:** ნამდვილად გაოგნებული ვიყავი!

**ქალიშვილი:** ჰო, ჰო...

**კასი:** შენც საკმაოდ დაბნეული ჩანდი. ეგ მეც კი ვიგრძენი იმ უზარმაზარ დაწესებულებაში.

**ქალიშვილი:** მაგას კი არ ველოდი... ტექსტილის შესყიდვის განყოფილების გამგისაგან!

**კასი:** მე ხომ მხოლოდ გეგმებზე ვფიქრობ?

**ქალიშვილი:** (მიეკრობა). ო, ეს სიყვარული! ნეტავი საიდან დაატყდება ხოლმე ადამიანს თავზე შეხვიით!

**კასი:** (სამსახურზე ფიქრობს). მე მხოლოდ მეორე ნომერი ვარ იმ უბადრუკ განყოფილებაში. ეშმაკსაც წაუღია პარისი!

(იგი დაბნეულად, ანგარიშმიუცემლად კოცნის ქალიშვილს, რომელიც უცებ მოიცილებს მას).

**ქალიშვილი:** მე შენ ისეთი გოგო ხომ არა გგონივარ, ამისთანა ადგილებში რომ დაბრძანდებიან?

**კასი:** (იხევ მიაპყრობს ყურადღებას). არა!

**ქალიშვილი:** მაშ აქ რა მიხდა?

**კასი:** ეგ ჩემი ბრალია.

**ქალიშვილი:** (ჩაფიქრდება, თავს აქნევს). ალბათ ისეთიცა ვარ. (ისმის მატარებლის ხმაური).

ეს რა არის?

**კასი:** სადგურია.

**ქალიშვილი:** დიახ, ისეთი ვარ, როგორებიც აქ დადიან. (თავში რაღაც აზრი გაუელვებს). შენ ყოველთვის ასე ატარებ შესვენებას მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან? მერე კი ოთხ საათზე ცდილობ შეუმჩნევლად აითესო სამსახურიდან, რომ კარგად ისადილო?..

**კასი:** ადრე აქ არახოდეს ვყოფილვარ.

**ქალიშვილი:** მართლა?

**კაცი:** კი.

**ქალიშვილი:** მაპატიე.

**კაცი:** მე შენ მიყვარხარ.

**ქალიშვილი:** ერთხელ კიდევ მოთხარი...

**კაცი:** მე შენ მიყვარხარ.

**ქალიშვილი:** ასე.

**კაცი:** ნახევარი წელია...

**ქალიშვილი:** მთელი ზაფხული.

**კაცი:** როცა ვერსად შევაფარებდით თავს...

**ქალიშვილი:** მიუხედავად შენი სამსახურისა და შენი... სხვა ცხოვრუ-

ბისა.

**კაცი:** ეს სულის სიმხნევებს გემატებდა.

**ქალიშვილი:** ჩვენ ყოველთვის ყველაფერი სულ რამოდენიმე წუთით

გექონდა, კორიდორში პატარა მაგიდა იდგა, იქ ჩაის ვსვამდით...

**კაცი:** ლიფტში ხელიხელჩაკიდებული ვიდექით...

**ქალიშვილი:** სანაპიროზე პარკში მელოდებოდი, სამსახურიდან შენ მი-

დიდი პირველად, გამგე ხარ და გეგმების შედგენასაც შენ ხელმძღვანელობ...

**კაცი:** ერთი და იგივე სკამზე!

**ქალიშვილი:** ყვავილები მზისკენ მიილტვოდნენ, მეტროს შესასვლელ-

თან ვიღაცა ცალსიმიან კიოლინოს აცოდვინებდა, გაზეთწაფარებულ მაწანწა-

ლებს კედელთან მიყუჩულებს ეძინათ, ღღეში სულ ათი წუთი გექონდა, ახლა

კი...

(საათი რეკავს).

**კაცი:** ორის თხუთმეტი წუთია.

**ქალიშვილი:** (მოსცილდება მას და ოთახში გაივლის). ამ ოთახში.

**კაცი:** არ მოგწონს?

**ქალიშვილი:** სიმართლე რომ ითქვას, აქ არა უშავს რა...

**კაცი:** წამოწვები შენს ნებაზე... მოდი, პალტიები გავიზადოთ.

**ქალიშვილი:** ცივა.

**კაცი:** გაზს ავანთებ. (მიდის ბუხართან) შილინგი გვინდა... (ვერ პოულობს

ფულს). ფუი, ამისი რჯული არ იყოს!

**ქალიშვილი:** მოიცა, მე მოვძებნი! (იქექება თაუის საფულეში) მხოლოდ

ექვსპენსიანები მაქვს. შეიძლება ორი ექვსპენსიანი ჩაყუშვა? (ხურდა ფულს

აპარატში ჩაყრის, გაზი არ ინთება).

**კაცი:** დაიკარგა შენი ფული.

**ქალიშვილი:** ეგ არაფერი.

**კაცი:** მოდი, დაგიბრუნებ.

**ქალიშვილი:** რა სისულელეა.

**კაცი:** კვირის ბოლოს ყავისთვის დაგაკლდება.

**ქალიშვილი:** არ მიხდა.

**კაცი:** აი... (უთვლის ფულს) ექვსი პენსი, შვიდი... ცხრა...

(კარზე აკაკუნებენ. შემოდის სასტუმროს დიასახლისი).

**ქალიშვილი:** (ღამის ყვირის) არ მიხდა მე შენი ფული!

**დიასახლისი:** (ქალიშვილს) ვინდით რამე? (იგი ფაშფაშა ქალია, მზრუნ-

ველი მატრონას იერი აქვს).

**კაცი:** ა, დიახ, ერთი შილინგი ბუხრისათვის.



საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამართლებრივი ცენტრი

**დიასახლისი:** (ქალიშვილს) შეგცივდათ? ალბათ გზაში სულ გაითოშეთ. დიდი თოვლია?

**ქალიშვილი:** სად არის დიდი თოვლი?

**დიასახლისი:** ჩრდილოეთში.

**კაცი:** (სახქაროდ ჩაერევა ლაპარაკში) შენ ხომ მიფხვრევ, უფროც წამოთოვალ...

**ქალიშვილი:** (დაბნეული) მე ვითხარი?..

**კაცი:** მატარებელი ისე მოქრის, რომ ძნელია რაიმეს გარჩევა.

**დიასახლისი:** ექსპრესით ჩამოხვედით?

**კაცი:** დიახ, ექსპრესით.

**დიასახლისი:** ო, ხანდისხან მართლა ვიჭივით მოქრის. „შოტლანდიელი“ ჩამოხვედით?

**ქალიშვილი:** რა?

**დიასახლისი:** „ფრინავი შოტლანდიელი“. ჩემს ბიჭუნას ორთქლმავლების ნომრების კოლექცია აქვს. ხშირად მიდის ხოლმე „შოტლანდიელის“ სასახავად ბაქნის ბაღში, გასვლის წინ, ქმინავს, უსტკვენს. ჩაის ხომ არ მიირთმევთ?

**კაცი:** არა, არა...

**დიასახლისი:** (ქალიშვილს) თქვენ?

**ქალიშვილი:** მე...

**დიასახლისი:** ოჰ, ეს ქმრები! როგორ გინდა მათ შეაგნებინო ყველასთვის ისეთი უბრალო და გასაგები ამბავი, რომ გაყინული მატარებლით დიდხანს მგზავრობის შემდეგ, ჩვენ, ცოლებს, ერთი ფინჯანი თჯახში მოდულებული ჩაი მოგვიხდება? მაშ, დიდი თოვლიაო?

**კაცი:** ამან მატარებელში წაიხაუჩმა...

**დიასახლისი:** ეგ ჩაის ვერ შეცვლის, ჩაი სხვა რაშეა, არა, ჩემი კარგო?

**ქალიშვილი:** რაო?

**დიასახლისი:** ერთი ფინჯანი კარგი ჩაი. (კარისკენ მიდის).

**ქალიშვილი:** მე უბრალოდ...

**კაცი:** ჩქარა მოიტანეთ ჩაი.

(სასტუმროს დიასახლისი გადის).

**ქალიშვილი:** (დაბნეული და საკონებელში ჩავარდნილი მიუბრუნდება კაცს, რათა მან გააგებინოს რა ხდება) საიდან ჩამოვედი?

**კაცი:** სკარბოროდან.

**ქალიშვილი:** რატომ?

**კაცი:** იმიტომ რომ იმას ასე ვუთხარი, სკარბოროში ცხოვრობს-მეთქი.

**ქალიშვილი:** მე რატომ უნდა ვცხოვრობდე სკარბოროში?

**კაცი:** იმიტომ, რომ შენ ჩემი ცოლი ხარ.

**ქალიშვილი:** (ხაყვედურით) მაშინ რატომ შენც სკარბოროში არა ცხოვრობ? რა ხდება? იქაურ პავს ვერ იტან? ჯანმრთელობა არ გიწყობს ხელს თუ რა?...

**კაცი:** მე ავეჯით გაწყობილი ერთი კარგი ოთახი მაქვს ლონდონში.


**ქალიშვილი:** უღრმესი მადლობა.

**კაცი:** (მოთმინება ვლევა) ყველაფერი საბინაო პრობლემის ბრალია. მე იქ უნდა ვიცხოვრო, სადაც ვმუშაობ. იმიტომ შენ, დედასთან ერთად, ჩრდილოეთში ცხოვრობ.

**ქალიშვილი:** გადასარევი!

**კაცი:** კი, ბატონო, შორსაა, ხშირად ვერ ახერხებ ლონდონში ჩამოსვლას... (კარზე აკაკუნებენ) მობრძანდით.

(შემოდის დიასახლისი ფინჯნით ხელში).



**დიასახლისი:** აბა, მიერთვით, ნახეთ როგორ გესიამოვნებათ. ალბათ ძალიან დაიქანცეთ.

**კაცი:** არა, ძალიან არ დაღლილა.

**დიასახლისი:** პირდაპირ წამებაა მათთან ერთად მგზავრობა...

**ქალიშვილი:** ვისთან ერთად?

**დიასახლისი:** დაქრიათ წინ და უკან კორიდორებში. ყელში ამოგიყვანენ პირველ კლასს. საბარგო ვაგონში წიწილებს ელოლიაყუბიან. ჩაგვეტავენ ტუალეტში...

**ქალიშვილი:** რას მიუდ-მოედება, ეს, მგონი, ურევს... (ძთლად თავგზაბ-ნეული ხაწოლზე ჩამოჯდება).

**დიასახლისი:** ადრე არასოდეს ყოფილან ლონდონში? პირველად ჩამოვიდ-ნენ?

**ქალიშვილი:** რას ამბობს?

**დიასახლისი:** პირველად ნახეს მეტრო და ორსართულიანი ავტობუსი? დღეს, რა თქმა უნდა, აუცილებლად წახვალთ ძაღამ ტიუსოს „საშინელებათა გა-ლერეაში“, თუ მაშიდა...

**ქალიშვილი:** ეს თავის ჭკუაზეა?

**დიასახლისი:** იცით, ჩემი ვაჟბატონი რას აკეთებს, როცა სადმე მიუ-ღვივართ?

**ქალიშვილი:** მე რა ვიცი?!

**კაცი:** დალიე ჩაი?

**ქალიშვილი:** ჯერ ცხელია.

**კაცი:** გინდა?

**ქალიშვილი:** სულ ერთია...

**დიასახლისი:** სადმე რომ მივდივართ, ამოიღებს ფერადი ფლომასტერუ-ბის ყუთს და სახეს აიჭრელებს, თითქოს რაიმე გადამღები ავადმყოფობა ჰქონ-დეს...

**ქალიშვილი:** (შეფიქრიახებული) რატომ?

**დიასახლისი:** იმიტომ, რომ ჩვენს კუბეში არავინ შემოვიდეს...

**ქალიშვილი:** (დაინტერესდება) მერე ეგ შეველის?

**დიასახლისი:** ათიდან ცხრა შემთხვევაში — კი. თუ არადა...

**ქალიშვილი:** რა მაშინ?

**დიასახლისი:** თუ ვინმე შემოვიდა, მოსვენებას არ მისცემს. ამ ბანდო-ტების გაღურვა კი აი რატომ ვახსენე: როგორც კი ჩრდილოეთიდან მისი ბიძა-შვილები გვეწვივიან, მაშინვე ტიუსოსკენ გარბიან...

**კაცი:** ჩვენს ბავშვებს ეგ არ უყვართ. დალიე ჩაი, ძვირფასო?

**დიასახლისი:** ტიუსო არ უყვართ?

**კაცი:** ჩვენები წყნარი ბავშვები არიან, ისტორია მაინცდამაინც არ აინტე-რესებთ... ფინჯანს არ გარეცხავთ? (ფინჯანს გამოართმევს ქალიშვილს და დია-სახლისს გადასცემს).

**ქალიშვილი:** ახლა ვისზე ვილაპარაკოთ?

**კაცი:** ჩვენს შვილებზე.

**ქალიშვილი:** (ხელს განაბავს) რამდენს გვყავს?

**დიასახლისი:** (საყვედურით) სამი.



**ქალიშვილი:** სამი?

**ღიასხლისი:** ორი ბიჭი და ერთი გოგო, რომელიც ასე უნდოდა თქვენს ქმარს!

**ქალიშვილი:** მომილოცავს!

**კასი:** დრო გარბის.

**ღიასხლისი:** (ფინჯნით ხელში კარებისკენ მიდის) ხაძივე მძაქვს... იმასთვის ალბათ ეს მთელი მოვლენაა — ამდენი ხნის შემდეგ მამიდის ნახვა... (გაღიხ).

**ქალიშვილი:** ვინ არის მამიდა?

(წამოდგება, საყვედურით შესცქერის კაცს. კაცს უნდა აკოცოს მას, მაგრამ ქალიშვილი ზურგს შეაქცევს. ჯიუტად ერთი და იგივეს იმეორებს: ვინ არის მამიდა?).

**კასი:** ჩემი გათხოვილი დაა, პარკთან ახლოს ცხოვრობს.

**ქალიშვილი:** ეგ კარგია თუ ცუდი?

**კასი:** ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, ასე ვუთხარი სასტუმროს ღიასხლისს, ბავშვებს მამიდა მიხედავს...

**ქალიშვილი:** ახლა ისინი მამიდასთან არიან?..

**კასი:** ის მიხედავს... მედღაა... ადრე იყო მედღა.

**ქალიშვილი:** პატარა თავებში ალბათ სულ აერ-დაერიათ ყველაფერი.

**კასი:** აერ-დაერიათ?

**ქალიშვილი:** კი.

**კასი:** რატომ?

**ქალიშვილი:** ღმერთო, შენ დამიფარე! რა არის აქ გაუგებარი? ისეთი მორიდებული ბავშვები, ისტორიისა რომ არაფერი გაეგებათ, სკარბოროში სისხამ დღით წამოყარეს თბილი ღოვინებიდან და იმ სიშორიდან აქ ლონდონში ჩამოათრიეს, იმიტომ რომ ვიღაც მამიდისთვის მიეზარებინათ, ყოფილი მოძველები ქალისათვის და თვითონ კი გიჟებივით ამ პატარა სასტუმროსკენ გამოქცეულ-იყვნენ, კინგს-კროსთან! იცო რა... სად გაათევენ ბავშვები დამეს?

**კასი:** (დამნაშავის იერით) მე ვიფიქრე...

**ქალიშვილი:** (გამომწვევად) სად? (ორივენი გაჩუმდებიან. მერე ქალიშვილი, საკუთარ ყურებსაც არ უჯერებს, ისეთი ხმით იწყებს ლაპარაკს) სუთუ შენ იმას თქმა გინდა, რომ...

**კასი:** თქვენ შინ უნდა დაბრუნდეთ.

**ქალიშვილი:** სკარბოროში?

**კასი:** ასეა თუ ისე, სახლია, ოჯახია, რა თქმა უნდა, დროებით.

**ქალიშვილი:** (შიირბენს ბუხართან, ხელს დააელებს მატარებლების გარეშე და ავი გადაწვეტილებით, გაშმაგებით ფურცლავს მას). სკარბორო! სექს-მუნდლები! სკალბი... სკარბორო! მოსახლეობა ორმოცდასამი ათას რვაას ხუთი... ოთხშაბათობით მაღაზიები ადრე იკეტება. ლონდონამდე ორას სამი მილი. დიახ, შენ ზურგს უკან დამცინი, უკვი წინდაწინ გქონდა ყველაფერი გადაწვეტილი, რომ მე სამი ბავშვით უნდა გამომეღო ოთხას ექვსი მილი... ბავშვები, რა თქმა უნდა, პატარები არიან, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მე ზუსტად ოცდასამი წლისა ვარ! შენ ეს ძალიან კარგად მოგეხსენება!

**კასი:** (საწყალობლად) ბიჭები ტყუილები არიან.

**ქალიშვილი:** იცო რა ვითხრა... შენთვის შვილების ყოლა არ შეიძლება. მავნებელია შენი ჯანმრთელობისთვის! რას ფიქრობდი, რომ აკეთებდი და აკეთებდი! მაგრამ ეგ სულ ეგოისტობის ბრალია, ტყუილი ბიჭის მერე გოგოც გინდო-

და შეგძენოდა! ხოლო როცა მე ის გავაჩინე... ისღა მოახერხე, რომ ამ იდიოტურ და მომქანცავ მოგზაურობაში გამოგვასტუმრე. ფაქტიურად ბრიტანეთის კუნძულების ერთი ბოლოდან მეორეში გვიკარი თავი.

**კასი:** მოშისმინე!

**ქალიშვილი:** სანამ სახლამდე მივაღწევთ, ყველას ზეზღულანდნაუნდინე-

ბა. დავუშვათ, ტაქსი ვერ ვიშოვე...

**კასი:** ერთი სიტყვა მათქმევინე...

**ქალიშვილი:** შენს ხელშია ოთხი ადამიანის სიცოცხლე.

**კასი:** მე აღარ ვიცოდი, რა მექნა, რა წყალში ჩავვარდნილიყავი!

**ქალიშვილი:** მაშინ რატომ შენ არ ჩამოხვედი ამ შაბათ-კვირას?

(საათი ნახევარს რეკავს).

**კასი:** ცოტა დროდა დაგვრჩა...

**ქალიშვილი:** რა სისულელეა!..

**კასი:** აუცილებელია ამაზე ლაპარაკი?

**ქალიშვილი:** მე მგონი, შენ ეალღებუდი ხარ ამიხსნა ყველაფერი.

**კასი:** მე შენ მიყვარხარ.

**ქალიშვილი:** გრძობათა გამოძღავენების საკმაოდ უცნაური მეთოდ-ვაქვს. ყველა შენს ცოლს ასე ექცეოდი?

**კასი:** შენ ჩემი ცოლი არა ხარ!

**ქალიშვილი:** დიდი შეღავათია!

**კასი:** ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს!

**ქალიშვილი:** მერე რა?

**კასი:** მაღლი უნდა შეეწიროთ გამჩენს! ვიზვიმთ ეს ამბოხი ციხეიძოთ გამარჯვება ამ ცხოვრების უტვიხო და უშუღგულო გამგებლებზე! შეხედე ამ ოთახს! შეხედე რას მივაღწიეთ!

**ქალიშვილი:** რას მივაღწიეთ?

**კასი:** ბნელ, უღიმღამო, მტრულ ქვეყანას მცირე ადგილი გამოვგლიჯეთ. ერთი პატარა მიწისორი მოვიპოვეთ, რომელსაც სუსტი, მოყანყალეული მესერა შემიღაუღეთ. ადგილი, რომელიც მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის! სულერთი არ არის, რა ეიღპარაკე, რათა აი, ეს მეშოვნა ჩვენთვის?

**ქალიშვილი:** ხანდახან არ არის სულერთი.

**კასი:** რატომ?

**ქალიშვილი:** გააჩნია, რას ლაპარაკობ და როგორ ლაპარაკობ.

**კასი:** ეგეც სულერთია.

**ქალიშვილი:** ასეა თუ ისე, მე მაინც მიწდა გავიგო...

**კასი:** რა?

**ქალიშვილი:** აქ როგორ გავჩხდიო.

**კასი:** ეგ მერე...

**ქალიშვილი:** არა, ახლავე, ამწუთას! მე მიწდა ზუსტად ვიცოდე, რა ვარ, ვინა ვარ. ახლა მეც კი მიჭირს ამაზე პასუხის გაცემა.

**კასი:** კარგი, პატონო, ინებე. მივდიოდი ქუჩაში, უცებ შევამჩნიე ეს ოტე-ლი... პატარა და ერთობ...

**ქალიშვილი:** უფერული?

**კასი:** ღიახ... ახლა მეორე პრობლემა გაჩნდა, როგორ მომეხერხებინა, რომ კაცი და...

**ქალიშვილი:** ქალი?

**კასი:** ღიახ, ქალი! ბარგი არა აქვთ...

**ქალიშვილი:** ჩვენ ხელბარგიც არ გაგვიჩნია!

**კაცი:** შემოსუღიფენ ამ სასტუმროში დღისით, მზისით, ერთი საათით.

**ქალიშვილი:** იმ ერთადერთი საათით, სამიჯნურო თავგადასავლებისათვის რომ გაქვს განკუთვნილი!

**კაცი:** ეს მთელი პრობლემა იყო და მე გადაწყვიტე **ფეხსიწელი**

**ქალიშვილი:** ნამდვილად?

**სიზღიწიწე**

**კაცი:** ვიფიქრე, ვიფიქრე და ვუთხარი, ჩვენ სადმე ცალკე გვინდა შეთქა ლაპარაკი...

**ქალიშვილი:** რა უთხარი?

**კაცი:** რომ ჩვენ გვინდოდა საუბარი.

**ქალიშვილი:** წარმოუდგენელია.

**კაცი:** დიასახლისმა გამივო.

**ქალიშვილი:** რა თქმა უნდა, იმან ხომ არ გამოიარა ამსიგრძე გზა ცელქ ბავშვებთან ერთად... მაგრამ საუბარი სასტუმროს პოლშიც შეიძლებოდა.

**კაცი:** რა შეიძლებოდა?

**ქალიშვილი:** ჭუჭყუა.

**კაცი:** იქ ხელს შეგვიშლიდნენ.

**ქალიშვილი:** ან შენს გათხოვილ დასთან... აი, იმასთან, პარკის ახლის რომ ცხოვრობს.

**კაცი:** (გაუბედავად) არა, არა... მაგაზედაც ვიფიქრე. ეგ შეუძლებელია.

**ქალიშვილი:** რატომ?

**კაცი:** ახრი არა აქვს იმ ძველი, გულში ჩადებული მტრობის ჩიჩქნას.

**ქალიშვილი:** რა მტრობის?

**კაცი:** თქვენ თავიდანვე ვერ შეეწყვეთ ერთმანეთს.

**ქალიშვილი:** ვის ვერ შეეწყვე?

**კაცი:** ჩემს გათხოვილ დას.

**ქალიშვილი:** რატომ?

**კაცი:** ჩვენს ქორწილში არ ჩამოვიდა.

**ქალიშვილი:** რას მეუბნები!

**კაცი:** იმის მერე თქვენ შორის შავმა კატამ გაირბინა.

**ქალიშვილი:** მე სრულიადაც არ მიკვირს ეგ ამბავი!

**კაცი:** კი, ხანდისხან ადამიანები ვერ უგებენ ერთმანეთს. ეს შეიძლება ყველა ოჯახში მოხდეს... სულაც არ იყო შენი ბრალი. შენ ნამდვილად ყველაფერი გააკეთე, რაც კი შეგეძლო. მე ესეც ვუთხარი სასტუმროს დიასახლისს, მაგრამ რას იზამ, მოსახდენი მოხდა.

**ქალიშვილი:** რამდენი რამ მოგიყოლია იმ დიასახლისისათვის, ხად მოასწარი?

**კაცი:** ოთახის გულისთვის...

**ქალიშვილი:** ასე გამოდის.

**კაცი:** მხოლოდ ოთახისათვის.

**ქალიშვილი** ეეჰ... (გამომცდელად მიაშტერდება).

**კაცი:** იმიტომ, რომ მე შენ ნამდვილად მიყვარხარ (კონის).

**ქალიშვილი:** (დაბნეული) ჰო, აჰა... (უცებ მოსცილდება მას) მაინც რა უნდა ჩემგან?

**კაცი:** ვის?

**ქალიშვილი:** შენს დას.

**კაცი:** არაფერი.

**ქალიშვილი:** მამ რატომ არ ჩაზოვიდა ქორწილში?

**კაცი:** ხომ იცი, რამდენი ჯურის ადამიანი არსებობს; ძველი შეხედულებების ქალია.

**ქალიშვილი:** ნუთუ შენ უთხარი?

**კაცი:** რა?

**ქალიშვილი:** აი, ეს, დღევანდელი ამბავი.

**კაცი:** ახლა საით გაუტეე? (შეჰყურებს მას დაბნეული).

**ქალიშვილი:** იმ ჩიხისკენ, სადაც შენ თვითონ მოიმწყვდიე თავი, რატომ ადრევე არა ჰკითხე საკუთარ თავს, ამას რას ვაკეთებო? და საერთოდ ვისკენა ხარ, იმისკენ თუ ჩემკენ?

**კაცი:** რა თქმა უნდა, შენკენ.

**ქალიშვილი:** რაღაც არ გეტყობა! დიდი სიამტკბილობა გაქვს იმ ქალთან, რომელმაც საწყალი მამაჩემის რის ვაი-ვაგლახით გამართულ ქორწილში მოსვლაც კი არ იხება. ბავშვებს იმ გასამებულ, ჭალარა უღვაშიან ბებერ მატრონას უტოვებ მოსაუღელად და თვალ-ყურის დასაჭერად, რომელიც ისე მექცევა, (ტირის) როგორც მასთან პოლიკლინიკაში მისულ ვიღაც ვიგინდარას! მე მგონი, ურიგო არ იქნებოდა, რომ ცოტა მართალი და პირდაპირი კაცი ყოფილიყო. ოდნავ მაინც დამსგავსებოდი იმ სიყვარულით გაბრწყინებულ, ელვარე თორ-აბჯარასხმულ უფლისწულს, რომელსაც მე ვენდო და რომელმაც მოტყუებით...

**კაცი:** მე... მოტყუებით?

**ქალიშვილი:** შენ მაიძულე მერწმუნებინა, რომ მე ვიყავი ის ერთადერთი არსება, ვისაც რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა შენს ცხოვრებაში.

**კაცი:** ეს ასეა!

**ქალიშვილი:** ახლა კი რა გამოდის? ბებერ დას უფრო მეტ ანგარიშს უწევ...

**კაცი:** არ არის მართალი!

(მოეხვევა ქალიშვილს. იგი ქვითინებს).

**ქალიშვილი:** მომიტევე...

**კაცი:** შენც მაპატიე.

**ქალიშვილი:** შენ?

**კაცი:** მაპატიე, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩაგაგდე.

**ქალიშვილი:** მე არ მინდოდა იმის თქმა, მომატყუე-მეთქი.

**კაცი:** ვიცი.

**ქალიშვილი:** მე ვიფიქრე, ადგება და მისწერს...

**კაცი:** რას მივწერ?

**ქალიშვილი:** აი, რას: „რადგანაც შენი გულისთვის ასეთი ურთიერთობა დამყარდა, უმჯობესი იქნება, თუ შენს პირველ სტუმრობას იცი წლით გადადებ“. ასეთი რამ შენ ხომ არ მიგიწერია?

**კაცი:** რა თქმა უნდა, არა. იმიტომ რომ...

**ქალიშვილი:** არასოდეს მიჭერდი მხარს.

(მოიცდილებს თავიდან).

**კაცი:** იმიტომ რომ...

**ქალიშვილი:** ან რა დიდი ვინმე ბრძანდება? (ისევ აპილპილდება) მეღდა! მერე რა? ვითომ ვინა ვარო? ფლორენს ნაიტიხეილი? მაღამ კაური? რაშია გამოიჩატება მისი დიდი ნამოღვაწარი? გადაუბრუნ-გადმოუბრუნებია ოდესმე მეფური ჩამომავლობის გვამი, როცა მას აპატიოსნებდნენ? დასწრებია ეგროი

წოდებულ კინოვარსკვლავის ე. წ. აპენდიციტის ოპერაციას ჰემერსმიტის კლინიკაში? ვიცი მე ეგ შენი მედლები! გული არა აქვთ, გული! მთელი ღამე ქსოვასა და ჭორაობაში ატარებენ და სიკვდილის ცხვირწინ ვაკაოს კეახლებიან! აბა, ჩემი სამუშაო სცადოს! ეს მექანიკური საქმიანობა არ გახლავს, ჩერას უკაცრა ვად, ასეთ სამუშაოს შემოქმედებითი წარმოსახვის უნარს უჭირდება! ჩვენ ახლა ესპანური პლუშისათვის ორას სახეს ვამზადებთ... დაჯარჯებულ არ მერდება!

**კაცი:** ვიცი.

**ქალიშვილი:** იცო და ამას დაფასებაც უნდა!

**კაცი:** მაგისი დარდი ნუ გაქვს.

**ქალიშვილი:** რატომ?

**კაცი:** არ არის ნამდვილი.

**ქალიშვილი:** ჩემთვის ნამდვილია, ხალასია! სნობები! ერთადერთი, რასაც, მაღლობა ღმერთს, ჩვენს ოჯახში ვერ ვიტანთ, სნობებია. ეს ადამიანთა ისეთი კატეგორიაა, რომელთა უფრო დაბლა დაცემა შეუძლებელია, თუნდაც იატაკზე დაწვე და კარის დრიტოში გაძვრე. მამაჩემმა ოცდაათ წელიწადს იმუშავებდა უბრალო მბეჭდავად სტამბაში და ერთადერთი კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც იგი შინ არ უშვებდა, ეს სნობები იყვნენ. იგი არასოდეს ყოფდა ცხვირს სხვის ცხოვრებაში, არც ჯვრისწერის ცერემონიაზე დასწრების წინააღმდეგ იყო და არც მცირეწლოვან შვილებს უხისინებდა დედას, სხვის ზურგს უკან ამოფარებული...

**კაცი:** აბა, შემომხედე.

**ქალიშვილი:** აბა, შემოგხედე.

**კაცი:** ჩვენ ორნი ვართ.

**ქალიშვილი:** მერე?

**კაცი:** (მგზნებარედ და გატაცებით). გაიხსენე. სხვა არაფერი არ არსებობს. ყველაფერი გაჭრა, აორთქლდა მთელ მსოფლიოში. ჩვენი მეგობრები, მათი ოჯახები, ნათესავები. ჩვენ სულ მარტოდმარტო დავრჩით. ერთ წამში, მყისში გაყინულნი და ყველასგან მოცილებულნი. არავის ძალუძს ჩვენთან მოახლოება. (გაისმის კარზე კაკუნი, შემოდის დიასახლისი).

**დიასახლისი:** როგორც იქნა ვიშოვეთ შილინგი! (მიდის გაზის ბუხართან და შილინგს აპარატში ჩაუშვებს).

აბა, ესეც ასე. ასანთი გაქვთ?

(კაცი უსიტყვოდ გაუწვდის ასანთის კოლოფს. დიასახლისი ციციხლს ანთებს) ასე უფრო მყუდროდ იგრძნობთ თავს, როგორც სახლში, არა? (პახუხს არც ერთი არ სცემს).

მე სულ იმას ვამბობ, რომ ნამდვილი ნახშირის ბუხრის მერე ყველას გაზის ბუხარი სჯობია.

(იხევ სიჩუმე).

სხვა მდგომარეობს დარჩებათ. თქვენ კეთილი სამართლები იქნებით. თქვენ, არა მკონია, მთელი შილინგის გაზი დაგჭირდეთ, ა?

(სიჩუმე).

ციციხლთან უფრო სასიამოვნოა ლაპარაკი. თქვენ გაგრძელებთ საუბარს?

**კაცი:** დიახ.

**დიასახლისი:** მაშინ იქნებ ჩემი ფული დამიბრუნოთ?

**კაცი:** ჩვენ ორი ექვსკენსიანი გვექონდა.

**ქალიშვილი:** (ხელჩანთაში იქექება). იქ ჩავეყარეთ.

**კაცი:** მე ცხრა პენსილა დამრჩა... ტაქსის ხურდიდან.

**ღიასახლისი:** (ყინულივით ხმით) შილინგის შოვნა თქვენ მთხოვეთ. მე კარგად გავიგონე.

**კაცი:** ღიახ, ვთხოვეთ...

**ღიასახლისი:** მეგონა, ამ შრომას რაღაცით ამინაზღაურებდით.

**კაცი:** გირვანქა სტურლინგი მაქვს.

**ღიასახლისი:** ეგ ძოღად იოლი საქმე არ გახლავთ. ასე უცებ სად გადავახურდავო?

**კაცი:** მე რა ვიცი.

**ღიასახლისი:** ამ შილინგისთვისაც სხვაგან გავაგზავნე..

**ქალიშვილი:** ჩვენ ხომ მოგვცით შილინგი?

**ღიასახლისი:** როგორ? რა მომეცით?

**ქალიშვილი:** ჩემი ექვსპენსიანები პირდაპირ იმ ავტომატში ჩავეარე.

**ღიასახლისი:** იცით რა ვითხრათ?..

**ქალიშვილი:** ჩემგან ერთ პენსსაც ვეღარ მიიღებთ.

**ღიასახლისი:** მე? თქვენ თუ გგონიათ, რომ იქიდან ერთი ცენტრი მაინც მრჩება, ძალიან ცლებით! ეს ფული პირდაპირ გაზიფიკაციის სამმართველოში მიდის.

**ქალიშვილი:** ოთახისათვის ცალკე გადაიხადე, ბუხრისათვის კიდევ ცალკე ორი შილინგი...

**ღიასახლისი:** ჩემთან არასოდეს არავის დაუჩივლია.

**ქალიშვილი:** რა ღირს ოთახი?

**კაცი:** ასე...

**ქალიშვილი:** მითხარი, რა ღირს ეს ოთახი?

**კაცი:** ორი გინეა.

**ქალიშვილი:** ერთ საათში ორი გინეა!

**ღიასახლისი:** ჩემთვის სულერთია, გინდა ერთ საათში წაბრძანდით და გინდა ერთ დღეში.

**ქალიშვილი:** ორი გინეა ერთ საათში! ორმოცდარვა გინეა ერთ დღეში ამ დანჯღრეულ საწოლში, ჩამოხეულ შპალერში, მოშლილ გაზის ბუხარში... ეს, ეს... ყაჩაღობაა დღისით, მზისით... ჰო, საათი დამავიწყდა და მატარებლების განრიგი! ამას რას ვჩადივართ?! მე თავიდანვე ვიცოდი, რომ შემოქმედებითი მუშაობით გამდიდრება ზღაპარია, მაგრამ...

**ღიასახლისი:** მე ოცდახუთი წელია ამ კერძო სასტუმროს ღიასახლისი ვარ და ჯერ ჩემთან ასეთი ტონით არავის ულაპარაკია.

**ქალიშვილი:** ახლა მე გელაპარაკებით. ამისი დროც დადგა: ის თქვენი ბიჭუნა კი...

**ღიასახლისი:** ის რაღა შუაშია?

**ქალიშვილი:** სადგურში დაბოლიალობს, ტელეფონ-ავტომატებს უჩიხინებს, რათა ფული გამოაყრევიხოს, აი, რა შუაშია. მე ასე მეგონია.

**ღიასახლისი:** მე დიდი სიამოვნებით...

**ქალიშვილი:** სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ კანონით...

(საათი რეკავს, ოთხს თხუთმეტი წუთი უკვლია).

**ღიასახლისი:** მე თავს ვიკლავ, ოდნავ დათბეს-მეთქი ოთახში...

**ქალიშვილი:** სხვები კი დღე და ღამეს ასწორებენ, რომ ლუკმა პური იმოვონ!

**ღიასახლისი:** იმიტომ, რომ დღეს უჭირთ-მეთქი და ესენი კი...

**კაცი:** (სახოწარკვეთილი ფულს ჩრის დიასახლისს, აიძულებს გამოართვას გირვანქა სტერლინგს) გამომართვით! ხურდა არ არის საჭარო... არ მიატანო...

**დიასახლისი.** (კარისკენ მიდის) ჩამოხეული შპალერი! იცი, რას გმტყვი... აი, ამ ოთახში ძალადი წრისა და თანამდებობის პირებისთვის გამითევიანებაა ღამე. ინდოეთიდან ჩამოსული ჯენტლმენებიც ყოფილან აქ და ძალიან თავაზიანად ულაპარაკიათ ჩემთან. მე თქვენ შემეცოდეთ და იმიტომ შემოვიშვიო ვროი საათით. თქვენს ქმარს, ბატონო, საუბარი ნებავდა თქვენთან. სერიოზულ საკითხზე. გასაკვირი არაფერია! ახია ჩემზე!

(კარს გაიჯახუნებს, კაცი და ქალიშვილი უხიტყვოდ ღვანან).

**კაცი:** მე მეგონა, აღარასოდეს დაგვანებებს-მეთქი თავს.

(იხევ განუმდებია).

**ქალიშვილი:** ძლივს არ ეღირსა წასვლა!

(უხიტყვოდ ღვანან).

**კაცი:** თხუთმეტი წუთიდა დაგვრჩა:

**ქალიშვილი:** რაო? აჰა, თხუთმეტი.

**კაცი:** პალტოს ხომ არ გაიხდი?

**ქალიშვილი:** არა, მეშინია...

**კაცი:** რისი გეშინია?

**ქალიშვილი:** მაპატიე. ეს ჩემი უტვინობის ბრალია... კი, კი, ვიცი... მაგრამ ბავშვობიდანვე, ჯერ კიდევ ერთი ბეწო გოგონა რომ ვიყავი, ხომ გესწის, მე სულ ამისა მეშინოდა. ამ ოთახში შემოსვლისთანავე მიუჩედი, რომ ასეც იქნებოდა. მე ვიცი, აქ რისთვისაც მომიყვანე. შენ როგორი კეთილშობილი განხრახვაც არ უნდა გქონდეს, მე ეს არ მინდა.

**კაცი:** კი მაგრამ, ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ...

**ქალიშვილი:** გული გადამელია, მეტი აღარ შემიძლია. ეს დიდი ლიდაინისა და სასოწარკვეთილების ბრალია. მე ვგრძნობდი, რომ ეს გულში აღარ დამეტეოდა და ალბათ იმიტომ მოვექეცი ისე უხეშად იმ მოხუც ქალს, თუმცა ღმერთმა ხომ იცის, რომ ყოველ პენსს ვითვლი და ხანდისხან მეტროს ბილეთისთვისაც კი არ მყოფნის, რათა მაშინვე თვალეებზე მივაყარო იმ ჩხირსებით გამხმარ კონტროლიორს ტოტენჰემ-კორტ-როუდის სადგურზე, უუღიმი იდიოტურად, ვითომ იხტიბარს არ ვიტეხ... გაგიყდება, რამდენი ფული უნდა ამ ხალხს! მაგრამ როცა ტკბილად მომმართავენ: „შეიძლება ერთი-ორი სიტყვა გითხრათ?“ აი, მაშინ კი ცუდად ვხდები. ეს სიტყვები პირდაპირ მაგიჟებს!

**კაცი:** მაგიო რისი თქმა გინდა?

**ქალიშვილი:** მთავარი მხატვარი მეუბნება: „რალაცა მინდა გითხრათ ცალკე, იქნებ ერთად გვესადილა?“ მაშინვე მეუბნება: „ოთხშაბათს თუ აღრე დაბრუნდები, რალაცა გვაქვს შენთვის სათქმელი“, ან ვიღაც ოხერი განმიცხადებს: „ეს ბილეთი თითქოს გაცრეცილია, აქეთ მობრძანდით, შეიძლება ერთი-ორი სიტყვა გითხრათ?“. მეც ვდგევარ, იდიოტივით ვიღიშები, ცივ ოფლს მა'ხ მს, და რაც არ უნდა მითხრან, მე არ მინდა, რომ ის მითხრან. ასე რომ, თუ შეიძლება მაპატიე, ახლა მე არ მინდა, რომ შენ გელაპარაკო!

**კაცი:** არც ვაპირებ შენთან ლაპარაკს.

**ქალიშვილი:** აბა, მაშ რა გინდა?

**კაცი:** ტყუილად ღელავ...

**ქალიშვილი:** მაშ დიასახლისმა ის რად მითხრა?

**კაცი:** რა?

**ქალიშვილი:** რომ შენ ჩემთან... სერიოზულად გინდოდა საუბარი?

**კაცი:** მომისმინე, გოგო.

**ქალიშვილი:** არა!

**კაცი:** ჩვენ სულ ცოტა დროლა დაგვრჩა და თუ ისე არ მოვიქცევით...

**ქალიშვილი:** მაშინ რა?

**კაცი:** ის, რომ არაფერი დაგვრჩება.

**ქალიშვილი:** მე დამრჩება ბავშვები... სამუდამოდ...

**კაცი:** ნუთუ ვერ ატყობ, რომ შენა ხარ ჩემი უდიდესი ცხოვრების ერთადერთი ნათელი სხივი. შენ მიხსენი უკეთესი სიბერისაგან, დაქანცულობისაგან, აღისფრად მოლაპლაპე შპალერისაგან, სკანდინავურ ჭადვებისა და ბიზნესმენტა გაუთავებელი სადილებისაგან. მოდი ამ დარჩენილ რამოდენიმე წუთს... ფუჭად ნუ დაეკარგავთ.

**ქალიშვილი:** კარგი. (იხინი ერთმანეთს უახლოვდებიან). მე შენ ნამდვილად მიყვარდი, როცა აი, ისეთი იყავი — ვერცხლისფრად მბზინავი შუქი ზურგიდან გცემდა...

**კაცი:** გოგო, გვედრები... (ეხვევიან ერთმანეთს).

**ქალიშვილი:** ლიფტიდან გამოვედი... ასლის გადამღებ დარბაზიდან მოვარდნილმა ნიავმა კაბა ამიფრიალა... შენ თვალი ამარიდე... და მე გავიფიქრე: აი, ის ყველასგან განსხვავებული კაცი, რომელიც არ წააგავს ამ შენობაში მყოფ ინტრიგებთან და რომანებთან ყელამდე სავსე ვაჟბატონებს...

**კაცი:** (კოცნის) ო, ღმერთო...

(ერთხანს ჩუმად არიან).

**ქალიშვილი:** რა გინდოდა ჩემთვის გეთქვა?

**კაცი:** როდის?

**ქალიშვილი:** გეტყობა, ძალიან სერიოზული რამის თქმა გინდოდა.

**კაცი:** არა, არაფერი ისეთი.

**ქალიშვილი:** რაკი იმ სიშორიდან აქამდე მატარებლით მათრიე, ესე იგი, რალაცის თქმა გინდოდა.

**კაცი:** არაფრის თქმა არ მინდოდა.

(ქალიშვილი მოცილდება კაცს, უკან-უკან იხევს, თვალს არ აცილებს, თითქოს პირველად ხედავს).

**ქალიშვილი:** არა, შენ ის კაცი, არა ხარ, ქალი იმ სიშორიდან ძალად ჩამოიყვანო, რათა მხოლოდ ამინდზე ელაპარაკო. შენ მისთვის რალაც ძალიან სერიოზული და საშინელი რამის თქმა გინდოდა...

**კაცი:** მე არც მიფიქრია...

**ქალიშვილი:** იმ სიშორიდან! შენ როგორ ფიქრობ? მთელი საათობით გასცქერი გაყინულ გზას, ცდილობ დააწყნარო აღნაულებული ბავშვები, თავშაკი სულ ერთი ფიქრი გიტრიალებს: „მას შენთვის რალაცის თქმა უნდა, შენ მას სჭირდება...“ რა სახელდობრ? ისეთი რა საშინელებაა, რომ არც წერილით შეტყობინება შეიძლება და არც ტელეფონით თქმა? ნუთუ შენ შეგიძლია ქალი ამდენ ხანს აწამო, ასე არაფრად ჩააგდო?...

**კაცი:** მე ასეთი კაცი არა ვარ.

**ქალიშვილი:** შენ ჯერ კიდევ რამოდენიმე დღით ადრე მთხოვე ჩამოვსულიყავი. როგორა გგონია, რა გუნებაზე დავდგებოდი, ან რა დღეში ჩავვარდებოდი? შენ გგონია, მე მშვიდად ძილი შემიძლო? თუ შენთვის ყველაფერა სულერთია?



**კაცი:** ხუთუ შენ არ გესმის?

**ქალიშვილი:** ჯერჯერობით არაფერი გამეგება. შენ ჩემთვის არაფერი გითქვამს. მოდი, ნუ მივედ-მოვედებით რაღაცას. ერთხელ და სამუდამოდ მოუტრეხე!

**კაცი:** მე არაფერი მაქვს სათქმელი.

**ქალიშვილი:** იქნებ შენ ისეთი კაცი ხარ, რომელსაც შეწყობდა ჩამოათრიოს ცალი იმ სიშორიდან და ძალიან სერიოზული რამ არ უთხრას... ისეთი რამ, რაც მათ ცხოვრებას სულერთიანად შეცვლის, ხოლო როგორც კი ქალი ჩამოვა, თევზით პირში წყალი ჩაიგუბოს?

**კაცი:** არა!

**ქალიშვილი:** ახლა კარგად რომ გიყურებ, სინათლეს სახეში გცემს, მე მგონია, რომ შენ სწორედ ისეთი კაცი ხარ!

**კაცი:** არა, მომიხმინე.

**ქალიშვილი:** ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთადერთი რამ შეიძლება დევსოთ, ხომ ასეა? მე თუ ამხელა გზა გამოვიარე, რომ მხოლოდ ეგ მომესმინა, ლოგიკურად ერთი რამეღაა შესაძლებელი.

**კაცი:** (თავისდა უნებურად დაინტერესდება). რა?

**ქალიშვილი:** რაღა, ჩვენ შორის ყველაფერი დაძთაფრებულია. მორჩა. ჩვენ შენთვის აღარ ვარსებობთ. კი, შენთვის ერთობ ხელსაყრელი იყო ამ ციკო და გრძელი ღიანდაგის ბოლოში ყოფნა. ახლა ხელ-ფეხი გეხსნება გააღწეო მველი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებანი სამსახურში, ქალიშვილები ლიფტით გააცილო, შესვენების დროს უცნობ სასტუმროში შეიტყუო. ახლა იმ უპირატესობას სრულიად გამოიყენებ, რომელსაც ორასსამი მილი ვანიჭებს, ასეთი წინდახედულობით რომ დატოვე ჩვენ ორს შორის. ისე რომ, ახლა შეგიძლია მომწერო წერილი, რომელსაც ასე დაიწყებ: „რა თქმა უნდა, ამის ვაგებაზე თავხარი დაგეცემა...“ ჰოდა, ასეთნაირად გინდა დაგიბრუნო შენი ეგრეთ წოდებული თავისუფლება. ყველაფერი ხომ ამისათვის იყო გაძიხნული. თავიდანვე ვაჟკაცობა რომ გყოფნოდა და პირდაპირ გეთქვა?

**კაცი:** მე ეგ აზრადაც არ მომსვლია არასოდეს!

**ქალიშვილი:** მოგსვლია, როგორ არ მოგსვლია. დიასახლისს რომ დაუწყე ლაპარაკი! ჩემი ცხოვრების ამბავიც მოუყევი. ამბავს კი დასასრული სჭირდება, არა? შეგიძლია რაიმე სხვა დაბოლოების მოგონება?

**კაცი:** (ცოტა ხანს დაფიქრდება). უთუოდ უნდა იყოს...

(საათი რეკავს).

**ქალიშვილი:** ორი, მორჩა.

(შესცქერის კაცს სინაზით და სინანულით).

შენ არ უნდა დაგეწყო იმისი ახსნა-განმარტება, აქ რატომ მოვედით.

(ქალიშვილი გადის).

**კაცი:** მოიცადე. ერთი წუთით დამიცადე. მე გეტყვი, რატომ ვთხოვე ჩამოსვლა. მე გეტყვი, რისი თქმაც მინდოდა...

(მაგრამ ქალიშვილი უკვე წავიდა. კაცი აქვთ-იქით იცქირება ცარიელ ოთახში. დაიხრება და გაზს გამოართავს).

პალტოები მაინც ვერ ვავიხადეთ.

(ფარდა)





ქართული  
საბჭოთაო ბიბლიოთეკა

თორას პანი

გერმანულიდან

თარგმნა რუსუდან ღვინეუაძემ

გოეთე და დემოკრატია

აღბათ სწორად მოვიქცევი, თუ მოხსენებას გოეთეს შესახებ მისი დაბადები-  
დან ორასი, ხოლო გარდაცვალებიდან ასწვიდმეტი წლის თავზე დავიწყებ სიტყ-  
ვებით: „მე ვერაფერს ახალს ვერ გეტყვი“.

ეს გასაოცარი, დიადი და კურთხეული სიცოცხლე, თითქმის ჩაქრობის წა-  
მიდანვე და შემდგომ — ათეული წლების მანძილზე — ისეა შესწავლილი და  
უკანასკნელ კუნჭულამდე განათებული და ასახული, ეს დიდებული შემოქმედე-  
ბა ისეა განმარტებული, ხოტბაშესხმული, ფილოლოგიურად დაკვლეული და  
გონებრივად გამოკვლეული, როგორც ცოტა მოკვდავის ცხოვრებასა და შემოქ-  
მედებას ხვდომია წილად, და შეგრძნება, — რომ ყოველგვარი აზრის გამოთქმა  
ფუნოშენის შესახებ უკვე დაგვიანებულია, — მხოლოდ სამართლიანია, Tout  
es dit — ყოველივე ნათქვამია, გერმანელებისა თუ არაგერმანელების მიერ, და  
ყველაზე უარესი კი ისაა, რომ თავად მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი და ხურ-  
ჯინი დაცლილი მაქვს — ათამდე თხზულება და ერთი რომანი მივუძღვენი მას;  
ისე რომ, მხოლოდ მსოფლიო კონკურენციის დაძლევა კი არ მომიწევს, თუ კი-  
დევ ერთხელ შევბედავ გოეთეს თემას, არამედ საკუთარისაც.

მართალი ვითხრათ, არცთუ ძალიან ვამაყობ, ამ შრომებით, კრიტიკული  
თუ პოეტური ჩაღრმავებით ამ ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მრავალფეროვნე-  
ბითა და მონუმენტურობით ასე უსაზღვროდ მიმზიდველი პაროვნებისა — ჩაღ-  
რმავებით, რომელმაც გარკვეული ოსტატობის, იმიტატორული შევირდის სა-  
ხელი მომიტანა. მე არ ვამაყობ ამით, რადგან ეს არის გერმანელის ჩაღრმავება  
გერმანულში. გაცალებით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე ის, რაც კარლა-  
ილიდან და ემერსონიდან, ჟიდსა და ველურიმდე, და ინგლისურ გოეთეოლოგია-  
მდე, ე. ი. რაც არაგერმანელების მიერ გაკეთებულა ამ დიდი გერმანული მოვ-  
ლენის შესამეცნებლად. ერთხელ, მრავალი წლის წინათ, გერმანიაში დარჩენილ  
მეგობარს, რომანისტ კარლ ფოსლერს ვკითხე, რა მიზანს ისახავდა, როცა იმ-  
თავითვე ლათინური ენისა და ლიტერატურის შესწავლას მიჰყო ხელი და თა-  
ვისი ბრწყინვალე ნაშრომები პოლდერლინსა ან პეტელს, კი არა, არამედ დანტეს,  
რასინისა და კალდერონს მიუძღვნა. მან მიპასუხა: „ეს იყო მოთხოვნილება რა-  
ღაც სრულიად სხვაზე“. ამან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა; რად-  
გან, რაც არ უნდა პატიოსნად და მართებულად მომჩვენებოდა ეს მოთხოვნა —  
თავს უნდა გამოეტყუდომოდი, რომ ჩემი საკუთარი განათლება არ ყოფილა არსე-  
ბითად ამცო განსაზღვრული; იგი, უპირველეს ყოვლისა, გერმანული ნიადაგიდან

საზრდობდა, მე, როგორც კრიტიკოს-მწერალს და თავჯანსმცემელ-ინტერ-პრეტატორს, თითქმის არასოდეს უცხოურისათვის არ გამიწვევია სამსახური, მრცხვენსოდა ამისა, მრცხვენსოდა ჩემი გერმანიისტობისა — რადგან ალლო მკარ-ნახობდა და ყოველთვის მიკარნახებს, რომ განათლება ისევეა „სრულიად სხვა რაღაცის“, უცხო ენის, კულტურისა და სულიერების ცოდნით მისი დაპყრობით და მასში შეღწევით, მისი გათავისებით, და უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი საკუ-თარი თავით, კლასტის, ვაგნერის და თვით გოეთეს ნაცვლად პასკალსა, დიდ-როსა ან კიტსხე რომ შემუშავა. როცა, ამ ცოტა ხნის წინათ, ამერიკაში ინგლი-სურ ენაზე პირველად გამოვიდა ჩემი რჩეული თხზულებანი, „Essays of Three Decades“, კრიტიკამ, მართალია, აშკარა საყვედურით არა, მაგრამ მაინც გარ-კვეული ნიშნისმოგებით აღნიშნა, რომ ტოლსტოისა და „დონ კიხოტის“ ავტო-რის გამოკლებით, ჩემი ევლოგიებისა და გამოკვლევების საგანს მთლიანად სხვა დასხვა რანგის გერმანული სახელები შეადგენდნენ, და მე არ შემემძლო არ შე-მემჩნია, რომ ამ შენიშვნით პროვინციალიზმს მსაყვედურობდნენ. რადგან, რაც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტად გერმანულს ეძრახება ხოლმე გერმანულით შემო-სახდურა. გერმანულს ყველაზე ნაკლებად შეშვენის, კმაყოფილება ჰპოვოს თავის ღედაუნაში და იმაში, რაც ამ ენაზე დაწერილა, მას განსაკუთრებით ჰმართებს ექსპანსიურობა, ფართო თვალსაწიერი, ცოდნა და აღფრთოვანება, უცხოურის მიღება და გადამუშავება, სწორედ ეს უნდა ისწავლოს მან გოეთესაგან, რომე-ლიც სამოცდათურამეტი წლის ასაკში ეკერძანს ეუბნება: „თუკი ჩვენ, გერმანე-ლები საკუთარი გარემოცვის ვიწრო ჩარჩოებს არ დავაღწევთ თავს, პედანტური ქედმაღლობის ტყვეობაში აღმოვჩნდებით, — ამიტომ სიამოვნებით ვეცნობი ხო-ლმე სხვა ერებს და ყველას ვურჩევ, ასე მოიქცეს. ნაციონალური ლიტერატურა ახლა ბევრს ველარაფერს გვეტყვის, მსოფლიო ლიტერატურის ფაში დგება, და ყველამ უნდა იმეცადინოს, დაასქაროს ეს უბოქა“.

ე. ი. გოეთეს მემკვიდრეობა, მისი მიმღვერობა, არ ნიშნავს გერმანულ პროვინციალობას — და საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ, თუკი მე ბევრს ვწერ გერმანულზე და ცოტას უცხოურზე, გერმანულში ხომ ყოველთვის მთელ მსო-ფლიოს, ყოველთვის ევროპას ექიებდი და დაუკმაყოფილებლობა მეუფლებოდა, როცა ვერ ვპოულობდი მას. მხოლოდ შემთხვევას როდი მიეწერება, რომ გერ-მანულ მოაზროვნეებს, რომლებიც მე მასწავლებლებად და მოძღვრებად ავირ-ჩიე, — შობენჰაუერს, ნიცშეს, ვაგნერსა და უკანასკნელ წლებში, უპ. ყოვლისა, გოეთეს — ყველას ზეგერმანული, — ევროპული ბეჭედი აზის, რაც მე მათში ვპოვე, — ევროპული გერმანულად, ევროპული გერმანია, — ყოველთვის ჩემს მისწრაფებათა მიზანს შეადგენდა — სრულიად საპირისპიროდ „გერმანული ევ-როპისა“, გერმანული ნაციონალიზმის ამ საშინელი გამოვლინებისა, რამაც, იმ-თავითვე რომ მზარავდა, გამაძევა კიდევ გერმანიიდან. შეიძლება ითქვას, ამ ორ კონცეფციაში დასაბუთებულია ის განსხვავება, რასაც მსოფლიო „კარგ“ და „ავ“ გერმანიას შორის ხედავს: ევროპული გერმანია არის ამავე დროს „დემოკ-რატიული“ გერმანია, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, ისეთი გერმანია, რომელთადაც შეიძლება თანაარსებობა, რომელიც შიშს კი არ გვრის მსოფლი-ოს, არამედ სიმპათიას აღუძრავს, რადგან მას წილი უდევს ადამიანურობის დემოკრატიულ რელიგიაში და ბოლოს და ბოლოს განსაზღვრავს კიდევ დასა-ვლეთის სამყაროს ცხოვრებას, იმ სამყაროს ცხოვრებას, ჩვენ რომ ვგულისხ-მობთ, როცა სიტყვა „ცივილიზაციას“ წარმოვითქვამთ.

ბედისწერამ ინება და ამ ევროპულ დემოკრატიას გერმანიაში საკმარისი პოლიტიკური ძალაუფლებისათვის არასოდეს მიუღწევია, ძალაუფლებას არა-

სოდეს მოუნდომებია მასთან დაკავშირება, პირიქით სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, ეს იდეა მნიშვნელობის მხრივ ისტორიულად თითქმის გერმანულ უძღურებას გაუტოლდა. „საკმენაკლული და აზრმრავალი“ უწოდა პოლდერლინმა ძველ, ღვთისმოშიშ, ინტელექტუალურ და უძღურ გერმანიას და ამაში სიყვარული იგრძნობა, თანხმობა და დასტური გამოსტყვევს, მაგრამ გერმანია განიცდიდა შეუსაბამობას ვონსა და ძალას, ფიქრსა და საქმეს შორის, წინააღმდეგობას კულტურულ დონესა და პოლიტიკურ უბადრუკობას შორის: გოეთე, პოლდერლინზე გაცილებით მიწიერი არსება, ასე თუ ისე განიცდიდა ამ შეუსაბამობას და ხშირად წყველიდა ხოლმე გერმანული თეორეტიციზმის გაწყენებულ ხასიათს. „ვიდრე გერმანელები ფილოსოფიური პრობლემების ახსნაზე იმტკრევენ თავს“, — ეუბნება იგი 1829 წელს ეკერმანს, — „ინგლისელები თავისი დიდი პრაქტიკული გონებით აბუნად გვიგლევენ და მსოფლიოს იპყრობენ“.

მინდა სრულიად გულწრფელი ვიყო და განვაცხადო, რომ ეს სიტყვები არ მიყვარს. ჯერ ერთი, ინგლისს სულაც არ აუგლია აბუნად მაშინდელი ღარიბი, ინტელექტუალური და არაპრაქტიკული გერმანია. პირიქით, დიდ პატივისცემასა და აღფრთოვანებას მიაგებდა, რაც მხცოვან გოეთეს უნდა დაენახა, მის თავკანსაცემად რომ მოეშურებოდნენ ვაიმარს, ასეულობით ინგლისელი. მეორეც, არ იყო სწორი ინგლისის განსაზღვრა მხოლოდ პრაქტიკული მსოფლგაგეობით და მისი გაიგივება ოსტინდლეთის კომპანიასთან, რამეთუ ინგლისმა მსოფლიოს მისცა უდიდესი დრამატურგი, პრავალი გამორჩეული მთაწროენე და მწერალი, დახვეწილი ლირიკა, ამ ლაპირისპირებიდან კი ერთგვარი ჩუმი ნაციონალური ქედმაღლობა გამოსტყვივის, — თითქოს გერმანელები სულიერუნებით გამორჩეული ხალხი იყოს. მესამეც, და ეს ყველაზე საშიშია, ამ სიტყვებით იმალება თავისებური წაქეზება გერმანელებისა, — გაუტოლდნენ ინგლისს და მსოფლიოს დაპყრობას მიჰყონ ხელი — ე. ი. მეტოქეობრივი შურის გაღვივება, რამაც გერმანიის ისტორიაში ძალზე საბუდისწერო როლი ითამაშა. აი, რატომ არ მომწონს ეს სიტყვები, რომლებიც პედაგოგიური მოსაზრებით იყო ნათქვამი და ნამდვილად არ იყო მოკლებული პედაგოგიურ მნიშვნელობას; რადგან გოეთეს მიერ „პრაქტიკული გონების“ შექება ნიშნავს—სულიერებისა და აზროვნების მიმართ, გამოთქმულ გაფრთხილებას ღრუბლებში კი არ იფრინოს, არამედ ცხოვრებას, შეუერთდეს და მის წინაშე პასუხისმგებლობა იკისროს; ისინი მიმართულია დემოკრატიულ პრაგმატიზმზე, რაც ფაქტიურად მუდამ აკლდა გერმანიას მაშინაც კი, როცა „ცხოვრება“ დიონისურად უმაღლეს ღირებულებად იქცა, და რასაც უდიდესი გერმანელი მწერალი გონის ქედმაღლობის წინააღმდეგ. მართო იმ ერთხელ წარმოთქმული სიტყვით როდი უჭერდა მხარს. მე აქ მოვიყვან ციტატას, მორის ბარესისას, გოეთეს „იყიგენიას“ „ცივილიზაციის ძალის მქონე ნაწარმოები“ რომ უწოდა, რომელიც იცავს საზოგადოების უფლებებს გონის ქედმაღლობისაგან“. — ეს დახასიათება კიდევ უფრო ხუსტად მიესადაგება „ტასოს“, თვითაღზრდისა და სასჯელის, თვითგვემის იდეით გამძვავებული ნაწარმოებს, პოემას, რომელიც პოეზიისა და კაზმულ-სიტყვაობის პოზიციას ქადაგებს საზოგადოებრივი წყობის სიფხიზლის, პრაქტიკული გონების წინაშე, — რაც ძალზე აღაშფოთებდა რილკეს მსგავს მგონებებს, რომლებიც ამაში ხედაუდნენ ღალატს ხელოვნებისადმი, ე ღალტს ცხოვრების სასარგებლოდ. ხელოვნების არისტოკრატიული მართობა და ცხოვრებისაგან მწუხარე განდვომილობა მათი სისხლხორცეული საქმეა და ისინი ზიზდით უყურებენ, როგორ იმარჯვებს დრამაში საზარული ერისკაცი ანტონიო.

ამის შესახებ ცოტა ხნის წინ „Publications of the English Goethe Society“-ში წავიკითხეთ უდიდესი მახონის შესანიშნავი გამოკვლევა Rilke and Goethe, რომელშიც ავტორს არ გამოჩენია პარალელის გავლენა რილკეს მიერ „ტახსოს“ მიუღებლობასა და გოეთეს სოციალისტურ კრიტიკას შორის. სოციალისმა „ვილჰელმ მაისტერს“ უადრესად არაემოციური ნაწარმოებები, „პოეზიის წინააღმდეგ მიმართული კანდიდი“ უწოდა. ყოველივე რომანტიკული აქ განადგურებულიაო, — ამბობს იგი, — ნატურპოეზიაც, მშვენიერებაც, სინამდვილედ კაშხოლოდ ეკონომიურა ბუნება რჩებაო. გოეთე სავსებით პრაქტიკული შემოქმედია, ხათქვამია იქ, მისთვის იგივეა თავისი ნაწარმოებები, რაც ინგლისელისათვის — ნივთები: უადრესად სადა, მიმზიდველი, მოხერხებული და გამძლე... შეხედულებები სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. ეს არის ერთი და იგივე, ბავშვური განაწყენებისაგან აკანკალებული ხმა პოეტურ-არისტოკრატიული განცდისა იმის მიმართ, ვინც ცხოვრების მხარეზე დგება და უარყოფის ცივ სიტყვას წარმოთქვამს: „ხელოვნებაში ვნებებზე ლაპარაკი არ შეიძლება“. მაგრამ გოეთეს საპირისპირო სიტყვებიც უთქვამს, სიტყვები, რომლებიც „იტალიურ მოგზაურობებში“ რაფაელს ეხება: „რამეთუ ჩვენ წარმოგვიდგენია ის საშინელი პირობები, რომლებშიც თვის ყველაზე აშკარა ბუნება წარმატების უმაღლეს საფეხურამდე შეიძლება ამადღღეს“. ვის ეპარება ეჭვი, რომ მას არა მარტო წარმოუდგენია ეს „საშინელი პირობები“, არამედ იცნობდა კიდევ მათ? ვის ეპარება ეჭვი, რომ ყველა წარმოდგენა პარმონიაზე, ოქროს პროპორციისა და კლასიციზმზე, რასაც ჩვენ გოეთეს სახელს უკავშირებთ, ნაბოძები როდი იყო, არამედ უზარმაზარი ძალისხმევის, ნებისყოფის ნაყოფი, რომლის შემუშავებითაც დაძლეულ იქნა ყველაზე საშიში და, იქნებ, გამანადგურებელი ჩანაფიქრი — დაძლეული, გამოყენებული, გახსნილი და გაზნეობრივებული, სიკეთისა და სიღიადისაკენ შემობრუნებული და მიმართული? მისი ყოფა შეიძლება მოგვეჩვენოს სიძნელისა და სიყვარულიდან მოხერხებისაკენ გადებულ ბეწვის ხიდად, ერთადერთ შესაძლებლობად, რომელიც ამავე დროს გენიალურია, და იქნებ გენიოსობა სწორედ ერთადერთი შესაძლებლობაა? ამ ცხოვრებას ჩვენ ხელოვნების ქმნილება ვუწოდეთ, უნდა გვეწოდებინა კი ფოკუსი, ტრაფიკი. ასე დაახასიათა თვით მან იგი ერთ აფორიზმში, რომელიც თავისი საფლავის ეპიტაფიად შეეძლო დაეტოვებინა: „მითხარი ერთი, ვის გვეულება შენებრ მართალი და ქველზე ქველი? შერკინების უამს სხვა ვინ შესძლებდა, რომ შერჩენოდა ბებერი რქები!“.

მე აღტაცებული დავრჩი, როცა ბარკერ ფერლის შესანიშნავ წიგნში — „A Study on goethe“ — ამოვიკითხე სიტყვები, რომლებიც ასე გადმოვთარგმნე: „მას არ უგრძობია წინასწარ, რომ შემდგომ საუკუნეში ამოტივტივდებოდა თვალსაზრისი, რომელიც ამჯობინებდა, დაღუპულიყო, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ვიდრე საგნებისაგან წარმატება მოეპოვებინა; და კიდევაც რომ ეგრძნო ეს, საბედნიეროდ მასში იყო რაღაც ისეთი, რაც ამ თვალსაზრისს უკუაგდებდა: „თუკი კაცობრიობისათვის სიცოცხლის ნება უფრო ძვირფასია ვიდრე სიკვდილისა, მაშინ გოეთეს ცხოვრება და შემოქმედება გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე იქნებოდა იმ შემთხვევაში, საკუთარი სიმძიმისაგან რომ გატეხილიყო და ვერ გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა კიდევ“.

„საგნებისაგან წარმატების მოპოვება“, კაცობრიობისათვის ძვირფასი გადარჩენის ნება — განა ეს არ არის რაღაც დემოკრატიული არისტოკრატიული-პოეტური სიკვდილის ნებასთან შედარებით? „შილერის „ხარის“ ეპილოგში“

1. ლექსები თარგმნა ნანა ღვინუფაძემ.

ყოველ ერთგან ხმარობს სიტყვას „სიცოცხლის ღირსი“: „ის, უნც სიცოცხლის ღირსია, — ჩივის იგი, — „სიკვდილის ნადავლი უნდა გახდეს!“ როცა ჭაბუკობაში შიშვენიერისაგან დიდი პესიმიზმის უფლება მოუპოვე, ხალხურად შეძრა ამ გამოთქმამ, რომელსაც რამდენადაც ვიცო, ვოეთეს სიტყვათხზვის რამდენადაც უნდა იყოს. მან დაარღვია ჩემი ჭაბუკური წარმოდგენა სულიერებაზე, ბრუნებაზე, არტისტულობაზე, კეთილშობილებაზე, მიწიერი ცხოვრებისა და უფროსად საღვრობასა და მოუსადაგებლობაზე რომ დაიყვანებოდა.

ჯერ კიდევ შორს იყო ის დრო, როცა ვოეთეს ნება და უნარი, — „მოეპოვებინა წარმატება საგნებიდან“, ანუ უძნელესი წინაპირობებიდან, — უდიდეს და უძვირფასეს მაგალითად უნდა დამესახა. მაგრამ თუ დღეს, როცა სიცოცხლისადმი მის კეთილ განწყობასა და მისგან პოეტური დაღუპვის უარყოფას დემოკრატიულ თვისებად მივიჩნევ, რასაც ვერ ვუწოდებთ გერმანულს, პირიქით, ეს უფრო გერმანულისადმი მისი შინაგანი დისტანციის გამოვლინებაა, მე მხოლოდ გამოვხატავ იმას, რასაც მაშინ ვგრძნობდი. „გერმანელებს უყვართ სიკვდილი“, — თქვა გეორგ კლემანსომ პირველი მსოფლიო ომის დროს. „გადახედეთ მათ ღირსი ტერატურას! მათ მხოლოდ ის უყვართ“. ამ სიტყვებში დიდი სიმართლეა, მაგრამ ფსიქოლოგიით გატაცებულ სახელმწიფო მოღვაწეს იმ დროს ვოეთე არ უნდა ეხილათ. რადგან ვოეთე გერმანულ-რომანული სიკვდილის კულტის წინააღმდეგი იყო, და ვფიქრობ, თუ ჩაკულტურებით, სწორედ სიცოცხლის დაუკლებელი საყვარულისთვის გაითავისა იგი დემოკრატიულმა ევროპამ.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ ვოეთე არც ფილოსოფოს-სისტემატიკოსი ყოფილა და არც რაიმე დოგმებისა ან შეხედულებების პედანტურად მიმდევარი, პირიქით, მისი შემოქმედებითი ნაყოფიერების წყაროს პოლარულობა შეადგენდა, ეს იყო — წინააღმდეგობათა ამოუწურავი საუნჯე, რომელსაც მისი ბუნება მოაცაუდა და თანამედროვე ზოგჯერ მცდარ საბაბსაც აძლევდა, ნიჰილიზმში დაუდანაშაულებინათ იგი. ხშირად უთქვამთ, ვოეთეს სიტყვებით სამყაროში ყველაფრის დასაბუთება და დამტკიცება შეიძლებაო. მიუხედავად ამისა, მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომლებსაც ამ საღამოსაც წავაწყდებით, მასთან ვიპოვიოთ ურყევი, უდიდესი ადამიანურობისა და საიმედო სიკეთის ნიადაგს, რომელშიც ყველა წინააღმდეგობა აძაღლებულად, თითქმის ღვთაებრივად ბართლდება; რაც მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში თითქოს შეურიგებლად უპირისპირდება ერთმანეთს, უფრო დაკვირვებული თვალისათვის ამ უცდლომელ ადამიანურობაში ზავდება. კარგად ვიცო, ძალზე ღრმად უნდა ჩავწუდეთ საგანთა არსს და ძალზე ფართოდ განვიხილოთ დემოკრატიულობის ცნება, რომ შესაძლებელი გახდეს მასში ვოეთეს მოქცევა, რამქონ უფრო ვაწრო თვალსაზრისით და ზედაპირული მიდგომით უამრავი რამ თითქოს მეტყველებს პოლიტიკურად თუ მორალურად დემოკრატიისადმი მის დაპირისპირებულობაზე, ეს ისევ და ისევ ცხოვრებისადმი მის პოზიტიურ დამოკიდებულებას, მის ბუნებრივ თვითშეგრძნებას უკავშირდება — იგი ღმერთების ნებიერი და შემოქმედი ძალების გამორჩეული შვილია, სამყაროს მეუფეა, რომელიც ოპოზიციაში ყოფნას უბედურებად ჩაიხილდა. მას ერთხელ უთქვამს: „მე რომ ღმერთი გამწყობოდა და ოპოზიციაში ვყოფილიყავი“ — მაგრამ დაავიწყდა, რომ ზოგჯერ ტორებიც არიან ოპოზიციაში, ვოეთეს ადვილად ხელუწიფებოდა სიუაქსიზისა და გამძლეობის შეხამება, რაც გენიის განსაკუთრებულ ვიტალობას შეადგენს, მას უყვარდა თქმა, რომ კარგი ადამიანები თავიანთი მგრძნობიარობის გამო ხანგრძლივად აუადმყოფობენ ხოლმე; თვითონაც ხომ ხშირად ავადმყოფობდა. ვერტერის დღეების შემდეგ, სიცოცხლესთან. საკმაოდ საზიფაოთ

მეგობრობა აკავშირებდა, მაგრამ ძალზე უყვარდა საკუთარი ძალ-ღონით თავმო-  
წონება, მუხასაყით ფართოდ ფესვგადგმულ მიწის შვილად წარმოედგინა თავი  
და გამძლეობით, დღევრძელობით ტრიაბახობდა კადეც, რასაც ასე შენატროდა  
პოლ ვალერი: „ყველაზე მეტად გოეთუში მანცვიფრებს, მისი დღევრძელობა“,  
თვითონაც ტკბებოდა ამით და ზოგჯერ ირონიულად გაიხსენებდა იმით, ვისაც  
სასიცოცხლო ძალები ნადრუვად დაღატობდა. ოთხმოცდაერთი წლის ასაკში  
გოეთუ ამბობს „გარდაიცვალა ზომერიინგი (ცნობილი გერმანელი ანატომი), სულ  
რადაც საშოცდათხუთმეტი წლისა, რა საბრალონი არიან ადამიანები, რომლებსაც  
ამაზე მეტი ასაკისათვის ვერ მიუტანებიან! აი, ჩემი მეგობარი ბენტამი კი ქე-  
ბის ღირსია (ინგლისელი ეკონომისტი და უტილიტარისტი), ეს უაღრესად რა-  
დიკალური შემოღილი თავს მშეენივრად გრძნობს, თუმცა ჩემზე რამდენიმე კვი-  
რით უფროსია“.

აღარ მახსოვს, მერამდენედ გიამბობთ ამ ამბავს. იგი განსაკუთრებით მომ-  
წონს მდიდარი ქვეტიქსტის გამო, მრავალმხრივი მორალური და ფსიქოლოგი-  
ური შინაარსისა გამო, — ვგულისხმობ ხუმრობას ბენტამის „რადიკალიზმზე“,  
რაც ძალზე ნიშანდობლივია. ერთხელ მასთან ერთ მოსაუბრეს ასეთი აზრი გა-  
მოუთქვამს: „თქვენი უდადებულებობა რომ ინგლისში დაბადებულყო, რადი-  
კალი გახდებოდა და სახელმწიფო მმართველობაში ყოველგვარი უფლების ბო-  
როტად გამოყენებას წინ აღუდგებოდა“. ამაზე გოეთუს მეფისტოფელური ნიშ-  
ნისმოგებით უპასუხნია: „თქვენ მე ვინ გვონივართ? როგორ მე აღმოვანენდი ბო-  
როტად გამოყენების შემთხვევებს და ამავე დროს გამოყააშკარავებდი მათ? მე  
ხომ ინგლისში თავად გამოვიყენებდი ყოველგვარ უფლებას! ინგლისში რომ დავ-  
ბადებულყოფი, მდიდარი ჰერცოგი ვაქნებოდი, ან სულაც ეპისკოპოსი, და სამასი  
ათასი გირვანქა წლიური შემოსავალი მექნებოდა“. მეორე თანამოსაუბრემ კი  
შენიშნა, ხომ შეიძლება უიღბლო ბილეთი შეგხვედროდათ „ლატარიაში“,  
რაც ასე ხშირად ხდება ხოლმეო! ამაზე გოეთუს უპასუხნია: „ყველა როდია, ჩე-  
მი კარგო, დიდი მოგებისათვის ნაკურთხი. ხუთუ ისეთი უგუნური გვონივართ,  
რომ უიღბლო ბილეთს ამოვიღებდი?“ ეს ბედთან შეთანამებული კაცის სიტყვებია,  
რომელიც გრძნობს საკუთარ უპირატესობას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ  
გერმანიაში თავის დაბადებასა და ცხოვრებას იგი ბედის სიძუნწედ მიიჩნევდა.  
უმთავრესი კი მეტაფიზიკური რწმენაა, რომ ყოველგვარ პირობებში — ბედის  
ნებიერი და დიდაცი იქნებოდა, ყოველთვის კარგად იგრძნობდა თავს ამქვეყნად,  
და ბედის უკუღმართობაზე წუწუნი მხოლოდ ხელმოცარულთა ხვედრია.

გოეთუ ხშირად იმეორებდა ერთ გამოთქმას, რომელიც ლოგიკურად სრუ-  
ლიად გაუმართლებელია, მაგრამ მის ბაგეთ უცილობელ ჭეშმარიტებად მოსწყ-  
დებოდა ხოლმე: იგი ლაპარაკობდა „თანდაყოლილ დამსახურებაზე“. როგორ?  
ეს ხომ ამკარა შეუსაბამობაა! შეიძლება დამსახურება თანდაყოლილი იყოს?  
დამსახურება უნდა მოიპოვო, თანდაყოლილი კი დამსახურებად ვერ ჩაითვლე-  
ბა, ისე, თუ ამ სიტყვას ზნეობრივ საფუძველს არ გამოვაცლით. მას კი სწო-  
რედ ეს ჰქონდა მხედველობაში. ეს გამოთქმა ერთგვარი გაღაშქრებაა მორა-  
ლურობის, ყოველგვარი ნების, ბრძოლის, მიზანსწრაფულობის წინააღმდეგ, რაც  
თავისთავად საქებარია, მაგრამ არა არისტოკრატიული და, მისი აზრით, უპერ-  
სპექტიუო. „რადაც უნდა იყო“, — ამბობს იგი, — რომ რაიმე შექმნა“, და როცა  
მას ეუბნებიან, ფიქრი ძნელიაო, იგი მიუგებს: „საქმე ისაა, რომ ვერავითარი  
ფიქრი ფიქრში ვერ გაშველის. ბუნებით უნდა იყო ისე შექმნილი, რომ ღირე-  
ბული აზრები თავისთავად, ღვთის შეილებიკით გეცხადებოდეს და მოგძახოდეს:  
„აი, ჩვენ აქა ვართ!“ სწორედ „ბუნების კუროხევად“, ბუნების წყალობად მი-

ჩნდა მას თავისი კეთილშობილება და ირწმუნებოდა, რომ არასოდეს არ შეხედრიდა მასზე უფრო იღბლიანი ადამიანი; ეს თვითშეგრძნება სულაც არ ნიშნავს საზოგადოებრივ ამბიციას ან რაიმე სახის სნობიზმს. აზნაურობის სიყუდი, რომელიც ჰერცოგმა კაიზერს გამოხატოვა, მისთვის არაფერს არ წარმოადგენდა, რადგან „ჩვენ, ფრანკფურტელ პატრიციებს, არასოდეს შეგვანძობდა უფრო აზნაურებზე ნაკლებად“. თან დასძენდა: „ღიას, ისე კარგად ვგანძობდით თავს საკუთარ ტყავში, ისე კეთილშობილად მიმაჩნდა თავი, თაყალობაც რომ ებოძებინათ, განსაკუთრებულს ამაში ვერაფერს დავინახავდიო, სხვათაშორის, მას თავადობაც შეუძლო მიეღო — რომ დათანხმებულიყო ნაპოლეონას წინადადებას, (რაც არაერთხელ დაუპირებია კიდევ), პარიზში გაუგრძელებინა მოღვაწეობა და მისი ნებით „კეისარი“ დაეწერა, და რისთვისაც საკმარისი იყო, გზა მიეტოვებოდასდროინდელი სიძულვილისათვის „მდაბიო“, „არამზადა“ მკვლელების მიმართ, კაიზერი ნამდვილად უბოძებდა მას თაყალობას, როგორც იგი თავად ამბობდა ამას კორნელიზე. ისე კი, მხცოვანობის წლებში, მისი არსებობა თანამედროვეთა თვალში მართლაც თავადური შარავანდელით იყო მოხილი, რაც წერილობით მიმართულებებშიც დასტურდება, ფრანგი კორესპონდენტები მას „მონსიიორს“ უწოდებდნენ — ეს კი, მოგეხსენებათ, უფლისწულის ტიტულია. ერთი ინგლისელი კი წერდა: „მის უბრწყინვალესობას, თავად გოეთეს ვაიმარში“. „ალბათ იმიტომო“, — განმარტავს მონუცი, — „რომ მე ხშირად პოეზიის თავადს მიწოდებენ“.

მაგრამ ეს მხოლოდ მის შემოქმედებას რღვდი ეხებოდა, იმ ხატს, რომელშიც განსახიერდა მისი სიდიადე დარიბსა და სინამდვილეს მოწყვეტილ სულიერ გერმანიაში, „პოეტებისა და მთაზროვნეების ქვეყანაში“. იგი უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ პოეტი: იგი იყო ბრძენი, მუუფე, უკანასკნელი წარმომადგენელი და სულთერი მბრძანებელი ევროპისა, დიდი ადამიანი. ისმის კითხვა, როგორ თავსდება სიდიადე დემოკრატიათან, — ცოტა არ იყოს თამამი კითხვაა, ყოველ შემთხვევაში, როცა გერმანიაზე ვსაუბრობთ, სადაც სიდიადეს ყოველთვის არადემოკრატიული, პიპერტროფიული ხასიათი აქვს: დიდ პიროვნებასა და ხალხს შორის ერთგვარი უფსკრული, თუ ნიცშეს საყვარელ გამოთქმას მოვიშველიებთ, „დისტანციის პათოსი“ წარმოიშობა ხალხმე, რაც ასეთი სიმძაფრით არ იგრძნობა, ისეთ ქვეყნებში, სადაც სიდიადე არ ქმნის ცალკერძ მონობას, ცალკერძ — თვითშეგრძნების გადაჭარბებულ აბსოლუტიზაციას. გოეთეს დიად მხცოვანობას კი ბევრი რამ აერთიანებდა სწორედ ასეთ აბსოლუტიზმსა და პიროვნულ იმპერიალიზმთან; ეს მხცოვანობა მძიმე ტვირთად აწვა ყოველივეს, რაც მის სიახლოვეს ცოცხლობდა და სუნთქავდა, და გარდაცვალების შემდეგ დიდებული პანის დამტირებელ ფერიათა გოდება კი არ გაისმოდა მარტოოდენ, არამედ ერთგვარი შუების გამომხატველი ამოძახილებიც.

ცხოვრებასთან მის კავშირს, რაც თავისთავად დემოკრატიულია სიკვდილის პოეტური არისტოკრატიზმის საპირისპიროდ, მრავალი წახსავი და ნიუანსი აქვს, რაც საუხუბით აბათილებს ეჭვს, რომ შეიძლება თუ არა თავის რაგებში მიითვალოს იგი ევროპულმა დემოკრატიაში. შემთხვევითი არაა, რომ სიცოცხლესთან ეს კავშირი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს მისი ვიტალური გამძლეობის კაიზერს და პოლიტიკური რადიკალიზმის გაქილსკების საბაბს. მის ანტირადიკალიზმს ღრმა ფესვები აქვს, იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია არსობის, სამყაროს სრულყოფილებისა და უცილობლობის მისეულ იდეასთან და თავისუფალია ყოველგვარი საბოლოო მიზნებისა და საბოლოო მიზნებისაგან, რომელშიც ბოროტსაც და კუთილსაც თავისი გამართლება აქვს.



ხელისუფლებისა და ბუნების ქმნილების უმიზნობა მისთვის უმაღლესი მაქსიმია, და საკუთარ თანდაყოლილ ტალანტსაც „ბუნებად“ მიიხსენებს, ღვთაბუნების ნაბოძებად, რაც კეთილსაც მოიცავს და ბოროტსაც. სწორედ აქაა ფესვები შექსპირით მისი ადრეული ალტაცებისა, გაეა დრო, და გოეთეს ნატურფილოსოფიური ესოეტიკა და ანტიმორალიზმი უდიდეს გავლენას მოახდინებს ნეტეზე, ანტიმორალისტზე, რომელიც კადევ ერთ ნაბიჯს გადადგამს წინ და ალტკინებულ მოპყვება კეთილზე ბოროტის უპირატესობის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მისი უპირველესი მნიშვნელობის მტკიცებას.

გოეთესთან კი, როგორც წესი ყოველივე ჯერ ისევე მშვიდ, ბედნიერ წონასწორობას ინარჩუნებს, ყოველივე ობიექტურ და პლასტიკურ სახეებშია წარმოდგენილი. მაგრამ, თუ ბუნების გაღმერთება — ეს სპინოზასეული პანთეიზმი — სათავეა მისი სიკეთის, მოთმინებისა და უდრტვიხელობისა, თავაზიანობის და შემწყნარებლობისა, ამავე დროს იგი სათავეცაა მისი სიცოცხის, ენთუზიაზმისა და აღმაფრენის უნარის ნაკლებობის, რასაც მას ბევრი საყვედურობდა; დაბოლოს, იგია სათავე იდეებისა და სიძულვილისა აბსტრაქციისადმი, რაც მას მომაკვდივნებლად მიაჩნდა. „ზოგადი ცნებები და ზღვარგადასული პატივმოყვარეობა“, — გვამცნობს მისი ერთ-ერთი ნაკვეთი, — „უდიდესი ბოროტების სამიძროებას შეიცავს მუდამ“. ეს არის საფრანგეთის რევოლუციის მიმართ გოეთეს მტრული დამოკიდებულების საყოველთაოდ ცნობილი დევიზი. იგი გამსჭვალული იყო ამ აზრით, რომ „სამყარო გონიერებაზე უნაშთოდ არ იყოფა“, და დარწმუნებული იყო, რომ კანონმდებლები და რევოლუციონერები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს გვპირდებიან თანასწორუფლებიანობასა და თავისუფლებას, ან ფანტასტიკა არიან, ან თაღლითები“. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ აქ გოეთე დემოკრატიის ძარითად სიძნელესა და იმ პრობლემაზე საუბრობს რომლის წინაშეც დგას დღეს მთელი მსოფლიო და რომელიც რევოლუციურ პრინციპებსა და თანასწორუფლებიანობას შორის საშინელი პოლემიკის პერსპექტივით ვკეშქრება, ფაქტია, რომ არც ერთ მსოფლიო მოვლენას ასე მტანჯველად არ უმოქმედნია გოეთეზე, როგორც დიდ რევოლუციას, მეტიც, ამას კინაღამ შეეწირა მისი ტალანტი, — თუმცა სენსაციური ახალგაზრდული ნაწარმოებით — „კერთერიი“, — შეუპოურად რომ ახგრევდა ძველი საზოგადოების საძირკვლებს და წინასწარმეტყველურად ეხმაურებოდა მომავალს, თავად შეუწყო ხელი რევოლუციის მოშხადებას. ცნობილი ფაქტია, რომ, რაც კაცს გუნებაში უნატრია, ხშირად ის სინამდვილეში არ სურს, და გოეთეს დამოკიდებულებაც რევოლუციისადმი ზუსტად ისეთივეა, როგორიც ერაზმისა რეფორმაციის მიმართ, რომლის გზის გასაკვაღავად მან ბევრი რამ გააკეთა და შემდეგ ჰუმანისტური ზიზლით უარყო იგი; გოეთემაც მიუხედავად პიროვნული და რელიგიური სიმპათიისა ლუთერის მიმართ, უარყოფითად შეაფასა ეს ორი დიდი „ძალმიძროება“ თავის ცნობაზე ორპყვარედში“ „ფრანგული სული, როგორც ერთ დროს ლუთერანული, ჩვენს მრუბე დროში მშვიდ განათლებას უკან ეწევა“. მშვიდი განათლება როდი შეადგენდა პატრიოტების უპირველეს საზრუნავს, რომელთაც სურდათ პოლიტიკური თავისუფლებისათვის აღეზარდათ გერმანია, და გოეთეც მწარე უკმაყოფილების გრძნობას იწვევდა ყველაზე ღირსეულ თანამედროვეთა შორის: კერძოდ, „გაუგონარი დამამუხრუჭებელი ძალით“, როგორც ამბობდა ბიორნე, კვიეტეზმითა და აპოლიტიკურობით, იმ ძალით, რომლითაც იგი დროის ენთუზიაზმს, ნაციონალურ-დემოკრატიულ იდეას უპირისპირდებოდა. გოეთე ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების, მასების მმართველობაში ჩაბმის, კონსტიტუციისა და უმრავლესობის ბატონობის წინააღმდეგი იყო; სწამდა, რომ „გო-

ნაერება მხოლოდ უმცირესობის მხარეზეა“ და მომხრე იყო მინისტრისა, რო-  
 ლდიც დამოუკიდებლად ახორციელებს თავის გეგმებს ხალხისა და მონარქის  
 ნების გაუთვალისწინებლად. უნდა გენახათ, როგორ იღვა იგი, საქსონიის ვაი-  
 მარის დიდი საჰერცოგოს პირველი მინისტრი, კონსტიტუციის დღეს, ტახტ-  
 თან, გამართული, „თეთრი შვედნის“ ვარსკვლავით მკერდდაბმული.  
 ყოველივე ეს მას უდიდეს ზიზღს გვრიდა — თავის ხელმწიფეს უფრო ურჩევ-  
 და კენის კონგრესზე გამგზავრებას, რომლის შედეგადაც პატარა სამფლობელომ  
 ნახევარზე მეტი მოიმატა და კარლ აუგუსტი დიდმთავრად ამაღლდა. მაგრამ  
 „კენის შეთანხმებანი“ ყოველ გერმანულ სახელმწიფოს თავის „საერთო კონ-  
 სტიტუციას“ ჰპირდებოდა და ამიტომ არ იყო გოეთე ამ კავშირის მომხრე.  
 პოლიტიკურ წინდახედულებას ვერ დავარქმევთ იმ ფაქტს, რომ მას არ უნდო-  
 და ჰერცოგის კონგრესზე გაშვება. მას საერთოდ ნაკლებად გააჩნდა ასეთი წინ-  
 დახედულება. მას მტკიცედ სწამდა ნაპოლეონის ვარსკვლავის ჩაუსვენებლო-  
 ბისა, გამათავისუფლებელი ომის დროს უაღრესად არაპატრიოტულად მოიქცა  
 და თქვა: „ბრძოლეთ თავისუფლებისათვის, ჩემო კეთილებო, თქვენ იმ კაცთან  
 ვერ მოხვალთ!“ — ამ ნათქვამში არის ჭეშმარიტება; რადგან, სწორედ იმიტომ,  
 რომ ისინი მასთან ვერ მოვიდოდნენ, იგი გაერთიანებული ძალებით დაამარც-  
 ხეს, ისე რომ გოეთე პრაქტიკულად შემცდარი აღმოჩნდა და იძულებული შეიქ-  
 ნა „ეპიქლეინში“ საჯაროდ ეთხოვა პატიება, ასევე შემცდარი აღმოჩნდა იგი,  
 როცა გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა გერმანიის გაერთიანების ადრეულ ცდებს,  
 ფრიდრიხ დიდის 1784 წლის გეგმას, შეექმნათ გერმანელი თავადების ფედერა-  
 ცია ავსტრიის წინააღმდეგ, ე. ი. დინასტიურ-ეროვნულ საფუძველზე, და პრუ-  
 სიული ხელმძღვანელობით, ჰაბსბურგების გვერდის ავლით, — გერმანული კა-  
 ვშირი. წამოწყება, რომელსაც კარლ აუგუსტი უჭერდა მხარს, ამჯერად ჩაიშა-  
 ლა. მაგრამ ხუსტად იგივე გზა აიღრია მოგვიანებით ბისმარკმა; ეს იყო ისტო-  
 რიის გზა, რომელსაც გოეთე ვერ ხედავდა და არც სურდა დაენახა. მაგრამ,  
 როგორც არ უნდა წარიმართოს ისტორია, მისი თვისება ისაა, რომ რაღაც მა-  
 ინც ხდება. გოეთეს კი არ უყვარდა ისტორია, იგი ამ ქვეყნის პოლიტიკას „შეც-  
 ღომებისა და ძალმომრეობის ქაოსს“ უწოდებდა.

ზოგჯერ ისე ჩანს, თითქოს მას ნაკლებად, ან სრულიადაც არ სწამდა კა-  
 ცობრიობის, მისი რევოლუციური განწყობის, მისი ნათელი მომავლისა. გონიე-  
 რებისა და სამართლიანობის ჩანერგვა ადამიანისათვის შეუძლებლად მიაჩნდა. ის-  
 ტორიის სასწორი ხან აქეთ გადაიხრება, ხან იქით, და ბრძოლასა და სისხლის  
 ღვრას ბოლო არ მოეღებო. და ყოველივე ეს პესიმისტური ხევალით როდი იყო  
 ნათქვამი! მას ასე სწამდა სულის სიღრმეში, რადგან პაციფიზმი მისთვის უცხო  
 იყო. პირიქით, იგი ძალის, ბრძოლის მომხრეა, „ვიდრე ერთ-ერთი მხარის უპი-  
 რატესობა არ გამოაშკარავდება“, რაც ძალიან წააგავს ვაგნერის ვოტანის სიტ-  
 ყვებს: „როცა ძალები ბოიოქრობენ, ხმამაღლა მოუუხმობ ბრძოლისაკენ“. მას  
 კარვად ესმის, რა არის ომი; იგი „ფაქტიურად ავადმყოფობაა, რომლის დროსაც  
 ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად განკუთვნილი სასიცოცხლო ნექტარი მხოლოდ  
 არაბუნებრივი ძალების გამოისაკვებად იხარჯება“. მაგრამ ამასთან აღიარებს, რომ  
 „მისთვის მოსაწყენია ყველასთან მშვიდობიანი ერთობა“, რომ „რისხვა სწყურია“.   
 ცხადია, ამ სურვილებს ქრისტიანულ მშვიდობისმოყვარეობასთან არაფერი აქვთ  
 საერთო. სამაგიეროდ აშკარად ეხმაურებიან ლუთერის და, ასე გასინჯეთ, ბის-  
 მარკის იდეებსაც კი. ბევრი რამ შეიძლება ითქვას მისი ბრძოლის ეინის, ხელ-  
 ჩართულ ბრძოლაში შეჭრისა და შურისძიების წყურვილის შესახებ, იგი მზადაა  
 ძალით დაადუმოს, პირში ბურთი ჩასჩაროს მოწინააღმდეგეს და, „საზოგადოები-

საგან მოქვეითის ასეთი ადაშიანები“. ყოველივე აქედან კი, თუ თავს გამოვუტყუდებით, ორიოდ ნაბიჯია სისასტიკემდე. — დიახ, მისი რეალიზმი სწორედ სასტიკი იყო; იგი უარყოფდა მაღალი იდეალებით აღფრთოვანებას, მისი მგრძობიარე ბუნება კლუხის მამულის გაპარტახებას რეალობად აღიქვამდა და თინაგრძობას აღძრავდა მასში, „მამულის დაღუპვა“ კი ხმაძრავდნენ უფრო მაინდა. ღრძაა მისი სკეპტიციზმი მმართველობის (ლიბერალიზმის) სწორების მიმართ. „თქვენ დაინახავთ“, — ამბობს იგი, — რომ „სათავეში მდგომი კაცო მუტისმეტი სიკეთით, ღმობიერებითა და ძორალური დელიკატურობით ვერ გავაფინს, როცა უნდა მოუარო და ავტორიტეტი შეუხარჩუნო არეულ და ზოგჯერ ბილწ ქვეყანას“, — ეს კი სიტყვასიტყვით გვაგონებს მის პოლიტიკურ მოწაფეს, შოპენჰაუერს. სისხლის სამართლის საკითხებში იგი გადაჭრით ეწინააღმდეგება სირბილესა და სისუსტეს, აღშფოთებას გამოთქვამს ღროის ჰუმანური მიდრეკილების გამო, რაც საექიმო მოწმობებითა და რეკომენდაციებით დამნაშავეთათვის სასჯელის შემსუბუქებას გულისხმობს და კმაყოფილებით ისმენს ენერგიული ახალგაზრდა ექიმის კატეგორიულ პასუხს კითხვაზე, აგებს თუ არა შვილის მკვლელი ქალი თავის ნამოქმედარზე პასუხს — დიახაც აგებს. „ის არ არის პირველი!“ — იგი არასოდეს არ ეთინხმებოდა ებრაელთა ემანსიპაციას, რასაც ასე უწყობდა ხელს მისი დიდი ხელმწიფე, ბოლოს და ბოლოს, — ამბობს იგი, — ვაიმარში ერთ მშვენიერ დღეს ებრაელი ფრაუ ობერპოფმაისტერი გვევლლებაო. იგი არისტოკრატია მასის მიმართ და მხოლოდ მაშინ სცემს მას პატივს, როცა ის ჩუმადაა, — განსჯის უნარი არ შესწევსო — ასე ამბობს ერთ-ერთ გარიტმულ აფორიზმში. მასა და კულტურა, მისი აზრით შეუთავსებელია, რადგან კულტურა რჩეულ საზოგადოებას უდრის, რომელიც თავშეკავებული დიმილით განმარტავს უმაღლეს ჭეშმარიტებებს... ამიტომ სულაც არა აქვს იმის იმედი, რომ მისი ნაწარმოებები პოპულარობას მოიპოვებენ. „ვინც ამაზე ფიქრობს და ამისკენ მიისწრაფვის,“ — ამბობს იგი, — „ცდება“. ისინი არაა დაწყრილი მასისათვის, არამედ მხოლოდ ცალკეული ადაშიანების, რომლებსაც მსგავსი რამ სწადიათ და „ეძებენ“. უცნაური მხოლოდ ისაა, რომ იქვე აცხადებს, არც ერთ აუგ სიტყვას, რაც კი „ვერორს“ ერგო, ჩემთვის არა უენია რაო, რამეთუ ცალკეული, თუნდაც მნიშვნელოვანი ადაშიანების სუბიექტურ აზრს მასა კვლავ გააწონასწორებსო. ხილო, ვისაც მილიონობით მკითხველი არ ელოდება, მან საერთოდ ხელი უნდა აიღოს წერაზეო. როგორც არ უნდა იყოს: მისთვის მნიშვნელოვანი იყო საკუთარი პიროვნული კულტურა და „საკუთარი ყოფის პირამიდის შეძლებისდაგვარად მაღლა აზიდვა“, — ყოველ შემთხვევაში, მისი ცხოვრების ყველაზე ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე, — და არა სამყაროს გაუმჯობესება საბოლოოდ პიროვნული მაღალგანვითარების დიდებას იგი უკვდავებას უკავშირებს, ხილო მდაბიო მასას მარადიულ რღვევას უქადის. „ვისაც სახელი არ მოუპოვებია და არც კეთილშობილებას ელტვის, — წყალს წაუღია!“ ამაზე უფრო არისტოკრატული სიტყვა არ არსებობს. ეს მოწმობს შეწყნარებისადმი რწმენას. და თუ ეს უკანასკნელი ქრისტიანული კონცეფციაა, მაშინ ამით ქრისტიანობა თავის არისტოკრატულ მხარეს წამოსწევს წინ.

და მაინც ქრისტიანობა, როგორც რელიგია, დემოკრატიაა, ისევე, როგორც შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია ქრისტიანობის პოლიტიკური გამოხატულებაა. ქრისტიანობის რევოლუციურ არსს გიუთუ' ამ სიტყვებით გადმოგვცემს: „ქრისტიანული რელიგია მიზანდასახული პოლიტიკური რევოლუ-

ცაა, რომელიც შემდგომ, შეცდომით, მორალურად იქცა“. ეს ობიექტურადაა შენიშნული; თავისი პირიუხული დამოკიდებულების შესახებ ქრისტიანობისადმი ის არაფერს ამბობს, მაგრამ უნდა ჩავეძიოთ: როგორ იყო იგი მის მიმართ განწყობილი? როგორ იყო განწყობილი რწმენის მიმართ, ღვთისმოსაობის/მიმართ საერთოდ? მსურს მოვიტანო ერთი სენტიმენტი. რომელიც საიდუმლოდ ჩველება ზემს გულს, უსახლვრო სიმპათიას აღმიძრავს. მასში ნათქვამია:

„ღვთისმოსაობა კაცთა ზვედრია, —  
 ის ამავე დროს ხელსაყრელია;  
 ღვთისმოსაობის გარეშე ვინც დგას,  
 თვითონვე უნდა მიხედოს მის თავს...  
 არ უნდა იყოს მხდალი, ჯაბანი,  
 მან უნდა ზიდოს სხვისი ჭაბანიც.  
 არცა იმედის სხივი ჩაუქრეს,  
 რომ ღმერთი მაინც ხედავს ჩაუქებს“.

ის უზენაესი ძალის კეთილგანწყობის იმედაა, თუნდაც, ან უფრო სწორად, თუ თავისი რწმენის უზიფათო ნავსადგურში კი არ მოიკალათიებს, არამედ, თავისუფალი და დაუცველი, საკუთარი პასუხისმგებლობით, ძალღონეს არ დაზოგავს. ეს სენტიმენტი პროტესტანტულად ვლერს, და შესაძლებელია ის აზრიც გაგვიჩნდეს, რომ დღეს შეიძლება პროტესტანტული განწყობა და აღზრდა იყოს ძალა, რომელიც გვაკავებს, კომუნისტურ რწმენაში ვპოვოთ საიმედო თავშესაფარი. ამასთანავე, საკმაოდ უცნაურია, რომ გოეთე ზოგჯერ პროტესტანტიზმს წარმოგვიდგენს ძველგერმანული წარმართობისა და დიდკაცობის ერთგვარ შერიგებად ქრისტიანობასთან.

გერმანულ კაცთა საქებრად ვიტყვი:  
 ქრისტიანობა მათ სძულდათ, ვიდრე  
 კარლოსმა თვისი მძღაური მახვილით  
 ქველი საქსები არ დაიმონა.  
 მერეც კარგახანს ურჩობდნენ მაინც,  
 საბოლოოდ კი წმინდა მამებმა  
 უღელქვეშ ქედი მოადრეკინეს;  
 თუმც ბობოქრობა ამის მერეც არ მოუშლიათ.  
 ისინი ჯერაც ბურანში იყვნენ,  
 როცა ლუთერმა ასე მარჯვედ თარგმნა ბიბლია.

ეს მართლაც ისე ვლერს, თითქოს პროტესტანტიზმი მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობის შეგუება იყოს გერმანიულ წარმართობასთან, რაც უზვად იყო თავად გოეთეში და არც იხვედა უკან აშკარა და გამომწვევი გამოუღისებებისაკან. ყოველივე გვიჩსოვს. თავის თავს გოეთე „ნამდვილ არა-ქრისტიანს“ უწოდებდა, „ჯვარს“ თავისი ანტიპათია გამოუცხადა, მორჩილება და მოთმინება თავის საქმედ არ მიაჩნდა და ამაყად აცხადებდა,

„თუ ალაჰი მატლის ბედს მიმზადებდა,  
 ვანა იგი მატლად გამაჩენდა?“

ძალიან კარგი, ეს გახლავთ გოეთე, არისტოკრატი, მაგრამ ხომ იმთავითვეა წარმოუდგენელი, რომ ამ გონის ჩამოყალიბება არ ყოფილიყო ძლიერად განსაზღვრული ყოვლისნაშფუდობი რევოლუციით, ან უფრო სწორად: მუტაციით, როგორც კი ოდესმე ადამიანურ სინდისსა და მსოფლშეგრძნებას განუცდია, და მას, ლიხტენბერგით მაინც უნდა ეფიქრა ამაზე, რომელმაც, რაკი გაითვალისწინა, რომ დედამიწაზე აღარ შეიძლება გაჩნდეს ისეთი რელიგიური ქმნილება, როგორც ქრისტიანულია, და ამასთან გაითვალისწინა მისი ზნეკეთილობის ძალა, გადაწყვიტა: „ისევ მისი ერთგულნი უნდა დავრჩეთ“. ქრისტიანობის ზნეკეთილობის ძალას აღიარებს გოეთეც კერძოდთან საუბარში, როცა საბოლოოდ განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას რელიგიისადმი. სახარების თითოეული პუნქტის ისტორიული ჭეშმარიტების შესახებ გოეთე ამბობს: „მათში ზემოქმედების ძალა აქვს იმ სიდიადის ანარეკლს, რომელსაც ქრისტეს პიროვნება ასხივებს, იმ ღვთაებრიობას, რომლის მსგავსი მიწაზე არასოდეს მოვლენილა... რაც არ უნდა წინ წავიდეს სულიერი კულტურა, რაც არ უნდა განვითარდეს და გაღრმავდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და გაფართოვდეს ადამიანის გონი, იგი ყურ დაჩრდილავს ქრისტიანობის სიდიადეს და იმ ზნეობრივ კულტურას, სახარებაში რომ ბრწყინებს და ანათებს“, — ქრისტიანობის „ზნეობრივი კულტურის“, მისი ჰუმანურობის, მისი ზნეკეთილობისა და ანტიბარბაროსული ტენდენციის წინაშე იბრძოდა გოეთე ქედს, რადგან ეს მისი რელიგია იყო, და ეს თავგანისებლად, უეჭველია, მომდინარეობს ფედერაციის გრძნობიდან, ნათესაობის შეგნებიდან, რომელიც აერთიანებს მის ხალხს ნაციონალურ-გერმანულ სამყაროში ქრისტიანული მისიით. ეს არის უაღრესად დემოკრატიული მისია, რამეთუ უბრალო ადამიანებისადმი სიძველეთა, ტანჯვის ამაღლება ქრისტიანობის თანდაყოლილი თვისებაა. რა შეიძლება იყოს უფრო ქრისტიანული, ან უფრო დემოკრატიული — ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, — ვიდრე გოეთეს გამონათქვამი: „ყოველგვარ ტანჯვას ახლავს რაღაც ღვთაებრივი“. გოეთეს ქრისტიანობას, მისი პიროვნების ბუნებრივ შემადგენელ ნაწილს პროტესტანტული ელფერი დაჰკრავს. ის პროტესტანტი კულტურის მიხედვით, და განა „ვერთერის“ მსგავსი ნაწარმოები შეიძლება შექმნილიყო პიეტისტური ხანგრძლივი სკოლის შექმნების გაუუღელად? ზედმიწევნით სწორად განსაზღვრა ნიცშემ გოეთეს ადგილი — „ელინიზმსა და პიეტისმს შორის“. მაგრამ თვალშისაცემია რომ პროტესტანტიზმსა და ლუთერანიზმში იგი ძალზე ხაზგასმით მიუთითებს დემოკრატიულ ტენდენციაზე და კათოლიკური ეკლესიისა და მისი იერარქიის კრიტიკისას უცებ „მდაბალ მასებზე“ იწყებს საუბარს. „ეკლესიას სურს იბატონოს“, — აცხადებს გოეთე საქმის ერთგვარი პოლიტიკური ცოდნით, — „და მას უნდა ჰყავდეს შეზღუდული მასა, რომელიც ქედს მოხრის და მორჩილი იქნება. არაფერი ისე არ შეიძლება მალე, უჩვეულოვლიან სულიერებას, როგორც დაბალი მასების გამოფხიზლება. იგი მათ ბიბლიასაც უმაღლავდა, რამდენ ხანსაც კი შესაძლებელი იყო. ან რა უნდა ეფიქრა ქრისტიანული მრევლის ღარიბ წევრს შემოსავლიანი ეპისკოპოსის ფუფუნებაზე, როცა ის სახარებაში ქრისტესა და მისი მოციქულების სიღარბესა და სიღატაკეს დაინახავდა? ჩვენ არ ვიცით“, — წამოიძახებს გოეთე, — „რას უნდა ვუმაღლოდეთ ლუთერსა და რეფორმაციას. ჩვენ ვაკთავისუფლდით რელიგიური შეზღუდულობისაგან, ჩვენ შევიძინეთ უნარი დავუბრუნდეთ პირველწყაროს და ქრისტიანობა პირველქმნილი სიწმიდით შევითვისოთ“... ის, რაც ლუთერმა მოიტანა, რელიგიური დემოკრატიაა და გოეთეც კვებს უკრავს ამას, თუმცა თავად გაცალებით უფრო და

ხვეწილი, კეთილშობილი და დელიკატურია, ვიდრე ვიტენბერგელი უბრალო და უხეში ხალხის შვილი, — მისი სიმპათია ლუთერის მიმართ ღრმა და ჭკუძმარითია; ეს არის ნაციონალურ-პიროვნული ნათესაობა, მონათესავე ხელის შეცნობა. ჯერ კიდევ ჭაბუკმა „ფაუსტში“ განასახიერა ბიბლიის მთარგმნელი და შემდგომშიც უდიდეს შეფასებას აძლევდა ლუთერის მოღვაწეობას. მან რომ შემკვიდრებოდ მძილო, განაგრძნო და სრულყო, და თან დასძევს: „მე მხოლოდ მისი სინაზის უკეთ გადმოცემას თუ შევეცდებოდი“.

გოეთეს პროტესტანტულობა მთლად საიმედო მაინც არაა: იგი ვერ ფარავს კათოლიციზმით აღფრთოვანებას, რაც ესთეტიკური უპირატესობით კი არ არის გამოწვეული, არამედ კათოლიკური ცხოვრების დემოკრატიულ-თემური ძალით. ის უფრო ძლიერი და უფრო საამთაო, ვიდრე პროტესტანტული, აღმოაჩენს გოეთე, „კათოლიკე უნდა ვახდე“, იმეორებს იგი, — „რათა ადამიანთა ცხოვრებას ეზიარო, დაემსგავსო, შეერთო ბაზარსა და ბრბოს. რა უბადრუკები და მარტოსულები ვართ ჩვენ, პატარ-პატარა, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მცხოვრები ადამიანები!“ გოეთე ხოტბას ასხამს ვენეციას, არა როგორც თვითმპყრობელობის, არამედ ხალხის მიერ შექმნილ ძეგლს. „ცხოვრება ხალხში“ — ესეც გოეთეა, გოეთეა ადრიდანვე. ბავშვები, ხალხი, ბუნება — ეს იყო მისი სიყვარული, ჭაბუკი ვერთურის გაზიარებული სიყვარული, და არ არის საჭირო თბილი ხალხური სცენების გახსენება „ექსპონტიდან“ თუ „ფაუსტიდან“, გავიხსენოთ მხოლოდ მისი პირადი თვითშეგრძნება ხალხურ თავყრილობებზე, გავიგოთ, რას ნიშნავს მისთვის ხალხთან ყოფნა, როცა გარსშემორტყმულია ხალხით მონადირეთა შეჯიბრისა თუ წყალკურთხევის დროს; ყოველივე ხალხურს იგი ბუნების ელემენტად, არაცნობიერის მასაზრდოვებელ და გამაახალგაზრდავებელ ველად აღიქვამს. „ცნობიერებაში ადამიანი დიდხანს ვერ დაჰყოფს; მან დროდადრო არაცნობიერს უნდა შეაფაროს თავი, რამეთუ იქ ცოცხლობს მისი ფესვი, — ეს ფრაზა შეუძლო წარმოეთქვა შილერს — ამაყ ავადმყოფს, გონისმიერ არისტოკრატს, თავისუფლების დიად, გულისამაჩუყებელ შემლილს? „უცნაურია, მაგრამ, ღიმილით ეუბნება გოეთე ეკერძანს, — „მას ხალხის განსაკუთრებულ მეგობრად თვლიდნენ, სინამდვილეში კი ჩვენში დარჩეს და, ჩემზე გაცილებით მეტი არისტოკრატი იყო“.

ეს სინამდვილეა, მაგრამ არც მთლად უცილობელი. რადგან ხალხური ელემენტისადმი კონსერვატიული სიყვარული, რაც გოეთეს ახასიათებდა, სრულიად განსხვავდება კაცობრიობისადმი იდეური და რევოლუციური სიყვარულისაგან რომელითაც შილერის პათეტიკა იყო აღბეჭდილი, რაც მისი ხალხურობის ხასიათს განსაზღვრავდა, და რამაც იგი პოლიტიკურად ემანსიპირებულ, ეკონომიური თავისუფლებისათვის მებრძოლი ბურჟუაზიის მომღერლად აქცია. გოეთესათვის ყოველივე ეს ცოდნად რჩებოდა, რაც მას არ აღაფრთოვანებდა: 1792 წელს, ვალმის გადაწვეტილების, ევროპის ძველ ხელისუფლებზე რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი ვითარებაში გარკვეული კაცის ნეიტრალური ტონით აუწყებს თავის სამხედრო გარემოცვას: „ამიერიდან მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა იწყება და თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ ამის მოწმენი ვახდით“ „მეფე გარბის, ბიურგერი ზეიმობს“ — მან იცოდა ეს და უფრო ეთანხმებოდა, ვიდრე მიესალმებოდა ამას. ახლა სასარგებლო დრო მოდის, რაც ფულსა და ურთიერთობებს, გონს, ეჭრობას და კეთილდღეობას უკავშირდება და არც იგი არ ეწინააღმდეგება უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ დიდი მასშტაბების ტენდენცია ახლობელი და სიმპათიურია, ისინი

მის ექსპანსიურ მოთხოვნებს პასუხობენ. „მსოფლიო ლიტერატურა“ — სიტყვა, რომელსაც ის ქმნის და განამტკიცებს ნაწილობრივ როგორც ფაქტს, ნაწილობრივ კი როგორც სამომავლო მოთხოვნას — პირველ ყოვლისა განა მსოფლიო სივრცეებში მისი პიროვნული სწრაფვის გამოხატულება არაა, ასაკთან ერთად სულ უფრო და უფრო რომ ძლიერდება? ერთგულს უნდა „ცხებები-თა და გრძნობებით თავისუფალ ვაჭრობაზე“ ლაპარაკობს, რაც ლიბერალურ-ეკონომიკური პრინციპების სულიერ ცხოვრებაზე გადატანას უდრის. ამაში გამოსჭვივის მეცხრამეტე საუკუნე, საუკუნე ეკონომიკისა და ტექნიკისა, რომელშიც მეთვრამეტე საუკუნის შვილმა ერთი სიცოცხლისოდენი მოათია, ბურჟუაზიის შემდგომი ურაც შეიმეცნა და განჭვრიტა.

გოეთე ფლობდა განსაკუთრებულ უნარს, დროის მოთხოვნის ცოდნა გაუიგებებინა მისადმი მორჩილებასთან, მისი სამსახურის, „ეპოქის დაჩქარებაში“ საკუთარი წვლილის მოვალეობასთან. იგი რომ მსოფლიოს ვაშში ერკვეოდა, რომ იცოდა, რისი ვაში დადგებოდა, — ეს ამავე დროს პროგრესულობაა, და მან სავსებით სამართლიანად განაცხადა თავისი ენერგიული პროტესტი „არსებულის მეგობრის“ ტიტულის მიმართ, რაც ყოველივესთან ერთად დრომოჭმულსა და ცუდსაც გულისხმობდა. „დრო“, — ამბობს იგი, — „მარადიულ დინებაშია, და ადამიანური საგნები ყოველ ორმოცდაათ წელიწადში სახეს იცვლიან. ისე რომ, მოწყობილობა, რომელიც 1800 წელს სრულყოფილი იყო, 1850 წელს შეიძლება უკვე ნაკლოვანი იყოს“, — ყურადღების გამახვილება ცვლილებებზე, ჭაშმარიტებისა და სიმართლის გათვალისწინებით, და გონიერი მორჩილება, რომელიც ანგარიშს უწევს მათ — ეს, არის, ასე ვთქვათ, მისი პოლიტიკური რელიგია. აქედან გამომდინარეობს მისი კრედი: „წინ და მხოლოდ წინ!“ აქედან გამომდინარეობს მისი მოუთმენლობაც მარადიულ გუშინდელთა მიმართ, რომლებსაც ის შესძახებს:

ეს ხომ დრომოჭმული ძველმანებია,  
 მოეგეთ გონს!  
 ნუ ტყუებით მუდამ ერთ ადგილს,  
 იართე წინ!

იგი ყოველთვის წინ მიდიოდა და ვითაღური გამძლეობის წყალობით შილერზე უფრო შორსაც წავიდა, რომელიც სულ ორმოცდაექვსი წლისა გამოესალმა წუთისოფელს. ამ ქვეყნად დარჩენილი და დაუღეგარი კაცის მორალურ-პოლიტიკური განვითარება ასახულია ადრე დაწყებულ და გვიან გასრულებულ რომანში, „ვილჰელმ მაისტერი“, სიცოცხლისეულ ნაწარმოებში, რომელიც მის ცხოვრებას „ფაუსტივით“ ათწლეულების მანძილზე გასდევს და ძალზე განსხვავებულ სულიერ სტადიებს გაივლის. 1795 წელს, როცა გოეთე იმ ხნისა იყო, რა ხნისაც შილერი გარდაიცვალა, იგი თეატრალურ რომანს დიდ სოციალურ-პრობლემურ რომანად გარდაქმნის, და როცა ორმოცდათვრამეტი წლისა კვლავ ანახლებს „მოგზაურობის წლებზე“ მუშაობას, სრულიად სხვა ადამიანია, ვიდრე ახალგაზრდა თეატრალური ენთუზიასტი, რომელსაც მხოლოდ დიონისური ბოშით სამყაროს, კულისების სამყაროს ისე აღწერა ჰქონდა განზრახული, როგორც ეს მანამდე არავის გაუკეთებია. ნაწარმოები ინარჩუნებს ავტობიოგრაფიულობას, რამდენადაც ის აღზრდის ისტორიად, ინტელექტუალურ სათავგადასავლო და ექსპერიმენტულ რომანად რჩება. მაგრამ თვალსაზრისი სრულიად შეცვლილია. წიგნში კიაფობენ იდეები, რომლებიც სცილდებიან პიროვნულის ეს-

თეტიკურ კულტს, ყოველივეს, რაც ბიურგერულში, რაც ჰუმანურობაში იგულისხმება, კულტურის კლასიკურ და ბიურგერულ ცნებას, რომლის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებასაც გოეთე პირველ რიგში თავად უწყობდა ხელს. მისი სტოცხლისმოყვარე და ცნობისწადილიანი ალლო ნათლად ჭვრეტს რისი „ჯერი ღვება“. რა იკაფავს გზას ზნეობრივ ყოფასა თუ ცხოვრების ტექნიკურ წყობაში და რისი მოხელაც უნდა დააჩქაროს ყველამ, თუნდაც დიდი ხნის ნასათუთები. მაგრამ დრომოჭმული იდეალების ფასადაც დაუჯდეთ ეს. ამისი მაგალითია ცნობილი „თვითუარყოფა“ — გოეთეს მხცოვანობის ეს საყვარელი მოტივი. თვითუარყოფა ინდივიდუალისტური ჰუმანურობის თვითგადაღებაა, პიროვნული მრავალმხრივობის იდეაზე უარის თქმა და ცალმხრივობის საუკუნის გამოცხადებაა. აქ ნაჩვენებია ინდივიდის უკმარობა, რაც დღევანდლობისთვისაა დამახასიათებელი. ცალკეული პიროვნება ფუნქციად იქცევა და მისი ღირებულება საერთო კულტურაში შეტანილი წვლილითაა განისაზღვრება, წინა პლანზე ღვება თემის, „ორდენის“, კოლექტივის ცნება, და პედაგოგიური პროვინციის იესუიტურ-მილიტარისტული სული, თუმცა პოეტურად შეღამაზებული, ქვას ქვაზე აღარ ტოვებს ინდივიდუალისტურის და „ლიბერალურის“ ბიურგერული იდეალიდან.

უპირველეს ყოვლისა, რომანის მოქმედება კონტინენტთაშორის მასშტაბისაა — მხედველობის არეში ახალი სამყაროა, — ამერიკა, — და იქ გამგზავრების იდეა, — რაც ბოლოს მრავალი პერსონაჟის არჩევანი ხდება, — რომანის ძირითად მოტივად იქცევა. გოეთე და ამერიკა, გოეთე — ამერიკელი — ეს არის განსაცვიფრებელი შერწყმა და წარმოდგენა; ის ზომ ძირძველი ევროპელია, მწეულია წარმოვიდგინოთ უფრო „კონტინენტური“ რამ, ვიდრე მისი იერსახე, და ბოლომდე, „მოგზაურობის წლებშიც“ კი, თავის სიყვარულსა და თავყანისცემას უცხადებს იგი ევროპულ კულტურას — ამ „ფასდაუდებელ კულტურას, რომელიც მრავალი ათასწლეულის წინ აღმოცენდა, გამძლავრდა, გავრცელდა, ხან ითრგუნებოდა, მაგრამ ბოლომდე არასოდეს არ ჩაბშობილა, კვლავ ამოისუნთქავდა, აღსდგებოდა და უწინდებურად უსასრულო ქმედებაში ვლინდებოდა“. ეს ნამდვილი ქებათა-ქებაა და მაინც, ახალი საუკუნის დამდეგიდან, მთელი რიგი ძვრებისა და ნგრევის შემდეგ, ნათელი ხდება, რომ იგი აღარაფერ სიკეთეს მოუღოდა ევროპისაგან, რომ მისი რწმენა ევროპის მომავლისადმი შეირყა, რომ იგი დედამიწის ამ რთულ ნაწილში სივიწროვესა და საფრთხეს გრძნობს და მის გულში გაქცევის იდეა იბადება. გაქცევა განსაკუთრებულ როლს თამაშობს გოეთეს ცხოვრებაში: იგი გარბის შვეიცარიაში ღილი შონემანის პერიოდში, მოგვიანებით კასრისტეხით გარბის იტალიაში და უკვე ევროპიდან გაქცევას უდრის, როცა „დიკანის“ პირველ სიმღერაში წერს:

„გაიქეცი წმინდა აღმოსავლეთში,  
რათა იგემო პატრიარქების ჰაერი“.

ახლა ამერიკაა მისი შინაგანი ლტოლვის საგანი, ეს შორეული, ოკეანესგადაღმა მდებარე ქვეყანა, რომელმაც ესესაა მოიპოვა დამოუკიდებლობა და ვის გამარჯვებას უფლებებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში „პოუზიასა და სინამდვილეში“ გოეთემ „კაცობრიობის შვება“ უწოდა. ამაზე უფრო დემოკრატიულად განცდილ სიტყვას ვერ ვიპოვით. იქ გაქცევა ფანტაზიისა და ფიქრების ნაყოფად რჩება, მაგრამ გოეთე კატეგორიულად მხოლოდ ასაკს აბრალებს, რომ სინამდვილეში ვერ გადაუწყვეტია გადასახლება. „ოცი წლით ახალგაზრდები რომ ვიყოთ“, ეუბნება იგი 1819 წელს კანცლერ ფონ მიულერს, „ამერიკისაკენ ავი-



შეუბნით იაღქნებს“. ეს ის წელიწადია, როცა მან თავის ნაწარმოებთა კრებული მარვარდის უნივერსიტეტს უძღვნა (ეს ფაქტი ნაკლებადაა ცნობილი) და თანდართულ წერილში შტატებს „სასწაულებრივი ქვეყანა“ უწოდა, რომლისკენაც მოელი მსოფლიოს მზერაა მიპყრობილი იმ საზეიმო კანონიერი მდგომარეობის გამო, ზღვარდაუდებელ ზრდას რომ უწყობს ხელს.“ მოგვეჩვენებუ-აჩაღგაზრდა მეგობართან სულბიც ბუასერესთან საუბარში ასე ამბობს: „მეცხედბოდა, მე რომ ოცდაათი წლის წინ რამდენიმე მეგობართან ერთად ამერიკაში წავსულიყავი და კანტსა და სხვებზე არაფერი გამეგონა!“

ეს გვაგონებს „დასავლეთ-აღმოსავლეთის დიქანის“ შესავალი ლექსის სტრიქონებს:

„მხოლოდ და მხოლოდ ნებით ღვთის და წინასწარმთქმელის დაუბრუნდება სული შენი იქ წმინდა საწყისს, იმ სამყაროში, სადაც ბრძნული, ნათელი ენით, უფალი მოკედავთ მათ ენაზე ესაუბრება და მიწიერი სიტყვა მისი მადლით მოსისლი, ავხსნის თაესატებს და გულისჭირს, ესაღბუნება“.

„ავხსნის თაესატებს“ — ეს არის მთავარი. ხიდის გაღება ამერიკასთან — ეს ცხოვრებისაგან დაღლილი, სირთულეებით, ნალექლით, სულიერი და ისტორიული ტრადიციებით დაძვირებული და ნიპილიზმის ზღურბლთან მდგარი ევროპული სამყაროდან ეოველგვარი წინამძღვრებისაგან თავისუფალ, ბუნებრიობის, უბრალოებისა, ასე გასინჯეთ, გულუბრვეილობისა და უზრუნველი ახალგაზრდული ძალის სამყაროში გადასვლის მოთხოვნაა. ჯერ კიდევ იტალიაში გაქცევის ახლდა საგრძნობლად მიაპიტობისა და ბუნებრიობის წყურვილი, ახლა კი იგი გზის პოულობს პოპულარულ სტრიქონებში:

„შენ, ამერიკავ; უკეთესი გრგებია ხვედრი, ჩვენ წილ მიწას კი დაებუდა ძველთაგან გლოვა; შენ არ გაწვება გულზე მძიმედ ციხე-კოშკები, ნანგრევთა გროვა.“

შენ თან არა გღვეს ნამყო დროის სეულა ფარული, შენს მოგონებებს არ აწეება წარსულის ლავა, შენ ცხოვრობ მხოლოდ ცოცხალ დროში და არ გჩვევია ამაო ღავა“.

„ცოცხალი დრო“, — აი, რა არის მთავარი, ამ კონსერვატორის ინტერესი ახალი საგნებისკენაა მიმართული, მისი მზცოვანი ასაკი აღსავსეა ცოცხალი ცნობისმოყვარეობით, „მკვდარი დგამისადმი“ ხიზლით, მსოფლიოს გამოფხიზლების აუცილებლობის შეგნებით, მსოფლიოსი, რომელსაც ძველი და სიცოცხლის წინსვლის შემაფერხებელი სატკივრები მოსძაღებია; და მსოფლიო ტექნიკური პროგრესითა და გონებით ეს დაინტერესება დაკავშირებულია იმასთან, რაც მისი პიროვნებისათვის არც თუ ახალია — „პოეზიასა და სინამდვილეში“ იგი მოგვითხრობს, რომ აღრიდახვე იტაცებდა ეკონომიკური და ტექნიკური ძიებანი, ახლა კი ეს გატაცება ისე დაუფლებია, რომ XVIII საუკუნის ამ კუშტი და გულ-ზეიადი დიდებულის მაგიდ თან უფრო ხშირად და მეტი გულმოდვინებით საუ-

ბროზენ ორთქმავლებსა და მყრინავი მანქანის პირველ გამოცდებზე, მსოფლიო ტექნიკის უტოპიურ პრობლემებსა და პროექტებზე, პანამისა თუ სუეცის არხზე, ღუნაისა და რაინის შეერთებაზე; ვიდრე ლიტერატურასა და პოეზიაზე და განა ეს გასაკვირია, „ფაუსტის“ ავტორისაგან, რომელიც უმაღლეს ბედნიერებას ყველაზე უტილიტარისტული ოცნების — ჭაობების ამოშრობის განხორციელებაში ხედავს?

„თავისუფალ მიწაზე თავისუფალი ხალხი მკვიდრობდეს“, — ეს ძალზე ამერიკულად ჟღერს. მომავალი დღევანდელ ადამიანს ეკუთვნის, რომლის აზრი და „პრაქტიკული გონება“ უახლოესზე, სასარგებლოზეა მიმართული; იგი ეკუთვნის ენერჯიას, რომელსაც უყურული აზრი არ შეეხება. არა მარტო გერმანია, მოელი ევროპა ჰამლეტია, ხოლო ფორტიხბრასი — არის ამერიკა.

არა, ჩვენ არ შეუმცდარვართ, როცა გოეთეს სიცოცხლის სიყვარული, საგნებიდან წარმატების მოპოვების უნარი, მისი სიცოცხლის ნება, ნაცელად იმისა, რომ პოეტურად დაიმსხვრეს, — დემოკრატიულ ოვისებად, გადამწყვეტ ნიშნად მივიჩნიეთ საიმისოდ, რომ ევროპულმა დემოკრატიაში იგი თავის რიგებში მიიღვალოს. მისთვის დამახასიათებელია არაჩვეულებრივი სიკეთის ნება, რისი სწავლაც ხსნა და გადარჩენა იქნებოდა იმ დროში, რომელშიც ისე უჩვადაა ბოროტება, ისე ღუღს და ხარობს გაავებული წინააღმდეგობა ცხოვრების მოთხოვნათა მიმართ, როგორც ჩვენს დროში. რამეთუ სხვაგვარად სიკეთის ამ ნებას სიცოცხლესთან მეგობრობის სიყვარული ჰქვია. ეს სიტყვა, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება მის ნაწარმოებებში (ეს გამოთვლილია), ძმასავით უდგას გვერდში სიტყვას „სიცოცხლე“. „გოეცარდეს ყოველივე ცოცხალი!“ — ასე ვახსნის იგი თავისი მარადისობიდან ჩვენს დღევანდულობას, და ერთ-ერთ გარიომულ მაქსიმაში უადრესად ხალხურად გამოთქვამს ზნეობრივ ჭეშმარიტებას:

„სამართლიანი საქმის შემოქმედს  
თან უნდა ახლდეს მუდამ ხალისი,  
და ჭეშმარიტი სიყვარული ენთოს გულში...“

ამაში არაფერი მეფისტოფელური არ არის — ისევე როგორც არ ისმის დაცინვა მის ხალას შეძახილში:

„ადამიანის ვალია იყოს  
ზნეკეთილი და შემწე ყოველთა;  
მხოლოდ ამ ნიშნით და ამ თვისებით  
გავემიჯნებით სამყოფს ცხოველთა, —  
ვისაც ჩვენსავეთ უდგია სული,  
მაგრამ ვაცივით არ არის სრული.  
შრომისთვის გაეჩნდით ამ ღუნაზე;  
კაცმა კაცურად უნდა გაიღოს,  
ჩვენივე საქმით უნდა გავნათლდეთ,  
რომ სიკეთის გზა ყველამ გაიგნოს.“

განა მე ვცდები, როცა ამ სტრიქონებში დემოკრატიის უმაღლეს გამოხატულებას ვხედავ? მე მუდამ ისეთი შობებუდილება მქონდა, რომ ყოველივე, რაც კი გოეთეს პიროვნებაში ანტიდემოკრატიულად ჟღერს და მოქმედებს, მეფისტო-

ფელის პარტიას ეკუთვნის და მხოლოდ ნეგატიური საწყისის დრამატულ სიმარ-  
თლეს ემსახურება. როცა საზიზღარი თანამდევნი სული დასცინის ფაუსტს, რო-  
მელსაც სურს კაიზერის კარზე ხალხის საბედნიეროდ მართოს ქვეყანა, დაამკ-  
ვიდროს ხელისუფლებასთან ერთად უკეთესი, კეთილშობილი და სასურველი, მი-  
სთვის მზადაა პასუხი:

უკეთესი  
უკეთესი

„თუ არ გსმენია, ისმინე ახლა:  
კაცობრიობას აქვს ზუსტი სმენა:  
სიტყვა, თუ იგი წმინდა არის, —  
ქველ საქმეთ დაძრავს;  
ადამიანი კარგადა გრძნობს მოვალეობას  
და გულისყურსაც არ მოაკლებს  
ბრძნულ დარიგებას.“

ასევე შეიძლება მივგო „ზეცის პროლოგში“ სატანისათვის თვით უფალს,  
პოზიტიურ საწყისს, შემოქმედებით სიკეთეს, — და სწორედ მის მხარეს იჭერს  
ჩვენი დიდი მეგობარიც, — მას არ სურს და არც შეშუკების ოპოზიციაში ყოფ-  
ნა.

ჩვენც მისი მხარე დავიჭიროთ, მისი კეთილშობილებისა და სიმპათიის! მა-  
შინ არასოდეს არ დაგვეშუქრება სიყვარულსა და სიცოცხლესთან ოპოზიციაში  
ყოფნის საფრთხე.





თარგმნა ვასილ ბურაკაძემ

ლიკურგუსა და სოლონის კანონმდებლობა

ლიკურგე

ჯეროვნად რომ შევაფასოთ ლიკურგეს ჩანაფიქრი, აუცილებელია გავიხსენოთ მაშინდელი სპარტის პოლიტიკური მდგომარეობა და გავაცნოთ ლაკედემონის იმ დროის სახელმწიფო წყობას, როცა ლიკურგემ საჯაროდ გამოიტანა ვარდაქმნათა მისეული პროექტი.

სახელმწიფოს სათავეში იმ დროს ორი მეფე იდგა, აღჭურვილი თანაბარი უფლებებით. ისანი განუწყვეტლივ ექმნებოდნენ ერთმანეთს და თითოეული ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მომხრე შეეძინა იბისათვის, რომ მათზე დაყრდნობით შეზღუდა თანამმართველის ძალაუფლება. სპარტის პირველ მეფეთაგან — პროკლესა და ევრისტენესიდან შემკვიდრებით მიღებული ეს ურთიერთქიშპი თაობიდან თაობას გადაეცემოდა მათს დინასტიებში, და ლიკურგეს ხეობისას კვლავაც დეიოდა. ამის გამო ძალზე დიდი ხნის მანძილზე სპარტა დაუსრულებელი მტრობის ასპარეზი იყო ორ პარტიას შორის. ყოველი მეფე ცდილობდა ხალხის გული მნიშვნელოვან თავისუფლებათა მინიჭებით მოეგო. ამ დათმობებმა კადნიერება შვა ხალხში და საბოლოოდ აჯანყებამდე მიიყვანა ქვეყანა. სახელმწიფოს მდგომარეობა მდგრადი არ იყო. იგი ხან მონარქიისაკენ იხრებოდა, ხანაც — დემოკრატიისაკენ, და გეზის ხშირი შეცვლის გამო უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. საზღვარი ხალხის უფლებებსა და მეფეთა თვითნებობას შორის მკაფიოდ არ იყო გამოკვეთილი, მთელი სიმდიდრე მცირერიცხოვან ოჯახთა ხელში გროვდებოდა. მდიდარ მოქალაქეებს შიშსა და მორჩილებაში ჰყავდათ უქონლნი, რომელთა სასოწარკვეთა ხშირად აჯანყებებში ჰპოვებდა გამოსავალს.

შინაარეულობებით მოწყვლულ-დასუსტებული სახელმწიფო უცნობლად შეიქნებოდა მეომარ მეზობელთა კერძი, ანდა უფრო წვრილ ტირანიებად დაქუცმაცდებოდა. აი, ასეთი სპარტა ერგო სამეფოდ ლიკურგეს.<sup>1</sup> მიჯნათა გაურკვევლობა ხალხისა და მეფეთა ხელისუფლებას შორის, სიმდიდრის უთანაბრო განაწილება მოქალაქეებს შორის, ურთიერთთანხმობისა და საერთო კეთილდღეობისაკენ მისწრაფების დაკარგვა, სრული პოლიტიკური უმწყობა, ეს ყოველივე სწორედ ის სნეულებანი იყო, რომელნიც პირველ რიგში წარმოუდგა კანონმდებლის მზერას და რომელთაც მან უმეტესი ყურადღება დაუთმო თავის მიერ შედგენილ კანონებში.

ამ კანონების გამოსაქვეყნებლად შერჩეულ დღეს ლიკურგემ შეკრიბა ოცდაათი უწარჩინებულესი თანამოქალაქე, რომელნიც მას უკვე განუწყობ თავისი

გვეგის სასარგებლოდ, და უბრძანა სრული აღჭურვილობით გამოცხადებული-  
ყვნენ სავაჭრო მოედანზე, რათა დაეშინებინათ ის მოქალაქენი, ვინც წინ აღ-  
უდგებოდა მის მიერ შეთავაზებულ წინადადებებს. მეფე ქარილაუმ, ლიკურ-  
გეს თანაგანმგებელმა, იფიქრა, ეს ღონისძიებანი ჩემ წინააღმდეგ არის მო-  
მართული, და შეშინებული მინერვას ტაძარში მიიმალა. მას შემდეგ დაამ-  
მშვიდეს იგი, აუხსნეს საქმის არსი, და ისიც იმ ზომამდე დარჩა აღტაცებული  
ლიკურგეს გვეგით, რომ შემდგომში ყოველთვის ქმედითად შეეწეოდა მას.

ლიკურგეს პირველი დადგინება სახელმწიფოს წყობას შეეხებოდა. იმი-  
სათვის, რომ სამუდამოდ მოესპო რესპუბლიკაში ბორგვა სამეფო ტირანიიდან  
ანარქიული დემოკრატიისაკენ, ლიკურგემ ამ ორ წყობილებას შორის და მათს  
საპირისპიროდაც, დააყენა შესამე ძალა: სენატო<sup>2</sup> დააყუძნა. სენატორები,  
რომელთა რიცხვი ოცდარვა იყო, მეფეებიანად ვა — ოცდაათი, ვალდებული  
იყვნენ ხალხის ინტერესები დაეცვათ იმ შემთხვევებში, როცა მეფეები ბორო-  
ტად გამოიყენებდნენ თავიანთ ძალაუფლებას, ხოლო, როცა, პირიქით, ხალხის  
ძალაუფლება გადავიდოდა ზღვარს, მათ უკვე მეფეთა დაცვა ევალებოდათ. ეს  
წინებული სიახლე იყო. და მისი წყალობით სპარტამ სამუდამოდ დააღწია თავი  
შინააშლილობას, რაც აქამდე საფუძვლიანად არყვედა მას. ამ სიახლის შე-  
ძობების შემდგომ უკვე არც ერთ მხარეს აღარ შეეძლო მეორის დათრგუნვა,  
არც მეფეებს ხალხისა, და არც ხალხს — თავისი წინააღმდეგობისა, რამეთუ  
ხალხის დამცველად გამოსული სენატის წინააღმდეგ მეფენი უძლურნი იყვნენ,  
და ამის მსგავსად ვერც ხალხის ძალაუფლება შეინარჩუნებდა მოპოვებულ  
უპირატესობას, თუკი სენატი ამ შემთხვევაში უკვე მეფეთან ერთად იმოქმე-  
დებდა.

თუმცა ლიკურგემ ვერ გაითვალისწინა შესამე შესაძლებლობაც, — კერ-  
ძოდ ის, რომ სენატიც შეეცდებოდა თავისი ძალაუფლების ბოროტად გამოყე-  
ნებას. რაკი შუალედურ რგოლს წარმოადგენდა ორ ძალაუფლებას შორის, სე-  
ნატს შეეძლო ერთნაირი სიადვილით შეეკროდა როგორც მეფეებს, ასევე  
ხალხს, და, ამასთან, არც საზოგადოებრივი სიმშვიდე დაეყენებინა განსაკუთ-  
რებული საფრთხის წინაშე. ხოლო მეფენი ვერ შეეკროდნენ ხალხს სენატის  
წინააღმდეგ, რომ დიდი საფრთხე არ შეექმნათ სახელმწიფო წყობისათვის. სე-  
ნატმაც სულ მალე გამოიყენა ეს შესაძლებლობა — ისარგებლა თავისი მდგო-  
ნარეობის უპირატესობით და საკუთარი ძალაუფლების უზომოდ განერცობა  
აწყო. ამას იგი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე იქმდა, რადგან სენა-  
ტორთა რიცხვი დიდი არ იყო, და მათ ადვილად შეეძლოთ შეთანხმებულიყვნენ  
მეფეთა წინააღმდეგ. ამიტომაც ლიკურგეს საქმის განმგრძობმა შეავსო ეს ხა-  
რვეზი და სახელმწიფო წყობას ეფორები<sup>3</sup> დაუმატა, რომელთაც აღვირი  
აასხეს სენატის ძალაუფლებას და დაიურვეს იგი.

ბევრად უფრო სახიფათო და გადამჭრელი იყო ლიკურგეს მიერ დადგენი-  
ლი მეორე კანონი, რომლის ძალითაც მთელი მიწა თანაბრად განაწილდა სპა-  
რტის მოქალაქეთა შორის. ამ ღონისძიებით სამუდამოდ უნდა მოსპობილიყო  
განსხვავება, უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მთელი ლაკო-  
ნია ოცდაათიათას მინდვრად (ნაკვეთად) დაიყო, ხოლო სპარტის შემოგარენში  
მდებარე მიწა — ცხრა ათას მინდვრად, ამასთან თითოეული იმ ზომისა იყო,  
რომ მასზე მცხოვრებ ოჯახს უზრუნველყოფილი ჰქონოდა სარჩო-საბადებელი.  
ამის შედეგად სპარტა აყვავდა, დამშვენდა, და თვით ლიკურგეს აღტაცებული  
დარჩა თავისი ქვეყნის ხილვით, როცა შემდგომში მთლიანად მოვლო იგი.

„აჰა, მთელი ლაკონია იმ მინდორს ჰგავს, ღვიძლ ძმებს რომ ძმურად გაუნაწი-  
ლებიათ ერთმანეთს შორის!“ — წამოუძახია მას.

მიწასთან ერთად ლიკურგო არანაკლები ხალხით გაანაწილებდა ყველა  
მოქალაქეს შორის მთელს მოძრავ ქონებასაც, მაგრამ მის ამ განზრახვას და-  
უძლეველი დაბრკოლებები შეხვდა. თუმცა მან მაინც სცადა ეჭიხნოს მიღწევა  
არაპირდაპირი, შემოვლითი გზით: რისი მიღწევაც ბრძანებდნენ მისი მოწოდებო-  
და, ის, ლიკურგოს შეხედულებით, თავისით უნდა დაცემულიყო და გაუქმებუ-  
ლიყო.

ეს საქმე ლიკურგომ იმით დაიწყო, რომ გააუქმა ოქროსა და ვერცხლის  
ფული და მათს სანაცვლოდ რკინის მონეტები შემოიღო, ამასთანავე, რკინის  
ღიდ მასას ფულადი გამოხატულებით ძალზე მცირე ღირებულება მიანიჭა. ამ-  
ის შედეგად მცირე თანხის შესანახადაც მოქალაქეებს უკვე დიდი ხანია  
ესაჭიროებოდათ, გადასატანად კი — ბევრი ცხენი. თანაც იმისათვის, რომ არ  
დაეშვა რკინის მონეტის ღირებულების გაზრდა ლითონის გამოყენებით და-  
ნიშნულებისამებრ, ანუ რკინის ფულისაგან რაიმე საგნის გაკეთება, და ამ მი-  
ზნით მისი დაგროვება, ლიკურგომ ბრძანა მონეტების დასამზადებლად განკუთ-  
ვნილი გავარყარებული ლითონი მძარში გაეგრილებინათ ხოლმე, რათა ამგვა-  
რად გამოწრთობილი მონეტა გამოუსადეგარი შექმნილიყო ნებისმიერი სხვა  
საქმისათვის.

ჰოდა, ამ ერთგვარებაში ვინ დაიწყებდა ქურდობას, ანდა ეცთუნებოდა მო-  
ქრთამვით, ვინ შეუდგებოდა ქონების დაგროვებას, სულ მცირე მონაკვების შე-  
ნახვაც და გამოყენებაც ხომ ღამის შეუძლებელი ხდებოდა?!

ამრიგად, რაკი ამ ღონისძიებით ფუფუნებითი ცხოვრების საშუალება მო-  
უსპო თანამოქალაქეებს, ლიკურგომ, ამასთან, ყოველივე ისიც მოარიდა მათ  
მშერას, რასაც ადამიანის ცდუნება შეეძლო. არც ერთ უცხოელ ვაჭარს არ  
სჭირდებოდა სპარტული რკინის ფული, — სხვაგვარი კი სპარტელებს აღარ  
ჰქონდათ. ამიტომ ყველას, ვინც კი ფუფუნებისთვის მუშაობდა, ლაკონიის მი-  
ტოვება მოუხდა. ამიერიდან აღარც ერთი უცხო ქვეყნის ხომალდი არ შედიო-  
და მის ნავსადგურებში, აღარც ერთი მაძიებელი თავგადასავლებისა არ ჩამო-  
დიოდა ამ ქვეყანაში, აღარც ერთი ვაჭარი არ შემოივლიდა ხოლმე ამ მხარეში,  
რათა ხარკი აეკრიფა ამიოებასა და სიამეთ დამონებულ ადამიანთაგან, რადგან  
აქედან მხოლოდ რკინის ფულის წადება იყო შესაძლებელი, რომელსაც არც  
ერთ ქვეყანაში არ გააჩნდა ღირებულება. ფუფუნებაც გაქრა სპარტაში, რად-  
გან აღარავინ იყო ისეთი, ვისაც შეეძლებოდა მისი შენარჩუნებისათვის შეეწ-  
ყო ხელი.

ლიკურგომ გადაწყვიტა სხვა ხერხითაც ებრძოლა ფუფუნების მოსახპო-  
ბად. მან ბრძანა სპარტის ყველა მოქალაქე ერთ მაგიდას მისჯდომოდა ხოლ-  
მე საზოგადოებრივ ადგილას და ყველას ერთი და იგივე, კანონით განსაზ-  
ღვრული საჭმელი ეჭამა. კვალად, ყველას ეკრძალებოდა შინ ნებივრობა და  
საკუთარ სამზარეულოში ნატიფი ძვირფასი კერძების მომზადება. ყოველ მო-  
ქალაქეს ეკისრებოდა ყოველთაერთად საკვების განსაზღვრული ოდენობა მოე-  
ტანა საზოგადოებრივი ტრაპეზისათვის, რის სანაცვლოდაც სახელმწიფო მას  
საჭმელს აძლევდა. ჩვეულებრივ, თითოეულ ასეთ საერთო მაგიდას თხუთმეტი  
მოქალაქე მოუსხდებოდა; ახალი თანამოტრაპეზეს მისაღებად საჭირო იყო  
ყველა დანარჩენის თანხმობა. ვერავინ ბედავდა თავი აერიდებინა ამ ტრაპეზი-  
სათვის, თუკი რაიმე საპატიო მიზეზი არ ჰქონდა. ეს წესი იმდენად განუხრე-  
ლად და ზუსტად სრულდებოდა, რომ თვით ავისიც კი, ერთ-ერთი მოძღვენი

მეფე სპარტისა, ეფორების მხრიდან გადაჭრილ უარს წააწყდა, როცა, ძლევა-მოსილი ომიდან დაბრუნებულმა, თავის ცოლთან ერთად მარტოდ მოისურვა სადილობა. სპარტელებში მიღებულ კერძთაგან განსაკუთრებით გაითქვა სახელი ე.წ. შავმა (უბრალო) შეჭამანდმა. მის საქებრად ასე იტყობდნენ ხოლმე: სპარტელებისათვის იოლია მამაცობა, რადგან დიდი უბედურება როდია სიკვდილი, თუკი მათი შავი სალაფავით საზრდოობო! საკმაზად ამ კერძს მხოლოდ მხიარულება და ხუმრობები ჰქონდა, რამეთუ თვით-ლიკურგეს ისეთი მიყვარული იყო თანამეინახური გონებასმხვილობისა, რომ თავის სახლში საკურთხეველიც კი აღუმართა სიცხლის ღვთაებას!...

ამ საერთო ტრაპეზობის შემთხვევამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ლიკურგეს მიერ დასახული მიზნის მიღწევას: თანდათანობით გაქრა სპარტელთა ყოფიდან საფუფუნებო ჭურჭელი თუ ავეჯეულობა, რადგან მათი გამოყენება საერთო ტრაპეზზე შეუძლებელი იყო; სამუდამოდ მოიხპო მუცელმერთობაც. ამ მკაცრი განიწყებისა და ზომიერების დამკვიდრების შედეგი იყო მტკიცე ჯანსაღი სხეული, — ჯანსაღი მამაკაცები ძლიერ შვილებს უშობდნენ სახელმწიფოს. გარდა ამისა, ეს საერთო ტრაპეზობანი საზოგადოებრივ ცხოვრებასაც აჩვევდნენ მოქალაქეებს, რომელნიც ცხოვლად გრძნობდნენ თავს ერთი სახელმწიფოს წარმონაქმნის წევრებად; ალბათ ზედმეტი იქნება იმის აღნიშვნაც, რომ არსებობის ერთნაირი პირობები, რომლებიც თანაბარი ძალით ზემოქმედებდნენ მოქალაქეთა სულიერ წყობაზე, ამ სულიერ წყობის ერთგვაროულობასაც აღმოაცენებდნენ.

ლიკურგეს სხვა კანონი ყველა მოქალაქეს უკრძალავდა მასალა ცულის გარდა სხვა ხელსაწყოთი რომ ყოფილიყო დამზადებული სახლის გადასახურაკი, სპარტელის სახლის კარებები კი მხოლოდ ხერხის მეშვეობით უნდა დამზადებულიყო. ასეთ საცოდავ ძეგურში აზრდაც არავის მოუვიდოდა ძვირფასი ავეჯეულობა თუ ჭურჭელი შეეტანა — ყოველი ცალკეული რამ ზომ კარმონიულად უნდა შეუხამდეს მთელს!

ლიკურგეს კარგად ესმოდა, რომ კანონების შექმნა მოქალაქეთათვის, — ჯერ კიდევ სულაც არ მოასწავებს საქმის მთლიანად მოგვარებას; მის წინაშე ზომ ამგვარი მოქალაქის ჩამოყალიბების ამოცანაც იდგა, რომელიც ღირსეული და ვარგისი იქნებოდა ამ კანონებისათვის. მას სურდა სპარტელთა სულელებში საუკუნოდ დაემკვიდრებინა თავისმიერი სიახლენი; უნდა მოეკვდინებინა მათი მიდრეკილება შთამბეჭდაობისადმი, რომელიც მხოლოდ ხელს უშლიდა დასახული მიზნის მიღწევას.

აი, სწორედ ამიტომ ლიკურგეს კანონმდებლობის ყველაზე არსებით ნაწილს ის კანონები შეადგენდნენ, რომლებიც ახალთაობის აღზრდა-განათლებას შეეხება. ამ კანონებით ლიკურგე თითქოსდა დაასრულებდა იმ წრეს, რომელშიც სპარტის სახელმწიფოს უნდა ეტრიალა საკუთარი თავის გარშემო. აღზრდის სისტემა უმნიშვნელოვანესი ქმნილება იყო სახელმწიფოსი, თვით სახელმწიფო კი — დღევრძელი წარმონაშობი ამ სისტემისა.

რაკი ამგვარი ზრუნვა დაისახა ბავშვებზე, ლიკურგემ ეს მზრუნველობა უპირველესად იმას მიაპყრო, რაც მათს შობასთანაა დაკავშირებული. ქალიშვილებს იმთავითვე უნდა გაეკავებინათ თავი სხეულის წურთუხით, რათა მშობიარობას ადვილად ჩაეველო და ყრუებიც ამა ქვეყანას ჯანსაღნი და ძლიერნი მოვლენოდნენ. უფრო მეტიც, ქალიშვილებს იმასაც აიძულებდნენ, ზოგჯერ შიმშველებსაც ევლიათ ღია ცის ქვეშ, რათა ამგვარად ნებისმიერ ამინდს

შესჩვეოდნენ. სასიძო ვალდებული იყო მოეტაცა ქალიშვილი, მაგრამ შემდეგში მას ნება ეძლეოდა მხოლოდ ღამ-ღამობით, მოენახულებინა იგი, ისიც ძალუღალად, ასე რომ, ქორწინების პირველ წლებში მეუღლენი იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს, და მათი სიყვარული კვლავაც ინარჩუნებდა უწინდელ მკვნიბას.

ეჭვიანობის ნებისმიერი გამოვლინება, თუნდაც მეუღლეთა შორის, გადაჭრით ითრგუნებოდა. კანონმდებელმა აქაც თავის უმთავრეს მიზანს დაუქვემდებარა, უკლებლივ ყოველივე, სიმორცხვეც კი. თვით ქალთა ერთგულებაც მსხვერპლად გაიღო, ოღონდ კი სახელმწიფოში ჯანსაღი და ტანშაგარა ბავშვები შობილიყვნენ.

ყოველი ახალშობილი სახელმწიფოს ეკუთვნოდა, — დედ-მამისთვის იგი შობიდანვე დაკარგული იყო. ბავშვს უზუცესნი სინჯავდნენ და, თუკი ტანშაგარი და კარგი აგებულებისა იყო, მაშინვე ძიძას გადასცემდნენ აღსაზრდელად, თუკი, პირიქით, ტან-სუსტი და სახიჩარი იყო, ტაიგეტის მთაზე აჰყავდათ და უფსკრულში აგდებდნენ.

მკაცრი აღზრდის გამო სპარტელი ძიძები, რითაც თავიანთ აღსაზრდელთ ზრდიდნენ, მოუღს საბერძნეთში იყვნენ სახელგანთქმულნი, და მათ შორეული მხარეებიდანაც იწვევდნენ. როგორც კი ვაჟს შვიდი წელი შეუსრულდებოდა, ძიძას აშორებდნენ, და, აქედან მოყოლებული, იგი თანატოლებთან იზრდებოდა. მას ყრმობიდანვე აჩვევდნენ სიძნელეთა გადალახვას, სხულის გაკაყება-გაწვრონის გზით კი საკუთარი თავის სრულ ფლობას. სიჭაბუკის ასაკს მიწევნულთაგან გამორჩეულებს უფლება ჰქონდათ მეგობრები შეეძინათ უფროსთა შორის, და ეს მეგობრობა შთაგონებული სიყვარულით იყო ხოლმე გამსჭვალული.

ჭაბუკთა თამაშობანი იმართებოდა ბერიკაცთა თანდასწრებით, რომელნიც ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მათი უნარიანობის პირველ გამოვლინებებს და შექებითა თუ გაკაცხვით ალაგზნებდნენ ჭაბუკურ პატივმოყვარეობას. მათი საზრდო შეზღუდული, მწირი იყო, და როცა ახალგაზრდებს ძლიშამდე ჭამა მოენატრებოდათ, იძულებულნი იყვნენ ქურდობით მოეპოვებინათ სახლკაგე; ვისაც ქურდობისას წაასწრებდნენ, შეპყრობა, სასჯელი და შერცხვენა ელოდათ. ლიკურგემ ეს ხერხი იმისთვის აირჩია, რომ ადრეული სიჭაბუკიდანვე გამოემუშავებინა მეომრისათვის ეგზომ საჭირო თვისებები — მოხერხებულობა და გერგილიანობა, რომელთაც იგი ისევე აფასებდა ომში, როგორც სიძლიერესა და სიძამაცეს; ამ ჭაბუკებს კი აკი სწორედ მხედრული საქმისათვის ამზადებდა!

ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რა მცირედ უწევდა ანგარიშს ლიკურგე ზნეობის მოთხოვნებს, როცა საქმე სახელმწიფოს მიზნების მიღწევას შეეხებოდა. თუმცა უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ არც ქორწინების შერყენას და არც იძულებით ქურდობას არ შეეძლო ისეთი ზიანი მიეყენებინათ სპარტის სახელმწიფოსათვის, როგორსაც ისინი უცილობლად მიაყენებდნენ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს. რადგანაც სახელმწიფომ თვით იტვირთა ბავშვების აღზრდა, სიაგარგე სულაც არ იყო დამოკიდებული იმაზე, ბედნიერია თუ არა მშობლების ქორწინება, ჩირქმოცხებულნი არიან თუ არა ისინი მეუღლეობრივი დალატით, ხოლო რაკი სპარტაში თითქმის მთელი ქონება საერთო საკუთრებას წარმოადგენდა და კერძო მესაკუთრეობას მაინცღამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ამიტომ მისი დაცვა სახელმწიფოსათვის სულაც არ შე-



ადგენდა დიდი მნიშვნელობის საქმეს. და გარკვეული სახით მისი ხელყოფაც არ ითვლებოდა სამოქალაქო სამართლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, მით უფრო, თუკი მას თვით სახელმწიფო წახალისებდა განსახდერული მიზნით.

ახალგაზრდა სპარტელებს აკრძალული ჰქონდათ ~~ფეხურეულები~~ იარაღის ტარება, თუ ისინი საომრად არ მიდიოდნენ, ანდა სხვა ~~რამიმდენიმე~~ ხეფათი არ მოელოდათ. ამ დროს მათ იმის ნებაც ეძლეოდათ, რომ თმა საკუთარ გემოზე შეეკრიჭათ. სადღესასწაულოდ შემოსულიყვნენ და საჭურველითაც შემკულიყვნენ. თმა და უცხო ვარცხნილობა იმას ამშვენებსო, — ამბობდა ლიკურგის ვინც მოხდენილი და მშვენიერია, უშნოთ კი ყურანაირი ვარცხნილობა ვერ უშველის, პირიქით, კიდევ უფრო შეუხედავთ შექმნისო. უდავოდ, კანონმდებელი საკმაოდ გამჭრიახად მოიქცა, როცა საშიშროების ცნება სასიხარულოს და საზვიამოს დაუკავშირა; ამით სვი თავზარდამცემ თვისებას უქარწყლებდა ნებისმიერ ხიფათს. თუმცა კანონმდებელი ამასაც არ დასჯერდა. მის დროს გარკვეულწილად დაშვებული იყო დისციპლინის შესუსტება, — მეომართა ცხოვრება, აქამდე დაძძიმებული სასტიკი შრომითა და წვრთნით, ახლა თავისუფალი, ლალი ხდებოდა, წესებს გადაცდომა და დანაშაული უწინდებური სიმკაცრით არ ისჯებოდა. აქედან კი ის გამომდინარეობდა, რომ ომიანობა სპარტელებისათვის შვება-მოსვენების ერთადერთი დრო იყო, და ისინიც ყოველთვის ისე ხვდებოდნენ მას, როგორც სასიხარულო რამ ამბავს. როცა მტერი უახლოვდებოდათ ხოლმე, სპარტელთა მეფე, მხედართმთავარი, ბრძანებას გასცემდა სიმღერა წამოეწყით კასტორის<sup>5</sup> სიდიდებლად, და გამხნევებული მხედრებიც, ფლეიტების პანგებზე შეკრული მწყობრით მიემართებოდნენ საბრძოლველად: შიში სიკვდილის წინაშე აღარ ეკარებოდა მათს ვაჟკაც გულს, და ისინიც, მუსიკის პანგებს ფეხაყოლილნი, მიდიოდნენ ხიფათთან შესახვედრად.

ლიკურგის კანონების წყალობით, სამშობლოს სიყვარულის გრძნობამ სპარტელებში უკანა პლანზე გადასწია საკუთრებისადმი სიყვარული, და მოქალაქენიც<sup>6</sup> ვინაც უკვე არ შეაჭირვებდა პირადი საზრუნავი, მთლიანად სახელმწიფოს სამსახურს უძღვნიდნენ თავს. ლიკურგემ ისიც სასარგებლოდ და საჭიროდ ჩააგადა, მთლიანად გაეთავისუფლებინა თანამოქალაქენი საყოველღეო საქმისა და მოვალეობისაგან და ეს ტვირთი უცხოელებისათვის დაეკისრებინა. ეს იმ მიზნით მოიმოქმედა, რომ ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საზრუნავს, საკუთარი მეურნეობის გაძლოლით გატაცებას მთლიანად არ მოეცვა სპარტელის სული და სამშობლოს ინტერესებისადმი ჯეროვანი მსახურებისაგან არ ჩამოეშორებინა იგი. ამგვარად, მიწის დამუშავება თუ სხვა საოჯახო საქმეები, მთლიანად მონებს დაეკისრათ, რომელთაც სპარტაში ისევე უყურებდნენ და ექცეოდნენ, როგორც შინაურ პირუტყვებს. აქ მათ ჰილოტებს<sup>7</sup> უწოდებდნენ, რადგან სპარტელთა პირველი მონები ლაკონიის ქალაქ ჰელოსის მცხოვრებნი იყვნენ; თავის დროზე სპარტელებმა ომში შეიპყრეს ისინი და მონებად წამოიყვანეს. სწორედ მათგან მიიღეს ეს სახელწოდება სხვა მონებმაც, რომელთაც სპარტელები სხვადასხვა ომებში ატყვევებდნენ.

ამ უბედურ ადამიანთა — ჰილოტთა ბედი ჭეშმარიტად სავალალო იყო. სპარტელები მათ უყურებდნენ როგორც რამ იარაღს, საშუალებას, რომლის გამოყენებაც ნებისმიერი სახითაა შესაძლებელი სახელმწიფო მიზნების მისაღწევად. ამიტომაც მონების ადამიანური ღირსება მუდამ ყოველად აღმაშფოთებუ-

ლი სახით იღახებოდა. მაგალითად, იმისათვის, რომ სპარტელ ახალგაზრდებს ჩათლად წარმოედგინათ, რა სახიზღარ მდგომარეობამდე მიჰყავს ადამიანი ღვინის ჭარბ სმას, ზოგჯერ ძალით ათრობდნენ ჰილოტებს და ვალებშიც საზოგადოებრივ ადგილებში მიიყვანდნენ, რათა ყველას ეხილა ესენი. მთავრად მონებს აიძულებდნენ უხამსი სიმღერები ემღერათ და შესატყვევარს მთავრად ნო როკვა-თამაშს მისცემოდნენ; თავისუფლად შობილ მოქალაქეთა ცეკვები მათვის აკრძალული იყო.

სხვა, კიდევ უფრო არაადამიანური მიზნისათვისაც იყენებდნენ ჰილოტებს: სახელმწიფო სასარგებლოდ თვლიდა, თავისი უმაძაცესი ჭაბუკების ვაჟკაცობა კიდევ უფრო რომ გამოეწრთო ერთგვარი სისხლიანი თამაშობებით კარგად მოემზადებინა ისინი ნამდვილ მტერთან თმისათვის. ამ მიზნით სენატი დროდადრო სოფლებში აგზავნიდა ჭაბუკთა განსაზღვრულ რაოდენობას, თან მხოლოდ ხანჯალსა და მცირეოდენ საგზალს ატანდა. ღღის განმავლობაში ჭაბუკები ტყე-ღრეში უნდა დამალულიყვნენ, ღამ-ღამობით კი შარა-გზებზე გამოხულიყვნენ და ნებისმიერი ჰილოტი მოეკლათ. ეს ღონისძიება კრიპტიად<sup>7</sup> ანუ ჩასაფრებად იწოდებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მთლად ცხადი არ არის, თუთ ლიკურგესაგან მომდინარეობდა ეს პრაქტიკა, თუ — არა. ყოველ შემთხვევაში კრიპტია საესებით შეესაბამებოდა მისეულ პრინციპებს.

რაც უფრო წარმატებით იბრძოდა სპარტა ომებში, მით უფრო იზრდებოდა ჰილოტების რიცხვი. თანდათან ისინი სახიფათონი ხდებოდნენ სახელმწიფოსათვის, რადგან, ბარბაროსული მოპყრობით სასაწარკვეთილებამდე მიხულნი, ხშირად ჯანყდებოდნენ. და აი, ყრახელ, სენატმა გადაწყვიტა არაადამიანური ხერხისათვის მიემართა, რაც, მისი აზრით, აუცილებლობით იყო გამოწვეული. პელოპონესის ომის დროს<sup>8</sup>, ვითომცდა გააზატებას მიზნით, სპარტელებმა შეკრიბეს ორი ათასი უმაძაცესი ჰილოტი, გვირგვინებით შეუძკეს თავები და სახეიმო, დიდებული პროცესიის თანხლებით ტაძარში შეიყვანეს. აქ ჰილოტები უკვალოდ გაქრნენ და მას შემდეგ კერავინ შეიტყო, რა ბედი ეწიათ მათ. თუმცა მხგავსი სისასტიკე სპარტელებისა კარგად იყო ცნობილი; საბერძნეთში მოარულ თქმადაც კი იქცა, სპარტელი მონები ყველაზე უბედურნი არიან მონათა შორის, ხოლო სპარტის თავისუფალი მოქალაქენი — ყველაზე თავისუფალნი თავისუფალ მოქალაქეთა შორისო...

რაკი ჰილოტებმა ყოველგვარი საყოველღეო საქმისა და საზრუნავისაგან გაათავისუფლეს სპარტის მოქალაქენი, მათი ცხოვრებაც სრული მოცალეობით მიედინებოდა. ახალგაზრდობა საშხედრო თამაშობებსა და სიმარჯვეში იწრთუნებოდა, უფროსები კი მაყურებლები აუ მსაჯები იყვნენ ამ კარჯიშობათა და ასპარეზობათა უამს. სპარტელი მოხუცი ვაცისათვის სამარცხვინო ამბად ითვლებოდა არყოფნა იმ ადგილებში, სადაც ჭაბუკთა აღზრდა-სწავლება ნამდინარეობდა. შედეგი ამისა ის იყო, რომ ყოველი სპარტელი სახელმწიფოს ცხოვრებით ცხოვრობდა და მისი ინტერესებით სულდგმულობდა, ყოველი საქმე მისთვის — საზოგადოებრივ საქმედ იქცეოდა. მთელი ხალხის თვალწინ ვაჟკაცდებოდნენ ჭაბუკები და ყველასვე დასასახად ჭკნებოდნენ ხანგადასული ადამიანები. სპარტელი ერთი წამითაც არ აშორებდა თვალს სპარტას, და თავის მხრივ, სპარტაც არ აცილებდა მხერას თავის შვილებს. სპარტელი მოქალაქე მოწმე იყო ყოველივესი, და ეს ყოველივეც მოწმე იყო მისი პიროვნული ცხოვრებისა. ამით გამუდმებით ძლიერდებოდა ყოველ ადამიანში სწრაფვა სახელის მოხუჭისაკენ, — ამით საზრ უობდა და ს უდგმულობდა სპარტელითა

პატრიოტული სულიკვეთება; სამშობლოს, მისი ინტერესების იდეა თითოეული მოქალაქის შეგნებაში ღრმად შთაინერგებოდა და მისსავე პირიქულ ცხოვრებასთან იყო გადაწეული. სხვა საშუალება ამ მისწრაფებას გასაღვივებლად იყო მოცალე სპარტის საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი დღესასწაულობანი, სხვადასხვა ჯურის ზეიმობანი. ამ დღესასწაულებათა დროს მღეროდნენ ხოლმე ხალხის მიერ შექმნილ მხედრულ სიმღერებს; რომლებითაც განადიდებდნენ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს და სწორედ ამგვარი გმირობისაკენ მოუწოდებდნენ მოქალაქეებს. სიმღერებს სამი გუნდი ასრულებდა: მონხუცებისა, ზრდასრული მამაკაცებისა და ბიჭუნებისა. ბერიკატთა გუნდი ასე წამოიწებდა: „დრო იყო, ჩვენც გმირნი ვიყავითო“; ამით ვაჟკაცნი შეეხმიანებოდნენ: „აწ კი ჩვენა ვართ გმირები! ვისაც გსურთ დარწმუნდეთ, მოდიო და გვნახეთო!“ ბოლოს კი მესამე, მთლიანად ბიჭუნებისაგან შემდგარი გუნდიც ერთვებოდა მღერაში: „მოვა დრო, ჩვენც გმირნი ვიქნებით და თქვენს გმირობას გადავამეტებით!“

თვალის ერთი გადავლებით თუ დავკმაყოფილდებით, ლიკურგეს კანონმდებლობა ჩვენში საამო გაცემის გრძნობას დაჰბადებს. მართლაც, ძველი დროის კანონთა კრებულებს შორის ლიკურგეს კანონები ყველაზე თანამიმდევრული და სრულყოფილია, თუკი, რა თქმა უნდა, არაფერს ვიტყვით მოსეს სჯულზე, რომელთანაც მას ბერი რამ აქვს საერთო, განსაკუთრებით იმ პრინციპის მხრივ, მათ ორივეს რომ უდევს საფუძვლად. ლიკურგეს კანონმდებლობა ჭეშმარიტად დასრულებულია: ერთისაგან მომდევნო მომდინარეობს, კერძო მთლიანს ემყარება, მთელი კი — კერძოს. და ლიკურგეც ამაზე უმჯობეს საშუალებას აღბათ ვერ გამოიხატავდა დასახული მიზნის მისაღწევად, — ანუ იმგვარი სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელიც იზალირებული იქნებოდა ყველა სხვა სახელმწიფოსაგან და თვითკმარი შეიქნებოდა, იარსებებდა ოდენ თავის შინაგან შესაძლებლობებზე დაყრდნობით, ისაზრდოვებდა ოდენ საკუთარი სასიცოცხლო ძალებით. არც ერთ სხვა კანონმდებელს არ უჩრუნველუყვია თავისი სახელმწიფოს ისეთი ერთიანობა, ისეთი გათავისება საერთო ინტერესებისა და ისეთი ერთსულოვნება მოქალაქეებისა, როგორც ლიკურგემ სპარტისათვის. რისი წყალობით მიაღწია ამას? — იმით, რომ შემდლო თანამოქალაქეთა საქმიანობა მთლიანად სახელმწიფოს სამსახურში ჩაეყვინებინა. ამისთვის კი ყველა ის გზა დაუხშო მათ, რომლითაც შეეძლებოდათ სხვა რაიმესაკენ მიქცეულიყვნენ, სხვა რაიმეზე ეფიქრათ.

თავისი კანონებით ლიკურგემ ადამიანთა ცხოვრებას ჩამოაშორა ყოველივე, რასაც შეეძლო მათი სულები დაეტყვევებინა და ვნებებიც აღევზნო, — ანუ მოაშორა ყველაფერი, გარდა სახელმწიფოს ინტერესებისა. სიმდიდრე თუ შუება-სიამე, მეცნიერებანი თუ ხელოვნებანი, — ეს ყოველივე არ აღელვებდა სპარტელებს. რაკი ყველა მოქალაქე თისქმის ერთიანად ღარიბ-უქონელი იყო, ადამიანები აღარც ფიქრობდნენ უთანასწორობაზე ცხოვრებისეულ სიკეთეთა განაწილებაში, და ეს იყო უმთავრესი, რამეთუ სწორედ ამგვარი უთანასწორობა უღვივებს ადამიანთა უმრავლესობას ანგარებითს მისწრაფებებს. მომხვეჭელობაც თავისთავად ჩაკვდა სპარტელებში, რადგან აღარ იყო შესაძლებლობა სიმდიდრით სარგებლობისა თუ მისით თავმოწონებისა. გარდა ამისა, უღრმესი უმეცრებით ხელოვნებისა თუ მეცნიერების სფეროებში, რამაც თანაბრად მოიცვა სპარტაში ყოველი, ლიკურგემ თისქოსდა შემოზღუდა მისი სახელმწიფოებრივი წყობა და საიმედოდ დაიცვა გარედან ხელყოფისაგან,

რაც განათლებულ გონებათაგან შეიძლებოდა დაწყებულიყო. მეტიც, ეს უმეტეს-რება, შეერთებული ყველა სპარტელისათვის ეგზომ დამახასიათებელ ყოველივე უცხოურის ათვალწუნებასთან, გადაულახავ წინაღობად იქცა საბერძნეთის სხვა ხალხებთან შერევისათვის. აკვნიდანვე ყოველი სპარტელი მთქმელს მითითოსდა რაღაც განსაკუთრებული ნიშნით იყო აღბეჭდილი და მისი უფრო ხშირად ხვდებოდნენ სპარტელები სხვა ხალხებს, მით უფრო მეტი სიჯიუტით აღვნიშნავთ მათთვის ჩაგონებულ წარმოდგენებს. სამშობლო იყო პირველი რამ, რასაც სპარტელი ბიჭუნას მზერა ხვდებოდა მაშინვე, როგორც კი მასში დამოუკიდებელი აზრი იწყებდა გამოღვიძებას. ეს გამოღვიძება მასზე დიდად მზრუნველი სახელმწიფოს კალთაში ხდებოდა და იგი შემდგომშიც ყოველთვის ამით იყო გარემოცული — ხალხით, სახელმწიფოთი, სამშობლოთი. ეს იყო პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მის გონებაში მკვიდრდებოდა, და მთელი მისი შემდგომი ცხოვრება მხოლოდ საბუდამდღეო განახლება იყო ამ შთაბეჭდილებისა.

საკუთარ სახლში სპარტელს არაფერი ჰქონდა ისეთი, რაც რამდენიმე ჰაინც მაცდუნებელი იქნებოდა, რამეთუ კანონმდებელმა ყოველივე მიმზიდველი გააქრო მის თვალთაგან. მხოლოდ სახელმწიფოს წიაღში ჰპოვებდა იგი საგანს თავისი საქმიანობისა, მზარულებისა, პატივისა თუ ჯილდოსათვის; სახელმწიფოზე და მხოლოდ მის ინტერესებზე იყრიდა თავს ყველა მისი ვნება თუ ფიქრი. ამგვარად, სახელმწიფო თავის მოქალაქეთა მთელს ენერგიასა და ძალუბს განაგებდა. მისწრაფება საერთო კეთილდღეობისაკენ, რომლითაც ერთობლივ ყველა მოქალაქე იყო შეპყრობილი, ყოველ მათგანში ცალკე ასახრდობდა სიყვარულს მშობელი ხალხისადმი. ამიტომაც არაფერია გასაკვირი, თუ სპარტელთა გმირობა სამშობლოს დაცვისას იყო განუზომელი და ჩვენთვის წარმოუდგენელი. ამ რესპუბლიკის მოქალაქეებს სულ მცირედაც არ შეიპყრობდა ხოლმე ყოყმანი, როცა აუცილებელი შეიქნებოდა არჩევანის გაკეთება საკუთარ თავსა და სამშობლოს შორის.

ამიტომ სავსებით ვასაგები ხდება, თუ ვით დაიმსახურა სპარტელთა მეფემ ლეონიდემ და მის მხარდამხარ მებრძოლმა სამასმა სპარტელმა მეომარმა<sup>9</sup> ესოდენ მშვენიერი ეპიტაფია — მათი გმირობის ამსახველი უკეთილშობილესი ძეგლი, რომელიც დაღადავებდა: „ყველას აუწყე, სპარტას მისულო მგზავრო, რომ ჩვენ, მისი კანონების აღმსრულებელნი, აქ, ამ ადგილას დავეციით მტერთან უთანასწორო ბრძოლაში!“

ამრიგად, შეუძლებელია არ ვაღიაროთ ეს ჭეშმარიტება: არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე უფრო მიზანშეწონილი და მოფიქრებული, ვიდრე სახელმწიფოებრივი წყობა; იგი, თავისთავად, სრულყოფილი ქმნილებაა და ცხოვრებაში განუხრელი დამკვიდრებისას დასაყრდენი მხოლოდ საკუთარ თავში უნდა ჰქონოდა. მაგრამ ამით რომ დამესრულებინა ჩემეული აღწერა ამ სახელმწიფოებრივი წყობისა, მაშინ უდიდეს შეცდომას დავუშვებდა, რამეთუ იგი დაგმობასაც იმსახურებს! კაცობრიობისათვის არაფერი არ იქნებოდა ისე საყვალლო და სამწუხარო, თუკი ყველა სახელმწიფო სპარტის მაგალითს მიბაძავდა. ამ მტკიცების სამართლიანობაში ადვილად დავრწმუნდებით.

ჩვენც რომ იმავე მიზნებით განვიმსჯელოთ, რასაც ლიკურგე ისახავდა, მაშინ მისი კანონები ჭეშმარიტად ისტატურ ქმნილებად მოგეჩვენება სახელმწიფოთ — და ადამიანი — მცოდნეობისა; მას ხომ სურდა დასრულებული, უძ-

ლეკელი სახელმწიფო შეექმნა: სწორედ სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერება და დღევანდელი შეადგენდა ლიკურებს მისწრაფების მიზანს, და მან, კანონმდებელმა ამ ზომით შეაღწია ამას, რამდენადაც შესაძლებელი იყო იმჟამინდელ პირობებში. მაგრამ, თუკი ლიკურებს მიზანს ზოგადკაცობრიულ მიზანს შეეუდარებთ, მაშინ სპარტელი კანონმდებლის მუდგაწინააღმდეგობა, შობილი მხოლოდდა ზედაპირული მიმოხილვით, შეიცვალა კაცობრიუბით. ყველაფერი შეიძლება შესწირო სახელმწიფოს ინტერესებს, მაგრამ არამც და არამც ის, უმოაგრესი (ანუ ადამიანი), რისთვისაც თვით სახელმწიფო სხვა არაფერი უნდა იყოს, თუ არ იღენ საშუალება. სახელმწიფო არასდროს არ წარმოადგენს თვითმიზანს, იგი არსებითად ღირებულია მხოლოდ როგორც პირობა, ურომლისოდაც კაცობრიული მიზანი მიუღწეველი იქნება; კაცობრიული მიზანი კი სხვა არაფერია, თუ არ ადამიანის ყველა ძალის განვითარება—გამოვლენა, თუ არ განუხრელი წინსვლითი მოძრაობა. თუკი სახელმწიფოებრივი წყობილება ხელს უშლის ადამიანის არსებაში შთადებული ძალების გამოვლენასა და განვითარებას, თუკი ის წინ ეღობება მისი სულის მძლავრ წინსვლითი მოძრაობას, ასეთი სახელმწიფოებრივი წყობილება მანკიერად და დამღუპველად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, როგორი აწინილდაწინილი და თავისებურად სრულყოფილიც არ უნდა იყოს იგი ყოველივე დანარჩენში. მისი სიმტკიცე ამ შემთხვევაში უფრო ნაკლად გვევლინება, და შეუძლებელია სახელმწიფოს დიდებას ემსახუროს, რადგან იგი სხვა არაფერია, თუ არა ღრმად ფესვგადგმული ბოროტება. რაც უფრო ხანგრძლივია ასეთი სახელმწიფოებრივი წყობის არსებობა, მით უფრო მეტი ზიანის მომტანია იგი ადამიანისათვის.

ზოგადად თუ ვიტყვით, პოლიტიკურ დადგინებათა შეფასებისას ჩვენ განუხრელად უნდა ვადგეთ შემდეგ წესს: კარგნი და საქებარნი მათგან მხოლოდ ის დაწესებულებანია, რომლებიც ხელს უწყობენ ცივილიზაციის მსვლელობას წინ, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, არ აფერხებენ მას, იმავედროულად ყოველმხრივ გამოავლენენ და ავითარებენ ადამიანში შთადებულ ყველა ძალას. ეს წესი თანაბარი ზომით შეეხება რელიგიურ კანონებსაც და იმათაც, რომელთა საგანს სახელმწიფოებრივი მიწყობაა: ერთიცა და მეორეც დამღუპველი შეიძლება იყოს ადამიანისათვის, თუკი შებოჭავენ ადამიანის სულს და უძრაობისათვის გასწირავენ მას. ასე; მაგალითად, თუკი რომელიმე კანონი მოვლს ვრს დაავალდებულებდა ერთსა და იმავე რელიგიურ შეხედულებაზე მღვარიყო, თვით ამ ერის მიერ იღესდაც სრულყოფილ შეხედულებად აღიარებულზე, — ამგვარი კანონი ადამიანის უფლებათა ხელყოფა იქნებოდა, და ვერანაირი დასაბუთება, თუჩდაც ყველაზე კეთილსახიერიც, ვერ გაამართლებდა მას. ასეთი კანონი უზენაესი სიკეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, იმ უზენაესი მიზნის წინააღმდეგ, რომელიც კი ძალუძს დაისახოს ადამიანურმა საზოგადოებამ.

თუკი ამ ზოგად კრიტერიუმს მიუყვარებით ლიკურებს მიერ შექმნილ სახელმწიფო წყობილებას, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შევძლებთ ჩვენეული ჯეროვანი შეფასება მივცეთ მას.

სპარტაში ყველა სხვა სიქველესა და სათხოებას უგულვებელჰყოფდნენ, და მხოლოდ ერთს დაჰფუფუნებდნენ — სამშობლოს სიყვარულის გრძნობას. სწორედ ამ, ადამიანში ხელოვნურად ჩანერგილ გრძნობას სწირავდნენ სპარტელები კაცობრიობის ბოროტი, უსწორ მისწრაფებებს.

ყველა სხვა ამეღლებული გრძნობის საზიანოდ ისინი ადამიანში მხოლოდ სახელმწიფოსადმი მსახურების მოხწრაფებას ავითარებდნენ და ამ მსახურებისათვის აუცილებელ უნარით აღზრდიდნენ, სპარტაში არ უწყობდნენ, რა იყო ცოლქმრული სიყვარული, ბავშვის სიყვარული მშობლებისადმი, დედა-მამისადმი, ირც ნამდვილი მეგობრობის გრძნობა ქქონდათ შესესხებულყოფილი. სპარტაში მხოლოდ მოქალაქეობა, მხოლოდ მოქალაქეობობრფეკ — ხომეღეღეღ და გმირობა იცოდნენ. დიდი ხნის მანძილზე იყვნენ აღტაცებულნი სპარტელი დედით, რომელმაც უარყო ბრძოლის ველიდან უვნებლად დაბრუნებული ვაჟი-შვილი და ტადარს შიაშურა, რათა ღმერთისთვის მადლი მიეძღვნა მეორე ვაჟი-შვილის გამო, რომელიც ბრძოლაში დაცემულიყო სამშობლოსათვის. ასეთი არაბუნებრივი სიმტკიცისაგან კაცობრიობას კარგი არაფერი მოელოდა. თავისი შვილებისადმი სინაზით აღსავსე დედა — ბევრად უფრო მიმზიდველი და ღირებული მოუყენაა ზნეობრივ სფეროში, ვიდრე გმირული სულისკვეთებით განმსჭვალული უსქესო არსება, რომელიც უარს ამბობს ბუნებრივ მიდრეკილებებზე, რათა მოგონილი, არაბუნებრივი მოუაღეობა აღასრულოს.

რადღუნ მშვენიერად წარმოგვიდგება რომის ზღუდეებს მომდგარი ტლანქა მეომარი გნეუს მარციუსი<sup>10</sup>, როდესაც იგი უარს ამბობს გამარჯვებასა და შურისძიებაზე მხოლოდ იმის გამო, რომ არ შეუძლია საკუთარი დედის ცრემლებს უყუროს!

სპარტაში კი სახელმწიფო ხდებოდა ბავშვის მამად; ამის შედეგად ის აღამიანი, ვინაც სიცოცხლე მიანიჭა მას, უკვე აღარც იყო სინამდვილეში მისი მამა. ბავშვსაც, თავის მხრივ, არ შეუძლო ჰყვარებოდა თავისი დვიძლი დედამამა, რადგან ჩვილი ესაკიდანვე მოწყვეტილი იყო მშობლებს და მათმიერი მზრუნველობით კი არ უწყობდა თავისი სისხლი და ხორცი, არამედ მხოლოდ ყურმოკრული ამბისა.

აღმაშფოთებელი სახით თრგუნავდნენ სპარტაში ადამიანურობის ნებისძიერ გამოვლინებას, ხოლო მსგავსისადმი, მოყვასისადმი სიყვარული და პატივისცემა, — საფუძველთა საფუძველი ყოველგვარი ზნეობრივი მოუაღეობისა, — უიშედოდ იყო დაკარგული. სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მომდინარე კანონნი ავადღებულლებდა სპარტელებს, სასტიკნი ყოფილიყვნენ საკუთარი მონების მიმართ. ამ უბედურ ადამიანთა — სახელმწიფოსთვის მსხერპლად შეწირულთა — სახით დამცრობილი და შეგინებული იყო თვის ადამიანობა. სპარტის კანონები სახიფათო პრინციპს ამკვიდრებდა, როცა ადამიანს განიხილავდა როგორც მხოლოდ საშუალებას და არა — როგორც თვითმიზანს; ამგვარად, სახელმწიფო კანონი თვით უთხრიდა ძირს ბუნებრივ სამართალსა და ზნეობრიობას. მეტიც მთლიანად იყო უარყოფილი ზნეობრიობა, რათა შედეგად მიეღოს ღირებულება, როგორც მხოლოდ საშუალება ზნეობრიობის შესახარჩუნებლად.

შესაძლებელია ამაზე უფრო წინააღმდეგობრივის წარმოდგენა?! ძალუძს კი განა სხვა წინააღმდეგობრიობას ამაზე უფრო საშინელ შედეგებამდე მიგვიყვინოს?! ეს კიდევ არაფერია, ლიკურგემ, თავისი სახელმწიფო ზნეობრიობის მოსპობაზე რომ დააფუძნა! სხვა საშუალებითაც ცდილობდა განეშორებინა ადამიანები უმაღლესი მიზნისაგან: კარგად მოფიქრებული სახელმწიფოებრივი წყობის სისტემით მან იმ საფეხურზე გაყინა სპარტელთა სული, რომელზეც ჰპოვა გამეფებისას, და ამით საუკუნოდ შეაჩერა მათი განვითარება და წინაველითი მოძრაობა.

ხელმწიფის ყველა სახეობა განდევნილ იქნა ქვეყნიდან, მეცნიერებანიც სრულიად უგულვებელყოფილი იყო; საეკლესიო ურთიერთობანი სხვა ხალხებთან სპარტელებს აკრძალული ჰქონდათ. არ დაიშვებოდა არაფერი უცხო ქვეყნები-სა. ამ ხომებით მაგრად იყო გადაკეტილი ყველა ის არხი, რომლითაც შეიძ-ლებოდა სპარტელებთან ნათელ იდეებს შემოეღწია საიდუმლოდ, ამ სა-მარადეაძო, გაუხარელ ეგოიზმში ჩაძირულ ერთფეროვნებაში სპარტის სა-ხელმწიფო განწირული იყო, მარადის უზროდ მიმოქცევისათვის საკუთარი თავის გარშემო.

სპარტის სახელმწიფოს ყველა მოქალაქის ერთადერთი საზრუნავი იყო. შეენარჩუნებინათ მოპოვებული, ის, რასაც აქამდე ფლობდნენ; მათ არ უნდა ეცადათ რაიმე ახლის მოპოვება და არ უნდა ამაღლებულიყვნენ განვითარე-ბის არც ერთი საფეხურით! უღმობლად მკაცრი კანონები იმად იყვნენ მოწოდე-ბულნი, რომ მარადის ფხიზლად ედევნებინათ თვალყური სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის, რათა ძველთაგანვე დაპყვიდრებულ მექანიზმში არანაირ სიახლეს არ შეეღწია, და დროის მსვლელობასთან შეერთებულ ბუნებრივ განვი-თარებასაც არ შეეცვალა კანონთა სახე. ეს ადგილობრივი, დროებითი სახელ-მწიფოებრივი წყობილება მტკიცე და სამარადეაძო რომ შეექნათ, აუცილებე-ლი იყო ერთ დონეზე შეეჩერებინათ ადამიანის სული, გაეყინათ იგი იმ მდგო-მარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა ხსენებული სახელმწიფოებრივი წყობი-ლების შემოღების მომენტში.

მაგრამ ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ სახელმწიფოს ჭეშმარიტი მიზანი უნდა იყოს უზრუნველყოფა ხალხის სულის წინსვლითი მოძრაობისა.

ლიკურგეს მიერ შექმნილ სახელმწიფოს კი მხოლოდ ერთი პირობით შე-ეძლო არსებობა, კერძოდ, თუკი ხალხის სული უძრავ მდგომარეობაში დარჩე-ბოდა. მაშასადამე, მას მხოლოდ იმის წყალობით შეეძლო არსებობა, რის მი-ერაც უგულვებელყოფილი და უარყოფილი იყო ნებისმიერი სახელმწიფოს ერ-თადერთი უმაღლესი მიზანი. ხოლო, თუკი ლიკურგეს საქებ-სადიდებლად არ-აერთოვზის უთქვამთ, სპარტას მანამდე ძალეღვა აყვავებული ყოფილიყო, სა-ნამ ზედმიწევნით მისდევდა მის მიერ შემოღებულ კანონებსო, ჩვენ ვიტყვი, რომ ეს ყველაზე უარესია ყოველივე იმისაგან, რისი თქმაც კი შესაძლებელია ლიკურგეს კანონებზე. სწორედ იმიტომ, რომ სპარტას არ შეეძლო უარი ეთ-ქვა სახელმწიფო წყობილების ძველ ფორმაზე, რაც მას თავის დროზე ლი-კურგემ მიანიჭა, ისე, თუ უთუოდ დაღუპვად არ გაეწირა თავი, სწორედ იმი-ტომ, რომ ეს ფორმა აუცილებლად იგივე უნდა დარჩენილიყო, რაც იყო; სწო-რედ იმიტომ, რომ იგი იძულებული იყო მარადის იმ ადგილას მდგარიყო, რო-მელზეც ოდესმე ერთმა ადამიანმა დაადგინა, — აი, სწორედ იმიტომ სპარტა ყველაზე უბედური სახელმწიფო იყო და მის კანონმდებელსაც არ შეეძლო იმაზე საბედისწერო, დამღუპველი რამ მიეძღვნა მისთვის, რაც მიუძღვნა კი-დეც; ანუ ხსენებული ოდინდულობა და უცვალებლობა სახელმწიფო წყობილე-ბისა; რომელიც დაუძლეველ დაბრკოლებად აღიმართა მის გზაზე ჭეშმარიტი აყვავებისა და დიდებისაკენ, ნამდვილი ბედნიერებისა და კეთილდღეობისაკენ.

თუკი თავს მოეუფრით ყოველივე ზემოთქმულს, მაშინ ჩვენს თვალთა წინ განქარდება ის ყალბი, მოჩვენებითი ბრწყინვალება, გამოუცდელ დამკვირვე-ბელის თვალს რომ სჭრის სპარტის სახელმწიფოს ზედაპირულ მიმოხილვი-სას, ჩვენ სხვას ველარაფერს დავინახავთ, გარდა შეგირდის არასრულყოფილი მცდელობისა — პირველი, გაუბედავი ნაბიჯისა ჭაბუკი მსოფლიოს მხრივ, რო-

მელსაც ჯერ კიდევ აკლდა ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა-უნარიც, რათა ცხადად შეეცნო საგნების ჭეშმარიტი ურთიერთმიმართებანი. რა მცდარიც არ უნდა ყოფილიყო პირველი მცდელობა, იგი დარჩება, და უთუოდ უნდა დარჩეს კიდევ, დაქინებული ყურადღების საგნად კაცობრიობის ისტორიის შემსწავლელი ფილოსოფიურად მოაზროვნე მკვლევარისათვის. რაკი მანამდე შემთხვევასა და ვნებათაღელვას მინებებულ ურთულეს საქმეს საფუძვლიანად მოჰკიდეს ხელი. — ეს, რა თქმა უნდა, გოლსათური წინგადადგმული ნაბიჯი იყო კაცობრიული გონებისათვის. ბუნებრივია, პირველი მცდელობაც ამ უძნელეს ხელოვნებაში უთუოდ არასრულყოფილი უნდა გამოდგორიყო; და მაინც იგი ძალზე ფასეული და მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რამეთუ მისი საგანი ხელოვნებათაგან ყველაზე რთული, ყველაზე ღირებული ხელოვნება იყო. მოქანდაკეებმა ჰერმესის პატივად აგებული მომცრო სვეტებით<sup>11</sup> იწყეს თავის ხელოვნებაში გაწაფვა და მხოლოდ შემდგომში ამაღლდნენ სრულყოფილ ფორმებამდე რომელიმე ანტიონესი თუ ვატიკანის აპოლონისა. კანონმდებლები კი კვლავაც დიდი ხნის მანძილზე გამოიღებენ ხოლმე ძალიანხმეკას და ბევრს გაირჯებიან უმწიფარი, სხვადასხვა სახის მცდელობებით, სანამ მათთვის, ბოლოს და ბოლოს, თავისთავად არ გაცხადდება ნამდვილი წონასწორობა საზოგადოებრივი ძალებისა, რომელიც ბედნიერებას მოუტანს კაცობრიობას.

კლდის ნატეხი მოთმინედ იტანს მოქანდაკის საჭრისს, და საკრავის ხმებიც, შერხეულნი მუსიკოსის მიერ, მორჩილად ეხმიანება მას ისე, რომ სულაც არ უწევს წინააღმდეგობას მის თითებს.

მხოლოდ კანონმდებელი ცდილობს გარდაქმნას თავისით მოქმედი და წინააღმდეგობის გამწევი მასალა — ადამიანის თავისუფლება. აი, სწორედ ამიტომაც იგი უაღრესად არასრულყოფილად ახერხებს იმ იდეალის განხორციელებას, რომელიც თავის გონებაში ესოდენ ამაღლებულად და შეურყვინელად შეუქმნია. მაგრამ თვით არასრულყოფილი მცდელობაც, თუკი იგი უანგაროდ არის ვადებული ხალხის საკეთილდღეოდ, და ამავე დროს მიზანშეწონილი ღონისძიებებით ხორციელდება, — და თვით ამგვარი მცდელობაც კი ყოველგვარი შექების ღირსია!...

## სოლონი

სოლონის<sup>12</sup> მიერ ათენში შემოღებული კანონები თითქმის მთლიანად საპირისპირო იყო სპარტის ლიკურგესეული კანონებისა, და რაკი ეს ორი რესპუბლიკა — ათენი და სპარტა — უმთავრესი როლს ასრულებდა საბერძნეთის ისტორიაში, ამდენად ძალზე საინტერესო იქნება, თუკი ერთმანეთს შეეუღარებათ მათს ესოდენ განსხვავებულ სახელმწიფო წყობილებათ და შეძლებისდაკვლობაზე ავწონ-დავწონით თითოეულის ღირსება-ნაკლოვანებებს.

ათიკის უკანასკნელი მეფის — კოდრეს სიკვდილის შემდეგ ათენელებმა გააუქმეს მონარქია<sup>13</sup>, რის შედეგადაც უმაღლესი ძალაუფლება ერთ თანამდებობის პირს გადაეცა, ვისაც სიცოცხლის ბოლომდე ირჩევდნენ ამ მსახურებისათვის და ვინც არხონტის ტიტულს ატარებდა. თითქმის სამასი წლის მანძილზე ათენში, როგორც ცნობილია, ცამეტი არხონტი იქნა არჩეული, მაგრამ ახალი რესპუბლიკის ცხოვრების ამ პერიოდში მათიანე ღირსშესანიშნავს არაფერს გვაუწყებს. თუმცა ხსენებული პერიოდის მიწურულს აქ კვლავ გამო-



ცოცხლად დაემოკრატული სულისკვეთება, ესოდენ დამახასიათებელი ათენელთათვის ჯერ კიდევ პომპროსის დროიდან. ის გარემოება, რომ არხონტს სიცოცხლის ბოლომდე ირჩევდნენ უმაღლეს თანამდებობაზე, ძალზე ამკარად შეახსენებდა ათენელებს წარსულის მმართველობას — მონარქიას; ამასთან, ისიც დასაშვებია, რომ მანამდელი არხონტები ხშირად პათროტალს იყენებდნენ თავიანთ დიდად მნიშვნელოვან და ხანგრძლივ ძალაუფლებას. ამიტომაც ამიერიდან არხონტის უფლებამოსილების ვადა ათი წლით შემოიფარგლა. ეს არსებითი ნაბიჯი იყო მომავალი თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე, რამეთუ ყოველ ათწლედში ახალი მბრძანებლის არჩევით ხალხი კვლავ და კვლავ აღასტურებდა თავის ძალას — უმაღლესი ძალაუფლება რესპუბლიკაში სწორედ მეკლეტონისო. ყოველ ათ წელიწადში ერთხელ იგი ართმევდა არხონტს თავის მიერვე დათმობილ ძალაუფლებას, რათა შემდეგ კვლავ მიეჩლო იგი ვინმესთვის საკუთარი შეხედულებისამებრ. ამის წყალობით ყოველ არხონტს მარადის ახსოვდა ის, რასაც სრულიად ივიწყებენ ხოლმე მეკვიდრეობითი მონარქიების წინამძღოლნიც და ქვეშევრდომნიც, — კერძოდ ის, რომ უმაღლესი ძალაუფლების წყარო სახელმწიფოში — ხალხია, მბრძანებელი ხელმწიფე კი სხვა არაფერია, თუ არ წარმოინაშობი ამავ ხალხისა და აღმასრულებელი მისი ნებისა.

სამასი წელი იომინა ათენელმა ხალხმა სიცოცხლის ბოლომდე მინიჭებული ძალაუფლებით აღჭურვილი არხონტები; თუმცა ათწლიანი ვადით არჩეულმა არხონტებმაც საკმაოდ შეაჭირვეს იგი სამოცდაათიოდე წლის შემდეგ. ეს სახსებით ბუნებრივი მოვლენა იყო, რადგან სამოცდაათი წლის მანძილზე არხონტები შეიძჯერ იქნენ არჩეულნი, — მაშასადამე, ხალხმა ამდენივეჯერ შეახსენა მათ თავისი უზენაესობა. ამიტომაც თავისუფლების სული ათენელებში გაცდილებით უფრო ძალუძად უნდა გამოემჟღავნებულყო სწორედ ამ პერიოდში.

ათწლიანი ვადით არჩეული არხონტებიდან მეშვიდე არხონტი უკანასკნელი გამოდგა ამკვარ მბრძანებელთაგან. მის შემდეგ ხალხმა ისურვა ყოველწლიურად გამოეხატა თავისი ნება — ანუ ყოველ წელს აერჩია ახალი არხონტი და ასე განეხორციელებინა თავისი უზენაესი ძალაუფლება. გამოცდილებით შეიცნო მან, რომ ათი წლის მანძილზე მოქმედი ხელისუფლება საკმაოდ ხანგრძლივია იმისათვის, რომ საცთურიც გაჩნდეს მისი ბოროტად გამოყენებისა. ამის გამო ამიერიდან არხონტების ძალაუფლება ერთი წლის ვადით შემოიფარგლა, რომლის გასულსაც ახალი არჩევნები უნდა გამართულიყო. თუმცა ხალხი ამასაც არ დასჯერდა და უფრო შორს წავიდა ერთი კაცის ძალაუფლების შეზღუდვაში: რაკი ერთმმართველობა, თუნდაც მოკლევადიანი, ძალზე ემსგავსება მონარქიას, ხალხმა სულაც გააუქმა ეს ერთმმართველობა, უმაღლესი ძალაუფლება ცხრა არხონტს გაუნაწილა და აიძულა ერთობლივ ემართათ სახელმწიფო.

არხონტთაგან სამს გარკვეული უპირატესობანი ჰქონდა მინიჭებული დანარჩენი ექვსის წინაშე. პირველი არხონტი, ეპონიმად წოდებული, კრებებს თავმჯდომარეობდა; მისი სახელით (ხელმოწერით) იყო ხოლმე დადასტურებული ყველა ოფიციალური აქტი და მისივე სახელის მეშვეობით აღირიცხებოდა წლები. მეორე არხონტს, ბასილეგსად, ანუ მეფედ წოდებულს, ღუთისმსახურების აღსრულებისათვის უნდა ეღვენებინა თვალყური და საერთო ღოცვი-

სათვის ეზრუნა, — ეს მოვალეობა მან უძველესი დროიდან მიიღო შემკვიდრეობად, როდესაც საზოგადო ღვთისმსახურებისადმი თვალყურის დევნება სამეფო ძალაუფლების არსებითი პრეროგატივა იყო. შესაძენ არხონტი, პოლემარხად წოდებული, უმაღლესი მხედართმთავარი იყო ომიანობის დამხარჩენი ექვსი არხონტი თესმოფეტებად იწოდებოდნენ, რადგან მათ შოვალეობას შეადგენდა თვალყურის მიდევნება კონსტიტუციის დაცვასთან დაკავშირებით. სწორედ მათ უნდა დაეცვათ სახელმწიფოში მოქმედი კანონები და საჭიროების შემთხვევაში — განემარტათ ისინი.

არხონტებს ყველაზე წარჩინებულ გვართაგან ირჩევდნენ. მხოლოდ გვიანდელ დროში შეიქმნა ეს თანამდებობა მისაწვდომი უბრალო ხალხისგან გამოსულ ათენელთათვისაც. ამის გამო ათენის სახელმწიფოებრივი წყობა ბევრად უფრო ახლოს იდგა მმართველობის არისტოკრატიულ ფორმასთან, ვიდრე ნამდვილ სახალხო მმართველობასთან, და ამ უკანასკნელსაც თითქმის არაფერი შესძენია ხსენებული რეფორმისაგან.

ამ გადაწყვეტილების — ყოველწლიურად აერჩიათ ხოლმე ცხრა არხონტი — დადებით მხარესთან ერთად (რაკი უმაღლესი ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა ამით მნიშვნელოვანწილად მცირდებოდა) ბევრი უარყოფითი მხარეც ჰქონდა: იგი გასაქანს აძლევდა პარტიებს შორის ქიშპის გაღვივებას. მაღე სახელმწიფოში ბევრი ისეთი მოქალაქე აღმოჩნდა, კინც უწინ უმაღლესი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი, შემდეგში კი მოპკლებოდა ამ არჩევით თანამდებობას. დაპკარგეს რა უწინდელი წოდება, ისინი არც თუ იოლად ივიწყებდნენ მის უპირატესობებს — ძნელი იყო არხონტის ძალაუფლებისაგან მიღებულ ყველა სიხარულზე უარის თქმა, რასაც თავის დროზე უხეად განიცდიდნენ. მათ სურდათ კვლავაც შექნილიყვნენ იმად, რაც უწინ იყვნენ, რისთვისაც მომხრეებს იძენდნენ და რესპუბლიკაში შინააშლილობას აღვივებდნენ. ვარდა ამისა, არხონტების რაოდენობის გაზრდამ და მათმა ხშირმა მონაცვლეობამ ისიც გამოიწვია, რომ ათენის ღამის ყოველი წარჩინებული მოქალაქე გულში დაჰყუფუნებდა იმედს არხონტად წოდების ღირსი შექმნილიყო, — იმ იმედს, რომელიც აქამდე მხოლოდ მცირედსათვის იყო მისაწვდომი, რადგან მაშინ არხონტის წოდება მხოლოდ ერთ ადამიანს ენიჭებოდა, და ისიც — საკმაოდ დიდი ხნით, თთი წლით. ეს იმედი ამ ადამიანებისათვის ბოლოს მოუთმენლობაში გადაიზრდებოდა, მოუთმენლობა კი სახიფათო ნაბიჯის გადასადგმელად უბიძგებდა მათ. ამრიგად, სამოქალაქო სიმშვიდისათვის ერთნაირად სახიფათონს იყვნენ ყოფილი არხონტებიც, ვისაც უკვე ეშქმნა ძალაუფლების უპირატესობანი, და ისინიც, ვინც ჯერ მხოლოდ ოცნებობდა ამგვარი ძალაუფლებით აღჭურვაზე.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ათენელთათვის ის იყო, რომ უმაღლესი ძალაუფლება სახელმწიფოში ისე შესუსტდა, როგორც არასდროს, — ერთის მხრივ, იმის გამოც, რომ იგი ესოდენ ხანმოკლე ვადით ეძლეოდა არხონტებს, მეორეს მხრივ კი იმიტომაც, რომ იგი ცხრა პიროვნებას შორის იყო განაწილებული. არ იყო მტკიცე ხელი, რომელიც შესძლებდა პარტიათა შორის ბრძოლის შეკაებას და ყველაზე მოუსვენარ გონებებსაც ადასხამდა აღვირს. ძლიერი და გაბედული მოქალაქენი გაუთაუებელ არეულობათ დააწვდნენ სახელმწიფოს და მხოლოდ იმას ესწრაფვოდნენ, ძალაუფლება და დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ.

როცა ბოლოს, შემოთავაზებულმა ათენელებმა გადაწყვიტეს საზღვარი დაედოთ ამ არეულობათათვის, მათ ერთ გამორჩეულ ათენელ მოქალაქეს დაადგეს თვალი, რომლის წინაშეც ყველა მოწიწებით თრთოდა, და სწორედ მას დააკისრეს კანონების გაუმჯობესება, რაზეთუ ეს კანონები კამდე მხოლოდ მეტად არასრულ კრებულს წარმოდაგენდა ძველი წეს-ჩვეულებებისა, ნაკურთხს უძველესი გადმოცემებით. ამ მოქალაქეს, ვინც ყველას შიშის ხარისხეშია, დრაკონი<sup>1</sup> ერქვა. ის იყო ყოველგვარ ადამიანურ გრძნობებს მოკლებული ადამიანი, ვისაც არა სწამდა ადამიანური ბუნებისა და არც მოელოდა მისგან რაიმე სიკეთეს; ეს იყო ადამიანი, ვინც ყოველ საქმეს, ყოველ საქციელს თავისი შავბნელი სულის მქრქალი სარკის პრიზმაში ხედავდა, სულისა, ესოდენ უღმობელი რომ იყო ადამიანური სისუსტეებისადმი. კვალად, ეს იყო საკმაოდ უხეირო ფილოსოფოსიც და კიდევ უფრო უვარგისი მცოდნეც ადამიანის ბუნებისა, თანაც ჯიუტად შეურყეველიც თავის წინასწარაკვიატებულ შეხედულებებში. გულცივი, შეზღუდული თეატოახედვისა. ასეთი ადამიანი კარგად შესძლებდა უკვე შექმნილი კანონების დაცვა-აღსრულებას, მაგრამ მისი დანიშვნა კანონმდებლად, ანუ იმისათვის, რომ სხვათათვის მიეცა ახალი კანონები, — მართლაც რომ უაღრესად ცუდი არჩევანი იყო.

დრაკონის კანონებიდან ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე მოაღწია წერილობითი სახით, მაგრამ ამ მცირეოდენითაც ჩვენ წინაშე ნათლად წარმოსდგება თვით ეს ადამიანიც და მის მიერ გამოცემულ კანონთა სულისკვეთებაც. ყველა დანაშაულისათვის, უკლებრივ, დრაკონს სიკვდილით დასჯა ჰქონდა განსაზღვრული: სიკვდილით უნდა დასჯილიყო მცონარეც და კაცის მკვლელიც, ერთი თავი კომბოსტოს მოშპარავიც და სახელმწიფო დელატის ჩამდენიც, ანდა განხრახ ცეცხლის წამკიდებელიც. როცა დრაკონს ჰკითხავდნენ, უმნიშვნელო გადაცდომასაც რატომ სჯი ისევე შეუბრალებლად, როგორც ყველაზე მძიმე დანაშაულსო, მისი პასუხი მუდამ ასეთი იყო: „ყველაზე უმნიშვნელო დანაშაულიც სიკვდილით დასჯის ღირსია; და მძიმე დანაშაულისათვისაც მე არ ვუწყვი სხვა სასჯელი, გარდა მოკვდინებისაო“, — აი, სწორედ ამიტომ ვარ იძულებული სიკვდილი მივუსაჯო მცირე დანაშაულის ჩამდენსაც და მძიმე დამნაშავესაცო“.

დრაკონის კანონები—ადამიანის მართვა-განმგებლობის ხელოვნებაში ახალბედა მცდელობაა. დაშინება — აი, ერთადერთი იარაღი, რომელსაც იგი იყენებს: დასჯის უკვე ჩადენილ ბოროტებას, მაგრამ სულ არ ცდილობს, წინაწინ აღკვეთოს იგი, ანდა ხელი შეუშალოს მის ჩადენას; მას არანაირად არ აღუელვებს ზრუნვა იმაზე, რომ თვით წყარო მოსპოს ბოროტებისა და უკეთესნი გახადოს ადამიანები. სიცოცხლის წართმევა ადამიანისათვის მხოლოდ იმის გამო, რომ მან რაღაც უჯერო, ცუდი საქციელი ჩაიდინა, — ხომ იგივეა, ხე მხოლოდ იმ მიზეზით მოვჭრათ, რომ მისი ერთი ნაყოფი დამპალია.

დრაკონის კანონები ორმაგად იმსახურებენ დაგმობას, — იმისთვისაც, რომ ადამიანის წმიდა გრძნობებსა და უფლებებს ლახავენ, და იმის გამოც, რომ არ ითვალისწინებენ იმ ხალხის თავისებურებებს, ვისთვისაც გამოცემულ არიან. და თუკი ამქვეყნად არსებობდა ისეთი ხალხი, რომელიც ვერ აყვავდებოდა ამ კანონების მოქმედებით, — ეს სწორედ ათენელი ხალხი იყო. ფარაონისა თუ სხვა რომელიმე მეფეთ-მეფის<sup>2</sup> ქვეშევრდომნი, შესაძლოა, საბოლოოდ შეკვებოდნენ კიდევ ამგვარ სასტიკ კანონებს, ათენელებს კი არამც და არამც არ შეეძლოთ ქედი მოედრიკათ ამ უღლისთვის.

მართლაც, ამ კანონებს ძალა მხოლოდ ნახევარი საუკუნის განმავლობაში თუ ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელმა მათ „დაურღვეველი“ კანონების ბაქია სახელწოდება მისცა!

ამრიგად, დრაკონმა ძალზე ცუდად გაართვა თავი დავისრებულ დავალებას და მისმა კანონებმაც სარგებლობის ნაცვლად მხოლოდ ზღაპრული მოუტანა ათენელ ხალხს. რაკი ამ კანონების მიღვენა-აღსრულება წარმოუდგენელი იყო, სხვა კანონები კი ათენელებს ხელთ არ ჰქონდათ, — ამიტომ ცხოვრება ისე მიედინებოდა, თითქოს ათენელებისათვის დრაკონს არც შეექმნას ხსენებული კანონები, და ამას შედეგად სავალალო ანარქიის აღმოცენება მოჰყვა სახელმწიფოში.

ათენელი ხალხის მდგომარობა იმ ხანებში გულწრფელ თანაგრძნობას იმსახურებს. ერთი ჯგუფი მოქალაქეებისა ყველაფერს ფლობდა, მეორეს კი არაფერი ებადა. მდიდრები დიდად შეაჭირვებდნენ და უმოწყალოდ ძარცვავდნენ ღარიბებს. მათ შორის თითქოსდა ყრუ კედელი აღმართულიყო. გაჭირვება იძულებდა უქონელთ, სწორედ თავიანთი მზავრულების წინაშე ეძიათ შველა, — იმ ადამიანთა წინაშე, ვინც წურბელასავით სწოვდა მათ სისხლს, მაგრამ ის დახმარება, რასაც მდიდრები უწყევდნენ, უღმობელი დახმარება იყო. მათგან სესხად აღებულ ფულში ღარიბი მოქალაქენი მეტად ძალიან ვაზშს იხდიდნენ. ბოლო თუკი ვალის გადახდის ვადას გადააცილებდნენ, კუთვნილი მიწაც მე-ვალის ხელში გადადიოდა. როცა მევალეს ვალში მისაცემად აღარაფერი რჩებოდა, ცხოვრების განგრძობა კი ასე, თუ ისე, საჭირო იყო, სიღატაკისაგან იძულებული ათენელი მონად ჰყიდდა საკუთარ შვილებს, როცა ეს შესაძლებლობაც იწურებოდა, საკუთარ თავს იძლეოდა ვირაოდ. ბოლოს კი იძულებული იყო დაეთმინა, რომ მევალეს თავადაც მონად გაეყიდა. ადამიანებით ამ სამარცხვისა ვაჭრობის წინააღმდეგ ატიკაში არაჩინო კანონი არ გამოიცემოდა, რისი წყალობითაც მდიდარ მოქალაქეთა მღაბად სიხარბეს აღარაფერი ედობებოდა წინ. ათენის მდგომარეობა სავალალო იყო, და სახელმწიფო რომ მოლიანად არ დუღუბულიყო, დადგა აუცილებლობა, ძალისმიერი საშუალებით აღედგინათ მკვეთრად დარღვეული წინასწორობა სიმდიდრის განაწილებაში.

ხალხში სამი პარტია აღმოცენდა, რომლებმაც სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტა დაიხატეს მიზნად. ერთი პარტია, რომელშიც უპირატესად ღარიბი მოქალაქენი შედიოდნენ, მოითხოვდა დემოკრატიის დამყარებას და მიწის თანაბარ განაწილებას, იმგვარად, როგორც სპარტაში განახორციელა ლიკურგემ. მეორე, მდიდართაგან შემდგარი პარტია, არისტოკრატიული წყობის დასაცავად იბრძოდა; მესამე კი ისწრაფებდა ორივე ამ ფორმის ერთურთთან დასაახლოებლად და, ამასთან, ორივე პარტიის წინააღმდეგაც გამოდიოდა, რათა არც ერთს არ გაეტანა თავისი.

სულ მცირედი იმედიც კი არ იყო იმისა, რომ ეს დავა მშვიდობიანად დასრულდებოდა, ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო, თუკი გამოჩნდებოდა ძლიერი კაცი, ვისაც სამივე პარტია დაემორჩილებოდა და მომრიგებელ მსაჯულად აღიარებდა.

ასეთი ადამიანი, ბედად, გამოჩნდა კიდევ: მისი ღვაწლი რესპუბლიკის წინაშე, მისი გაწონასწორებული და მშვიდი ხასიათი, და ბოლოს დიდებაც მისი გამორჩეული სიბრძნისა უკვე კარგა ხანია იზიდავდა ხალხის მზერას. ეს კაცი — სოლონი იყო. ლიკურგეს მსგავსად იგიც სამეფო გვარიდან იყო წარმოშობით, რადგან თავის წინაპართა შორის კოდრესაც მიითვლიდა. სოლო-

ნის მამამ, ოდესღაც მეტად მდიდარმა კაცმა, საფუძვლიანად შეურყია ძირი საკუთარ ქონებას, რადგან გულმოწყალოდ შეეწეოდა ვაჭირვებულებს, და ახალგაზრდა სოლონიც ამის გამო იძულებული იყო თავიდან ვაჭრობისათვის მიეყო ხელი. ამ ჯურის საქმიანობისათვის უცილობელმა მოვზაურობებმა გააფართოვა მისი გონების თვალსაწიერი, ხოლო უცხო ქვეყნების მხეჩვეულებების გაცნობამ მისი ნიჭის განვითარებას შეუწყო ხელი. აღრეულნი წლებიდანვე მოსინჯა მან ძალა პოეზიის ასპარეზზე და ამ ხელოვნებაში შეძენილი ჩვევები დიდად გამოადგა შემდგომში, რომ კეთილსაამო მართულობით შეემკო პოლიტიკური წესები და ზნეობრივი ჭეშმარიტებანი. მისი გული ღია იყო მხიარულებისა და სიყვარულისათვის; სიჭაბუკის დროინდელმა გატაცებებმა იგი შემყნარებელი გახადა ადამიანთა სისუსტეებისადმი და მისი კანონებიც, სირბილითა და ზომიერებით რომ იყო აღბეჭდილი, ეგზომ მშვენივრად გამოიჩინეს ან ლიკურგესა და დრაკონის კანონებისგან. გარდა ამისა, სოლონი მხნე მხედართმთავარი იყო: მან ათენის რესპუბლიკას კუნძული სალამინი შესძინა და კიდევ ბევრი სხვა სამსახურიც გაუწია სამშობლოს ბრძოლის კელზე. ძველ დროში ფილოსოფიასა და სახელმწიფო თუ მხედრულ საქმიანობას შორის არ იყო ისეთი უფსკრული, როგორც დღესა ვაქვს; ბრძენი კაცი საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწეც იყო, გამოცდილი მხედართმთავარიც და უმაჰაცესა მებრძოლიც. რა საქმიანობისათვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი მას, როგორც მოქალაქეს, სიბრძნე ყოველთვის თან ახლდა და ყოველივეში შეეწეოდა...

სოლონის დიდება მთელს საბერძნეთს მოედო, მან საკმაოდ დიდი ზეგავლენა იქონია მდგომარეობაზე პელოპონესში. იგი ერთნაირად მისაღები კაცი იყო ათენში არსებული ყველა პარტიისათვის. მდიდარი მოქალაქენს დიდ იმედს ამყარებდნენ მასზე, როგორც ცნობილ ქონების მფლობელზე, ღარიბებსც ენდობოდნენ, რადგანაც სახელი გაეთქვა როგორც პატიოსან, მაღალი ზნეობის კაცს. ათენელთაგან ყველა გონებადამჯდარ ადამიანს სურდა სწორედ სოლონი ეხილა თავის ხელმწიფედ, რადგან მონარქიას ყველაზე ქმედით საშუალებად მიიჩნევდნენ პარტიებს შორის ბრძოლის შესაწყვეტად. სოლონის ახლობელ-ნათესავებსაც იგივე სურდათ, ოღონდ, რა თქმა უნდა, საკუთარი ანგარებითი მოსაზრებით, ისინი იძულებულნი იყვნენ — ძალაუფლებას მასთან ერთად ჩვენც გავინაწილებთო. მაგრამ სოლონი უარყო ეს არჩევანი. მან უთხრა ათენელებს: „მონარქია მართლაც მშვენიერი სამკვიდრებელია, მაგრამ მას არა აქვს გამოსასვლელი კარი!“

ამიტომ სოლონი იმით შემოიფარგლა, რომ ნება დართო ათენელებს, არხონტად აერჩიათ და კანონმდებლადაც, ამასთან ეს უმაღლესი თანამდებობანი მან საკმაოდ უზაღისოდ მხოლოდდამხოლოდ იმ განზრახვით მიიღო რომ სარგებლობა მოეტანა თანამოქალაქეთათვის.

სახელმწიფო ასპარეზზე მოღვაწეობა სოლონიმ იმით დაიწყო, რომ გამოსცა ცნობილი ბრძანებულება, სისაქფიად, ანუ ტვირთისგან გათავისუფლებად წოდებული<sup>16</sup>. ამ ბრძანებულებით ათენში ყველა მოვალე თავისუფლდებოდა ვალისაგან; გარდა ამისა, ხესხის გამცემო ამიერიდან ეკრძალებოდათ ფულის გასესხება კაბალური პირობებით. ეს დადგენილება, უდავოდ, ძალისმიერი ხელყოფა იყო კერძო საკუთრებისა, მაგრამ სახელმწიფოს სასიცოცხლო საჭიროება აუცილებელს ხდიდა ამგვარ მიმდღავრებას. ორი ბოროტებიდან იგი ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდა, რადგან მისი ამოქმედებით შვებული მოქალაქენი ბევრად მეტნი იყვნენ იმათზე, ვინც ზარალდებოდა სოლონის ხსენებულ ბრძანებულებით.

ამ კეთილმოქმედი ედიქტის დახმარებით სოლონმა ერთხელ და სამუდამოდ გაათავისუფლა მოსახლეობის უღარიბესი ფენები მძიმე ტვირთისაგან, რომელიც მრავალი ასწლეულის განმავლობაში შეაჭირვებდა მათ, აბასთანავე, არც მდიდრი მოქალაქეები გაუღარიბებია, რადგან ხელუხლებელი დატოვა მათი ქონება-სამკვიდრებელი. კანონმდებელმა მხოლოდ შესაძლებლობა წაართვა მათ იმისა, რომ უსამართლო საქმეები მოემოქმედებინათ და მათაც სოლონმა ღარიბებისაგან მეტი უმადურობის გრძნობა დაიმსახურა, ვიდრე მდიდრებისაგან. უქონელი მოქალაქეები იმედოვნებდნენ, რომ მთელი მიწა სახელმწიფოში თანაბრად განაწილდებოდა ყველა მოქალაქეს შორის, რისი პაგალატიც სპარტამ მისცა მეზობლებს, და რადგანაც სოლონმა არ გაამართლა მათი იმედი, ღარიბმა მოქალაქეებმა აშკარად გამოხატეს უკმაყოფილება. მათ დაავიწყდათ, რომ კანონმდებელი ვალდებულია ერთნაირად სამართლიანი იყოს როგორც ღარიბთა, ასევე მდიდართა მიმართაც, რომ ლიკურგეს მიერ ჩატარებული თანაბარი განაწილება მიწისა სწორედ იმის გამოც არ არის მიბაძვის ღირსი, რომ მას საფუძვლად უსამართლობა ედო; უსამართლობას კი ყველანიორად უნდა ვერიდოთ.

ხალხის ამგვარი უმადურობის გამო კანონმდებელს უწყინარი, სიმდაბლით აღსავსე ჩივილი აღმოჩნდა: „ერთ დროს, — უთქვამს მას, — ჩემს ყურადღე ყოველის მხრიდან მხოლოდ ქება-დიდების ხმა აღწევდა, აწ კი ოდენ ირიბ, მტრულ გამოხედვას ვხვდებით“. მალე ატიკას შესამჩნევად დაეცყო სოლონის მიერ გამოცემული ბრძანებულების კეთილისმყოფელი გავლენა. აქამდე დაკაბალებული მიწა ახლა უკვე გაათავისუფლებულიყო. ამიერიდან ათენელი მოქალაქე სრულ საკუთრებაში ფლობდა და ისე ამუშავებდა იმ მიწას, რომელზეც უწინ თავისი მევალის დღიურ მუშად ირჯებოდა. უცხო მხარეში გაყიდული ბევრი მოქალაქე, ვისაც უკვე მშობლიური ენაც დაეწიებოდა, ახლა თავისუფალ ადამიანად დაბრუნდა სამშობლოში. ხელახლად იშვა ნლობაც კანონმდებლისადმი. იგი შეუზღუდავი ძალაუფლებით აღჭურვეს მოქალაქეებმა, მას მიანდეს თავიანთ საკუთრებაცა თუ უფლებებიც და სახელმწიფოს საფუძვლიანი გარდაქმნა დაავისრეს. პირველი, რაც სოლონმა მოიმოქმედა ამ უფლებამოსილების მიღების შემდეგ, იყო, ის რომ მან გააუქმა დრაკონის ყველა კანონი, გარდა ორისა, — ერთი კაცისკვლას შეეხებოდა, მეორე კი — სიძვა-მრუშობას.

ამის შემდეგ სოლონი თავისი უდიდესი მიზნის განხორციელებას შეუდგა, — მას ახალს კონსტიტუცია უნდა მიეცა რესპუბლიკისათვის.

ყოველი ათენელი მოქალაქის ქონება შეფასებულ იქნა, და ამ შეფასების შესაბამისად მოქალაქენი ოთხ კლასად, თუ ჯგუფად იქნენ დაყოფილნი<sup>17</sup>.

პირველ ჯგუფში ის მოქალაქენი შედიოდნენ, ვისი ყოველწლიური შემოსავალი ფხვიერი საგნების (მაგ. მარცვლეული), ანდა სითხის (მაგ. ღვინო) ხუთას საწყაოს (მედიმნს) შეადგენდა.

მეორე ჯგუფს ისინი შეადგენდნენ, ვისაც წელიწადში სამასი საწყაო შემოსდიოდა და შეეძლო ცხენიც შეეჩახა.

მესამე ჯგუფში შედიოდნენ ამის ნახევარი შემოსავლის მქონე მოქალაქენი (ანუ 150 საწყაოს მქონენი); ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ორ-ორად აერთიანებდნენ, რათა მათი საერთო შემოსავალი სამასი საწყაო ყოფილიყო ამიტომაც მათ „წყვილი ულლეული, წყვილად შებმულნი“ შეარქვეს.<sup>18</sup>

მეოთხე ჯგუფში კი შედიოდა ყველა ის მოქალაქე ვინც არ ფლობდა უძრავ ქონებას და მხოლოდ თავისი შრომით მიღებული გასამრჯელოთი ცხოვრობდა.

პირველი სამი ჯგუფის წარმომადგენლებს უფლება ჰქონდათ საზოგადოებრივი თანამდებობანი დაეკავებინათ, მეოთხე ჯგუფში შემავალ მოქალაქეებს კი — არა, თუმცა კი სახალხო შეკრებებზე ისინიც სარგებლობდნენ ხმის უფლებით მსგავსად ყველა დანარჩენისა, და ამის წყალობით ქმედითად მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში. სახალხო შეკრებებზე ეკლესიას — განსახილველად გადაეცემოდა ხოლმე ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმე; თანამდებობის პირთა არჩევა, მნიშვნელოვანი დავა-ცილობანი, ფინანსური ღონისძიებების გადაწყვეტა, ზავისა და ომის საკითხები. ყველა იმ შემთხვევაში, როცა სოლონიისეულ კანონთა გარკვეული ბუნდოვანების გამო რომელიმე მსაჯულს ეჭვი უჩნდებოდა კანონის განმარტება-გამოყენებისას, ასევე სახალხო კრებისათვის უნდა მიემართათ როგორც საბოლოო ინსტანციისათვის, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, როგორ გაეგოთ და გამოეყენებინათ ესა თუ ის კანონი. ეკლესიაში შეიძლებოდა აგრეთვე ნებისმიერი სამსჯავროს განჩინების გასახიზრებაც. ოცდაათ წელზე უმცროსი მოქალაქენი არ დაიშვებოდნენ სახალხო კრებაზე, ხოლო ამ ასაკს მიღწეულ ათენელ მოქალაქეს უკვე აღარ შეეძლო დაუსჯელად განდგომოდა საზოგადოებრივ საქმეებს: არაფრისადმი ისე მოუსიმენელი არ იყო სოლონი და არაფერს არ ებრძოლა ისე მძაფრად როგორც გულგრილობას საზოგადოებრივი საქმეებისადმი.

ამგვარად, ათენის სახელმწიფოებრივი წყობა მთლიანად დემოკრატიული შეიქნა. ხალხი სრული ძალაუფლებით აღიჭურვა და ყოველისშემძლე გახდა ამ სიტყვის უმკაცრესი მნიშვნელობით: სახელმწიფოს იგი მხოლოდ თავის მიერ დადგინებულ თანამდებობის პირთა მეშვეობით კი არ მართავდა, არამედ — უშუალოდაც.

თუმცა ძალე უარყოფითი მხარეებიც გამოვლინდა ასეთი სახელმწიფოებრივი წყობისა; ხალხი მეტად მოკლე დროში შეიქმნა ყოველისშემძლე, და მას უკვე აღარ ძალუძდა ჯეროვანი ზომიერებით გამოეყენებინა წილხვდომილი ძალაუფლება. სახალხო შეკრებები ყოველთვის ბობოქარი ვნებათაღელვის ასპარეზად იქცეოდა ხოლმე, და ესოდენ მრავალრიცხოვანი ბრბოს ხმურში ყოველთვის როდი იყო შესაძლებელი სათანადოდ განეხილათ საქმე და ბრძნული გადაწყვეტილებაც მიეღოთ ამა თუ იმ საკითხის გამო. ამ ბოროტებასთან ბრძოლისათვის სოლონიმა სენატის<sup>19</sup> დააფუძნა, რომელშიც ას-ასი მოქალაქე შედიოდა თითოეული ზემოხსენებული ჯგუფიდან. ამიერიდან ის საქმეები, რომლებიც ეკლესიაში — სახალხო კრებაზე უნდა განხილულიყო, თავდაპირველად სწორედ ამ, ოთხასი მოქალაქისაგან შემდგარ სენატს გადაეცემოდა განსახილველად. ასე რომ, ხალხის სამსჯავროზე ვერც ერთ საქმეს ვერ გამოიტანდნენ, თუკი მანამდე ის სენატის მიერ არ იქნებოდა განხილული. თუმცა კი საბოლოო მსჯავროს გამოტანის უფლება ისევ და ისევ მხოლოდ ხალხს — ეკლესიას ჰქონდა. მას შემდეგ, რაც სენატი თავის მიერ უკვე განხილულ საქმეს სახალხო კრებას გადასცემდა, იქ, ჩვეულებრივ, ორატორები გამოდიოდნენ, რომელნიც ცდილობდნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებისაკენ მიედრიკათ ხალხი. ათენში ორატორები დიდი გავლენისანი იყვნენ; თავიანთი ხულოვნებისა და ათენელთა შთამბეჭდაობის ბოროტად გამოყენებით მათ იმ ზომითვე მიაყენეს ზიანი რესპუბლიკას, რა ზომითაც სარგებლობას მოუტანდნენ მას, უარი რომ ეთქვათ ანგარების ზრახვებზე და თვალთი წინაშე ყოველთვის მხოლოდ სახელმწიფოს ჭეშმარიტი ინტერესები ჰქონოდათ. მოელს თავის სამჭევრმეტყველო უნარს აამოქმედებდა ხოლმე ორატორი იმისთვის, რომ ხალხის წინა-

შე თავისთვის სასურველი კუთხით წარმოეჩინა ესა თუ ის საქმე; რამეთუ, თუ-  
კი ორატორი სრულყოფილად იყო დაუფლებული თავის ხელოვნებას, მაშინ  
ხალხის გულიც მის ხელს იყო.

ამრიგად, ამ ორატორთა მეშვეობით მოქალაქეებს ნაკლებად შესამჩნევი  
და კანონით ნებადართული ბორკილები ჰქონდათ დადებული. ისინი დაუფრინო  
გაწაფული ხელოვნებით, დარწმუნება-შეგონებით ბატონობდნენ — აქსანსაჟებზე,  
მაგრამ მათი ძალა ნაკლებ ქმედითი როდი ხდებოდა იმის გამო, რომ რაღაც  
მაინც ხალხის თავისუფალი არჩევანის წილად რჩებოდა. ხალხს, მართალია,  
კვლავაც სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული — დაემტკიცებინა, ან  
უარეყო ესა თუ გადაწყვეტილება, მაგრამ ის დახვეწილი ხელოვნება, რომლის  
მეშვეობითაც მას წარმოუდგენდნენ საქმეს, თითქმის მოლიანად არარად აქცევ-  
და ამ თავისუფლებას. ორატორთა ეს დაწესებულება მართლაც მშვენიერი  
რამ იქნებოდა, ორატორის მოკალეობა ყოველთვის სახალხო საქმისადმი ერთ-  
გული ადამიანის შეუბღალავ ხელს რომ ყოფილიყო; მაგრამ სინამდვილეში  
ორატორები სულ ძალე გადაიქცნენ ერთგვარ სოფისტებად, რომელნიც სა-  
ხელსა და დიდებას მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის, ანგარებით იყენებდ-  
ნენ: როცა დასჭირდებოდათ, თეთრზე იძახდნენ შავიან, ხოლო სხვა დროს,  
პირიქით, შავზე იტყოდნენ თეთრიან.

ათენის შუაგულში ერთი ვრცელი მოედანი იყო, განკუთვნილი სწორედ  
ამ სახალხო შეკრებისათვის; ღვთაებებისა და გმირთა გმირების ქანდაკებებით  
გარშემორტყმული, იგი პრიტანეად იწოდებოდა<sup>20</sup>. ამავე მოედანზე იკრიბებო-  
და სენატიც, რის გამოც სენატორებს პრიტანებს უწოდებდნენ. პრიტანებისა-  
გან ხალხი უმწიკლო ცხოვრებასა და უხადო მოქცევას მოითხოვდა. ვერც  
მფლახგველ-მხარჯველი, ვერც მშობლების შეურაცხმყოფელი, ვერც უფროსე-  
ბის უპატიომყოფელი, ვერც ის, ვინც ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ გაიღე-  
შებოდა ღვინით, — ვერასდროს გახდებოდა ამ წოდების მფლობელი; მანკიერი  
მოქალაქე ფიქრადაც ვერ გაიკლებდა განზრახვას, რომ სენატრობაზე განეცხა-  
დებინა უფლება.

შემდგომში, როცა ათენის მოსახლეობა საკმაოდ გამრავლდა და სოლო-  
ნის მიერ განსაზღვრული ოთხი ჯგუფის ნაცვლად ათი ჯგუფი შეიქმნა, სენა-  
ტორების რიცხვიც, შესაბამისად, ოთხასიდან — ათასი კაცამდე იქნა გაზრდი-  
ლი (ახუ ას-ასი წარმომადგენელი ყოველი ქონებრივი ჯგუფიდან). ამ ათასი  
პრიტანიდან სენატის მუშაობაში ყოველწლიურად მხოლოდ ხუთასი მონაწი-  
ლეობდა, და ისიც — არა ერთდროულად. ორმოცდაათი სენატორი ხუთი კვი-  
რის განმავლობაში მორიგეობით აღასრულებდა თავის მოვალეობას, ასე რომ,  
ყოველი შვიდეულის განმავლობაში საქმით დაკავებული იყო ხოლმე მხოლოდ  
ათი პრიტანი. ეს წესი გამორიცხავდა თვითნებობის გამოუღიანების ყოველგვარ  
შესაძლებლობას, რადგან ყოველ სენატორზე და მის საქციელზე იმდენი მოწ-  
მე და დამკვირვებელი იყო, რამდენი წევრიც იყო სენატში, — ყოველ მომდევ-  
ნო პრიტანს ხომ დაუბრკოლებლად შეუძლო გასცხობოდა თავისი წინამორბე-  
დის საქმიანობას. ხსენებული ხუთი კვირის მანძილზე იწვევდნენ ხუთ სახალ-  
ხო შეკრებას (თუკი რიგგარეშეთ არ ჩავთვლით), რისი წყალობითაც შეუძლე-  
ბელი იყო რომელიმე საქმის განხილვის გაჭიანურება, მით უფრო — სრული  
უგულვებელყოფა: არც ერთი საქმის განხილვა სენატსა თუ ეკლასიაში არ  
ბრკოლდებოდა, არც დიდი ხნით გადაიდებოდა.

გარდა ხელახალი შექმნილი სენატისა მისი პრიტანებითურთ, სოლონმა



უწინდელი მნიშვნელობა აღუდგინა არუოპაგსაც, რომელიც თავის დროზე დრაკონს დაეკინებინა, რადგან მეტისმეტად ადამიანურ დაწესებულებად მიიჩნეულა მას. სოლონმა სახელმწიფო კანონების უმაღლეს დამცველად გადააქცია არუოპაგი, რითაც, პლუტარქეს სიტყვით, სწორედ ამ არ სამსჯავროზე — სენატსა<sup>21</sup> და არუოპაგზე — თითქოსდა ღუზით დაამკვიდრა ათენის რესპუბლიკა. ორივე ეს სამსჯავრო იმისთვის შეიქმნა, რომ ნებისმიერ ხელყოფისაგან დაეცვათ სახელმწიფო და მისი კანონები. კიდევ სხვა ათი სამსჯავრო მართლმსაჯულებას აღასრულებდა სახელმწიფო კანონების საფუძველზე. განზრახ მკვლელობის შემთხვევები განიხილებოდა ოთხი სამსჯავრო დაწესებულების მიერ, რომელთა სახელწოდებაც იყო: პალადიუსი, დელფინიუსი, ფრეატია და ჰელაია. პირველი ორი სამსჯავრო ჯერ კიდევ მეფეთა ხეობისას იქნა დაფუძნებული და სოლონმა მხოლოდ გაჩამტკიცა მათი მდგომარეობა. უნებლიე მკვლელობების შემთხვევებს განიხილავდა პალადიუსი. დელფინიუსის წინაშე მხოლოდ ის მოქალაქენი წარსდგებოდნენ, ვინც თავის მიერ ჩადენილ მკვლელობას კანონით ნებადართულად თვლიდა. ფრეათიას სამსჯავროს განსახველნი მხოლოდ ის პირები იყვნენ, ვისაც ბრალი განზრახ მკვლელობაში ედებოდა, რომელიც დამნაშავეს ჩაუდინა მას შემდეგ, რაც უნებლიე მკვლელობისათვის ქვეყნიდან გაძევება ჰქონდა მისჯილი (ანუ ექსორიაქმნილი იყო). ამ უკანასკნელ შემთხვევაში განსახველი გემზე აღვა, ზღვაში, მსაჯულნი კი — ნაპირზე; თუკი მის უდანაშაულობას დაადგენდნენ, მშვიდად უბრუნდებოდა თავისი განდევნის ადგილს, და თავს იმით ინუგეშებდა, ოდესმე ეგების სამშობლოს, ოჯახს დაუბრუნდეთ; ხოლო თუკი, პირიქით, ბრალეულად სცნობდნენ, ასევე დაუბრკოლებლად უბრუნდებოდა განდევნის ადგილს, ოღონდ უკვე სამუდამოდ — საცოცხლის ბოლომდე მოკვეთილი თავის სამშობლოს.

სისხლის სამართლის მეოთხე სამსჯავრო — ჰელიეა<sup>22</sup> — ასე იწოდებოდა მზის გამო, რადგანაც, ჩვეულებრივ, მზის ამოსვლისთანავე იკრიბებოდა სწორედ მზითვე განათებულ ადგილას. ჰელიეა, თავისებურად, განსაკუთრებულ კომისიას წარმოადგენდა სხვა უმთავრეს სამსჯავროებთან; მისი წევრები იმავდროულად თანამდებობის პირებიც იყვნენ. მათს მოვალეობას მხოლოდ კანონთა გამოყენება და მათი ჯიროვანი აღსრულებისათვის თვალყურის მიღევნება კი არ წარმოადგენდა, არამედ შესწორებების შეტანაც ამ კანონებში და მათი სწორი განმარტების განსაზღვრაც. ჰელიეას სამსჯავროს სხდომები ყოველთვის საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა; მისი წევრების მიერ დადებული სამინელი ფიცა აიძულებდა მათ ყოველთვის პირუთვნელნი ყოფილიყვნენ და მხოლოდ ჭკუშარიტებისათვის ემსახურათ.

სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას და იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდებული არ გამოიყენებდა თავის უფლებას — ნებაყოფლობით წასულიყო განდევნის ადგილას, მას გადასცემდნენ თერთმეტი კაცის სამსჯავროს; ეს იყო თერთმეტი წევრისგან შემდგარი კომისია: ათს თითოეული ჯგუფიდან იწვევდნენ (მოქალაქეებისა), მეთერთმეტე კი ჯალათი იყო. ეს ადამიანები საპრობილეებსაც ზედამხედველობდნენ და სასიკვდილო განაჩენებსაც აღასრულებდნენ. ათენში სიკვდილით დასჯის სამი სახეობა იყო ძილებული: სიკვდილმისჯილს უფსკრულში აგდებდნენ — ან კლდეზე, ანდა ზღვაში; კვალად, მას მახვილით ჰკვეთდნენ თავს, ანდა მათოთის (ციკუტას) შხამს აძლევდნენ დასაღვევად.

სიმძიმე უზრევ ამის მომდევნო სასჯელი იყო ქვეყნიდან გაძევება — ექს-

ორიადი, ბედნიერი, აყვავებული ქვეყნის მოქალაქისათვის ეს სამხრული სასჯელი იყო, — თუმცა არც ისეთი სახელმწიფოების ნაკლებობა ამქვეყნად, საიდანაც გაძევება სულაც არ უნდა იყოს უბედურება. ის ვარაუდება, რომ სამშობლოდან გაძევება სიმძიმის შხრივ მეორე სასჯელად ითქმობოდა. ზრდილით დასჯის შემდეგ, ხოლო სიცოცხლის ბოლომდე მისჯილად გამოეცხადებოდა ზრდილით დასჯის ტოლფარდი იყო ათენელთათვის, — ნათლად მოწმობს მაღალ ეროვნულ გრძნობას, ეროვნული ღირსების უპირველესობას მათს ცხოვრებაში. თავისი სამშობლოდან მოკვეთილი ათენელი მოქალაქე ამქვეყნად სხვაგან ვეღარსად კბოვებდა მეორე ათენს.

სამშობლოდან გაძევებას, — მის ერთ-ერთ სახეობას — ოსტრაკიზმს თუ არ ჩავთვლით, — თან ახლდა განსჯილის მთელი ქონების კონფისკაცია. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ იმ მოქალაქეთაც განდევნიდნენ ხოლმე, ვისაც თავისი გამორჩეული ღვაწლითა თუ განსაკუთრებული იღბლის წყალობით დიდი გაუღენა და პატივი ჰქონდა მოპოვებული თანამოქალაქეთა შორის, რაც, ათენელი კანონმდებლის აზრით, შეუთავსებელი რამ იყო რესპუბლიკური თანასწორობის სულისკვეთებასთან, — ასეთი სახელგანთქმული ადამიანები საშიშნი ხდებოდნენ სამოქალაქო თავისუფლებისათვის, და ამგვარ მოქალაქეთ მანამ დასჯიდნენ ხოლმე სამშობლოდან გაძევებით, სანამ ისინი მართლაც რადიკალს დაიშაუებდნენ და დაიმსახურებდნენ ხსენებულ სასჯელს. სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობისათვის, მის გადასარჩენად, ამგვარად, უსამართლობასაც სჩადიოდნენ ცალკეული პიროვნებების მიმართ. რა თქმა უნდა, იდეა, ამ ჩვეულებას რომ უღევს საფუძვლად, თავისთავად შექების ღირსია, მაგრამ საშიშურება, არჩეული მისი განხორციელებისათვის, პოლიტიკური აზრის უმწიფარობაზე მეტყველებს. სამშობლოდან გაძევების სწორედ ამ სახეობას ეწოდებოდა ოსტრაკიზმი, რადგანაც განსაღვევნი მოქალაქის სახელს ათენელები თიხის ჭურჭლის ნატეხებზე წერდნენ. იმისთვის, რომ ამ სასჯელით დაესაჯათ ათენელი მოქალაქე, აუცილებელი იყო ექვსი ათასი ხმის მოგროვება. უმრავლეს შემთხვევაში, ოსტრაკიზმის მსხვერპლნი, თვით ამ სასჯელის არსიდან გამომდინარე, ყველაზე ღირსეული ადამიანები ხდებოდნენ, ამგვარად, იგი უფრო პატივის აღმნიშვნელი იყო, ვიდრე შერცხვენისა, თუმცა ამის გამო სულაც არ შეიქნებოდა ხოლმე ნაკლებ საშინელი და ნაკლებ უსამართლო, რამეთუ ყველაზე ღირსეულ მოქალაქეებს იგი უძვირფასესა და უმნიშვნელოვანესს ართმევდა — სამშობლოს.

მეოთხე სახეობა სასჯელისა სისხლის სამართლის დანაშაულობათათვის იყო სამარცხვინო ბოძი: განსჯილის ბრალეულობა გადმოცემული იყო ბოძზე მიკრულ წარწერაში, და დიდი სირცხვილი, სახელის გატეხა იყო რიგორც თვით განსჯილისათვის, ასევე მთელი მისი საგვარეულოსათვის.

ნაკლებმნიშვნელოვანი სამოქალაქო საქმეების განხილვა-წარმოებისათვის დაფუძნებული იყო ექვსი სამსჯავრო, რომლებსაც არ შეუძენიათ რაიმე არსებითი მნიშვნელობა, რადგან ბრალდებულს უფლება ჰქონდა შემდგომ სამსჯავროებში გაესიჩივრებინა მათი გადაწყვეტილება, ანდა სახალხო კრების წინაშე წარმდგარიყო თავისი საჩივრით. ქალების, ბავშვებისა და მონების ვარდა ყველა ბრალდებული თვითონ გამოდიოდა სამსჯავროზე თავისი საქმის გამო (თავდასაცავად); ამასთან, წყლის სათის მეშვეობით განსაზღვრავდნენ ბრალდებულისა თუ მისი მოწინააღმდეგის სიტყვის ხანგრძლიობას, ყველაზე მნიშვნელოვანი სამოქალაქო საქმეების გამო მსაჯულებს ერთი დღე-ღამის გა-

ნმავლობაში უნდა დაესრულებინათ საქმის განხილვა და განაჩენიც გამოეტანათ.

აი, ყველაფერი, რისი თქმაც ჯერ-იყო სოლონის პოლიტიკური/თუ სამოქალაქო რეფორმების შესახებ; მაგრამ კანონმდებელი მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა. ძველი დროის კანონმდებელთა უპირატეობა პრინციპულად შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთი კანონებით ისინი აღზრდიდნენ იმათ, ვისთვისაც ქმნიდნენ კიდევ თავიანთ კანონებს, ანუ ადამიანებს აღზრდიდნენ; ისინი ითვალისწინებდნენ ბრალდებულის ზნეობრიობას, ხასიათს, და ბოლოს, ნაცნობ-მეგობართა წრესაც კი, ამასთან, არასდროს არ აცალკევებდნენ მოქალაქეს — ადამიანისაგან, როგორც ამას ჩვენთან სჩადიან. ჩვენი კანონები ხშირად შეუწყნარებელ წინააღმდეგობაშია ჩვენსავე ზნე-ჩვეულებებთან. ძველი დროის ადამიანთა კანონები და ზნე-ჩვეულებები კი უფრო ჰარმონიულად იყო შეხამებული ერთერთთან. მათი სახელმწიფო დაწესებულებანიც, ამასთან, სიცოცხლისეული სიბოთი სუნთქავენ; სახელმწიფო წარუშლელად აღიბეჭდებოდა ხოლმე თითოეული მოქალაქის სულსა და გულში.

და მაინც, როცა ქება-დიდებას ვასხამთ ანტიკურობას, ეს სიფრთხილით უნდა გავაკეთოთ. ჩვენ უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში ძველი დროის კანონმდებელთა განზრახვა სიბრძნით იყო გამსჭვალული და ყოველგვარ ქებას იმსახურებდა, მაგრამ ის საშუალებანი, რომლებსაც ისინი იყენებდნენ მიზნის მისაღწევად, მაინც არასრულყოფილი იყო. ეს საშუალებანი უმრავლეს შემთხვევაში არასწორ გაგებასა და შეზღუდულ წარმოდგენაზე მეტყველებენ. იქ, სადაც ჩვენ ჩამორჩენილები ვართ, ისინი საკმაოდ წინ იყვნენ წასულნი. თუკი ჩვენი კანონმდებლები სცდებიან, როცა სრულიად უგულვებელყოფენ ზნეობრივ მოვალეობებსა თუ დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს, ბერძენი კანონმდებლები, პირიქით, თავის მხრივაც ცდებოდნენ. როცა იძულებითი წესით — კანონებით, ამკვიდრებდნენ ზნეობრივ მოვალეობებს. ადამიანის ამა თუ იმ საქციელის ზნეობრივი სიმშვენიერის პირველი პირობაა — თავისუფალი ნება. მაგრამ ამ თავისუფალ ნებელობას ბილი ედება, როგორც კი ძალით იწყებენ სიქველის, სათნოების დანერგვას და კანონით სჯიან ზნეობრივი წესების დარღვევისათვის. ადამიანის ყველაზე ამაღლებული, კეთილშობილური უპირატეობა ისაა, რომ იგი თვით აღებს გადაწყვეტილებას საკუთარი თავის გამო და საკუთესაც მხოლოდ სიკეთისათვის იქმს. არანაირ სამოქალაქო კანონს არ შეუძლია აიძულოს ადამიანი ერთგული იყოს მეგობრისადმი, დიდსულოვანი — ძლეული მტრისადმი, მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით აღვსებული — ღედ-ძამისადმი, რაღვან რაღაც ამის მსგავსის მოქმედება რომ უცადა კანონს, მაშინ თავისუფლად აღმოცენებული მაღალი ზნეობრივი გრძნობა შიშის ნაყოფად, მონურ იძულებად... გადაიქცეოდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ სოლონს.

სოლონის ერთ-ერთი კანონი უბრძანებს ყოველ მოქალაქეს, ისე უყურებდეს ნებისმიერი მოქალაქისათვის მიყენებულ შეურაცხყოფას, როგორც თვით მისთვის მიყენებულს, და არც მოისვენოს მანამდე, სანამ შეურაცხმყოფელი საკადრისს არ მიიღებს. ეს მართლაც შესანიშნავი კანონია, თუკი მისი მიზნის მიხედვით ვიმსჯელებთ. მიზანი კი მისი ის იყო, რომ ყოველი მოქალაქისათვის ჩაენერგა გრძნობა ცხოველი თანადობისა და თანაზიარობისა ყველა სხვა მოქალაქისადმი, და დაეწვია ადამიანი, ისე ეყურებინა საკუთარი თავის-

თვის, როგორც რაღაც მოლიანის, ერთი რგოლისთვის. რა საამო მოულოდნელობა იქნებოდა ჩვენთვის ისეთ ქვეყანაში აღმოჩენილიყო, სადაც ყოველი გამკლავი თავისი ნებით დაგვიცავდა ნებისმიერი მაწყინებლისაგან! მაგრამ რაზომვე შემცირდებოდა ჩვენ მიერ ამით განცდილი სიამოვნება, როცა შევიტყობდით, რომ, თურმე, იგი კანონით იყო ვალდებული, ანუ იძულებული — აღესრულებინა ეს ქველი საქმე — დაეცვა მოყვასი, ჰყვარებოდა.

სოლონის მიერ გამოცემული სხვა კანონი უპატიოდ აცხადებდა ყველას, ვინც კი თავს აარიდებდა სამხედრო სამსახურს შინაარეულობათა უამს. ეს კანონიც, უეჭველია, საუკეთესო მისწრაფებით იყო შობილი, რადგან კანონმდებელი ისწრაფვოდა ცხოველი ინტერესი გაელვივებინა ყოველი მოქალაქის სულში სახელმწიფოსადმი. გულგრალობა სამშობლოსადმი მისთვის ყველაზე საძულველი თვისება იყო მოქალაქის ხასიათისა. სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება მართლაც შეიძლება შედეგი იყოს ამგვარი გულგრალობისა. მაგრამ სოლონს ავიწყებოდა, რომ იგივე მოვლენა (ანუ თავის არიდება სამხედრო სამსახურისათვის) არც თუ იშვიათად სამშობლოსადმი ყველაზე მგზნებარე ინტერესით იყოს გამოწვეული: ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა ორივე დაპირისპირებული მხარე შინაომში ტყუის და ორთავეს, ერთნაირად, დაღუპვისაკენ მიჰყავს ქვეყანა!

სოლონის მიერ გამოცემული სხვა კანონი უკრძალავდა მოქალაქეებს მიცვალებულთა აუგად მოხსენიებას; სხვა კანონი — ცოცხალთათვის ცუდის თქმას რომელსაღმე საზოგადოებრივ ადგილას — სამსჯავროზე, ტაძარსა თუ თეატრში. ქორწინების გარეშე შობილ მოქალაქეებს სოლონის კანონი ათავისუფლებდა შვილის მოვალეობათაგან მშობლების წინაშე, რადგან ამგვარი შვილის შამა, მისი აზრით, უკუ სრულად იქნა დაჯილდოებული განცდილი გრძნობისმიერი სიამოვნებით. ამგვარადვე, იგი ძესაც ათავისუფლებს მოვალეობისაგან შამის რჩენისა, თუკი ამ უკანასკნელსაც არ შეუწუხებია თავი იმად, რომ რაიმე ხელისა და უსწავლებინა თავისი ძისათვის. სოლონი ნებას რთავდა მოქალაქეებს საკუთარი შეხედულებისამებრ შეედგინათ ანდერძი და ნებისმიერადვე გაესხვიებინათ ქონება, რადგან გულითადი მეგობრები, შენივ სურვილით ამორჩეულნი, სოლონის სიტყვით, უფრო ძვირფასნი არიან, ვიდრე ის ნათესაუები, რომლებთანაც მხოლოდ სისხლისმიერი საკრველები გაკავშირებს. სოლონმა მოსპო ჩვეულება პატარძლისათვის მზითვის გატანებისა, რადგან სურდა ქორწინება მხოლოდ სიყვარულზე ყოფილიყო დამყარებული, და არა — ანგარებითს ანგარიშიანობაზე. კიდევ ერთი უმშვენიერესი თვისება, სოლონის ხასიათის უწყინრობას რომ მოწმობს, იმაში ვლინდება, რომ უსიამო საგნების ხსენებისას იგი ცდილობს შეარბილოს სიტყვა: გადასახადებს — შენატანებად იხსენიებს, მეციხოვნეებს — ქალაქის მცველებს უწოდებს, საპრობილე მისთვის — სადგომია, ვალების გაუქმება — შეღავათი... ფუფუნება, რომლისადმი ლტოლვაც ეგზომ სჩვეოდათ ათენელებს, სოლონმა ზომიერი გახადა ბრძნული განკარგულებებით. ქალთა უბიწოებას, ქორწინების სიწმიდესა და დაურღვევლობას მკაცრი კანონებით იცავდა, და ქალისა და კაცის ურთიერთობებსაც მკაცრი კანონები განსაზღვრავდნენ.

ამ კანონებს, — სოლონის მითითების შესაბამისად, — ას წელზე მეტ ხანს არ უნდა მქონიდათ ძალა, — იი, რამდენად უფრო გამჭრიახი და შორსგამხედვარი იყო იგი ლიკურგესთან შედარებით! მას კარგად ესმოდა, რომ კანონები ოდენ მსახურები არიან აღზრდისა; რომ ერები, ოდეს ასაკის სისრულეს მიაღ-

წევან, სხვა წინამძღვარს საჭიროებენ, და არა — თავიანთი სიყრმისდროინდელს. ლიკურგემ სპარტელთა სულის ყრმობა უკვდავყო, რათა საკუთარი კანონებიც უკვდავი გაეხადა, მაგრამ მის მიერ შექმნილი სახელმწიფო გაქრა, ალიგავა პირისაგან მიწისა, ასევე განქარდენ მისმიერი კანონებიც. სოლონს კი, პირიქით, არ ალუთქვამს თავისი კანონებისათვის განსაკუთრებული დღევრძელობა, — აკი სულ რაღაც ასიოდე წლით განსაზღვრა მათი მოქმედების ვადა, — მაშინ, როცა ბევრი ამ კანონთაგან დღესაც ცოცხალია და განაგრძობს მოქმედებას რომის სამართალში! დიახ, დროა ერთადერთი სამართლიანი მსაჯული ნებისმიერი ღვაწლისა.

სოლონს საყვედურობდნენ იმას, რომ ხალხს მეტიმეტად დიდი ძალაუფლება უბოძა, და ეს საყვედური არ არის მოკლებული საფუძველს. დიდის სიფრთხილით ერიდებოდა იგი ერთ შეჩენს — ოლიგარქიას, და ამასობაში ძალზე მიუახლოვდა სხვა შეჩენს — ანარქიას, ოღონდ კი არ შეჯახებია, — ზედ მიადგა, რამეთუ პრიტანების სენატსა და არეოპაგის სამსჯავროს მაგრად ჰყავდათ აღვირახმული ხალხის ძალაუფლება.

ათენში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო იმ ბოროტების თავიდან აცილება, რომელიც განუყრელად ახლავს თან დემოკრატიას, — მოუფიქრებელ, ენებათაღელვით ნაკარნახევ გადაწყვეტილებებსა და გაუთავებელ ბრძოლას სხვიდასხვა პარტიებს შორის. მაგრამ ეს ხინჯიც უფრო კანონმდებლის მიერ არჩეულ ფორმას უნდა მიეწეროს, ვიდრე თვით არსს დემოკრატია. სოლონმა დიდი შეცდომა დაუშვა როცა ნება დართო ხალხს უშუალოდ თვითონ მიეღო უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო გადაწყვეტილებები, და არ გააკეთებინა ეს წარმომადგენელთა მეშვეობით: ხალხის დიდი ბრბოს შეყრისას, უწყსრიგობისა და დაბნეულობის გარეშე შეუძლებელი იყო რაიმე გადაწყვეტილების მშვიდად, აწონილ-დაწონილად მიღება: რაკი ამ ბრბოს უდიდესი ნაწილი ღარიბ-ღატაკთა ფენას განეკუთვნებოდა, ამიტომ მოსყიდვა-მოქროთამვის შემთხვევებიც საკმაოდ ხშირი იყო. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა ბოხოქრად მიმდინარეობდა სახალხო შეკრებები! მაგალითად, ოსტრაკიზმის გამო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იყო სულ ცოტა ექვსი ათასი ხმის შეგროვება. ხოლო თუკი, მეორეს მხრივ, იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რა კარგად ესმოდა ყველაზე ჩვეულებრივ, რიგით ათენელს საზოგადოებრივი საქმეები, რა ძალუმად ფეთქავდა მასში პატრიოტული სული, და რა გულმოდგინედ ეზრუნა კანონმდებელსაც იმისათვის, რომ სამშობლო ყოველი მოქალაქისათვის უპირველეს ყოფილიყო, — მაშინ უფრო ამაღლებული წარმოდგენა შეგვიქმნება ათენელ მდაბიორთა პოლიტიკურ შეგნებაზე, და, უკიდურეს შემთხვევაში, იმას მაინც მოვერიდებით, რომ ნაუცბათევი დასკვნები გამოვიტანოთ მათზე მხოლოდ იმ ცოდნის საფუძველზე, რომლითაც ჩვენი ქვეყნის უბრალო ადამიანებს გავცნობივართ.

ხალხმრავალ შეკრებებს მუდამ თანა სდევს გარკვეული შესუსტება კანონიერებისა; მცირერიცხოვან შეკრებულობათათვის კი ძნელია მთლიანად დაიხლეიონ თავი არისტოკრატიული დესპოტიზმისაგან. კეთილნაცოფიერი საშუალოს მოძიება ამ ორს შორის — უძნელესი ამოცანაა და მისი გადაწყვეტა მომავალ საუკუნეებს მართებთ. მე ყოველთვის მალცებდა ის სულისკვეთება, სოლონს რომ წარმართავდა მის კანონმდებლობითს მოღვაწეობაში, — სულისკვეთება სახელმწიფო აღმშენებლობის ჯანსაღი, ჭეშმარიტი ხელოვნებისა, რომლის მზერაც არასდროს არ სცილდებოდა უმთავრეს პრინციპს — საფუძველ-

თა საფუძველს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, კერძოდ კი იმას, რომ მომავალში მკაცრად აღსრულებად და დაცულ კანონებს სწორედ ის ადამიანები უნდა ჰქმნიდნენ, ვისთვისაც ისინი არიან კიდევ განკუთვნილი, ამასთან სამოქალაქო მოვალეობანი შეგნებულად, სამშობლოსადმი ღრმა, ბუნებრივი სიყვარულით უნდა აღესრულებოდეს, და არა — მონური შიშით უდრესად წინაშე, არა — იძულებით, არა ბრმა და განურჩეველი დამორჩილებით უმეტესად მისი ნებისადმი.

სოლონის ერთი ღირსშესანიშნავი და მშვენიერი თვისება ისიც იყო, რომ იგი ღრმად სცემდა პატივს ადამიანურ ბუნებას, და სახელმწიფოსათვის არასდროს არ გაიღებდა მსხვერპლად ადამიანს, ანუ საშუალებებისათვის არასდროს არ გასწირავდა საბოლოო მიზანს — ადამიანის კეთილდღეობას; იგი, პირიქით, სახელმწიფოს იძულებდა ადამიანის მსახური ყოფილიყო. მისი კანონები მძიმე საკრველები როდი იყო ადამიანისათვის, და ათენელი მოქალაქის სულიც, შეუჭირვებელი, შეუბორკავი ამ კანონებით, ადვილად და თავისუფლად ვითარდებოდა ყოველმხრივ, ისე, რომ არასდროს არ გრძნობდა ძალდატანებას, თითქოს ვინმესაგან ხელჩავლებული მიმოიყვანებოდა, და ამით ისინი არსებითად განსხვავდებოდნენ ძველი დროის სხვა კანონებისაგან.

სულ სხვაგვარი იყო ლიკურგის კანონები: ეს — სწორედაც რკინის ბორკილები იყო, რომლებიც დაუმორჩილებელთ შეაჭირვებდნენ და ადამიანურ სულსაც დაამცრობდნენ, რადგან მოელი თავისი გაუსაძლისი სიმძიმით აწვებოდნენ ზემოდან.

ათენელმა კანონმდებელმა მისი დროისათვის არსებული ყველა გზა გაუხსნა თანამოქალაქეთა ნიჭსა და გულმოდგინებას; სპარტელმა კანონმდებელმა კი ყველა გზა ერთ კედლით გადაუკეტი თავის მოქალაქეებს, გარდა ერთი გზისა — იმისა, რომელსაც ადამიანი პოლიტიკურ და მხედრულ ასპარეზზე თავის გამოჩენისაკენ მიჰყავს. ლიკურგე თავისი კანონების ძალით განაწესებდა უქმად ყოფნას, მოცალეობას, სოლონი კი კანონითვე მკაცრად სჯიდა მას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ათენში ყველა ქველის საქმე გამოვლინდებოდა და სათნოებანი ჰყვალდა, ყველა ხელობა და ხელოვნება ვითარდებოდა, ქმედითი იყო საქმოსნობა; სწორედ ამიტომ იყო, რომ ადამიანები აქ ცოდნის ყველა დარგში წარმატებულად იღვწოდნენ. აბა, სად შეხვდები სპარტაში სოკრატეს, თუკიდიდეს, სოფოკლესა თუ პლატონს?!<sup>23</sup> — სპარტას ზომ მხოლოდ მბრძანებელთა წარმოშობა შეეძლო, და კიდევ გულოვანი მხედრებისა, ოლონდ არამც და არამც — მხატვრებისა თუ პოეტებისა, მოაზროვნეებისა თუ მსოფლიო მოქალაქეებისა!

სოლონიცა და ლიკურგეც ნამდვილად დიდი ადამიანები იყვნენ, ამასთან ერთად — კეთილსინდისიერი და პატიოსანი. მაგრამ რა დიდი სხვაობაა იმ ზეგავლენებში, რაც მათ იქონიეს ადამიანებზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რამეთუ ისინი სრულიად საპირისპირო პრინციპებს ეფუძნებოდნენ თავიანთ მოღვაწეობაში! ათენელი კანონმდებლის გარშემო — თავისუფლება და სიხარულია, შრომისმოყვარეობა და დოვლათის სიუხვე; მასთან ჭარბად იყო ყველა ხელოვნება და ყველა ქველის-საქმე; ყველა მუზა თუ გრაცია მაღლიყვრებით შეპყურებდა მას, თავის მშობელ მამად და შემქმნელად ხმობდა, და განადიდებდა!

ლიკურგეს გარშემო კი სიცარიელეა, აქ არაფერია სხვა, თვინიერ ტირანიისა და ტირანიის საზარელი თანამგზავრის — მონობისა, რომელიც შემა-

ძრწუნებელია თვისი ბირკილებით და წყველა-კრულვას უთვლის იმას, ვინაც მიზუხია მისი უბედურებისა.

ხალხის ხასიათი — უზუსტესა ტვიფრია სახელმწიფოში მოქმედი კანონებისა. ამიტომაც სწორედ ხალხია ამ კანონების ღირსება-ჩაკლოვანებების სამართლიანი მსაჯული. სპარტელი მოქალაქის გონება შემდეგდული იყო, ვული კი — უგრძობელი. იგი ყოველთვის ამპარტაუნუდს — და შემდგომად იქცეოდა თავის მოკავშირეებთან ურთიერთობისას, ძლეულებთან სასტიკი და უღმობელი იყო, ხოლო ზემდგომთა მიმართ — უგრძობლობითა და მონური მორჩილებით ჰკიებდა. მოლაპარაკებებს დროს, რომელთა წარმოებაც მას უწევდა, ყოველთვის უსინდისო და მზაკვარი იყო, მის დიდებასა და სიქველესაც აკლდა ის სიმშვენიერე, მიმზიდველობა, რომელსაც ერთადერთს ძალუძს ადამიანის გულის დაპყრობა.

ათენელი მოქალაქე კი, პარიქით, სხეებთან ურთიერთობაში მშვიდი, უწყინარი, სიმდაბლით აღსავსე და აღერსიანი იყო; საუბრისას თავაზიანობითა და ძალდაუტანებელი სიწრფელით გამოიჩინებოდა, ქვემდგომთა მიმართ — კეთილისმოსურველი იყო, უცხოთ მიმართ — სტუმართმოყვარე და თავაზიანი. ფეფუნებისა და კოპწიაობის მოყვარე — ვეფხვივით იბრძოდა იმში; ძოწით შემოსილი და ხელსაცხებლებით ნაპატიები ერთნაირად სცემდა შიშის ზარს ქსერქსეს ლაშქარსაც<sup>24</sup> და სასტიკ სპარტელებსაც! კვალად, ათენელი დიდად აფასებდა იმ სიამოვნებას, რასაც ადამიანს გემოთმოყვარება ანიჭებს, და ძნელად თუ შეეძლო თავის შეკავება ხორციელი სიამის საცთურის წინაშე, — თუმცა მუცელმერთობაცა და გარყვნილებაც ათენში იგმობოდა როგორც დიდად სამარცხვინო რამ. ძველს დროში არც ერთი ხალხი არ აფასებდა ისე წესიერებასა და სინატიფეს, როგორც ათენელი, მაკედონიის ძეფესთან ფილაპესთან<sup>25</sup> იმის დროს ათენელებს როგორღაც ხელთ ჩაუვარდათ მისი რამდენიმე წერილი, რომელთა შორისაც ერთ-ერთი მეუღლისადმი იყო მიწერილი; ყველა დანარჩენი მათ გახსნეს და წაიკითხეს, ეს უკანასკნელი წერილი კი დაბეჭდილივე ვაგზაუნეს უკან!

სიხარულსა და ბედნიერებაში ათენელი დიდსულოვანი იყო, მწუხარებასა და უბედურებაში — შედეგი, ყველა შემთხვევაში იგი ყველაფერს გაიღებდა და თავსაც უყოყმანოდ გასწირავდა სამშობლოსათვის. თავის მონებთან ურთიერთობაში ადამიანური იყო; მსახურს, ვისაც ბატონი სასტიკად მოექცეოდა, უფლება ჰქონდა საჩივარი შეეტანა სამსჯავროში თავის მტაჩველ ბატონზე. პირუტყვებსაც კი დიდსულოვნად ეპყრობოდა ეს საოცარი ხალხი: ჰეკატონპედონის ტაძრის მშენებლობის დასრულებისთანავე გამოიცა ბრძანება ნებაზე გაეშვათ ყველა საპალნე პირუტყვი, რომლებსაც ამ მშენებლობაზე ამუშავებდნენ, სიცოცხლის ბოლომდე საუკეთესო საძოვრები დაუთმოთ და აღარასდროს გამოეყენებინათ სხვა სამუშაოზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთი პირუტყვი თავისით დაბრუნებულა იმ ადგილზე, სადაც მანამდე ამუშავებდნენ და ჯიუტად მირბოდა იმ პირუტყვთა წინ, რაღაც ტვირთი რომ ჰქონდათ აკიდებულნი. ამ ხანაზაობამ იმ ზომამდე აუჩუყა გული ათენელებს, რომ გადაწყვიტეს, ამიერიდან სახელმწიფო ხარჯზე, საგანგებო პირობებში, შეენახათ ეს ერთგული პირუტყვი.

თუმცა სამართლიანობის გრძნობა იმასაც მაიძულებს, რომ ათენელთა შეცდომებზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა, რამეთუ ისტორიისათვის შეუფერებელია მხოლოდ ქება-დიდების შესხმა. ამ ხალხს, ვინც ადფროთოვანებას ჰბადებს ჩვენ-

ში თავისი ნატიფი ზნე-ჩვეულებებით, სიმშვიდითა და სიბრძნით, ხშირად თავიც შეურცხვენია ყოვლადსაძრახისი უმადურობით საკუთარი უგამორჩეულესი შვილების წინაშე, ანდა მდაბალი სისასტიკით თავის მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგის მიმართ. განებივრებული — თავის ორატორთა ლიქნით, გაამპარტავებული — თავისუფლებით, თავმომწონე — თავისი მარცხდა ბრწყინვალე ღირსებებით, იგი ხშირად აუტანელი ქედმაღლობით ჩაგრავდა მოწყვშირუებსა თუ მეზობლებს; საზოგადოებრივ შეკრებებზეც თავს ნებას აძლევდა თავქარიანობითა და თვითნებობით გატაცებულიყო, რითაც მარცხისათვის გასწირავდა ბრძენთაბრძენი სახელმწიფო მოღვაწეების ძალისხმევას და ქვეყნაც უფსკრულის პირამდე მიტყავდა. თითოეული ათენელი მოქალაქე, ცალკე აღებული, დამყოლი და გულმომწყალე იყო, მაგრამ საზოგადოებრივ შეკრებებზე ის სრულიად სხვა ადამიანად იქცეოდა ხოლმე. ამიტომაც არისტოფანეს<sup>26</sup> თანამოქალაქეთ ბრძენ ბერიკაცებად გვიჩატავს — შინ, და უგუნურებად — სახალხო შეკრებებზე. დიდების, სახელის მოხვეჭის სიყვარული და წყურვილიც ყოველივე ახლისა მთლიანად უფლობდნენ მათზე და ხშირად სიმშაგემდეც მიტყავდათ ისინი. სახელის მოსახვეჭად ათენელი მზად იყო მთელი ქონება გაედლო მსხვერპლად, სიქველე და სიცოცხლეც კი შეეწირა მისთვის, ზეთისხილის რტოთავან მოწნული გვირგვინი, ზედაწერილა სვეტზე, მაუწყებელი მისი დამსახურებისა თანამოქალაქეთა წინაშე — ათენელისათვის უფრო ქმედისაი აღმძვრელი იყო ვმირობად, ვიდრე სპარსელისათვის — მბრძანებლის აურაცხელი საუნჯე. რა ზომითაც თავშეუკავებელი იყო ათენელი ხალხი უმადურობის გამოვლინებისას, იმ ზომითვე ბობოქრად გამოხატავდა იგი მადლიერების გრძნობასაც. ამგვარი ხალხის ყურადღების მიპყრობა თუნდაც ერთი დღით, შექნა იმად, ვისაც სახალხო კრების შემდეგ ტრიუმფით მიაცილებდნენ ხოლმე სახლის კარამდე, — დიდებას მოწყურებული ათენელებისათვის უფრო ამაღლებული და ამავე დროს ჭეშმარიტი სიამოვნება იყო, ვიდრე ის, რომლის მინიჭებაც ხელმწიფეს შეეძლო თავისი უსაყვარლესი მონებისათვის. აკი ვაცილებით ძნელია მთელს ხალხს, ამაყსა და ვრძნობიერს, აიძულო შენით აღტაცებული იყოს, ვიდრე ის, რომ ერთი კაცის, თუნდაც ხელმწიფის, კეთილგანწყობა მოიპოვო.

ათენელ მოქალაქეს თავისი ბუნებით არ შეეძლო მოსვენებით ყოფილიყო; მისი სული განუწყვეტლივ ესწრაფვოდა ახალ-ახალ სიამოვნებებს. სიახლის ამ წყურვილს ყოველდღიურად ესაჭიროებოდა დარწყულება, — სხვაგვარად იგი შეიძლებოდა საზიანოდ ქცეულიყო თვით სახელმწიფოს არსებობისათვის. აი, სწორედ ამიტომ ხშირად მხსნელი აღმოჩნდებოდა ხოლმე დროულად წარმოდგენილი ახალი სანახაობა: ზოგჯერ ასეთი სანახაობა აჯანყებასა და შინაარეულობებსაც კი იცილებდა თავიდან სახელმწიფოს, ანუ ყოველივე იმას, რაც დიდ საშიშროებას უქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგს; აი, სწორედ ამიტომ ზოგჯერ ვინმე უზურპატორიც აღწევდა წარმატებას ერთურობის მონაცვლე სანახაობებსა და თავშექცევების მეშვეობით, რაკი ყოველმხრივ ახალისებდა ხალხის ვნებას! ამიტომაც, ვაი ჰქონდა იმ ათენელ მოქალაქეს, თუნდაც ყველაზე გამორჩეულსა და ღირსეულს, თუკი იგი ვერ გაიწაფებოდა ყოველდღიურად რაიმე ახლის წარმოდგენის ხელოვნებაში და განუწყვეტლივაც არ განუახლებდა თანამოქალაქეებს ხსოვნას თავის საქმეთა და დამსახურებათა გამო!...

სოლონის ცხოვრების დაისი ისეთი უმფოთველი და მშვიდი როლი იყო,



როგორსაც ის იმსახურებდა. იმ მიზნით, რომ მოშორებოდა აბეზარ ათენე-  
ლებს ყოველდღიურად რომ გულს უწყალებდნენ კითხვებითა და ათასგვარი წი-  
ნადადების შეთავაზებით, სოლონმა მცირე აზიასა და ეგვიპტეში მოგზაურა<sup>27</sup>  
მას შემდეგ, რაც მისი კანონები მოწონებულ იქნა და ამოქმედდა. ამ მოგზაუ-  
რობის დროს იგი თავისი დროის ბრძენთა ბრძენ ადამიანებს შეხვდა და ესაუბ-  
რა: ლიდიაში მოინახულა მეფე კრესე და ეგვიპტის მეფის მსახურდამსწრე გარზეც  
იმყოფებოდა საისში. მისი მონათხრობი თაღეს მიღეთელთან<sup>28</sup> და სერქსესთან  
შეხვედრებზე იმდენად ცნობილია, რომ მათზე საგანგებოდ შეჩერება, ალბათ,  
არც ღირს.

ათენში დაბრუნებულ სოლონს სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში დახუ-  
და, რადგან ის ნაწილ-ნაწილ იფლითებოდა სამი პარტიის შეხლა-შემოხლისა-  
გან; ამ პარტიებს სათავეში საშიში ადამიანები — მეჭაკლე და პისისტრატე ედ-  
გნენ.<sup>29</sup> მეჭაკლე თავისი დიდი ქონების წყალობით შეიქნა ეგზომ სახიფათო —  
ძრისხანე, და ყოვლისშემძლე მოწინააღმდეგედ, პისისტრატე კი — თავისი გა-  
მორჩეული გონიერებისა და ნიჭის მეოხებით. პისისტრატე, ოდესმე სოლო-  
ნის რჩეული, — ათენელი იულიუს კეისარი, ერთ მშვენიერ დღეს ეტლზე გა-  
რობმული გამოცხადდა სახალხო შეკრებაზე, ერთიანად მკვდარივით გაფით-  
რებული და სისხლში მოთხვრილი, თვით მის მიერვე ხელში მიყენებული  
ჭრილობიდან რომ სდიოდა, და ასე შესძახა შეკრებილ ათენელებს: აბა, შეხუ-  
დეთ, როგორ გამისწორდნენ მტრები თქვენი გულისთვის! ჩემი სიცოხლე მუ-  
დამ საფრთხის შინაშე იდგება, თუკი რაიმეს არ იღონებთ ჩემს დასაცავად!

პისისტრატეს მეგობრებმა, მისივე შეგონებით, მაშინვე შესთავაზეს სა-  
ხალხო კრებას შეიარაღებული მცველები მიეჩინათ პისისტრატესათვის, რათა  
ისინი მოუშორებლად ხლებოდნენ მას ყოველთვის, როცა კი იგი საზოგადო-  
ებრივი ადვილისაკენ გაეშურებოდა. სოლონმა უმაღლ იაზრა ამ წინადადების  
მხკვრულობა და ცხარედ, თუმცა კი — ამაოდ, გამოვიდა მის წინააღმდეგ.  
ეს წინადადება ათენელებმა მიიღეს, პისისტრატეს მცველებიც მიუყე-  
ნეს... და სულ ძალე იგი ათენის ციხე-სიმაგრეს დაეფლა, რაკი ეს მცველები  
მოლიანად დაუმორჩილა თავის ნებას. ახლა კი აეხილა ხალხს თვალი, მაგრამ  
რალას იზამდა — უკვე გვიან იყო. ათენი შეძრწუნებამ მოიცვა, მეჭაკლე ქალი-  
ქიდან გაიქცა თავის მომხრეებთან ერთად და უზურპატორს მიაჩნდა იგი.

სოლონი, ერთადერთი, ვინც არ მოტყუვდა, ახლაც ერთადერთი იყო, ვინც  
არ დაჰკარგა მხნეობა; და როგორადაც უწინ იხმარდა ხოლმე ყოველ დონეს,  
რათა, სანამ გვიანი არ იყო, დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმისაგან შეეკავე-  
ბინა, თანამოქალაქენი, — ახლაც იმას ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდო-  
მოდა გაუმხნეებინა ისინი. მაგრამ, რაკი ვერავის მხრიდან ჰპოვა მხარდაჭერა,  
შინ დაბრუნდა, საჭურველი კარის წინ დაჰყარა და ასე წამოიძახა: „მე ყველა-  
ფერი ვიღონე, რაც კი ძალმეფვა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის!“

სოლონმა არ ისურვა ათენიდან გაქცევა; იგი კვლავაც ცხარედ ჰგმობდა  
თანამოქალაქეთა უგუნურებასა და ტირანთა უსინდისობას. მეგობართა შეკით-  
ხვას საიდან გაქვს ამდენი გაბედულება, რომ ყოვლისშემძლეს უპირისპირდე-  
ბით, სოლონმა მიუგო: ჩემი ხნოვანება მანიჭებს ვაჟკაცობას! და ისე მოკვდა,  
თავისი სამშობლო თავისუფალი აღარ უნახავს.

თუმცა ათენი არ გამხდარა ბარბაროსის ჩაღვლი. პისისტრატე კეთილ-  
შობილი კაცი იყო და სოლონის კანონებსაც პატივს სცემდა. შემდგომში იგი  
ორჯერ იქნა დამხობილი მოწინააღმდეგის მიერ, მაგრამ ორივე შემთხვევაში

კვლავ დაეუფლა ქალაქს, ხანამ, ბოლოს, მთლიანად არ განიმტკიცა ძალიუფლება და მშვიდად არ შეუდგა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობას; სამდვიოდ დიდმა დამხიხურებამ და ქველის-საქმეებმა ამ კაცისა შალე დაავიწყეს ათენელებს მისი უზურპატორობა. ხანამ იგი ძალიუფლების სათაქეში იდგა, არავის უგრძნია, რომ ათენს დაკარგული ჰქონდა თავისუფლება, ურყველად კრბილი და ჩავვრასათვის უცხო იყო მისი მმართველობა: თითქმის მბრძანებელი აქ პისისტრატე კი არ იყო, არამედ კვლავაც და კვლავაც სოლონის კანონები პისისტრატემ ათენის ოქროს საუკუნეს დაუღო დასაბამი, სწორედ მის დროს იყო ნათება ბერძნული ხელოვნების წარმტაცმა ცისკარმა. და როცა მოკვდა, მთელმა ათენმა საყვარელ მამასავით დაიტირა თავისი მბრძანებელი.

პისისტრატეს მიერ დაწყებული საქმე მისმა ძეებმა — ჰიპარქემ და ჰიპასემ გააგრძელეს. ეს ძმები სრული ურთიერთთანხმობით მართაუდნენ სახელმწიფოს, ერთნაირად ფრთაშესხმულნი დიდი სიყვარულით მეცნიერებებისადმი. სწორედ მათი ზეობისას გაიფურჩქნა სიმონიდესა და ანაკრონტის<sup>29</sup> ხელოვნება, და აკადემიაც ამ დროს იქნა დაარსებული. ყოველივე პერიკლეს<sup>30</sup> ბრწყინვალე საუკუნესთან შესახვედრად მიისწრაფოდა!

1791 წელი.

### შენიშვნები

სახელგანთქმული გერმანელი პოეტისა და დრამატურგის იოჰან **ფრიდრიხ** შილერის (1759-1805) ისტორიული შრომები სათანადოდ არ არის შეფასებული მსოფლიო ლიტერატურაში. მისი გატაცება ისტორიით სერიოზულია და მიზანიც კეთილშობილი — ისტორიის პოპულარიზაცია მკითხველთა ფართო ფენებში. ამიტომაც მისი შრომები ადვილად მისაწვდომია და, ამავე დროს, მაღალმხატვრობითა და პროფესიონალიზმითაც გამოირჩევა. ყოველ შემთხვევაში ფრ. შილერი თავისი დროის ისტორიული მეცნიერების მიღწევათა სიმალლეზე დგას. მის ისტორიულ შრომათაგან გამორჩეულია ფუნდამენტური შრომა „ოცდაათწლიანი ომი“, რომელიც ლუთერისდროინდელ რელიგიურ ომს მიმოიხილავს გერმანიაში (1517-1548 წლები), „ხალხთა დიდი გადასახლებისათვის, ჯვაროსნული ლაშქრობებისა და შუა საუკუნეებისათვის“, „მცირე რამ პირველი ადამიანური საზოგადოებისათვის მოხეს ხუთწიგნეულის მონაცემების საფუძველზე“, და სხვა. ფრ. შილერის ერთ-ერთი ცნობილი ისტორიული ესე — „ლიკურგესა და სოლონის კანონმდებლობა“ დაწერილია 1791 წელს.

1 **ლიკურგე** (IX-VIII ს.ს. ძვ. წ.) — სპარტის მეფე და კანონმდებელი, ვისაც ბერძენი ავტორები მიაწერენ სპარტის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების ინსტიტუტების შექმნას (გერუსია — უხუცესთა საბჭო, აპელლა — სახალხო შეკრება და სხვა). აღსანიშნავია რომ ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან სპარტაში არსებობდა ლიკურგეს — სინათლის ღვთაების კულტი.

2 **სენატი** — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო იყო, მეორენაირად მას უხუცესთა საბჭოს — გერუსიას უწოდებდნენ; ასრულებდა უმაღლესი სამსჯავროს, ნაწილობრივ სამხედრო საბჭოს ფუნქციებსაც. ისტორიულ დროში

უხუცესნი (გერონტები, ანუ სენატორები) არჩევითი პირები იყვნენ. სპარტის ორივე მეფეც (ბასილევსი) ამავე დროს სენატის წევრი იყო.

3. **კოსტორების** (ანუ მეთვალყურეების) კოლეგია ხუთი კაცისგან შედგებოდა. ანტიკურ ავტორებში აზრთა სხვადასხვაობაა ამ ორგანოს აღმოცენების დროსა და მის ფუნქციებთან დაკავშირებით. ეფორების უმთავრეს დანიშნულებას შეადგენდა მეფეთა მოქმედებების კონტროლი. მათი უფლებამოსილება მეტად ფართო იყო: ლაშქრის ფორმირება, მეფეთა საქმიანობაზე თვალყურის დევნება ლაშქრობების დროს; ეფორებს იმის უფლებაც კი ჰქონდათ, რომ, თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, სამსჯავროსთვისაც კი გადაეცათ მეფენი.

4 **სპარტის ტრაპეზობა (სისსიტია, ანუ ვიდიტია)** – სპარტელთა გასამხედროებული ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინება იყო: ქალები ამ ტრაპეზობებზე არ დაიშვებოდნენ, და, საერთოდაც, მათი ცხოვრების წესი საკმაოდ კარნაკეტილი იყო.

5 კასტორი და მისი ტყუპისძალი პოლიდეკა ზევსის ძეებად ითვლებოდნენ; ისინი დიოსკურებადაც იწოდებიან. მათი კულტი ფართოდ იყო გავრცელებული ლაკონიაში, მოგვიანებით კი – ძველ რომშიც.

6 **ჰილოტები** – არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც თვით სიტყვა „ჰილოტი“ აღნიშნავს – „დაპყრობილს, დამორჩილებულს, ტყვედ წამოყვანილს“. ჰილოტები არ იყვნენ მონები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს დაპყრობილი მიწისმოქმედი ადამიანები მიწის განსაზღვრულ ნაკვეთებზე – კლერებზე იყვნენ მიმაგრებულნი; ასეთი ნაკვეთი წილისყრით აძლეოდა სპარტის სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც უფლება არ ჰქონდა არც მიწისა და არც მასზე მომუშავე ჰილოტის გასხივისებისა. ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გამო სპარტელებს არ შეეძლოთ თავიანთ კლერებზე ეცხოვრათ და ამიტომ ჰილოტები დამოუკიდებლად მისდევდნენ მეურნეობას და მოსავლის გარკვეულ ნაწილს აძლეოდნენ ნაკვეთის პატრონს. უფლება ჰილოტებზე მთლიანად სპარტის სახელმწიფოს ხელში იყო, რის გამოც მათი მდგომარეობა სათემო მონებისას ჰგავდა.

7 **პრიპტია** – პოლიციური ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა ჰილოტების აჯანყების თავიდან აცილებას მათი ყველაზე ძლიერი და საშიში წარმომადგენლების განადგურების გზით.

8 **კელოპონესის ომი** – ამ ომმა მთელი ძველი საბერძნეთი მოიცვა ძვ. წელთაღრიცხვის 431-404 წლებში.

9 სპარტელთა მეფისა და მისი 800 თანამებრძოლის გმირობა საყოველთაოდ არის ცნობილი; მათ საკუთარი სიცოცხლის ფასად შეაჩერეს სპარსთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინსვლა თერმოპილის ხეობასთან, ძვ. წ. 480 წელს. შილერს მოჰყავს ბერძენი პოეტის სიმონიდეს (556-469) ორტაეპედი, რომელიც ამოკვეთილი იყო ბერძენთა მიერ ამ უთანასწორო ბრძოლის ადგილას აღმართულ ძეგლზე.

10 გნეუს მარციუსი ცნობილია აგრეთვე კორინთიანების სახელითაც. იგი რომის პლებსმა გააძევა ქალაქიდან. და 490 წელს ვოლსკების ტომის შეიარაღებული რაზმებითურთ მოადგა დედაქალაქს, რათა აეღო იგი და შური ეძია, მაგრამ დედისა და მეუღლის თხოვნით დათანხმდა ალყის მოხსნას სწორედ ეს ამბავი აქვს აღწერილი უ. შექსპირს თავის ტრაგედიაში.

11 პერმესის პატივად აგებული სვეტები, ანუ ე.წ. პერმები წარმოადგენდა ამ ღვთაების თავის სკულპტურულგამოსახულებიან ქვის სვეტებს; პერმესი ვაჭრებისა და მოგზაურების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. ხსენებულ სვეტებს საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა და მათ აღმართავდნენ ხოლმე გზაჯვარედინებზე, ქალაქის მოედნებზე და საზოგადოებრივ შენობაშიც.

ანტიხორე უჩვეულო სიმშვენიერის ჭაბუკი იყო რომის იმპერატორის ადრიანეს ხეობისას (ახ. წ. 117-138 წ.წ.), და ხელმწიფის რჩეულიც იყო, მისი თანმხლები ყველა ლაშქრობაში. დაიხრჩო მდ. ნილოსში 122 წელს. ადრიანეს ბრძანებით მოქანდაკეებმა ანტიხორეს მრავალი ქანდაკება შექმნეს, რათა უკვდავეყოთ მისი სიმშვენიერე. ყველაზე ცნობილი ქანდაკება მოთავსებულია პარიზში, ლუვრის მუზეუმში... შილერს მხედველობაში აქვს ვატიკანში დაცული ცნობილი ქანდაკება — ბელვედერის აპოლონი, რომელიც მიეწერება ოსტატ ლეოქარეს (IV ს. ძვ. წ.).

12 ბოლოში დაახლოებით 639-559 წლებში ცხოვრობდა, იყო ატივის ერთ-ერთი უძველესი პოეტი და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. თავისი გამომდებლობით, უპირველეს ყოვლისა, საკუთრებით ურთიერთობებს რომ შეეხებოდა, მან გვაროსნულ არისტოკრატიას მიაყენა მძიმე დარტყმა და გზა გაუხსნა ათენში მონათმფლობელური დემოკრატიის განვითარებას. საგულისხმოა, რომ სოლონის პოეტური ქმნილებანი — ელეგიები — ერთ-ერთ წყაროსაც წარმოადგენენ VII-VI საუკუნეების ათენის სოციალური ურთიერთობების შესახებ ვაჭარად.

13 ათენელი მეფეები მხოლოდ გადმოცემით არიან ცნობილი. მათგან უკანასკნელი — კოდრე დაიდუმა არისტოკრატებთან ბრძოლაში. არხონტების ინსტიტუტის შექმნა უძველეს დროს მოკუთვნება. მათგან პირველებს, ალბათ, მეფეებთან ერთად ირჩევდნენ. ამას ისიც მოწმობს, რომ ბასილევსის (მეფის) წოდებას ერთ-ერთი არხონტი ატარებდა.

14 დრაკონი ერთ-ერთი არხონტი იყო ძველ ათენში, მისი კანონები წარმოადგენენ დაახლ. 621 წელს ჩაწერილ და ათენში მოქმედ ჩვეულებითი სამართლის ნორმებს.

15 მეფეთ მეფეში შილერი გულისხმობს სპარსეთის ხელმწიფეს, — საბერძნეთის მთავარ მოწინააღმდეგეს.

16 „სისამუნია“ — ვალებისა და სავალო კაბალის გაუქმება იყო, რაც შემობრუნების ერთ-ერთ მომენტსაც წარმოადგენდა ათენის ისტორიაში.

17 ამ ოთხ ჯგუფს, შესაბამისად, შემდეგი სახელები ეწოდათ: პენტაკოსიომიძნები, მხედრები, ზევგიტები და ფეტები. როცა მიწიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით ადგენდა საზღვარს ამ ჯგუფებს შორის, სოლონმა, ალბათ, ათენის ვაჭარ-ხელოსანთა შეძლებული წარმომადგენლებიც მიაკუთვნა ხსენებულ კლასებს, რომელთაც არ გააჩნდათ მიწის საკუთრება. ამგვარი დაყოფა მოსახლეობისა ქონებრივ კლასებად სამხედრო ბევარის განაწილებასაც დაედო საფუძვლად.

18 შილერის ეს განმარტება მცდარია. ხსენებულ, მესამე ჯგუფში გაერთიანებული მოქალაქენი მართლაც წყვილი უდლის (ხარ-კამუნის) მფლობელები იყვნენ, მათი შემოსავალი 200 მედიმნს შეადგენდა (1 მედიმნი დაახლოებით 41 ლიტრს უდრიდა.).

19 სენატის, უფრო სწორად კი — ბულეს, ანუ 400-თა საბჭოს წევრები ხსენებული ოთხი კლასიდან ქონებრივი ცენზის მიხედვით კი არ აირჩეოდნენ, არამედ ოთხი ფილისაგან, ანუ ტომობრივი კავშირისაგან, უძველეს დროში რომ ხახლობდნენ ატიკაში. ამგვარად, ეს ოთხასთა საბჭო (სენატი) ინარჩუნებდა გვაროვნული წყობის არქაულ თვისებებს.

20 შილერი აქ მთლად ხუსტი არ არის. პრიტანეა წარმოადგენდა არა მხოლოდ წოდებული მოედნის სამხრეთით მდებარე ნაგებობას, და არა—თვით მოედანს.

21 სენატი არ ყოფილა სამსჯავრო დაწესებულება. არეოპაგი კი წარმოადგენდა უმაღლეს სახელმწიფო საბჭოს (ხათათბიროს), და მისი დახაბამი უძველეს წარსულში უნდა ვეძიოთ; არეოპაგის შემადგენლობა ყოფილი არხონტებით შეივსებოდა ხოლმე. სოლონის კანონებმა შეზღუდეს არეოპაგის კომპეტენცია: მის ფუნქციათაგან ნაწილი — 400-თა საბჭოს, ანუ სენატს გადაეცა, ნაწილი კი — სახალხო კრებას (ეკლესიას).

22 ჰელია წარმოადგენდა ნაფიც მსაჯულთა სამსჯავროს და მის სხდომებში მონაწილეობა ათენის ყოველ მოქალაქეს შეეძლო. ამ სასამართლო დაწესებულების კომპეტენცია მეტად ფართო იყო: იგი იხმენდა თანამდებობის პირთა ანგარიშგებას; მას უფლება ჰქონდა გაეუქმებინა სახელმწიფო თუ კერძო ხასიათის ხელშეკრულებები; განიხილავდა ყველა იმ საქმეს (სიხლის სამართლის საქმეების გარდა), რომელნიც არეოპაგის განმგებლობას მიეკუთვნებოდა. სახალხო კრებასთან ერთად ჰელია ყველაზე დემოკრატიული ორგანო იყო ათენში.

23 სოკრატე (469-399) და კლატონი (427-347) — ძველი საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსები იყვნენ, თუკიდიდე (455-396) ცნობილია თავისი ბრწყინვალე ისტორიული შრომებით, ხოლო სოფოკლე (497-406) — თავისი პოეტური და დრამატული ნაწარმოებებით, ტრაგედიებით.

24 სპარსთა მეფემ ქსერქსემ (აქემენიდების დინასტიიდან), რომელიც ძვ. წ. 486-465 წლებში ზეობდა, 480-479 წლებში დიდი ლაშქრობა მოაწყო საბერძნეთის წინააღმდეგ. სამხედრო ხელოვნების გერმანელი ისტორიკოსის დელბრიუკის გამოანგარიშებით მისი ლაშქარი 200 ათას მებრძოლს ითვლიდა; ბერძენთა ლაშქარს იგი ბევრად აღემატებოდა, მაგრამ მათ მაინც მეტად გზავიადებული წარმოდგენა ჰქონდათ მასზე. მაგალითად, შემატიანე ჰეროდოტე თვლის, რომ ქსერქსეს ლაშქარი შედგებოდა 5 მილიონ 283 ათას 220 მებრძოლისაგან, რაც იმ დროისათვის წარმოუდგენლად დიდი რიცხვია.

25 იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელის მამა.

26 არისტოფანეს (450-388), დიდი ბერძენი კომედიოგრაფის ნაწარმოებები ფასდაუდებელი წყაროა მისდროინდელ ათენში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური ბრძოლების შესწავლისათვის.

27 ცნობებს სოლონის ამ მოგზაურობაზე გეაწვდის ჰეროდოტეს „ისტორია“; ნაფოსის დელტაში მდებარე ქალაქი საისი იყო გვიანდელი ეგვიპტის ფარაონთა სატახტო ქალაქი. გადმოცემით, სოლონმა თავისი ზოგიერთი კანონი ფარაონ იახმოს მეორისაგან (569-526)) ისესხა. თაღეს მილითელი (624-547) ითვლება ძველი ბერძენული მეცნიერებისა და ფილოსოფიის ფუძემდებლად.

28 მეპაკლე წინამძღოლობდა პარალიების — ზღვის პირას მცხოვრებთა პარტიას, რომელთა შორის ვაჭრები და ხელოსნები სჭარბობდნენ. ისინი სოლონისეული სახელმწიფო წყობილების შესანარჩუნებლად იბრძოდნენ... კი-

სისტრატე — დიაკრიების ბელადი იყო — ატიკის მთიანეთში მცხოვრებ მიწათმოქმედთა, რომლებიც მოითხოვდნენ მიწის ხელახლა განაწილებას... მესამე პარტიას შეადგენდნენ პედიკები (ანუ ბარის მცხოვრებნი), რომელნიც მსხვილ მიწათმოქმედთა ინტერესებს წარმოადგენდნენ და მოითხოვდნენ სოლონამდელი სახელმწიფო წყობის აღდგენას. ამ პარტიას ლიკურე (ათენელი) ედგა სათავეში.

29 **ანაკრეონტი** (570-488) — ძველი საბერძნეთის უდიდესი პოეტია. მისი სახელით იწოდა სატრფიალო და სიამეთა განმადიდებელი პოეზია... აკადემია წარმოადგენდა ფილოსოფიურ სკოლას, რომელიც თვით პლატონმა დააარსა 387 წელს ათენის მახლობლად მდებარე წმიდა ჭალაში, რომელსაც გმირთა-გმირის აკადემეს — მისი მფლობელის — სახელი ერქვა. დღევანდელი აკადემიაც, ანუ თვით ეს სიტყვა — სწორედ ამ სკოლის სახელწოდებას უკავშირდება.

30 **პერიკლე** (490-429) იყო ათენის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე. მისი ზეობა (443-429) ზენიტს წარმოადგენს ათენის სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული აყვავებისა. პერიკლე იყო ათენელი მხედართმთავარი, დემოკრატიული დაჯგუფების ბელადი, კანონმდებელი. მან გააუქმა ქონებრივი ცენზი, თანამდებობის პირთა არჩევაც — წილისყრით შეცვალა, დაუნიშნა მათ ხელფასი და თავისი ბევრი სხვა ღონისძიებებით ხელი შეუწყო ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის აყვავებას. აღესრულა შავი ჭირის ეპიდემიის დროს.





რუსული ფილოსოფიური ფანტასტიკური პროზის ისტორიიდან

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ისტორიისა და ხელოვნების შკატრი სამსჯავროს წინაშე წარმდგარმა რომანტიზმმა გამარჯვა. მისმა ტრიუმფმა გამოაფხიზლა კლასიციზტურ ოღებსა და ტრადიციებზე აღზრდილი საზოგადოება, დაარღვია სამი ერთიანობის კანონი. ყველაფერი შეიცვალა. ხელოვნების ყველა დარგში დაიწყო დადგენილი წესების გადახედვა, დოკუმების შერბილება ან მთლიანად უარყოფა. ადამიანებმა ახლებურად შეხედეს რეალურ სამყაროს, ხალხს, პიროვნებას, სიკეთესა თუ ბოროტებას; ხელოვნებისა და მშვენიერების განსაზღვრის კრიტერიუმში სხვაგვარად აღიქმებოდა. მაგრამ ძველი დიდხანს არ იხვედა უკან, არ უთმობდა ადგილს ახალს, პროგრესულს, რაც კანონზომიერია კაცობრიობის ისტორიის განვითარებისათვის. გაუგებრობა, საყოველღაო უხერხულობა, შური და ამავე დროს სწრაფვა ახლისაკენ, უკეთესისაკენ აისახა იმდროის ფილოსოფიურ მიმდინარეობებში.

რუსეთში დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ ინტერესი ფანტასტიკური ელემენტისადმი გაძლიერდა. ეს იმით აიხსნება, რომ 1825 წლის დამარცხებამ გავლენა მოახდინა არა მარტო ქვეყნის პოლიტიკურ ატმოსფეროზე, არამედ რუსი ხალხის სულიერ სამყაროზეც. „მეამბოხეებზე ანგარიშსწორების შემდგომ პირველ ათწლეულში პატიოსანი, წარმატებული, მოაზროვნე ადამიანი გრძნობდა სიმდაბლის, მონური სულისკეთების, სისუსტიკისა და შურის უფორმო და უხმო მასის ზეწოლას, რომელიც ითრევდა ყველასა და ყველაფერს“.<sup>1</sup> რა გასაკვირია, რომ ამ საშინელებაში ადამიანს მოენატრა რაღაც საოცარი, არაღლებული.

სწორედ დეკაბრისტ მოკლენებმა დაარწმუნა ბევრი, რომ ცხოვრება, საწუთრო, მისი ბვითა და კარგით „წყველა-გრულვიანი საკითხავია“... მაგრამ ამის მტკიცება, რომ ეს აზრი მხოლოდ შიშს იწვევდა, არ შეიძლება. იმუდგაცრუება, მიწყვნილობა, სევდა, უნდობლობა, მომავლისადმი მაინც შიობდა სწრაფვას ახალი სამყაროსაკენ, ოცნებას მიწიერ სამოთხეზე, „ოქროს საუკუნეზე“, სადაც ადამიანი განთავისუფლდებოდა ჯაჭვისაგან, რომელიც ბორკავდა მის სხეულსა და სულს. ამგვარად, ყველაზე მართებული წარმოდგენები სინამდვილეზე უნდა გაცოცხლებულიყო ფანტაზიის საშუალებით.

1825 წლის დეკაბრისტ შემდეგ ფანტასტიკა ეძებს თავის ადგილს ლიტერატურაში. ამ დროს გამოიკვეთა ფილოსოფიური მიმდინარეობების გამოყენების მცდელობა მასში. ეს გამოიხატა არა მარტო აბსტრაქტული მსჯელობებით, არამედ იმ ეპოქის საზოგადოების სოციალური და ხეობრივი მდგომარეობის თამამ კრიტიკაშიც. არისტოკრატიის ყველა უარყოფითი თვისების – კერაგო-

სის, სიცრუის, ფარისევლობისა და უაზრო ფუსფუსის — მხილება იყო მისი ერთ-ერთი პირველი რეალური ნაბიჯი. ფილოსოფიური ფანტასტიკა ამხელდა იდეომპერობელობასაც. ყველაზე უწყინარ თხზულებებშიც კი (ი. ვ. კორეევსკის „ოპალის“ ტიპის) შეინიშნებოდა უკმაყოფილების ელემენტები, რომლებიც შემოსილი იყო ფილოსოფიური ოცნებით უკეთეს მომავალზე.

ცხადია, „შიშველი“ ფილოსოფია ასეთი თავისუფლებითა და შექნელუდველობით დაღვანს ვერ იარსებებდა. ამიტომაც მსგავსი მსოფლმხედველობა სატირულ ნაწარმოებებშიც გამოვლინდა. ჩინოზნიკური არხის ჩვენება — „მახვილი სატირული ჩანახატებიდან გრანდიოზულ გროტესკულ სურათებამდე, რაც დადმოსცემდა ბიუროკრატიული წყობილების განონთა სისტემას, ამიშველებდა მისი საფუძვლების არაბუნებრიობას, — ასეთია იმ წლების რუსული ფანტასტიკური პროზის დიაპაზონი. ის ასახავდა რეაქციული სახელმწიფოს ბუნებას, როგორც ანტიადამიანურ სამყაროს, რომელიც დევნის ან ამახინჯებს ნამდვილ სიცოცხლეს“.<sup>2</sup>

რუსულ ფანტასტიკაში გაკრიტიკებულია ფულის ძალაუფლებაც, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება დანაშაულის თემას. ფული — სახიფათო ძალაა, რომელიც ანგრევს ზნობრივ ნორმებს. რუსულ ლიტერატურაში წარმოჩენილი ეს თემატიკა ერთგვარად პარალელს პოულობს გერმანული რომანტიზმის „იენის სკოლის“ წარმომადგენლის ლუდვიგ ტიკის ნაწარმოებებში.

ნიშანდობლივია, რომ ფანტასტიკური პროზის პირველსავე ნაწარმოებებში ჩნდება ირეალური სამყარო. მაშინ ამ უკანასკნელს ჰქონდა ბუნდოვანი, აბსტრაქტული საზღვრები, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი იქცა მოთხრობების სრულუფლებიან და მთავარ გმირადაც კი. ეს სამყარო ჩვენ გარშემო არსებული სინამდვილის მიღმა ძევს. ადამიანს არ ძალუძს ჩასწვდეს მას. ის არ კმარა ილება ჩვენს გონებასა და განონებს. მიუხედავად დამოუკიდებლობისა, ირეალური სამყარო დაკავშირებულია ობიექტურად არსებულ სინამდვილესთან. სწორედ ეს კავშირია ფანტასტიკური მოთხრობების აზრი და საფუძველი, კონტაქტი მყარდება „იქაური“ ძალების შემოჭრით ჩვენს სამყაროში. ეს მოვლენა კი ცვლის ცხოვრებას.

„ორქვეყნიურობის“ კონცეფციამ ასახა რომანტიკოსთა განცდები, უკმაყოფილება რეალური ცხოვრებით. ამიტომაც აღიარეს მათ „მეორე ქვეყანა“ თავისუფალ სამყაროდ, რადგან თავისუფალ გარემოში შეიძლება თავისუფალი აზროვნება, აქ არ არსებობს საზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელს შორის. მაგალითად, ნოვალისი, რომელიც ასევე ეკუთვნის „იენის სკოლას“ და რომელსაც გოეთე „რომანტიზმის იმპერატორს“ უწოდებდა, რეალურ სამყაროს უპირისპირებს უფრო ფასეულსა და მიმზიდველ სუფიერ სამყაროს.

საშინელი სინამდვილით შემრწუნებული რომანტიკოსები ეძებდნენ იდეალურ სამყაროს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რეალური ცხოვრება შედარებითია და წარმავალი, ის მუდმივ მოძრაობაშია. სწორედ ამიტომ წარმოიშვა ლოზუნგი: „მშვენიერია ის, რაც ახალია“. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ოვეალთახედვისა, აწმყო რჩებოდა მდაბალ და კონსერვატულ რეალიზად. პირველი ლოზუნგი სწრაფად შეცვალა მეორემ: „მშვენიერია ის, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც ფანტასტიკურია“. ნოვალისი წერდა: „მგონი, ჩემი სულის მდგომარეობას ყველაზე უკეთ ზღაპრით გამოეხატავ. ყველაფერი ზღაპრია“, ხოლო XIX საუკუნის 30-იან წლებში შარლ სოდიემ განსაზღვრა ნოველა — ზღაპრის ჟანრი.



1825 წლის შემდეგ რუსული ფანტასტიკური პროზა აღსავსეა მითოლოგიური პერსონაჟებით — ვამპირებით, ალებით, ჯადოქრებითა და ტყის კაცებით, ვაცოცხლებული მკვდრებით. ეს არსებები დაჯილდოებული არიან ადამიანური გრძნობებით, მაგრამ მათი ზემოქმედება მარადიული არ არის. არარეალური სახეები მხატვრულ ნაწარმოებებში მოქმედებენ რეალურ ცხოვრების შესაბამისად. თუმცა რომანტიკული ლიტერატურა არ მოეფიქრებოდა დასაბუთების არსებობის აბსოლუტურ რწმენას. ეს „მოვლენა რუს რომანტიკოსებთან განიხილება, როგორც ესთეტიკური ფენომენი, როგორც მხატვრული რეალობა“.<sup>3</sup> ფანტასტიკურ ნაწარმოებებში ყველა მოვლენა ისეა წარმოდგენილი, რომ მკითხველი იძულებული ხდება, განიცადოს საშინელებანი, იგრძნოს საოცრებანი და რეაგირება მოახდინოს ყოველივე ამასზე. ფრანსუა ვიიონი ერთხელ თაქისთაქს გამოუტყდა: „მე ეჭვი შემაქვს რეალობაში, მჯერა საოცრების“.

უტოპიებისა და ანტიუტოპიების გარდა, ფილოსოფიური ფანტასტიკური პროზა მდიდარი იყო ისეთი ნაწარმოებებით, რომლებსაც „ჯადოსნურ ზღაპრებს“ უწოდებენ. სწორედ მათმა პრინციპებმა განსაზღვრეს ი. ვ. კირეევსკის მითხრობა „ობალის“ სტრუქტურა. ამ რომანტიკოსმა შესამჩნევი კვალი დაამჩნია XIX საუკუნის I ნახევრის რუსულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებას, თუმცა ი. კირეევსკის ნაწარმოებები იშვიათად იბეჭდებოდა და შემოქმედებითი მემკვიდრეობაც არც თუ ისე დიდი აქვს. მაგრამ მაინც მან აქვა საკუთარი სიტყვა, როგორც ლიტერატურულმა კრიტიკოსმა, როგორც ნიჭიერმა ჟურნალისტმა, პუბლიცისტმა და 1840-50-იანი წლების „სლავიანო-ფილოზოფიის“ სულისჩამდგმელმა და ფილოსოფოსმა.

1830 წელს ი. კირეევსკიმ იმოგზაურა გერმანიაში, იქ, ბერლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში სამი თვის განმავლობაში ისმენდა ჰეგელის, ფ. შელინგის, რიტერის, შლეითერმახერის, ოკენისა და სხვა გამოჩენილი მეცნიერების ლექციებს. ის უსმენდა ყველას, ითვისებდა ახალ იდეებს, გატაცებული იყო ზელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობით; შემდეგ გადაამუშავა ყველაფერი საკუთარი შეხედულებების გათვალისწინებით და შექმნა რეალურობისა და ოცნების ერთგვარი სინთეზი.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამ მწერლის შემოქმედება არ არის მდიდარი: რამდენიმე ლექსი, პროზაული ფრაგმენტი „ცარიცინის ღამე“ (1827 წელი), ნაწყვეტები დაუმთავრებელი რომანისა „ორი სიცოცხლე“ (1831 წელი) და უტოპიური მითხრობებისა „კუნძული“ და „ჯადოსნური ზღაპარი“, აგრეთვე „ობალი“, რომელიც დაიწერა 1830 წლის დეკემბერში ავტორის გერმანიიდან დაბრუნების ერთი თვის თავზე. მასში ვხვდებით კირეევსკის ფილოსოფიურ მსჯელობებსა და მისი სულიერი სამყაროს ბევრ თვისებას. „ზღაპრის“ პრობლემატიკასთან უშუალო კავშირშია: კირეევსკის მიერ დისთვის გაგზავნილი წერილი-აღსარება („სიზმრები ჩემთვის სისულელე არ არის. ჩემი ცხოვრების საუკეთესო ნაწილი სიზმრებში მაქვს გატარებული“), მისი მსჯელობები „გულისმიერ მუსიკაზე“ და მოსაზრებანი ზმანებათა ბუნების შესახებ. „ძილი — სულის შინაგანი გრძნობების გამოხატვაა, — ამ გრძნობების იდეალებია. ის გარეგანი შთაბეჭდილებები, რომლებიც ცხადში ჩვენში შესაბამის გრძნობას აღგზნებდა, ძილში გვევლინება, როგორც ამ შინაგანი გრძნობის შედეგი“.

ამდენად, იმდროის ყველა ცნობილ ფილოსოფიურ მიმდინარეობას შორის ი. კირეევსკისათვის უფრო მისაღებია ადამიანის სულის მოძრაობის თეორია. ცხადია, ი. კირეევსკიმ შეითვისა აზრი იმის შესახებ, რომ სული მართავს

სხეულს, რომ მას შეუძლია მიატოვოს ტადარი თვისი (ე. ი. სხეული) და აიჭ-  
რას ზევით, იმ სფეროებში, რომლებიც მიუღწევადია უბრალო მოკვდავისათ-  
ვის. ამის დასამტკიცებლად კი კირეევსკიმ წარმოადგინა თავისი კერძო, რომ-  
ელზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

„ოპალის“ შექმნამდე კირეევსკის უკვე ჰქონდა გამოცდილება ლიტერატურის  
სამფაზოვანი განვითარების შესახებ, რომლის კულმინა-  
ციად ის თვლიდა „სინამდვილისადმი პატივისცემით“ გამსჭვალულ თანამედ-  
როვე ხელოვნებას. მიუხედავად ამისა, როცა მოთხრობის წერა დაიწყო, სამო-  
კალბებულმა ჰქონდა თავისი მსოფლმხედველობა. ამიტომ შეუსაბამობამაც  
იჩინა თავი: ზღაპარი „ოპალი“ სწორედ იმ ლიტერატურას უახლოვდება, რომ-  
ელსაც კირეევსკი უკავშირებდა წარმავალ ეპოქას და რომლის გამომჩატვე-  
ლადაც რუსეთში ფუკოვსკის თვლიდა; ხოლო მის არსს ხედავდა „არამიწიერე-  
ბისადმი სწრაფვაში, გულგრილობაში ყოველგვარი ჩვეულებრივისადმი, რაც არ  
არის სული, რაც არ არის სიყვარული“.<sup>5</sup>

კირეევსკის „ჯადოსნური ზღაპარი“ შთაგონებულია ჰეროიკულ-ფანტას-  
ტიკური რაინდული პოემების — მათეო ბოიარდოს „შეყვარებული როლანდი-  
სა“ და ლუდსვიკო არიოსტოს „დაუღვრომელი როლანდის“ კითხვისას მიღე-  
ბული შთაბეჭდილებებით. უკანასკნელ მათგანს მწერალი ორიგინალში გაეცნო  
თავისი მოთხრობის დაწერის წინ და აღტაცებული იყო იტალიელი პოეტის  
„ვრაციული წარმოსახვით“. ი. კირეევსკი არც მალავს არიოსტოს გაკლენას  
„ოპალზე“: მოიხსენიებს მას მოთხრობის დასაწყისშივე და თავის გმირებს „დაუღ-  
ვრომელი როლანდის“ პერსონაჟების შესატყვის სახელებს არქმევს (ორიველი —  
Argalia, ნურედინი — Norandino). როგორც კრიტიკა წერდა, მსგავსება „ოპა-  
ლს“ მშვენიერი პლანეტისა და არიოსტოს პოემის მთვარის აღწერას შორის  
„შეგარაა“. „ოპალის“ შთამაგონებელ თხზულებებად ითვლება აგრეთვე გერმანელ  
რომანტიკოსთა ფანტასტიკური მოთხრობები, „აღმოსავლური მოთხრობის“  
ყანრის ნაწარმოებები, მასში არის აგრეთვე მასონური ლიტერატურის დამა-  
სისიათებელი ქარაგმულობისა და სიმბოლიკის ელემენტები. „ოპალის“ კითხ-  
ვისას წნდება ეჭვი, რომ ი. კირეევსკი იცნობდა ევროპელი მისტიკოსების თხზუ-  
ლებებს, კერძოდ, დ. პორდუჩის „ღვთაებრივ და ჭეშმარიტ მეტაფიზიკას“. არც  
მოთხრობის სათაურია („ოპალი“) შემთხვევითი. მასში ივარაუდება ფილოსო-  
ფიური ელემენტები ქვების საიდუმლო დანიშნულებაზე: კერძოდ კი, ვარაუდი  
იმის შესახებ, რომ ისინი (ე. ი. ქვები) ადამიანის ბრჭყვიალა სამოსელს წარ-  
მოადგენდნენ. რითი გამოირჩევა ოპალი? იგი ძვირფასი ქვაა, თუთრი ან რძისფერ-  
ოვანი შეფერილობის; მისთვის დამახასიათებელია ფერების ცისარტყელასე-  
ბრი თამაში, ციალი, ციმციმი, განიქმული „საბუნებისმეტყველო ისტორიის“  
აუტორის, რომელი მწერლისა და მეცნიერის პლინიუს უფროსის მიწმობით,  
ოპალი ძვირად ფასობდა წარსულში. „იერთებდა რა საკუთარ თავში უბრწყინ-  
ვალესი ძვირფასი ქვების მშვენიერებას, მისი ღირსების უპირატესობის დად-  
გენისას, სირთულეც არსებობდა. ვინაიდან არის მასში უფრო მნიშვნელოვანი  
ცეცხლი, ვიდრე კარბუნკულებში, ამუთვისტოს ბრჭყვიალა სინათლე, სმარაგ-  
დის ზღვისფერი სიმწვანე, და ყველაფერი ეს ანათებს სასწაულებრივ ერთი-  
ანობაში“, „...კაშვასი ოპალისა თამაშობს, ისურის სხივებს და ნათება მისი  
აღვრება თითებზე“.<sup>6</sup>

ისმის კითხვა: რატომ არის ეს ნაწარმოები „ჯადოსნური ზღაპარი“? საქ-  
მე ის განხლავთ, რომ მსგავსი მოთხრობების ავტორები მკითხველს სთავაზობ-

ღნენ სიუჟეტს, რომელიც ასახავდა შეუზღუდავ საოცრებას. სწორედ ამითაა განსაზღვრული სახელწოდება „ზღაპარი“. ბევრი აიგივებს მას ფრლკლორულ ხლაპრულ პროზასთან, რაც არ არის სწორი, უინაიდან ხალხური ზღაპარი არ იცნობს ორქვეყნისურობას, ხოლო გმირთა მოგზაურობანი „იქით“ და „აქეთ“ არ არღვევს რეალური სამყაროს კანონებს.

ი. კირევესკის „ოპალში“ ყველაფერი სხვაგვარადაა განხილული: აქ საოცრება დროდადრო იგრძნობა და მნიშვნელობა აქვს მთავარი გმირის მიერ ირეალური სამყაროს აღქმას. „რადაც ჯადოსნური და მიმზიდველი ზღაპარი“, — ასე შეაფასა ნურედიჩმა ის სამყარო, რომელშიც აღმოჩნდა. ოცნებით წარმოსახული სამფლობელო მშვენიერია, ამიტომ, როგორც კი მეოცნებე შეიცნობს მას, აღარ ძალუძს არსებობა რეალურ სამყაროში. „რომანტიკოსისათვის იდეალის ხორცშესხმა ნიშნავს მის მიკუთვნებას სინამდვილისათვის, რომელიც იუდამ არასრულქმნილი და საზიანოა“.

„ოპალის“ ფანტასტიკურ სიუჟეტს იგავური აზრი აქვს, რომელშიც შეინახნება ადრეული რომანტიზმის კონცეფციის ელემენტები, მისი პოეტურ-ფილოსოფიური დებულებები. რაშია მისი არსი? ყოველი ადამიანის და, მაშასადამე, მთელი კაცობრიობის სიცოცხლე სამი ნაწილისაგან შედგება. აქედან გამომდინარე, ზოგადსაკაცობრიო ისტორია — ეს „ტრიადაა“: პირველ საფეხურზე ადამიანი და ბუნება თანაარსებობენ პირველყოფილ მდგომარეობაში და სუფევს სულსა და მატერიის, მიწისა და ცის ჰარმონია. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ადამიანის ბავშვობა და კაცობრიობის არსებობის ოქროს საუკუნე. ხშირად უმაღლესი იდეის მატარებლად გვევლინებიან ბავშვები და ასინი, ვისაც არ შეხებია ცივილიზაციის მსახვრალი ხელი. რომანტიკოსები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამის შემდეგ ადამიანი ადიოდა თავისი არსებობის მეორე საფეხურზე, სადაც ხდებოდა მისი „გაველურება“ პროგრესისა და ტექნიკური ცივილიზაციის გავლენით. ამ დროს მოქმედებდა მხოლოდ გონება და არა გული. მიუხედავად ამისა, რომანტიკოსები ამ დაცემას ყველაფრის დასასრულად არ ოვლიდნენ, რადგან იყო კიდევ მესამე საფეხურიც. მასზე ასვლისას ადამიანი უერთდებოდა ახალ სამყაროს — იქ გადაწყდებოდა მისი ყველა პრობლემა, რთული იქცეოდა მარტივად, ისტორია შეწყვეტდა სვლას; შესაძლებელი იქნებოდა ინდივიდუალური არსებობის მძიმე უღლის გადაგდება, დრო გაჩერდებოდა და გამეფდებოდა მარადისობა.

სწორედ ამ ფილოსოფიურ იდეათა ანარეკლს ვაკვირდებით ი. კირევესკის აღნიშნულ მოთხრობაში. ძლევაშოსილ მეფე ნურედიჩს ხელში ეპყრა ხმალი ოვისი და ფიქრობდა, რომ ბედიც ასევე ემორჩილებოდა მას. ის შეცდა. პატარა ოპალში იქნა ჩამწყვდეული მისი დიდების ვარსკვლავი, მეფემ კი დაკარგა იგი. მან განვლო „ოქროს საუკუნეც“ და „გაველურებაც“, ე. ი. ორი საფეხური, ძაგრამ არ ჩავარდა სასოწარკვეთილებაში, ვინაიდან იგემა ნაყოფი არამიწიერი სამოთხის ბაღიდან და იწამა, რომ „ამაოებაა ყველა ამქვეყნიური სიამე! ამაოებაა ყველაფერი, რაც აცდუნებს ადამიანის სურვილს, და, რაც უფრო მიმზიდველია იგი, მით უფრო ნაკლებად ჭეშმარიტია, მით უფრო ამაოებაა!.. სიცრუეა ყველაფერი მშვენიერი, და რაც უფრო მშვენიერია, მით უფრო ცბიერია, რადგან ყველაფერზე ძვირფასი ამქვეყნად ოცნებაა“.

„ოპალის“ ერთ-ერთი ძირითადი თემაა მუსიკა. მუსიკა ყველგან და ყველაფერშია. ბეთპოვენის ძალუში შემართება გვესმის ჩანჩქერის უარდნის ხმაურში, ბახის პრელუდიებისა და ფუგების მრავალხმოვანება — გაღვიძებულ

ტყეში, ნაკადულის ჩუხჩუხს გესურს შევუხმატკბილოთ შობენის ვალის მე-  
ლოდია; ბოლში გახვეული ვულკანის თავზე ვჭვრეტთ პავანის ფიგურას...  
მუსიკა არსებობდა ყოველთვის და იარსებებს მარად, რა თქმა უნდა, საუბარია  
კლასიკურ მუსიკაზე, ჭეშმარიტ მუსიკაზე და არა მის დაბნობილ მსგავსე-  
ბებზე.

რომანტიკოსები აღიქვამდნენ მუსიკას, როგორც სულიერი საწყისის გა-  
მოვლენას, მათ პროზაში, პოეზიაში ვერ იპოვიან სიტყვას, რომელიც უხეშად  
ხედება ყურს. მუსიკა მათ წარმოედგინათ ყველაზე რომანტიკულ ხელოვნებად,  
რადგანაც ის უშუალოდ გარემომცველ სამყაროს კი არ უკავშირდებოდა, არა-  
მედ გამოხატავდა ადამიანის სწრაფვას უცნობის, მშვენიერისა და უსასრულო-  
საკენ. პოეტმა და რომანტიზმის თეორეტიკოსმა ალფონს დე ლამარტინმა დაად-  
გინა უმნიშვნელოვანესი კავშირი მუსიკასა და პოეზიას შორის. აქედან გამომ-  
დინარეობს მისი განსაკუთრებული ყურადღება „პარმონიის“ ცნების დამუშა-  
ვებისა და მუსიკალურ-პოეტური რითმისადმი. აგრეთვე ხელოვნების ამ  
ორივე სახისათვის დამახასიათებელ გრძნობათა აღმაფრენისადმი, რომელშიც  
ლამარტინი ჭვრეტდა ღვთაებრივ საწყისს.

„განმანათლებლობის ეპოქის ესთეტიკისაგან განსხვავებით, რომელიც მუ-  
სიკის სფეროს ზღუდავდა გრძნობებისა და ემოციების გამოხატვით, რომანტი-  
კოსები მუსიკაში ხედავენ უპირველეს ყოვლისა, — სამყაროს შეცნობის თავი-  
სებურ ხერხს“.<sup>8</sup> ენის სამდიდრის მიუხედავად, სიტყვას ყოველთვის არ და-  
ლუძს გამოხატოს ღრმა განცდა და აზრი, მუსიკა კი იდეალური ენაა, მისი დაბ-  
ნარებით სული იძენს სიმშვიდეს, ამყარებს კავშირს უმაღლეს რეალობასთან.  
რომანტიზმის ეპოქამ გააცოცხლა პითაგორის სწავლება „სფეროების მუსიკა-  
ზე“, რომლის მიხედვითაც, „ციური სხეულები თავისი მოძრაობით გამოსცემენ  
მუსიკას, მაგრამ ჩვენ ისინი არ გვესმის. შეიძლება იმიტომ, რომ ეს პარმონია  
ავისი სიდიდით გვახშობს ჩვენ, ან იმიტომ, რომ ჩვენ შთავინთქმებით მის მი-  
ერ; ის ჩვენშია, მაგრამ მგრძნობელობა ხელს გვიშლის გავიგოთ იგი“.<sup>9</sup>

აი ამ, არცთუ ისე მარტივი მსჯელობების სისტემას, თუმცა გადამუშავ-  
ბულს, თავისებურად ორიგინალურსა და სახეშეცვლილს, ჩვენ ვაკვირდებით  
„ოპალში“.

ოპალის მეშვეობით ნურედინი მოხვდა ჯადოსნურ პლანეტაზე. „აქ ყველა-  
ფერი იყო უცნაური და ჯერ არჩახული“. თვით უცნობი სამყაროს აღწერა შე-  
იცავდა ბევრ ელემენტს, რაც დამახასიათებელია „სხვა სამყაროს“ ზოგადრო-  
მანტიკული ტიპისათვის. მისი ატრიბუტია არა მხოლოდ თვალისმომჭრელი  
პრწყინვალება (სასახლეები, ძვირფასი ქვების მთები, ოქროს ზოდები), არამედ  
ერთიანობაც: სულისა და მატერიის, ბუნებისა და ხელოვნების. ეს მოტივები  
ექტ-ნაკლები სიმდიერით განვითარებულია რუსი და დასავლეთეუროპელი ავ-  
ტორების მიერ ბევრ ნაწარმოებში — ჰაიფანის პროზაში, ვ. ფ. ოდოევსკის  
„სილფიდაში“, ი. ა. პოლევოის „სიგივის ნეტარებასა“ და გოგოლის „ვიიში“.

ნურედინი განცვიფრებულია პლანეტაზე მოსმენილი მუსიკით და იმით,  
რომ მუსიკა წვიმაცაა, ჭექა-ქუხილიც, მზეც. „მას შეუყვარდა ეს მუსიკა ისე,  
ითქოს ის ხმა კი არ იყო, არამედ ცოცხალი ქმნილება, არსება სულითა და  
სახით“. მისი სული შეუერთდა ამ ხმებს და გმირმა უშეცდომოდ ამოიცნო  
მშვენიერ ქალწულში ის მუსიკა, რომელიც ბუნქებიდან უხმობდა. სიტყვებმა  
აზრი დაკარგა, ისინი ღვთაებრივმა ბგერებმა შეცვალა და „ხშირად“, ბრძო-

ლის ქარცეცხლში, სირიის მეფე ჩაფიქრდებოდა თავის ბეჭედზე და შუა ომში რჩებოდა გულგრილ მაყურებლად“.

მუსიკის კულტი კირეევსკისთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქალურობის კულტთან. ეს არ არის შემთხვევითი... ქალი შეყვარებულია ერთგულიც მორცხვად ხრის თავს; იგი ცოლია, რომელიც ერთგულია მკვლელისა და შეგობარია, რომელიც არასოდეს მიაყენებს შეურაცხყოფას წმინდა, მგაობრულ ურთიერთობას შაბაღლი ფიქრებით და, საბოლოოდ, ქალი დედაა, რა უნდა იყოს ჩვილის აკვანზე დახრილ დედაზე უფრო მშვენიერი?! მაგრამ, იყო ქალი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, იყო ქალური. ნოვალისის ადრეულ მოთხრობებსა და იმდროინდელ ფილოსოფიაში ბატონობდა აზრი, რომ ქალურობა ყველაფრის საწყისია, რეალურ ცხოვრებაში კი ცოტა თუ მოიძებნებოდა ქალი, რომელშიც რომანტიკოსი დაინახავდა თავის იდეალს და იწამებდა მას. მაგალითად, ნოვალისის ნაზიდ უყვარდა 15 წლის სოფიო კიუხი და ტრაგეკულად განიცადა მისი გარდაცვალება. ამ მომენტიდან ღრმად და გულწრფელად მორწმუნე პოეტმა და აწყო ოცნება შეყვარებულთან „სხვა“ სამყაროში შეხვედრაზე. რეალური სოფიო კიუხი ჩვეულებრივი ვიგონა იყო, მაგრამ ნოვალისი მოხიბლა მისმა ყმაწვილურმა უშუალობამ და სილიამაზემ. მის მხატვრულ ცნობიერებაში ქალიშვილის სახე იქცა სიყვარულისა და სიცოცხლის, მშვენიერებისა და სიბრძნის სიმბოლოდ.

კირეევსკის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის გზითაა შესაძლებელი „ქვეყნიერების სულის“ შეცნობა. „ოქალში“ მშვენიერი ქალწული, რომელიც განასახიერებს იდეალურ სამყაროს, ატარებს მზის მუსიკის სახელს. ნურედინმა მაშინვე იცნო იგი, იგრძნო სწრაფვა მისკენ და დარწმუნდა, რომ სწორედ ესაა ის იდეალი, რომელზედაც ფარულად ოცნებობდა.

თავისი მოთხრობით ავტორი უარყოფს სიმდიდრეს, ძალაუფლებას, სახელს — ყველაფერს, რასაც ფასი აქვს რეალურ სამყაროში. მაგრამ ეჭვქვეშაა დაყენებული ნურედინის რომანტიკული განცდებიც ირეალურ სამყაროზე. იმ ღრის, როდესაც ის „გრძნობათა უწყვეტ ტკბობას“ და „გულიმდირ მოძრაობათა მუსიკალურობას“ მიეცემოდა ხოლმე, მისი ქვეყანა უძღურდებოდა სიმღერებისგან, ღარიბები იტანჯებოდნენ, ბოროტება მეფობდა სიკეთეზე, და, საბოლოოდ, ნურედინმა აკოცა მუსიკას, აკოცა და დაკარგა კიდევ ოპალი, მასთან ერთად კი იდეალურ სამყაროში შესვლის უფლებაც.

„ოქალის“ ავტორს ყველაფერი დამორჩილებული აქვს რომანტიზმის პრინციპებისადმი, რომლის თანახმადაც, „აზრები იქცევა განონად, ხილი სურვილი — იმავე სურვილის ახდენად“.<sup>10</sup> შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ლავრანოვით ი. კირეევსკი აღმოჩნდა სლავოაზიოფილური დოქტრინის შემქმნელთა რიცხვში. ამიტომ მის გვიანდელ შემოქმედებაში „მაგიური იდეალიზმი“ რომანტიკოსთა ფილოსოფიური სულისკვეთებით გადაიზარდა მატერიალურ უტოპიზმში.

ოცნებით ამ ზედმეტ გატაცებას უპირისპირდება პოფმანის რომანტიკული ხილუანი, რომლის გავლენაც განიცადა ი. კირეევსკიმ. მაგრამ გერმანულ რომანტიკოსთან ოცნების უძღურება იწვევს ირონიას, დაცინვას. ოცნება იმსხვერვეა უხეში რეალობის შეტევით, ამიტომაც პოფმანის იუძორი ყოველთვის მწუხარე ფერებშია. პოფმანის შემოქმედებითი მეთოდის ეს თავისებურება აღნიშნა ახალგაზრდა ა. ი. გერცენმა: „მას აქვს იუძორი მსახიობისა, რომელიც თავისი ელდორადოდან უცებ ენარცხება მიწას, — მსახიობისა, რომელიც ოც-

ნებებს შორის ძლივს ამჩნევს, რომ მისი გალაყაა — ქვის ნატყესაა ოდენ, — მსახიობისა, რომელსაც ალტაცების წუთში ცოლი ფულს სობოვს ბავშვები-  
 ზათვის ფენსაცმლის საყიდლად“.<sup>11</sup> როგორ არ შეესაბამება ეს მიღუჭულობა  
 „ოპალის“ ნათელ ფერებს. ნურედინის ოცნებებიც გათელა სინამდვილემ: ყოვე-  
 ლისშემძლე შბრძანებლიდან ის გადაიქცა მონად, მაგრამ მისთვის შანსე უფრო  
 ძვირფასი იყო სწორედ ის, რომ შეეხი არამიწიერ ბედნიერებას. ჭეშმარიტა  
 ნეტარება ოცნებაშია, თვით მისკენ სწრაფვის პროცესია საიცრება. ამრიგად,  
 კარვეესკის სწამდა, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი ნათელი,  
 თუნდაც აუხდენელი ოცნება, რომლის წინაშე ქვეყნიურების მთელი სიმდიდ-  
 რე — მტვერი და არარაობაა.

„ოპალში“ ჩვენ გვესმის პლატონის „ანამნეზის“ (მოგონება) ნითოლოგი-  
 ის გამოძახილი. ნურედინი ქალწულის ხმაში, „მის ყოველ სიტყვაში პოუ-  
 ლობდა რაღაცა ახალს სულისათვის, თუნდაც ყველაფერი ეს იყო სიცოცხლის-  
 წინა ბედნიერი მოგონების მსგავსი“. პლატონის ფილოსოფია მითხრობაში  
 აისახა ადამიანის სულის „ზღვარსიქითა“ წარმოშობის იდეაში. აღსანიშნავია,  
 რომ რომანტიზმის ხელოვნებასა და ესთეტიკაში ამ მისტიკურმა კონცეფციამ  
 თავისებური გამოხატულება პპოვა.

საინტერესოა ის ცვლილებები, რომლებიც შეიტანა ი. კარვეესკიმ „ჯა-  
 დოსნური ზღაპრის“ ახალ ეარიანტში. მან გააძლიერა ფოლკლორული კო-  
 ლორიტი. თუ მუსიკის სასახლის აღწერისას ჭარბობდა ბრწყინვალეებისა და  
 ძატერიალური (და არა სულიერი) სილამაზის ნიშან-თვისებები, მეორე რე-  
 დაქციაში „იგუნდის სასახლე“ „ღრუბლის სასახლედ“ იქცა, ე. ი. ოცნება  
 უფრო მოუწვდომელი გახდა.

მითხრობის გამოქვეყნებამ კრიტიკოსთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამო-  
 აწვია. „მოსკოვის ტელეგრაფი“ აღნიშნავდა ავტორის მიერ ნაწარმოების თე-  
 მატიკის ზედმეტ გართულებას: „ვფიქრობთ ავტორმა გადააჭარბა. ჯადოსნობას,  
 მართალია, საზღვარი არა აქვს, მაგრამ ხომ არის დახვეწილობის კანონი, რო-  
 ნელიც არ იძლევა უფლებას გამონავონისაგან ისეთი წყვილიადის შექმნისა, სა-  
 დაც იკარგება მკითხველისა და ავტორის წარმოსახვა“.<sup>12</sup> „მითქმა-მითქმის“  
 რეცენზენტი კი თანაგრძნობით გამოეხმაურა „ოპალს“, რადგან დაინახა მისი  
 „ითავარი ღირსება“ „მაღალ გაკვეთილში, რომელიც ხდება პირდაპირ გულს  
 აღმოსაფლური ქარაგმების ბროლის პრიზმის გავლით“.<sup>13</sup> „რუსი ინვალიდის  
 ლიტერატურული დამატებანი“ საუკეთესო ნაწარმოებთა შორის ასახვლებდა  
 „ი. კ.-ს ჯადოსნურ ზღაპარს, რომელიც აღსავსეა ბრწყინვალე წარმოსახვით,  
 პოეზიის გრძნობითა და მახვილი ალეგორიით“.<sup>14</sup>

ამ „უწყინარ ნაწარმოებში ალეგორია თითქოს არც უნდა შეენიშნათ. უც-  
 ნაურიია, რომ „ჯადოსნური ზღაპარი“ ცენზურულ სირთულეებს წააწყდა და  
 განიცადა ცვლილებანი. ზღაპრის გმირი უარყოფდა სიმდიდრეს, გამარჯვებას,  
 სახელს, თვლიდა მათ უაზრობად და სიცრუედ. თანამედროვენი ამას აღიქ-  
 ვამდნენ პოლემიკად იმპერიული სიმდიდრის იდეასთ.

მართლაც, სავსებით შესაძლებელია, რომ ავტორი მიზნად ისახავდა მმარ-  
 თველი კასტის გამთავრებას. თუმცა, საწყენია, რომ კრიტიკოსებმა მხოლოდ  
 ეს დაინახეს, ყურადღება მიაქციეს ნაწარმოების მხოლოდ კარგვან, პრაქტი-  
 კულ სარგებლობას და თითქოს ვერც შეამჩნიეს საიცარი სულიერი აღმაფრე-  
 ნა, სიმსუბუქე, სურვილი თავდავიწყებისა და ოცნებისა, და, რაც, ჩვენი აზრით,  
 ყველაზე მნიშვნელოვანია, ვერ დაინახეს ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც ავ-

ტორმა დაუღვა მუსიკასა და ქალურობას; როგორღაც განზე დარჩა ი. კირევესკის მიერ ხმათა სამყაროს საოცარი აღქმა, ყველაზე მთავარი „ოპალში“ — ეს ავტორის მიერ ოცნების, მუსიკისა და ქალურობის კულტის მტკიცებაა.

იმისათვის, რომ მწერალი შეიცნო, არ არის საკმარისი მისი ერთი-ორი ნაწარმოების განხილვა. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, გავეცნოთ მცირე ნაწილს, რომელიც შედის ი. კირევესკის შემოქმედების მთლიან ორგანიზმში, ცოტათი ჩავსწვდით მის საიდუმლოებას, ე. ი. ვეზირთ ქვეყნიერების საიდუმლოებასაც. რუსი რომანტიკოსი აყენებდა არა მიწიერ, წვრილმან პრობლემებს, არამედ ცდილობდა, ჩასწვდომოდა აუხსნელს; სურდა, ჩაეხედა ადამიანის სულში, გაეთავისუფლებინა იგი სხეულებრივი გარსისაგან და გამოეტანა მზის სინათლეზე სულის სიღამაზე. ის ისწრაფვოდა, აეგო მომავლის სასახლე. ეპოვა იდეალური სამყარო, რომელსაც თავს შეაფარებდა რეალური ცხოვრებით გაწამებული ადამიანი.

მაგრამ ერთია თქმა, მეორე — ამ სურვილის ხორცშესხმა. მწერალმა გასიცადა დასავლეთევროპელი რომანტიკოსების გავლენა. ამ პერიოდში მეფობდა ნოვალისისა და ტიკის, ჰოფმანისა და შელინგის ფილოსოფიური თეორიები, რომლებიც არც თუ იშვიათად იქცეოდნენ მისტიკურ ბოდვად და უაზრობად. აღღვა პლატონის, პითაგორას, რუსოს უკვე დავიწყებას მიცემული გამოცხადებები. ძველი და ახალი შეერწყა ერთმანეთს და ეს სინთეზი ბადებდა მშვენიერებას ან სიმახინჯეს. ყველაზე თავისებური და რაული იყო გერმანელთა ფილოსოფია, არადა, სწორედ იგი შეადგენდა რომანტიზმის ფილოსოფიის საფუძველს. რუსი რომანტიკოსი გაიტაცა „კოლეგების“ ახალმა იდეებმა, მაგრამ მთლიანად ვერ შეუთვისა საშინელებებით აღსავსე მათს ოცნებებს. უკანასკნელთა ნაწარმოებებში თვით მშვენიერებას კომპარის ნიღაბი ჰქონდა, ყველაზე მხიარული არსებაც კი სიკვდილის ნიშნით იყო დაღდასმული.

ი. კირევესკის ფილოსოფიური მსჯელობანი წყაროსავით წმინდაა და მიმართულია არა ადამიანის დასაშინებლად, არამედ მის საკეთილდღეოდ. რუსი რომანტიკოსის ნაწარმოებში, რა თქმა უნდა, იგრძნობა სხვადასხვა თეორიების კვალი, მაგრამ ის შეცვლილია, არ არის გადატვირთული დამთრგუნველი სიმძიმით. მწერალს ბრძად არ გადაუღია სხვათა იდეები: მისაღებ თუ უარსაყოფ იუორიაზე მას ყოველთვის გააჩნდა თავისი აზრი. აქედან დასკვნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო არა თვითონ მოვლენა, არამედ მისი არსი, არა თვითონ ოცნება, იდეალი, — არამედ თვით პროცესი მისკენ სწრაფვისა.

ბოროტისა და კეთილის საიდუმლოს ჩაწვდომის შემდეგ მოთხრობის გმირები ირჩევენ სიკეთეს. რუსი რომანტიკოსი ცდის თავისი თეორიების ძაღას და ხატავს „იმქვეყნიურ“ სამოთხეს, თუმცა არ ავიწყდება თავისი თანამედროვე, წინააღმდეგობებით აღსავსე, ცხოვრება.

ი. ვ. კირევესკის ფილოსოფიური აზროვნების მიღწევაა: რუსული ფოლკლორის ძირითადი ელემენტების გამოყენება უბრალო ხალხის ბუნებრიობის, უშუალობის, სიკეთის წარმოსაჩენად; ოცნების გამოხატვა ქალწულის — მუსიკის სახით და ერთგულება ლოზუნგისადმი: „ყველაზე კარგი ამქვეყნად ოცნებაა“.

ამ პატარა ფანტასტიკური მოთხრობის, მისი თითქოსდა უბრალო სიუჟეტის ზღაპრული საოცრებების უკან დგას მნიშვნელოვანი ცდა სამყაროს საიდუმლოს ჩაწვდომისა, ეს კი თავისთავად ბევრს ნიშნავს. „Non multum multa“ („ცოტაში ბევრი“).

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ა. ი. გერცენი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, მოსკოვი, 1956 წ., გვ. 20.
2. ვ. მ. მარკოვიჩი, შესავალი სტატია, რომანტიზმის ეპოქის რუსული ფანტასტიკური პროზა — 1820—1840 წლები, მოსკოვი, 1990 წ., გვ. 5.
3. იქვე, გვ. 10.
4. ი. ვ. კირეევსკი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, მოსკოვი, 1911 წ., გვ. 221—226.
5. ი. ვ. კირეევსკი, რუსული სიტყვიერების მიმოხილვა, მოსკოვი, 1829 წ., გვ. 58.
6. კაიუს პლინიუს სეკუნდა, ნამარხი სხეულების საბუნებისმეტყველო ისტორია, თარგმნილი რუსულ ენაზე, ანბანური წესითა და შენიშვნებით, შევსებული ვ. სევერგინის შრომებით, მოსკოვი, 1819 წ., გვ. 240—242.
7. ვ. მ. მარკოვიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
8. ვ. ფ. ასმუხი, ფილოსოფიური რომანტიზმის მუსიკალური ესთეტიკა, თანამედროვე მუსიკა, № 1, 1934, გვ. 56.
9. მ. მელგუნოვი, რედაქცია „პითაგორასეული ფილოსოფიის მოკლე ისტორიაზე, ნაწილი XII, მოსკოვი, 1832 წ., გვ. 265.
10. რ. ჰაიში, რომანტიკული სკოლა: წვლილი გერმანული აზრის ისტორიაში, მოსკოვი, 1891 წ., გვ. 321.
11. ა. ი. გერცენი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, მოსკოვი, 1956 წ., გვ. 72.
12. მოსკოვის ტელეგრაფი, ნაწ. 55, მოსკოვი, 1834 წ., გვ. 182.
13. მოთქმა-მოთქმა, ნაწ. 7, № 1, მოსკოვი, 1834 წ., გვ. 13.
14. ლიტერატურული დამატებანი, № 28, მოსკოვი, 1934 წ.,





# სათუნა წულაქა

## მოკლე პროლოგი პროკლი სათაურით: აბსურდული მსჯელობა აბსურდის გრძნობაზე



„STOP — კადრები“, ფიქსაცია ბანალური ფრაზმენტები ბანალური ცხოვრების სურათიდან — უმოკლესი გზა აბსურდისაკენ

წყალი... მიწა და დედამიწა აკვარიუმს ემსგავსება თავისი ბინადრებით. პატარ-პატარა, ოქროსფერი თევზები დაცურავენ და არც ტყვეობას განიცდიან, არც დადღას და არც სიკვდილის შიშს. სხვადასხვა ზომის ნიჟარები, კქსებები და წყალმცენარეები, უფრო ინტერიერის დასამშვენებლად, ვიდრე თვითონ თევზებისათვის, ჩაუყრიათ აკვარიუმში და აქ ყველას თავის ნიჟარაში შეუძლია გამოიკეტოს დაძინებისას. ჩხუბის დროს კი ერთმანეთს კენჭები დაუშინონ. ერთი შეხედვით უენონი, ბევრის მოძამენნი, ერთმანეთზე ხელდებიან ცოფმორეულნი. წყალს შესძრავენ კუდთა დგაფუნით. კიდევ კარგი, უფრო დიდი სივრცე არა აქვთ, თორემ...

ნელა, ძალიან ნელა მივდივით. ვერ გადამეწყვიტა, სად წავსულიყავი. იქნებ სჯობს ასე უმიზნოდ ვიხეტივლო ქუჩებში, გამვლელ-გამომკვლელი შევათვალვიერო, ხოლო როცა სიარულით დავიღლები, შინ წავიდე და დავიძინო. იქნებ სასიამოვნო სიზმარი ვნახო და კარგ გუჩებაზე გამეღვიძოს. დღეც უფრო მზიარულად გაიყლის, თორემ ძალიან გაჭირდა დროის გაყვანა. რიდის დაღამდება! — შეიძლება მთელი დღე უსიამო ტვირთად გაწვეს და საათის ისრებზე მეტად შენ გეჩქარებოდეს დროის გარეკვა?! მაგრამ დრო გაჭყავით რაღაც გარკვეულ მომენტამდე, როცა რაღაცის იმედი აქვთ და ელიან ამ იმედს, — გარკვეულს თუ გაურკვეველს, ოღონდ აუცილებლად კარგს და საამოს. მე კი უკიდევანო სიცარიელეს ვხედავ ჩემ წინ და მეშინია, ძალიან მეშინია. რა იქნება შემდეგში? უდაბნოშიც ხომ მოდის ხანდახან წვიმა. ხეთა ვარჯებით დაბურულად უღრანი ტყის ბნელსა და ნესტიან მიწასაც ხომ მისწვდება ხანდახან მზის სხივი და...

უსიცოცხლო გრძნობა ეუფლება ჩემს არსებას. უაზრობა გაცეებამდე მიდის და თვალვდაჭყეტილი მომშტერებია. ჩემი სხეული და სული ერთმანეთს აწვეს და ჭყლეტს, ოღონდ რომელი რომელს, არ ვიცი. ლოდინი შემზარავია. შემზარავია მომლოდინეს სახეც და ფიქრიც. ორთავე გაყინულია და უსული. უღრობაა ყველაფრის თავი და თავი. ცოტა ხნით მაინც მოვიცალოთ და გავუყვით გზას. გზა ძალიან გრძელია და სვენებ-სვენებით უნდა ვიაროთ. დამძიმება მელოდება და...

## თავი პირველი სათაურით:

?...!

რატომ ხდება უფრო და უფრო აუტანელი ის, რაც აქამდე ასატანი გვეჩვენებოდა. ტვირთი დამძიმდა თუ ჩვენ დავსუსტდით? თუ მიზეზი მოჩვენებაა და როცა ქრება მოჩვენება, ჩვენ ვიტანჯებით, რადგანაც ვერ ვპოულობთ საერთო ენას სინამდვილესთან. თუმცე ეს სამყარო მოჩვენებითია. მასში ცხოვრება აო-

ლია, თუ დაიჯერებ, რომ ნამდვილია. ნებისმიერი ტყუილი შეიძლება სიმართლედ იქცეს, სიმართლე ტყუილად, მთავარია ჩვენვე გვჯეროდეს. თუკი ილუზიონისტს ტაშს ვუკრავთ და თანაც საოცრად კმაყოფილნი ვართ, რომ მოგვაცხუეს, ხომ შეიძლება, იგივე ფოკუსებით ჩვენვე გავერთოთ. მთავარია, ისტატურად შევისწავლოთ ყველა ილუთი, მთავარია ყველაფერი ისე შევხედოთ, საკუთარ სულში, რომ ჩვენი „ეგო“ ვერაფერს მიხვდეს. მთავარია დაუთრგუსოთ ქვემარტი „მე“, რომელიც ყოველთვის უდროოდ წამოყოფს თავს და ჩვენი ტანჯვის მიზეზი ხდება. სინამდვილის ენა უცხო ენაა, რადგანაც მას ჩვენ „ეგოს“ ყურებით ვუსმენთ. „ეგოს“ კი მხოლოდ არანამდვილი ესმის, ის, რაც ყალბია, მოჩვენება, რადგანაც თვითონვე არას მოჩვენება, სიყალბე, ტყუილი.

როგორ მოიქცეს ადამიანი, როგორ იცხოვროს, როგორ დაიხსნას თავისი „მე“? ადამიანის არსებობა, — ექსისტენცია, — გახდა პრობლემა ჩვენს ურთულეს საუკუნეში. ტექნიკისა და მეცნიერული პროგრესის საუკუნეში. რა მოუტანა ამ პროგრესმა კაცობრიობას? უფრო მეტი უბედურება, — სხვა არაფერი. ახლა უფრო პროგრესულად კლავენ ერთმანეთს, მეტი სისწრაფით. ტარანტოსა ზეიმობს ადამიანის სულში, ეროსი კი დაკარგულია. ჩვენ ხომ ისედაც ვერ აცდებით ამ ტარანტოსს, მაშ რატომღა მივექანებით მისკენ ასეთი თავბრუდამხვევი ტემპით? იმიტომ, რომ ურპით მგზავრობას თვითმფრინავით მგზავრობა გვიჯობს, კომფორტულ ცხოვრებას ვამჯობინებთ ხანგრძლივ ცხოვრებას, რადგანაც მან ჩვენს თვალში ფასი დაკარგა, არაფერად გვიღირს.

უმაღლესი ექსცენტრულობა... გრძნობების უქონლობა... პანაშვილები და ქორწილები, უფრო პანაშვილები. ყველაფერი არარაობა და ყველაფერი უგრძნობი. სულდგმულებს სული არ უდგათ. მანქანები მიდიან და მოდიან. შემდეგ ჩერდებიან, შემდეგ მიდიან და ასე უსასრულოდ. ჩვენ ურთულესი რობოტები ვართ და... ირგვლივ ისეთი ქაოსია, დედა შვილს ვერ სცნობს, უცხო გახდა მთელი სამყარო. ჩემი შეკითხვა: „მე ვარ“? — გაუზიარებელი სიყვარულივით პასუხს ვლის, მაგრამ ზოგიერთისათვის მხოლოდ „ვარ“ და მეტი არაფერი, ზოგიერთისთვის ვარ „ვიღაც ის“, ზოგიერთისთვის „დიდი არაფერი“, უმრავლესობისათვის კი საერთოდ „არა ვარ“. თქვენ რო გიყურებთ, შიში მიპყრობს, ეინა ვარ მე? უცხო უცხოთა შორის, მარტოსული-მარტოსულებში. მე პასუხს ვვლა. ისევე როგორც ათასობით სხვა ჩემნაირი. ოჰ... უკაცრავად... არასწორად ვთქვი. სხვა ჩემნაირი არაფინაა. ამ უზარმაზარ სამყაროში მე შემიძლია ვიამაყო მხოლოდ და მხოლოდ ჩემი არსებით. თითოეული ჩვენთაგანის არსება წარმოადგენს იმ ერთადერთ ორიგინალს, რომელიც კოპირებას არ ექვემდებარება და ამიტომაც „ყალბ მონეტად“ ვერავინ გვაქცევს.

მე-20 ს-ის დასაწყისში წარმოშობილმა ფილოსოფიურმა მოძღვრებამ ეგზისტენციალიზმმა — სამყაროს ცენტრში ადამიანი დააყენა, თუმცა, პოლ კალერის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „სამყარო აღარც ყველაფერია და აღარც ცენტრი, მაგრამ მაინც სამყაროზე ლაპარაკობენ“. ეგზისტენციალისტები სამყაროზე ლაპარაკობენ, ოღონდ არა სამყაროს გარეშე, არამედ მასთან მიმართებაში, მათთვის მიუღებელია აზრი „აბსოლუტური გონის“ მიერ ყველაფრის წინასწარ განსაზღვრულობისა და უცვლელობის შესახებ. ეგზისტენციალისტების სხვადასხვა წარმომადგენლები (პაიდეგერი, სარტრი, იასპერსი, მარსელი, კამიუ და სხვა) თუმცა ზოგიერთ პუნქტში არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, ძირითად საკითხებში მაინც ერთსულოვნებას გამოხატავდნენ.

ალბერ კამიუ, ეგზისტენციალიზმის სხვა დანარჩენი წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ყველაზე მიტად დაშორდა ეგზისტენციალიზმს თავისი მოძ-

ღვრებით აბსურდის შესახებ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოგვიანებით კამიუ საერთოდ აღარც თვლიდა თავს ეგზისტენციალისტად.

თეორიულ ნაშრომში „სიზიფეს მითი. ესე აბსურდას შესახებ“ — კამიუ მსჯელობს და ეს მსჯელობა შეეხება არა აბსურდის ფილანტროპიულ-რომელიც, მისი აზრით, უცნობია თავისი თანამედროვეებისათვის, არამედ აბსურდას გრძნობას, რომელიც ჩვენს საუკუნეში ყველგან შეიმჩნევა.

ღლე ენაცვლება ღამეს, სიზმარი ენაცვლება ცხადს, სიცოცხლე ენაცვლება სიკვდილს, სიკეთე და ბოროტება კი უცვლელი რჩება. ძალიან, ძალიან დიდა ხნის წინათ ჩვენ ვისწავლეთ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა მხოლოდ იმიტომ, რომ „ვიცოდეთ“, რათა „უვიცი“ ღონ-კიხოტეით არ ვებრძოდით ქარის წიქვლებს. რა მოუტანა ამ „ცოდნამ“ კაცობრიობას? „სულ ერთი და იგივე, ერთა და იგივე, სულ idem per idem... ისევ და ისევ გუშინდელი, გაცხელებული კერძი“ (სიორენ კირკეგორი). ჩვენ არც სამყაროს დასაწყისი ვიცით და არც დასასრული. არ ვიცით საიდან მოვდივართ და საით მივდივართ. ჩვენ საერთოდ არაფერი ვიცით და არც შეიძლება ვიცოდეთ, რადგანაც „ცოდნა“ ყველაზე მაცდური ილუზიაა ილუზიათა შორის. სასაცილოა მისი საშუალებით ჭეშმარიტების ძიება, მაშინ როდესაც, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რა არის ჭეშმარიტება. იქნებ, „ჭეშმარიტება — ეს სიგიჟეა!“ (კამიუ). ჩვენ გადავღებულები ვართ სამყაროში, რომლის არსსაც „არაფერი“ წარმოადგენს. „არაფერი კი სარკეა, რომელშიც აისახება სამყარო“ (ე. შ. რემარკი). და ისღა დაგვრჩენია, ჩავიხედოთ ამ სარკეში, სადაც ხათლად დავინახავთ ჩვენი არსებობის აბსურდულობას.

სამყარო თავისთავად სრულყოფილია. სრულყოფილი იბადება ადამიანიც, დისჰარმონია შემდეგ წარმოიქმნება, როცა მათ შუა ცნობიერება ღვება. კამიუ ზუსტად განსაზღვრავს აბსურდს. იგი ცალკე არც სამყაროშია და არც ადამიანში და მხოლოდ მათი ურთიერთშეჯახებისას წამოყოფს თავს. ჩვენ სწორედ ამ „ავარიულ“ მდგომარეობაში ვიმყოფებით და ამიტომაც დავკარგეთ სულის სიმშვიდე. მისხლოდნელი კატასტროფა ძილს გვიფრთხობს და შიშჩამდგარს თვალებით მხოლოდ სიკვდილის კარიბჭეს ვხედავთ. სარტრის გულზიდვა, კირკეგორის სასოწარკვეთა, ჰაიდეგერის ძრწოლა, კამიუს აბსურდი... მხოლოდ და მხოლოდ იმ გაუგებრობის შედეგია, ჩვენსა და სამყაროს შორის რომ წარმოიქმნება და ეს იმიტომ, რომ ჩვენს ელჩს — გონებას — სიამოვნებს წინ და უკან სირბილი და ორმხრივი თამაში. დიას, ის თამაშობს, მაშინ, როდესაც ჩვენ არაქათგამოცლილები პასუხს ველოდებით. თუთრ დროშას კი არაეინ აფრიალებს.

ადამიანი, ისევე როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ბუნების შვილია, მისი ხორცი ხორცთაგანია და როდესაც ჩვენი გონება იძულებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუკი ღომი ცხოველთა მეფეა, მაშინ ადამიანი გვირგვინის ვარეშე რჩება, გაფუფულმა თავისი ცოდნით, არც მეტი არც ნაკლები, თავი სამყაროს მბრძანებლად გამოაცხადა. გონების ძალა და მუშტის ძალა, თუ ერთად არა, ცალ-ცალკე მაინც აკეთებდა თავის საქმეს და ამ ჩვენს პატარა დედამიწას ბურთავით ხან ერთ კარებში შეაგდებდნენ, ხან მეორეში. ცის საუფლოსკენ აღიმართა ჯიუტი მზერა: დედამიწა დალაშქრულია, ახლა ცა უნდა დაილაშქროს. ამბობენ, თითქოს, ღმერთმა შექმნა ადამიანი. იმასაც ამბობენ, რომ ადამიანმა შექმნა ღმერთი. ილაპარაკონ... იქნებ ბავშვები შეიქციონ ამ ნაამბობით. მითები და არაკები წარსულს ჩაბარდნენ. თანამედროვე ადამიანებს უფრო დიდა საქმენი ელთ. ამბობენ, რომ ღმერთმა შემუსრა ადამიანი. იმასაც ამბობ

ბენ, რომ ადამიანმა შემუსრა ღმერთი. ილაპარაკონ ეს იგავი სულაც არ გახლავთ, თანადროული პრობლემაა, ისეთივე თანადროული, როგორც სიკვდილი. „სიკვდილისა და ფერის შესახებ ჩვენ მსჯელობა არ შეგვაძლია“ ამბობს კამიუ. მართლაცდა რა შეიძლება ითქვას ფერის შესახებ? რა არის ფერი? პოლ ვალერიის აზრით, „საგნის ფერი არის ისეთი ფერი, რომელსაც მის ყველაზე მეტად უარყოფს და რომლის ასიმილირებაც არ შეუძლია. საგნები მხოლოდ იმას გადასცემენ ჩვენს გრძნობებს, რასაც თავად უკუაგდებენ. სწორედ ამ უკუაგდებულ თვისებათა მიხედვით შევიცნობთ მათ“. და მართლაც, განა ჩვენი დაბადება არ გულისხმობს იმას, რომ ოდესღაც უნდა მოვკვდეთ? განა სიცოცხლე არ შეიცავს სიკვდილის მარცვალს? ის ხელ-ნელა იზრდება, მწიფდება და საბოლოოდ საზარელი სიკვდილი ხდება. და თუ მაინც ჩვენ მას სიცოცხლეს ვუწოდებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ უხედავთ იმას, რაც ხედაპირზეა, სიღრმეში წვედომის უნარი კი არ გაგუაჩნია. სიცოცხლე მალავს სიკვდილს, ის მისი დაფარული ნაწილია, მისი საიდუმლოა. მაგრამ ბუნებაში ხომ ცალმხრივი არაფერია: თუკი სიცოცხლე თავის ჩანასახში შეიცავს სიკვდილს, მაშინ სიკვდილიც შობს საცოცხლეს. დღე ენაცვლება ღამეს და ღამე ენაცვლება დღეს. სიცოცხლე ვერ თმობს სიკვდილს და სიკვდილს უყვარს სიცოცხლე. დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო და მზე ველარ ათბობს ჩვენს გულს.

კამიუ, როგორც ეგზისტენციალისტი, ფილოსოფიის ცენტრალურ საკითხად აყენებს საკითხს ცხოვრების საზრისის შესახებ. ყოფნა-არყოფნის პრობლემა უპირველესია ყველა პრობლემათა შორის, რადგან არ არსებობს ადამიანი, რომელიც ადრე თუ გვიან ამ დილემის წინაშე არ აღმოჩნდეს. ამიტომ ეს პრობლემა უზოგადესია, რადგან ყველასია და თანაც საოცრად ინტიმური, რადგან თითოეული ჩვენთაგანის გადასაჭრელია. ყოფნა ან არყოფნა, პო ან არა. „პო“-ს ოქმა ნიშნავს მიიღო ეს ცხოვრება ისეთი, როგორიც არის, რადგანაც რაიმეს შეცვლა შეუძლებელია, ჩვენ საამისოდ ზედმეტად უხუსურნი ვართ. „არა“-ს ოქმა ნიშნავს გაქცევას ანუ თვითმკვლელობას, ან კიდევ „ნახტომის“ გაკეთებას მარადისობაში, რასაც კამიუ „ფილოსოფიურ თვითმკვლელობას“ უწოდებს. აქ მას მოჰყავს ფილოსოფოს-ეგზისტენციალისტების — კირკეგორის, იასპერსის, შესტოვის მაგალითები, რომლებიც, აღიარებენ რა სამყაროს აბსურდულობას, იმ წუთასვე მისგან გასაქცევ ვზას ეძებენ და საბოლოოდ ღმერთში ხედავენ ხსნას. მაგრამ „თუკი აბსურდი მართლაცდა არსებობს, წერს კამიუ — არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანურ სამყაროში, ხოლო იმ მომენტებიდან, როცა აბსურდის გაგება იქცევა ტრამპლინად მარადისობაში გადასასვლელად, ის კარგავს კავშირს ადამიანის გონების სიცხადესთან“. კამიუ პუსერლის ფენომენოლოგიურ მეთოდშიც იგივე „ფილოსოფიურ თვითმკვლელს“ ხედავს, ოღონდაც ტრამპლინის როლს რწმენა კი არ ასრულებს, არამედ აბსტრაქცია, რომელსაც საბოლოოდ „აბსოლუტური გონის“ აღიარებამდე მივყავართ. აბსურდულ ადამიანს კი ნათლად აქვს გაცნობიერებული თავისი გონების ფარდობითობა და მისი საზღვრები.

თვითმკვლელობის პრობლემაზე კამიუ ეგზისტენციალური პოზიციიდან განიხილავს, ე. ი. თვითმკვლელობას უკავშირებს არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს, არამედ ინდივიდის გადაწყვეტილებას: „ღიახ, ჩემი ბედის ბატონ-პატრონი კი არა, მხოლოდ ძაფი ვარ, ცხოვრების საერთო ქსოვილში ჩაწნული! მაგრამ თუ ქსოვა არა, ძაფის გადაჭრა მაინც ხომ შემიძლია“, — ფიქრობდა კირკეგორი და, ალბათ, ასევე ფიქრობს ყველა თვითმკვლელი, რომელსაც ავიწყდება, რომ „ადამიანისათვის ღირსახსოვარია მხოლოდ საბოლოო

მოვლენა: დაბადება, სიცოცხლე და სიკვდილი: ის ვერ გრძნობს დაბადებას, წამებით კვდება და ავიწყდება, რომ უნდა იცხოვროს“ (ჟან დე ლა ბრიუაერი). სისხლსავსე ცხოვრება კამიუსათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. „ცხოვრების ხელახლება“ კი ხელოვნების უმაღლესი რანგი. ადამიანსა უნდა იცხოვროს, რადგან ეს არის ერთადერთი რეალობა, რომელსაც ჩვენ ვუფლობთ. აბსურდული ადამიანისათვის არ არსებობს არც „ხვალ“ და არც „გუშინ“ — აბსურდის გიცნობიერებასთან ერთად იფასტება ყველა ილუზია. ის მთლიანად აწმყოს ეკუთვნის. მისი ცხოვრების გზაჯვარედინზე აღმართული გამაფრობილებელი წარწერა: „მარჯვნივ წახვალ, ინანებ, მარცხნივ წახვალ, მაინც ინანებ“ — იმის მაუწყებელია, რომ გზა უნდა განაგრძოს.

„სიზოფუს მითში“ კამიუს მსჯელობას, რომელსაც თავად აბსურდულს უწოდებს, წამძღვარებული აქვს ძველი ბერძენი პოეტის, პინდარეს ეპიგრამი: „სულა, ნუ ესწრაფვი მარადიულ ცხოვრებას, შეეცადე ამოწურო ის, რაც შესაძლებელია“. კამიუს ფილოსოფოსობაზე პრეტენზია სულაც არა აქვს და ამიტომაც ყველა ფილოსოფოსისათვის საყვარელ კითხვის ნიშანს ძახილის ნიშნით ცვლის და სამყაროს შეცნობის მაგივრად (რომელიც მას შეუძლებლად მიაჩნია), მის ჭერუტას გვთავაზობს. „Видеть и видеть земное — как можно забыть этот совет“. კამიუს შექმნილი ეთქვა: „მე ვარ კაცი მხედველი“ (ლათ.), რომელიც გრძნობს, რომ „არსებობს სხვა რაღაც და არა მართო ის, რასაც მე ვხედავ“ (ბლუზ პასკალი) — ცის უშორესი ვარსკვლავით, რომელიც თავისი ციმციმით თითქოს ცხადყოფს თავის არსებობას, ხოლო თავისი სიშორით მიუწვდომელს ხდის ჩვენთვის ამ არსებობის გაგებას. ამიტომაც არ დაპარაკობს კამიუ მასზე, რადგანაც მიაჩნია, რომ „რასაც ვერ ხედავ, იმაზე არ უნდა ილაპარაკო“ (ბლუზ პასკალი).

სარტრის აზრით, ადამიანი ქმნის თავის თავს არსებობაში და ამიტომაც მისი არსა არაფერია ამ არსებობის გარეშე. ადამიანი თავისი სურვილის მიხედვით ქმნის თავის თავს, მაგრამ, ჩემი აზრით, ის სახე, რომელიც მას სურს პქონდეს და რომელსაც იგი იღებს, სულაც არ არის მისი ნამდვილი სახე. ნებისმიერი ჩვენი ქმედება, რომელსაც ცვლილების სურვილი უდევს საფუძვლად, ნიღაბია და სხვა არაფერი, რადგანაც ყოველგვარი ცვლილება ზედაპირულია, მოჩვენებითი. არსი ყოველთვის უცვლელი რჩება. ჩვენ ნიღბების სამყაროში ვცხოვრობთ და მთელი ცხოვრება ნიღბების ცვლის მეტს არაფერს ვაკეთებთ. ყოველი ახალი ცხოვრებისეული სიტუაცია ახალ ნიღაბს გვთავაზობს და უფრო და უფრო მეტად გვავიწყებს ჩვენს ნამდვილ სახეს, უკუგდებულს მხოლოდ იმით, რომ ღვთიური არ იყოს. მაგრამ, თუკი „ადამიანი არც ანგელოზია და არც ცხოველი“, გამოდის, რომ იგი „გონებაშიუწვდომელი ურჩხულია“ (ბლუზ პასკალი).

„ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება“, — ბრძანა სარტრმა და ჩვენც ის და დავგრძენია. ეს სასჯელი „ბატონებივით“ მოვიხადოთ. კირკეგორის „ან-ან“ ეგზისტენციალიზმის ამოსავალ კრედოდ იქცა. ტყუილი ან სიმართლე, ილუზია ან რეალობა, სიცოცხლე ან სიკვდილი, კი ან არა. თავისუფალი არჩევანი გახდა ადამიანის თავისუფლების განმსაზღვრელი ფაქტორი. აბსურდის უპირატესობას კი ის წარმოადგენს, რომ მასში არცერთი მხარე არ ითრგუნება და ინარჩუნებს საწინააღმდეგო მხარეების წინააღმდეგობას, ე. ი. წარმოადგენს როგორც გამთიშავ, ისე შემაკავშირებელ ძალას და თავისი ბუნებით არც დადებითია და არც უარყოფითი.

კამიუ არ ახდენს არჩევანს, რადგან არჩევანის გაკეთება ნიშნავს უპირატე-

სობა მიაჩნო რომელიმე მხარეს, ე. ი. აღიარო, რომ ერთი უფრო მნიშვნელოვანია, უფრო ღირებულია, ვიდრე მეორე. მისთვის კი ყველაფერი ნივთიერებულად, იმის გამო, რომ ყველაფერი არაფრად იქცევა. ამიტომაც ყველაფერი ნებადართულია“. კამიუს „უცხო“ მთავარი პერსონაჟი, მერსო, ჟან-პოლ სარტრის დახასიათებით, „არც დონ-კიხოტია და არც დონ-ჟუახი, უფრო აბსურდულობის სანჩო პანსაა“. აბსურდული ადამიანისათვის არ არსებობს არანაირი მორალი, პრინციპები, რადგანაც მიაჩნია, რომ ყოველ საუკუნეს და ყოველ ქვეყანას თავისი მორალი გააჩნია, ისეთივე მსწრაფლწარმავალი, როგორც საუკუნეთა მონაცვლეობა და ისეთივე მრავალრიცხოვანი, როგორც ქვეყანათა მრავალფეროვნება. „ბერძნებს ჰქონდათ თავისუფალი დროის მორალი ზუსტად ისევე, როგორც ჩვენ ამჟამად გვაქვს რვასაათიანი სამუშაო დღის მორალი“ (კამიუ). მერსო ცხოვრობს საზოგადოებაში, რომელიც სწორედ ამ რვასაათიანი სამუშაო დღის მორალით ცხოვრობს. მაგრამ განსხვავებით საზოგადოებასაგან, რომელიც ამ მორალს დიდხულოვნების საბურველში ხეწვს და ყველანაირად ცდილობს, რომ სათნოების მორალად წარმოაჩინოს, მერსო გულწრფელია, არ ინიღბება და თამაშის საერთო წესში არ მონაწილეობს. იგი მხოლოდ სამყაროს პირისპირ დარჩენილი შეიგრძნობს თავის ცხოვრებას და ამიტომაც გაურბის საზოგადოებას, სადაც კი არ ცხოვრობს, არამედ ძლივს შესაძინევად „პულსირებს“. მერსოს განზრახვას სულაც არ წარმოადგენდა არაბის მოკვლა. იგი მხოლოდ შემთხვევითობის მსხვერპლია. მერსომ მზეს ესროლა, იერიში მიიტანა დასიცხული გონების წიაღში, რომლის სიმბოლოსაც შუადღის გავარვარებული მზე წარმოადგენს. მზე, რომელიც გადაბუგვით ემუქრება გონების მიერ შექმნილ ყოველ სურათ-ხატს.

მერსოს აპატიმრებენ არაბის მკვლელობისათვის და აღანაშაულებენ დედის დასაფლავებაზე გამოჩენილი გულგრილობისათვის. კამიუს მიერ დახატული სასამართლო პროცესი ანალოგიურია აბსურდული ცხოვრებისა, სადაც მერსო უდანაშაულოა იმ საზოგადოებასთან მიმართებაში, რომელიც მას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს. კამიუს მიაჩნია, რომ, თუკი რომელიმე ადამიანი ზის მართლმსაჯულების სკამზე, ზის არა იმიტომ, რომ იგი სხვა ადამიანებზე მეტად არის ამისი ღირსი, არამედ იმიტომ, რომ შემთხვევით მოხვდა აქ და ასეთივე შემთხვევის წყალობით შეიძლება მსაჯული ყოფილიყო.

თუკი გავითვალისწინებთ უბის წიგნაკში ჩანიშნულ კამიუს ოთხ პირობას, რომელიც მას ბედნიერების საწინდრად მიაჩნდა (1. ცხოვრება ბუნების წიაღში. 2. იყო საყვარელი. 3. უარი უნდა თქვა პატივმოყვარეობაზე. 4. შემოქმედება. მაშინ მერსოს სიტყვები, — რომ ის ბედნიერი იყო და ახლაც ბედნიერია, — საკმაოდ გულწრფელად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედების „აბსურდული სიხარული“ არ განუცდია.

ხანდახან წამი საუკუნეს გასტოლებია თავისი გრძობით. აზრის დაბადებას საუკუნე არ ჰყოფნის ზოგჯერ. გულისთქმას ვენდოთ თუ გონებას? გონება ცივი, ცივი, სულ ეჭვებშია: ასე თუ ისე, ჯო თუ არა, — და მაინც რა? არაფერი არაფრის გამო ცივი გონებას მარწუხებში მოუქცევია, სასწორზეა შეგდებული მთელი ცხოვრება აიწონა-დაიწონასთვის. აბსურდული ადამიანი კი არ ირჩევს, არამედ ღებულობს და შეიგრძნობს ამ მიღებულს. გრძობადი აღქმა მისი ცხოვრების წესია, ხოლო შემოქმედება ამ განცდილის გადმოცემის საუკეთესო საშუალება. „შემოქმედება ასახავს იმ მომენტს, როდესაც მსჯელობა წყდება და ზედაპირზე ამოიფრქვევიან აბსურდული ვნებები“ (კამიუ). კამიუ აბსურდულ შემოქმედებას იგივე მოთხოვნებს უყენებს, რასაც აბსურდულ აზროვნებას უყენ-

ნება. ეს არის — ამბოხი, თავისუფლება და მრავალსახეობა. აქედან გამომდინარეობს შემოქმედების სრული უშედეგობა. ხელოვნების ნაწარმოები არც არაფერს უხსნის მკითხველს და არც რაიმე გამოხატავს სთავაზობს. ის მხოლოდ აღწერილია დაკავებული, ის მხოლოდ ხატავს ქვიშაზე და ეს ნახატა ზღვის ყოველმა მოქცევამ შეიძლება უკვალოდ წაშალოს. ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია და მათ შორის ხელოვნების ნაწარმოებიც. *ნიცშე*

კამიუს აბსურდული გმირების, — დონ-ჟუანის, კომედიანტის, დამპყრობელისა და შემოქმედის მთავარი ღირსება მათი სიცოცხლისუნარიანობაა. მათ უყვართ სიცოცხლე, იმიტომ რომ არ უყვართ სიკვდილი. ისინი სხეულის თითოეული უჯრედით შეიგრძნობენ სამყაროს სუნთქვას. ახალი ქალი, ახალი როლი, ახალი მონაპოვარი, ახალი ქმნილება... რადგანაც „მთავარია არა მუდმივი ცხოვრება, არამედ მუდმივი სიცოცხლისუნარიანობა“ (ნიცშე), ეს უნარი კი მათ ნამდვილად გააჩნიათ.

აღსანიშნავია, რომ კამიუს მორწმუნე არ შეუყვანია აბსურდულ პერსონაჟთა სიაში, არადა რწმენა ხომ აბსურდთა შორის ყველაზე დიდი აბსურდია. რწმენა შეიძლება მხოლოდ იმის, რაც გონებას არ ექვემდებარება, რისი განსჯაცა და დასაბუთებაც არ შეიძლება, ე. ი. რაც აბსურდულია. ღმერთიც აბსურდულია, ოღონდ არა თავისთავად, არამედ ჩვენთვის, ადამიანებისათვის, რადგანაც არც მისი არსებობისა და არც არარსებობის დამამტკიცებელი საბუთები არ გაგვაჩნია. არაინტერპრეტირებადი, დაუმორჩილებელი, აუხსნელი. ღმერთი „ცნება“ კი არ არის, არამედ „სულია“ და მისი ხატი გონებამ კი არ უნდა შექმნას, არამედ სულმა. რწმენა სულის უნარია ისეთივე აბსურდული, როგორც გონების სურვილი, — მოუძებნოს ყველაფერს თავისი ახსნა, სადაც იგი მინის იმ ტიხარს აწყდება, რომლის იქით ყველაფერი ჩანს, მაგრამ ყველაფერი დახშულია.

კამიუს არა სწამს ღმერთი. რადგან ყოველივეს გაგება მას ადამიანური ტერმინებით შეუძლია. „ვიგებ იმას, რასაც ვეხები და რაც წინააღმდეგობას მიწევს“ (კამიუ). კამიუს ღმერთები მზის, ზღვისა და ცის ენაზე ლაპარაკობენ. კამიუს არა სწამს ღმერთი, რადგან მისი ენებები აღვილს აღარ უტოვებენ რწმენას. იგი იყურება სხეულისა და გონების თვალთ, მაგრამ შეგნებულად არ ახელს „მესამე თვალს“, ანუ სულისშიერ თვალს. საღმრთო წერილი ამბობს: „ჭეშმარიტად, შენა ხარ ღმერთი დაფარული“ და რადგანაც ამ დაფარულის ხილვა კამიუს არ შეუძლია, იგი მას უარყოფს, როგორც უხილავს და არა როგორც არარსებულს. იგი სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ ღმერთი შეიძლება არსებობდეს. შეიძლება... მაგრამ რადგანაც პირადად მისთვის არსებობს მხოლოდ ის, რაც ხილულია, ღმერთი, როგორც უხილავი სული მისთვის არ არსებობს. სარტრისაგან განსხვავებით, რომელიც უარყოფს ღმერთის არსებობას და სურს, რომ სხვებიც დაარწმუნოს ამ „ჭეშმარიტებაში“, კამიუს მიაჩნია, რომ „ჭეშმარიტების ძიება სულაც არ ნიშნავს სასურველის ძიებას“.

ნიცშემ პირველმა აუწყა კაცობრიობას ღმერთის სიკვდილი, რომელიც შურისძიების მსხვერპლი გახდა: „ყველაზე მახინჯო ადამიანი, შენ ღმერთის მკვლელი ხარ. ვერ აიტანე ის, ვინც გხედავდა. ყველაზე მახინჯი ხარ და მოჰკალი მოწმე“ (ნიცშე). ადამიანებმა ჯვარს აცვეს ქრისტე და ხანაცვლოდ შექმნეს ქრისტიანული რელიგია თავიანთი კანონებითა და ქრისტიანული მორალით, სააქაო და საიქიო ცხოვრებით, სამოთხეთა და ჯოჯობებით, ცოდვითა და მადლით, კეთილთა და ბოროტით, ღმერთითა და უშმაკით... ადამიანმა შექმნა

ეს რელიგია, ისეთივე დაპირისპირებული და გახლეჩილი, როგორც მისი გა-  
ნება. მაგრამ ყოველი რელიგია ისეთივე წარმავალია, როგორც თავად ადამიან-  
ი და ნიცშეშემაც უარი განაცხადა წარმავალისა და არასრულყოფილის მსახურე-  
ბაზე. „მე მსურს ვიფრინო, მხოლოდ ვიფრინო“, — შესძახებს იგი და არწივის  
ძლიერი ფრთების ტყვლაშენით მიაპობს საზღვრებს ზეკაცისაკენ. ქრისტე არის  
ეს ზეკაცი, რომლის მიწიერი ცხოვრებაც ნიცშესათვის სრულქმნილების ნი-  
მუშს წარმოადგენს.

„ღმერთი მოკვდა“! — თქვა ნიცშემ და ამ განაცხადით უამრავი თავსატე-  
ხი გაუჩინა კაცობრიობას. „ჩვენ ზემოთ მხოლოდ შავი ნახვრეტია და ქეტი არა-  
ფერი“ — აზუსტებს სარტრი, — ღმერთის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი  
ღრმა ჭრილობა. კამიუ კი აცხადებს, რომ ადამიანს ისეთი მცირე დრო აქვს სი-  
ცოცხლისათვის გამოყოფილი, რომ არ სურს ღმერთზე ფიქრით კიდევ უფრო  
შეამციროს იგი. მიუხედავად ამისა, კამიუ თვლის, რომ „ადამიანური ბუნება  
მაინც არსებობს“, რომ „სამყარო არც მთლად რაციონალურია და არც მთლად  
არაციონალური“, რომ „გონების საზღვრითობის აღიარება არ ნიშნავს მისა შე-  
ღარებითი სიდიადის უარყოფას“, რომ „ყველაფერი ნებადართულია“, მაგრამ  
ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არაფერია აკრძალული“, რომ... ასეთია კამი-  
უს აბსურდული მსჯელობა, რომლის ერთადერთი ლოგიკაც ისაა, რომ არავი-  
თარ ლოგიკას არ ექვემდებარება.

კამიუს მოჰყავს სიზიფეს მითი, როგორც აბსურდული ცხოვრებისა და მას-  
თან ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითი. სიზიფეს საიქიო ცხოვრება ერთგვარს  
სიმბოლოა, რომლის საშუალებითაც კამიუ გვიხატავს ჩვენს ამქვეყნიურ  
ცხოვრებას. მითი სინამდვილისა და გამონავონის ნაზავია. წარმოადგენს რა პა-  
რადიგმას, ანუ ადამიანის არსებობის მოდელს, მითი მიუთითებს იმაზე, რომ  
ადამიანის ცხოვრების ნაწილს შეადგენს არა მარტო რეალური, არამედ ირუა-  
ლურიც. მითი ადამიანის ფანტაზიის შემოქმედების ნაყოფია, ისევე როგორც  
ჩვენი ცხოვრება თანაბრად ეკუთვნის ცხადსა და სიზმარს, ასევე მითიც ამ ცხა-  
დისა და სიზმრის სიმბოლური თანაცხოვრების ნიმუშია. „რასი ვიქნებოდით  
ჩვენ არარსებულის თანადგომის გარეშე? უბადრუკი და საწყალობელნი და  
ჩვენს უქნარა სულებს უანგი მოედებოდა უსაქმურობისაგან. აჩრდილები, მი-  
რაჟები, აბსტრაქციები, ცრურწმენები, ურჩხულები, ჰიპოთეზები და ეგრეთ  
წოდებული მეტაფიზიკური პრობლემები რომ არა... მითები ჩვენი მოქმედე-  
ბის, ჩვენი ვნებების სულია“ (პოლ ვალერი).

წინააღმდეგობები აბსურდის უპირველესი ნიშანია, მაგრამ ამ შემთხვევა-  
ში კამიუს სურვილი, გაწმინდოს თავისი სამყარო მოჩვენებებისაგან და დაასახ-  
ლოს იგი ხორცშესხმული ჭეშმარიტებებით, წინააღმდეგია საკუთარი თავისა, გა-  
მოიხმობს რა აჩრდილთა შორის ყველაზე უფრო შორეულსა და მოჩვენებითს, —  
სიზიფეს აჩრდილს. მართლაცდა, თუკი აბსურდულ ადამიანს შეუძლია მსჯელო-  
ბა მხოლოდ იმაზე, რაც უტყუარია და ჭეშმარიტი, მაშინ მითის მოყვანა ამ უტ-  
ყუარობის მაგალითად ან შეგნებული თვალის დახუჭვაა სიზიფეს სასარგებლოდ,  
ან კიდევ აბსურდული თამაში. თუკი მისტიკოსებს ეკრძალებათ ღმერთთან „ვა-  
ბაასება“ მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთი არ წარმოადგენს „ხორცშესხმულ  
ჭეშმარიტებას“, მაშინ კამიუ რატომღა მიმართავს აკრძალულ იდეას სიზი-  
ფესთან მიმართებაში? განა მითი სიზიფეს შესახებ უფრო მეტად სარწმუნოა,  
ვიდრე ნებისმიერი სხვა მითი, რომელთა შესახებ მსჯელობისგანაც თავს იკა-  
ვებს კამიუ, რადგანაც მათი არსებობისა და არარსებობის დამამტკიცებელი სა-  
ბუთები არ გააჩნია?



თითოეული ადამიანი თავის არსებობას ყველაზე მძაფრად შეიგრძნობს იხუთი პროცესის დროს, სადაც ის თავის შესაძლებლობებს ყველაზე უკეთ ავლენს. დეკარტისათვის ეს პროცესი აზროვნებაა, სოკრატის/ სიცხადე, არტოსთვის – თამაში, სარტრისთვის – წერის პროცესი... ხოლო კამიუსათვის – ამბოხი. „ამბოხებული ვარ, მაშასადამე ვარსებობ!“ კამიუსათვის მთავარია სიმართლე და აზრის სიცხადე. მას არ სურს ვინმეს ატყუებდეს და არც ის, რომ მას ატყუებდნენ, რაც არ უნდა მძიმე იყოს ეს სიმართლე, იგი მას ღებულობს, რადგანაც სურს, „ბოლომდე ზილის სიცხადის ტვირთი“. ცხოვრების აბსურდულობა წარმოადგენს კამიუსათვის ამ მწარე სიმართლეს და მასთან თვალის გასწორება – გონების სიცხადეს. კამიუს აზრით, თავისუფალი მაშინ ხდება ადამიანი, როდესაც ის შეივსებს თავისი ცხოვრების აბსურდულობას და ამბოხდება მის წინააღმდეგ. ეს ამბოხი არ არის პოლიტიკური ან სოციალური, არც შეიარაღებული აჯანყება ან რევოლუცია, არამედ პიროვნების ამბოხი აბსურდული ბედისწერის წინააღმდეგ.

აბსურდის წინააღმდეგ ამბოხიც აბსურდულია, რადგან იგი არც საბოლოო გამარჯვებით მთავრდება და არც საბოლოო დამარცხებით, რადგანაც საერთოდ არ მთავრდება. სიზიფუ სულ გზაშია...

